საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ნ. ბერძენიშვილი

# საქართველოს ისტორიის საკითხები

## წიგნი

## II

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი 1965

9 (c 41)
9 (47. 922)
ბ 571

# კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში [1]

ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, რომ პირველად მხოლოდ ეხლა გვაქვს საუბარი ისეთ საკითხზე, როგორიცაა კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება ჩვენი ქვეყნის შორეული წარსულის საგარეო ურთიერთობის სფეროში. თუ ეს ჩამორჩენილობა არა, ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდი ხანია შესწავლილი და გამორკვეული გვექნებოდა, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა სხვადასხვა დროს, ჩვენი ქვეყნის სამტრო თუ მეგობრული დამოკიდებულება მეზობელ ხალხებთან, რომ ომები უცხოელ თავდამსხმელებთან ისეკე, როგორც ომები სხვისი ქვეყნის დასაპყრობად, ჩვენივე საზოგადოების შიგნით მიმდინარე კლასობრივ ბრძოლასთან უმჭიდროეს კავშირში იმყოფებოდა, რომ ზოგი მათგანი ამ კლასობრივი ბრძოლის უშუალო შედეგი იყო, ხოლო არც ერთი მათგანი ამ საზოგადოებრივი მოვლენის გარეშე არ მიმდინარეობდა.

მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის ეს დებულება საცილობელი არ შეიძლება იყოს.

აღნიშნული დებულების დემონსტრაცია საქართველოს მთელი ისტორიის სიგრძეზე (იგულისხმება, რა თქმა უნდა, ამ ისტორიის ის მონაკვეთი, რომელსაც კლასობრივი ურთიერთობა მოიცავს) ჩვენს დღევანდელ ამოცანას არ შეადგენს. ასეთი რამ ერთი

[1] ეს ნაშრომი უნდა წაკითხულიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა აკადემიების გაერთიანებულ სესიაზე 1949 წელს. ავტორს, მისი ავადმყოფობის გამო, ეს ვერ მოუხერხდა. წაკითხულ იქნა მოხსენებად იმავე 1949 წელს უნივერსიტეტის ლექტორიუმში. დაიბეჭდა პირველად 1949 წ.

მოხსენების საგანი არც შეიძლება იყოს, ხოლო ჩვენი მიზნისათვის ეს არც საჭიროა. ტექნიკურადაც რომ მოსახერხებელი იყოს.

თავისთავად კი ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა საქართველოს წარსულის ყოველი ფაქტი მარქსისტულად შესწავლილ-შეფასებული გვექნება, როცა, დაბოლოს, მარქსისტულად შემუშავებული საქართველოს ისტორია ვვექნება. დღესდღეობით ეს საქმე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ თავის დასაწყის სტადიაში იმყოფება[2].

მაგრამ ჩვენ ამ მოხსენების ამოცანას კიდევ უფრო ვიწროდ შემოვფარგლავთ და შევეხებით არა ყოველგვარ საგარეო ურთიერთობას (დიპლომატურ მოლაპარაკებას, ომს, ხელმწიფობა-პატრონობას, ხელდებულობას, ყმადნაფიცობას, მეძღვნეობას, მოხარკეობას და სხვ.), რომელსაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა, და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, საქართველოში კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლასთან, არამედ შევეხებით საგარეო ურთიერთობის მხოლოდ ისეთ ფაქტებს, რომელნიც უშუალოდ და ცხადად გამომდინარე ჩანან ხსენებული ბრძოლის მომენტიდან.

დღევანდელ ჩემს ამოცანასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დიდმნიშვნელოვანი საკითხები წამოიჭრება, როგორიცაა: რაობა სამშობლოისა, ეროვნებისა, პატრიოტიზმისა, საკითხი ამათი ისტორიული შინაარსის შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტულ-ისტორიული ამ საკითხების შესახებ ან სულ არაფერი გვაქვს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ზოგიერთ ამ საკითხის შესწავლაში მხოლოდ პირველი კვალია გავლებული. ხსენებული საკითხების შესწავლას ჩვენ აქ, გასაგებია, თავს ვერ ვიდებთ, არამედ დავკმაყოფილდებით რამდენადმე სახელდახელოდ მოტანილ მოწმობებზე აგებული მსჯელობით.

ძველი ქართული წერილობითი საისტორიო წყაროები იშვიათად გულისხმობენ ჩვენი ქვეყნის წარსულის იმ პერიოდს, რომელიც წინაკლასობრივი ქართველი საზოგადოების კლასობრივ ურთიერთობაში გადასვლას მოიცავდა. ხსენებული ხანის შესახებ წერილობითი მასალა რომ გვქონოდა, მოსალოდნელი იყო ჩვენი თემისათვის შიგ მრავალმეტყველ ფაქტებს ამოვკრებდით. ამაში და-

[2] აქ, უნდა აღინიშნოს, საუბარი შეეხება ქართული ისტორიოგრაფიის იმ ნაწილს, განსაკუთრებით, რომელიც საქართველოს წარსულის ძველსა და შუა ხანას შეისწავლის.

სარწმუნებლად საკმაოა ადამიანი გაეცნოს გვიახი ხანის ისტორიულ გადმოცემებს[3] საქართველოს მთაში აზნაურების გაჩენის (ამა თუ იმ გვარის ან პირის გააზნაურების) შესახებ, გაეცნოს გადმოცემებს იმ ბრძოლათა შესახებ, გვაროვნულ საზოგადოებასა და ამ თემისმტეხელთა შორის რომ ხდებოდა. აქ კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა-განვითარება უშუალო კავშირში გვევლინება „უცხო ძალასთან“. ეს უკანასკნელი ერევა საზოგადოების შინაგანი განვითარებით წარმოშობილ კლასობრივ ურთიერთობაში და ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს გვაროვნულ-თემური საზოგადოების რღვევა. ამავე „უცხო ძალას“ მიმართავენ, „საკუთარი სისუსტის ლონედ“, „თ ე მ ი ს-მ ტ ე ხ ე ლ ნ ი“ და, გამარჯვების შემთხვევაში, ამავე უცხო ძალის აგენტებად რჩებიან ეს მთიულეთის აზნაურები, ერისთავები[4]...

ჩვენი წერილობითი საისტორიო წყაროები, როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდს იშვიათად ეხებიან, ისინი უპირატესად განვითარებული კლასობრივი ურთიერთობის ხანას გულისხმობენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საისტორიო წყაროები პირდაპირ ცნობებს დასმული საკითხისათვის (ცნობებს კლასთა ბრძოლის შესახებ და, კიდევ უფრო, ცნობებს ამ ბრძოლის გამოვლინების შესახებ საგარეო ურთიერთობაში) როდი იძლევიან. ამისათვის საჭიროა გამახვილებული მარქსისტული თვალით გამოვლინება და მეცნიერული სინათლის შუქზე განხილვა ისტორიული ფაქტებისა და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენი საკითხისათვის საჭირო მასალას იმდენს მოვიპოვებთ, რამდენიც გვსურს და მოვიპოვებთ იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენი ისტორიკოს-მემატიანეები თუ სხვა დარგის მწერლები, ამ ხანის მწერლობის გარკვეული კუთვნილებისა და მიზანდასახულობის გამო. ჩვეულებრივ, უგულვებელყოფენ, ზოგჯერ კიდევაც განზრახ ამახინჯებენ ცნობებს კლასთა ბრძოლის შესახებ ჩვენი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ურთიერთობაში.

---

3 ასეთ ზეპირგადმოცემათა რიგისანი ჩანან „ამბავი მეფეთა“-ს ან „ძეგლი ერისთავთა“-ს საამისო ცნობები.

4 მრავალ გადმოცემათა შორის, ამ საკითხს რომ ეხება, განსაკუთრებით საყურადღებოა გადმოცემა ღ უ დ უ შ ა უ რ თ ა შესახებ. ასეთივე, პრინციპულად, იქნებოდა, უექველია, ვარდანისძე-დადიანების, ჯაფარისძეთა, ბიბილურთა, შაბურისძეთა, ჩოფიკაშვილ-ყაზიბეგიშვილთა თუ სხვა თემის მტეხელთა ბრძოლა გააზნაურება-გაბატონებისათვის.

* * *

ფარნავაზმა, ლეონტით, ქართველთა სახელმწიფო შექმნა. დამპყრობელი (აზონი) განდევნა (და დაღუპა), ქართლს „აღჴადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“, ქართლოსისა და ეგროსის წილი ქვეყნები გააერთიანა, ქვეყანა პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად მოაწესრიგა (საერისთაოებად დაყოფა, სამეფო და საერისთაო ხარკის დაწესება...), მცხეთა მოზღუდა და არმაზის კერპი შექმნა „თავსა ზედა ქართლისასა“. მის დროს ქვეყანა მოშენდა, ქართლში მრავალენიანობა გაქრა და მხოლოდღა ქართული ბატონობდა. ფარნავაზმავე შექმნა მწიგნობრობა ქართული[5]. ერთი სიტყვით, ლეონტის სურს სთქვას, რომ ფარნავაზის დროს და ფარნავაზის მეოხებით შეიქმნა ქართველთა სახელმწიფო, ქართული ტერიტორიით, ქართული ენით, ქართული წესწყობილებით (თუმცა ნასესხებით), ქართული სარწმუნოებით, ქართული მწიგნობრობით და ქართველი მეფით. ლეონტის მიხედვით ეს ნიშნები საკმაო და აუცილებელია კულტურული „ნათესავის“ ინდივიდუალობისათვის.

ამრიგად, აქ საშუალო საუკუნეების ქართველთა „ნათესავის“ ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია მოცემულია.

ამის შემდეგ ლეონტი ერთი წუთითაც არ ივიწყებს ამ ორგანიზაციას და გულდადებით მოგვითხრობს მის პოლიტიკურ თავგადასავალს მრავალი საუკუნის სიგრძეზე.

როცა ფარნავაზ გარდაიცვალა და მისი ძე საურმაგი მეფედ დაჯდა, ქართლის ერისთავები შეითქვნენ: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩუენ საურმაგ და ვიყუნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყუენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა ვინ გამოჩნ-

---

[5] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 16—18. ჩვენი თემისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენად რეალურ-ისტორიულია ლეონტის მიერ მოცემული სურათი, არც იმას აქვს ამჟამად ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა, თუ რომელი საუკუნის მწერალია ლეონტი მროველი VIII—IX-სა, თუ XI-სი. ჩვენთვის ამჟერად ისიც საკმაოა, რომ ლეონტი საშუალო საუკუნის ქართველი მწერალია და სრულიად გარკვეული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირი.

დეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“[6]. საურმაგ მეფე სუსტი იყო შეთქმულებთან შედარებით. მას ერთგულებდნენ რომაელი მხედრები[7] — აზნაურნი (ათასი კაცი). მეფე გაიქცა დურძუკთა ქვეყანაში, აზნაურები იქ მიუვიდნენ. საურმაგი ეზრახა ოსთა მეფეს, მამის (ფარნავაზის) დისწულსა. ოსთა მეფე შეეწია. საურმაგმა დურძუკნიც „შეიკრიბა და წარმოემართა ქართუელთა ზედა“. დაიპყრო ქართლი და მოსრნა განდგომილნი მისნი და რომელთამე შეუნდო. ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყუნა აზნაურნი. ხოლო განმრავლებულ ყუნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი“... „საურმაგ წარმოიყუანნა“—დურძუკებიო—„და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყუნა და სხუანი დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი. და ესენი დაიპყრნა მისანდობლად თუისად დედულნი. და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ“[8]. ამის შემდეგ საურმაგმა ბედნიერად იმეფაო.

ამრიგად, აჯანყებული ერისთავების (ქართლოსიანების, ქართველების) გასატეხად საურმაგმა „უცხოელები“ გამოიყენა,—რომაელები და ოს-დურძუკები. მეფემ ესენი გაიჩინა დასაყრდენად. აჯანყებულნი გაწყვიტა, ზოგს შეუნდო, მაგრამ დაამდაბლნა. მათ ადგილზე აზნაურნი (ბერძენ-რომაელნი) და დურძუკნი წარჩინებულ ყვნა. ამ უცხო ძალას დაეყრდნო (დურძუკნი, მთიულეთს რომ გადმოასახლა „დაიპყრნა მისანდობელად თუისად“). ლეონტი ამის გამო არა ძრახავს საურმაგს და, ცხადია, იმიტომ, რომ ერისთავების პოლიტიკური გეგმა — ქართლის სამეფოს მოშლა—ლეონტისათვის მიუღებელი იყო. ამიტომ, საურმაგის ღონისძიებანი,—საკუთარი სისუსტის „ღონედ“ უცხო ძალის მოწვევა. უცხო ძალაზე დაყრდნობა, არაფერ საძრახისს არ შეიცავს.

* * *

ფარნაჯომ (მირვანის ძე) „მოიძულვეს მკუიდრთა ქართლისათა“ „მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: მეფე ჩუენი. გარდაჰქდა სჯულსა მამათა ჩუენთასა: არღარა მსახურებდეს

---

[6] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 19.

[7] იქვე, ლეონტის ანაქრონიზმი.

[8] ლეონტის ანაქრონიზმი.

ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა და შემოიღეს სჯული დედული. აწ ა რ ღ ა რ ა ღ ი რ ს ა რ ს ი გ ი მ ე ფ ე დ ჩ უ ე ნ დ ა[9]".

საქმე იმაში იყო, რომ ფარნაჯომმა, ლეონტით, სპარსული ცეცხლისმსახურება შემოიღო, ხოლო ქართველებს „დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ". ეს იყო მათი მამული სჯული. ასე რომ, ლეონტით, ერისთავნი ქართლისანი ა ქ ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს დ ა მ ც ვ ე ლ ე ბ ა დ გ ა მ ო დ ი ა ნ. მეფემ დაარღვია ქართული წესი და. ერისთავთა აზრით, „აწ ა რ ღ ა რ ა ღ ი რ ს ა რ ს ი გ ი მ ე ფ ე დ ჩ უ ე ნ დ ა". მაგრამ ერისთავთა უმრავლესობა, შეთქმული რომაა. თავს ს უ ს ტ ა დ ა გ რ ძ ნ ო ბ ს. საქმე ისაა, რომ ერისთავთა უმცირესობა (ქართლოსიანებივე) ფ ა რ ნ ა ჯ ო მ ს უ ჭ ე რ დ ა მ ხ ა რ ს. ქვეყანა ორად გაყოფილა. და უსუსტესი მხარე „ღონედ საკუთარი სისუსტისა" „უ ც ხ ო ძ ა ლ ა ს", სომეხთა მეფეს, მიმართავს. აჯანყებულმა ერისთავებმა სომეხთა მეფეს ერთგულობის მძევლები გაუგზავნეს. სომეხთა მეფე თავისი ჯარით წამოვიდა, ფარნაჯომს კი სპარსელები მოეშველნენ. ჩანს. ფარნაჯომი სპარსული კულტურული და პოლიტიკური გავლენის გამტარებელია. აჯანყებული ერისთავები კი ქართლოსიანური წესის დამცველები. ამ ომში ქართველები ორივე მხარეზე იბრძოდნენ: უმცირესობა ფარნაჯომთან ერთად, უმრავლესობა სომეხთა მეფის მხარეზე. ომი მოხდა ტაშირს. ფარნაჯომი დამარცხდა და მოიკლა კიდევაც. ქართლის მეფედ იქმნა ერისთავთა უმრავლესობის სასურველი, სომეხთა მეფის შვილი, ა რ შ ა კ. ამრიგად, ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ თ ა ს ჯ უ ლ ი დ ა ც უ ლ ი ქ მ ნ ა გ ა რ ე შ ე ძ ა ლ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ.

იდეა: ქართლში მეფობის ღირსია ის. ვინც მამათა სჯულს იცავს, მისი დამრღვევის წინააღმდეგ უცხო ძალაც ისეთივე მისაღებია. როგორც შინაური...

* * *

ფარნაჯომი რომ მოიკლა, მისი შვილი ყრმა მ ი რ ი ა ნ მამამძუძემ წაიყვანა სპარსეთს.

ქართლში ა რ შ ა კ ი, ა რ ტ ა ვ ი და, შემდეგ. ბ ა რ ტ ო მ ი მეფობდა.

მირიანმა ტახტის ძებნა იწყო და მიუგზავნა მოციქული ერისთავთა ქართლისათა. ტახტის მაძიებელმა დაგმო ფარნაჯომის (თავისი მამის) საქციელი—ქართლოსიანთა სჯულის შეცვლა. აღუთქვა ერისთავებს ამ სჯულის დაცვა და მამის სისხლის არ ძებნა. „უქადა კეთილი და დიდება ერისთავებს"...

---

[9] ლეონტის ანაქრონიზმი, გვ. 21.

ერისთავები არ მიემხრნენ მას და ბარტომის ერთგულნი დარჩნენ. „ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი არა წარჩინებულნი წარმოვიდეს და მიერთნეს მირიანს".

მირიანი სპარსელებით, ხოლო ბარტომი ქართველებით და სომხებით ერთი მეორეს შეებნენ ხუნანს. ქართველ-სომეხნი დამარცხდნენ. მირიანი გამეფდა. ერისთავები შეირიგა, ქართველთა სჯული იპყრა[10].

აქ უკვე ახალი მომენტია. ქართლის საზოგადოება ამა თუ იმ სამეფო კანდიდატისათვის მხარის დაჭერისას სხვადასხვა ინტერესებით მოქმედებს. ერისთავებმა (უმრავლესობა) გაიმარჯვეს: ქართული სჯულის დაცვა სავალდებულოა ქართლის მეფისათვის და მისი შემცვლელი „არა ღირს არს" მეფობისა და ღირსია სიკვდილისა. ამ სჯულს იცავს ბარტომი, ამავე სჯულის დაცვას აღთქვამს მირიანი. ბარტომსა და მირიანს სხვა მხრივ თანასწორი უფლებები აქვთ ქართლის ტახტზე. ერისთავები მაინც ბარტომს შერჩნენ. მაგრამ მირიანს მიერთნეს „მცირედნი ვინმე არა წარჩინებულნი". სამწუხაროდ, ლეონტი არ აღნიშნავს არც ერისთავთა და არც ამ „არა წარჩინებულთა" საქციელის მოტივს. მაინც და მაინც აქ მამეული სჯულის დაცვის მომენტის გარდა, წარჩინებულთ, და არაწარჩინებულთ, ჩანს, განსხვავებული მოტივი ამოძრავებთ. საკითხს აქაც უცხო ძალა სწყვეტს. ქართველები აქაც ორად არიან გაყოფილნი (თუ აქამდე ერისთავები იყოფოდნენ ორად, აქ ერისთავები წარჩინებულნი ერთ მხარეს დგანან, არა წარჩინებულნი—თუმცა ყველა კი არა, მცირე ნაწილი—მეორე მხარეს).

* * *

ადერკი, ბარტომ მეფის შთამომავალი, სომხეთს აღიზარდა. მირიანის მემკვიდრე კი იყო არშაკ. ადერკიმ ქართლის ტახტის ძებნა იწყო. სომეხთა ძალა მოიშველა და თრიალეთს მოვიდა. აქ მას მიეგება არშაკი. ამას ახლდნენ ქართლის ერისთავები და სპარსთა ძალა რანიდან... ადერკიმ გაიმარჯვა და ქართველებმაც იცნეს ის თავის მეფედ.

ისტორიული სინამდვილეა თუ არა ლეონტის მონათხრობი, როგორც უკვე შევნიშნეთ, ჩვენი მიზნისათვის სულერთია.

ლეონტის წარმოდგენით უცხო ძალის გამოყენება შინაპოლიტიკურ ბრძოლაში ჩვეულებრივი

10 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 22—23.

და მისაღებიცაა, ოღონდ მიზანი ამართლებდეს ასეთ მოქმედებას. მაგალითად, ქართლოსიანთა სჯულის დამცველი ერისთავები სწორად იქცევიან, როცა ამ სჯულის დამრღვევი ფარნაჯომის განსადევნად სომეხთა მეფეს მიმართავენ დახმარებისათვის... უცხო ძალის შემწეობით გამეფებული ვინმე eo ipso მიუღებელი არაა ისევე, როგორც კანონიერი მკვიდრი eo ipso მისაღები არაა. მთავარი და გადამწყვეტია თითოეული ამათგანის საქმიანობა. მემკვიდრე ფარნაჯომი მიუღებელია იმიტომ, რომ იგი ქართულ სჯულს არღვევს, სპარსული შემოაქვს; უცხო ძალით გამეფებული მირიანი კი მისაღებია იმიტომ, რომ მან დაგმო სპარსული სჯული ქართლში და ძველი ქართული სჯული იპყრა. აგრე უყურებს ამ საკითხს, ლეონტით, იმ დროის ქართველი საზოგადოება.

ლეონტით, ქართველი საზოგადოება სულაც არაა ჩაკეტილი და შეუვალი რამ. ამ საზოგადოების შიგნით ბრძოლაა. წარჩინებულნი და მეფე, წარჩინებულნი ურთიერთ შორის, წარჩინებულნი და არაწარჩინებულნი ერთი მეორეს ებრძვიან და „ღონედ უძლურების თვისისა“ მიმართავენ მეზობელ ხალხებს: მთიელებს, იმიერკავკასიელებს, სომხებს, სპარსელებს...

* * *

ქართლში ორმეფობა იყო. ფარსმანი არმაზს მეფობდა, მირდატი შიდა ქართლს. ფარსმანი ყოვლით შემკული იყო, მირდატი კი მესისხლე იყო. მირდატმა მოიყვანა ცოლი სპარსი, ნათესავი მეფეთა. სპარსელებმა მირდატი გადაიბირეს. იგი მტერ ექმნა ფარსმანს. „მირდატს შეეწეოდნენ სპარსნი, ფარსმანს—სომეხნი“. ქართლი, როგორც ვხედავთ, სომეხთა და სპარსთა საცილობელი ქვეყანა შექმნილა. ქართლის მკვიდრნიც გაყოფილან. ფარსმანი სჯობნის მირდატს, „ესე უყუარდა მირდატის კერძთაცა ქართველთა... და გამოერთვნეს უმრავლესნი მირდატისაცა კერძნი“. ფარსმანს და მირდატს ომი შექმნიათ. მირდატი სპარსეთს გაქცეულა[11].

„მაშინ მირდატ ვამოიყვანნა სპარსნი, სპანი ძლიერნი და მომართა ფარსმანს. ხოლო ფარსმან შემოიკრიბნა სპანი ქართლისანი და მოირთო ძალი სომხითით და მიეგება იწროთა რკინის კევისათა“. მირდატი იძლივა. ის წავიდა, კვლავ მოიყვანა

[11] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 31.

სპარსთა ჯარი. ბრძოლა მოხდა ჯ ა ჰ უ ს. მირდატი კვლავ იძლევა. ფარსმანი თვით სპარსეთს შეესია. ბოლოს, სპარსელებმა ფარსმანი მოსყიდულ მზარეულს მოაწამვლინეს. მირდატმა ეხლა ქართლი დაიპყრა. სპარსელებმა ფარსმანის წილი თვით დაიჰირეს (არმაზი) და აქ ე რ ი ს თ ა ვ ი დასვეს, მირდატს კი შიდა ქართლი დაუბრუნეს. ფარსმანის სპასპეტი ფარსმანისავე ქვრივით და შვილით სომხეთს გაიქცა. და როცა სომეხთა მეფემ ძალი მოიცა, ის „წარმოემართა ბრძოლად სპარსთა და ქართველთა". მირდატი და სპარსთა ერისთავი ქართველ-სპარსელთა ჯარით გაეგება მას. ომი მოხდა ლ ი ა ხ ვ ზ ე, რ ე ქ ა ს. მირდატი დამარცხდა. მოიკლა. „დასუეს მეფედ ძე ფარსმან ქველისა, რომელსა ერქუა ადამი"—და შემდეგ მეფობენ მისი შტოსანი...

ერთი სიტყვით, ქართლი საცილობელია მეზობელ სამეფოთა შორის. და ქართლის შინაგანი ამბები მჭიდროდ ეთხზვის ამ საგარეო მოვლენებს. „უ ც ხ ო ძ ა ლ ა" ისე ხშირია ქართლში, რომ მისი ჩარევა შინაურს ბრძოლაში სრულიად ბუნებრივია. სხვა არა იყოს რა, თვით ეს უცხო ძალა უწყობს ხელს ასეთს მოვლენას: იჩენს დასაყრდენს საზოგადოების ამა თუ იმ ფენაში... ასეთ პირობებში თითოეული სუსტი მხარე, ბუნებრივია, ეცდება თავის სისუსტეს ასეთი „უცხო ძალით" უშველოს. სწორედ ამას მიუთითებს ლეონტი: მირდატფარსმანისამდე ქართველ მეფეთა ეს წყვილები (არმაზელი და შიდაქალაქელი) ერთპირი იყვნენ. მირდატი გადაიბირეს სპარსელებმა და დაეხმარნენ ამ თავის აგენტსაო...

ამავე დროს ქართველთა ერთიანობის გაგება არსებობს. უ ც ხ ო ნ ა თ ე ს ა ვ ი ს გაბატონებას ებრძვიან; ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ა მ ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს დ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ის ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ი (ფარნავაზი, ფარსმანი...) ქ ე ბ ა-დ ი დ ე ბ ი თ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ი ა ნ.

* * *

ფარსმან ქველის ჩამომავალი ა მ ა ზ ა ს პ მეფე გაძლიერდა. ოსები დაამარცხა. ოსეთი დაარბია (სომხები დაიხმარა).

„შემდგომად ამისსა შეექმნა სილაღე და დაიწყო მესისხლეობად და მ ო ს წ ყ უ ი დ ნ ა მ რ ა ვ ა ლ ნ ი წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი. ამისათვის მ ო ი ძ უ ლ ა ი გ ი ე რ მ ა ნ ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ა ნ. და მტერ ექმნა იგი სომეხთა და შეიყუარნა სპარსნი. მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი... ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა

და ითხოვეს სომეხთა მეფისა ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზასპისი“[12].

ეს სურათი, როგორც ვხედავთ, კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლის ნიადაგზეა გაშლილი. მეფე გაძლიერდა, წარჩინებულნი მოსწყუიდნა (სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით ლეონტის ამ ცნობის რეალური ფასი). საქმე კი, ლეონტით, ასეა წარმოსადგენი: ამაზასპი სპარსელებზე დაყრდნობით ქ ა რ თ უ ლ წ ე ს ს ა რ ღ ვ ე ვ ს, წარჩინებულთ ავიწროებს. წარჩინებულთა წარმომადგენელნი, ე. ი. ერისთავები, გადაუდგებიან ამაზასპს, რომელსაც ქართველთა მცირე ნაწილი შერჩა. გამოდის, ლეონტის წარმოდგენით, „ქართლის ერის“ უმრავლესობა „წარჩინებულთა“ მხარეზეა, ანუ წარჩინებულნი „ქართლის ერის“ უმრავლესობის წარმომადგენელია (ლეონტის ენაზე ეს „ერი“ მთელ ქართველ ხალხს არ ნიშნავს, არამედ მის იმ პრივილეგირებულ ნაწილს, რომელიც პოლიტიკას ქმნიდა). მებრძოლმა მხარეებმა ორივემ უცხო ძალას მიმართა. ერისთავებმა ოსები და სომეხთა მეფე მოიწვიეს, ამაზასპმა სპარსთა ძალი მოიშველა. უცხო და შინაური ძალის გამოყენებას არც ერთი მხარე გაურბის, არც მეორე. საქმე ის არის, ოღონდ, თუ რა მიზნისათვის მოიხმარებენ ასეთ ძალას. ლეონტი სიმპათიურად უყურებს იმათ, ვინც ამ უცხო ძალას იმ იდეის განსახორციელებლად მოიხმარს, რომელსაც ის (ლეონტი) თანაუგრძნობს. ეს არის და ეს. უცხო ძალის მოშველიების მომენტით არ ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის შეფასება, არამედ იმით, თუ რა მიზანს მოახმარა ამ პოლიტიკურმა მოღვაწემ ეს ძალა.

ამაზასპის წინააღმდეგ სომეხთა და ოსთა ძალის მოწვევა დასაძრახი არაა, რადგან ამაზასპი მესისხლე იყო, რისთვისაც იგი „მოიძულა ერმან ქართლისამან“. მაგრამ ამაზასპი იმით კი არ იყო დასაგმობი, რომ მან სპარსელები მოიხმარა ერისთავების წინააღმდეგ, არამედ იმით, რომ იგი „მესისხლე“ იყო.

* * *

ასფაგურ მეფე უძეოდ მოკვდა. სპარსთა მეფემ ქასრე სასანიანმა სომხეთი დაიპყრო, სპარსთა მეფე საცა იყო ქართლს დაიპყრობდა, უმეფობის ხანა იყო. ქვეყნის მემკვიდრენი ამ შემთხვევაში, ლეონტის გაგებით, წარჩინებულნი (=ერისთავნი) იყვნენ. მათ სათავეში სპასპეტი იდგა (ფარნავაზის მიერ შემოღებული წყობა იყო). და „შეკრებეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას

[12] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 34—35.

ქალაქსა სპასპეტისა თანა“. და მაიჟან სპასპეტმა გამოთქვა ქართლის ერისთავების სურვილი, მათი პოლიტიკური შეხედულება, რისთვისაც ღირდა სიცოცხლე (ეს იყო ერისთავების „ქართველობა“) თუ არა და. დახოცვა უმჯობესიაო. ასე რომ, ლეონტის აზრით, იმ ძველ დროს არსებობდა პირობათა გარკვეული მინიმუმი, რაც აუცილებელი იყო „ქართლის“ არსებობისათვის. წარჩინებულთა წარმოდგენით ეს იყო სჯული მამათა ჩუენთა, ქართველთა აღურევლობა სპარსელებთან (უცხოელთან) და წარჩინებულად პყრობა (ე. ი. სოციალურად არ-დამდაბლება). ამასთან უშუალო კავშირში იყო ენა ქართული[13], რომლის დაცვა ასევე აუცილებელი იყო; ასე რომ ქართველობის შინაარსს შეადგენდა საზღუარი ქართველთა[14], ე. ი. სრულიად გარკვეული ტერიტორია, ქართველური წესები (სჯული ქართველთა), ქართული ენა[15], ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობა,—ესაა ის მინიმუმი, რის დათმობა „ქართველობის“ დამცველ ერისთავებს არ შეუძლიათ. მეფე პირადად შეიძლება უცხოელიც იყოს, მთავარია, ოღონდ, რომ მან ეს წესები დაიცვას.

ხოლო „უკეთუ სჯულსა მამათა ჩუენთასა მიგუიღებდეს, და ჩუენზედა სპარსთა წარჩინებულ ჰყოფდეს და ნათესავთა მეფეთა ჩუენთასა მოსწყუედდეს, მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათუის... მონახუასა ესევითარისასა. დავსხნეთ თავნი ჩუენნი ციხეთა და ქალაქთა შინა და მოვსწყუედეთ ყოველნი“—დაასკვნის მაიჟან სპასპეტი[16]...

ქასრე სასანიანმა ქართველი ერისთავების პირობა შეასრულა. მეფედ დასვა მირიანი (თავისი ძე), შვიდი წლის ყმაწვილი. „მამამძუძედ და განმგებელად დაუტევა წარჩინებული ერთი“—მირვანოზ. სპარსეთის ხელმწიფემ მირიანს დაუმორჩილა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი. სპარსელთა ჯარი ოცდაათიათასი კაცი ჰერეთს დაადგინა. ქართლში (მცხეთას და სხვა ციხე-ქალაქებში და კარებში) შვიდი ათასი სპარსელი დატოვა ქასრემ მირიანის მცველად. ქვეყანას მირვანოზი განაგებდა, მირიანი აღიზარდა „მსახურებასა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა და შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყა ენა

---

[13] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 41.

[14] იხილე ქვემოთ.

[15] იხილე ქვემოთ.

[16] იქვე, 39.

სპარსული და ისწავლა ენა ქართული და მატა შემკობა კერპთა დაბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა კერპთასა. და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათუის ქმნა. კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა“[17].

ასე იყო თუ არა, სულერთია, ლეონტის სურს დახატოს მეფე, რომელიც ასრულებს ქართულ წესებს, რომელიც გაქართველდა და რომელიც ამის გამო შეიყვარეს ქართველებმა: ქართველების სიყვარული, ქართული ენა, ქართული სჯული (კერპთმსახურება), ქურუმების პატივი, ფარნავაზის საფლავის პატივი (ქართული ტრადიცია), ქართველთა ნიჭი და დიდება, — ყველა ამისათვის შეიყვარეს ქართველებმა მირიანი.

სრულიად გარკვეულია ქართველობა სპარსელობასთან თუ სხვა უცხოელობასთან დაპირისპირებით: ტერიტორია, ენა, სჯული, სოციალ-პოლიტიკური წესი (ქურუმები, წარჩინებულნი, არაწარჩინებულნი), — ესაა სავალდებულო დასაცავი.

* * *

ვახტანგ გორგასალის ყრმობაში ბერძნებმა ქართლს ეგრისის დიდი ნაწილი (ეგრის წყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე) მისტაცეს. „მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს“, ცოდვა გავამრავლეთო და ამიტომაც „სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა, მიგუელო ჩუენ საზღუარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ ბაქარს მეფესა (კლარჯეთი) იგი“.

ბერძნები „უცხო ნათესავია“, სარწმუნოების ერთობა (ამ დროს უკვე ქართველები ბერძნებივით ქრისტიანები არიან) ამ მომენტს არა სცვლის.

17 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 41.

ქვეყნის საზღვარი (ტერიტორია) ამა თუ იმ ნათესავის ერთი მთავარი ნიშანია, ამ საზღვრის (ტერიტორიის) ხელუხლებლობა უპირველესი ზრუნვის საგანია, საზღვრის (ტერიტორიის) დაზიანება ღვთის რისხვაა[18], დიდი „პირია“[19]. ქართლის საზღვრები (კლარჯეთი, ეგრისის დიდი ნაწილი) ბიზანტიელებს მიუტაცნიათ. ვახტანგი ქრისტიანია ისევე, როგორც ბიზანტიელნი, მაგრამ საკუთარი „საზღვრის“ უკუმოღება სავალდებულო—აუცილებელია და ქრისტიანი ვახტანგი ცეცხლის თაყვანისმცემელ სპარსელებთან კავშირში რომის (ბერძენთა) ქვეყანას შეესევა. ვახტანგს უმძიმს ეკლესიის მსახურთა, ე. ი. ქრისტიანეთის აოხრება: ისინი ხომ მისი რჯულისანი არიან. ვახტანგის სულიერი პოზიცია ორჭოფულია. ის დაეზავება კეისარს, ჯვარის მსახურთა მოსაშუალეობით, იმ პირობით, რომ ქართლის საზღვრებს უკუმიიღებს. მოკავშირე სპარსელებს კი ვახტანგი თუმცა არ ეომება, მაგრამ არც შველის. სპარსელები მარცხდებიან, ხოლო განლაღებული ბერძენი მხედართმთავარი ქართველებზეც ომით მოდის. ვახტანგი ამარცხებს მას, მაგრამ ტყვე ბერძნებს კეისარსავე დაუბრუნებს. ასე პირნათელი გამოიყვანა ჯვარისმოსავი და სპარსელთა მოკავშირე ვახტანგი ჯუანშერმა რთული მდგომარეობიდან[20].

იდეა: სარწმუნოება სხვადასხვა ნათესავებს არ აიგივებს; ერთი სარწმუნოების ნათესავნიც თავთავიანთი ენისა და ტერიტორიისანი რჩებიან; ისინი ამისათვის ურთიერთში ომებსაც კი არ ერიდებიან (თუმცა ქრისტეს ცნების თანახმად ყველა ქრისტიანი ერთია, მაგრამ ცხოვრებას აქაც კორექტივი შეუტანია...). სასურველია და სავალდებულო, რომ ქრისტიანები ურთიერთში არ ომობდნენ, მშვიდობით მორიგდნენ და ქრისტეს მტრებს ებრძოდნენ...

ქრისტიანი მეზობლის წინააღმდეგ წარმართთან კავშირი დაგმობილია—(თუმცა სინამდვილეში ეს წესიც ირღვევა). არსებობდა ნათესავი ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა, სპარსთა და სხვა. თითოეულს ახასიათებდა ტერიტორია, ენა, სჯული, ცხოვრების წესები, პოლიტიკური წყობა. ზოგიერთი ამ ნიშნით ერთი ნათესავი შეიძლება მეორეს ემსგავსებოდეს (მაგ. სახელმწიფო წყობა სპარსთა და ქართველთა; სჯული რომაელთა და ქართველ-

---

[18] ჯუანშერი, ანასეული ქ"ცა, 94.

[19] იქვე, 97.

[20] იქვე, 109—119.

თა), მაგრამ ყოველი ნიშანი თანაბარი ფასის არაა. სჯულით მსგავსება, ჯუანშერის აზრით, უფრო აახლოებს ორ ნათესავს, ვიდრე, ვთქვათ, პოლიტიკური წყობის მსგავსება, თუმცა ნათესავის ინდივიდუალობა ამით, რა თქმა უნდა, არ წაიშლება. უძლიერესმა რელიგიამ—ისლამმაც კი ვერ წაშალა ნათესავის თავისებურება და სპარსეთმა, მაგალითად, თვით ისლამი გაასპარსულა... ტენდენცია კი სარწმუნოების ხაზით ნათესავთა ინდივიდუალობის წაშლისა ყოველთვის იყო მეტის თუ ნაკლების ინტენსივობით და, თუმცა სარწმუნოებამ ეს ვერ შეძლო მაგრამ „ს ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო“[21] მაინც რეალობა იყო „სამაჰმადიანოსთან“ დაპირისპირებით, ან ცეცხლის მმოსავებთან დაპირისპირებით და საქრისტიანოსათვის ბრძოლა ქრისტიანი ნათესავის ვალი იყო[22].

ლეონტისა და ჯუანშერის წარმოდგენით, ქართლს პოლიტიკური წყობა ისეთივე ჰქონდა, როგორც სპარსეთს, სჯული ისეთივე, როგორც რომს (ბიზანტიას); ამისდა მიუხედავად ის (ქართლი) არც სპარსეთი შექმნილა და არც რომი. თითოეული ეს მომენტი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ქართველთა ნათესავს სხვა არსებითი ხასიათის ნიშნებიც ჰქონდა ე ნ ა, ტ ე რ ი ტ ო რ ი ა („საზღვარი“), წ ა რ მ ო შ ო ბ ი ლ ო ბ ა (ქართლოსიანი), ხ ა ს ი ა თ ი[23]. ყველა ამ ნიშნების ერთობლივობა ახასიათებდა თითოეულ ნათესავს, ქმნიდა მის ინდივიდუალურ სახეობას[24].

---

21 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ანასეული ქცა, 130.

22 ასე ასაბუთებს ვახტანგი თავის პოლიტიკურ საქციელს, როცა ის სპარსეთს შველის ინდოსინდეთის ომში. ამით ის მოხდაო, რომ სპარსეთმა იერუსალემი საბერძნეთს მისცაო და სპარსეთის ინდოეთს ლაშქრობით საბერძნეთი სპარსთა მიერ დალაშქრეას გადაურჩაო... ეს კი საერთო საქრისტიანოს სამსახურია. რაც საბოლოო ჯამში, ქართველთა ნათესავის სამსახურიცაა... ასეთი უნდა იყოს, ჯუანშერის აზრით, იდეალური ქრისტიანი მეფე.

23 „ბუნება“, ამ უკანასკნელი ნიშნის შესახებ ცნობა სხვა არა ერთ ქართველ თანამედროვე მწერალს მოეპოვება, ხოლო ამ ნიშნის ისტორიულ-ფილოსოფიური განზოგადება ნიკოლოზ კათალიკოზს (XII) ეკუთვნის. ამ ქართველ მწერალ-მოაზროვნეებს ამა თუ იმ ნათესავის ეს „ბუნება“ (ხასიათი) ხანგრძლივი (ისტორიული) თანაცხოვრების პროდუქტად არ მიაჩნიათ, არამედ ნათესავის თანდაყოლილ თვისებად, მაგრამ მათ ამ შეცდომას ჩვენი საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენთვის ამჟამად საკმაოა, რომ ისინი ამ ნიშანს ამჩნევენ და მას ამა თუ იმ ნათესავის დამახასიათებელ მომენტად სთვლიან.

24 როგორც ვხედავთ, „ნათესავის“ იმ ნიშანთა შორის, საშუალ საუკუნეებში რომ ყურადღება მიუქცევიათ, არსად ჩანს ნიშანი: „ეკონომიური ერთიანობა“. ეს გარემოება აიხსნება არა მარტო იმით, რომ საშუალო საუკუნეებში სოციალური მეცნიერება დაბალ დონეზე იდგა, არამედ, უმთავრესად, იმით, რომ თვით ეს ნიშანი იმ დროს მეტისმეტად სუსტი იყო.

ასე და ამრიგად, ზემოთ მოტანილი მაგალითების სახით ჩვენ მოგვეპოვება მეტყველი მასალა იმის შესახებ, თუ როგორ მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ქვეყნის საშინაო ვითარება მის საგარეო ურთიერთობასთან. ლეონტით და ჯუანშერით არსებობს „ქართლი".—სრულიად გარკვეული ისტორიული წარმონაქმი, ქართლის გარშემო მის მეზობლად ასეთივე კულტურულ-ისტორიულ წარმონაქმთა რიგია, ზოგი ძლიერი, ზოგი სუსტი. ქართლის ქვეყანას ამ მეზობლებთან ხან მტრობა და ომი აქვს, ხან ზავი და მეგობრობა. მაგრამ მისი ურთიერთობის ხასიათი ამ უცხო ძალასთან ხშირად განისაზღვრება თვით ქართლის შიგნით შექმნილი ვითარებით. ხან ქართლის ერისთავ-წარჩინებულნი მიმართავენ უცხო მეზობელს, აღუთქვამენ მას ერთგულება-მორჩილებას და სთხოვენ დახმარებას საკუთარი მეფის წინააღმდეგ, რომელთანაც ბრძოლა აქვთ, ხან კი ქართლის მეფე ესაქმება ამ უცხო ძალას და მის გამოყენებას ცდილობს ქართლისავე ერისთავ-წარჩინებულთა წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ეს ჩვენი ავტორები არ გვიხსნიან, თუ რა ნიადაგზეა ასეთი საშინაო ბრძოლა გაჩაღებული ქართლის მეფესა და ქრთლის ერისთავ-წარჩინებულთა შორის. ჩვენთვის დღეს, რა თქმა უნდა, საკმაო არაა ლეონტისა და ჯუანშერის მიერ დასახელებული მიზეზები, რომ, მაგალითად, ამა თუ იმ მეფემ მოიძულვა ქართული სჯული და მის ნაცვლად სპარსული შემოიღო, რომ ესა თუ ის მეფე მესისხლე იყო და მრავალი წარჩინებული დახოცა და სხვა ასეთი. ეს მიზეზები თვით მოითხოვენ ახსნას.

ჩვენ აქ არ გაგვიძნელდებოდა არა ერთი ვარაუდი, მეტ-ნაკლები შესაძლებლობისა, წარმოგვედგინა ამ საშინაო ბრძოლის ნამდვილი შინაარსის წარმოსაჩენად[25]. მაგრამ ჩვენ ასეთ ხერხს განზრახ მოვერიდებით.

სასიამოვნოდ ჩვენდა, ჯუანშერს მოეპოვება ერთი ისეთი ცნობაც, რომელიც ქართლის მეფესა და ერისთავ-წარჩინებულთ შორის ბრძოლის მიზეზს უფრო არსებითსა და ნიშანდობლივს ასახელებს.

ვახტანგის ჩამომავალი ბ ა კ უ რ მ ე ფ ე გარდაიცვალა. წვრილი შვილები დარჩა. ქვეყანა ასეთ შემთხვევაში მ კ ვ ი დ რ თ ა ხელში გადადის. ასეთებია ერისთავნი (წარჩინებულნი). მათ ევალებათ ქვეყნის დაცვა-მოვლა და უფლისწულთა აღზრდა. მაგრამ ერისთავებმა ბაკურის შვილებს (ე. ი. ვახტანგის ჩამომავალთ) არ

---

[25] მით უფრო, რომ ჩვენს ლიტერატურაში ასეთი ცდა, და საკმაო წარმატებით, უკვე მოცემულია. იხ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე" და მისივე „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში".

უერთგულეს. სწორედ ამ დროს ურმიზდ სპარსთა მეფემან რანი და მოვაკანი სამმართველოდ თავის ძეს ქასრე ამბარვეზს მისცა. ქასრე ბარდავს დაჯდა „და უწყო ზრახვად ქართველთა ერისთავთა, აღუთქუა კეთილი დიდი და დაუწერა საერისთოთა მამული ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თუისთუისად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“. ბაკურის შვილები „მთეულეთს კახეთისასა“ დარჩნენ, ხოლო „ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა; სხუა ყოველი ქართლი, სომხითი, და ასფურაგანი დაიპყრეს სპარსთა და ბრძოდეს ბერძენთა“[26].

ამრიგად, ერისთავები უცხო ძალას მოურიგდნენ, საკუთარი მეფის ხელისუფლება უარყვეს, ვახტანგის ჩამომავალთ, ქრისტიან მეფეს (და ქართველ მეფეს) გადაუდგნენ და უცხო ნათესავს, სპარსელს, ცეცხლის მსახურს მიუდგნენ და ეს იმიტომ, რომ ქასრე ამბარვეზმა მათ დაუწერა (ე. ი. წერილობითი აქტით გადასცა) „საერისთოთა მამული“. აქედან უეჭველი ხდება, რომ ქართული პოლიტიკური წყობისას ერისთავები ქართლის მეფეს ებრძოდნენ საერისთოების (-საერისთავო ქვეყნების) საშვილიშვილოდ გასაკუთრების მიზნით. ეს კი აშკარა გამოხატულებაა კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლისა, როცა აზნაურთა აღმავალი კლასი ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო „გამარჯვებისათვის იბრძოდა“. ეს „აზნაურნი დიდ-დიდნი“, ერთის მხრით, ებრძოდნენ „წურილ ერს“[27], რომელსაც ეკონომიური და სოციალური დამორჩილებით ემუქრებოდნენ, ხოლო, მეორეს მხრით, მეფეს, რომელიც ამ „წურილ ერზე“ დაყრდნობით შეუზღუდველი სამეფო უფლების განხორციელება-შენარჩუნებას ცდილობდა და აზნაურ-ერისთავთა გამთავრების ტენდენციებს ებრძოდა.

და ამ ბრძოლამ განსაზღვრა ქართლისა და ერანის ურთიერთობის ხასიათი. ერისთავწარჩინებულებმა საკუთარი კლასის ინტერესებისათვის გასწირეს საკუთარი (ქართვე-

[26] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 142—143.

„წურილი ერი“ ანუ „მოლაშქრე“ (სამხედრო თვალსაზრისით) იგივე „თავისუფალი გლეხია“. უკანასკნელი ტერმინი არაისტორიულია, ჩვენი დროისაა და პირობითია.

ლი) მეფე და ქვეყანა უცხო ძალას დაუმორჩილეს[28].

შემდეგ როგორ მოხდა, სამწუხაროდ, არ ვიცით. ჩანს კი, რომ ერისთავები მალე შეუორგულდნენ სპარსელებსაც და, როგორც კი დრო მოიცეს, „შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი, წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, რათა იყუნენ ერისთავად თჳისთჳსად საერისთაოსა შეუცვალებელად".

ასე რომ ერისთავები, მათი აზრით, არც ქვეყნის მოღალატენი შექმნილან, არც ქრისტიანობისა. მათ ქრისტიანობაც სურთ და მეფეც სურთ „ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა", მაგრამ ერთი აუცილებელი პირობით[29], რომ კლასობრივ-სოციალური გამარჯვება, მათ რომ მოიპოვეს (სპარსელთა დახმარებით), უნდა შერჩეთ ხელუხლებლად, ე. ი. მათ სურთ მეფე, მაგრამ ფეოდალური კლასის გამარჯვების ხელის შემწყობი, მათ სურთ ქრისტიანობა (და საბერძნეთი), მაგრამ ამავე პირობით.

ამრიგად, სრულიად გარკვევით არის ნათქვამი, თუ როგორ განსაზღვრავს კლასობრივი ინტერესი, კლასობრივი ბრძოლა ყოველივე სხვას, როგორ წაიშლება

---

[28] ჯუანშერის ეს ცნობა მისივე მოთხრობის კონტექსტში რამოდენადმე უცნაურად გამოიყურება. ვახტანგ გორგასალი, ჯუანშერით, როგორც ქრისტიანობისათვის და ქართლის დაცვისათვის თავდადებული მებრძოლი, ყოველი ქართველისათვის სათაყვანებელი იყო. ეხლა კი უცბათ ერისთავები ვახტანგის მემკვიდრეებს, ასევე ქრისტიანისა და პატრიოტის ბაკურ მეფის შვილებს, გადაუდგებიან და საქრისტიანოს მტერს, ცეცხლის მსახურ სპარსთა ხელმწიფეს მიუდგებიან. მაგრამ ეს „უცნაურობა" იმით აიხსნება, რომ ჯუანშერი უპირატესად ქართული საისტორიო ფოლკლორით სარგებლობს, სადაც ყველაფერი როდია გამართული.

ვახტანგ გორგასალი რომ ყველასათვის აგრე სათაყვანებელი არ ყოფილა, ეს კარგად ჩანს სანდო ცნობებით: მას ღალატობენ და სპარსელთა მხარეზე დგებიან სომეხი და ქართველი ნახარარ—პიტიაშხ—ერისთავები (ვარსქენ პიტიაშხის ამბავი ტიპიურია). ვახტანგის დამარცხებაც, საბოლოოდ, ამ წარჩინებულთა პოლიტიკურმა პოზიციამ განსაზღვრა.

ამრიგად, სარწმუნო ჩანს, რომ ჯუანშერის ცნობა ერისთავების განდგომის შესახებ ბაკურის შვილების დროს სწორია (ძირითადად), ამდენადვე არა აქვს ამავე ავტორს საქმის ვითარება სწორად გადმოცემული ვახტანგის დროს.

[29] და ეს პირობა განსაზღვრავს მათ ყოველგვარ საქციელს ეროვნულს, სარწმუნოებრივს, პოლიტიკურს თუ მორალურს.

ხოლმე ყოველივე ეროვნული საზღვარი. კლასობრივი ინტერესების დაკმაყოფილების იმპერატივის ქვეშ. „ნათესავი" არის („ერი" არის), ის კარგადაა შეცნობილი ენით, ტერიტორიით, ჩამომავლობით, სჯულით, წყობით. მაშასადამე, ინდივიდუმის თუ კოლექტივის. ამ ერთეულისადმი დამოკიდებულებაც (პატრიოტიზმი) ფაქტია. მაგრამ არის მეორე მომენტი: ერთეულში („ნათესავში") სხვადასხვა კლასებია და თითოეულ კლასს ეს ერთეული თავისი კლასობრივი მიზნებისათვის სურს. თითოეული კლასი მთელი „ნათესავის" (ერის) პატრიოტია. მაგრამ ამ „ნათესავის" (ერის) გარკვეული სოციალ-პოლიტიკური წყობის უპირატესად პატრიოტია მხოლოდ ერთი (წამყვანი) კლასი...

საზოგადოებრივ კლასებს და მათ ბრძოლას, კლასობრივი ინტერესების ძალას კარგად ხედავდნენ და სათანადო ანგარიშს უწევდნენ არა მარტო შინაური პოლიტიკური მოღვაწენი (მეფე, ერისთავნი), არამედ გარეულნიც,—სპარსელები, ბერძნები.

ამის გამო იყო, რომ ბიზანტიის კეისარმა VI საუკუნეში თავი აღარ გამოიდო ქართლში მეფის ისეთი უფლების აღდგენისათვის, როგორსაც აღმავალი ფეოდალური კლასი ვერ ურიგდებოდა. კეისარი შეუთანხმდა ქართლის ერისთავებს და „სიგელნი მკვიდრობისანი" (ე. ი. წერილობითი დოკუმენტები საერისთაოს სამემკვიდრეოდ ფლობის შესახებ), სპარსეთის ხელმწიფისაგან რომ ჰქონდათ მიღებული, თავისი მხრითაც განუახლა—დაუმტკიცა. და მხოლოდ ამის შემდეგ დამორჩილდნენ ქართლის ერისთავები ვახტანგის ჩამომავალსა და კეისრის კანდიდატს გვარამ ერისმთავარსა და კურაპალატს. გასაგებია, თუ გვარამმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთაოთაგან, რამეთუ სპარსთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკჳდრობისათჳს საერისთოთა მათთა არამედ იყუნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა"[30]. რა თქმა უნდა, ამიერიდან ერისთავების მხოლოდ ფეოდალურ მორჩილებაზედა შეიძლება ლაპარაკი.

ამრიგად, ქართლის ცხოვრებაში დიდი სოციალური ტეხილი აღინიშნა, რომელიც, როგორც დავინახეთ, უშუალო კავშირში იმყოფებოდა ქვეყნის საგარეო ურთიერთობასთან და არა

---

[30] ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა, 144.

მარტო თითონ განიცდიდა ამ ურთიერთობის გავლენას, არამედ თავის მხრით არა ნაკლებ გავლენას ახდენდა ამ ურთიერთობაზე.

* * *

X — XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო პოლიტიკურად დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მოზარდი ფეოდალური ქვეყანა ბიზანტიას შეეჯახა[31].

ბაგრატ მესამის ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის მეტისმეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ბიზანტია სუვერენის ძველ უფლებებს ეჰიდებოდა არსიანის გადაღმა ქვეყნების მიმართ (შავშეთ-კლარჯეთი და, განსაკუთრებით. ტაო)[32]. იმ დიდი

---

[31] ფეოდალური საქართველო სწრაფად იზრდებოდა. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი ხანა იდგა. ამიერკავკასია, კერძოდ, საქართველო ხელსაყრელ სამეზობლო პირობებში აღმოჩნდა და ძველი კულტურის ქვეყანა სწრაფად მოშენდა (სოფლის მეურნეობა გაუმჯობესდა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა გაცხოველდა, ქალაქები გამრავლდა). ამის გამოძახილი იყო, რომ ქვეყანას პოლიტიკური გაერთიანების ტენდენცია დასჩემდა (და ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად ეს გაერთიანება, X საუკუნის მიწურულს, ფაქტი გახდა). ეს პროცესი, ბუნებრივია, მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა კლასთა ბრძოლასთან, ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით რომ წარმოებდა თითოეულ სამეფო-სამთავროში.

პოლიტიკური გაერთიანება, რამდენადაც ის ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებას ემყარებოდა, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა: ის კლასობრივი ბრძოლის გაფართოება-გაღრმავების საქმეს ემსახურებოდა, ქვეყნის შემდგომ სოციალ-ეკონომიურ განვითარებას უწყობდა ხელს. ამდენადვე გაერთიანების მოღვაწენი პროგრესული მოღვაწენი იყვნენ და პირუკუ გაერთიანების წინაალმდეგ მებრძოლნი პროგრესის სამსახურს ვერ დაიჩემებდნენ.

[32] დავით კურაპალატი დიდი პოლიტიკოსი იყო. დიდი პროგრესული მოღვაწე, დიდი პატრიოტი (პატრიოტი ისაა, ვინც პროგრესის მშენებელია; კლასობრივ საზოგადოებაში, პროგრესის მშენებელია ის, ვისი მოღვაწეობაც კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავების საქმეს ემსახურება). ქართული კულტურისათვის ესოდენ დიდი ჰირნახულობა მან იმით დააგვირგვინა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი დაუდო. ქალკედონიტი დავით კურაპალატი ბიზანტიის კულტურულსა და პოლიტიკურ სამყაროში ქართული ეროვნული შეგნების მესაჰე და მოღვაწეა, ქართულ ენას დავითის ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს (ამის მოწმობაა ტაოელი ქართველების ეს განსაკუთრებული ზრუნვა ქართულ ენაზე, ქართულ კულტურაზე. ათონზე ტაოელთა იდეა ბატონობს...) დავითის ფული ქართული ზედწერილით, დავითის მშენებლობა (ქართული წარწერანი), დავითის დროშაჯვარი ქართული წარწერით, დავითის ქვეყანაში ქართული სავანეები (ხახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია), დავითის დაუცხრომელი

ომის დროს საქართველოსა და ბიზანტიას შორის რომ მოხდა XI საუკუნის პირველ მესამედში ქართული საზოგადოების პოზიცია ჩვენი საკითხისათვის მეტად საინტერესო მაგალითებს იძლევა[33].

---

ზრუნვა ქართული ქრისტიანული ლიტერატურის გამდიდრება-გავრცელებისათვის, ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამ მეფის პოლიტიკაში ქართულ ენას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა აკისრია. და ეს უნდა გასაგები იყოს: დავითი ტაოს კურაპალატი იყო. ჩამომავლობით ქართველი ბაგრატიონი (აშოტ კურაპალატის შტო), სარწმუნოებით ქალკედონიტი ის იმყოფებოდა იმ მხარეში, სადაც ძლიერი იყო არაქართული ელემენტი და, მეორეს მხრით, ბიზანტიასა და სომხეთს შორის მდებარე ეს მხარე (ის ქართული პოლიტიკური სხეულის განაპირას იყო), გზაზე აფხაზეთსა (არტანუჯით), ჯავახეთ-ქართლსა (არტაანით), თუ სომხეთისაკენ (ყარსი-ანისი),—მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო ბიზანტიისათვის, რომელიც ამიერკავკასიაზე ბატონობის ძველ რომაულ ტრადიციას არ ეხსნებოდა. ამავე დროს ტაო გეოგრაფიულად შორს იყო შეჭრილი მცირე აზიისაკენ და ამდენადვე, ქართულ ძირითად პროვინციებს მოწყვეტილი. ის ბერძნულ-სომხურ გარემოცვაში იმყოფებოდა (ტაოში ქართული ელემენტის გაძლიერება VIII საუკუნიდანვე უნდა დაწყებულიყო. მაინც და მაინც ფრიად დამახასიათებელი გარემოებაა, რომ არც ლეონტი მროველი, არც ჯუანშერი ტაოს იმ ძველ დროს ქართლში არ გულისხმობენ. არც ფარნავაზის ერისთავებში, არც ვახტანგის ერისთავებში, არც ლეონტის გეოგრაფიულ მონაცემებში, არც ვახტანგის საეპისკოპოსოებში და არც არაბთა შემოსევების ხანაში, მირისა და არჩილის დროს, ტაო ჯერ კიდევ არც ეკლესიურად, არც პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად ქართლში არ იგულისხმება. ასე რომ, თუ ამ ავტორებს დაეჯერებათ, თითქოს სარწმუნო ხდება გიორგი მერჩულის თხზულების გაცნობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილება, რომ VIII საუკუნიდან იწყებს აქ გაძლიერებას ქართული ელემენტი). ბიზანტია-არაბეთის სამყაროებს შორის საცილობელი და ბოლომოუღებელი ომების ასპარეზი ეს სასაზღვრო ზოლი, ადვილშესასვლელი ქვეყანა, მეტისმეტად დაზარალებულიყო და ამიტომაც იყო, რომ კეისარმა დიდი ხალისით მიუთვალა იგი კლარჯეთთან ერთად ქართლის ერისმთავარს, რომელიც არა თუ ამ ქვეყნებს შეიმაგრებდა ბიზანტიის ხელმწიფობის ქვეშ, არამედ აქ გაძლიერებული, ის საპასუხო საფრთხეს (ბიზანტიის თვალსაზრისით) შეუქმნიდა არაბულ სამყაროს იმით, რომ ქართლზე კანონიერ პრეტენზიებს აცხადებდა, როგორც მისი (ქართლის) კანონიერი მფლობელი... მაგრამ ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, თუ ქართული ელემენტის აქ გაჩენას მხოლოდ ამ დროდან ვივარაუდებდით. ეს ელემენტი აქ უძველესი დროიდან არის საგულვებელი და სომხური ელემენტის აქ გაძლიერება კარგად უდგება (190 წ. ძვ. წ.) არტაქსია-ზარიადრის ამბებს: სტრაბონის მოწმობით არმენებმა ეს ოლქი, სხვა ოლქებთან ერთად, იბერიელებს ჩამოართვეს. ამის მატერიალური მოწმობაა გეოგრაფიული სახელები: კარი და კარნუ ქალაქ — კარინი=კარნი, ტაოში აკი ქართველები ყოველ გასასვლელს კარს ეძახიან (ე. თაყაიშვილი...) და არსად საქართველოში მართლაც ამდენი „კარი“ (გასასვლელის მნიშვნელობით) არ მოიპოვება...

[33] ფეოდალურმა საქართველომ თავი მოიყარა, ფეოდალურ-ეროვნულად გაერთიანდა, რაც თანმხლები პროცესი იყო მისი ფეოდ. ეროვნული ჩამოყალი-

ქართველი აზნაურები ტაოდან, შავშეთ-კლარჯეთიდან ამ გადამწყვეტი ომის დროს სრულიადაც ერთსულოვნად არ მოქმედებენ... ზოგი ბიზანტიის კეისრის მხარეს გადადის, ზოგიერთი კი ქართველთა მეფის ერთგულებას ირჩევს.

შემოტევაზე გადმოსულმა ბიზანტიის კეისრის ხელისუფლებამ კარგად დაზვერა ქართული საზოგადოების შიგნით არსებული გამწვავებული კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლა და წარმატებით აამოქმედა შესაფერისი საშუალებანი (ფული, დაპირება...). განსაკუთრებით საინტერესო ჩანს შავშეთ-კლარჯეთის „წვრილი ერის“ პოზიცია. ის დიდი რაოდენობით მიემხრო დემეტრე კლარჯს, ბერძენთა აგენტს (ასე უყურებს მას ქართველი ისტორიკოსი). უეჭველია, ამ „წურილ ერს“ რაღაც რეალური ამოძრავებდა და არა ცარიელი „მემკვიდრე“ მეფე...

XI ს-ის 40-იან წლებში განსაკუთრებით საინტერესო ვითარება შეიქმნა. ბიზანტია ფრთხილობს. ის, როგორც ირკვევა, არაა საკითხის იმ კომპრომისული გადაწყვეტის კმაყოფილი, როგორც ეს მოხდა ამ საუკუნის 30-იან წლებში. საქართველო გაერთიანდა. გაერთიანებული საქართველოს მეფემ (ბაგრატ IV) თავი ბიზანტიის კეისრის ყმად სცნო. ამით ბიზანტიამ თავის გავლენის სფერო შორს გადმოიტანა, მაგრამ ბიზანტიის კეისარი შიშობდა, რომ ივერიის მეფე „დაიწუნებდა“ მას და სხვადასხვა ღონეს მიმართავდა ამ გაძლიერებული ვასალის დასასუსტებლად. ამავე დროს პატივსაც უხვად უმატებდა მას, როცა პირველი ხერხი მკრელი არ ჩანდა და კეისარმა, ბუნებრივია, ხელი ჩასჭიდა ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით არსებულ მწვავე კლასობრივ თუ შინაკლასობრივ ბრძოლას, კეისარი სწყალობს მეფობის მაძიებელ დემეტრე გიორგის ძეს, კეისარი სწყალობს ლიპარიტ ბაღვაშს და თავისი პოლიტიკის დასაყრდენად გაიხდის მას. ლიპარიტი საქართველოს დაშლას არ აპირებს. ასეთი იდეა ეხლა არაპო-

---

პების პროცესისა, როგორიცაა, „გაქართველება“ მთიანეთისა, ალბანეთისა, ეგრის-აფხაზეთისა, ტაოსი. ყველა აზნაური ქართველია— ენობრივად, კულტურულად,—აფხაზია ის წარმოშობით, თუ ალბანელი, ტაოელია, თუ მთიული... ამავე დროს ის ქართველია სარწმუნოებით—ქალკედონიტია კულტურული (აზნაურული წესი), ენობრივი (ქართული) და სარწმუნოებრივი (ორთოდოქსი) მომენტები ქმნიდნენ „ქართველობას“ დაპირისპირებით „სომხობასთან“, „ბერძნობასთან“ თუ „არაბობასთან“... და ფეოდალურ ეროვნულად გამოკვეთილი საქართველო დაუპირისპირდა ბიზანტიას, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა, აღედგინა თავისი ბატონობა (ეხლა, ფეოდალურ პირობებში,— უზენაესობა, სუვერენობა) ძველს იბერია-კოლხეთზე (ეხლა საქართველოზე).

პულარულია. მაგრამ ცდილობს ბაგრატი დაასუსტოს კეისრისა და მისი (ლიპარიტის) ხელის შემყურე გახადოს... უეჭველია. აქ ლიპარიტი მარტო არ არის, და მას ძლიერი მომხრენი ჰყავს... ლიპარიტის საქმიანობა იქითკენ მიმართული, რათა მეფის ცენტრალისტური მიდრეკილებანი შეანელოს, დიდი აზნაურებისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო... ბიზანტიის ფული, მისი ავტორიტეტი, დაპირებანი ფრიად ძლიერ პოზიციას წარმოადგენდა მებრძოლ დიდგვარიანთა სასარგებლოდ... და ლიპარიტმა დაამარცხა ლამის ბაგრატი... მაინცადამაინც კეისარმა ამის წყალობით ბაგრატი ვასალად შეინარჩუნა. თუმცა ბოლოს და ბოლოს, ბაგრატმა ლიპარიტი ხელთ იგდო, მაგრამ ეს არ იყო მეფის სტრატეგიული გამარჯვება. ლიპარიტი იმ დიდმა აზნაურებმა დასცეს, რომელთაც მას ამას წინ მეფეზე გაამარჯვებინეს, ხოლო ეხლა „მოეწყინათ“ მისი ბატონობა და სწორედ იმ დიდმა აზნაურმა (კალმახელმა), რომელმაც ლიპარიტი გაათხრა, ბაგრატისაგან მიიღო სამცხეში იმდენი ქვეყანა და ისეთი ქვეყანა, რომ თვით გახდა, ფუძემდებელი ახალი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნისა. ასე რომ, თუ ბაგრატმა ერთი „კლდეკარი“ მოშალა (ვერც მოშალა), მეორე „კლდეკარი“ (=ოძრხე-ციხისჯვარი) შექმნა... ლიპარიტის დამარცხებით რომ დიდი აზნაურები არ დამარცხებულან, ეს კარგად ჩანს იქიდანაც, თუ როგორი ვითარება შეიქმნა ამის შემდეგ, ვიდრე დავით აღმაშენებლამდე. ეს იყო დიდაზნაურების ბატონობის ხანა... რა თქმა უნდა, დიდაზნაურებთან ბრძოლაში მეფეს მხარს უჭერდა ფართო საზოგადოება: წვრილი აზნაურები, მოლაშქრეები (ამათი იდეოლოგი იყო გიორგი მთაწმინდელი)... ასე რომ ეს რთული ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე მიმდინარეობდა: „წვრილ ერში“, აზნაურობაში, საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად. დაფენებები ხდებოდა. დიდი აზნაურები ცდილობენ ხელთ იგდონ წვრილი ერი, მოლაშქრენი.... ესენი იბრძვიან და მეფეს ეკედლებიან... აქ უცხო ძალა ჩნდება და ბრძოლა კიდევ უფრო რთულდება: დიდი აზნაურები „ღონედ უძლურებისა თვისისა“ ამ უცხო ძალას იწვევენ... ეს სრულიად ბუნებრივი ჩანს და, მართალია, მეფის პოზიციების მომხრე მწერლობა ჰგმობს აზნაურთა „ღალატობას“, მაგრამ თვით აზნაურები თავიანთ საქციელში არაფერს არაპატრიოტულს არა ხედავენ.

ბერძენთა კეისრის აგენტი ლიპარიტი ბაგრატ IV-ს მტრად აღუდგა. ბაგრატმა ლიპარიტის მოქიშპე, ტფილისის ამირა არ გაათხრა და ტფილისი ლიპარიტს არ ჩაუგდო ხელთ. და „გამოიყვანა

ლიპარიტ დ ე მ ე ტ რ ე, ძ მ ა ბ ა გ რ ა ტ ი ს ი, ბ ე რ ძ ე ნ თ ლ ა შ ქ რ ი თ ა და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენსა და მოწუეს არე-არე ქართლი". ამ ბრძოლაში ლიპარიტის მხარეს იყვნენ ფ ა რ ს მ ა ნ თ მ ო გ ვ ე ლ ი, ბ ე შ ქ ე ნ ჯ ა ყ ე ლ ი— თ უ ხ ა რ ი ს ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი. ლიპარიტ და ბაგრატი მორიგდნენ. ბაგრატმა ლიპარიტს „უ ბ ო ძ ა ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს თ ა ო- ბ ა" (ბერძნები წავიდნენ, დემეტრე თან წაიყვანეს).

ბაგრატი გაძლიერდა. ანისი იშოვა, ტფილისიც მოირთო, კახეთი „ითაყუანნა". და ლიპარიტი კვლავ აჯანყდა. ამჯერადაც ლიპარიტი კეისრის აგენტი ჩანს. კეისარს არ მოსწონდა, ეტყობა, ბაგრატის გაძლიერება: ეხლა „აფხაზთა მეფე" ანისის მფლობელიც გახდა (მემამატიანე ასაბუთებს, რომ ანისი ბაგრატის დედას მამულად ეკუთვნოდაო. ჩანს, ანისში სომეხთა მეფის მემკვიდრენი გაღაშენებულან. მართლაც, ამ დროს ანისის სამეფო კეისრის მოხელეს, თორნიკ ვესტს, ეპირა), ე. ი. იბერიასაც არ დასჯერდა და სომხეთის დაპატრონება სცადა. ტფილისსაც უშუალოდ დაეპატრონა (ლიპარიტს არ მისცა) და კახეთიც ითაყვანა. ორივე, ე. ი. კეისარიც და ლიპარიტიც შეურაცხყოფილი შეიქმნენ და ლიპარიტი (კეისართან შეთანხმებით, რა თქმა უნდა) კვლავ აჯანყდა, მეფეს ანისი დააკარგვინა, ტფილისიც, ისევე გამოიყვანა დემეტრე გიორგის ძე, ბერძენთა ლაშქარიც მოუვიდა და ბერძენთა კეისრის განძიც „დ ა გ ა ნ ხ ე თ ქ ნ ა ა მ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ა კ ა ც ნ ი: რ ო მ ე ლ ნ ი მ ე წ ა რ უ დ გ ი- ნ ნ ა დ ე მ ე ტ ' ე ს დ ა რ ო მ ე ლ ნ ი მ ე დ ა რ ჩ ე ს ბ ა გ- რ ა ტ ი ს ე რ თ ' უ ლ ო ბ ა ს ა შ ი ნ ა". რთული ვითარებაა, მაგრამ საფუძველი და ძირითადი ხაზი სრულიად გასაგებია: მ ე ფ ე ე ბ რ ძ ვ ი ს დ ი დ გ ვ ა რ ი ა ნ მ ო ხ ე ლ ე ე ბ ს. ე ს უ კ ა ნ ა ს- კ ნ ე ლ ნ ი უ ც ხ ო ძ ა ლ ა ს ი წ ვ ე ვ ე ნ, „ღ ო ნ ე დ უძლურობისა თვისისა".

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს: გიორგი მეფე ყველის ციხეს იდგა. აქ მას მოულოდნელად დაესხნეს თურქებიო.. „მოვიდეს ესენი შინაგანცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხუი"[34].

საინტერესოა აქ ტერმინი „შ ი ნ ა გ ა ნ ც ე მ ა", რომელიც დანაშაულებრივ მომენტს ჰგულისხმობს. შ ი ნ ა გ ა მ ც ე მ ე ლ ი აწინდელ მ ო ღ ა ლ ა ტ ე ს უდრის. „შინა" არის ის, რაც „გარე"-საგან

---

[34] ც-ა დავითისი, ანა 200.

გამოყოფილია, რაც ერთეულს წარმოადგენს. საზოგადოებრივი თვალსაზრისით „შინა“ ესაა „სახლის“ მოცულობა, მისი არსი. სულერთია იგულისხმება ამ „სახლში“ კნინი ერთეული (კომლი), საშუალო ერთეული (ფეოდალური გვარი), თუ მთელი სამეფო.

დავითის ისტორიკოსის გამოთქმა: „შინაგანცემითა ქრისტიანეთათა“ მოწმობს, რომ ის ამ „შინას“ უპირისპირებს მაჰმადიანურ სამყაროს, რომ მას ამ „შინაში“ საქრისტიანო ესმის. დავითმა კახეთი შემოიერთა. დიდებულების ერთმა ნაწილმა შეიპყრა მეფე აღსართან და დავითს მისცა. „და აიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“. ამის მომხრე როდი იყვნენ ყველანი იმ ქვეყნებიდან. ჰერეთ-კახეთის საქართველოსთან შეერთების წინააღმდეგ გამოვიდნენ სულტანი (სელჩუკიანი) და განძის ამირა. მეფე დავითს ომი მოუხდა მათთან ერწუხს. მაგრამ ქართველებმა ერწუხს თურქებთან ერთად დაამარცხეს „უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა“[35]. ჩანს, ქვეყნის გაერთიანებას ყოველი ჰერი და კახი როდი თანაუგრძნობდა და ამ გაერთიანების წინააღმდეგ იბრძოდა ისევე, როგორც იბრძოდნენ თავის დროს ქართლის დიდი აზნაურები და... „ღონედ უძლურებისა თვისისა“ უცხო ძალას მიმართავენ...

მაგრამ აქ, კერძოდ, საინტერესოდ მოჩანს დავითის ისტორიკოსის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. მისი სიტყვით ჰერ-კახნი იყვნენ „მტერთავე თანა გარემოდგომილ ჩუენდა“, ე. ი. რომ მტრები არიან სულტანი და ათაბაგი, ხოლო მათი მიმდგომი ჰერ-კახნი დამნაშავენი არიან, მოღალატენი არიან. ქართველები, ამრიგად, ყველანი ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში არიან ისინი გაერთიანებული თუ არა, ერთნი არიან და დაპირისპირებულნი არიან მტრებს, რომელნიც ამ შემთხვევაში თურქებია. ისტორიკოსი, იმისათვის რომ გადმოგვცეს დავითის მსახურება ღმრთისადმი, სხვათა შორის აღნიშნავს „რაოდენნი ეკლესიანი წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად შეაწყნარნა ქრისტესა და დადვა მისთუის უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მისტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიი-

[35] ანა, 208, 2 ანა 208.

ლო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე“[36].

ამრიგად, ქრისტიანობა, მისი დაცვა, მისი გავრცელება, გამოცხადებულია მიზნად. დავითი ებრძვის „წარმართებს“ და „წარმართობას“: ცდილობს „ყოველი სოფელი“ მოსტაცოს ეშმაკს და „შეასაკუთროს ღმერთს“... ასე რომ აქ იდეურად გამართლებულია დაპყრობანი „ეშმაკის სოფლისა“, ე. ი. „წარმართთა“ ხელში მყოფი ქვეყნებისა... ამ მოციქულებრივ საქმიანობაში, რა თქმა უნდა, მეფეს უნდა მხარში უდგეს ყოველი ქრისტიანი. ყოველი წინააღმდეგი მეფისა შინაგამცემელია... დავითი „მესიის ხმალია“, მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და ამდენადვე მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა. როგორც ვხედავთ, აქ ბრძოლა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიღწეულა. არსად აქამდე ქართულ საისტორიო მწერლობაში მეფის ხელისუფლება, მეფის უფლება, მეფის მოქმედება და მისი პიროვნება არ ყოფილა ღვთაებამდე ატანილი. არც ლეონტი—ჯუანშერი, არც „მატიანე ქართლისაჲ“, არც, მით უმეტეს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ასეთ დასკვნამდე არ მისულა (ქრისტეს ნაცვალი ამ ქვეყნად მეფე კი არა, კათალიკოსი იყო, ხოლო მეფე „ხმლით თანაუდგა“ მას (იხ. 1263 წლის ძეგლის წერა).

ამისდა მიუხედავად დავითის წინააღმდეგ, მეფის ხელისუფლების ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ (რაც ჰგულისხმობდა ბრძოლას მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის) თავგამოდებით იბრძოდა დიდაზნაურული საქართველო: ბაღვაშ-აბულეთის ძენი ქართლიდან, შინაგამცემელი ტაოელნი, „მტერთავე თანა გარემოდგომილი“ ჰერკახნი, „ურჩნი“ და „ორგულნი“ აფხაზნი და ყველა „მაბრალობელნი“ იბრძოდნენ ხმლით, იბრძოდნენ სიტყვით, რათა ის წინააღმდეგობა, რომელიც მათ. მეფის ხელისუფლების ცენტრალისტური ტენდენციების სახით, წინ ეღობებოდა მწარმოებელ საზოგადოებაზე საბოლოო და უცილობელი გაბატონებისთვის ბრძოლაში, თავიდან მოეცილებინათ, რათა მეფე ღმრთის ნების აღმასრულებელად კი არა, მათი (დიდაზნაურების) ნების აღმასრულებლად გადაექციათ (აი ისეთად, როგორიც კლასიკურად წარმოგვიდგინა ვახტანგ VI თავისი კანონების წინასიტყვაობაში...). მეფე კი არა სთმობდა და მთელი ძალღონით

36 ანა, 227.

იბრძოდა დიდგვარიანული ტენდენციების წინააღმდეგ, დიდაზნაურთა მიერ ქვეყნის დაუფლების წინააღმდეგ, წვრილაზნაურთა, მოსაკარგავეთა, მოლაშქრეთა და მოქალაქეთა საქართველოსათვის[37]. მაგრამ დავითის საქართველომ ისეთი სახე მიიღო XII საუკუნის მიწურულს (თუმცა არც ის შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა დამთავრებული იყო და რომელიმე გიორგი III, მაგალითად, კვლავ არ შეეცდებოდა საქმის გამოსწორებას მეფის ცენტრალისტური ტენდენციების სასარგებლოდ), რომ დასკვნა სავალდებულოა: ამ ბრძოლაში უპირატესობა ჯერჯერობით დიდაზნაურთა მხარეზე იყო. მაგრამ დავითი დაუზოგავად იბრძოდა. ეს ბრძოლა მას განსაკუთრებულ მძიმე პირობებში უხდებოდა. ბრძოლას თურქთა შემოტევა ართულებდა. დავითმა ყოვლად გაამართლა თავისი პოლიტიკა: საქართველოს ძალთა დაძაბვა-მობილიზაციით, მეფის უფლებების უზომო გაზრდით, მისი ღვთისმიერებით მან საქართველო-ქრისტიანეთი დაღუპვას გადაარჩინა... მაგრამ საბოლოო გამარჯვება შინაკლასობრივ ბრძოლაში მეფის ხელისუფლებას მაინც არ დარჩა. მეფის ხელისუფლება დავითის შემდეგაც ღვთისმიერი იყო, მაგრამ „ღმრთისა-სწორნი“ ჩქარა დიდი აზნაურებიც შეიქმნენ... მთელი XII საუკუნე მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ხანა იყო მდაბიორ-მოლაშქრეთა კლასსა და დიდგვარიან აზნაურთა შორის. XII საუკუნის მიწურულს დიდი აზნაურები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მეფე თავისი „წურილი ერით“, წურილი აზნაურებით, მოლაშქრე-მოსაკარგავეებით, რომელთა ნაწილს იგივე დიდი აზნაურები დაპატრონებოდნენ, ნაწილი კი, მეკობრეებად ქცეულნი, გზაჯვარედინზე სახრჩობელებზე ეკიდნენ. ქალაქებიც კი—ეს ერთადერთი რეალური ძალა, მეფის ხელისუფლების დასაყრდენი, სრულიად გარკვეული ანტიფეოდალური ტენდენციების მქონე, მეფის მიერვე არა მცირედ გაიცემოდა გამარჯვებულ დიდ აზნაურებზე სამამულოდ, საკუთრად, სანახევროდ, სახარაჯოდ...

[37] ამ ბრძოლაში დავითს არ შეეძლო არ დაენახა ქალაქები, არ დაენახა მოქალაქეთა („ქალაქის ბერების“) მნიშვნელობა, არ ცდილიყო ამ თავისუფალი ძალების მობილიზებას და მათს დაპირისპირებას დიდგვარიან აზნაურებისათვის. (ქალაქების სიმრავლე, ქალაქების მშენებლობა, უციხო და უზღუდო ქალაქების გაჩენა, მოქალაქეთა ტენდენციები X—XI საუკუნეთა საერთო წინსვლის ფონზე ახლო აღმოსავლეთში,—ყველაფერი ეს მეტად მნიშვნელოვანი რამ არის დავითის პოლიტიკის შეფასებისათვის).

დიდგვარიანობამ გაიმარჯვა. დიდაზნაურებმა ქვეყანა დაინაწილეს. მაგრამ მეფეს საბოლოოდ პოზიციები არ დაუთმია (ლაშა უკვე, ხოლო მისი მემკვიდრენი მონღოლობის საშინელ პირობებშიაც კი, იბრძოდნენ დიდაზნაურთა წინააღმდეგ, ქართველ დიდებულთა და ერისთავ-მთავართა გახელმწიფების წინააღმდეგ. ასევე გიორგი ბრწყინვალე და თვით ალექსანდრე პირველიც...) და, უეჭველია, საქმე სულ სხვა რიგად წავიდოდა, რომ საგარეო ხასიათის მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ზეგავლენა არ მოეხდინათ (მონღოლები, თემური, თურქმანები, ოსმალები).

დავითიც ისევე დაუნდობლად იბრძოდა, როგორც მისი მოწინააღმდეგენი. ღ ა ლ ა ტ ი, ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა, მ ტ რ ი ს მ ხ ა რ ე ზ ე გ ა დ ა ს ვ ლ ა (ე. ი. უ ც ხ ო ძ ა ლ ი ს მოწვევა, ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი ა გ ი ტ ა ც ი ა),—ბრძოლის ასეთ საშუალებებს, დიდი აზნაურები რომ მიმართავდნენ, დავითი უსასტიკესი ზომებით უპასუხებდა: დ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ა, ე ქ ს ო რ ი ა, ს ი კ ვ დ ი ლ ი თ დ ა ს ჯ ა, მამულებისა თუ სახელის ჩამორთმევა, გვარდია, მეთვალყურეობა, და, ბოლოს, მეფემაც მიმართა უ ც ხ ო ძ ა ლ ა ს „ღონედ უძლურებისა თვსისა“. და მიმართა ყოვლად გამართლებულად. მან შეისწავლა ეს უცხო ძალა, შეისწავლა მისი გამოსადეგისობა საქართველოსათვის, მეფის მიზნებისათვის. საქმე ყოველმხრივ მოზომა და მისი აგრე შესწავლის შემდეგ მოიწვია კიდევაც ეს უცხო ძალა (ყივჩაყები). ამ ძალის ნაწილი საქართველოში სამუდამოდ დარჩა, ნაწილი ისევ უკან დაბრუნდა, მაგრამ ამ ძალამ ჩვენს ქვეყანას უდიდესი სარგებელი მოუტანა, მის საშინაოსა და საგარეო პოზიციების განმტკიცებას დიდად დაეხმარა[36]. ქართული სოციალური და პოლიტიკური განვითარების გზები ისე საღსა და მტკიცე საფუძველს ემყარებოდა, ეს გზები იქამდე გარკვეული მიმართულებით მიდიოდა. რომ მისი შეცვლა-გამრუდება ასეთ ძალას არ შეეძლო. პირიქით, ამ ახალმა ძალამ ობიექტურად ხელი შეუწყო დიდაზნაურთა შემდგომ გაძლიერებას, „წვრილი ერის“, „მოლაშქრეთა“. წვრილ აზნაურ-მოსაკარგავეთა შემდგომ დასუსტებას, მაშინ როცა ეს ძალა სრულიად საწინააღმდეგო მიზნით იყო მოწვეული. მან, რა თქმა უნდა, დავითს საშუალება მისცა თავისი პერსონალური გამარჯვება უზრუნველეყო ამა თუ იმ დიდაზნაურზე. ან დიდაზნაუ-

---

[36] დავითის ისტორიკოსიც, როგორც ჩანს, ბუნებრივად და მისაღებად სთვლის კლასობრივ ბრძოლაში უცხო ძალის მოწვევას, ოღონდ კი ეს ძალა ქვეყნის წარმატებას ემსახურებოდეს.

რული პოლიტიკის ცალკეულ გამოვლინებებზე, მაგრამ საქართველოს საერთო განვითარება, რასაც აგრე ხელი შეუწყო ამ უცხო ძალით დავითმა, თავისთავად დიდგვარიან აზნაურთა შემდგომი გაძლიერების ნიადაგს ამტკიცებდა, მაგრამ ესევე გარემოება დიდგვარიან აზნაურთა მოწინააღმდეგე ახალი ძალის წარმოქმნა-გაძლიერებას ძლიერად ხელს უწყობდა.

ყოველივე ეს დავითისაგან სრულიად დამოუკიდებელი, მისთვის სრულიად ხელმიუწვდომელი რამ (მომავალი) იყო. მოწვეული უცხო ძალა კი დავითმა საქართველოს შემდგომი გაძლიერებისათვის ბრწყინვალედ გამოიყენა და თავისი ქვეყანა საერთაშორისო მნიშვნელობის ძლიერ ფაქტორად აქცია და მადლიერი ქართველი ხალხის პირუთვნელი შეფასება—სამშობლოს აღმაშენებლის საუკუნო სახელი დაიმსახურა[39].

გიორგი მეფე (თამარის მამა) „მამაცურითა სიტყვითა“ მიმართავს ლაშქარს ომის წინ ანისში: „კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთსჯულნო“... ომია მაჰმადიანებთან და მისი დასაბუთებაც, როგორც სჯულისათვის ომისა, ბუნებრივია და აგრე იწყებს გიორგი მეფეც. ამ სამაგალითო სიტყვის შემდეგი მომენტია „სახე და სახელი კეთილი“, რომელიც „რაოდენ უფრო სასახელო არს მკნებრივ სიკუდილი, ვიდრეღა სენითა“... და საამისო მაგალითებად ორატორს (თითქო გიორგი მეფეს, ნამდვილად, რა თქმა უნდა, ისტორიკოსს) მოაქვს ის, თუ როგორ მხნედ ებრძოდნენ ებრაელნი არტაქსერქსს, ხოლო ბერძენნი (ქალაქი ათენი) ქსერქსეს. ამათგან, თუ პირველი როგორც ბიბლიური ეპიზოდი კიდევ შეიძლებოდა „საღმრთოთა სჯულთათვის“ ბრძოლად აღიარებულიყო, მეორეს მაინცდამაინც „საღმთო სჯულთან“ კავშირი არ ჰქონდა. ეს ძალიან კარგად იცოდა ჩვენი წყაროის ავტორმაც. და თუ, ამისდა მიუხედავად, ის ათენელთა ბრძოლასაც ასეთივე „საღმრთოთა სჯულთათვის“ ბრძოლად სთვლის, ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ ჩვენს მწერალს ყველა სამართლიანი ომი „საღმრთოთა სჯულთათვის“ ომად მიაჩნია. მოტანილ შემთხვევაში ის სამართლიანი ომები თავდაცვითია და მართლაც სამართლიანია: ომი თავისუფლებისათვის, დამპყრობლისა და ტირანის წინააღმდეგ.

---

[39] ეს გარემოება ძლიერ კარგად ესმოდათ დავითის თანამედროვეებსაც. მეფის ისტორიკოსი გამარჯვებულის ტონით უთვალისწინებს „მაბრალობელთ“ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას დავითის მეფობის დასაწყისს და მისი მეფობის დასასრულს.

თვით გიორგი და ქართველთა ლაშქარი ამ დროს ასეთ პოზიციაში არ იმყოფებოდნენ, მაგრამ აგრესორ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ომი ყოველთვის სამართლიანად ითვლებოდა in principe (თუმცა ანისისათვის ომი უამისოდაც სამართლიანი იყო: ის ქრისტიანული ქვეყნის — სომხეთის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად დამპყრობელ მაჰმადიანთაგან)..

გიორგის სიტყვიდან ისა ჩანს, რომ თავის დაცვა, ლეონტის ენით რომ ვთქვათ, თავისი სჯულისა, თავისი საზღვრისა. თავისი თავისუფლებისა, თავისი ენის დაცვა „საღმრთოთა სჯულთათვის ბრძოლაა“, სამართლიანი ომია, მისთვის თავის დადება სავალდებულოა და საპატიოა: ასეთი საქმისათვის მკვდარს „სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად ჰყუების“, ე. ი. მისი სახელი უკვდავია[40].

გიორგი მეფეს თურქთა შეერთებული ლაშქარი დაესხა. გაგი აიღეს. გიორგიმ ჯარი შემოიყარა, ოსები და სხვა იმიერნი „გამოასხნა“ და სულტანის წინააღმდეგ გავიდა. მტერმა გიორგის სიძლიერე იხილა და უკან დახევა იწყო. ქართველთა ჯარი დაედევნა მტერს ეკლეცის წყალზე უკანა მავალს მტრისას ქართველთა წინამავალი წამოეწია. ბრძოლა დაიწყო. გიორგი ომში მიიწევდა. ისტორიკოსის აზრით ძლევა ქართველთ დარჩებოდა[41]. „გარნა უქმ იქმნა ესევითარი ძლევად განმზადებულებაჲ. ანტაკრა ექმნეს ვიეთნიმე დიდებულთაგანნი, ვიდრე სადავეთა დაჰერადმდე, უფროჲსღა ვარდან კოლონკელისძე, რომელსა მას ჟამსა ერისთაობაჲცა ეპყრა ჰერეთს, კაცი ღლითა მომწჳსებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი“. ამ დიდებულებს მეფისთვის უთქვამთ: „ვინაჲთგან განქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნუღარა აღზუავებულხარ სამკვდრებელი ღმრთისაჲ“[42]... დიდებულთა ეს მოსაზრება ისტორიკოსს არ აკმაყოფილებს: „ესე არს მიზეზი. უმიზეზოჲ, სიტყუა უსიტყუოჲ. საქმე უქმი“—და, გასაგებია, დიდებულთა ასეთი საქციელის საფუძველს ის სხვა რამეში ეძებს. ის მსჯელობს: კეთილი საქმის დაშლა შეუძლია ან ძალის მოკლებას ან შურს. პირველი აქ არ ყოფილა. მეორე კი საფიქრებელია.—ურთიერთის შური და მტერობა, რაც აგრე ძლიერი იყო ფეოდალური საზოგადოების შიგნით. ბუნებრივია, შექმნილიყო სხვადასხვა შეხედულების საფუძველი შესახებ იმისა,

---

[40] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბილისი, 1941, გვ. 58—59.

[41] იქვე, გვ. 62.

[42] იქვე, გვ. 58—59.

თუ როგორ დაუხვდნენ „მტერს“. გასაგებია, თუ ურთიერთის მტრებს (კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის მხარეებს) გარეშე „მტერიც“ ამ ბრძოლის თვალსაზრისით ესმით და მას სხვადასხვანაირად უყურებენ. მაინცდამაინც ორივე მხარე იმას ცდილობს, რომ გარეშე მტერთან საქმეში მოწინააღმდეგე მხარეს არ არგოს, მოწინააღმდეგე არ გააძლიეროს. ასეთ პირობებში გარეშე მტერი, ბუნებრივია, რომ ერთი რომელიმე მხარეთაგანის მოკავშირეც კი აღმოჩნდეს. მაგრამ ეს საზოგადოების დაშლას როდი ნიშნავს. პირიქით, ესა თუ ის მხარე გარეშე მტერს იმიტომ უკავშირდება, რომ შიგნით კლასობრივ მტერზე გაიმარჯვოს. აქ უმალვე ირღვევა ეს კავშირი გარეშე მტერთან და გამარჯვებული ებრძვის ამ ყოფილ მოკავშირეს, რათა ის ან უვნებელჰყოს, ან განდევნოს.

დემნა ბატონიშვილი ბიძას განუდგა. მეფობას ეძებდა. ის ორბელთა სიძე იყო. მხარსაც ივანე ორბელი (მთელი თავისი მიმდგომ-მოკიდულით) უჭერდა. აჯანყება ფართე აღმოჩნდა: სამცხეს, ჰერეთს, კახეთს, სომხეთს, ქართლს ყველგან ხმალი დატრიალდა. ჩვენი ავტორი იმ აზრისაა, რომ დემნა არ იყო მართალი და მისი საქციელის კვალიფიკაციას იძლევა: „უშიშობაჲ ღმრთისაჲ და გარდამავლობით მოქმედებაჲ სჯულისა და ქრისტეს მცნებათაჲ“. დემნას საქციელს ჩვენი ავტორი ისეთივე ღალატად და განდგომილებად სთვლის, როგორიც მამა მისმა დავითმა მოიმოქმედა თავისივე მამის, დემეტრეს, მიმართ. მასაც ამ განდგომილებისას (ის მეფობდა კიდევაც) „ამოუწყვეტნია ამა სამეფოჲსა დიდებულნი, რომელნიმე ექსორია ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“[43]. ეხლაც ამ აჯანყების მთავარი მოქმედნი იგივე დიდებულებია და, გასაგებია, თუ შედეგიც უმთავრესად მათთვის იქნება საგრძნობი. ზოგიერთ სომეხ მწერალს საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, თითქო სიმართლე დემნას მხარეს უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამჟამად ჩვენ საქმის ეს მხარე კი არ გვაინტერესებს, არამედ ის, რომ კარზე აჯანყება ხშირი შექმნილა რომ დიდგვარიანებს ჩვევად შემოსვლიათ (უფრო სწორად მათი კლასობრივი ბრძოლის ფორმად ქცეულა) ბრძოლა მეფის კარისათვის. ეს ბრძოლა ახლა არ დაწყებულა. ის ჯერ კიდევ XI საუკუნიდანვე მოდის. რაკი საქართველო გაერთიანდა, დიდმა აზნაურებმა იწყეს ბრძოლა გაერთიანებული ქვეყნის მეფის კარის დაუფლებისათვის: საკუთარი კლასობ-

[43] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბილისი, 1941, გვ. 67.

რივ-წოდებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად ეს სრულიად აუცილებელი ჩანდა. ამისთვის იბრძოდა ლიპარიტი მისი მომხრეებით. ამისათვის იბრძოდნენ ლიპარიტისა და მის მომხრეთა მოწინააღმდეგენი... ქვეყნის გაერთიანების შემდეგ მეფის კარი თანდათან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფოკუსად იქცა. გასაგებია, რომ მეფისაგან მოითხოვდნენ ურთიერთის მოწინააღმდეგე კლასები მათი კლასობრივი ინტერესების უზრუნველყოფას, „სამართალს". (და ეს „სამართალი" სწორედ მეორის საწინააღმდეგოდ ესმოდათ)... და არა მარტო დიდგვარიანები ცდილობდნენ კარზე გავლენის მოპოვებას, არამედ წვრილ აზნაურთა თუ წვრილერმოლაშქრეთა ფენებიც: მათი ხმა მკაფიოდ ისმის გიორგი ათონელისა თუ დავითის ისტორიკოსის პირით. ეს ეკლესიის მსახურნი არიან ისინი, ვინც შექმნეს (მაინცდამაინც ქართულ ნიადაგზე გადმონერგეს) მეფის უფლების ღვთის-მიერობის თეორია... და ესენი მხოლოდ მშვიდობიანი, მლოცველი ბერ-მონაზვნები როდი არიან; ისინი აქტიური პოლიტიკური მოღვაწენი არიან, ქვეყნის პოლიტიკური მშენებელნი... სწორედ ამათ ასწავლეს დიდაზნაურებს (მაგალითი მისცეს), თუ როგორ უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მათ გადააყენეს სუსტი გიორგი II, დავითის მამა და უსასტიკესი ომი გამოუცხადეს „მტრებს" შინაურთ თუ გარეულთ.

ჩვენ არ ვიცით, წყაროების სიმცირის გამო, თუ რა ძალებს განასახიერებდნენ დავით დიმიტრის ძის მომხრენი და მისი მოწინააღმდეგენი. მაგრამ, უცილობელია, რომ ეს აჯანყება, მძიმე და სისხლიანი (დიდებულთა ამოწყვეტით), სერიოზულ სოციალ-პოლიტიკურ საფუძვლებს ემყარებოდა და ღრმა კლასობრივისა თუ შინაკლასობრივი ბრძოლის გამოსახულება იყო.

კიდევ უფრო სერიოზული და, სასიამოვნოდ ჩვენდა, რამოდენადმე უფრო ნათელიც ჩანს სურათი დემნას აჯანყების ჟამს. ეს აჯანყება თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით მოხდა. მართალია, აჯანყების მეთაურობა ორბელთა ხელშია, მაგრამ მასში მონაწილეობენ საზოგადოების ფართო ფენები აჯანყების მომხრედ თუ მოწინააღმდეგედ... თუ რა მიზანს ისახავდა აჯანყება ან რომელი ძალა საზოგადოების რომელ კლასს ეყრდნობა (საბოლოო ანგარიშით), ეს კარგად ჩანს იქიდან, თუ რა მოყვა ამ აჯანყების „დამარცხებას". გიორგი მესამეს ამ გამარჯვების შედეგად დიდგვარიანობისათვის არ შეუტევია. ის გარემოება, რომ მან რამოდენიმე ორგულის

ნაცვლად უგვარო ერთგულნი დააწინაურა, საქმის ვითარებას არ სცვლის. ეს იყო ინდივიდუალური ხასიათის მოვლენა, რომელიც იმავე დიდგვარიანებმა სწრაფადვე გააქარწყლეს, როგორც კი გიორგი გარდაიცვალა. რაგინდ დიდი და სასტიკი არ იყო გიორგის მიერ მიღებული ზომები აჯანყებულთა წინააღმდეგ (დახოცვა, ექსორია, განპატიჟება), სულერთია, ეს არ იყო ახალი სისტემის მაჩვენებელი რამ. ძალა ისევ დიდგვარიანობის ხელთ რჩებოდა და რევანში უახლოეს მომავალში აუცილებელი და უზრუნველყოფილი იყო (და ასეც მოხდა თამარის დროს. უგვაროთა გადაყენება, ექსორირებულთა ამნისტია). გიორგი მეფე ისეთ პირობებში იყო, რომ მას დ ა ვ ი თ  ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა  მ ც ი რ ე დ ა ც  კი  ა რ  შ ე ე ძ ლ ო: ახალი კლასი, რომელსაც მეფე დაეყრდნობოდა ჯერ კიდევ მოწიფულ-მობილიზებული არ ყოფილა. ამ დროს საქართველო თავისი ფეოდალური განვითარების სიმწიფეში შედიოდა. როცა ქალაქებს, ხელოსნებს „მესამე წოდებას“ უკვე მოუდგამს ფეხი, მაგრამ ჯერ კიდევ გადამწყვეტი ომი ფეოდალებისათვის არ გაუმართნიათ, ხოლო „წურილი ერი“, მოლაშქრენი და წვრილი აზნაურნი სულ უფრო და უფრო მეფის უშუალო ყმობიდან გამოდიან და დიდ აზნაურთა ყმებად იქცევიან (თითონ მეფე იძულებულია ამას შეუწყოს ხელი...). თვით გიორგი მეფე უსასტიკესი ზომებით უმასპინძლდება პროტესტით გამოსულ აზნაურ-მოლაშქრეთ. რომელთაც მეკობრობა დაუწყიათ (მეკობრეთა წინააღმდეგ კანონი)...

ამისდა მიუხედავად ეს აჯანყება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა. არსებითად ამ აჯანყებით დაწყებული საქმე (პოლიტიკური მღელვარება) თორმეტ წელს გრძელდებოდა: 1178—1190 წლებში მიმდინარეობდა შეუწყვეტელი ბრძოლა დიდგვარიანობასა და „უგვარობას“ შორის, საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის, მეფის ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, ეკლესიის შიგნით არსებული წესების გამო, ვაზირთა უპირველესის ხელისათვის, სახელმწიფო წყობილების ძირითადი საკითხების გადაჭრისათვის...

დემნას აჯანყებას ეკლესიის მესვეურთა გამოსვლა მოჰყვა. შემდეგ მწიგნობართ-უხუცესის ხელის მიტაცება, კათალიკოსის გადადგომა, დიდაზნაურთ გაფიცვა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, და დიდი აჯანყება 1190 წლისა, „ერთნებობა-თანადგომის“ წესის შემოღება. ერისთავებისა და ხელისუფალთა შეცვლა... ეს დიდი ბრძოლაც (12 წლიანი) დიდგვარიანებმა მოიგეს. მთელი ეს მოძრაობა ფეოდალური ურთიერთობის ა ხ ა ლ ი  ე ტ ა პ ი ს, ბატონყმობის გამარჯვების მაუწყებელი იყო, რომლის შემდგომი განვითა-

ლება. ახლო დროში კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებს წარმოშობდა შესაფერისი სამეფისკარო პოლიტიკით (ამისი ნიშნები უკვე ჩანდა). მაგრამ ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა საერთაშორისო მოვლენებმა საქართველოს ისტორიის ჩარხი „უკუღმა დაატრიალეს"...

და აი, ამ აჯანყების პროცესში, ლორეს მჯდომი დემნა-ორბელნი „ღონედ უძლურებისა თჳსისა" მოიწვევენ შაჰიარმენს და ელდიგუზის ძეს (ათაბაგს), ხოლო ჰერეთის ერისთავს მეფის ლაშქრის წინააღმდეგ გამოჰყავს სრული „ლ ე კ ი და კ ა ვ კ ა ს ი". მაგრამ აჯანყებულთ შეეძლოთ ეთქვათ, თუ საკითხი ასე დაისმოდა, რომ მეფესაც „უცხო ძალა"—(ყივჩაყები) ჰყავდა „ღონედ უძლურებისა თჳსისა"...

და, როგორც ჩანს, ეს გარემოება (ის, რომ აჯანყებულებმა უცხო ძალა მოიწვიეს) არც ეთვლებათ მათ განსაკუთრებით რაიმე დანაშაულად. და თუ ეს ძალა „უკუაქცია მართლმსაჯულებამან ქრისტესმან" და მან აჯანყებულთ ვერ უშველა, ეს იმიტომ, რ ო მ ს ი მ ა რ თ ლ ე მ ე ფ ი ს მ ხ ა რ ე ზ ე ი ყ ო და არა იმიტომ, რომ უცხო ძალის მოხმარება საშინაო ბრძოლის (კლასობრივი ბრძოლის) დროს პრინციპულად დაუშვებელია. ან კი როგორ შეიძლებოდა ასე დასმულიყო საკითხი, როცა უცხო ძალის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო (მაგრამ არა ქართველთა ნათესავის, ქართველი ხალხის სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის მოშლისათვის, არამედ მისი ისე მოწესრიგებისათვის, როგორიც სასურველი იყო ამა თუ იმ მებრძოლი კლასისათვის).

მოტანილი მაგალითები ჩვენ შეგვეძლო გაგვემრავლებინა საქართველოს გვიანი ხანის ისტორიიდანაც; კერძოდ, მონღოლთა გამარჯვების „საიდუმლოების" გამოცნობაში ეს საკუთარი კლასობრივ-წოდებრივი სისუსტის „ღონედ" „უცხო ძალის" მოწვევის მომენტი მეტისმეტად ნაყოფიერი აღმოჩნდებოდა. არა ნაკლებ საინტერესოდ გამოიყურება ქართული საზოგადოების სხვადასხვა კლასის დამოკიდებულების საკითხი შაჰაბასთან. აქაც კლასობრივ-წოდებრივ ბრძოლაში საკუთარი სისუსტის „ღონედ" „უცხო ძალის" მოწვევის თვალსაზრისი ერთადერთი მართებული ხერხი ჩანს ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტის მეცნიერული ახსნისათვის („სააკაძის საკითხი"), ასევე ნაყოფიერი იქნებოდა ამ თვალსაზრისით გაშუქება „სპარსოფილურის" თუ ამის საწინააღმდეგო პოლიტიკისა XVII—XVIII სს-ში (როსტომი და თეიმურაზი, გიორგი XI და ერეკლე I, გივი ამილახვარი და თეიმუ-

რაზ—ერეკლე და სხვა.) არა ნაკლებ შუქს შეიტანდა ხსენებული მომენტის გათვალისწინება მთიელთა (ჩერქეზ-აფხაზთა. სვანთა, ოსთა და ლეკთა) შემოტევის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.[44] განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიყურება „საკუთარი სისუსტის ლონედ" „უცხო ძალის" მოხმარების მომენტი ერეკლე II მიერ მიღებული იმ პოლიტიკურ ღონისძიებაში, რომელიც 1783 წლის ტრაქტატით დაგვირგვინდა. ასეთივე მეტყველი ჩანს, აღნიშნული თვალსაზრისით. ამავე დროის მეორე დიდი პოლიტიკური მოღვაწის სოლომონ პირველის ღონისძიებანი რუსთა ძალის იმერეთში მოწვევისათვის[45].

კლასობრივი ბრძოლის საგარეო ურთიერთობის საკითხში გამოვლინების მომენტი ჩვენი ისტორიის XIX საუკუნიდანაც არა ერთი შეიძლება აღინიშნოს (—მხედველობაში გვაქვს ე. წ. „საგარეო ორიენტაციები" სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისა), მაგრამ აღნიშნული მოვლენის კლასიკური მაგალითია კლასთა ბრძოლა საქართველოში 1917—1921 წლებში და საკუთარი „სისუსტის ღონედ" გერმანელ-ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევა ქართველი რეაქციონერების მიერ, ხოლო საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარის მოშველიება რევოლუციონური პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ.

დასახელებული ფაქტების თითოეულად განხილვას ჩვენ აქ აღარ კაპირებთ და მხოლოდ მათზე მითითებით ვკმაყოფილდებით: ვფიქრობთ, განხილულიც საკმაოა ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ. რომ ქართველი ხალხის(ისევე როგორც ყოველი ხალხის) საგარეო ორიენტაცია, საგარეო პოლიტიკა, საბოლოო ანგარიშში, საზოგადოების შიგნით მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლით განისაზღვრება. რომ საგარეო პოლიტიკის ესა თუ ის კონკრეტული სახეობა ამ კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინებაა.

საგარეო ურთიერთობაში კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლის მომენტის გამოვლინების შესახებ საუბრისას შესაძლებე-

---

[44] ლეკიანობის კავშირის შესახებ კლასობრივ ბრძოლასთან იხ. აქვე ჩვენი წერილი: XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან.

[45] ერეკლესა და სოლომონის საგარეო ორიენტაციის კლასობრივი ხასიათის შესახებ ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, თუმცა მოკლედ, „საქართველოს ისტორიაში".

ლია. ვფიქრობ, ერთი დამახასიათებელი ფაქტიც აღინიშნოს ჩვენი წარსულიდან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკა დავით აღმაშენებლისა და თამარის.

დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანი"-ში ამბობს:... „სხუათა სოფლისა კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად... ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივხვეჭე ნაწილი მათი და ვილუწიდ უმეზობლობასა"[46]. მოტანილ ადგილას (იმისგან დამოუკიდებლად, თუ ლიტერატურულად რამდენად ნასესხებია ან ორიგინალურია აღნიშნული „გალობანი") ხსენებული მეფე უთუოდ საკუთარ საგარეო პოლიტიკას გულისხმობს. ჩვენი მიხვედრა რომ სწორია, ეს ჩანს თამარის ისტორიკოსის შემდეგი ადგილიდან. ბასილი ეზოსმოძღვარი თამარის დასახასიათებლად, სხვათა შორის, ამბობს:... „ურჩნი თვსნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა, არა ილუწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თვსი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად: ვინადგან სამართალმანცა ზენამან უბრჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროს-ღა სცვდა მაშინებელთაგან და მათ საშინელ ყოფდა მტერთა ზედა. შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა...

ბჭედ ჯდა შორის თავისა თვსისა და მეზობელთა მეფეთა. არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელსა მძლავრობისასა ურთიერთას და სახედ თავსა თვსსა მისცემდა და ამისთვს მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის"[47].

სხვა ადგილას კი იგივე ავტორი ამბობს: „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა. ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა"[48].

---

[46] საბინინი, საქართველოს სამოთხე, 516.

[47] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, თბილისი, 1944, 36.

[48] იქვე, 35.

როგორც ვხედავთ, თამარის ისტორიკოსი, ერთის მხრით, სრულად და ნათლად გვაცნობს ამ მეფის საგარეო პოლიტიკას, ხოლო, მეორეს მხრით, თამარის ამ საქმიანობას ის უპირისპირებს სხვის საგარეო პოლიტიკას. გამონათქვამები, რომლითაც ის ამ სხვის პოლიტიკას ახასიათებს, სრულ უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ბასილი ეზოსმოძღვარი აქ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანით“ ხელმძღვანელობს და ამ მეფის პოლიტიკას გულისხმობს—წურბლისებრი ვერ მაძღრისობა, მიმხუეჭელობა, სახლის შერთვა სახლსა ზედა, აგარაკის შერთვა აგარაკსა ზედა, უმეზობლობის ღვწა). და რა ჩანს? ბასილი ეზოსმოძღვარით თამარის საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელი იყო, რომ ის უშუალოდ არ შეიერთებდა ხოლმე დაპყრობილ ქვეყნებს. ისტორიკოსი აქვე ასახელებს იმათ, თამარის მფარველობის ქვეშ რომ მშვიდობა და თავისუფლება მოუპოვებიათ. თამარს გადაურჩენია ისინი გაქრობას, ზოგიერთი მათგანი კი ახლად აღუდგენია. ეს ცნობა განსაკუთრებით ძვირფასია, მაგრამ არა ნაკლებ ძვირფასია ის, რომ ისტორიკოსი მსჯელობს შის მიერვე აღნიშნული ფაქტის გამო.—ქვეყნების დაპყრობა, ისე გამოდის, არ ყოფილა მაინცდამაინც საქებური რამ. ქვეყნის დამპყრობელი მიმხვეჭელია. სასურველია და მისაღები ქვეყნის დამორჩილება, მაგრამ თავისუფლადვე დატოვება, მფარველობის ქვეშ ყოლა. სახლის, ე. ი. პოლიტიკური ერთეულის და მისი მეთაურობის მოშლა-გაუქმება დაგმობილია...

ახლა, თუ გავიხსენებთ დავით აღმაშენებლის პოლიტიკას, ჩვენთვის განსხვავება ნათელი იქნება. „გალობანი სინანულისანი“-ში დავითის მიერ აღნიშნული ფაქტი სინამდვილეა. თამარისაგან განსხვავებით ის მხარს უჭერდა ქვეყნების უშუალოდ სამეფოდ დაპყრობას. ყმადნაფიცობას დავითი არ იწყნარებდა. და მან, მართლაც, არა ერთი „სახლი“ „შერთო“ თავის „სახლს“. დავითმა დაიპყრო ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორის სამეფო, ანისის სამეფო, შარვანის სამეფო და ყველგან თავისი მოხელეები დასხა[49].

ახლა, თუ თვალს გადავავლებთ დავითის და თამარის საშინაო პოლიტიკას კანონზომიერ შეფარდებასაც დავინახავთ: დავითმა

---

[49] ერთიმეორის დაპირისპირებული ორი შეხედულება მეფის საგარეო პოლიტიკაზე,—თამარის ისტორიკოსისა და დავითის ისტორიკოსისა—მჭერმეტყველი მოწმობაა იმის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში იდეოლოგია (ჩვენს შემთხვევაში შეხედულება მეფის საგარეო პოლიტიკაზე) მხოლოდ კლასობრივი შეიძლება არსებობდეს.

დაამხო დიდებულთა ქედმაღლობა (ბაღვაშები, აბულეთის ძენი და სხვ.) და ერისთავს მეფის მოხელეობა აკმარა.

დავითის პოლიტიკის მიხედვით მთელი ქვეყანა უნდა სამეფო საქონებელი ყოფილიყო, რომელიც აზნაურების სარგებლობაში იქნებოდა გადაცემული პირადი სამსახურის პირობით (მოსაკარგავე)[49].

თამარის მეფობის დასაწყისს, როგორც აღვნიშნეთ, დიდებულებმა მოიგეს დიდი პოლიტიკური ბრძოლა: „უგვაროები“ დაამხვეს, მეფობის თანაზიარობის ფორმალური უფლებაც მოიპოვეს და ერისთავ-ვაზირობა თავთავიანთი სახლის პრივილეგიად გადაქცევა სცადეს... ამის შესაბამისი იყო რომ თამარის მეფობაში თურმე ქვეყნები, რომელიც ამ დროს საქართველოს შემოუერთდა სულ ერთიანად „გაცემულ“ იქმნა ერისთავებსა თუ ვაზირებზე; მხოლოდ კ ა რი დაუტოვებია თამარს სამეფოდ: ისტორიკოსის აზრთა მსვლელობიდან ჩანს, რომ ამ საკითხის გარშემო დიდი ბრძოლა და აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა... ხაჩენელები, გაგელები, მხარგრძელები, თმოგველები, თორელები, ტაოსკარელები, ციხისჯვარელ—ჯაყელები, დადიანები და კახაბერისძენი, მახატლისძენი და სხვები იყვნენ ისინი, ვისაც თამარი უზიარებდა მეფობას და სამეფოს დოვლათს: სოფლები, ციხეები, ქალაქები და მთელი ქვეყნები „უხვად“ ეძლეოდა (რეალურად თუ ვიმსჯელებთ, თითონ მიჰქონდათ) ამ დიდებულებს. ესენივე განსაზღვრავდნენ საგარეო პოლიტიკის ხაზს... და ადვილგასაგებია, თუ ასეთ შინაპოლიტიკურ პირობებში საგარეო ურთიერთობის ზემოთ აღნიშნული სახეობა შემუშავდა. დიდგვარიანებს არ მიაჩნდათ დასაშვებად, რომ ახლად დამორჩილებული ქვეყნები უშუალოდ სამეფოდ დადებულიყო: მათ ეშინოდათ მეფის გაძლიერებისა. მეფეს კი არ უნდა ჰქონოდა მაინცდამაინც დიდი ხალისი, რომ მისი ვაზირ-ერისთავები მეტისმეტად გაძლიერებულიყვნენ და რადგან შემოერთებული ქვეყნის გაცემა აუცილებელი იყო, მეფე ასეთ პირობებში ამჯობინებდა დამორჩილებული ქვეყანა ისევ ძველი მფლობელის ხელში დაეტოვებინა ყმადნაფიცობის პირზე...

ასეთ ყმადნაფიცსა და საკუთრივ საქართველოს დიდგვარიანს შორის მეტად დიდი მსგავსება იყო. მართალია, ბასილი ეზოსმოძღვარი თამარის მიერ აღდგენილ პოლიტიკურ ერთეულებს („სახლებს“) შორის საკუთრივ საქართველოს არც ერთი დიდებულის (ვაზირ-ერისთავის) „სახლს“ არ ასახელებს, რითაც ხაზს უსვამს

---

[50] რა თქმა უნდა, არაა საფიქრებელი, რომ დავითმა სავსებით შეძლო ასეთი პოლიტიკის განხორციელება, მაგრამ მისი წვრილაზნაურ-მოლაშქრული პოლიტიკა რომ ასეთ მიზანს ისახავდა, ეს ჩვენ სადავოდ არ გვეჩვენება.

საკუთრივ ყმასა და ყმადნაფიცს შორის განსხვავებას, მაგრამ უეჭველად ჩანდა ისიც, რომ ეს დიდებულები ასეთივე ყმადნაფიცობისკენ მიისწრაფოდენ და ამ მიმართულებით წარმატებაც ელოდათ: ქვეყანაში სოციალურად გაბატონებული დიდებულები. ბუნებრივია. არ დააყოვნებენ და მეფის კარზე პოლიტიკურ გამარჯვებას სათანადოდ გამოიყენებენ, რათა ყმადნაფიცის მდგომარეობას მიაღწიონ (ხოლო აქედან სრული გახელმწიფებამდე არც თუ შორსაა...). მოკლედ, ქართველი დიდებულები შუაზედ იდგნენ დავითის ერისთავსა (მოხელე-მოსაკარგავე) და ყმადნაფიცს (ვთქვათ, რომელიმე შარვან-შაჰი) შორის. გასაგებია. რომ ასეთ პოლიტიკურ პირობებში ის თავისებური საგარეო პოლიტიკა შემუშავდა. რომელსაც თამარი ახორციელებდა. ეს იყო ერთადერთი მისაღები პოლიტიკური კურსი, როგორც მეფისათვის, რომელიც დიდად შევიწროებული იყო დიდებულთა მხრით, ისე დიდებულებისათვის. რომელთაც დიდი ჰქონდათ შიში მეფის გაძლიერებისა.

ერთი სიტყვით. თამარის დროს შემუშავებულა საშინაო „პოლიტიკური წონასწორობის“ შესაბამისი საგარეო (სამეზობლო) პოლიტიკის კურსი.

ასე და ამრიგად, ჩვენი თეზაა: დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკა უშუალო კავშირშია მისივე საგარეო პოლიტიკასთან, დავითი ამხობს ქვეყნის შიგნით დიდებულთა სახლებს. ასევე ამხობს ის უცხო სახლებსაც, მათ ქვეყნებს უშუალოდ შეიერთებს და სამეფო საქონებელს უზომოდ ადიდებს... თამარის საგარეო პოლიტიკაც ასეთსავე უშუალო კავშირშია მის საშინაო პოლიტიკასთან. მის დროს დიდებულები იმარჯვებენ, სამეფო ტახტის მოქმედებას კონტროლს უწევენ და ნახევრად ხელმწიფობას აღწევენ თავიანთ ქვეყნებში. ამისდა შესაბამისად შემუშავდება საგარეო პოლიტიკა ყმადნაფიცობისა... დ ა ვ ი თ ი ს  ს ა გ ა რ ე ო  პ ო ლ ი ტ ი კ ა  „ წ უ რ ი ლ ი  ე რ ი ს “, წ ვ რ ი ლ  ა ზ ნ ა უ რ-მ ო ლ ა შ ქ რ ე თ ა  მ ე ფ ი ს  პ ო ლ ი ტ ი კ ა ა, თ ა მ ა რ ი ს  ს ა გ ა რ ე ო  პ ო ლ ი ტ ი კ ა  გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ  დ ი დ ე ბ უ ლ თ ა  მ ე ფ ი ს  პ ო ლ ი ტ ი კ ა ა.

კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით კი დავითის მეფობა წვრილ აზნაურ-მოლაშქრეთა. „წურილი ერის“ სოციალ-პოლიტიკური დამაგრება-გაძლიერების, მათი კლასობრივი გადარჩენის გაბედული. თუმცა უიმედო, ცდა იყო. თამარის მეფობა კი დიდებულ აზნაურთა ფენის გამარჯვების და წვრილ აზნაურ-მოლაშქრეთა სოცი-

ალური და პოლიტიკური ჩამომცრობის. მათი კლასობრივი დამარცხების ხანა იყო[51].

ვფიქრობთ, ნათქვამი საკმაოა იმისათვის, რომ (დავითისა და თამარის მაგალითზე) უშუალო კავშირი დავინახოთ კლასობრივს თუ შინაკლასობრივს ბრძოლასა და საგარეო (სამეზობლო) პოლიტიკის კურსს შორის.

---

რა მივიღეთ?

ქართველთა ნათესავი ცალკე საზოგადოებრივი ორგანიზაციაა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით: ტერიტორიით, შთამომავლობით, ენით, სარწმუნოებით, წესწყობილებით, ხასიათით.

ქართველთა ნათესავის მეზობლად სხვა ასეთივე ორგანიზაციებია; ამათგან ზოგი ქართველთა ნათესავთან უფრო ახლოსაა (პოლიტიკური წყობით, სარწმუნოებით), ზოგი შორს.

ქართველთა ნათესავი (ჩვენ მიერ აღებულ დროში) კლასობრივი საზოგადოებაა (მისი განვითარების ფორმა კლასთა ბრძოლაა).

კლასობრივი საზოგადოების ცხოვრებაში ამა თუ იმ დროს საზოგადოებრივ განვითარებას, მის პროგრესს უპირატესად ერთი გარკვეული კლასი მესაჭეობს. ეს არის შემოქმედი კლასი (უპირატესად), „პატრიოტთა“ და „გმირთა“ კლასი.

ინდივიდუმის თუ სოციალური ფენის დამოკიდებულებას ნათესავთან, როგორც ორგანიზაციასთან, განსაზღვრავს კლასობრივი თვალსაზრისი; „მოყვარე“ თუ „მტერი“, „გმირი“ თუ „მოღალატე“ კლასობრივი ცნებებია; ერთი კლასის თვალსაზრისით „მტერი“ შეიძლება „მოყვარე“ იყოს მეორე კლასის თვალსაზრისით და პირუკუ; ერთი კლასის თვალსაზრისით „გმირი“ შეიძლება მეორე კლასის თვალსაზრისით „მოღალატე“ იყოს და პირუკუ.

კლასობრივი თვალსაზრისივე განსაზღვრავს გარეშე ორგანიზაციასთან, „უცხოსთან“ დამოკიდებულებას. ამა თუ იმ ნათესავის მებრძოლი კლასები გარეშე ორგანიზაციაში „უცხო ნათესავში“ თავის მოკავშირეს ეძებენ და კლასობრივი მტრის წინააღმდეგ მის მოშველიებას ცდილობენ.

---

[51] უადგილობის გამო ჩვენ იძულებული ვართ ასეთი მარტივი განცხადებით დავკმაყოფილდეთ ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში მოგვეცემა საშუალება ჩვენი ამ განცხადების მეცნიერული დასაბუთებისა.

ყოველი ნათესავის (ერის) საგარეო პოლიტიკა ამა თუ იმ დროს შეესაბამება ხსენებული ნათესავის კლასობრივ ძალთა თანაშეფარდებას.

* * *

კლასობრივ საზოგადოებაში ისტორიოგრაფია კლასობრივი მეცნიერებაა. გასაგებია, რომ კლასობრივ საზოგადოებას ერთი ისტორიოგრაფია არ აქვს. თითოეული საზოგადოებრივი კლასი საკუთარი ინტერესების შესაბამის ისტორიასა ქმნის. ბუნებრივია, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ოფიციალური ისტორიოგრაფია, უპირატესად, გაბატონებული კლასის ხელთაა.

ის ფაქტი, რომ ჩვენ ქართველებს ორგვარი წერილობითი ისტორიოგრაფია გვქონდა, ცხადი მოწმობაა არა მხოლოდ იმისა, რომ კლასობრივ საზოგადოებაში თითოეულ კლასს საკუთარი ისტორიოგრაფია აქვს, არამედ, ამავე დროს, ეს ფაქტი იმის მოწმობაცაა, რომ ისტორიოგრაფია კლასობრივ ბრძოლაში ერთ-ერთი ძლიერი იდეოლოგიური იარაღია. სხვა რომ არაფერი დაგვრჩენოდა, დავითის ისტორიკოსის ნაწარმოები ამის საილუსტრაციოდ საკმაო იქნებოდა. მაგრამ ჩვენ პირდაპირი ცნობაც კი მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგენი არ ინდობდნენ ურთიერთის ისტორიოგრაფიას. მაგალითად, გიორგი III გაანადგურა ბაღვაშთა გვარის ისტორია[52].

ისტორია და პატრიოტიზმი ერთიმეორისაგან განუყოფელია. მეორე პირველის საფუძველია. ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა. პატრიოტიზმთან გარკვეული დამოკიდებულების გარეშე ისტორიოგრაფია წარმოუდგენელია. გასაგებია, ამიტომ, რომ ოფიციალური ისტორიოგრაფია იმ კლასის ხელთაა, რომელიც გაბატონებულია: კლასობრივ საზოგადოებაში ამა თუ იმ დროს ესა თუ ის კლასია უპირატესად პატრიოტი. ასეთია კლასი აღმავალი, კლასი წამყვანი, კლასი, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესის მესაჭეა. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარებისას, ბუნებრივია, ერთ დროს პროგრესული წამყვანი კლასი, ასეთი აღარ აღმოჩნდება, მაგრამ ერთხელ გაბატონებული,—ის ძველ პოზიციებს არ სთმობს. ამ კლასის ისტორიოგრაფია ეხლა უკვე არა თუ აღარ უპასუხებს საზო-

---

[52] ამ ნიადაგზე გადასასინჯი ხდება ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მიღებული მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი წმიდათა ცხორებების გარდაკაზმვისა. მაინცდამაინც ამ მოვლენის ახსნისას პოლიტიკურ-იდეოლოგიური მომენტის გამორიცხვა შეუძლებელია.

გადოების უმრავლესობის ინტერესებს, ეწინააღმდეგება კიდევაც მას: ასეთი ისტორიოგრაფია უკვე რეაქციულია, ჩამორჩენილია, საზოგადოებრივი განვითარების ხელისშემშლელია. ამიერიდან ასეთი კლასი აღარაა წამყვანი, პატრიოტული და არც მისი ისტორიოგრაფიაა ასეთი. ამ კლასის პატრიოტობა ამიერიდან ჩამორჩენილობის პატრიოტობაა, მისი ისტორიოგრაფია რეაქციის იდეოლოგიაა. მაგრამ განვითარების იმავე კანონის თანახმად, თუ გაბატონებული კლასი, ოდესმე წამყვანი, გადაშენების პირზეა მისული, ეს იმას მოასწავებს, რომ საზოგადოებაში წარმოქმნილია მეორე, პირველის მესაფლავე, აღმავალი კლასი, პატრიოტთა კლასი, პროგრესული კლასი, საზოგადოების უმრავლესობის ინტერესთა გამომხატველი კლასი. და ოფიციალურ ისტორიოგრაფიასაც ეს კლასი ეუფლება... მოკლედ: ისტორია პატრიოტ კლასს სჭირია, ისტორიოგრაფია მის ხელთაა. პატრიოტულია კი აღმავალი კლასი, პროგრესული კლასი, უმრავლესობის ინტერესთა გამომხატველი კლასი. ეროვნული ნიჰილიზმი, საკუთარი ისტორიის სიძულვილი,—ან სულელის როტვაა, ან წარმავალი კლასის დამახასიათებელი უსასო ბოდვა სიკვდილის წინ.

ჩვენი ისტორიოგრაფია თავისებურია: ფეოდალური საზოგადოების აღმავლობის პირობებში მან (ამ კლასმა) მაღალი ნიმუშები მოგვცა პატრიოტული ისტორიოგრაფიისა. (იოანე საბანისძე, ბასილ ზარზმელი, გიორგი ათონელი, გიორგი ხუცეს მონაზონი, არსენ კათალიკოსი, ლეონტი მროველი, დავითის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი). იდეური მოწინავეობა ამ ისტორიკოსთა ხელთაა. შემთხვევითი გარემოებით არ აიხსნება. რა თქმა უნდა, რომ წმიდათა „ცხორებათა" წერის ჟანრი ჩვენში XI საუკუნეში გაქრა... არც იმ მიზეზით შეიძლება აიხსნას, რითაც ჩვეულებრივ ხსნიან ჩვენში ისტორიული მწერლობის დაცემას. შემოქმედებითი ფეოდალური ისტორიოგრაფიის განვითარება ჩვენში, სწორედ რომ ვთქვათ, XI—XII საუკუნეზე წყდება. ეს არის ის ისტორიოგრაფია, რომელსაც საზოგადოებრივი საკითხები აქვევია თავს, რომელსაც თავისი დანიშნულება აქტიურად შეგნებული აქვს, რომელიც ამ საზოგადოებრივი ინტერესების აშკარა ქადაგებით გამოდის. სულერთია თუ როგორი ფორმით და რა სახით იქნება წარმოდგენილი ეს ინტერესები. ქრისტიანობისათვის ბრძოლა, ქრისტიანულ-ეროვნული ბრძოლა არაბთა თუ სპარსელთა წინააღმდეგ (ევსტათე, იოანე საბანისძე), უთანხმოება მეზობელ სომხებთან— –იგივე ეროვნული მომენტი (არსენი კათალიკოსი), სამონასტ-

რო მშენებლობა—ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის (მერჩულე), ბრძოლა ქართული დამოუკიდებელი კულტურის (ქრისტიანულის) დადგინებისათვის (გიორგი მთაწმინდელი და ილარიონის ცხორების ავტორი). ქართული სახელმწიფო წყობილების საკითხი (გიორგი ხუცეს-მონაზონი, ლეონტი მროველი, დავითის ისტორიკოსი, თამარის პირველი ისტორიკოსი),—ესაა ის ცოცხალი საზოგადოებრივი საკითხები, აღმავალ ფეოდალურ საზოგადოებას და მის ისტორიოგრაფიას რომ აინტერესებს. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური დადგინებისა და აღმავლობის ეპოქაში ასეთივე მებრძოლია, ოპტიმისტურია და შემოქმედების უნარით აღსავსეა მისი ისტორიოგრაფიაც... დამახასიათებელია, რომ დავითის ისტორიკოსის შემდეგ ჩვენ ძველს ისტორიოგრაფიას აღარაფერი ახალი (იდეის განვითარების თვალსაზრისით) არ მოუცია... და ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი იდეის განვითარების მხრით მან თავისი ზრდა, როგორც ფეოდალური ეპოქის აღმავლობისა და გამარჯვების იდეოლოგიამ, დაასრულა. ჩვენ რომ მოწინააღმდეგე კლასის — დიდგვარიანთა ფენის ისტორიოგრაფია ხელუხლებელი შემოგვენახოდა, ისიც, უეჭველია, ამ მაღალ განვითარებულობის მაჩვენებელი იქნებოდა—უეჭველია, იყო ამავე დროს მესამენაირი ისტორია. ეს იყო ისტორია—წვრილი ერის, ხალხის უფართესი ფენების, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ზეპირი იყო: ისტორიული ლეგენდებისა თუ ლექსების სახით...

შემდეგი ახალი სიტყვისათვის აუცილებელი იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების შემდგომი წინსვლა... სამწუხაროდ, ქართული საზოგადოებრივი განვითარება შეფერხდა, დიდი ხნით შედგა. ასეთ პირობებში ახალი იდეების განვითარებას, გასაგებია ადგილი აღარ ექნებოდა. აუცილებელი იყო კულტურული განვითარების შეფერხებაც... უკეთეს შემთხვევაში ძველი იდეების („მოტივების“) გადაითხრობა, ისიც უხეიროდ, შეიძლებოდა მხოლოდ... რაა იმაზე სასირცხვო, რაა იმაზე უფრო ჩამორჩენილობის მაჩვენებელი, რომ ბერძნული ფილოსოფია ქართულად ავითვისეთ, ელინს გაუსწორდით (რა პატრიოტული სიამაყეა ფეოდალური საზოგადოების წამყვანი კლასისათვის!) და შემდეგ კი ჩამორჩენილის, ნახევრად ველური ყიზილბაშის ან თურქის მიმბაძველი შევიქენით კულტურის სფეროში... იდეური განვითარების

თვალსაზრისით ჩვენ 600 წელიწადს (XIII—XVIII) ფეხი არ წაგვიდგამს წინ [შოთა მხოლოდ ფორმის ვირტუოზობით კი არ გახდა გადაულახველი და მუდამ მისაბაძი, არამედ იდეათა მოწინავეობითაც. შემდგომი დროის საზოგადოებას (იმავე ადგილის უილაჯოდ მტკეპნელს) არაფერი ჰქონდა სათქმელი, რომ ახალი ეთქვა. შოთას გადაულახველობა მარტო მისი სიდიადე-სიმაღლის მაჩვენებელი როდია, ეს მაჩვენებელია ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების შეფერხებისა, მისი სტაგნაციისა... შექსპირი გადალახეს და დანტე... მხოლოდ სპარსეთია, სადაც ფირდოუსი თუ ხაიამი დღესაც მიუწვდომელობის ცოცხალი ნიმუშია... მაგრამ ეს გარემოება ამდენადვე ერანის ჩამორჩენილობის ყველაზე მკაფიო ნიშანია]. ასე რომ „აღორძინების“ ხანის ისტორიოგრაფიაში მწერლობის ამ დარგის განვითარებას ჩვენ იმდენად უნდა ველოდეთ, რამდენადაც XVII—XVIII საუკუნეთა ქართულ საზოგადოებაში ფეოდალური ურთიერთობის ახალ ეტაპსა ვხედავთ. მე აქ არაფერს ასეთს არ ვხედავ (ვერ ვხედავ) და ამიტომაც ეს „აღორძინებაც“ ამისდა შესაბამისად მესმის. ეს არაა დასავლეთ ევროპის შესატყვისი რენესანსი, რაც აღმავალმა საზოგადოებრივმა კლასმა გამოიწვია. სამწუხაროდ, ჩვენში არავითარი ახალი კლასი XVII—XVIII ს-ში საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ ასპარეზის დაუფლების პრეტენზიით არ გამოდიოდა... კახეთში XVI საუკუნისა, თუ ქართლში XVII საუკუნისა თავს იყრიდნენ ძველი ძალები, უეჭველია, საცა იყო, გამოჩნდებოდა და, თუ დასცალდებოდა ფორმაში შევიდოდა ახალი, მაგრამ ჯერ ფეოდალური ურთიერთობა უცილობლად ბატონობდა და მისი მეტოქე და მესაფლავე ჯერჯერობით არ ჩანდა (ამ ახალი ძალის ძებნა-აღმოჩენას თან გადაყვა არა ერთი ქართველი მეფე და მეფის ერთგული აზნაური[63]). ასეთ პირობებში ქართული ისტორიოგრაფია, რა თქმა უნდა, შესამჩნევ ნაბიჯს წინ ვერ გადადგამდა. არჩილი, ფარსადანი, სეხნია, იოსები, ფეშანგი თუ „სწავლულ კაცთა“ კომისია,—ყველა ესენი „აღორძინება“ იმ გაგებითაა მხოლოდ, რომ ცდა არის ძველის აღდგენისა (ისევე, როგორც პოეზიაში შოთას მიბაძვა). ძველი ისტო-

---

[63] მარტო ს. კაკაბაძე და გ. ლეონიძე ხედავენ რაღაც „ახალ ძალას“, რომელიც, სამწუხაროდ, ძველისძველი იყო. ნება გვიბოძონ, ვკითხოთ, პატივცემულ მკვლევართ: რა ახალი საზოგადოებრივი იდეები წამოაყენა, მათი აზრით, ამ ახალი ძალის ახალმა იდეოლოგმა ი. თბილელმა, ვთქვათ, შედარებით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან?

რიოგრაფიის ქარგით წერისა... მართალია, ახალი დრო მთლად იგივე არ იყო, რაც 500 წლის წინ, მაგრამ ჩვენ საუბარი გვაქვს ძირითად მოვლენებზე, რომელნიც ძირითად იდეათა საფუძვლებია ხოლმე... არც კულტურულ გავლენის სუბიექტები დაივიწყება, მაგრამ გავლენა ბოლოს და ბოლოს ძირითადად ისევ იმით არის ხლვარდებული, ვინც ამ გავლენის ობიექტია. ამიტომ უცხოურ გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი უმთავრესად ტექნიკის თვალსაზრისით, და არა იდეების თვალსაზრისით. იდეები ადგილობრივი წარმოშობისანი თუ არა, ადგილობრივ პირობების მიერ მხარდაჭერილი უნდა იყვნენ აუცილებლად.

# საქართველოს ისტორია XIII—XIVსს.*

## კონსპექტი

ფეოდალურ საქართველოში პატრონყმობის ბატონყმობაში გადასვლა თავისუფალი „ქუეყანის მოქმედთა“ კლასის („წ უ რ ი ლ ი ე რ ი“] შემდგომი ეკონომიური და სოციალური დამონავების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. განვლილ საზოგადოებრივ ფორმაციის გარღმონაშთი, ეს თავისუფალი მიწის მუშათა კლასი ფეოდალურ ეკონომიკის წარმოქმნა-გამარჯვებასთან ერთად თავის აღსასრულს უახლოვდება. საბატონყმო ეკონომიკა ამ კლასის აღსასრულია.

XII—XIII საუკუნისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებულია. ფეოდალის მიწაზედ საშვილიშვილოდ მჯდომი და მის სასარგებლოდ ბეგრისა და მუშაობა-სამსახურის ვალდებული მიწის მუშა არის „გ ლ ე ხ ი  გ ი ნ ა  ყ მ ა“. არსებითი განსხვავება „გლეხსა“ და „ყმას“ შორის უკვე გამქრალია და ეს გარემოება მეტყველებაშიაც ამ დროს მკაფიოდ არის აღნიშნული: „გლეხი“ [ბეგრის გამომღებ მიწის მუშის სახელი] ეხლა უკვე „ყმასაც“ ეწოდება[1] და პირუკუ: „ყმა“ [ლაშქრობა-სამსახურის მოვალე მიწის მუშის სახელი] ეწოდება ეხლა ყოველ „გლეხს“ [მათ შორის იმ ფენასაც, პირად არათავისუფალთაგან რომ წარმომავლობდა].

ფეოდალთა ბრძოლა მიწისმფლობელობის სამამულო სისტემისათვის [და საბოლოოდ შეუვალობისათვის]—ასეთია აღნიშნულ სოციალ-ეკონომიური პროცესის [ბატონყმობის გამარჯვების] თანამყოლი პოლიტიკური მოვლენა. XI—XIII საუკუნეები ამ მხრითაც სათანადო მიღწევათა ეპოქაა. მცხეთის „საქონებელთა“ შეუვალობა XI საუკუნის დასაწყისს სიმპტომატურია. ამას მოჰყვა ზო-

* პირველად დაიბეჭდა 1937 წ.

1 XIV საუკუნის დასაწყისში 300 სახლი მანდატური, მაგალითად, „ყველა გლეხია“.

გიერთ სხვა მონასტერთა საგადასახადო და სასამართლო შეუვალობანი.

დავით IV -ის მიერ [1089—1125] მიღებულ განსაკუთრებულ ღონისძიებათა მიუხედავად ცენტრალურმა ხელისუფლებამ XII საუკუნის სიგრძეზე და განსაკუთრებით ამ საუკუნის დასასრულს მაღალ ფეოდალებთან ბრძოლაში სერიოზული მარცხი განიცადა: მცხეთის საკათალიკოზომ თავის საქონებელთა დაკარგული შეუვალობა აღიდგინა, ხოლო დიდებულებმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში „თანადგომისა და ერთნებაობის" უფლება მოიპოვეს, რითაც მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის წარმატება თავიანთთვის უზრუნველჰყვეს.

XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს სოციალური წყობილება შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ფეოდალები—ესაა მეფე [უფლისწულებით], აზნაურები და ეკლესია [მრავალრიცხოვანი მონასტრებით].

აზნაურები ურთიერთისაგან განსხვავდებიან. უმაღლეს კატეგორიას დიდებული აზნაურები შეადგენენ. ეკონომიურად აზნაურთა ეს ფენი უძლიერესია. დიდებული აზნაურები „სიმრავლესა ერისა თვისისა ზედა აღზვავებული" არიან. მოხელეობის თუ მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის გამარჯვებასთან დაკავშირებით ბუნებრივად იქმნება პირობები ამ აზნაურთა ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბებისათვის. ეკონომიურად და სოციალურად აგრე დაწინაურებული აზნაურთა ეს ფენი წარმატებით იბრძვის თავის ამ უპირატესობათა პოლიტიკურ რეალიზაციისათვის. თანდათან ჩამოყალიბდა სამთავროთა სისტემა [შვიდი მთავარ-ერისთავი], რომლის პარალელურად, ცოტა უფრო გვიან, წარმოიშვიან სათავადოები...

დიდებულ აზნაურებს მისდევენ სხვადასხვა კატეგორიის აზნაურები, რომელთა სოციალური სახეობა მათი წარმოშობით, ეკონომიური ვითარებით და სამოხელეო თანამდებობით განისაზღვრება. კუთვნილების მიხედვით ისინია „ყმები" მეფის [ტახტის ანუ საკუთარი], დიდებულთა და ეკლესიის.

წვრილ აზნაურთა ფენი მრავალრიცხოვანია [XIV საუკუნეში, მაგალითად, „700 სახლი" მხოლოდ მეფის მესაწოლეა]. მათი სოციალ-ეკონომიური ყოფა არაა მტკიცე. ისინი მუდმივ მამულის

დამცრობისა და სოციალურ დაქვეითების საფრთხის წინაშე იმყოფებიან. ერთობ მძიმეა მათი მოვალეობა,—აზნაურული წესით ხლება და ლაშქრობა.

აზნაურებზე ქვემოთ მ ს ა ხ უ რ ე ბ ი დგანან. ფეოდალურ ურთიერთობის ხანაში საერთოდ მსახურები გარდამავალ საზოგადოებრივ ფენს შეადგენენ. ისინი მიწისმოქმედნი არიან და ამით გლეხებსა ჰგვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია—ლაშქრობა და სამსახური. ბატონყმობის წარმოქმნის ხანაში მსახურები ეკონომიურ და სოციალურ დაქვეითებას განიცდიან. ხშირი ლაშქრობა და სამსახური და, საფიქრებელია, ამ დროისათვის უკვე პურის ჭამაც, ე. ი. პატრონის გამასპინძლება, „როგორც თავი ესახელებოდეს", ერთობ მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელთა ამ ფენს, რაც უწყალოდ ანადგურებდა მას და გლეხობისაკენ მიერეკებოდა [-დ ა ბ ე გ რ ი ლ ი მ ს ა ხ უ რ ი, „დ ა ბ ა ლ ი მ ს ა ხ უ-რ ი"].

გ ლ ე ხ ო ბ ა ფართე სოციალური ფენია. მისთვის დამახასიათებელია, რომ ის რიცხვობრივად იზრდება, და ეს არა მარტო ბუნებრივი გამრავლების გზით. თავისი ნებით მოსული, თუ გადმობირებული ან ძალით მოყვანილი [ტყვე] და მიწაზე მებეგრეთ დასმული უცხოელი, დაბეგრილი მსახურები,—ყველა ესენი „გლეხებია" და მკვიდრ გლეხებთან ერთად ქმნიან ერთს სოციალურ ფენს.

მაგრამ გლეხობა ერთფეროვანი მასა როდია. მკვიდრი თუ „გარეთ მოსული", ნასყიდი თუ ნებიერი, შეწირული თუ ნაწყალობევი, თავდაწერილი თუ თავდაუწერელი და სხვ.,—ყველა ესენი ურთიერთისაგან განსხვავებული უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის გლეხთა კატეგორიებია. გლეხთა საერთო დამახასიათებელი ნიშანი მათი მებეგრეობაა. ბეგრის სახეობა და მუშაობის რაოდენობა, მრავალ სხვადასხვა გარემოებათაგან დამოკიდებული, მრავალფეროვანია, ისევე როგორც გლეხთა უფლებრივი მდგომარეობაც.

გლეხთა მთავარი მასა ამ დროს უკვე ბატონის მიწაზე არის მიმაგრებული.

ეკონომიურადაც მიწის მწარმოებელი საზოგადოება, რა თქმა უნდა, ერთნაირი არაა.

გლეხის ნორმალურ ქონებად საგლეხო ფუძე [-„მიწა"] ითვლება, მაგრამ ფუძეზე ყოველთვის ერთი გლეხი როდი ზის, „სრული

მიწის მქონებელის“ გვერდით აღნიშნულია „გლეხი ფუძეთ ერთი და კვამლად ორი“-ც.

აღსანიშნავია პარცელარული მეურნეობის მაგალითები. ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში არა მარტო ვაჭართა ქარავნები მიმოდიან, „გარეთ წასულით მყოფი“ არიან გლეხებიც, მიწის მუშა მევენახენი, თუ ჰელოსან-გალატოზები, რომელნიც „მოსარეწელად რასმე ღონედ სიგლახაკისა თვსისა“ დადიან.

ქალაქთა მოსახლეობა უმთავრესად ვაჭართა, ხელოსანთა და გლახაკთაგან შედგება.

ვაჭრები სხვადასხვა კატეგორიისანი არიან. დიდვაჭრები ქონებით ძლიერი და სოციალურად პრივილეგირებული ფენია. ისინი „პატრონთა კარგად და საპატიოდ ჰყვებიან და საქმის მქნელად“, ე. ი. თვალსაჩინო დავალებებს ასრულებენ და არა მარტო ეკონომიური ხასიათისას, არამედ პოლიტიკური ხასიათის საქმეებსაც. დიდვაჭრები არა მცირე პოლიტიკური გავლენით სარგებლობენ. პრივილეგირებულია დიდვაჭართა „ქუემოთი“, ე. ი. შუა ვაჭართა ფენიც... ქალაქში მცხოვრებთა შორის ყმავაჭრებიც არიან, ე. ი. ვაჭრები მეფის, ეკლესიის, აზნაურების. „ყმებისა“ თუ გლეხების გვერდით ესენიც წყალობის, შეწირვის თუ გასყიდვის ობიექტი შეიძლება იყვნენ.

ვაჭრობა განსაკუთრებულ დაცვის ქვეშაა გამოცხადებული.

ხელოსნები ჰამქრებით ცხოვრობენ.

ქალაქების რიცხვი საკმაოდ მრავალია. [XIII საუკუნის დასაწყისს ერთ-ერთ [illegible]დებულს „ხუთმეტი დიდი ქალაქი“ ჰქონია]. ქალაქებია როგორც სამეფო, ისე საფეოდალოც. განსაკუთრებით ნიშანდობლივია „დაბა-ქალაქთა“ სიმრავლე...

ეკლესია დიდმფლობელი ორგანიზაციაა. მარტო მცხეთის საკათალიკოზოს ხელში ასეული სოფლებია. ასევე მრავალ სოფლების და ყმათა მფლობელია აფხაზეთის საკათალიკოზო თუ სხვა საეპისკოპოსო ეკლესიები და მრავალრიცხოვანი მონასტრები...

ეკლესიის მსახურთა ორი სხვადასხვა ფენი განირჩევა: აზნაური—მაღალი სამღვდელოება [კათალიკოზ-ეპისკოპოზები, დეკანოზები, წინამძღვრები...] და გლეხური—სოფლის მღვდლები. ინტერესთა ერთიანობის გვერდით მათ შორის დიდია ინტერესთა სხვადასხვაობაც.

საკათალიკოზო საქონებელთა მმართველობა ფეოდალურ-კოლეგიურია. მცხეთის სამამულო-ორგანიზაციულ საქმეებს კათალიკოზი „ყოველთა მცხეთიშვილთა“ [საეკლესიო უმაღლეს ყმა აზ-

ნაურ-მოხელეთა ჯგუფი] „თანადგომით და ერთნებაობით" აწესრიგებს.

ასევე კოლეგიურია მონასტრების საქონებელთა მმართველობაც. ორგანიზაციულ საქმეებს მონასტრებში „ძმობის" მიერ არჩეული მამასახლისი აწესრიგებს „თანადგომითა და ერთნებაობითა ყოველთა ძმათაჲთა", ე. ი. მონაზვნების თანხმობა-მონაწილეობით. მაგრამ ფეოდალურ საზოგადოების წოდებრივი და ეკონომიური სხვადასხვაობა მონასტრების მაღალ კედლებსაც გადალახავს და ამა სოფლის დამტევებელ მონაზონთა ერთფეროვან დასს შეაშფოთებს... „ძმობა" თანდათან [და XIII საუკუნის დასაწყისისათვის ეს შემხდარი ფაქტია] ორ ჯგუფად იყოფა: „უფროსთა ძმათა" ჯგუფი, ამათ ხელშია მაღალი სამონასტრო თანამდებობანი, და „უმცროსთა ძმათა" ჯგუფი. ამიერიდან სამონასტრო საქმეთა მართვა-გამგეობაში „ყოველთა ძმათა" სახელით მონაზონთა ეს პრივილეგირებული ჯგუფი მონაწილეობს მხოლოდ...

დაბოლოს აღსანიშნავია გ ლ ა ხ ა კ ე ბ ი. კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებულნი, მეურნეობას მოწყვეტილნი [„ნებით" თუ უნებლიეთ], უსაქმონი, სხვისი ხელის შემაცქერალ-მათხოვარნი ისინი მოიპოვებიან სოფლად თუ ქალაქად. XIII საუკუნის დასაწყისისათვის მათი რიცხვი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ გლახაკები ამ დროს სახელმწიფოს ზრუნვის საგანია.

მ თ ი ა ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა გაცილებით ერთფეროვანია. მთიანეთს აქამდის შერჩენია ბარში განადგურებულ თავისუფალ მიწისმოქმედთა კლასი. თუმცა ნელა, მაგრამ მაინც მთა სულ უფრო და უფრო განიცდის ბარის ეკონომიურსა და სოციალურ გავლენას. ფეოდალური ურთიერთობა თანდათან გზას იკვლევს ბარიდან მთისაკენ. მთა ურჩობს და ბორგავს...

ამ რთულ სოციალურ სინამდვილეს საფუძვლად უდევს სათანადოდ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა. შესაფერის სიმაღლეზე დგას სასოფლო მეურნეობა (განვითარებულ მელიორაციით), ხელოსნური წარმოება და აღებმიცემა.

სასოფლო მეურნეობის განვითარებული სახეებია: მესაქონლეობა [განსაკუთრებით მეცხენეობა, მეცხვარეობა...], მეხილეობა, მეფუტკრეობა, ხორბლეული, მეაბრეშუმეობა, სელი, ბამბა და მევენახეობა. სოფლის მეურნეობის ეს უკანასკნელი დარგი აღნიშნულ ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო.

შემოტანის საგნებია უმთავრესად ფეოდალთა მოხმარების ძვირფასი საქონელი: ოქრო-ქსოვილი, ოქრონემსული, ძვირფასი ფარჩეული, ძვირფასი ჭურჭელი, იარაღი, ბეწვეული, სამკაულები, ნელსაცხებელი, ძვირფასი თვლები, ძვირფასი საჭმელი...

საშინაო ურთიერთობაში აღებმიცემის სფეროშია უმარტივესი საგლეხო მოხმარების საგნებიც კი...

დასაშვებია, რომ უცხოეთიდან ამ დროს არა მარტო ფეოდალთა მოხმარების საქონელი შემოჰქონდათ [გვაქვს ცნობა, რომ თევზი აწინდელ სალიანიდან უზიდნიათ ტფილისში, ხოლო ძვირფასი მატყლი კი ეგვიპტიდანაც]. უსაფუძვლო არ იქნება ვიფიქროთ, რომ დარიალისა ან კიდევ სხვა რომელიმე „კარით“ საქართველოში ბეწვეულობის გვერდით პურიც შემოჰქონდათ... შემოტანის საგნები იყო ფართე მოხმარების საქონელი—მარილი, რკინა...

XIII საუკუნის ოციან წლებისათვის საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ამიერ-კავკასიის საზღვრებს სცილდებოდა. უშუალოდ თუ ყმადნაფიცთა მეშვეობით საქართველო დვინ-არზრუმის და დარუბანდ-შამახიის სავაჭრო გზათა ექსპლოატაციას ეწეოდა. შემდგომ აგრესიის მიზანს არჯეშ-ხლათის სასულტანოების [და აქ გამავალ სავაჭრო გზის—ერანიდან ლევანტისაკენ] დაპყრობა შეადგენდა.

პოლიტიკურად განხილული, ქვეყანა შედგებოდა ყოველი საქართველოდან“ [მასში იგულისხმებოდა ეთნიკურად ქართველურ ტომებს გარდა ა.-კავკასიის სომხეთი და შირვანის დიდი ნაწილი..] და ყმადნაფიცი ქვეყნებისაგან. უკანასკნელთა დამოკიდებულება საქართველოსადმი ყოველწლიურ ხარკის გადახდაში გამოიხატებოდა.

ქვეყანას მეფე განაგებს დიდებულთა [დარბაზის] „ერთნებაობით“ და „თანადგომით“, მეფეს ემძიმება მის ხელისუფლებაში ფეოდალთა ეს ჩარევა და ხშირია კონფლიქტები [ლაშა გიორგი], რომელნიც ისევ დიდებულთა გამარჯვებით სრულდება. დიდებულთა ეს გამარჯვება ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესის საკითხშიაც გამომჟღავნდა. ათაბაგობის შემოღება [თამარის მეფობის მიწურულს] და მისი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისადმი დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლების კიდევ ერთი დამარცხება იყო უმაღლეს ფეოდალებთან ბრძოლაში.

ქვეყნის ცენტრალურ სამმართველოს სავაზირო შეადგენს. აღნიშნულ ხანაში სავაზიროში ხუთი ვაზირი შედის [ცოტა შემდეგ ექვსი] და ორი—ვაზირთა თანაშემწენი.

პროვინციათა მმართველობა ე რ ი ს თ ა ვ თ-ე რ ი ს თ ა ვ ი ს ან კიდევ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ხელთაა. ესენი ფრიად ფართე სამართვა-გამგეობო უფლებებით არიან აღჭურვილი მათ ხელქვეშეთ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მიმართ...

XIII საუკუნის 40-ან წლებიდან ფეოდალურ საქართველოს განვითარება განსაკუთრებულს პირობებში მოექცა. აღნიშნულ დროიდან დამყარდა ჩვენში ე. წ. მ ო ნ ღ ო ლ თ ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ხ ა ნ ა.

ამ მოვლენას წინ უსწრებდა მონღოლთაგან ლტოლვილის და მათ საწინააღმდეგო ღონისძიებათა მაძიებელ ხორეზმშაჰ ჯალალ ედინის ხანმოკლე, მაგრამ მეტად მწვავე მფლობელობა აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში [1225—1231 წ.]. მრავალი მხარე სასტიკად დაზიანდა. განსაკუთრებით კი თბილისი, ქვემო ქართლი, სომხეთი...

ჯალალის ხუთწლოვანმა ბატონობამ საკმაოდ შეარყია ფეოდალური სახელმწიფოს როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ძლიერება. ყმადნაფიცი ქვეყნები უმალ ჩამოსცილდნენ მას, რაც პირველ ყოვლისა შემოსავლის იმ ნაწილის გაქრობას ნიშნავდა, ხარკის სახით რომ შემოდიოდა, ხოლო ეს შემოსავალი ფეოდალურ საქართველოს ბიუჯეტის მცირე ნაწილი როდი იყო... შესუსტდა ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცე. ქუთაისში ლტოლვილი სამეფო კარი უზენაეს უფლებას საქართველოს უდიდეს ნაწილზე ვეღარ ახორციელებდა და ჯალალის თარეშს ფეოდალთა სრული თვითნებობა კიდევ უფრო აუტანელად ხდიდა. „უსამართლობა" და „მიმძლავრება" ყოვლად დაუსჯელად შლიდა ფრთებს და მწარმოებელ კლასებს სასტიკად ავიწროვებდა.

ჯალალის ღონისძიებებმა საწინააღმდეგო ნაყოფი გამოიღეს. მისმა თარეშებმა ქვეყნების სიმტკიცე მოშალეს, ხოლო განაწამებ საზოგადოებას ჯალალის წინააღმდეგ მებრძოლი მონღოლები ბუნებრივია, მხსნელებად ჩვენებოდათ...

XIII საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლებმა მსოფლიოში უდიდესი სამფლობელო შექმნეს.

1235—1240 წლებში მათ საქართველოც დაიპყრეს.

მონღოლთა მფლობელობის მნიშვნელობის შესახებ მათ ხელქვეშ მოყოლილ ქვეყნების განვითარების საქმეში ისტორიკოსები სხვადასხვა აზრისანი არიან. ზოგი დადებითად აფასებს მონღოლთა როლს, ზოგი უარყოფითად. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს საქმეში, ვფიქრობთ ჩვენ, მ ო ნ ღ ო ლ თ ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო-

ბამ დიდი უარყოფითი როლი ითამაშა [ამ საკითხზე ჩვენშიაც მოიპოვებიან საწინააღმდეგო შეხედულების ისტორიკოსნი].

საქართველოში მონღოლთა მფლობელობა რამოდენიმე ხანად იყოფა. პირველი, ეს არის ხანა მათ მოსვლა-გაბატონებიდან აღწერამდის [1253 წ.]. ხარკი ამ ხანაში შედარებით მსუბუქი ჩანს. ამ დროს მონღოლთა მფლობელობის უმთავრესი სიმძიმე გამუდმებულ შორეულ ლაშქრობაშია. მონღოლთა მუდმივი შორეული ლაშქრობა აუტანელი იყო საქართველოს ფეოდალური საზოგადოებისათვის საერთოდ და განსაკუთრებით კი ამ საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც მოლაშქრეობასთან ერთად მიწისმოქმედიც იყო [მსახური გლეხი, „ყმა“].

სხვადასხვა წყაროებში აღნიშნული მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულებანი [1246, 1250 წ.] საქართველოს ფეოდალურ საზოგადოების უკმაყოფილებას მოწმობენ. მეორე მხრით მეტად საინტერესო ჩვენებები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ ვის და როგორ დააწვა ფეოდალურ საქართველოს კლასობრივ სინამდვილეში მონღოლთა ტვირთის სიმძიმე. ერთ-ერთი თანამედროვის ცნობით ფეოდალებმა ისარგებლეს შემთხვევით და მონღოლთათვის ხარკს შეჰკრებდენ გაცილებით მეტის რაოდენობით, ვიდრე ეს მათთვის უნდა მიერთმიათ და ასეთ მონახვეჰით „უსირცხვილოდ მდიდრდებოდნენ“-ო.

1247 წელს მონღოლებმა საქართველოს სამეფო ტახტზე ორი პრეტენდენტი დაამტკიცეს: დავით გიორგის-ძე და დავით რუსუდანის-ძე. ეს შემთხვევითი მოვლენა შემდეგ, როცა სათანადო ნიადაგი საკმაოდ შემზადდა, ისტორიულ მნიშვნელობის ფაქტის დასაწყისი შეიქმნა: დავით გიორგის ძისაგან ლიხთ-აქათის, ხოლო დავით რუსუდანის ძისაგან ლიხთ იქითის სამეფო დინასტია წარმოიშვა.

მონღოლთა მფლობელობის მეორე ხანა 1253 წლის აღწერით იწყება. ამ დროისთვის მონღოლებმა ძირითადად დაასრულეს დაპყრობანი. შემცირდა სამხედრო ალაფის დენა. უზარმაზარ სახელმწიფოს მართველობის უზომო მოთხოვნილებანი ამიერიდან უმთავრესად ხარკით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამისდა შესაბამისად აღწერის შედეგად დახარკვა უჩვეულოდ მძიმე და აუტანელი იყო საქართველოს ფეოდალურ მეურნეობისათვის. აღწერას, გარდა ფისკალურისა, სამხედრო მიზანიც ჰქონდა. პირადი ფიზიკური მონაწილეობით, თუ საამისო საზღაურით ამიერიდან ქართველი გლე-

ხი მოვალე იყო საქართველოს ფეოდალურ წრეებთან ერთად მონღოლთათვის მოლაშქრეობის მძიმე ტვირთს შესდგომოდა. ყველა ამას თან ერთო არანაკლები სიმძიმე: ამ ხარკის აკრეფის მოუწესრიგებლობა. ხარკის ამკრეფ მოხელეთა შეუზღუდველი თვითნებობა, ულმობელი სიმკაცრე, ეგზეკუციები. დარბევა-აკლებანი — სისტემად იყო ქცეული. ხარკის აკრეფის საქმის მოწესრიგებისაკენ მიმართული მონღოლთა ყაენების არა ერთგზისი *უშედეგო* ცდები მოწმობაა როგორც საკითხის დიდმნიშვნელოვანებისა, აგრეთვე ხელისუფლების უმწეობისაც.

მონღოლთა სახით საქართველოს მწარმოებელ საზოგადოებას ერთი *ახალი ექსპლოატატორი* მოემატა. ამავე დროს ძველი ვალდებულებანი: *სამეფო*, *საქვეყნო*, *სამოხელეო*, *საეკლესიო* და *საბატონო* არა თუ დარჩა. არამედ ზოგი მათგანი *კიდევ უფრო დამძიმდა*...

მონღოლთა მოხარკეობის შედეგად ფულით ღარიბი ფეოდალური მეურნეობა ჩქარა დაიცალა: ოქრო გაძვირდა. ეს გარემოება ყველაზე უწინ მწარმოებელ საზოგადოებას ემწვავა. მას სულ უფრო და უფრო უჭირს სახარკო ფულის შოვნა. მევახშეობა საშინელი სახით წარმოდგა—45%. მწარმოებელ საზოგადოების მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა. მეურნეობამ გლეხისათვის აზრი დაკარგა: ის გადასახადებს ვერ აუდის... და ყოველმხრივ მიმძლავრებულ-მიხვეწილი გლეხობა ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას მიმართავს: *ბოგანოობა-ხიზნობას* იწყებს.

მწარმოებელთაგან დაცლილი მამული კი ეხლა მფლობელისთვისაც საშინელებაა: მამულზე დადებული მონღოლური ხარკის საბოლოო პასუხისმგებელი ფეოდალია. ერთერთი წყარო დაუფარავი ნიშნისმოგებით მოგვითხრობს, თუ როგორ ჩამწარდათ გლეხთაგან მონახვეწი იმ ფეოდალებს, რომელთაც ამ მიმხვეწელობის შედეგად მამულები გაუუკაცრიელდათ: მონღოლთა მეხარკეები აყრილ გლეხთაგან დანაკლისის ასანაზღაურებლად ფეოდალთა ქონებასა სწვდნენ... და ამოძრავდა მამულები. ჩალის ფასად ჰყიდიან აზნაურები მათ სოციალურისა და ეკონომიური ძლიერების საყრდენს: „მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი იეფად"...

მაგრამ მამულების ამოძრავებას აზნაურთა სახლების ამოძრავება თან სდევდა: მამულდამცრობილი აზნაური სისხლით დამცრობის საფრთხის წინაშე დგებოდა. მცირდებიან და ქრებიან ძველი საგვარეულოები... მცირე გამონაკლისით ნაგვიანევი ხანის დიდი

ფეოდალური საგვარეულოები თითქმის ყველა მე-XIII საუკუნის შემდეგდროინდელი წარმონაქმი არიან.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ამ „ულუსობისა“ და „ძნელბედობის“ ჟამს დამცრობილთა გვერდით და მათ ხარჯზე აღზევდებიან. მონღოლ ხელისუფალთა პირად კეთილგანწყობილების მოპოვებით [ქრთამით, ძღვენით, განსაკუთრებულ სიქველით თუ სხვ.] ისინი ხშირად აღწევენ ხ ა ს-ე ნ ჩ უ-ს მდგომარეობას ან კიდევ სრულ საგადასახადო ს ი თ ა რ ხ ნ ე ს... ესენი ჰყიდულობენ გაუფასურებულ მამულებს, ამათკენ მიილტვიან აყრილი გლეხები.

შევიწროვებული, მამულდამცრობილი ფეოდალები ხელუხლებლად დაცულ საეკლესიო მამულებსა სწვდნენ, ძველად შენაწირი მამულების გამოწირვა, უკუჰერა იწყეს. ამის საწინააღმდეგოდ მოწვეული საეკლესიო კრება [1263 წლის ახლო] მიზანს ვერ აღწევს და მამულები ფეოდალებსა რჩებათ...

XIII საუკუნის 60-ანი წლებიდან ალთუნ ურდოსა და ელხანთა სამფლობელოს შორის ხანგრძლივი ბრძოლა იწყება. ჩრდილოეთის ურდოს მიზანია ხელთ იგდოს ა.-კავკასია მისი განვითარებული სასოფლო მეურნეობით, ხელოსნურ წარმოების მდიდარ ქალაქებით, სავაჭრო გზებით... ელხანებს ერან-ევროპის დიდი სავაჭრო-გზა მის ამიერ-კავკასიის ნაწილში [დვინ-ანისი-ყარსი-არზრუმი] სამხრეთით გადააქვთ, ხოლო ბერქა და აბაღა ყაენების საომარი ოპერაციები [1265 წ.] მტკვრის და იორ-ალაზნის ნაპირებზე მძიმედ აზიანებენ კახეთ-ჰერეთის მოსახლეობას...

ესა და მსგავსი მოვლენები თან ერთვიან ზემოაღნიშნულთ და ფ ე ო დ ა ლ უ რ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო გ ა ნ ვ ითა რ ე ბ ა ფ ე რ ხ დ ე ბ ა. სასოფლო მეურნეობის დაცემის გვერდით ეცემა შედარებით სუსტი აღებმიცემაც. ხოლო ასეთ პირობებში მონღოლური საქალაქო ხარკი ყოვლად აუტანელი ხდება. მცირდებიან და უკაცრიელდებიან მსხვილი ფეოდალური ქალაქები [ანისი...]... გარბიან ხელოსნები, მედუქნეები და ბოლოს ქალაქის ბერებიც. სავსებით ქრება მრავალი დაბა-ქალაქი. ისინი ისევ სოფლდებიან... უდაბურდებიან დიდი გზაშარის პირები. მოსახლეობა ერთიანად გარბის გზისპირა სოფლებიდან [საიამე გადასახადის სიმძიმისა და იამთან დაკავშირებულ შევიწროებათა გამო].

XIII საუკუნის 70-ან წლებში მონღოლებმა კვლავ აღწერეს საქართველო: „აღთვალა და ცნა, რამეთუ უმრავლესნი მოოჴრებული იყო“... ასეთი იყო მონღოლთა ბატონობის შედეგი ქვეყნის პირველი აღწერიდან მეორემდის.

რყევას განიცდიდა ფეოდ. საქართველოს სახელმწიფო წყობილებაც. მონღოლებმა იმთავითვე საქართველოს დაპყრობისას და შემდეგ, უმეფობის ხანაში, ხერხიანად გამოიყენეს ქართული სისტემა ე რ ი ს თ ა ვ თ-ე რ ი ს თ ა ვ ო ბ ი ს ა. მათ შეიწყნარეს უკანასკნელთა „მთავრობა", თითოეულს „ჴელთ უდვეს მამული მისი" სამთავროდ და სათანადო იერლაყითაც დაუმტკიცეს წყალობა. ეს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა მას შემდეგაც, როცა მონღოლებმა მეფობა [ორი მეფე!] აღადგინეს. ქვეყნის დიდმოხელე-ფეოდალები [ვაზირები, ერისთავთ-ერისთავები] ნომინალურად მეფის მოხელეები, ფაქტიურად მონღოლთა მოხელენი იყვნენ. საქ. მეფე მონღოლთა თვალსაზრისით ერთი მოხელეთაგანი იყო, უფროსი სხვა მოხელეთა შორის... მეფის უფლებები ამ მოხელეთა მიმართ, ბუნებრივია, ერთობ პირობითი უნდა შექმნილიყო: მონღოლთა კარისაგან იყო დამოკიდებული როგორც მეფის უფლებათა რეალიზაცია საკუთარი დიდმოხელის მიმართ, აგრეთვე უკანასკნელის მეტი თუ ნაკლები მორჩილება საკუთარ მეფისადმი [სუმბატი, სადუნი, ჯიქური, ს. ჯაყელი, რაჭის ერსთავი კახაბერი, ხუტლუბუღა].

ამავე მიმართულებით მოქმედებდა მონღოლური ხ ა ს-ე ნ ჩ უ ს სისტემა. მონღოლთა დიდის მოხელეთათვის შეუვალი ხასი სამთავრო კიდევ უფრო მეტის წარმატებით მცდელობდა ასეთ შეუვალობის მიღწევას საქართველოს სამეფო ხელისუფლებისგანაც. ის გარემოება, რომ მონღოლები ზოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქართველოს მეფეს შეიწყალებდნენ და „მიათვლიდნენ" „ყოველთა მთავართა საქართველოსათა", უდავოდ მოწმობს, რომ ჩვეულებრივს პირობებში მონღოლთა დროს საქართველოს მთავართა [resp. სამთავრო ტერიტორიათა] მეტი თუ ნაკლები რაოდენობა საქართველოს მეფისათვის ხელმიუწვდომელი იყო.

XIII—XIV საუკუნის ქართველი მოღვაწენი ხელდადებით მონღოლებსა სთვლიან იმის მიზეზად, რომ მეფემ „ვერ სცვალნის მთავარნი და ერისთავნი" და ეს „შიშისათჳს ყაენისაო", ურთავს ცნობის გადმომცემი. მათი წარმოდგენით საქართველო ერთი მთლიანი ფეოდალური ქვეყანაა, მაგრამ მონღოლთა მფლობელობის ქვეშ და მათი პოლიტიკის წყალობით დანაწილებული. ეს შეხედულება იმ შესწორებას საჭიროებს, რომ მონღოლთა ასეთი პოლიტიკის ეს ეფექტურობა თვით საქართველოს ფეოდალური სინამდვილის ნაყოფი იყო.

ცენტრალური ხელისუფლების ასეთ დასუსტებისას, ადვილი გასაგებია, რომ ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ-მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი ს

„ქელის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო შესუსტდა. XIII ს-ში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი“ ნამდვილად არის არა ჭყ.-მწიგნობართუხუცესი, არამედ ა თ ა ბ ა გ ი, რომელიც ამავე დროს ამირსპასალარიც არის.

XIII საუკუნის მიწურულს აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო. მეფე დავით დიმიტრის-ძე ქართლის ფეოდალთა ერთი ნაწილით ყაზან ყაენს აუჯანყდა და ოქროს ურდოს ელხანთა სამფლობელოზე გასალაშქრებლად ეპატიჟებოდა. ფეოდალთა მეორე [უდიდესი] ნაწილი ყაზან ყაენის მორჩილი დარჩა. ]აჯანყებული მეფე სახასო მთიულეთსა და ხევში იჯდა. ]ეს აჯანყება მრავალ წელს გრძელდებოდა. მეფის მომხრე პროვინციებში მონღოლთა ლაშქრის ყოველწლიურმა თარეშმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო: „ამათ შფოთთა რა იყო ქვეყანა ქართლისა, არა იყო... თესვა და არცა შენება ყოვლად“. ბუნებრივია, თუ მრავალწლოვან ასეთ „შფოთს“ შიმშილობა მოჰყვა. „იქმნა პურისა მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა დიდითა ფასითა. ესოდენ განძვინდა შიმშილი, მძორსა არა წმიდასა ურიდად ჰამდეს. სავსე იყუნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი და მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა; ყრმანი მკუდართა დედათა ლეშკთა წოვდიან“... ასეთ საზარელ ფერებში ცდილობს ავტორი ამ საშინელ მოვლენის ცხოვლად დასურათებას.

შიმშილობა საშუალო საუკუნეებში უაღრესად კლასობრივი მოვლენაა: მთელის სისასტიკით ის მწარმოებელ საზოგადოებას დაატყდება ხოლმე თავს და განსაკუთრებით მას ანადგურებს როგორც ფიზიკურად, ისე სოციალურად: „გამოზრდა და ავსა ჟამსა შიგან დარჩენა“ ერთერთი ძლიერი საშუალება იყო ფეოდალთა მიერ მწარმოებელ საზოგადოების ეკონომიურად და სოციალურად კიდევ უფრო დასამონებლად...

ტყვენვა-ხოცვისა და შიმშილობა-ჭირის გამო შიდა ქართლი დაიცალა... „და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქვეყნად ბექასა, სადა იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“.

სწორედ ამ „შფოთიან“ ხანაში ადგილი აქვს ქართლში, ლიახვის ხეობაში ო ს თ ა ჩ ა მ ო ს ა ხ ლ ე ბ ა ს. ოსთა ეს ჩამოსახლება მე-XIII საუკუნის 90-ან წლებში იწყება. მე-XIV საუკუნის პირველ ოცეულში მათ უჭირავთ გორი [წაართვეს ქართლის ერისთავთ-სურამელთ], ფეხი მოუკიდიათ მტკვრის გაღმა-მხარშიაც [გამრეკელ კახას ძეს წაართვეს ძ ა მ ი ს ც ი ხ ე] და ლამობენ დაეპატრონონ ძამის ხეობას. აქ მათ წინსვლას გადაეღობება და შეაჩერებს ძლიერი ფეოდალი, სამცხის მთავარი ბექა ჯაყელი.

ოსთა ჩამოსახლება, ბუნებრივია, სასტიკ და დაუნდობელ სამამულო ბრძოლის ხასიათს იღებს. ოსთა მთავარიო „აოჴრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა“ და „აზნაურებიც“ [ე. ი. მიწისმფლობელთა კლასი]. რა თქმა უნდა თავს არ ზოგავენ... სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ცნობა, თუ როგორ იქცეოდნენ ამ ბრძოლისას არააზნაურები. რომელნიც, ბუნებრივია, კლასობრივად შეაფასებდნენ შექმნილ საინტერესო მდგომარეობას [საამისო ანალოგიები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება ნაგვიანევ ხანიდან]. ყოველ შემთხვევაში პირველი „პირი“ ოსთა გადმოსახლებით რომ „აზნაურებს“ დასდგომიათ, ეს უდავოა...

მონღოლები ამ ბრძოლებში გარკვევით ოსებს უჭერენ მხარს. აჯანყებულ ქართლში ოსთა მოძლიერება მათ პოლიტიკურ ანგარიშში შედის. ისინი მფარველობენ გადმოსახლებულთ და ქართველ ფეოდალთა მიერ განადგურებისაგან იცავენ მათ.

ბრძოლა ოსებთან შეუნელებელი იყო და ხანგრძლივი... მისი დაუნდობელი და შეურიგებელი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ეს ბრძოლა სოციალური მომენტით იყო გართულებული... ოსები უწყალოდ „განასხნა და აღფხურა“ გიორგი VI, რომელმაც მონღოლებთან კეთილგანწყობილებით „ყოველი საქართველო“ მიიღო მათგან და ამდენადვე ჩამოსახლებულ ოსთა წინააღმდეგ სამოქმედოდ ხელებიც გაიხსნა...

მონღოლთა მიერ შექმნილი დიდი ცენტრალისტური სახელმწიფო [თითქმის მთელი აზია და ევროპის უდიდესი ნაწილი] სრულიად შეუსაბამო პოლიტიკური ფორმა იყო ფეოდალური მეურნეობისათვის. ქვეყნების ასეთ გაერთიანების შინაგანი საფუძვლები არ არსებობდა; ეს გაერთიანება ნაძალადევი და მექანიკური იყო და ამდენადვე მხოლოდ ხელშემშლელი შეიძლებოდა ყოფილიყო ფეოდალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ [რამდენადაც ფეოდალური მეურნეობა რჩებოდა] მონღოლთა ამ სახელმწიფოს დაშლა აუცილებელი იყო...

XIII საუკუნის 60-ან წლებიდან მონღოლთა სახელმწიფოს დაშლის პროცესი უკვე თვალსაჩინო ხდება. ამ დროიდან ყაენთა ყაენის უზენაესი უფლება წინანდებურად აღარ ხორციელდება და ჩინგიზის ოთხი შვილის ჩამომავლობანი ურთიერთისაგან დამოუკიდებლად მფლობელობენ თავიანთ წილხვედრ ქვეყნებში. ამ ხანაში მათ უკვე შემოერიათ ურთიერთშორის ბრძოლა. [ფორმალური უარყოფა კი ყაენ-

თა ყაენის უზენაესობისა მოხდა XIII საუკუნის მიწურულს ელხანყაზანის მიერ].

მონღოლთა სახელმწიფოს თანდათანი დაშლის პროცესი ამ ოთხი დამოუკიდებული ერთეულის ჩამოყალიბებაზე არ შეჩერებულა და მონღოლ უფლისწულებს შორის საურთიერთო ბრძოლა ცალკეულ ერთეულებშიაც იჩენს თავს. ასეთ ბრძოლებისთვის ნოყიერ ნიადაგს ადგილობრივი ძალები ქმნიან [ფეოდალური სინამდვილე]. ისინი ასაზრდოებენ მათ და ქვეყანას ფეოდალიზაციის გზით მიაქანებენ. მონღოლური *ხას-ენჩუს სისტემა*, ასეთ ნიადაგზე ფეოდალურ ინსტიტუტის—*შეუვალობის* ფორმას ღებულობს და მონღოლთა სამფლობელოს ფეოდალიზაციის ერთ-ერთი საყრდენი ხდება: მიწისმფობელობის სამამულო სისტემის უპირატესობა მონღოლთათვისაც თანდათან უდავო ხდება. იმ დროს, როცა დივნის ქვეყნები [ე. ი. მონღოლთა სახელმწიფოს ცენტრალურ დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ქვეყნები] ხარკის ამკრებ მოხელეთა გაუმაძღრობა-უპასუხისმგებლობის გამო ოხრდება და ვერანდებაო, შეჰნიშნავს მონღოლთა ერთი მოხელე, ენჩუ ქვეყნები [ცერძო პირთადმი განკუთვნილი ქვეყნები] შენდებიანო. ეს იმ პრინციპის გამარჯვება იყო, პოეტმა არჩილმა აგრე ლაპიდარულად რომ გამოსთქვა: „*შეურჩომელი მამული ცუდია, რად მოვაშენოთ*"?. [ამ ნიადაგზე ბუნებრივად გასაგები ხდება ხასი სამცხის სამთავროს შედარებითი ეკონომიური წარმატებულობა ამ საერთო დაცემის ხანაში].

ნოინ-უფლისწულებს შორისი ეს ფეოდალური ბრძოლები პოლიტიკურად ასუსტებდა მონღოლთა ცენტრს და დაპყრობილებს გათავისუფლების იმედს აძლევდა. სულ უფრო და უფრო ადვილშესაძლებელი ხდება აჯანყებანი, რომელთა შედეგი ეხლა აჯანყებულისათვის მისი დამარცხების შემთხვევაშიაც კი შესაძლებელია გამანადგურებელი არ აღმოჩნდეს [1259-61 წლის ულუ-დავითის აჯანყება]...

როგორც შედეგი დაპყრობილ კულტურულ ქვეყნების სოციალ-ეკონომიური წყობის გავლენისა და ამდენადვე პროგრესული. მონღოლთა უფლისწულებს შორისი ეს ბრძოლები ხშირად ფრიად სახიფათო შედეგების შემცველი იყო დაპყრობილ ქვეყნებისთვის... უფლისწულთა ბრძოლის დროს დაპყრობილი ქვეყანა ვალდებული იყო ერთერთ მებრძოლის მხარეს დამდგარიყო. პატივი და წყალობა ელოდა მას შერჩეულ უფლისწულის გამარჯვების შემთხვევაში დიმიტრი დავითის-ძე—XIII ს. 80-ანი წლებში გიორგი დიმიტრის-

ძე—XIV საუკუნის 20-ანი წლები], ხოლო რისხვა და დასჯა თავს დაატყდებოდა გამარჯვებულ მოწინააღმდეგის მიერ [დიმიტრი დავითის-ძე—1289 წ., დავით დიმიტრის-ძე—1295 წ.].

მე-XIV საუკუნის 30-ან წლებიდან ვიდრე ამ საუკუნის 80-ან წლებამდის საქართველოს სოციალ-ეკონომიური ვითარება რამდენადმე აღდგენა-გამოსწორებისა და შემდგომ განვითარების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. ეს მოვლენა ამ დროისთვის შექმნილ ხელსაყრელ საშინაო და საგარეო პირობებს ემყარება.

ამ დროისათვის ელხანთა სამფლობელო პოლიტიკურად დაიშალა და საქართველოც ფაქტიურად გამოდის მონღოლთა მორჩილებიდან. [ფორმალურად ის ამ ხანებშიაც ელხანთა მემკვიდრეების სამფლობელოში ითვლება]. ქვეყანა განთავისუფლდა უზარმაზარ მონღოლთა ხარკისაგან [ამ დროს ის უდრიდა 120 „თუმანს" და ორი ათას „დინარს"] და ამ ხარკის აკრეფასთან დაკავშირებულ ძალადობისაგან.

საქართველოს მწარმოებელ საზოგადოებას ამით საგრძნობლად უნდა შემსუბუქებოდა საგადასახადო ტვირთის სიმძიმე [თუმცა მეტად იშვიათია შემთხვევა, რომ ფეოდალებმა მწარმოებელთ სავსებით მოხსნან ამა თუ იმ შემთხვევის გამო დაკისრებული ტვირთი მაშინაც კი, როცა ამ ტვირთის გამომწვევი მიზეზი აღარ არის...].

აღნიშნულ ეპოქაში საგარეო პირობებიც შედარებით ხელსაყრელია: არც ელხანთა მემკვიდრენი [ჯუბანიანნი, ჯალაირიანნი...] და არც სხვა მეზობლები, შორეული თუ ახლობელი [თურქ-ოსმალები, ბიზანტია, მისრეთი, ტრაპიზონის სამეფო, ოქროს ურდო], უშუალო დაპყრობის მუქარას საქართველოს ვერ უქმნიან. თვით დასუსტებულთ ან კიდევ ახალ-მოზარდთ საამისო ძალა არ შესწევთ.

ამავე დროს ამ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობა შეუფერხებლივ ხორციელდება. უცხოურ წერილობით წყაროების ჩვენებათა გვერდით ამდროინდელ საქართველოში ხმარებული საფასეს სახელები და განძების სახით შემონახული ნუმიზმატიკური ნიშნები უდავოდ მოწმობენ საქართველოს ეკონომიურ ურთიერთობას „ოქროს ურდოსთან", ერანისა და მცირე აზიის ქვეყნებთან და განსაკუთრებით ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებთან. უკანასკნელებმა, როგორც ცნობილია, ფრიად ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა გააჩაღეს XIII—XV საუკუნეებში როგორც ელხანთა, ისე ჯუჩიანთა [-„ოქროს ურდო"] სამფლობელოებთან... ამავე დროს მათ გარკვეული პოლიტიკური წარმატებები აქვთ ყირიმ-აზოვის ზღვის, თუ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე...

სათანადო დაკვირვებით დასტურდება, რომ ამდროინდელ ფეოდალურ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ხსენებულ ქალაქებს უპირატესი მნიშვნელობა ჰქონიათ.

შექმნილ ხელსაყრელ პირობების ნიადაგზე გასაგებია მე-XIV საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეთა სოციალ-პოლიტიკური თუ ეკონომიური ხასიათის რამოდენადმე წარმატებითი ღონისძიებანი.

საქართველოს პოლიტიკურად გამთლიანებისათვის წარმოებულ ცდას თან ახლავს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს გადაჭრას და მოაგვაროს საკითხები სახელმწიფო წესწყობილებისა [„ხელმწიფის კარის გარიგება"], სოციალურ ურთიერთობისა [სოციალური ფენები მთასა თუ ბარში, საბატონყმო დამოკიდებულება...], სისხლისა და სამოქალაქო სამართლისა [პარვა, ავაზაკობა, კვლა, უპატიობა, მკვრეხელობა, აღებ-მიცემა, ვაჭრობა, წინდი, ვედრი, ვალი, ვახში და სხვ].

ასეთი საკანონმდებლო საქმიანობა თავისთავად მოწმობს ამ დროისთვის შექმნილი მდგომარეობის გადასინჯვის აუცილებლობას.

დამახასიათებელია, რომ სახელმწიფო წყობილების საკითხებში კანონმდებლობის იდეალია მონღოლებამდელი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება... ასე რომ „ორისავე ტახტისა გამაერთიანებელი" გიორგი VI [1318—1346 წ.] არა მარტო ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანებას ცდილობს, მის დროს [და შემდეგაც XIV საუკუნეში] გარკვეული ცდა არის ჩატარებული საქართველოს პოლიტიკური წყობილების რესტავრაციისათვის [ერისთავების ცვლა, დარბაზი ცივზე, ჰყონდიდელისა და ათაბაგის საკითხი...].

წერილობითი ხასიათის ცნობებს აღნიშნულ ხანაში საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ წარმატებულობის შესახებ [არაბული, ბერძნული, ლათინური, ირანული და ქართული წყაროები] ეთანხმება და ავსებს მატერიალური ხასიათის ძეგლები [არქიტექტურა].

საყურადღებოა, რომ მე-XIV საუკუნის კერძო სამართლის ძეგლებში [„ძეგლის დება", „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე"] წოდებრივ საკითხებს და კერძოდ გლეხთა საკითხს ერთობ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ხსენებული კანონების შესწავლიდან აშკარა ხდება, რომ ეს საკითხი ფრიად გამწვავებულია და ხელისუფლებაც მის მოგვარებას ცდილობს.

ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით ბატონყმობის ჟურიდიული გამოხატულება—მიწის მწარმოებელი საზოგადოების მიწაზე მიმაგრება კარგა ხნის ფაქტია. ბატონს უფლება აქვს ოცდაათ წელს ეძიოს მკვიდრი ყმა. და ეს კანონი „პირველადვე დაწესებულია". ამ ნორმის გამოთქმა კანონმდებელთ აქ დასჭირდათ არა იმიტომ, თითქო მას ეხლა აწესებენ, არამედ იმიტომ, რომ ეხლა ამ ნორმის გვერდით მეორე ვადაც დააწესეს...

კანონმდებლობის შემდგომი საინტერესო მხარე, ესაა გლეხის იმ უფლების აღიარება, რომლის მიხედვითაც მიწის პატრონს უფლება არა აქვს გლეხი მიწას თვითნებურად მოაშოროს. გლეხის ინტენსიური მეურნეობის ეს ძირითადი პირობა, ჩანს, შერყეულია. ამიტომაც არის, რომ კანონმდებლობას საჭიროდ მიაჩნია გლეხის ამ უფლების განსაკუთრებით აღნიშვნა [რომ ასეთი საფრთხე რეალური იყო, იქიდანაც ჩანს, რომ კანონმდებლობამ სრულიადაც ვერ გადაარჩინა გლეხთა ეს ძირითადი უფლება ფეოდალების მხრით მიტაცებისაგან... და მხოლოდ მე-XVIII საუკუნეში და ისიც საქართველოს მხოლოდ ერთ ნაწილში, ქართლ-კახეთში, ადგილი აქვს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გლეხთა ამ უფლების აღდგენის ცდას...].

გლეხს უფლება არ აქვს გლეხივე ყმად იყოლიოს, იყიდოს და მკვიდრად დაიჭიროს: „ადგილი პატრონისაა" [მაინც და მაინც ამ მუხლიდან ჩანს, რომ ასეთ პრაქტიკას ადგილი ჰქონია XIII ს. საქართველოში...].

როგორც წესი, მიწის მწარმოებელი მიწის საკუთრების უფლებას მოკლებულია. „მიწა პატრონისაა" და გლეხის უფლება მოძრავ ქონებაზედაც კი შეზღუდულია. გლეხის ჟურიდიული პასუხისმგებლობა ერთი ქარით განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ერთი ქარი გლეხის ფაქტიურ ქონებას არ განსაზღვრავს, მაგრამ გლეხის მთელი ქონება ბატონის საკონტროლოა...

კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გლეხების ერთი ბატონიდან მეორესთან დენას, ბოგანოობას, რასაც, ჩანს, ამ დროისათვის მეტად არასასურველი სახე მიუღია... ომიანობა, შიმშილობა, ჭირი, უცხოური ხარკი, საბატონო ბეგარა, სამეფო და საეკლესიო გამოსაღები.—ყველა ერთად უტევს გლეხს, ისიც იბრძვის... და უსწორო ბრძოლაში უკანასკნელი საშუალება ბოგანოობაა... ამ ბრძოლაში, ბუნებრივია, გლეხი გლეხს შველის: ხელს უწყობს გაქცევა-დამალვაში, ან კიდევ შეიკედლებს ხოლმე და სხვა... კანონმდებლობა უკანასკნელი გლეხის ასეთ მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას მის ბატონს აკისრებს, ე. ი. ბატონებსა და ყმებს

შორის კლასობრივ ბრძოლაში კანონმდებლობა ბატონების შეკავშირებას ცდილობს გლეხთა ამ ბრძოლის საშუალების [ბოგანოობის] შესანელებლად.

ასეთივე ხასიათისაა კანონმდებლობის მუხლები იმის შესახებ, რომ ყოველი ფეოდალი მოვალეა მინდობილი გლეხი (უცხო) უსარჩლელად დაუბრუნოს თავის მკვიდრ ბატონს, რომ არავის აქვს უფლება ყმა დაუჭიროს მკვიდრ ბატონს იმ საბუთით, რომ შიმშილობის თუ სხვა რამ „ჭირის“ ჟამს მან „გამოზარდა“ ეს გლეხი...

კლასობრივ ბრძოლაში ბატონთა ორგანიზების გვერდით კანონის ეს მუხლები განსაკუთრებით წვრილ მებატონეთა სოციალურ გადარჩენასაც ისახავს მიზნად: ცხადია, ყმები პირველ ყოვლისა მათ გაურბიან და მსხვილ მფლობელთ მიუდიან; ეს სწორედ წვრილ მფლობელთ არ ძალუძთ შიმშილობის თუ სხვა „ჭირის“ დროს „ეპატრონონ“ თავიანთ გლეხებს...

საერთოდ მე-XIV საუკუნის კანონმდებლობას შერჩენილი აქვს წვრილ აზნაურთა [კერძოდ აზნაურ-მოსაკარგავეთა] დაცვა-გადარჩენის ძველი ტრადიციები... რა თქმა უნდა, ეხლა ეს კიდევ უფრო ნაკლებად იყო შესაძლებელი, ვიდრე XII—XIII საუკუნეებში, როცა ცენტრალური ხელისუფლების მხრით მათი გადარჩენის მცდელობისდა მიუხედავად ეკონომიურად და სოციალურად დიდად დაზიანდნენ ყმა-მოლაშქრეთა და აზნაურთა ფართე ფენები...

აღნიშნულ ეპოქაში საგარეო მშვიდობიანობა რამდენიმეხელ იყო დარღვეული. მონღოლებთან ურთიერთობის გარდა [ის ამ ეპოქაში სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია: გიორგი VI განთავისუფლდა მონღოლთაგან უკანასკნელთა სამფლობელოს პოლიტიკურად დაშლის წყალობით... მაგრამ მას ფორმალურად მონღოლთა უზენაესი მფლობელობა, ჩანს, არ უარუყვია... ამავე დროს გიორგი სასტიკ ბრძოლაში ამარცხებს და ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან სდევნის ერთ-ერთ ნოინს, რომელსაც მონღოლთა ასეთი ფორმალური უზენაესობის რეალიზაცია განუზრახავს და საქართველოს დასაპყრობად წამოსულა. ამავე საუკუნეში აღმოსავლეთ და სამხრეთ ა.-კავკასიაში სხვადასხვა დროს გარკვევით ჩანან მონღოლები „ოქროს ურდოდან“, ჯალაირიდები. ჩანს: საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ამ ეპოქის სიგრძეზე ყოველთვის ერთნაირი არაა და მისი დამოკიდებულებაც მონღოლთა სახელმწიფოებთან სხვადასხვაა...]. თურქთა შემოსევანი სიმპტომატურია. XII საუ-

კუნის 40-ან წლებიდან ისინი ოთხგზის შემოესივნენ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს [XIII ს. 40-ანი წლები—ვალაშკერტი, 80-ანი წლები—ტაო, XIV ს. 30-ანი წლები—კლარჯეთი, 60-ანი წლები—სამცხე, 1373 წ.], მართალია, თურქები ყველა ამ ომში დამარცხდნენ, მაგრამ მათ შემოტევათა დაჟინებითი ხასიათი და მიზნები—არა მხოლოდ მორბევა, არამედ ქვეყნის დაპყრობის სურვილი,—მაჩვენებელი იყო იმისა, თუ როგორი საშიში მეზობელი ვაჟკაცდებოდა ბიზანტიის მემკვიდრედ საქართველოს დასავლეთით...

საშინაო პოლიტიკურ ურთიერთობიდან XIV საუკუნისათვის ფრიად ნიშანდობლივია ს ვ ა ნ თ ა  გ ა ნ დ გ ო მ ა [60-ანი წლები].

„ბორგნეულობა“ მთას იმ დროიდანვე სჭირს, რაც ბარში მისგან განსხვავებული სოციალ-ეკონომიური წყობა წარმოიშვა... მთაზე ფეოდალური ბარის გავლენა, ბუნებრივია, მხოლოდ მშვიდობიანი გზით არ მიმდინარეობდა და მთაში ფეოდალიზმის დამყნა ხშირად სისხლიან წინააღმდეგობას ხვდებოდა... დიდო--ფხოველთა აჯანყება XIII ს. დასაწყისს, არაგვისა და ქსნის ხეობათა საკითხი გიორგი VI დროს, ოსთა ჩამოსხდომა და აზნაურთა „გასხმა მამულთაგან“ XIV ს. პირველ მესამედში, დვალთა აჯანყება XIV საუკუნის მიწურულს,—ყველა ესენი მთის ამ ბრძოლის ეპიზოდებია..

სვანებს ფეოდალურ ბარში დიდი ხანია „ავის მოხარკულთა“ სახელი აქვთ განთქმული... XIV საუკუნის სვანთა განდგომა შეიძლება პირველიც არ იყოს [ყოველ შემთხვევაში XIII საუკუნის 70—80-ან წლებში იმერეთში სათათრო გადასახადის გვერდით მოხსენებულია. გადასახადი „სასვანო“...]. უკუმდგარ სვანებს ქუთაისი დაურბევიათ... სვანეთი ეხლაც დაიმორჩილა ბაგრატ V [მთელი სვანეთი ასწერეს და მორჩილებაზე დააფიცეს]. მაგრამ ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება ბარის შემდგომ ძლიერებისაგან იყო დამოკიდებული...

ქრონიკული ცნობით XIV საუკუნის 50-ან და 60-ან წლებში ძლიერი „მ ო მ ს რ ვ ე ლ ი  ჟ ა მ ი“-ა აღნიშნული. სამწუხაროდ. ცნობა ერთობ მოკლე და ზოგადია და ამ მოვლენის სოციალური მნიშვნელობის შესახებ კონკრეტული მსჯელობის შესაძლებლობას არ იძლევა.

XIV საუკუნის 30-ან წლებიდან შექმნილი შედარებით ხელსაყრელი საგარეო ურთიერთობა ამავ საუკუნის 80-ან წლებში ერთობ მკვეთრად შეიცვალა. 1386 წლიდან იწყება აზიის დიდი დამპყრობელის. თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი ს  მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს ი  შ ე მ ო ს ე ვ ე ბ ი  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი. „თათართა“ ეს შემოსევანი თემურის სიკვდილის (1404) შემდეგაც გრძელდება და მხოლოდ 1415 წლიდან იწყება შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა.

აღნიშნული ოცდაათწლოვანი ეპიზოდი ერთერთი უსასტიკესი ხანაა საქართველოს ისტორიულ წარსულში.

გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის წყალობით ა.-კავკასია და კერძოდ საქართველო თემურლენგის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ამდენად საქართველოს წინააღმდეგობა თემურის გამანადგურებელი მახვილის უსასტიკეს მოქმედებას იწვევდა...

შედეგი: ციხე-ქალაქების თუ სხვა ნაშენობათა ნგრევა-განადგურება, ასობით სოფლების გადაბუგვა [700?], ხალხის შეუბრალებელი ჟლეტა, ათიათასობით დატყვევება-გადასახლება [60.000?]... და ასეთი „ტყუწნვა და რბევა" ხდება 30 წლის მანძილზე ფეოდალურ ურთიერთობის მძიმე პირობებში, როცა ომების თანამყოლი მოვლენების [სენი, შიმშილობა, მიმძლავრება-ძალადობა...]. არა ნაკლებ ანადგურებენ მწარმოებელ საზოგადოებას, ვიდრე უცხოელი მტრის ხმალი და ისარი...

მწარმოებელი საზოგადოების (უპირატესად) განადგურებას ბატონ-ყმობის პირობებში თან სდევდა ფრიად მძიმე შედეგები: ერთობ მძაფრად დაირღვა რიცხვობრივი პროპორცია ბატონებსა და ყმებს შორის უკანასკნელთა საზიანოდ, რასაც ბუნებრივად თანსდევდა გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება...

ცენტრალური ხელისუფლების [მ ე ფ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე 1412—1442 წ.] ცდა, ქვეყნის აღდგენისაკენ მიმართული, თავისთავად საგულისხმიერო ფაქტი, საკმაო არ ჩანდა მიყენებულ ჭრილობათაგან განსაკურნავად... თათრები ეხლა ვეღარ შემოდიან საქართველოში [„სამარადისოდ უკუქცეულ არიან"], აქ ჩამოსახლებულნიც განდევნეს და ამ ადგილებში ქართული ფეოდალური წესები აღადგინეს [ლორე...], დაკარგული პროვინციებიც რამოდენადმე დაიბრუნეს [სივნიეთი, შარვანი...], უკუმდგარი მთავრები ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიმორჩილა და საქართველოს მთლიანობა აღადგინა, აღადგინეს დანგრეული ნაგებობანი [1425 წ. დარბაზით გაჩენილი საამისოდ ყოველწლიური გადასახადი კომლის თავს]. აღდგენილ იქნა მცხეთის სამამულო მფლობელობაც... ყველა ეს და სხვა მსგავსი ღონისძიებანი, თუმცა სუსტი და ხანმოკლე, მაინც წარმატება იყო. მწარმოებელი საზოგადოების ძველის რაოდენობით აღდგენის საკითხი გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა... მეფე-ფეოდალები გამოისყიდიან ტყვედ წაყვანილთ, გადმოიბირებენ მეზობელ ქვეყნელთ, ელეხებად სხამენ შინაყმებს, მაგრამ ყველა ეს პალიატივი ჩანს და „პარტახტ"-„ნაოხართა" რიცხვი ამიერიდან ერთობ ნელა იკლებს

[ან თუ ერთ კუთხეში იკლებს, ეს უმთავრესად მეორე მეზობელი კუთხის „პარტახტთა" რიცხვის ზრდის ხარჯზე]... და ეს იმიტომ, რომ ამის მიზეზები თვით საზოგადოებრივ ურთიერთობაშია, რომლის რადიკალური მკურნალობა ეხლა ფეოდალებს აღარ ძალუძთ.

საქმე ისაა, რომ ერთობ შეცვლილია ძველთან შედარებით გლეხთა საბეგარო დამოკიდებულება. უზომოდაა გაზრდილი ბეგარა და ფეოდალებს ბეგარის შემსუბუქება, რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოსდით. პირიქით, საზოგადოების რიცხვმრავალი ფეოდალური ნაწილი მთელის სიმძიმით აწვება შემცირებულ ყმათა რიცხვს და, ბუნებრივია, ცდილობს საგადასახადო ვალდებულებათა კიდევ უფრო დამძიმებას... ხოლო უკანასკნელი გარემოება ძლიერ აფერხებს მწარმოებელ საზოგადოების რიცხვობრივ ზრდას [ბოგანოობა, სილატაკე, ავადყოფა, სიკვდილიანობა, გამრავლების ბუნებრივი თუ ხელოვნური შეფერხება...]. საილუსტრაციოდ: ბატონი მიზეზობს მოუსავლობას და მოითხოვს ბეგრის გადიდებას, მაგრამ საამისო საბუთად იყენებს ის კარგ მოსავლიანობასაც... მებეგრე, რა თქმა უნდა, ასეთ „საბუთს" არ ყაბულობს და იბრძვის, რაც ხშირად ბატონისათვის უსიამოვნოდ შეიძლება დამთავრდეს (აჯანყება, მკვლელობა, აყრა...). ამიტომ ფეოდალი სხვა გზას მიმართავს: უსამართლობას ნაკლებ თვალსაჩინოს, მაგრამ არა ნაკლებ ეფექტურს. ასეთია საზომ-საწყაოს გადიდება... შედეგი ისაა, რომ XII—XIII საუკუნიდან XV საუკუნის შუა წლებამდის პურისა და ღვინის ძირითადი საწყაო—ლიტრა ექვსჯერ არის გადიდებული. ამდენადვეა გადიდებული ceteris paribus, მაშასადამე, თავი ბეგარაც"... ლიტრის ეს თანდათანი გადიდებაც გლეხებისათვის შეუმჩნეველი არ იყო. იბრძვიან. ფეოდალი აძლევს გლეხებს პირობას, რომ ამიერიდან ლიტრას და კოკას არ გაუდიდებს მათ, არამედ „ძუელითა ცოტაითა" საწყაოთი აიღებს კულუხს [ღვინის ბეგარა], მაგრამ, თუ რამდენად სრულდებოდა ასეთი დაპირება, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ასეთი დაპირებანი არა ერთგზის გვხვდება, ხოლო ლიტრა [და მისგან დამოკიდებით სხვა საწყაონიც] შეუჩერებლივ იზრდება და XVIII საუკუნის დასასრულისთვის ის 10—12-ჯერ მეტია XIII საუკუნის ლიტრასთან შედარებით.

ბეგრის ასეთსავე ზრდას უჩვენებს გადასახადები: სახეობათა ზრდის შეუნელებელი ტენდენციაც. „თავი ბეგარა", ე. ი. ძველი ბეგარა [თუმცა, როგორც ზემორე შევნიშნეთ, ის მხოლოდ ნომინალურადაა ძველი რაოდენობის, ნამდვილად კი ის რამოდენიმეჯერაა გაზრდილი-] ეხლა მხოლოდ ერთი ნაწილია [და ისიც მცირე ნაწილი] საერთო ბეგარისა. „თავ ბეგა-

რას“ თან ახლავს აურაცხელი სხვა გადასახადი [დამატებითი ბეგარა], ძღვენი, რომლის რაოდენობა წელიწადში ასეთივე ზრდის ტენდენციას იჩენს, შესაწევარი [სადღებედნიერო, საშავდღისო], სამსახური, მუშაობა, რომელიც წელიწადში რამდენიმე დღიდან „ნიადაგ მუშაობამდის“ გაზრდილა...

ეხლა, თუ ამას დაურთავთ გადასახადებს: ს ა მ ე ფ ო ს, ს ა ქ ვ ე ყ ნ ო ს, ს ა მ ო ხ ე ლ ე ო ს, ს ა ე კ ლ ე ს ი ო ს და ხ ა რ ჯ ს უცხო დამპყრობელთათვის [რაც თითქმის მუდმივი იყო ჩვენს ნაგვიანევ საუკუნეებში] და ყველაფერი ეს უხეში ძალის ბატონობისა, სუსტის გაუკითხაობისა და შიშველ მიმძლავრება-ძალადობის პირობებში,—მაშინ გასაგებია, თუ ფეოდალური საქართველოს განვითარება შეფერხდა, რომ გლეხთა რენტის სიდიდემ ისეთ მოცულობას მიაღწია, „რომელიც შრომის პირობების, თვით საწარმოო საშუალებების რეპროდუქციას სერიოზულად აფერხებს, წარმოების გაფართოებას ბევრად თუ ცოტად შეუძლებელს ხდის და უშუალო მწარმოებლები საარსებო საშუალებათა ფიზიკურ მინიმუმამდე დაჰყავს“ (მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ. II, ქართ. გამოც., გვ. 315).

ასეთ ურთიერთობამდის მისული საზოგადოების განვითარება დიდის ხნით შეიძლება შენელდეს, შედგეს [„ჩ ი ხ ი“]. მაგრამ ის ამ ურთიერთობის შემდგომ გაუარესებისას შეიძლება რეგრესის გზითაც დაექანოს...

სამწუხაროდ, საქართველოს განვითარების საშინაო და საგარეო პირობები XV საუკუნეში სწორედ ვერ იყო ისეთი, რომელიც ამ „ჩიხიდან“ საზოგადოების გამოსვლას ხელს შეუწყობდა...

---

# ОЧЕРК ИЗ ИСТОРИИ РАЗВИТИЯ ФЕОДАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ В ГРУЗИИ (XIII—XVI вв.)*

К XII веку Грузия достигает высокой ступени феодального развития. К этому времени крепостничество в стране становится господствующей формой социальных отношений.

В феодальной Грузии утверждение крепостничества шло под знаком дальнейшего социального порабощения класса бывших лично-свободных земледельцев («цурили эри», «кма»). Ко второй половине XIV века «кма» наряду с «глехи» (слой лично несвободных земледельцев) прикреплены к земле феодала, и последний в продолжение 30 лет не теряет права искать и вернуть обратно беглого крепостного, причем законодательство считает эту норму — тридцатилетнюю давность — «ранее установленной».

Такое социальное порабощение было следствием глубоких экономических изменений в жизни класса бывших свободных земледельцев.

За период времени X—XIII веков, в эпоху быстрого развития феодального хозяйства, этот слой непосредственных производителей в борьбе со все более усиливающимися крупными азнаурами терпит жестокие экономические стеснения, становится все более и более неспособным нести сословные обязанности (угощения патрона, служение и война) и постепенно переходит в ряды «глехи» (крепостные, барщинники, оброчники).

Совершенно естественно, что с этих пор в феодальной Грузии крепостной называется «глехи» независимо от того, происходит ли последний от свободных («эри») или несвободных («мона», «глехи») слоев дофеодального грузинского общества.

Борьба «дидебулов» (высшая феодально-служилая знать) с царской властью за вотчинную систему владения («мамули») и за иммунитет («шеувалоба») была политическим явлением, сопутствующим вышеуказанному социально-экономическому процессу торжества крепостничества.

---

* პირველად დაიბეჭდა 1938 წ.

Несмотря на энергичные мероприятия центральной власти (при Баграте III—конец X века, Давиде II—начало XII века и Георгие III—втор. половина XII в.), направленные в конечном счете к удержанию класса бывших свободных земледельцев в безраздельной эксплоатации короной и ее социальной опорой и к защите от окончательного закрепощения его крупными азнаурами, царской власти суждено было понести в этой борьбе поражение: этого требовало дальнейшее развитие производительных сил и производственных отношений феодальной Грузии.

К концу XII века (эпоха царицы Тамары) дидебулы добились политических прав на соучастие с царской властью в проведении основных мероприятий по управлению страной,—прав, совершенно достаточных для обеспечения себе успеха в дальнейшей борьбе за систему феодов, за иммунитет.

К началу XIII века социальный строй феодальной Грузии представляется в следующем виде: класс феодалов—это царь, азнауры и церковь (с монастырями). Среди различных категорий азнауров высшее место занимают «дидебули азнаури» (высшая феодальная служилая знать). Этот экономически сильнейший слой феодалов имеет тенденцию к еще большему усилению и, на почве победы системы «мамули» (феодов),—тенденцию к совершенному обособлению от азнауров в новое высшее феодальное сословие.

За дидебулами следуют азнауры различных категорий, социальный облик которых в конечном счете определяется их происхождением, экономическим состоянием и служилым положением.

Слой мелких азнауров многочислен. Экономическое положение мелких азнауров неустойчивое. Они находятся перед постоянной опасностью обезземеления и тем самым—под угрозою социального принижения. Тяжелыми оказываются их сословные обязанности: война и сопровождение патрона (то и другое—при непременном соблюдении достойного азнауру этикета).

Ниже азнауров стоят «мсахури» (слуги). В феодальном обществе этот слой переходящий. Мсахури — земледельцы, чем они социально родственны «глехам», сословные же функции «мсахуров» не крестьянские: война, служение и угощение патрона. По мере нарастания в феодальном обществе крепостнических отношений, слой «мсахуров» испытывает все большее экономическое стеснение и социальное принижение. Война, служение и «достойные его положения» угощения патрона оказываются слишком тяжелыми для этого слоя производительного класса и, все более и более разоряя, гонят его в лагерь «глехи».

«Глехи» (барщинник, оброчник, крепостной) — широкий социальный слой. Количественно этот слой растет, причем происходит это не только путем естественного размножения. Посаженные на землю военнопленные, или приютившиеся беглые крестьяне, или ставшие оброчными обедневшие мсахури—все они «глехи».

Социально «глехи» не однородный слой. «Наскиди» (купленный), «шецирули» (пожертвованный), «нацкалобеви» (пожалованный), «небиери» (добровольный), «гарет-мосули» (извне пришедший)—эти и подобные им названия указывают на различные социальные категории в широком слое «глехи».

Общее характерное для всего класса крестьян—это барщина и оброк, которые несут эти крестьяне в пользу землевладельца. Но в зависимости от различных условий эти повинности бесконечно разнообразны.

И экономически земледельческий слой общества не однороден. На крестьянском «фудзе» (нормальная единица крестьянского землепользования) зачастую сидит не один дым. Наряду с этим встречаются крестьяне, покупающие от соседей-крестьян или берущие у феодала в аренду часть или целиком другой «фудзе». Законодательство XIV века предусматривает крестьян, владеющих крестьянами же...

Особо следует отметить парцелярных крестьян. Так что из одного края Грузии в другой бороздят не одни лишь караваны торговцев и воины, но ходят и ремесленники или крестьяне «заработать что-либо (для изыскания) средства против бедности своей».

Категорию зависимых составляли и «сахлеулни» (домашняя челядь) —слой лично несвободных людей, лишенных собственного хозяйства, живших при дворе феодала и обслуживавших домашние нужды этого двора.

В городах живут (по преимуществу) торговцы, ремесленники и «глахаки» (убогие, неимущие). Торговцы имеются различных категорий. «Дидвачари» — это слой экономически наиболее сильных и социально привилегированных торговцев. «Дидвачари» — не только торговые дельцы. Весьма часто они выполняют важные политические поручения по сношению с иностранными государствами; они руководят городской жизнью и пользуются в стране немалым политическим влиянием.

Привилегирован и слой средних торговцев, так называемых «мокалаке» (буквально горожане).

В городах проживают и торговцы-крепостные (царя, азнауров, церкви). Разумеется, они без каких-либо привилегий и, наряду с крепостными крестьянами, могут быть пожалованы, пожертвованы, проданы или каким-либо другим обра-

зом уступлены одними владельцами в собственность другим. Ремесленники живут цехами.

Число городов достаточно велико. В X—XII веках царская власть в борьбе с высшими феодалами ведет упорную политику непосредственного владения городами и уступает их в вотчину дидебулам с меньшей охотой, чем любой другой объект владения. Политические симпатии городов в этой борьбе на стороне царской власти...

С победой феодалов (конец XII века) города все более и более переходят в их руки во временное пользование (в кормление) или в вечное владение... В начале XIII века, например, один из наиболее крупных феодалов владеет пятнадцатью «большими» городами.

Особенно нужно отметить большое количество городов-местечек, мелких торгово-ремесленных пунктов, обслуживающих по преимуществу близлежащие сельские округа.

Церковь — большая феодальная организация. Одна лишь мцхетская кафедра (каталикосат) владеет сотней с лишком деревнями. Такими же феодальными владельцами являются многочисленные епископские кафедры и монастыри.

Служители церкви набираются из двух классов: азнауров—высшее духовенство и крестьян — низшее, сельское духовенство.

Долгая борьба церковников из демократических слоев феодального общества за бессословность духовенства (Георгий Афонский—XI в.)—борьба, энергично поддержанная царской властью (Давид II—XII в.), в условиях социально-экономических успехов слоя высших феодалов—терпит неудачу, и знатность и происхождение («гуари») приобретают решающее значение, как в среде «белого», так и «черного» духовенства.

Наряду с общими интересами азнаурские и крестьянские слои церковнослужителей имеют и различные интересы. Сельские священники и в духовном сане остаются крестьянами же и несут все тяготы своего класса.

Управление церковными владениями—феодально-коллегиальное. Дела по управлению церковными владениями каталикосы и епископы решают «в присутствии и по единой воле всех детей церкви» (т. е. группы наиболее сильных церковных азнауров).

Коллегиально и управление монастырским имуществом. Мамасахлиси (игумен, архимандрит) «по единой воле всея братии» решает монастырские дела. Но к XIII веку эта «братия» уже не едина. К этому времени обитатели монастырей делятся на «старших» и «младших» братьев, из которых лишь первые участвуют в управлении монастырскими делами. С

этих пор эта привилегированная часть — старшие братья—и выступает вместе с мамасахлиси от имени «всея братии».

Наконец, следует отметить слой «глахаки» (убогие, бедняки). Это — окончательно разбитые в классовой борьбе, деклассированные, отстраненные от хозяйства и живущие милостыней элементы. К началу XIII века их чувствительно много в Грузии, как в городах, так и в деревнях. Характерно, что эти убогие в указанное время являются предметом особых забот центральной власти: в пользу «глахаков» шла десятая часть доходов царства...

Население горных районов более однородно. Хотя медленно, но все больше и больше горные районы подвергаются социальному и культурному влиянию равнинной (феодальной) Грузии. Феодальные отношения с трудом, но постепенно пробивают себе путь в нагорные районы. Горцы непокорны, волнуются, восстают...

Описанной социальной картине соответствует развитая феодальная экономика. На должной высоте стоит сельское хозяйство (с развитой мелиорацией), ремесленное производство и торговля. Наиболее развитые виды сельского хозяйства: животноводство (овцеводство, коневодство), плодоводство, хлебные культуры, пчеловодство, шелководство, льноводство, хлопководство и виноделие. Последний вид сельского хозяйства в означенную эпоху имел исключительное значение...

Предметы импорта—в первую очередь дорогие товары для потребления феодалов: златотканные и парчевые материи, пушнина, дорогое оружие и другие доспехи, дорогая посуда из металла или фарфора, драгоценные камни и другие украшения, парфюмерия и пряности и т. д.

Из предметов широкого потребления привозилось железо, соль, сушеная рыба и, нужно полагать, хлеб...

Предметами внутренней торговли выступают самые разнообразные товары, начиная с лаптей и глиняных кувшинов и кончая городами и селами с их населением.

*
* *

К 20-м годам XIII века грузинское феодальное государство простирало свою власть далеко за пределы Закавказья...

Предметом дальнейшей агрессии на юге намечался Хлатский султанат (на берегу озера Ван) с большим торговым путем из Ирана через Тавриз к Леванту. На востоке Грузии платили дань ряд эмиров иранского Азербайджана. На юго-западе данниками Грузии были эрзерумский эмир и эрзингянский султан, на западе же вассалом выступала Трапезундская империя, греко-картвельское политическое обра-

зование, созданное при ближайшем участии Грузии в самом начале XIII века. В отношении Ширвана Грузия ведет совершенно иную политику. Тут она не довольствуется данью и стремится к полной инкорпорации края.

Средства и характер агрессии Грузии отличны и в отношении За- и Предкавказских горских племен. Как более развитая феодальная страна, Грузия тут выступает рассадницей феодальной культуры, христианства. Намечается грузинизация горных народностей... Вассалами Грузии в Предкавказьи были государства Кашагов, Осов и Хундзов.

Все эти вассалы-данники считались странами вне «всея Грузии». В последнюю же входили, кроме этнически грузинских племен, вся закавказская Армения и большая часть Ширвана. «От Никопсии до Дербента безраздельно властвующими» титулуются грузинские суверены, выступающие царями абхазов (читай Западная Грузия), картвелов (чит. Картли и Месхети), ранов и кахов (чит. древняя Албания и Кахети), и сомехов (грузинское племя на юго-востоке Картли), шаханшахами (титул анийских армянских царей) и ширваншахами (титул ширванских царей).

Во главе государства находится «царь-царей». Дела по управлению страной «богуравный» царь решает «в присутствии и во единой воле дидебулов», т. е. с участием Дарбази. Такое ограничение царской власти, явившееся следствием победы политических выступлений феодалов в 1178—1190 годах, тяготило царей, безуспешно пытавшихся дать дидебулам политический реванш (Георгий Лаша, сын царицы Тамары).

Центральное управление страны осуществляется и через «савазиро»—совет царя и вазиров—окончательно оформившегося, нужно полагать, по инициативе Давида Строителя (1089—1125) и Георгия III, отца Тамары. Вазир — высшее должностное лицо, возглавлявшее ту или иную отрасль управления... В савазиро входили царь, шесть вазиров и два их помощника.

В провинциях управляли эриставт-эристави (буквально: воевода воеводов), которые выступали не как представители какой-либо одной отрасли управления провинцией, но ведали более или менее полностью всеми отраслями управления, назывались «сидящими на местах царей» и, естественно, стремились к полноте власти, к суверенитету.

* * *

С 20-х годов XIII века страны Ближнего Востока наводняют новые волны кочевников из Центральной Азии во главе с монголами.

После долгих опустошительных войн они сломили сопротивление феодальной Грузии и с 40-х годов XIII века страна окончательно подпадает под долгое владычество монголов.

Монгольское владычество имело для Грузии весьма тяжелые последствия. Вся вторая половина XIII века и первая треть XIV в.,—эпоха непосредственного владычества монголов, являют нам бесспорные признаки экономического упадка и хозяйственной деградации страны.

Владычество монголов в Грузии делится на несколько периодов.

Первый—это период от завоевания ими страны до ее первой переписи (1255 год).

Тяжесть монгольского господства за этот период не столько в дани (пятьдесят тысяч золотых), сколько в постоянных дальних войнах, непривычных и невыносимых для феодального общества. Особенно разорительны эти дальние и долгие войны были для земледельческой части грузинского феодального войска.

О настроении грузинского феодального обществе за этот период свидетельствуют указания источников о неоднократных заговорах феодалов с целью восстания против монголов.

Переписью страны 1253 года начинается второй период господства монголов в Грузии.

К этому времени монголы в основном закончили завоевания чужих стран. Уменьшился приток военной добычи, и огромные издержки величайшего государства с этих пор покрывались главным образом данью с подвластных народов.

Сообразно с этим последовавшее за переписью обложение данью оказалось невыносимо тяжелым для грузинского феодального хозяйства.

Кроме фискальных, перепись преследовала также и военные цели. Личным физическим участием или соответственным платежом грузинский глехи (крепостной) с этого времени обязан был вместе с феодальным классом нести тяжесть военной службы в дальних монгольских походах.

Ко всему этому нужно прибавить еще одно зло: бесконечные и безнаказанные злоупотребления чиновников (сборщиков) или откупщиков при сборах монгольской дани...

В лице монгольской власти на класс непосредственных производителей грузинского общества насел еще один новый эксплоататор. В то же время прежние повинности (царские, общественные, чиновничьи, церковные, феодальные и т. п.) не только остались, но некоторые из них сильно возросли.

Монгольская дань быстро исчерпала скудные денежные ресурсы натурального феодального хозяйства. Деньги вздо-

рожали. Раньше всего это явление жестоко ударило по классу непосредственных производителей. Все труднее приходится доставать деньги для дани. Ростовщики расправили крылья: берут сорок пять процентов и больше.

Положение крестьян становилось невыносимым; для них ведение хозяйства теряет смысл: доходы с последнего не покрывают дани и феодальных платежей и притесненные со всех сторон непосредственные производители массами прибегают к последнему средству классовой борьбы в феодальном обществе: делаются «богано» и «хизанами» (беглые). Пустеют вотчины феодалов. Но подобное явление теперь опасно для землевладельца: за исправность платежа монгольской дани в конечном счете ответствен землевладелец... И феодал спешит избавиться от опустевших от крестьян земель, лишаясь тем самым основной опоры своих социально-экономических преимуществ... «В те времена много земель распродалось по причине (монгольской) дани, золото (деньги) стоило дорого, да деревни дешево (стоили)».

Мельчают одни феодальные фамилии, выдвигаются новые, успевшие и при монгольских условиях обеспечить свои социально-экономические преимущества. Это—чиновники при монголах, тарханы, хаси, откупщики дани, торговцы дорогими (феодальными) товарами, спекулянты и т. д. Они покупают опустевшие земли, к ним бегут хизаны...

Из феодальных классов, естественно, труднее всех приходится мелким азнаурам. От них, главным образом, бегут крепостные. Об этом в законодательстве XIV века находим совершенно определенные указания.

За счет обеднения мелких азнауров еще больше усиливаются дидебулы...

Центральная феодальная власть пытается спасти мелких азнауров от окончательного разорения. В этих целях законодательство силится притянуть весь феодальный класс к единому фронту в борьбе с хизанством...

Экономически стесненные феодалы взялись за церковь. Начали отбирать у церкви пожалованные их предками земли. Угрозы собора духовенства (1263 г.) безуспешны.

При политическом господстве монголов-кочевников вновь завязывалась вековая борьба между двумя взаимно друг друга исключающими системами средневекового хозяйства—кочевым скотоводством и оседлой агрикультурой. Эта борьба не раз ставила под вопрос не только будущее феодальной Грузии, но и самое физическое существование грузинского народа... Успешно разрешенная в пользу Грузии на рубеже XI—XII веков (отражение наступления кочевников — турок-

сельджуков при Давиде II), борьба эта при монголах возобновилась в более невыгодных для Грузии условиях...

С утверждением монгольского владычества агрикультура Грузии постепенно теряет территории, имеющие огромное значение для дальнейшего развития феодального хозяйства. Земледельческое население плодоносных речных долин Куры. Иори, Храми и Дебеды все дальше отступает под напором кочевников-степняков и культурное хозяйство этих территорий с развитой мелиорацией уступает место первобытным пасбищам.

Но трудности этим не исчерпывались. Утверждение кочевого скотоводства в речных долинах предполагало также захват степняками для летнего кочевья высокогорных пастбищ, занятых либо стадами грузинских феодалов, либо земледельческим населением. Поэтому грузинское феодальное хозяйство с победой кочевников вытеснялось не только с плодородных речных долин, но и с наилучших высокогорных районов... Труднодоступные горы, маломощные холмы и непроходимые леса оставались уделом побежденных.

С 60-х годов XIII века начинается междуусобная война между Золотой ордой и Ильханами. Наступает Золотая орда, и война протекает, главным образом, на территории Закавказья. Последствием этих войн, помимо жестоких опустошений целых краев, было перемещение большого караванного пути с Закавказья на юг, в силу чего феодальная страна лишается немалых доходов...

Все эти явления, вместе взятые, создают условия, задерживающие дальнейший хозяйственный рост феодальной Грузии. Наряду с падением сельского хозяйства, падает ремесло и торговля. В таких условиях монгольская городская дань оказывается непосильной обедневшему населению городов... Мельчают и постепенно пустеют крупные феодальные города. Бегут ремесленники и мелкие торговцы, а за ними, наконец, и старейшины города... Много городов-местечек совершенно видоизменяются; они превращаются в деревни... Совершенно пустеют придорожные села. Население бежит от тяжелых дорожных обязанностей (ямские службы).

При монгольском владычестве высшие грузинские феодалы («дидебулы», «мтавары») в борьбе с царской властью за иммунитет имеют еще больший успех. Монгольская власть тут оказалась на стороне феодалов. В целях ослабления сил грузинского царя монголы искусно использовали феодальную систему мтаваров (влад. князей), оформлявшуюся в Грузии уже к началу XIII в. Они благосклонно признали за мтаварами феодальные права на вверенные им территории, а непосредственным подтверждением этих прав от хана (ханские

ярлыки) эриставы (мтавари) становились на деле недоступными власти грузинского царя. Источники неоднократно подчеркивают это политическое согласие монголов с мтаварами в ущерб царской власти: «из боязни перед ханом», говорится не раз, «царь не мог смещать своих эриставов».

Монголы не коснулись социально-экономических устоев грузинского феодального общества и дидебулы, убедившись в безопасности своих сословных преимуществ, тем легче уступили во всем остальном и безусловно примирились с господством пришельцев. Враждебные к ним вначале настроения быстро исчезли, и грузинская высшая феодальная знать в своем большинстве в общем верно начинает служить поработителям грузинского народа. С 60-х годов XIII века дидебулы не только не восстают против чингизидов, но наоборот, не раз выступают на стороне монголов и вместе с ними—против восстававших народных масс.

В деле развязывания сил феодального партикуляризма в Грузии монголы сделали еще больше. В 50-х годах XIII века монгольский хан утвердил на грузинском престоле одновременно двух царей—внуков царицы Тамары, поддержанных двумя группировками дидебулов. От этих двух царей и пошли две царские династии грузинских Багратидов, утвердившихся позднее в двух отдельных грузинских царствах: лихтимерском (Западная Грузия) и лихтамерском (Восточная Грузия).

На пользу феодального дробления страны действовал и монгольский институт «инджу» (предоставление данной территории в удел, в кормление, тому или иному монголу-царевичу, чингизиду). Имея «собственного» высокого «покровителя», территория «инджу» во главе с мтавари тем легче выходила из-под власти грузинского царя...

Ильханы не обеспечили внешнего мира покоренным народам, и Грузия в эпоху монгольского господства, лишенная собственной политической инициативы, не раз становилась объектом жестоких опустошений от степняков или горских племен.

Экономическое разорение страны, увеличение экстенсивной формы хозяйства за счет интенсивного, увеличение гнета феодальных повинностей и дальнейшее социальное порабощение класса непосредственных производителей, социально-экономическое принижение мелких азнауров, усиление (социально и политически) сословия высших феодалов, ослабление центральной политической власти и усиление тенденции феодального дробления — вот что явилось последствием почти столетнего непосредственного владычества монголов в Грузии.

К 30-м годам XIV века Грузия платила монголам дань в 120 туманов и две тысячи динаров. Выясняется (Ак. В. Бартольд), что платежеспособность Грузии в это время больше платежеспособности многих других подвластных Ильханам стран. Это — интересное свидетельство о большой рентабельности грузинского средневекового хозяйства XI—XIV веков, с большим успехом, чем соседние страны, выдержавшего разрушающее влияние монгольского гнета.

С 30-х до 80-х годов XIV века экономическое и политическое положение Грузии улучшается. Государство Ильханов приходит в окончательный упадок и вскоре прекращает единое политическое существование, разбившись на ряд мелких политических образований (50-ые годы XIV века). С 30-х годов Грузия постепенно выходит из-под власти монголов. Страна освобождается от платежа огромной дани и сопутствующих взиманию этой дани притеснений.

В означенную эпоху благоприятны и внешнеполитические условия. Ни наследники Ильханов (Чобаниды, Джалаириды и т. д.), ни другие соседи, дальние или близкие (турки-османы, Мисp, Византия, Золотая орда) не создают непосредственной угрозы завоевания Грузии. Одни из них уже ослаблены, другие недавно образовались и только крепнут; ни у тех, ни у других нет еще достаточных сил для успешного выполнения таких задач.

Но экономические сношения с этими странами налицо. Показания письменных источников и нумизматические факты свидетельствуют о наличии оживленных экономических связей Грузии XIV века с Золотой ордой, со странами Ирана и Малой Азией, и, в особенности, с городами-государствами Северной Италии. Последние в XIII—XIV веках завязали с монгольским миром весьма оживленные торговые сношения. Одновременно они имеют по северному и восточному побережьям Черного и Азовского морей определенный политический успех...

Соответствующими изысканиями, бесспорно устанавливается: в означенную эпоху северо-итальянские города-государства во внешней торговле феодальной Грузии имели первостепенное значение...

Дошедшие до нас памятники материальной культуры того времени (архитектурные памятники) подтверждают показания письменных источников о политическом и экономическом усилении Грузии в XIV веке.

На основе создавшихся выгодных условий становятся понятными успешные мероприятия грузинских политических деятелей XIV века.

Мероприятия центральной власти (Георгий VI, 1318 — 1346) по территориальному объединению страны, фактически

разбитой при монголах на несколько частей, сопровождаются значительной законодательной деятельностью. Последняя ставит своей целью упорядочить вопросы права государственного и частного (политический и административный строй государства, социальные взаимоотношения, вопросы уголовного и гражданского права).

Характерно, что в вопросах государственного устройства идеалом законодательства является домонгольская Грузия, «объединитель двух престолов», Георгий VI, силится не только территориально, но и политически реставрировать Грузию эпохи Тамары.

Подобные мероприятия теперь, в условиях окончательно оформившегося господства крепостничества и феодального иммунитета, выглядят политической романтикой, но возможность подобной попытки и ее частичный успех все же указывают на некоторое наличие соответствующих благоприятных моментов...

Особое внимание обращает на себя факт: в памятниках права сословным вопросам, в частности крестьянскому вопросу, уделено много места. Положение крестьян в ряду других сословий, различные категории крестьян, отношения крестьян к земле, отношение их к землевладельцам—феодалам, вопросы прикрепления крестьян к земле, вопросы хизанства, право крестьян на движимую собственность, право наследства—вот основные вопросы крестьянского сословия, упорядочение которых ставит себе целью законодательство XIV века.

Как выше упоминалось, прикрепление основной массы крестьян к земле в XIV веке давно совершившийся факт. Это видно из всего законодательства о крестьянах, в частности с ясностью, не оставляющей место для сомнения, об этом говорит 78-ой параграф законов Беки и Агбуги (законодатели XIV века).

Упомянем еще об одном параграфе названного законодательства о крестьянах. Феодал не имеет прав по произволу сгонять крестьянина с занимаемой им земли. Словом, не только крестьянин к земле, но и земля прикреплена к крестьянину. Последнее обстоятельство есть основное условие для интенсивности крестьянского хозяйства при феодальных отношениях. Оно, нужно полагать, находится под угрозой уничтожения; потому-то законодательство находит нужным специально подтвердить право крестьян на вечное пользование землей феодала. Что такая угроза была реальной, видно из дальнейшего: несмотря на подобные законодательные акты, феодалы все же захватили постепенно право произвольного распоряжения и крепостными и занимаемыми ими землями. Только в XVIII веке, и то лишь в одной части Грузии, цел-

тральная власть вновь делает попытку восстановить это основное условие для интенсивности крестьянского хозяйства.

Благоприятная внешнеполитическая ситуация не пережила своего пятидесятилетия и к концу XIV в. она резко ухудшается. С 1386 года начались неоднократные жестокие вторжения в Грузию знаменитого завоевателя Азии Тамерлана. Со смертью Тамерлана (1404 г.) не прекратились опустошительные вторжения в Грузию его «татар», и лишь с 1415 года устанавливаются с соседним Востоком сравнительно мирные отношения.

Означенное 30-летие—одна из самых жестоких эпох в истории Грузии.

В силу определенной политической ситуации Закавказье и, в частности, Грузия оказались в центре завоевательных планов Тамерлана. Поэтому упорное и мужественное сопротивление Грузии вызывало самые жестокие опустошения со стороны завоевателя. Средствами борьбы Тамерлана были: разрушение капитальных строений (дворцы, замки, церкви и т. д.), вырубка и уничтожение культурных сельскохозяйственных насаждений (виноградники, тутовые деревья, орешники, фруктовые сады), разрушение и выжигание сел и деревень (придворный историк Тамерлана сообщает, что во время одного вторжения полчища грозного завоевателя выжгли в Грузии семьсот (?) сел), физическое истребление или выселение пленных в далекую Центральную Азию (сохранилось сведение, что Тамерлан выселил шестьдесят тысяч пленных из Грузии)...

Такие «пленения и опустошения» (в битвах с этими «татарами» погибли цари Георгий—1407 г. и Константин — 1411 г.) происходят, как мы указывали выше, на протяжении тридцати лет в тяжелых условиях средневековья, когда сопутствующие долгой войне «естественные» явления (голод, мор) несравненно эффективнее действуют на физическое вырождение и истребление производительных классов (по преимуществу), чем лук и меч врага...

Но были последствия еще более глубокие. Слишком резко нарушалось численное соотношение между владельческим и производительным классами феодальной Грузии. Диспропорция шла за счет класса крестьян, и это явление, естественно, глубоко отражалось на его социально-экономическом положении, на крепостнических взаимоотношениях.

Усилия царской власти (Александр I, 1412—1442 г.) и феодалов, направленные к восстановлению разрушенной страны и феодального хозяйства (факт сам по себе не маловажный и достойный внимания), оказывались недостаточными.

Татары больше (до 1400 г.) не приходят войной. Они изгоняются из занятых ими грузинских провинций (Лоре-Ташир), где феодальная власть спешит восстановить уничтоженное степняками-скотоводами грузинское феодальное землевладение. Идет успешная борьба с кочевниками за отвоевание Ширвана и Сюни.

Царская власть силится подчинить «мтаваров» и добивается в этом некоторого успеха. Нарушенное-было политическое единство феодальной Грузии вновь восстановлено. Принимаются меры к восстановлению разрушенных крепостей, храмов (с этой целью в 1425 г. с согласия Дарбази вводится подымный налог, упраздненный в 1440 году); восстановлено церковное (мцхетское) феодальное владение.

Все эти и подобные им мероприятия указывают на определенный, хотя и частичный успех центральной власти в деле восстановления страны. Но восстановить нарушенное количественное соотношение между классами оказалось задачей несравненно более трудной... Царь и феодалы выкупают пленных крестьян, переманивают к себе их с соседних стран, сажают на землю («делают крестьянами») домашнюю челядь, но все такие меры оказываются паллиативными; мало заметно уменьшение числа «партахтов» и «наохари» (выморочные, заброшенные, покинутые крестьянские хозяйства). Основная причина зла—в самих общественных отношениях; радикальное лечение этих отношений феодалам, конечно, не вмоготу. Оброк и барщина выросли непомерно, об облегчении этих повинностей феодалы, само собой понятно, и не думают. Наоборот, относительно многочисленный феодальный слой еще большей тяжестью ложится на плечи поредевших крепостных, старается соответственно увеличить крестьянские повинности (в этом они имеют несомненный успех). Создавшееся положение вызывает к жизни явления (беглость, хизанство, крайняя нужда, болезни, усиленная смертность, искусственные меры против размножения...), задерживающие нормальный, количественный рост крепостного населения. Для иллюстрации: господин, жалуясь на недород, требует от крепостного увеличения оброка, но так же «аргументирует» он свое требование и в случае обильного урожая. В первом случае он исходит от своей бедности, во втором — от достатка крепостного. Оброчник, понятно, не внимает аргументам крепостника и всеми средствами борется против таких посягательств. Борьба эта часто принимает опасную для господина форму (убийство феодалов, массовые восстания, бегство). Поэтому феодал для увеличения оброка предпочитает другие средства, — прибегает к несправедливостям менее

очевидным, но не менее эффективным. Таким средством оказывается постепенное и неуклонное увеличение емкости мер («литра», «кока», «коди»), которыми крепостной платит по обычаю оброк. Насколько в своем изобретении успевали феодалы, видно из того, что «литра», эта основная мера жидкости (вина) и сыпучих тел (хлеба) за три века (XII—XIV вв.) увеличилась против первоначального в пять-шесть раз. Это значит, во столько же раз увеличился оброк, номинально оставаясь без изменения.

Конечно, и такие средства не оставались незаметными для плательщиков. Борятся, требуют восстановления при платежах оброка «древних» (первоначальных) «малых» мер. Феодал клятвенно обещает..., но, в какой степени выполнялись эти обещания, заключаем из того, что литра (и, стало быть, кратные литре меры: «кока», «коди»), неуклонно увеличиваясь, к концу XVIII века оказались в 10 или 12 раз больше «древнего», «малого» своего прототипа. (Такой «общепринятой» мерой платили уже оброк крепостные в XVIII веке)[1].

Но оброк увеличивался не только в этом направлении. Неизменно растут виды оброчных обязательств. «Тави бегара» (главный, основной, древний, оброк), который, как заметили выше, несколько раз возрос против первоначального, теперь, в XV веке, составляет одну и то лишь меньшую часть всех крестьянских платежей феодалу. Наряду с «тави бегара» крепостной платит феодалу бесконечно-разные платежи, подводимые под общий термин «схуай бегара» (иной, другой, добавочный оброк), приносит «дары» (все растущие виды обязательных приношений) и «помощи» в дни несчастья или в дни счастья «батони» (господина), несет различные службы и барщину, которая с нескольких дней в году выросла до «работы постоянной», повседневной («шиадаг мушаоба»).

Теперь, если к перечисленному прибавить платежи и повинности царские, чиновничьи, церковные, а также дань иноземному поработителю (почти постоянное явление в эпоху позднего средневековья в Грузии) и все это в условиях господства голого произвола и насилия,—тогда станет понятным: развитие феодальной Грузии, развитие ее производительных сил затормозилось, рента достигла «такого размера, что является серьезной угрозой воспроизводству условий труда, самих средств производства, делает более или менее невозможным расширение производства и низводит непосредствен-

---

[1] Описанное явление впервые заметил и оценил проф. И. А. Джавахишвили.

ного производителя к физическому минимуму средств существования» («Капитал» III том, стр. 27).

В таком положении общество может долго коснеть, а при дальнейшем ухудшении условий оно может и регрессировать. К сожалению, внутренние и внешние условия развития Грузии эпохи позднего средневековья не были таковы, при наличии которых грузинское феодальное общество легко преодолело бы создавшийся «тупик».

XV век — эпоха дальнейшего роста политических прав высших феодалов. Мтавари еще более упрочили за своими «домами» территории, некогда пожалованные им царской властью в управление. Крупнейшие из них (Дадиани, Гуриели, Атабаги) добились и иммунитета. За ними следуют и более мелкие (характерно, что бывшие эристави—воеводы, позднее эриставт-эристави—воевода воевод, вместе с ростом своих политических прав, все более тяготятся своими старыми титулами, напоминающими им зависимость от царской власти, и предпочитают величаться «мтаварами»—владетельный князь).

Для создания удельных «царств» созрели все условия и члены царской династии не замедлят реализовать создавшиеся возможности. На протяжении XIV—XV веков появляются все эти удельные «царства» (Имерети, Рача-Аргвети, Аластани, Кахети, Савахтанго, Цкалс-икити, Мухрани...). Некоторые из них, выдержав борьбу с центром, остаются отдельными политическими образованиями во все дальнейшие века.

Слабый экономический базис объединения Грузии при господстве натурального хозяйства, сохранение самобытности отдельных племен теперь, при подходящих условиях, давали соответствующие политические ростки. После того, как крепостное право вошло в полную силу, а объединяющие страну слабые экономические узы еще более ослабли, после того, как поддерживающие централизацию социальные слои окончательно подпали под власть феодалов, и в то же самое время не народились новые,—в таких условиях распад страны на ряд отдельных политических образований (на «царства» и «княжества») стал вопросом времени.

Политический распад феодальной Грузии произошел в условиях окончательно победившего крепостничества и развившегося феодального иммунитета, вследствие экономического регресса и хозяйственной деградации, что в свою очередь явилось результатом весьма сложного переплета сословно-классовых и внешнеполитических отношений.

«Царь царей», т. е. центральная царская власть (Георгий VI, 1318—1346, Баграт V, 1360—1395, Георгий VII, 1395—1407, Александр I, 1412—1442, Георгий VIII, 1447—1466 и

Константин, 1478—1505), ведет постоянную борьбу против удельных «царств» и владетельных княжеств (самтавро), и эта борьба современем становится все более трудной (тут и внешнеполитические условия на руку феодалам), пока, наконец, центральная власть не вынуждается признать до поры до времени обособленное политическое существование Кахети, Имерети и Самцхе-Саатабаго (решение царского дарбази 1490 года).

Весьма характерно, как аргументирует дарбази (совет высших феодалов во главе с царем) свой совет царю отказаться от борьбы за политическое единство страны: «Так как имеретины и кахетинцы—говорят картлийские феодалы царью Константину—в твердой верности к своим избранным царям пребывают, а также самцхийцы (верны) атабагу, поэтому не советуем борьбу: если одолеем одного из них, другие не допустят (воспользоваться плодами победы),—будем ждать лучшего времени, когда вновь благоуспеет царствие твое»... Ясно, удельные «цари» и «мтавары» добились независимости от «царя царей» Грузии путем больших социальных и политических уступок своим вассалам. Только благодаря таким уступкам последние и предпочитают пребывать «в твердой верности» к своим непосредственным «патронам» (сюзеренам). Таким образом, в борьбе центральной власти с «царями» и мтаварами политически и социально усиливался местный феодал...

В дальнейшем этот процесс идет еще глубже, и каждое отдельное «сатавадо» (=территория фамильная или купленная, или пожалованная, образующая более или менее значительный феодальный «дом» — сеньорию) стремится к полной политической самостоятельности, суверенитету («хелмципоба») и некоторые из них, если не формально юридически, то фактически, достигают этого...

Из внешнеполитических отношений Грузии XV века следует отметить: на востоке от Грузии—в Иране—на всем протяжении XV века происходит борьба за преобладание между тимуридами и туркменскими племенами. Одолев соперника, каждый из них спешит для дани и наживы в соседнюю Грузию, которая кочевникам и теперь представляется «цветущей страной» (Джеханшах, Узун-Асан, Якуб-хан). Их политическое господство в Грузии непрочно. Грузины успешно используют междуусобную борьбу турко-татарских племен и быстро освобождаются от чужеземного ига. К концу XV века политическое преобладание в Иране окончательно завоевывают кизилбаши во главе с династией Сефевидов. Держава кизилбашей твердо унаследовала от своих политических предшественников агрессию по отношению к Закавказью и, в

частности, к Грузии. Дань, войско и принятие ислама—вот, что требовали Сефевиды, по свидетельству царя Константина, от грузинских царей. С этих пор и на протяжении двух веков значение соседнего Сефевидского Ирана для Грузии весьма велико...

Не меньшего значения политические явления имеют место в XV веке и на западе от Грузии. Усиление турок-османов начинается еще в XIII веке. К концу XIV века их государство становится грозной силой, представляющей реальную опасность для Константинополя. В 1402 году у Ангоры Тамерлан жестоко сокрушил главные силы турок и последние лишь через 50 лет, оправившись после этого поражения, могли вновь приступить к своей главнейшей задаче: завоеванию Константинополя.

В 1453 году, наконец, они завладели «Вторым Римом», в 60-х годах покончили с Трапезундским царством, в 1475 году отняли у Венеции и Генуи их торговые города на побережьях Черного и Азовского морей (Тана, Кафа).

Политические руководители Грузии, видно, хорошо учитывали всю опасность такого усиления турок. Этим объясняется, что цари и мтавары Грузии так живо поддержали политическую инициативу римского папы о «крестовом походе» христиан против мусульман-завоевателей Константинополя. Но подобное начинание папы теперь, в XV веке, оказывалось заранее обреченным на неудачу. Давно миновало то время, когда в интересах Рима и торговых городов Северной Италии можно было поднять и двинуть на дальнюю войну («для освобождения креста от неверных») рыцарство феодальной Западной Европы. Являющийся передаточным звеном между Западной Европой и Ближним Востоком Рим и северо-итальянские торговые города в жизни феодальной Европы теперь уже не играют столь исключительной роли. Экономический (и политический) центр Западной Европы находится в процессе перемещения с юга на север... И «святому» начинанию папы успешно «воспротивился сатана»: «крестовому походу» не суждено было состояться и Константинополь остался в руках «неверных агарян».

Тем более нереальным оказался грузинский вариант этого «крестового похода». Грузины не довольствовались проектом римского папы—освободить от турок только Константинополь и предлагали повести войну с целью окончательного сокрушения мощи турок и изгнания их из Малой Азии. Но, менее реальный для осуществления, этот план тем более характерен и указывает на ясное понимание его авторами всей тяжести положения, создавшегося для Грузии вследствие замены ее западно-византийского соседа турками...

Отход Западной Европы от интересов ближневосточных стран — факт большого отрицательного значения для развития Грузии в эпоху «Новых веков».

Северо-итальянские города после тщетных попыток вернуть потерянное (1538 г.) принуждены были примириться с господством турок-османов на Ближнем Востоке и проститься со своими привилегиями в Константинополе и владениями на побережьях Черного и Азовского морей.

Следствием этих происшествий было монопольное господство турок в торговле со странами Черноморского побережья, что оказалось для Западной Грузии несравненно тяжелее торговой монополии Византии, ставшей причиной восстания лазов и ирано-византийской войны в VI веке...

Начались и великие географические открытия (морской путь в Индию вокруг Африки, открытие Америки), и Ближний Восток еще более отодвинулся от политического кругозора уже опередивших Восток западно-европейских стран. Замер великий торговый путь из Европы в Индию, проходивший через страны Закавказья и Малой Азии, а за перемещением центра Европы на север последовало и открытие северного пути в Иран (через Белое море — Архангельск — Москва—Астрахань—Иран).

Замена господства кочевников-монголов в бассейне реки Волги владычеством Московского государства (XVI век), нет сомнения, факт положительный во внешнеполитических отношениях Грузии, хотя названный факт еще долго не мог компенсировать ущерба, понесенного Грузией вследствие хозяйничания турок на месте Византии и вследствие перемещения экономических и политических интересов стран Европейского запада от Закавказья и Малой Азии. Но как бы то ни было, а главный, если не единственный, путь из Грузии в уже передовую тогда Западную Европу с этих пор шел через Москву...

XVI век застал Грузию политически разрозненной на несколько частей. В Картли утверждается династия Багратидов от внука Александра—Константина Дмитриевича; в Кахети—потомки сына Александра I—Георгия (который, как выясняется, еще при жизни отца, а затем брата—«царя царей» Вахтанга—имел в удел Кахети и титуловался «царем»); имеретинский престол закрепляется за династией потомка Русуданы (дочери царицы Тамары), Баграта Димитриевича. Мтаварами (владетельными князьями) Месхети являются атабаги из феодального дома Джакели.

В 70-х годах XV века через Грузию в Иран и обратно проезжали вененецианские послы. Оставленные ими многосторонние сведения ясно свидетельствуют об экономическом

и культурном упадке стран Закавказья, в частности, Грузии. По этим сведениям картина Грузии неоднообразна. Восточная Грузия представляется им более благоустроенной и менее пострадавшей, чем западная, хотя Тбилиси, который еще в XIV веке при царе Георгие VI был «центром грузинского царства, наилучшим, весьма замечательным, многонаселенным, на весьма удачном месте и богатством полным городом»,—является теперь, в XV веке, по сведениям венецианских послов, хотя живым и бойко торгующим, но уже маленьким (с опустелыми посадами) городком.

По сведениям тех же послов, Ширван—восточный сосед Грузии — еще в лучшем состоянии, чем Восточная Грузия. Город Шемаха по этим сведениям мало в чем уступает Тавризу. К сожалению, послам не пришлось проехать через Месхети, о которой они только и знают, что атабаг этой страны уже признавал над собой суверенитет государства турок-османов...

Впечатление путешественников о неодинаковом экономическом состоянии разных частей Грузии полностью подтверждается и другими сведениями. Во в XVI—XVIII веках отдельные части Грузии на фоне общего упадка все же отличаются друг от друга не только по признакам экономического порядка. Разные природные, политические и исторические условия (горы, нагорье, равнины, соседство горцев, кочевников-степняков, развитых сельскохозяйственных стран, соседство развитого торгового пути или заглохших бывших путей, политическое соседство или господство Ирана, Турции...) создают почву для видовых отличий отдельных провинций.

При неразвитой средневековой технике природные условия сельского хозяйства в Западной Грузии несравненно тяжелее и неблагоприятнее, чем те же условия в Восточной Грузии. Средневековому производителю бороться с непомерной влажностью климата и болотами—совершенно не под силу. Тут он или пассивно приноравливался к условиям, или, где это оказывалось невозможным, убегал... Поэтому громадные пространства высокоплодородных речных долин оказывались совершенно неиспользованными, и средневековый производитель ютился на маломощных предгорьях и холмах, спасаясь от все больше надвигающихся болот и малярии. (На неблагоприятные климатические условия, на малярию в Западной Грузии жалуется не один средневековый источник). Но чрезмерная влажность климата и тут, на предгорьях и холмах, весьма ограничивала виды и размеры сельского хозяйства...

Исторические условия Западной Грузии в означенную эпоху оказывались наименее выгодными. Древний торговый

путь, связывающий Западную Грузию с Передним Кавказом и культурными странами Ирана и Малой Азии, путь, имеющий столь большое значение для развития страны, уже ко второй половине XV века (а с этих пор и во все поздние века), совершенно заглох, а в кавказской горной части он стал непроходим для мирных путешественников, тем более для торговцев: тут свирепствует разбой... Открытые морские пути для сношения со странами Причерноморья и более дальними, с усилением турок, как отмечено выше, оказались в их руках. С XVI века Черное море превратилось во внутреннее море отоманского государства и торговля с причерноморскими странами стала монополией турецких купцов... Наконец, политическое соседство турок, а тем более их политическое господство, своими последствиями было несравненно тяжелее и опаснее для Западной Грузии, чем господство кизилбашского Ирана для Восточной Грузии.

Отоманская военная держава была интенсивная потребительница «пленников» (рабов). Они использовались в войсках (янычары), в гаремах (наложницы и евнухи) и в домах владетельных классов турецкого общества, погонщиками караванов, слугами на военных и торговых судах. Пленники закупались или брались под видом дани. Закавказье, Кубань, Крым, Украина поставляли главный контингент этого «товара».

«Пленопродавство» в хозяйственной практике закавказских народов существовало издревле. И в феодальной Грузии оно полностью никогда не переводилось. Но «пленопродавство» в разное время было различных видов, интенсивности и значения в зависимости от того, при каких общественных отношениях и при каких внешнеполитических условиях оно протекало. В разное время и в различных условиях, положительное или отрицательное для общественного развития страны, «пленопродавство» с точки зрения классовой борьбы никогда не принимало такой уродливой формы и такого опасного для развития общества характера, каким оно было в Грузии в XVI—XVIII веках.

На фоне общественных отношений крепостнической Грузии «пленопродавство» выглядит социальным явлением, ясно указывающим на опасный недуг грузинского феодального общества....

Когда крепостной из-за крайней нужды (а эта нужда— следствие тех же крепостнических отношений), не будучи в состоянии прокормить «лишнего» ребенка, заживо хоронит новорожденного или же чуть подросшего продает пленоторговцам; когда феодал, под разными предлогами или же вовсе без предлогов, безнаказанно продает своих крепостных в

Турцию с целью приобретения у турецких купцов необходимых для себя вещей; когда центральная власть до того слаба, что не в силах успешно бороться с этим опасным явлением; когда «пленных» (читай: крестьян-производителей) продают все и каталикосы, и епископы, и игумены, и владетельные князья, и тавады, и азнауры, и... даже казахи (бросившие сельское хозяйство и занявшиеся разбоем крестьяне),—продают не только пленных друг у друга, но и собственных крепостных-производителей (и это не прекращается на протяжении веков), следствием чего явилось катастрофическое уменьшение количества крестьян,—все это бесспорно показывает, что общественные отношения феодальной Грузии приняли такую уродливую форму, которая ставила грузинский народ перед опасностью физического вырождения.

Практика продавать крепостных заграницу логически завершает, в условиях экономического упадка, отмеченное нами выше посягательство феодалов на основное право земледельца при феодальном режиме. Право сгонять крестьянина по произволу с земли, право продажи порознь земледельца и возделываемой им земли — эти узурпированные феодалом права подрывают самые устои феодального общества и, лишая его основных преимуществ перед рабовладельческими формами производства, тем самым пресекают дальнейшие пути развития этого общества. В таких условиях крепостной по своим общественным настроениям становится близким к рабу: он делается незаинтересованным в развитии производительных сил, в развитии техники... (Но феодализм тем и прогрессивен в сравнении с рабством, что при нем класс непосредственных производителей заинтересован в развитии производительных сил, в развитии техники...).

Как выше отмечено, «пленопродавство» в эпоху позднего средневековья распространялось по всей Грузии, но в Западной Грузии оно процветало особенно. В середине XVI века в Западной Грузии оно приняло настолько угрожающие размеры, что стало предметом суждения специально созванного (можно полагать, по инициативе царя Баграта III) церковного собора. Принятая на этом церковном соборе мера наказания за «пленопродавство» (смертная казнь) показывает реальное понимание инициаторами и участниками собора всей опасности этого социального зла. Но, несмотря на подобные мероприятия, «пленопродавство» в Западной Грузии все цвело вплоть до второй половины XIX века...

«Голод, разбой, воровство, убийства, расхищения церквей («святотатство»), «пленопродавство»... и много разных других беззаконий» — вот содержание картины общественного состояния Западной Грузии в 40-х годах XVI века.

Вследствие такого внутреннего состояния страны население Западной Грузии за XVI век не только не увеличилось, но и уменьшилось вдвое...

В продолжение всего XVI века Западная Грузия ведет упорную самозащиту от Отоманской империи. Конечно, такая неравная борьба не могла быть полностью успешной для маленькой страны, но она имела один безусловно положительный результат: Западная Грузия, принужденная в конце концов признать верховную власть чужеземного завоевателя, все же принудила султанскую Турцию воздержаться от посягательств на ее внутреннюю самостоятельность, чем спасла себя от национального вырождения...

Борьба против Турции была тем более тяжелой, что последняя искусно использовала внутриполитическое состояние феодальной страны и всегда находила себе союзников в лице тех или иных высших феодалов...

Внутриполитическая борьба, таким образом, осложняется, и позиция царской власти в борьбе с высшими феодалами все ухудшается. Тем не менее имеретинские цари (Александр, 1484—1510, и Баграт, 1510—1548) ведут энергичную борьбу на оба фронта. В особенности выделяется Баграт III, проведший ряд внутренних мероприятий, направленных к усилению центральной власти (законодательство, церковные реформы, строительство). Почти до конца своих дней он держал в повиновении мтаваров и успешно отражал вторжения турок... Но поражение, понесенное им в битве с турками в 1545 году, оказалось началом конца как внешней независимости, так и внутриполитического единства. Мтавары (Атабаги, Дадиани, Гуриели, Шервашидзе), ведущие беспрестанную борьбу с царем, то раздельно, то сообща, но всегда с одобрения и с согласия, а часто и с помощью Турции, делаются все более и более независимыми от него, подпадая в то же самое время под власть султана. Так что «мона мгвтиса, кма меписа, мтавари Гуриисa» (раб божий, вассал царя, владетельный князь Гурии) становится «мона мгвтиса, кма хванткриса, хани Гуриисa» (раб божий, вассал султана, хан Гурии)... То же произошло и с другими мтаварами.

* * *

В 1553 году Иран и Турция заключают между собой мир, по условиям которого Грузия оказалась разделенной на две части: турецкую (Лихтимерети и западная часть Месхети) и иранскую (Картли, Кахети и восточная часть Месхети). Конечно, такого дележа не признали те, которых поделили, и захватчикам впоследствии не мало пришлось потрудиться, реализовывая условия этого сговора. Тем не менее мир меж-

ду Турцией и Ираном имел для Грузии исключительное политическое значение. Он определенно противостоял объединению Грузии, и борьба каждой из ее частей с захватчиком протекает с этих пор в несравненно более тяжелых условиях. Пока Турцией и Ираном поддерживались условия мирного договора 1553 года, борющиеся за свою независимость грузинские царства не могли рассчитывать на помощь этих соперничающих государств, а были предоставлены лишь собственным слабым силам. Понятно, завоевание грузинских царств и княжеств Турцией и Ираном после 1553 года пошло успешнее.

* * *

Из всех частей Грузии в XVI веке в лучших условиях находится Кахети. Природные условия Кахети для развития средневекового хозяйства были наилучшие. И близостью от большого пути Кахети XVI века выгодно отличается от других частей Грузии. Гилян—Шемаха—Астраханский «шелковый путь» исстари являлся ареной для выгодной внешней торговли кахетинского феодального хозяйства (лежащий на этом торговом пути Ширван—центр средневековой шелковой промышленности Закавказья—поэтому и стал особенно излюбленным для феодальных агрессоров средневековой Грузии). В выгодной внешней торговле вместе с феодалами в XVI веке участвует и кахетинский царь. Это явление, бесспорно, кладет отпечаток на характер внутренней и внешней политики кахетинского двора.

Предметами внешней торговли Кахети являлись: вино, шелк, ковры, златотканные материи, кони, овцы, красильные растения...

Кахети XVI века—экономически самая сильная из всех частей Грузии страна. И социальные отношения тут не дают тех уродливых ростков: о работорговле в Кахети в XVI веке нет сведений (и сомнительно, чтобы оно имело место), и количество населения не уменьшается или стоит на одном месте, как это наблюдается в других частях Грузии, а увеличивается. Города Загеми, Греми, Базари, Телави представляют собой оживленные торгово-ремесленные пункты...

В XVI веке в Кахети центральная власть сильнее, чем в других частях Грузии. В названное время кахетинские цари проводят в стране весьма важные реформы политико-административного и военного характера. Эти реформы определенно направлены против высшего слоя феодалов и на усиление центральной власти, силившейся опереться на массу средних и мелких феодалов.

Еще в эпоху раннего средневековья, с образованием феодальных царств Кахети и Эрети, вся страна (подобно остальным частям Грузии, по мере образования в них феодальных царств) была разделена на военно-административные территории —эриставства (буквально воеводства). К началу XI века число таких эриставств в объединенном эрет-кахетинском царстве—семь. Такое деление и остается до XVI века. Соединяя в своих руках все полномочия центральной власти по управлению страной: военные, административные, финансово-экономические и судебные,—эриставы постепенно и неуклонно, по мере назревания крепостнических отношений, превращались в государей... К XVI веку они, номинально оставаясь феодальными чиновниками, на деле—уже полусуверенные государи-вотчинники вверенных им некогда территорий...

Реформы XVI века (историк XVIII в. Вахушти относит эти реформы к концу XV века) состояли в замене старой системы деления страны на эриставства введением новой системы моуравов: вся страна была разделена на множество мелких административных территорий с моуравами (букв. curator) во главе. При этом провели строгое определение прав и обязанностей этих моуравов. По своим полномочиям моуравы были несравненно слабее эриставов. Кроме того, военные полномочия эриставов были совершенно изъяты из компетенции моуравов. С военной целью страна была разделена на четыре садрошо (военный округ). Во главе каждого садрошо был поставлен эпископ, которому вверялось знамя (дроша) в знак военного предводительства. Этому эпископу-воеводе и подчинялись в военном деле и феодалы, и моуравы данного округа.

Эти реформы — факт большого социального значения. Так понимал это и историк XVIII века Вахушти, указывая, что этими мерами кахетинские цари «верными себе (преданными себе) сделали множество», т. е. массу средних и мелких феодалов.

Этим Вахушти констатирует и то, что при проведении названных реформ кахетинская царская власть опиралась на широкие слои феодального класса.

Успешное проведение названных реформ является бесспорным показателем мощи царской власти. К тому же за весь XVI век не видно, чтобы высшие феодалы одними собственными силами решились бы на реванш... На усиление центральной власти указывают и административные мероприятия кахетинских царей. Такие мероприятия ставили себе целью упорядочение податных повинностей крестьянства по отношению к центральной власти и ее чиновникам. [По экономическому признаку крестьяне Кахети делятся на четыре

категории: 1) платящие полный налог чиновнику (моурави), 2) платящие половину налога, 3) платящие четверть налога, и 4) «безмискини», неимущий, не платящий чиновничьего налога]. По этой линии идет и успешная деятельность царской власти по упорядочению вопросов церковного владения. Владения церквей были восстановлены; сделаны новые пожертвования. Цель этих забот видна из следствий. В позднее средневековье нигде в других частях Грузии церковь и морально, и материально так активно не служила царской власти, как в Кахети.

На экономические успехи страны и на мощь центральной власти указывают появление новых городов, строительство дворцов, замков, церквей и монастырей, реставрация старых...

Но мероприятия государственного характера царей Георгия (1466—1476), Александра (1476—1511), Левана (1520—1574), и Александра (1574—1605), к сожалению, не дали ожидаемых результатов, вернее, в сложной внешне-политической обстановке им не довелось принести соответствующие плоды.

Узел политических противоречий Турции, Ирана и Московского государства, завязавшийся на рубеже XVI—XVII веков на Кавказе, захватил и Кахети. В вековой борьбе Ирана с Турцией, в борьбе, в которой обладание Закавказьем для каждой борющейся стороны было вопросом первостепенного значения, кахетинские владетели ведут политику, совершенно отличную от политики остальных царств Грузии. Кахетинский двор всячески избегает войн с Ираном или с Турцией и служениями и данью обеспечивает стране условия мирного развития. Но совершенно иной тактики держатся кахетинские правители по отношению к своим восточным и, в особенности, к северным соседям. К горским племенам они проявляют большой интерес, упорно поддерживая традиционную политику их захвата и подчинения, в чем имеют совершенно определенный успех: некоторые горские племена они подчиняют своей власти и силятся распространить свое политическое влияние еще дальше. Но тут они встречают отпор со стороны сильного Шамхала Тарковского, с которым и завязывается вековая борьба за обладание восточным Кавказом.

Близость от большого торгового пути и интенсивное участие в этой торговле приводит Кахети раньше других грузинских царств к политическому знакомству и связям с Московским государством, которое, заняв место монголов в юго-восточной Европе, стремится к обладанию Передним Кавказом...

Но тут выступает Турция, которая со своими стремлениями захватить Кавказ становится наперекор политическим устремлениям Москвы. За- и предкавказские царства-княже-

ства в этой обстановке приобретают особенный интерес как для Турции, так и для Москвы. Кахетинские цари умело используют создавшуюся политическую обстановку и ценой признания над собой суверенитета Москвы (1587 г.) ввязывают последнюю в тяжелую войну с успевшим уже заручиться помощью Турции Шамхалом Тарковским, чем значительно умеряют подстрекаемые Шамхалом разбойничьи набеги дагестанских племен на окраины Кахети. Но эта удачная политическая комбинация имела и свою теневую сторону. Кахети в XVI веке, в особенности с 1553 года, признавала себя вассалом Ирана, платя последнему ежегодную дань. Поэтому акт 1587 года—присяга кахетинского двора на верность московскому престолу—был абсолютно неприемлем для Ирана, положившего за целое столетие столько труда на политическое закрепление за собой Восточного Закавказья. Такое «вероломство» вассала шахская власть могла терпеть до тех пор, пока из-за внутренних политических осложнений у нее не имелось материальной возможности покарать «вероломных».

Но внешнеполитическое положение Кахети к концу XVI века было еще сложнее. В 1578 году Турция повела наступательную войну против Ирана. В Чильдырской битве турки разбили главные силы кизилбашей, и иранское Закавказье оказалось предоставленным собственным силам. Кахетинский царь Александр изъявил покорность турецкому султану, помог турецкому полководцу Лала-паше в покорении Ширвана, за что получил из турецких рук во владение восточную часть его—Шеки, и обязался платить Турции ежегодную дань (шелком), чем спас страну от грозящего разорения и порабощения. Но в отношении Шамхала Турция и после этого не могла проводить интересы своего кахетинского вассала. Напротив, тут она оказывалась всецело на стороне Шамхала и других племен Дагестана, разорявших окраины Кахети. Естественно, кахетинский двор тут искал иного союзника, которого и находит в лице Москвы. Таким образом, к концу XVI века Кахети одновременно оказалась вассалом трех соперничающих друг с другом государств: Турции, Москвы и Ирана.

В начале XVII века Шах-Аббас, владетель Ирана, с соответствующею важности момента решимостью взялся разрубить столь запутанный политический узел, что имело катастрофические последствия для кахетинского царства...

* * *

Политическое положение Месхети (юго-западная часть Грузии) в XVI веке было исключительно тяжелым. Ни картлийские, ни имеретинские цари не были склонны признать политическую самостоятельность этой провинции, и каждый

из них старался подчинить правителя страны, атабага, своей власти. В этой борьбе цари искали и находили себе союзников в феодалах Месхети (Месхети состояла тогда из двадцати двух крупных феодальных «домов» — сеньорий). Царей поддерживала и церковь. Атабаги принимают соответствующие меры: перебивают или изгоняют царских сторонников, пытаются организовать независимую от мцхетского престола церковь (атабаг Мзечабук, 1502—1516 гг.)... Но успеху таких мероприятий атабагов мешали причины не только внутреннего характера.

Уже по одному своему географическому положению Месхети оказывается в центре внимания борющихся за обладание Закавказьем великих мусульманских государств. Ни Иран, ни Турция не щадили сил и энергии для укрепления в этой стране. В продолжение XVI века Месхети в результате кровавых сражений и опустошительных вторжений не раз переходила из рук в руки. Но для Турции Месхети имела исключительное значение. Без твердого обладания этой страной все политические успехи Турции на Кавказе оказывались сомнительными. Этим и объясняется, что Турция по отношению к Месхети держалась совершенно отличной политики, чем по отношению к другим грузинским странам. В Месхети она не довольствуется данью и вассальными отношениями атабагов (такого успеха она достигла еще в 70-х годах XV века) и с первой же половины XVI века ведет политику полной инкорпорации края. Для атабагов Месхети такая политика Турции, понятно, неприемлема, и в поисках помощи, естественно, они тянутся к кизилбашам. Сефевидский Иран по отношению к грузинским царствам-княжествам в XVI веке, в частности, по отношению к Месхети, еще не ставил своей непосредственной целью инкорпорацию, а довольствовался установлением вассальных отношений. Эти политические симпатии атабагов (и большинства феодалов Месхети) толкают Турцию на более решительные действия: нападения следуют за нападениями, турок сменяют иранцы, иранцев турки... (За период 1500—1578 гг. в Месхети ходили войной турки восемь раз, иранцы пять раз...). Обе стороны ищут (и находят) союзников среди феодалов. Завязываются межфеодальные войны, энергично поддерживаемые агентами иностранных захватчиков... Разрушают дворцы, крепости, грабят монастыри (сохранилось весьма интересное описание разграбления и разрушения знаменитого Вардзийского монастыря, основанного в XII веке), сжигают села, избивают население, тысячами уводят пленных... Не менее тяжелы межфеодальные распри: физическое уничтожение крепостных

противника—самая общепринятая форма межфеодальной войны. Тяжелые последствия всего этого для страны и, в особенности, для крестьян понятны сами собой...

По миру 1553 года Месхети была разделена на две части: западная турецкая и восточная иранская. Такое положение оставалось лишь до 1578 года. В этом году Турция заняла всю Месхети и поспешила провести в отнятой у Ирана стране ряд мер, направленных к ее непосредственному захвату. Разоренная и истощенная столетней войной и раздираемая внутри-феодальными распрями—Месхети подчинилась чужеземному игу... Борьба за сохранение самобытности, за сохранение национального лица в этой части Грузии потерпела поражение. С первой же четверти XVII века начинается медленный процесс мусульманизации, а затем и туркизации края...

* * *

История Картли в XVI веке—это четырнадцать войн с кизилбашскими и одиннадцать с турецкими завоевателями, тринадцать с соседними грузинскими владениями; кроме того—постоянные стычки с казахами и со все более наседающими с гор на равнинную Картли осами, пшаво-хевсурами. История Картли в XVI веке—это полсотня войн, которая стоила стране количественного уменьшения производительного класса населения вдвое...

В исключительных условиях протекает история Картли в XVI веке.

Вынужденное решение царя Константина, принятое по настоянию дарбази, о перемирии с отпавшими от Картли частями Грузии, понятно, последующими царями Картли не признавалось за нерушимый статут, и они не отказываются от дальнейших попыток—возглавить все феодальные «Сакартвелоэби» (букв. «Грузии»). Идея национального, культурного единства всех частей Грузии и в эпоху позднего средневековья никогда не исчезала (наряду с массой бесспорных для этого доказательств термин «сакартвелоэби», появившийся еще с XIV века, поразительно характерен); но эта идея единства сильнее всех поддерживалась в Картли, где царская власть и в XVI веке продолжает считать своим преимущественным правом политическую реализацию названной идеи.

Но осуществление такой задачи теперь совершенно не по силам царю Картли.

Кахетинский царь Георгий погиб в тюрьме у картлийского царя. Давид, царь Картли, воспользовался несовершеннолетием Левана, единственного наследника кахетинского престола, двинулся с войском и силой занял Кахети. За восемь лет, пока картлийский царь под своей властью держал

Кахети, все его попытки отыскать и захватить малолетнего Левана—оказывались безрезультатными. Сильнейшие феодалы Кахети надежно берегли наследника «своего» царя. В 1518 году иранский шах Исмаил дорогою через Закавказье двинулся против турок. Картлийскому царю Давиду донесли о намерении шаха вторгнуться и опустошить его страну. Пока царь Давид был занят иранским шахом, кахетинские феодалы поспешили воспользоваться этими трудностями Картли, объявили Левана царем и выгнали чиновников Давида из Кахети.

Давид благополучно избег войны с кизилбашами. Обещанием покорности и большими дарами он задобрил шаха Исмаила, который, перед войной с Турцией, счел невыгодным для себя особенно стеснять картлийцев, обещавших покорность. Султан Селим разбил шаха Исмаила, последний вернулся в Казвин, «сел (на свой престол) и долго не выступал (в поход)».

Освободив руки, царь Давид не преминул выступить против Левана. Последний, не будучи в силах противостоять Давиду, заперся в одной крепости, которую и осадил картлийский царь. Изнуренные долгой осадой защитники крепости готовы были сдаться, но в это время на Картли напали турки. Царь Давид распорядился не разглашать вести о вторжении турок и послал в крепость к осажденным амирахура (один из четырех военачальников Картли) и архиэпископа с требованием сдачи. Но посланец (архиэпископ) оказался на стороне Левана. Защитникам крепости он тайно сообщил о трудностях Давида. Ободренные кахи отказались сдаться. Давид на второй же день снял осаду и поспешил в Картли против турок. Тут его дела пошли успешно: он разбил пришельцев и изгнал их из пределов своей страны. Вскоре царь Давид опять собрал войска и пошел на Левана, но в битве с кахами потерпел поражение. Это было в 1520 году.

Давид и после этого не оставлял мысли присоединить Кахети, пока более внушительные обстоятельства окончательно не вынудили его отказаться от таких попыток. В том же 1520 году Давиду, пребывавшему в городе Гори, донесли, что с Персатских гор с войском спустился Гуриели (владетельный князь Гурии), с позволения атабага Месхети он прошел владения последнего и ныне направляется на помощь Левану против Давида. Последний пересек путь Гуриели, но в битве потерпел поражение и вернулся в Тбилиси. Пройдя Картли, Гуриели соединился с царем Леваном, вышедшим к нему навстречу в Мухрани. Тем временем царь Давид подготовлял нападение на союзников. Но тут Гуриели выступил в роли посредника. Через своего вельможу он сделал Давиду, стоявшему лагерем в сел. Нинбиси, следующее предложение:

«Я шел упросить вас положить мир между вами и Леваном. Битву (что между нами произошла) вы начали не предупредив меня (и я не знал, что против меня воюет сам царь). Теперь же молю вас (о моей правоте и добрых намерениях свидетельствует то, что я не сделал никакого зла твоей стране) положить мир и любовь между вами, ибо сильны (внешние) враги вокруг вас, как (например) хан (т. е. шах Ирана), который захватывает страны». «Тогда, хотя царю и не угоден был (мир с Леваном), а желал войны, но каталикос с эпископами и (свои) вельможи посоветовали (царю Давиду) положить мир (с Кахети). Так и счел угодным царь. Помирились. Положили: (политические) границы, любовь обоюдную, сообща (проявлять) к врагам и друзьям вражду и приязнь. После этого виделись (цари), поднесли друг другу дары и разошлись (по своим странам)».

Приведенная нами деталь весьма типична. В борьбе за политическое единство феодальной Грузии картлийские цари в XVI веке встречают совершенно непреодолимые для них препятствия. Мтавары (в нашем примере Гуриели и атабаги) и тавады (и собственные-картлийские, и чужие-кахетинские) в своем большинстве дружно выступают против централизаторских пережитков картлийского царя и с оружием в руках или другими способами вынуждают последнего признать тут свое бессилие.

Легко видет из приведенного нами эпизода, что делу феодального дробления Грузии помогают (объективно) и внешние вторжения иранцев и турок. Но не только объективно, но и субъективно чужеземные захватчики в деле дробления страны всеми силами выступали союзниками феодалов. Ни Ирану, ни Турции политически не было выгодно существование сильного центра в отдаленном Закавказьи, и для обеспечения тут своих интересов в поддержании в стране феодального дробления они видели настоятельную необходимость.

Условия мира между Давидом и Леваном означают новый этап в развитии феодальной Грузии. Эти условия подразумевают следующую политическую формулировку: **Грузия разделена на три равноправных царства, но все эти «Грузии» по отношению к внешнему миру—одно культурное целое.**

Условия мира в той части, которая подразумевала общие выступления против общих друзей и недругов, внутренних или внешних, естественно, оказались мертворожденными. Обособленное политическое существование порождало различные внутри- и внешнеполитические интересы, с этих пор определявшие по преимуществу линию поведения каждого из грузинских царств и к внутреннему, и к внешнему миру.

Характерно, историки XVIII века в поведении картлийских царей XVI века подчеркивают и общегрузинские мотивы. По их мнению картлийский царь Луарсаб I (1534—1558) вел непримиримую борьбу с Ираном и с Турцией потому, что этой борьбой спасал подчинившиеся уже им части Грузии от полного произвола со стороны захватчиков: пока Картли дралась, Иран и Турция воздерживались от крутых мер по отношению к покоренным, воздерживались от «пленения» их, от мусульманизации. Те же общегрузинские интересы, по их мнению, побуждают картлийского царя Луарсаба не раз бескорыстно помогать другим грузинским царствам в борьбе против поработителей-чужеземцев, тогда как сами они всегда оставались глухими к неоднократным мольбам Луарсаба о помощи против нападавших на Картли турок или иранцев. Так действовал картлийский царь потому, что «как отец для детей сладок и сердоболен, так и он для них был сладок и незлопамятен»,—потому, что он «сокрушался душой о пленении Грузии, о ее умалении и раздроблении действиями своих и чужих».

Конечно, в этом построении прежде всего видны размышления и настроения самих историков больше, чем взгляды их героя, но и то несомненно, что картлийские цари XVI века (Давид 1505—1524, Луарсаб 1534—1558, Симон 1558—1600) не отказались от общегрузинской политики...

При внутреннем обозрении Картли XVI века прежде всего должно отметить дальнейшее политическое усиление высших феодалов. Картли XVI века состоит из целого ряда феодальных «домов» («сатавадо»—сеньория) светских и духовных. Одни из этих «домов» больше и сильнее, другие меньше и слабее. Во главе церковных сеньорий стоят эпископы и каталикос. Во главе же светских сеньорий—тавады' (глава сеньории, глава феодальной фамилии). Каждое сатавадо есть отдельная организация на определенной территории. Члены феодальной фамилии живут в пределах этой территории отдельно друг от друга, могут иметь личную (домашнюю, семейную) собственность, движимую и недвижимую («сакутари», «сатавистао»), но все члены данной феодальной фамилии имеют и общую фамильную собственность («сахасо»): пахотные земли, пастбища, леса, фруктовые и виноградные сады, крестьян, стада, маслобойни, красильню, давильню, мельницы, мыто, замок, монастырь, усыпальницу... Всеми общими делами сеньории ведает тавади, он же выступает от лица сеньории перед царем и перед другими сеньориями. Сатавадо вместе с этим и военная единица; оно выводит на войну совершенно определенное количество воинов, непосредственным начальником над которыми на поле брани является тот же тавади.

По отношению друг к другу эти сеньории совершенно независимы. Они мирно сожительствуют или же враждуют между собой. Сильные притесняют слабых: отнимают земли, крестьян и т. п. Но не меньше враждуют между собой и члены одного «дома». На почве владения, на почве пользования фамильным достоянием боковая ветвь враждует против главной, брат против брата, дядя против племянников. Все хотят стоять выше, все хотять иметь больше... Жалуются царю и дарбази. Последний разбирает их тяжбы; часты разделы феодальных домов, которые таким образом дробятся, мельчают: Изгнания, убийства, истребления—обычные явления (Ванатский азнаур истребил род феодалов Тектурманидзе: дядя Арагвского Эристави Нугзара перебил всех своих братьев; Зураб, сын Нугзара Эристави изгнал одного брата, Баадура, и ослепил другого, Георгия; Бараташвили Барата истребил всех однофамильцев, членов своего «дома»; Есей Ксанский Эристави перебил всех своих братьев с их семьями. Андукапар Амилахори и Есей Эристави истребили род феодала Газпели и земли этого «дома» поделили между собой...). В сравнении со всеми высшими феодалами, вместе взятыми, царь неизмеримо слаб, но отсутствие согласованности между вассалами является одним из условий реализации суверенных прав царя. Чем сильнее, чем выше тавади по своему положению, тем меньше у него склонности быть послушным царю, но зато враждующие с ним и притесненные им более мелкие «дома» или члены его же «дома» помощи и управы против него, естественно, ищут у царя...

Из высших картлийских феодальных фамилий в XVI веке особенно усиливаются четыре (Панаскертел-Цицишвили, Зевдгинидзе-Амилахори, Мухран-Батони и Бараташвили). Главы этих фамилий выступают сардалами (главнокомандующий) четырех садрошо (военный округ, выставляющий определенную единицу войска), на которые с 1512 года разделена Картли. За этими сильнейшими «домами» следуют «дома» Ксанис-Эристави, Лорис-Мелики, Орбелишвили, Джавахишвили и т. д.

Конечно, все эти фамилии не одного социального ранга. В среде высшего слоя феодалов к этому времени намечается несколько категорий, отличающихся между собой по знатности, происхождению, по экономическому и политическому состоянию (по величине и нераздельности «дома» или по его дроблению), по принадлежащей данному «дому» государственной должности (эту должность, как общее правило, несет глава «дома»; этим самым он в свою очередь социально возвышается над членами своего же «дома», над «тавадишвили»...).

Слой азнауров многочисленен. Независимых, сидящих лишь на собственных наследственных вотчинах азнауров к этому времени, как общее явление, давно уже нет. Азнауры являются либо царскими, либо церковными, либо княжескими.

В большинстве своем азнауры мелкопоместны (в особенности княжеские азнауры). Их достояние—это пожалованная патроном земля с крестьянами. У некоторых родовитых азнауров наряду с пожалованным имением есть и собственность фамильная, родовая. Кроме этих двух видов, азнаур имеет обыкновенно собственность, приобретенную посредством покупки, приданного или каким-либо иным путем...

«Отказаться» от своего патрона и отойти к другому азнаур может лишь отказавшись от пожалованных ему во владение патроном земли и крестьян. Но и после этого отход азнаура, тем более, если он «мквидри», связан с трудностями («мквидри», т. е. родившийся вассалом данного патрона, противопоставляется «мосули» или ахлат-мосули», пришедшему или новопришедшему). Не только пожалованное, но и все недвижимое имение азнаура-вассала патрони склонен со временем рассматривать как достояние своего «дома» и в случае отхода вассала, он посягает и на эту часть его собственности. Патрони противится отходу вассала. В таких условиях принять отошедшего может лишь недруг этого владетельного «дома»...

Служения «азнауров» разнообразны: они составляют свиту патрона в мирное время, находятся в его дружине во время войны, вместе с патроном выступают и против соседних «домов»,—присутствуют на царской охоте, несут почетные обязанности при дворе патрони, являются моуравами сел. крепостных...

В условиях общего экономического упадка, с одной стороны, и бесконтрольного господства тавадов, с другой, большинству азнауров приходится плохо. Они бедны: их крестьян по пальцам перечесть, а увеличивать ренту беспредельно тоже не оказывается возможным... К тому же стесненные материально патрони в поисках доходов облагают новыми податями (постоянными или разовыми) не только собственных крестьян, но и крепостных своего азнаура... В итоге число крепостных у азнаура не растет; но ограбленные двойной рентой обнищалые азнаурские крестьяне постепенно вымирают, убегают...

Азнауров тем больше у того или иного патрона, чем больше, чем сильнее его «дом». Конечно, больше всех азнауров у царя. Царские азнауры несут те же функции, что и азнауры церкви или княжеские, но, понятно, царские азнауры находятся в сравнительно лучших условиях, чем их социальные

собратья. Возможностей экономического усиления и социального возвышения у царского азнаура больше. Царская власть, естественно, все должности при дворце, кроме высших (последние являются наследственным достоянием тех или иных высших «домов») охотно предоставляет своим азнаурам... Азнауры сахасо и крестьяне мсахури составляют теперь и личную стражу царя. Усилившиеся царские азнауры, понятно, не по вкусу родовитым «домам». Со злобою и с завистью смотрят они на этих «безродных,» закупающих у них земли и крестьян, таким образом, за счет их обеднения спешащих сколотить достаточное для тавада состояние, и потом, в соответствующий момент, вымолить у царя официальное подтверждение своего нового социального положения.

В этих условиях, конечно, азнауры феодалов стремятся стать царскими, но царю не легко удовлетворить их желания. Лишь в исключительных случаях и только в наказание провинившегося тавада царская власть решается отобрать азнаура у последнего... Помимо того, приток в царские азнауры происходит и из низших социальных слоев. Царями (в более позднее время и тавадами) производятся из крестьянских слоев в азнауры лица, особо отличившиеся в сообразных эпохе добродетелях...

В отличие от Кахети Картли XVI века переживает дальнейший упадок. В условиях тяжелого социального гнета постоянные вторжения иранцев, турок, соседних горцев и разбои казахов доводят производительный класс населения до того, что он бежит из Картли. Особенно поредели районы, более других подвергавшиеся нападениям внешнего врага. К 40-м годам XVI века в юго-восточной Картли—Сомхит-Сабаратиано едва можно насчитать треть прежнего населения, к 60-м же годам того же века вся восточная часть этой области совершенно опустела. Убыль населения заметна и в других районах.

Постоянные набеги и вторжения делают невозможным сколько-нибудь интенсивное, широкое хозяйство. Вместо мирных полевых работ, крестьянин должен постоянно быть готовым к войне, а его семья, оторванная от сада, огорода и ткацкого станка ,находиться в бегах в неприступных ущельях и горах, где уцелевшая от плена она делается жертвой голода и разбоя. А батони (господин) требует ренты... И бегут крестьяне из Картли, бегут в Кахети. Там они садятся на земли монастырей. На розыски беглецов спешат феодалы (для сравнения положения крепостных в разных частях Грузии весьма показательно, что за весь период позднего средневековья мы только и видим, что крестьяне бегут из Западной Грузии в Восточную, но не обратно; в Восточной же Грузии

крепостные ищут лучших условий в Кахети. Случаи же обратного движения редки)...

До 70-х годов XVI века Картли героически борется с огромной кизилбашской державой. Эпизоды битв картлийских войск Луарсаба и Симона являют достойные восхищения примеры доблести и отваги на защиту родины и национальной свободы. Картлийские дружины Луарсаба I в открытом бою не раз побеждают отряды кизилбашей иранского шаха Тахмаспа. Упорной партизанской войной Луарсаб I не раз доводит до крайнего изнурения и бегства занявших было Картли иранцев .В 50-х годах Луарсабу удается привлечь к делу защиты от Ирана кахетинского царя Левана и атабага Месхети, Каихосро.

Соединенные грузинские силы не раз вторгаются в иранские области Шеки-Ширван и Ганджа-Азербайджан. На это иранский шах отвечает военно-политической организацией сопредельных с Грузией закавказских провинций (Еревана, Гянджи, Казаха, Шамшадило, Шеки и Ширвана)... Луарсаб, скоро покинутый союзниками вследствие ухищрений шаха Тахмаспа, один продолжает неравную борьбу, пока, наконец, в 1558 году не погибает на поле битвы.

Достойным продолжателем политики Луарсаба I является и сын его, царь Симон I. Не одни лишь военные действия являются средствами борьбы у иранского шаха. Шахские агенты искусно используют политическую структуру Грузии и социальные отношения в каждом отдельном царстве. Они всеми силами стараются еще больше разжечь присущие феодально-классовому обществу недовольство, неприязнь и борьбу между царствами, между царем и царевичами, между царем и высшими феодальными «домами», между членами одного «дома», между сословиями, между классами. Агенты шаха легко разъединяют союзы грузинских царств и натравливают последних друг против друга,—обещанием трона переманивают на сторону шаха того или иного недовольного царевича; обещанием богатства, почестей и должности при дворе шаха прельщаются недовольные, обиженные те или другие члены феодального «дома», приниженные, бедные, родовитые азнауры, угнетенные крестьяне мсахури...

Таким образом, со второй половины XVI века иранский шах почти всегда располагает целым (запасным) «штатом» картлийского или кахетинского царства: царя, феодалов, дружины.

Долгая война истощила силы феодальной Картли. Мира с Ираном — пусть это будет ценой покорности ему—требует ряд феодалов, в особенности больше других пострадавшие «дома» Сомхит-Сабаратиано. При поддержке недовольных по-

литикой Симона брат последнего, царевич Давид, убегает в Иран. С большим почетом принятый шахом и щедро осыпанный его милостями, он во главе грузинских предателей и шахских кизилбашей вступает ханом Картли в Тбилиси (1564 г.), еще раньше занятый иранскими войсками. Царь Симон и после этого продолжает с Ираном борьбу, которая все более принимает характер междуусобной войны картлийских сторонников Симона и Давида. В 1569 году Симон попадает в плен к кизилбашам, вследствие измены во время боя азнаура Корганашвили, агента Ирана.

Но власть шаха и после этого не утверждается во всей Картли. Влиятельные феодалы из средней и верхней Картли не признают Давида царем. Как усматривается, они являются проводниками турецкой политики.

Как отмечено выше, в 1578 году Турция предприняла войну против Ирана. Она заняла и все Закавказье. Картли встретила нового захватчика не единым фронтом. Сторонники Ирана—феодалы из Сомхит-Сабаратиано встретили турок войной, средняя же и верхняя Картли изъявили покорность пришельцам...

По отношению к захваченным грузинским странам Турция стремилась проводить политику их полной инкорпорации. Она не довольствовалась данью, вмешивалась во внутреннее устройство страны, упраздняла существующие политические порядки и вводила свои, турецкие... Но и теперь захватчик, вопреки своим стремлениям, проводит подобные меры не повсюду. Кахети удачно использовала сложную внешнеполитическую обстановку (переплет интересов Москвы, Турции и Ирана) и ловким политическим маневром принудила турок удовлетвориться предложенным, Западной Грузии отважными боями удалось и на этот раз отстоять свою внутреннюю самостоятельность.

Зато в Картли и Месхети турецкие порядки вводятся во всей полноте.

Насаждение в Картли политических порядков централизованного турецкого государства означало прежде всего сильное ограничение прав грузинских феодалов (турецкая разновидность феодальной системы в этом отношении заметно отличалась от грузинской). Но и остальным слоям населения от турецких порядков приходилось не лучше. Крестьянство оказывалось обложенным необычайно большим государственным налогом (в сущности, это—рента и налог), что, при сохранении в силе все растущих повинностей по отношению «к собственным», грузинским феодалам,—приводило крестьян к совершенному разорению. Переход населения в ислам (единственное средство для облегчения тяжелого экономического

положения) настраивал против турок грузинское духовенство. В этом духе действовало и все усиливающееся «пленопродавство», всемерно поддерживаемое турецкой государственной политикой. Пресечение мирных торговых сношений с иранскими странами, как следствие долгой, непрерывной войны, лишало торговые слои Грузии выгодного участия в большой торговле...

Вследствие всего этого почти все слои грузинского феодального общества в своем огромном большинстве оказывались враждебно настроенными к Турции и при выборе между двумя злами предпочитали иранскую ориентацию.

В 80-х годах иранский шах Худа-банда освобождает томящегося в Аламутской темнице картлийского царя Симона под условием признания последним суверенитета Ирана над Картли и с заданием: изгнать турок из Картли.

Пожалованный шахом на картлийское царство царь Симон иранским вассалом отправляется в родной край. Для успешного ведения дела против Турции шах снабжает картлийского царя большой для того времени суммой денег. С ним же отправляет и всех картлийцев, находившихся в Иране (пленных и добровольцев). Оказавшийся вне милости шаха ренегат Давид, брат Симона, быстро переходит на сторону турок и удаляется в Константинополь. С ним же бегут и некоторые из явных противников Симона, другие же удаляются в Кахети или в Западную Грузию.

При благорасположении большинства грузинского феодального общества Симону легко удается взять в руки власть. С повинной приходят и высшие феодалы из средней и верхней Картли, проявившие низкое вероломство к беззащитной семье царя после пленения последнего (при их попустительстве и прямом участии была ограблена пребывавшая в Кавтис-хеви царская семья).

Царь Симон повел энергичную войну против Турции. Уже на третьем году после возвращения из плена он почти совершенно очистил картлийские города и крепости от турецких гарнизонов. В то же время он удачно вмешался в дела Месхети. Еще в 1582 году он женил Манучара, брата атабага, на своей дочери. Позднее, когда после смерти брата Манучар намеревался стать атабагом, турки задумали погубить этого неугодного им кандидата. Манучар бежал к Симону. Последний в 1588 году вступил в Месхети с войском, жестоко наказал феодалов, противников Манучара, и посадил последнего атабагом. Турецкая власть оказалась вынужденной временно воздержаться от исполнения своих планов. Она предпочла кончить дело миром и признала ставленника Симона—атабага Манучара—своим вассалом...

В том же 1588 году царь Симон задался целью присоединить Западную Грузию. Его агентам удалось склонить на сторону Симона некоторых феодалов Имерети. Имеретинского царя Левана не поддержали и мтавары Гуриели и Дадиани, враждовавшие и с ним и между собой. Поэтому Симон легко победил Левана, занял Кутаиси и, забрав заложников, поспешил в Картли против турок, все еще сидевших в Горийской крепости. В 1590 г. Симону пришлось опять воевать с Имерети, где за это время обстоятельства сложились не в пользу него.

Вступившего в Имерети царя Симона Дадиани просил, обещая верность и поддержку, пожаловать кутаисский престол имеретинскому царевичу Ростому, зятю и ставленнику Дадиани; самому же быть «царем царей» и «держать всех в соединении и покорности». Но царь Картли в вопросе о том, как должно быть организовано единое грузинское государство, как видно, держался иных взглядов, чем Дадиани...

По своем возвращении из Ирана Симон повел совершенно определенную политику в целях поднятия силы и значения царской власти. Материальная и политическая поддержка со стороны шаха и антитурецкие настроения большинства картлийского общества делают позицию Симона устойчивой в эффективной борьбе против своеволия высших картлийских феодалов, а в первую очередь против тех из них, которые держались турецкой ориентации. Отобрание вотчин и азнауров у провинившихся тавадов, выдвижение верных азнауров на важные должности, всемерная поддержка последних в борьбе с тавадами—все это характеризует картлийского царя, борющегося против феодального партикуляризма. Эту же цель—поднятие силы и значения центральной власти—преследовало введение ряда новых должностей по иранскому образцу и другие меры законодательного и административного характера.

В борьбе с тавадами позиция царя Симона была тем более устойчивой, что иранский шах перед лицом турецкого фронта принужден был скрепя сердце, поддерживать усиление «верного» вассала. Униженные и оскорбленные политикой Симона картлийские феодалы не находили у шаха, как бывало, поощрения и поддержки в своих выступлениях против царя.

Симон отклонил предложение Дадиани. Он, видимо, решил окончательно уничтожить Кутаисский престол. Но, как сказалось, он переоценил свои силы. Сражение с Ростомом и его вассалом он проиграл в 1590 году, и успешно начатое дело таким образом провалилось... Борьба с турецкими гарнизонами, крепко засевшими в важнейших крепостях Картли (Гори и Лоре), а также частые набеги турецких отрядов от-

влекали все силы и внимание Симона. Он принужден был заключить мир с Ростомом, признав последнего царем Западной Грузии.

Интересная деталь из внешнеполитических сношений Симона: с Москвой у него связи не определились. Вражда Симона с кахетинским царем Александром без сомнения играла тут отрицательную роль, на что указывает следующее: московский царь советует Александру примириться с Симоном, а затем и выражает свое удовлетворение по поводу состоявшегося примирения между ними. От слишком близких связей с Москвой картлийского царя удерживали и отношения его с Ираном, который, понятно, не мог без ревнивого подозрения смотреть на подобные политические акты в Закавказьи со стороны надвигающегося с севера Московского Государства.

Зато картлийский царь ведет весьма любопытную политическую переписку с Римом.

В письме царя Симона римскому папе прежде всего обращает на себя внимание, что картлийский царь тут выступает от лица всей Грузии. Затем не менее интересно (и совершенно не неожиданно), что *Симон проявляет себя в этом письме одинаковым врагом обоих захватчиков: и Турции и Ирана*. А это письмо пишется после 80-х годов, когда картлийский царь считался «верным» вассалом шаха. Царь Картли нисколько не считает, что самоотверженной борьбою против турок он служит чужому делу.

В письме Симон трогательно рассказывает о гибели своего отца Луарсаба в битве с кизилбашами, о своей непримиримой борьбе с Ираном, о ранении, пленении, о долгом томлении в тюрьме, об освобождении своем и о войне с турками. О покорности он и не думает. Симон просит помощи у папы Из письма не видно, как он представляет себе эту помощь По понятным причинам он в письме не говорит об этом и уполномачивает посла (католического священника) устно доложить папе «все сердечные пожелания» царя.

К 1599 году Симон совершенно очистил Картли от турецких захватчиков. В этом году он отвоевал у них последнюю крепость — Гори. В следующем году турки предприняли новое наступление. В бою Симон попал в плен. Его взяли в Стамбул, где он и скончался в неволе. Борьбу продолжал его сын Георгий. Последний в 1601 году разбил и отогнал турок.

Это было уже время, когда талантливый и грозный тиран Шах-Аббас I все ближе и теснее подходил к делам Закавказья...

# ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში*

XV საუკუნის 80-ან წლებში ზევდგინიძე-ამილახორთა სახლში ბიძა-ძმისწულს შორის სამამულო უთანხმოება ატყდა.

ზევდგინ ზევდგინიძის შვილი ავთანდილ (თუ გუარამ) უჩივის თავის „ძმის-წულს", ამირინდო ამილახორის შვილს, ზაალს. „ძმის"-წული „ბიძას" მამულის უდიდეს ნაწილს ეცილება იმ საბუთით, რომ მამა მისი, ამირინდო ამილახორი, ნაშვილები ჰყავდა თაყა ამილახორს, ავთანდილის „ბიძას", და ზაალის პაპის ბიძაშვილს.

უთანხმოების მოსაწესრიგებლად შემდგარ დარბაზს „ბიძა"-„ძმისწული"—ორივენი თავთავიანთ უფლებათა დამსაფუძვლებელ მოხსენებებს მიართმევენ. სამწუხაროდ, ზაალის მოხსენება არ შენახულა, მაგრამ, რომ ასეთი არსებობდა, ეს ავთანდილის (თუ გუარამის) მოხსენებიდან უდავოდ ჩანს.

ავთანდილის (თუ გუარამის) წინაშე ორი ამოცანაა: 1. უნდა დაამტკიცოს საგვარეულო ქონების „მკვიდრობა" და 2. უნდა გააბათილოს თაყა ამილახორის მიერ ავთანდილის (თუ გუარამის) „ძმის" ამირინდოს ნაშვილეობის კანონიერება (ნაშვილეობის საბუთი, როგორც ჩანს, დარბაზისათვის წარუდგენია ზაალს).

ავთანდილსაც (თუ გუარამს) მოხსენება ამისდა მიხედვით შეუდგენია.

მოხსენების ავტორი ქრონოლოგიური თანდათანობის დაცვით აწერს, თუ რომელი ქონება,—როდის, ვისგან და როგორის წესით რომელმა ზევდგინიძის გვარის შვილმა შესძინა ზევდგინიძის სახლს, ე. ი. როგორ შეიქმნა ის საგვარეულო „მამული", რომლის გარშემო ეხლა სახლისკაცთ შორის უთანხმოებაა ჩამოვარდნილი.

იწყებს ავთანდილ (თუ გუარამ) სხვილოსის „შოვნით" ზევდგინიძის მიერ. სამწუხაროდ, საბუთის დაზიანებულობა საშუალებას არ იძლევა ამ მოვლენის დროისა და გარემოების ზედმიწევნით გასათვალისწინებლად.

„მეფე" (გიორგი?) „ოვსეთით" მოსულა. მას სხვილოსი [„სხუილოსნი?"] ამოწყვეტილი („ამოწყუედილნი") დახვედრია. ავთან-

* პირველად დაიბეჭდა 1937 წ., (მას. საქ. და კავკ. ისტ., I, 1937, გვ. 1—71). ეს გამოცემა შეიცავდა კრიტიკულ წერილთან ერთად დოკუმენტების პუბლიკაციასაც. ამ ჯერად წერილი იბეჭდება დოკუმენტების გარეშე.

დილს (თუ გუარამს) აქ, ბუნებრივია, სხვილოსის მქონებელთა ამოწყვეტა, ე. ი. მისი უმკვიდროდ ქმნა (მამრობითი სქესის გადავლინება) აინტერესებს და მას აღნიშნავს.

სხვილოსის ძველ მქონებელთაგან ორი ქალი გადარჩენილა, რომელთაგან ერთი კოჭლი ყოფილა.

ამოწყვეტილ ყმისადმი კეთილად განწყობილმა პატრონმა (გიორგი მეფემ?) თანახმად ფეოდალური სამამულო მემკვიდრეობის წესისა კოჭლ ქალს ქმარი შერთო და ამ ქალის მამეული ქონება მის ქმარს დაუმკვიდრა (მეორე ქალი, არაკოჭლი, ჩანს, გარე გაათხოვა).

კოჭლი ქალის ქმრობა ზევდგინიძეთა წინაპარმა ისურვა, რომელმაც. ამრიგად, სხვილოსი ნ ა მ ზ ი თ ვ ა დ მიიღო.

ამ დასიძებულის სახელი აქ შემონახული არაა. შეიძლება ეს საბუთის დაზიანებულობით აიხსნებოდეს.

შემდგომი „მამული“, რომელიც ზევდგინიძიანთ საგვარეულო გადმოცემით ამ გვარმა სამკვიდროდ იშოვნა, ეს იყო სოფელი „ახალციხე სამოცი კუამლი“ კაცით და „მღუიმე მისითა შესავალითა სასაფლაოდ“. ორივე ეს („და ხუთი დახატული ჩარდახი“) ზევდგინიძიანთ წინაპარმა ნ ა ს ი ს ხ ლ ა დ მიიღო გიორგი მეფისაგან.

ეს ამბავი შემდეგ გარემოებაში მომხდარა: გიორგი მეფემ (თათართა წინაამდეგ) გაილაშქრა. იქ ზევდგინიძიანთ ოცდა ცხრა კაცი მოკვდა, ხოლო ერთი ტყვედ ჩაუვარდა თათრებს. აქ მეფეს, როგორც ჩანს, დამარცხებია[1] და ათაბაგსა „ალბუღას თათარნი მოუქდეს“. ალბუღას ტყვედ ჩავარდნია „თავადი თათარი“ და ტყვე ზევდგინიძე იმით დაუხსნია და ზევდგინიძეც თავის მკვიდრ მამულზედ

---

[1] საბუთის დაზიანებულობის გამო ძნელია დარწმუნებით თქმა: ერთი და იგივე მეფეა „ოვსეთით“ რომ მოვიდა და „თათართა გაილაშქრა“, თუ ესენი სხვადასხვა პირია და მათ შორის „გამოვიდა დიდი ხანი“? უკანასკნელის სასარგებლოდ თითქო ის გარემოება ლაპარაკობს, რომ თათრებთან ომში ზევდგინიძიანთ ოცდა ცხრა კაცი მოკვდა და ერთიც ტყვედ ჩავარდა. უკანასკნელი, როგორც ეს მოხსენების დანარჩენიდან ჩანს, პირდაპირი წინაპარია ავთანდილისა (თუ გუარამის). მაგრამ ის ხომ ერთი ოცდაათთაგანია ავთანდილის (თუ გუარამის) იმ „გუარის კაცთა“, რომელნიც გიორგი მეფეს ახლდნენ თათართა წინაალმდეგ ლაშქრობაში.

ასე რომ, ყველა ესენი იმ სხვილოსის მიმღებ ზევდგინიძის ჩამომავლად წარმოუდგენია მომხსენებელს.

და მართლაც, თუ ასე არა, ამბავი იმ ოცდა ცხრა „გუარის კაცის“ სიკვდილზე უადგილო და აქ არაფერი მოსატანი ეპიზოდი იქნებოდა: ის ვერაფერს შემატებდა ვერც სხვილოსის და ვერც სხვა საგვარეულო ქონების სიმტკიცეს.

მაშ, გამოდის, რომ ყველა ეს ოცდაათი ზევდგინიძე ჩამომავალია იმ სხვილოსის მიმღებ ზევდგინიძისა. ხოლო ერთი ადამიანისგან ოცდა ათი კაცის შთამო-

მოსულა. თათრებთან დამარცხების (თუ მეფე-უფლისწულთა შორის ბრძოლის) შედეგად ლტოლვილი მეფე გიორგი ძლიერ ყმას, ათაბაგ „აღბუღას შეეხუეწა“ (ე. ი. აქ შეაფარა თავი).

აქ მეფის წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობა. შეთქმულებას ზევდგინიძესაც გაანდობენ. ვინ არის შეთქმულების ინიციატორი არა ჩანს: ტექსტი ნაკლულია. შეთქმულთ მიზანია: „მეფე ჴელთა შევიპყრათ და ქართლი ჩუენ დაგურჩებისო“.

ზევდგინიძემ საფრთხე არ დაუმალა მეფეს და პაეჭანის ღამეს თვით დაწვა მეფის საგებელში. შეთქმულნი მეფის მოსაკლავად მოვიდნენ. მეფის საგებელში მწოლი „მწოვედ დაკოდეს“ „და რახან ეს იცნეს, რომე ზევდგინიძე არისო, აღარ მოკლეს“. ასეთ ერთგულობის სამაგიეროდ მეფემ ზევდგინიძეს ნასისხლად მისცა „ახალციხე სამოცი კუამლი“ კაცით და „მღუიმე მისითა შესავლითა სასაფლაოდ“.

თავის მოხსენების ამ ნაწილის დასასრულს ავთანდილს მოჰყავს ზევდგინიძიანთ წინაპართა სია XIV საუკუნეში. ტექსტის ნაკლულევანობის გამო სიის უეჭველობით აღდგენა შეუძლებელია. გადარჩენილია: „...მამისა და თაყა მამისას შვილი, თაყას შვილნი ავთანდილ და ჯანიბეგ“.

პირველი ამათგანი, ეს არის კოჭლ ქალზე დასიძებული და „ზევდგინისძე“-თა გვარის ფუძემდებელი. მისი შვილი ყოფილა მამისა, რომლის შვილი თაყა არის ის, ვინც ნასისხლად მიიღო XIV საუკუნის 80—90-ან წლებში ახალციხე და მღვიმე.

ამ თაყას ჰყოლია შვილები ავთანდილ და ჯანიბეგ. ესენი ალექსანდრე მეფის (1412—1442 წ.) უფროსი თანამედროვენი იყვნენ. ჯანიბეგ შეიძლება იყოს თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლაში

---

მავლობის მიღება, თუნდაც ფეოდალის სახლში, ორ თაობის დროს მაინც მოითხოვს.

ასეთ გაგებისას ჩვენ მეფის „ოვსეთით“ მოსვლა შეგვეძლო XIV საუკუნის პირველ მეოთხედში გვეგულისხმა, როცა ოსთა ქართლში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ოს-ქართველთა შორის ხანგრძლივი ბრძოლა იყო გამართული. სხვილოსის ამოწყვეტისა და ოსეთში ლაშქრობის ერთად ნაგულისხმევობა ოსთა წინააღმდეგ ქართლში ბრძოლის დამთავრებას და თვით ოსეთში შეტევას გვიჩვენებს. ეს კი უდგება გიორგი VI დროს, როცა ამ უკანასკნელმა ოსნი „განასხნა და აღფხურნა“ (ქ˝ცა I, 227).

ჩვენი საბუთის მეორე გიორგი მეფე, თათრებზედ რომ ლაშქრობს, როგორც მოხსენებიდან ჩანს, „დიდი აღბუღას“ თანამედროვეა. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს დიდი აღბუღა არის სჯულმდებელი ათაბაგი აღბუღა, XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე.

განთქმული პირი. ავთანდილ კი 1429 წელშიაც ცოცხლად მოიხსენიება. ის ამ დროს ეზოს ჩუხჩარეხია და გორის მოურავი (საქ. სიძ. III, 10)[2]. ეპიზოდი გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულებისა და ზევდგინიძის თავგანწირვისა აქამდის ჩვენს ისტორიაში XV საუკუნის სამოციან წლებში იყო ნაგულისხმევი. (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 305; თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 284; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, IV, 90—91 და ამილახორთა გვარის შესახებ მონოგრაფიის ავტორი, ამ საბუთების შემკრები პ. კარბელაშვილი, ივერია, 1891, № 237 და „ძველი საქართველო", II, 106—107). ავთანდილ ზევდგინიძე კი ამ ამბავს XIV საუკუნეში ჰგულისხმობს. ჩვენ საბუთი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მის ცნობაში. მისი მოხსენების მიზანი და ამ მოხსენების წარდგენის ადგილი და დრო ასეთი ეჭვის უფლებას არ გვაძლევს.

XV საუკუნის ოთხმოციან წლების დარბაისელთ, რომელთაც ავთანდილის მოხსენება უნდა განეხილათ, კარგად ახსოვდათ აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევრის ამბები (ვინმე ზაქარია მისი პირველი ნახევრის ამბების ე. ი. ალექსანდრე მეფის ხანის მომსწრე და მახსოვარი იყო), რომ მომხსენებელს შესძლებოდა ამ დროს მომხდარი ამბავი განზრახ მთელი საუკუნით დაეძველებინა.

მომხსენებელი, როგორც ეს სხვა მისივე საბუთებიდან ჩანს, არაერთხელ დაიმოწმებს ხოლმე დარბაზის წევრთ მის მიერ მონათხრობ ამა თუ იმ ფაქტის დასამტკიცებლად.

თავის მოხსენების ეს ნაწილი ავთანდილს (თუ გუარამს) ზევდგინიძიანთ სახლის რაღაც წერილობით წყაროდან შეიძლება ჰქონდეს ამოღებული. მოთხრობის ხასიათი და დეტალები თითქო ამას მოწმობს. ყოველ შემთხვევაში ეს არაა ოფიციალურ დოკუმენტების (სიგელთა) ენა.

---

[2] აქ მოყვანილ გენეალოგიურ სიას შეიძლება ამოწმებდეს „ჯუარის მონასტრის ალაპებში" შეტანილ მოსახსენებელთა სია:

სულსა მეფეთ მეფისა ალექსანდრეს შ῾ნს ღ῾ნ
სულსა ზევდგენიძის ჩანიბეგისა შ῾ნს ღ῾ნ
" " ავთანდილს და მის მეუღლესა გლბრს შ῾ნს ღ῾ნ
" " მამისასა და თაყასა შ῾ნს ღ῾ნ
(იხ. ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, XXVIII).

რომ ამ მოსახსენებელთა ჯანიბეგ და ავთანდილ ზემო მოხსენებული პირები არიან, ეს საეჭვო არ უნდა იყოს. მამისა და თაყა კი შეძლება იყვნენ არა მათი მამა და პაპა, არამედ ჯანიბეგის შვილები. მართლაც, მამისას ასახელებს ერთხელ მოხსენების ავტორი თავის ბიძად. თუ ის თაყა ამილახორის ძმა იყო, მაშინ ზევდგინის ძმაც ყოფილა და ავთანდილის (თუ გუარამის) ბიძა. მამისას „ახალციხე ჰქონდა", რომელიც მას წაართვა ავთანდილმა (თუ გუარამმა). მამისა ზევდგინიძე თავის მეუღლე გულქანით 1475 წელს იხსენიება (შიო მღ. საბ., 75).

ამის შემდეგ მართლაც შეიძლება დავეთანხმოთ განსვ. თ. ჟორდანიას და თაყა ზევდგინიძე, რომელიც ეკვდერს აიგებს შიო მღვიმეში, XV საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილ თაყა ზევდგინიძეს გავუიგივეოთ. საბუთში ჩვენს ყურადღებას იპყრობს თაყას გამონათქვამი. ცალკე თავისთვის ეკვდრის აგებას თაყა იმით ასაბუთებს, რომ შიომღვიმეში, სადაც „პირველ ჩ უ ე ნ ნ ი მ ა მ ა ნ ი დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ე ს, მ ა თ თ ა ნ ა დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ა დ... ვერ მკადრე ვიქმენ და ცალკე ახალი ეკუდერი ავაგე“-ო (იხ. შიო მღ. საბ-ბი, 72). თაყას გამონათქვამი: „პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქმნეს“ ჰნიშნავს, რომ ზევდგინიძიანთ გვარის მამანი უკვე დიდი ხანია („პირველ“) შიომღვიმეში იმარხებიან. მართლაც და, თუ, მოხსენების ჩვენი გაგების თანახმად, შიომღვიმე ზევდგინიძეს ნასისხლად მისცეს სასაფლაოდ, XV საუკუნის პირველ ნახევარში თაყა ზევდგინიძეს ასეთი გამონათქვამი შეეძლო ეხმარა: ამ დროს იქ დასაფლავებული უნდა ყოფილიყვნენ თაყას მამა ჯანიბეგ, ბიძა ავთანდილ და პაპა თაყა[3].

---

[3] სამწუხაროდ, თ. ჟორდანიას მის მიერ გამოცემული ძეგლი სრულიად არ აუწერია. შეუმოკლებია კიდეც. ასე რომ დღეს, ეს „ტყავზედ მხედრულად ნაწერი“ დედანი აღარა ჩანს, მისი დათარიღება მეტად ძნელდება. ამ საბუთში შეიძლება დამთარიღებელ მომენტებად გამოდგნენ შემწირველისა და მისი მეუღლის სახელები. XVI საუკუნის პირველ ნახევრამდის ჩვენ სულ სამი თაყა ზევდგინიძე გვხვდება. მესამე მათგანი, ამილახორი, ჩანს 1513 და 1523 წლებში (ქრ. II, 332; ისტ. საბ. III, 52).

ეს ამილახორი არ უნდა იყოს ჩვენი საბუთის თაყა. ამის მეუღლეა ფანასკერტელის ქალი ულუმპია, ხოლო ჩვენი საბუთის თაყას მეუღლე ვინმე მამქაანია; 2. თაყა ამილახორსა და ულუმპიას მრავალი შვილები ჰყავთ, ჩვენი საბუთის თაყა და მამქაანი კი თითქო უშვილო ჩანან; 3. დავით მეფის თანამედროვე თაყა ამილახორობით იხსენიება, ჩვენი საბუთის თაყა კი რაიმე პატივს არ ატარებს.

ცალკ-ცალკე აღებული არც ერთი ამ საბუთთაგანი, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი არ არის, მაგრამ ყველა ერთად თითქო ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს.

ასევე, ვფიქრობთ, ჩვენი საბუთის ავტორი არ უნდა იყოს თაყა მამისასძე, ავთანდილისა და ჯანიბეგის მამა. ჯანიბეგ და ავთანდილ, უეჭველია, ალექსანდრე მეფის უფროსი თანამედროვეენია. ამაში გვარწმუნებს: ჯვარის მონასტრის სულთა მატიანეში მათი მოხსენებულობა ალექსანდრე მეფესთან ერთად, ავთანდილის (თუ გუარამის) საჩივრის მეორე საბუთი (იხ. აქვე № 2) და თვით ალექსანდრე მეფის სიგელები (საქ. სიძ. III, 8, 10, 12).

ასე რომ, ავთანდილისა და ჯანიბეგის მამა რომ შიომღვიმეში ეკვდრის შემქმნელად გვეცნო, მაშინ შიომღვიმის ეს საბუთი XIV საუკუნეში უნდა გადაგვეტანა, უნდა დაგვეშვა, რომ ეს მონასტერი ზევდგინიძიანთ სასაფლაოდ მიიღეს XIV საუკუნის პირველ მეოთხედში თუ არა, სულ მცირე, მის პირველ ნახევარში მაინც. იქ ხომ „პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქმნეს“.

მაგრამ შეიძლება ჩვენ ვცდებით და ამ მოთხრობის შემცველ საბუთს უსაფუძვლოდ ვაღიარებთ მოხსენების დასაწყისად? სწორედ ასე ეგონა პ. კარბელაშვილს (იხ. ძვ. საქ-ლო II, 107). რომ საბუთების ჩვენი დალაგება სწორია, ეს თვით ამ საბუთთა შინაარსიდან ჩანს: ჩვენ მიერ № 1-ით აღნიშნულ საბუთში, როგორც ზემოდ ვნახეთ, პირველად მოთხრობილია ზევდგინიძის მიერ სხვილოსის ნამზითვად მიღება. იქვე ამას მოსდევს მოთხრობა შემდეგი „მამულის“, ახალციხისა და მღვიმის ნასისხლად შოვნის შესახებ.

ჩვენ მიერ № 2-ით აღნიშნულ საბუთში, რომელიც XV საუკუნის დასაწყისიდან კოსტანტინეს, ალექსანდრეს და ვახტანგის დროს ეხება, აღნიშნულია, რომ ალექსანდრეს გამეფებისას სხვილოსი ზევდგინიძიანთ „მკუიდრი მამული“ იყო. ამავე საბუთიდან ჩანს, რომ ეს მამული მათ ალექსანდრესაგან ან კოსტანტინესაგან კი არ მიუღიათ, არამედ დიდი ხანია აქვთ. აქედან ცხადია: *სხვილოსის შოვნის შემცველი ამბავი უწინდელია, ვიდრე XV საუკუნე* და საბუთების ჩვენ მიერ დალაგება სწორია.

მაგრამ თუ ეს ასეა, ისიც ცხადია, რომ *შიომღვიმის და ახალციხის ნასისხლად მიღება XV საუკუნის უწინდელია. ე. ი. გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულება „დიდი აღბუღას“ დროს XIV საუკუნის ამბავია* და არა XV საუკუნის 50-ან[4], ან კიდევ 60-ან წლებისა.

---

ამავე დროს ორში ერთი უნდა მიგვეღო: ან რომ სხვილოსის ნამზითვად მიმღები ზევდგინიძე XIII საუკუნის შუა წლების მოღვაწეა, რაც შეუძლებელია, ან რომ სხვილოსის ნამზითვად მიმღები ზევდგინიძე და მღვიმის ნასისხლად მიმღები ერთი და იგივე პირია. ამას კი, ვფიქრობთ, მოხსენების ტექსტი ეწინააღმდეგება. ამდენადვე ჩვენი წანამძღვარი მცთარია და საბუთის ავტორი თაყა არ არის ავთანდილ და ჯანიბეგის მამა.

რაც შეეხება ალექსანდრე მეფეხთან „შეზდილ-გაზრდილ“ თაყას, გამორიცხვის მეთოდის გზით ჩვენ ის ერთი ლა დაგვრჩა ჩვენი საბუთის თაყასთან გასაიგივებლად. ამას ემოწმება ისიც, რომ ალექსანდრე მეფის თანამედროვე თაყა ისევე უშვილოა, როგორც შიომღვიმეში ეკვდრის აშენებელი თაყა ჩანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დასკვნის წინააღმდეგ რამდენადმე ლაპარაკობს ის, რომ ალექსანდრეს „შეზრდილ-გაზრდილი“ თაყა მოლარეთხუცესია და შემდეგ ამილახორიც, ჩვენი საბუთის ავტორი კი პატივით არ იხსენიება. მაგრამ ეს დაბრკოლება გადამჭრელი მნიშვნელობისა არაა და სხვა შესაძლებლობათაგან ყველაზედ საფუძვლიანად მაინც უკანასკნელი გაიგივეება მიგვაჩნია.

[4] პ. კარბელაშვილი ამ შეთქმულებას 1449 წელს ჰგონებს და ეს იმიტომ, რომ აღბუღა ათაბაგი 1451 წელს გარდაიცვალა. ხოლო მას საბუთში მოხსენებული აღბუღა ეს აღბუღა ჰგონია.

მოხსენებაში ამ ზევდგინიძის სახელი აღნიშნული არ არის. ოთხჯერვე, როცა კი მას ასახელებს ჩვენი მომხსენებელი, უწოდებს მას: „ჩემი გუარის კაცი“ (ორჯერ), „ჩუენი გუარის კაცი“ (ერთხელ), ან კიდევ „ზევდგინიძე“. და ეს აიხსნება არა იმით, რომ მომხსენებელმა ამ თავისი „გუარის კაცი“-ს სახელი არ იცოდა, არამედ იმით, რომ ამ ჟამად მომხსენებლისათვის საინტერესოა ამ პირის არა სახელი, არამედ მისი „გუარის კაცობა“, ზევდგინიძეობა. ვახუშტის ცნობით მას ითამ ჰრქმევია. ვახუშტს ეს ჩვენი საბუთები ხელთ არა ჰქონია, არამედ, როგორც ამას მართებულად შენიშნავს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საბუთების მიხედვით“ ნაგვიანევად „შედგენილი ამილახვარიანთ საგვარეულოს თავგადასავალი“—(ქართ. ერის ისტორია, IV, 91). მიუხედავად ამისა დაცული ტრადიცია მაინც ყურადსაღებია. ჩვენი საბუთების მიხედვით კი ამ ზევდგინიძეს თითქო თაყა უნდა ჰრქმეოდა.

ამით სრულდება პირველი საბუთი („№ 1“). იყო კიდევ სხვა საბუთი, თუ აწინდელი „№ 2“ არის № 1-ის უშუალო გაგრძელება,—ძნელი სათქმელია, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ არსებულთ შორის ჩვენ მიერ № 2-ით აღნიშნული საბუთი არის „№ 1“-ის უახლოესი მომდევნო.

ავთანდილ განაგრძობს (სამწუხაროდ, მოთხრობის ეს ნაწილი, რომელიც XIV საუკუნის დასასრულს და XV საუკუნის დასაწყისს ეხება, დაზიანებულია და ტექსტის ნაკლულევანების გამო მოთხრობის დასაწყისის მიმდინარეობა ირღვევა): ძმები ჯანიბეგ და ავთანდილ [და X?] საგვარეულო მამულის სხვადასხვა ადგილას სხედან. ავთანდილ თითქო უშვილო შექმნილა და თავისი ძმისწული დაუსვამს „მკუიდრსა მამულზედა“. ეს „ძმის წული“ მოხსენების ავტორის მამაა (და მაშ ჯანიბეგის შვილი ზევდგინ?); უკანასკნელს ბიძის წული ჰყოლია—თაყა. XIV საუკუნის 10-ან წლებში თაყა ჯერ კიდევ ყრმა ყოფილა. მას თურმე „ბარათა (ქაჩიბასძე) ზრდიდა“. მომხსენებლის მამა (ზევდგინ) თაყას უფროსი ყოფილა.

„გაუწყრა მეფე კოსტანტინი შვილსა, მეფესა ალექსანდრეს და ალექსანდრე მეფე ათაბაგს ივანესთანა“ გარდახვეწილა. ამ „ლარიბობაში“ ალექსანდრე მეფეს თან ჰხლებია მომხსენებლის მამა. ათაბაგ ივანესთან ალექსანდრეს ხუთი წელი დაუყვია და, როგორც კი მამა მისი, მეფე კოსტანტინე ჩალაღანს მოუკლავთ, „მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა.

ალექსანდრესთან ერთად დაბრუნდა მისი მხლებელიც, ჩვენი ავტორის მამა (ზევდგინ) და „იმავე მკუიდრსა მამულზედა. სხუილოზედა დაჯდა“.

აქ მომთხრობელი იმოწმებს ვინმე ზაქარიას, რომელიც თურმე „მაშინდელიია“ და ახსოვს, თუ „როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს“ მამა მისი (ზევდგინ). ამით მომხსენებელი დარბაზის ყურადღებას მიაქცევს მისი გვარის ნამსახურობაზე და მეფე ალექსანდრეს მიმართ ერთგულობაზე.

შემდეგ თაყაც მოწიფულა და „ორნივე (ე. ი. მოხსენების ავტორის მამა ზევდგინ და თაყა) კამყოლად ჰყვეს და მსახურებდეს ამავ ჩუენითა მკუიდრითა მამულითა“.

ამით ათავებს მომხსენებელი ზევდგინიძიანთ ამბავს ალექსანდრე მეფის ხანაში და ვახტანგის ხანაზედ გადადის.

მოთხრობა აშკარად არასრულია. დღეს ჩვენ აუთენტური საბუთებიდან ვიცით, რომ ზევდგინიძიანთ კასპი და იგოეთი „ქალისა ნასისხლად“, ხოლო „გომნი და ნადარბაზევი“ „წყალობად“ მიიღეს მეფე ალექსანდრესაგან 1429 წელს (იხ. საქ. სიძ. III, 9—11), ხოლო ამაზედ უწინარეს, 1426 წელს, ამავ მეფისაგან „წყალობად“ მიიღეს ქარუმისძენი[5] (საქ. სიძ. III, 14—15) და ცოტა შემდეგ, ე. ი. 1430 წელს. ალექსანდრე მეფეს მათთვისვე მიუცია სიგელი გორის მოურაობის „სამკუიდროდ“ ბოძების შესახებ (საქ. სიძ. III. 12—13).

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ტექსტის ნაკლულევანებით ჩვენ ამის ახსნა გაგვიძნელდებოდა: ალექსანდრეს ხანის შემცველ ტექსტს აქ არა აკლია რა; ამიტომ უნდა დაგვეშვა მეტად ძნელად დასაშვები: რომ მომხსენებელმა ამბები ქრონოლოგიურ თანმიმდევრობის დარღვევით გადასვ-გადმოსვა და რომ მოხსენებულ „მამულების“ შოვნის შემცველი ფურცელი დაკარგულია.

ამის დადასტურებას მოხსენების სხვა ადგილები არ იძლევა. პირიქით, როგორც აღვნიშნეთ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა თითქო ყველგან დაცულია.

ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა ეს მოვლენა სხვა ნიადაგზე აგვეხსნა.

ყველაზედ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჩვენი საბუთები დარბაზში წარდგენილ დედნის შავია და ჯერჯერობით არაა სრულად გამართული.

---

[5] ეს ქარუმისძენი 1446—1453 წლებში გიორგი მეფეს ჩამოურთმევია მათთვის და 1453 წელს კვლავ უბრუნებს მათ

შეიძლება შემდეგი მოსაზრებაც იქმნეს წამოყენებული: რომ ფაქტების ნაკლულევანება სარჩელის ხასიათით აიხსნება, რომ სარჩელი ზევდგინიძიანთ „მამულების“ მხოლოდ ნაწილს შეეხებოდა.

დაბოლოს შეიძლებოდა საკითხი ასეც დასმულიყო: სარჩელი სწარმოებს ზევდგინიძიანთ გვარის ისეთ ორ წარმომადგენელთ შორის, რომელთაგან ერთს ხელი არ მიუწვდება მეფე ალექსანდრეს დროს ნაშოვნ მამულებზე; ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგება მომხსენებლის უდავო გამოთქმანი, რომ თაყა ამილახორი მისი „ბიძაა“, ხოლო მეორე ამილახორი (ამირინდო) მისი „ძმაა“; ჩვენივე მომხსენებელი გორის მოურავობაში მონაწილეობის პრეტენზიას აცხადებს და ეს „მამული“ ხომ ზევდგინიძიანთ მეფე ალექსანდრესაგან მიიღეს...

ამიტომ ჩვენ ყველაზედ მისაღებად ისევ პირველი მოსაზრება მიგვაჩნია: რომ ჩვენი საბუთები ავხელი დედანია და ნაკლულევანებაც ამ ნიადაგზე აიხსნება[6].

ეხლა თვით აქ მოთხრობილ ფაქტებზე. ცნობა კოსტანტინე მეფის უთანხმოებისა შვილთან, „ალექსანდრე მეფესთან“ და უკანასკნელის ხუთწლოვანი „ღარიბობა“ ივანე ათაბაგთან სხვა წყაროებიდან ჩვენ არ ვიცით. არც ვახუშტის, არც ქ՜ცის გაგრძელებათა ავტორებს ამის შესახებ არა სცოდნიათ. ჩანს, ზევდგინიძიანთ ეს საბუთები მათ არ უნახავთ. ცნობა უტყუარია და მრავალ მხრივ საინტერესო.

მეფე კოსტანტინეს ჩალაღანს გალაშქრება და მისი იქ სიკვდილი დადასტურებულია სხვა ქრონიკულ ცნობებითაც. ქრონიკულ ცნობებით ამ მოვლენის თარიღი არეულია.

მამის სიკვდილის უმალ „მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა“. ეხლა ზედმიწევნით არის გამოკვლეული მეფე ალექსანდრეს გამეფების თარიღი. ეს მომხდარა 1412 წლის 20/II—21/III[7]. მაშ კოსტანტინე მეფე ჩალაღანს მოუკლავთ 1411 წლის დამლევს.

„მეფე ალექსანდრე“ „ღარიბობას“ „ხუთსა წელიწადსა“ იყო. ჩანს, კოსტანტინე მეფე „მეფესა ალექსანდრეს“ გაუწყრა 1406/7 წელს.

---

[6] რომ ეს მოხსენება შავია, ეს სხვა ნიშნებითაც მტკიცდება.

[7] პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, IV, 8—9.

შემდეგ, ზევდგინიძიანთ სამსახური ალექსანდრე მეფისადმი— „კამყოლად ჰყვეს და მსახურებდეს ჩუენითა მკუიდრითა მამულითა“,—როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არა ერთ გზის არის დადასტურებული თვით ალექსანდრეს მიერ მიცემულ სიგელებში. ამის შემდეგ მომხსენებელი მოგვითხრობს, თუ როგორ „ქელთა შეიპყრა ვახტანგ მეფემან“ თავისი „ქუისლი“, მომხსენებლის „ბიძა“, თაყა ამილახორი და „ლეხთიმერით ტყუედ ჰყვანდა“. თაყა ამილახორს რაღაც „შეუცოდებია“ ვახტანგ მეფისათვის. ხოლო მომხსენებლის მამას „ისრევე აქონა მისი მკუიდრი მამული“ და „არცა ერთი კუამლი კაცი არა შეუცვალა“, არამედ უთხრა: „შენ არა შეგიცოდებია რა, არას წაგართომ“. დასასრულ, მომხსენებელი მიმართავს „დარბაისერთ“: „ასრე ძუელითგან ნამსახურნი ვართ მეფეთანი, რის თავზედა წავჴედით, თქუენვე გაიგონეთ“.

მოხსენების ამ ნაწილიდან ჩვენ ვტყობილობთ: რომ მეფე ვახტანგ „ქუისლია“ თაყა ამილახორისა. ვახტანგის მეუღლე კი იყო ფანასკერტელ-ციციშვილის ქალი სითიხათუნ. (ვახუშტი. საქ. ისტ., 301; ქრონიკები II, 223). მაშ თაყა ამილახორი სიძე ყოფილა ფანასკერტელ-ციციშვილისა.

ამილახორს „შეუცოდავს“ მეფისათვის და მეფეს დაუსჯის ის: „საჴელო“ ჩამოურთმევია და დაუტუსაღებია.

მეფე ვახტანგს ამილახორი „ლეხთიმერით“ ჰყოლია ტყვედ. ცხადია, ვახტანგი „ლეხთიმერ“-საც ფლობს. ამით დასტურდება ის აზრი, რომ საქართველო ამ დროს ჯერ კიდევ მთლიანი სახელმწიფოა.

აქ თავდება მოხსენების, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „ისტორიული“ ნაწილი. დანარჩენ ფურცლებზე მომხსენებელი ისეთ ამბების შესახებ მოგვითხრობს, რომელშიაც თვით მიუღია უშუალო მონაწილეობა, ან არა და მის დროს მომხდარა.

მოთხრობის მიზანი აქაც იგივეა: მომხსენებელს სურს დაამტკიცოს თავისი შრომა და ჭირნახულობა და ამით უზრუნველჰყოს თავისი უდაო უფლება საგვარეულო ქონებაზე.

შემდეგი ფურცლის დასაწყისი ათი სტრიქონი მეტად დაზიანებულია (ორი თუ სამი სტრიქონი მთლიანად აკლია), ამიტომ მოხსენების ამ ნაწილის აღდგენა ძნელია მით უფრო, რომ ჩვენი ავტორის ენა მეტად ლაკონურია. ზოგად ხაზებში ამბავი ასე წარმოგვიდგება: გიორგი მეფესა და ბაგრატს შორის ხანგრძლივი ბრძოლა სწარმოებს. თითქო ისე ჩანს, რომ ბაგრატს ქუთაისი მიტაცებით დაუპყრია გიორგის გამეფების ახლო ხანებში.

ჩვენი საბუთი იწყება იმით, რომ გიორგი მეფემ ბაგრატს „ქუთაისი წაართო“. ამ ამბებში მომხსენებლის ბიძა თუ ძმა რაღაც მონაწილეობას იღებს (ვახტანგს რომ ჰყავდა ტყვედ „ლეხთიმერითს“ ის ხომ არ „გამოიყვანეს ციხიდალმა“?).

ხანი გამოსულა (ხანის გამოსვლას დავასკვნით იმით, რომ ავტორი ამ ეპიზოდის მოთხრობის შემდეგ ათავსებს ცნობას, რომელიც უნდა შეეხებოდეს ზევდგინიძიანთ სამამულო მფლობელობას, ამ ამბების შემდეგ რომ დამყარებულა) და ბაგრატ „ქუთათისს გაილაშქრა“. მწვავე ომში გიორგი მეფის მხრით „ერთობილნი დარბაისერნი“ და აზნაურშვილები მონაწილეობენ. აქვე არიან ჩვენი მოხსენების ავტორი და მისი ძმაც. უკანასკნელი „ქელთა დარჩა“ ბაგრატს. გიორგი მეფე დამარცხებულა. მოხსენების ავტორს დიდი სამსახური გაუწევია მეფისათვის. „ოცდაოთხი შუბი და ისარი და ქრმალი მესო, ისეთმან წამოვიყვანე“ გიორგი მეფე ამ ომიდანო, ამბობს ის და იმოწმებს „ერთობილ“ დარბაისერთ.

ასეთი სამსახურისდა მიუხედავად გიორგი მეფეს ჯერ ამ ერთგული ყმის ციხე დაუქცევია, ხოლო შემდეგ ისა და მისი ძმაც, რომელიც ტყვეობიდან მოსულა, ორივე შეუპყრია და მოუთხოვია: „რაც აზნაურშვილები დარჩა ქელთა (იგულისხმება: ბაგრატს), თუ გამოაშუებინებთ კარგია, თუარემ არც ერთსა არ გაგიშუებ“. მომხსენებლის ძმა შეჰპირებია აზნაურშვილების გამოშვებინებას.

ჩანს, გიორგი მეფე ზევდგინიძეებს იჭვის თვალით უყურებს და მათი ერთგულებისა არა სწამს. განსაკუთრებით კი მას მოხსენების ავტორის ძმა ჰყავს ნიშანში ამოღებული და არც თუ უსაფუძვლოდ. მეფის იჭვის საფუძვლიანობას არ არღვევს ჩვენი ავტორიც. ის მხოლოდ თავის საკუთარ ერთგულობაზედ მოგვითხრობს, რითაც თავისი ძმის ორგულობას მეფისადმი ადასტურებს. ამასვე ადასტურებს, როცა აღნიშნავს, რომ მას მეფემ მისი ძმის „თავზედა“ უყო უპატიო და ამაში დარბაისელთ იმოწმებს. ჩანს, მაშინ დაფარული და საეჭვო არ ყოფილა და ყველას სცოდნია ჩვენი მომხსენებლის ძმის მეფისადმი ორგულობა და არც მომხსენებელი მალავს ამას.

გიორგი მეფეს დატყვევებული ძმები—ზევდგინიძეები გაუშვია, მაგრამ მძევლად დაუტოვებია ზაალ (მომხსენებლის ძმისწული) და მამამისისთვის პირობად დაუდვია: „თუ აზნაურშვილებსა არ მამიხამ, ზაალს ყურუმშის მივსცემო“.

ორგულ ყმას დანაპირები ვერ შეუსრულებია. მეფეძ „დაალარიბნა“ ის (ე. ი. „საქელო“ და მამული ჩამოართვა), ხოლო მის ძმას „ისივ მამული კიდევე აქონა“.

გიორგი მეფე ამის შემდეგ ალონს წასასვლელად შემზადებულა და ჴოპარტს ჩვენი მოხსენების ავტორისათვის ვინმე ზაქარია „ებოძა“ (ე. ი. გაუგზავნია) და შეუთვლია: „ალონს წამამყევ და რაც შენი მკუიდრი მამული არის, არას დაგაკლებ, ისრევ მოგცემო“.

ამავე დროს „ზაალ თათარჩიგა მიჰყვანდა“ გიორგი მეფეს.

ჩვენი მომხსენებელი მეფეს არ წაჰყოლია ალონს. და, როგორც ამტკიცებს, ეს ზაალის „გულისათუის“ უქნია მას. მეფეს კიდევ „მკუიდრი მამული“ არ მიუცია მისთვის.

აღნიშნა რა თავისი ერთგულება მეფისადმი, მაშინ როცა მისი ძმა მეფის ორგული იყო, ჴირნახულობა მამულის დასაცავად და ზაალის გულისათვის მეფის მიერ შემოძლეულ წყალობის უარყოფა, მოხსენების ამ ნაწილის დასასრულს მომხსენებელი მიჰმართავს დარბაზს: „ესეც თქუენვე გაიგონეთ ბატონო დარბაზისერნო“-ო.

აქ მოთხრობილი ამბებიდან სხვა წყაროებით თითქმის არც ერთი არაა ცნობილი. გიორგისა და ბაგრატს შორის ხანგრძლივი ბრძოლებიდან ჩვენ აქამდის მხოლოდ ჩიხორის ომის შესახებ გვქონდა ქრონიკული ცნობა.

ეხლა კი ვიცით, რომ ჯერ ლიხთ იქითის გარშემო, ხოლო შემდეგ ქართლის გარშემო (ამის შესახებ აქვე საბ № 1242 ძ. ს) ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლა ყოფილა გამართული.

მით უფრო არაფერი ვიცოდით ფეოდალების კონკრეტულ მონაწილეობის შესახებ ამ ბრძოლებში. მოხსენების ამ ნაწილიდან ცხადია, რომ ქართლის ზოგიერთი ფეოდალი ორგულობს გიორგი მეფეს. როდის დაიწყო ეს ბრძოლა მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის, არა ჩანს, მაგრამ ამის ვარაუდი შემდეგნაირად შეიძლება:

მეფე გიორგიმ ორგულ ყმებს, ზევდგინიძეებს „მკუიდრი მამულები“ ჩამოართვა. ერთი სულ „დაალარიბნა“ (ის, რომელიც გვარის უფროსი იყო), ხოლო მეორეს მცირე რამ დაუტოვა. ცნობილია, რომ გორის მოურავობა ზევდგინიძიანთ „მკუიდრი მამული“ იყო ალექსანდრე მეფის მიერ ავთანდილისა, თაყასა და ზევდგინისათვის წყალობად ბოძებული 1430 წელს (საქ. სიძ., III, 12).

ვახტანგის დროს, საფიქრებელია, ეს „ქელი“ ჩამორთმეული აქვთ ზევდგინიძეებს (ამილახორი და გორის მოურავი თაყა ზევდგინიძე მას ტყვედ ჰყავდა „ლეხთიმერითს“).

მაგრამ გიორგის მეფობის პირველ ხანებში, 1453 წელს მაგალითად, ზევდგინ ზევდგინიძე ეზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავია (საქ. სიძ., III, 15).

1454 წელს კი გორის მოურავი არის გამრეკელ ჯავახიშვილი (საქ. სიძ., II, 38).

ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი ზევდგინიძეთა მიერ გორის მოურავობის დაკარგვა, რასაც ადგილი ჰქონდა 1453/4 წელს, დავუკავშიროთ გიორგი მეფის მიერ ბაგრატთან ომის წაგებას.

ამ შემთხვევაში საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ვახტანგ მეფის მიერ დასჯილი ზევდგინიძეები გიორგი მეფეს მათივე „მკვიდრითა მამულითა" შეუწყალებია. 1453/4 წელს მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის ომი მომხდარა. ზევდგინიძის სახლის უფროსს გიორგი მეფისათვის უორგულნია და მეფესაც დაუსჯია ის: „მკვიდრი მამული" ჩამოურთმევია.

მოხსენებას ერთი მეტად საინტერესო გამონათქვამი შემოუნახავს: გიორგი მეფემანო „ქუთათისი წაართო" ბაგრატსაო. „წაართო" იმას გულისხმობს, რომ ბაგრატს დაპყრობილი კი არ ჰქონია ქუთათისი, არამედ მიღებული ჰქონია მეფისაგან.

ხოლო, თუ მაინცდამაინც „დაპყრობას" დავუშვებდით, მომხსენებლის თვალში მაინც ეს დაპყრობა უკანონო მიტაცება ყოფილა, რასაც კანონიერ მფლობელის (სუზერენის) მიერ „წართმევა" მოჰყოლია. თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ ჩვენ ვღებულობთ თანამედროვის მიერ ძვირფას დადასტურებას ვახუშტის ცნობისას, რომ ბაგრატ პირველად მეფე კი არა, მეფის მოხელე, ერისთავი იყო (ვახუშტი, ისტორია, 304).

მეფე გიორგისა და თათართა დამოკიდებულება ამ საბუთიდან მთლად ნათელი არაა.

ვინ არის ყურუმში ან რად მიდის მეფე ალონს, საომრად თუ „თათარჩიგა", როგორც ყმა?

ჩვენ უკანასკნელი გაგება უფრო მართებულად მიგვაჩნია. ასეთ გაგებას მხარს უჭერს ის „სათათრო მალი", გიორგის მეფობის დასაწყისში რომ მოიხსენიება (ისტ. საბ. III, გვ. 28. 1448 წლის საბუთი).

მეოთხე ფურცელიც დასაწყისში (4 სტრიქონი) მეტად დაზიანებულია. ამას გარდა სამი თუ ოთხი სტრიქონი სავსებით აკლია. რამდენადაც გადარჩენილ ნაწყვეტებიდან ჩანს, მოჩივარი მოუთხრობს დარბაზს იმ საქმიანობაზე, რომელიც მას „მათისა" (ე. ი. ძმისა და ძმისწულის) „გულისათუის" და მათისა „გაუყ[რელობისათუის]" უსაქმია. ეს საქმე თითქო იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი ავტორი „თათარჩიგა" წავიდა და „სამსა წელიწადსა" იქ დაყო.

შემდეგ ავტორი იმ საქმიანობის მოთხრობაზე გადადის, რომელიც გიორგი მეფის დატყვევებასა და ბაგრატის მიერ ქართლის დაჭერასთან არის დაკავშირებული.

„შეიპყრა ათაბაგმან გიორგი მეფე და გარდმოვიდა მეფე ბაგრატ". ჩვენი მომხსენებელი ურჩევს თავის ბატონს დავითს, რათა ის ბაგრატის ყმა შეიქნეს. ეუბნება: „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს". დავითსაც ყურად უღია ყმის რჩევა: „წაუვიდა მის ძმასა ჩემის მამულის გულისათუის და ბაგრატ მეფისა ყმა შეიქნა" და ჩვენს მომხსენებელსაც მამული მიუღია. ეს ბატონი დავითი ეხლაც ცოცხალია: ამ საქმეზე თვით მას იმოწმებს ჩვენი ავტორი.

ამ ხანებში, თურმე, სოფელი ახალციხე მამისა ზევდგინიძეს სჭერია, წიწამური მცხეთისადმი ყოფილა შეწირული, ხოლო ღურო ჯანდიერისშვილსა ჰქონია მითვისებული.

ყველა ესენი „წაურთმევია" ჩვენს ავტორს და საგვარეულო ქონებისათვის დაუბრუნებია. გორის მოურავობაც ბაგრატ მეფისაგან უშოვნია საკმაო ქრთამის გაღების გზით. ამასობაში „თათარნი (უზუნასან) მოვიდეს". ბაგრატს ამილახორისთვის გორს შედგომა უბრძანებია. ზევდგინიძიანთ ამილახორის მაგივრად მისი ძმა სულმამა შეუყენებიათ. შემდეგ ეს სულმამა დაუხსნიათ ძმებს. ჩანს, უზუნასანს გორი აუღია და სულმამა ტყვედ ჩავარდნილა. უზუნასანს საქართველო დაუხარკავს: უზუნასანის ხარკის ანგარიშში „დიდი მალი შემოგუაგდო ბაგრატ მეფემანო", მოახსენებს დარბაზს ავტორი.

ბაგრატ მეფე ჩქარა გარდაცვლილა და უზუნასან „ამა ბატონსა მეფესა დაუწყო თხოვნა". მომხსენებელს მხედველობაში ჰყავს მეფე კონსტანტინე, რომლის დროსაც, ჩანს, ეს მოხსენება იწერება. ზევდგინიძიანთ მათ მამულზე შეწერილი მალი გადაუხდიათ. მომხსენებელს თავისი „კრმლითა ნაშოვნი" 2100 თანგა გაუღია, რადგან „მამული ამოწყუედილი იყო, ის ვერას გამოიღებდეს"-ო. ჩამოთვალა რა მის მიერ საერთო მამულის ამოსაგებად და დასაცავად გაწეული შრომა, სამსახური თუ ხარჯი, მომხსენებელი დასასრულ—და არა ერთხელ ამას წინათაც—ეკითხება დარბაზს: რატომ არც ერთხელ არ გააფრთხილა ის მისმა ძმამ ამილახორმა და არ უთხრა, რომ ტყუილ-უბრალოდ ნუ ეწევა ასეთ შრომასა და ხარჯს, რადგან მამულში მას წილი არ აქვს?

ამაზე სრულდება ეს ფურცელი.

მოთხრობილი, როგორც ვხედავთ, მეტად მდიდარი ისტორიული შინაარსისაა.

დასაწყისის ნაწყვეტი ცნობები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ გიორგის მეფობის გარკვეულ დროს თათართა მფლობელობა საქართველოში უდავო ამბავია.

ამას მოსდევს ცნობა გიორგი მეფის დატყვევების შესახებ ათაბაგის მიერ. ლაპარაკია ყვარყვარე ათაბაგის მიერ გიორგი მეფის შეპყრობაზე ფარავნას, რაც მოხდა 1466 წელს (ქართვ. ერის ისტორია, IV, 92).

როგორც ვხედავთ, აქ გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაზე და ზევდგინიძის თავგანწირვაზე ცალი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

უეჭველია, ჩვენი ავტორი ამას არ დამალავდა, რომ ასეთს რამეს ადგილი ჰქონოდა.

სრულიად ახალია ცნობა, რომ ბატონიშვილი დავითი გორისა და მისი მიდამოების ბატონია, რომ ზევდგინიძეები მისი ყმებია. ეს „ბატონი დავით" თითქო კოსტანტინეს ძმაა.

ყვარყვარე ათაბაგს რომ გიორგი მეფე დაუტყვევებია, ქართლში მეფობა ბატონიშვილ კოსტანტინეს დაუწყია. მასვე ჰქონია ქუთათისის ციხეც (იხ. საქ. სიძ. I, 20—21). ჩქარა ბაგრატ გადმოსულა და ქართლის ნაწილი დაუპყრია. ქართლის ზოგიერთი ფეოდალი მას მისვლია. მას მისვლია თვით ბატონიშვილი დავითიც კი, რომელიც თურმე წაუვიდა „მის ძმასა". კოსტანტინეც იძულებული გამხდარა ბაგრატს დამორჩილებოდა. ჩვენი საბუთი ადასტურებს ცნობას ბაგრატ მეფის საფინანსო ღონისძიების შესახებ, რომელიც თურმე იმაში გამოიხატებოდა, რომ მეფე სარგებლობდა წყალობის სიგელთა განახლების ფეოდალური უფლებით და სიგელთა განახლებისათვის მომეტებულ „ქრთამს" იღებდა.

აქვე მოიპოვება ცნობა უზუნასანის ქართლში შემოსევისა და მის მიერ გორის აღების შესახებ. აღნიშნულია, რომ უზუნასანმა დიდად დახარკა ქართლი. (შდრ. პროფ. ივ. ჯ-ლი, ქართ. ერის ისტორია, IV, 126—127).

ჩვენი წყარო არ ეთანხმება ქ˝ცის გაგრძელების ცნობებს და ამტკიცებს, რომ ბაგრატ მეფე უზუნასანზე უწინ გარდაიცვალა, ხოლო უზუნასანი კოსტანტინეს გამეფებასაც მოესწრო და ხარკიც მას გარდაახდევინა. ასე რომ ქ˝ცის გაგრძელების ეს ცნობები უნდა შემოწმდეს (ქ˝ცა, 894—895).

თუ აქამდის მომხსენებელი თავის უფლებას საგვარეულო მამულებზე ასაბუთებდა წარმოშობილობა-პირნახულობით, შემდეგ ფურცელში ის ცდილობს გააბათილოს მოწინააღმდეგის არგუმენტი. მოწინააღმდეგე, როგორც ჩანს, თავის უფლებას საგვარეულო ქონების უდიდეს ნაწილზე იმით ასაბუთებს, რომ მამამისი (მომხსენებლის ძმა) თაყას (მომხსენებლის „ბიძას“) უშვილებია.

ჩვენი მომხსენებელი აბათილებს ამ ნაშვილეობის კანონიერებას და გამოსთქვამს სამოქალაქო სამართლის საინტერესო ნორმას, თუ რა პირობების დაცვით უნდა იყოს შესრულებული ფეოდალის მიერ ნაშვილეობის აქტი, რათა ის კანონიერად იქნეს ცნობილი.

საბუთის შედგენილობის ამ ფორმალურ მომენტებზე დაყრდნობით, მომხსენებელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მოწინააღმდეგის არგუმენტი უსაფუძვლოა, რომ მისი საამისო საბუთი უკანონო და ნატყუარია.

აქვე იგი გაკვრით გვაწვდის ერთ მეტად საინტერესო ისტორიულ ცნობას.

კანონიერი ნაშვილეობის აქტით, ამბობს მომხსენებელი, „მეფეთა ქელჩართული და მისთა მდივანთა ქელწერილი და თავადთა მოწმობითა უნდოდა, თუ არა გაბელისძის მოწმობითა რომე გ ი ო რ გ ი   მ ე ფ ი ს   წ ა ხ დ ე ნ ა   უ ნ დ ო დ ა და ჩუენს მამულზედა შვილობა უნდოდა, ვინ იყო ჩუენი მცილე, ესე თქუენ გასინჯეთ, პატრონ(ნ)ო“...

გამონათქვამი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია და მთლად ნათელი არაა, ვის უნდოდა „გიორგი მეფის წახდენა“, გაბელისძეს, თუ ჩვენი მომხსენებლის ძმას. წინა ფურცლებიდან ჩვენ ვიცით, რომ გიორგი მეფემ დასაჯა მომხსენებლის ძმა, ის მას თავის ერთგულად არ სთვლიდა. ამიტომ გვაქვს საბუთი ტექსტის ჩვენი გაგება დავიცვათ, ე. ი. რომ „გიორგი მეფის წახდენა“ მომხსენებლის ძმას უნდოდა.

მაგრამ ასე გაგებული ეს გამონათქვამი გაბელისძის მონაწილეობასაც ჰგულისხმობს გიორგი მეფის წასახდენად წარმოებულ საქმეში: „გ ა ბ ე ლ ი ს ძ ი ს   მ ო წ მ ო ბ ი თ ა რომე გიორგი მეფის წახდენა უნდოდა“...

ასე რომ დარბაისერი გაბელისძეც ჩვენი მომხსენებლის ძმასთან ერთად გიორგი მეფის მოწინააღმდეგეთა შორის ყოფილა.

თავის საჩივრის უკანასკნელ ფურცელში მომხსენებელი აღნიშნავს, თუ ძმის სიკვდილის შემდეგ, როგორ „დაუბარა“ მან „ბატონობა“ (თავის ძმისწულს) ზაალს, რომელიც მას „შვილად გაუზრ-

დია"; და რომ ზაალმა მისი სიკვდილი განიზრახა და, თუ არ გასცლოდა, მომხსენებელი „თავით და ცოლშვილით დახოცილი" იქნებოდა.

დასასრულ, მომხსენებელი მიჰმართავს დარბაზს (მეფეს?) „გაიკითხოს", თუ: „ამა ყუელა ვალდადებულობისათუის რად მამკლევდა" „ჩემსა მკუიდრსა და ნასისხლს მამულზედან" „ჩემის მკუიდრის და ნაშოვნის მამულისთუისა"?

* * *

საბუთი №№ 1801 d. h. და 1570 d. h. ფეოდალის ოჯახურ ცხოვრების საინტერესო სურათს შეიცავს. მაგრამ მისი შინაარსი ამით არ ამოიწურება და ერთ ფრიად საყურადღებო ისტორიულ მომენტს აშუქებს.

გულსურაბს, გამრეკელ-ჯავახიშვილის ცოლს, ჩანს ძლიერი ჰირისუფალი ჰყავს: „პატრონნი" თაყა, ფავნელ და ზაზა. გამრეკელიც ამათ „გულისათუის" უთმობს ამ მეტად თავნება ქალს, რომელიც, გამრეკელის აზრით, მისგან მოკვლის ღირსი იყო.

გიორგი მეფესა და ბაგრატ მეფეს შორის დაუნდობელი ბრძოლაა. ბაგრატ მეფე ქართლში გადმოსვლას და გიორგის გაძევებას ცდილობს. მას აქ აშკარა თუ ფარული მომხრეები ჰყავს. გორის ციხე გიორგი მეფის მიერ გამრეკელ-ჯავახიშვილს აქვს ჩაბარებული. ამირეჯიბი მეფე ბაგრატის აშკარა მომხრეა, ხოლო ზევდგინისძენი ორგულობის გამო დასჯილი არიან მეფე გიორგის მიერ მათი „სამკვიდრო" გორის მოურავობის ჩამორთმევით.

გულსურაბ ცდილობს გამოიყენოს თავის მიზნებისათვის მეფეთა შორის ბრძოლა და მოხერხებული ინტრიგით გიორგი მეფის მოღალატეობა სურს თავს დაატეხოს გამრეკელს და მის შვილებს. საფიქრებელია, გულსურაბ არც მთლად მარტო ქსელავდეს საშიშ პოლიტიკურ ინტრიგას. გორის ციხის მოურავობა ერთობ საპატიო და სასურველი „ქელი" იყო, რომ მის მიღებას არ ცდილიყვნენ ზემო ქართლის სხვა ფეოდალები და მათ შორის ციციშვილებიც. შესაძლებელია, ამიტომ, გულსურაბ თავის ჰირისუფალთან შეთანხმებით და მათ სასარგებლოდ საქმიანობდეს.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, გულსურაბ სრულიადაც შორს არა დგას თავისი დროის პოლიტიკური ამბებისაგან.

შემდეგი საყურადღებო მომენტი ეს გახლავთ მოწმობა, რომლის მიხედვითაც უდავოდ მტკიცდება, რომ ბაგრატ დიმიტრისძე მეფის სახელს ატარებს 1463 წლამდისაც და, მაშასადამე, მისი გამეფება ჩიხორის ომთან არაა დაკავშირებული.

ეს საბუთი დაწერილია 1454—1463 წლებს შორის. წინა თარიღს გამრეკელის მიერ გორის მოურავობა არკვევს. გორი გამრეკელს 1454 წელს უკვე მიღებული აქვს (საქ. სიძ. II', 38), ხოლო 1453 წელს გორი ჯერ კიდევ ზევდგინიძიანთ „საქელოა" (საქ. სიძ. III'. დამატ., 14—15).

უკანა თარიღს 1463 წლის საბუთი არკვევს, საიდანაც ჩანს, რომ ჯავახიშვილთა სახლის უფროსი გამრეკელ კი აღარაა, არამედ მისი უფროსი ვაჟი ზაქარია. ასეა შემდეგაც (საქ. სიძ. II, 19, 20, 40). უნდა ვიფიქროთ, რომ 1463 წელს გამრეკელ უკვე ცოცხალი აღარ არის.

ჩვენი საჩივრის ავტორი კი სწორედ გამრეკელია. და როცა 1463 წელზედ ადრე დაწერილ საბუთში მოყვანილია ციტატა კიდევ უფრო ადრე დაწერილი წერილიდან (გულსურაბის წერილი რუამს), სადაც ბაგრატ „მეფედ" არის წოდებული, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ის გამეფებულა გიორგი მეფის წინააღმდეგ აჯანყების უმალ 1453 წელს, როცა მან „ქუთაისს გაილაშქრა" და მეფე დაამარცხა, თუმცა ქალაქი არ უნდა აეღოს (ჩანს, გიორგი მეფესაც ჰყავს ლიხთიმერეთს ძლიერი მომხრეები). ქუთაისი ამის შემდეგაც გიორგი მეფის ხელში უნდა ყოფილიყო. ბაგრატ მეფემ ის XV საუკუნის 70-ან წლებში ჩაიგდო ხელთ, როცა ყვარყვარე ათაბაგის მიერ მეფე გიორგის დატყვევების შემდეგ გორისა და ქუთაისის ციხის პატრონი ახლად გამეფებული ბატონიშვილი კონსტანტინე დიმიტრისძე დაემორჩილა მას.

* *

საბუთი № 1242 s. d. ფრიად მდიდარი შინაარსისაა. ეს არის ცოცხალი სურათი XV საუკუნის ფეოდალურ ზემო ქართლიდან.

მეფე და ბატონიშვილი, ურთიერთ შორის მოქიშპე მეფეები, მეფე და ფეოდალები, ფეოდალები ურთიერთშორის,—ყველა ამათი ურთიერთობა, ბრძოლა და თანადგომა დამაჯერებელ სინამდვილის იერით არის გადმოცემული.

განსაკუთრებით ცხოვლად მოჩანს XV საუკუნის ფეოდალის მსოფლმხედველობა: ქართლი და საქართველო ფეოდალის წარმოდგენაში, ფეოდალის დამოკიდებულება მეფისადმი და ამ დამოკიდებულების საფუძვლები, დამოკიდებულება სხვა ფეოდალებთან.

ცოცხლადაა გადმოცემული მეფის მიერ ფეოდალისადმი „საქელოს" სანახევროდ ძალა-უნებური „წყალობის" სურათი.

საინტერესოა სურათი ზნე-ჩვეულებიდან: მეშთვრალეობა. ასეთი ჩვეულება XV საუკუნის საქართველოში უცხო მოგზაურების მიერაც არის დადასტურებული.

პოლიტიკურ ისტორიისათვის ჩვენი საბუთი 'იძლევა რამდენიმე ახალს და უტყუარ ცნობას. ვახტანგ მეფე ლიხთიქითის მფლობელიცაა. ბატონიშვილი დიმიტრი ქართლის ერთი ნაწილის („წყალს იქითის") საუზერენია.

ახალი და მეტად მნიშვნელოვანია ეპიზოდი გიორგი მეფისა და ბაგრატ მეფის ურთიერთობიდან.

მართალია, ბაგრატი აქ მეფედაა მოხსენიებული, მაგრამ, თუ არ სხვა აუტენტური მოწმობა, ჩვენ ამ ცნობას ვერ დავემყარებოდით, ვინაიდან საბუთი იწერება ერთობ გვიან, როცა ბაგრატ ერთადერთი მეფე იყო, ან შეიძლება გარდაცვლილიც იყო. ასეთ პირობებში შესაძლებელია ავტორმა აჯანყებული უფლისწული ბაგრატ, შემდეგ მის მიერ მოპოვებულ სახელწოდებით, „მეფობით" მოიხსენია. მაგრამ სხვა საბუთით (აქვე № 1570 d. h.) უდავოდ ჩანს, რომ 1453/4 წლიდან ბაგრატი „მეფედ" იწოდებოდა. ასე რომ, ჩვენი ეს საბუთი ეთანხმება ამ ცნობას.

სანამ გიორგი მეფობს, ბაგრატ მეფეს არც ქუთაისი უჭირავს, არც ტფილისი (ჩვენ ესეც სხვა წყაროებიდან ვიცით). ამათ ხელში ჩასაგდებად იბრძვის ის ისევე, როგორც გიორგი მეფე ცდილობს მის სრულ დამორჩილებას.

ჩვენს ამ საბუთში მოცემულია სწორედ ამ „ორიანობის" ერთი ეპიზოდი.

მეფე ბაგრატ ქართლში გადმოდის და ციციშვილს ლაშქარს გაუძახებს. ციციშვილი გიორგი მეფის ყმაა. პატრონი არ მიეშველება ყმას და მხოლოდ სიძე, გამრეკელ-ჯავახიშვილი თავისი შვილებითა და ლაშქრით იხსნის ციციშვილს დარბევისაგან.

* * *

გარე პოლიტიკურ თუ ქრონოლოგიურ ხასიათის იმ ფაქტებს გარდა, რომელთაც ჩვენ პირველად ამ საბუთებით ვეცნობით, ჩვენი მასალა მეტად ძვირფასია აგრეთვე ფეოდალური ქვეყნის საშინაო ყოფა-ცხოვრების, საშინაო პოლიტიკური ურთიერთობის დასახასიათებლად.

ფეოდალურ საზოგადოების ზნე-ჩვეულება, ფეოდალის შინაური ყოფა, ქალის მდგომარეობა მაღალფეოდალურ საზოგადოება-

ში, მეფის დამოკიდებულება ფეოდალებთან, ფეოდალების ურთიერთშორის დამოკიდებულება, ფეოდალის პოლიტიკური აზროვნება, უფლისწულის საკითხი ფეოდალურ საზოგადოებაში, ფეოდალურ საქართველოს „დაშლის“ საკითხი,—ყველა ესენი და მრავალი სხვა საკითხებიც მეტად საინტერესოდ დაისმიან ხოლმე ამ საბუთების შესწავლის შედეგად.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხების შესახებ ამომწურავ საუბარს აქ ვერ გამოუდგებით. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს და ისიც გაკვრით და ზოგადად შევეხებით.

მკაფიოდ და საინტერესოდაა მოცემული ფეოდალური აზროვნება: ის, თუ როგორ ესმის ფეოდალს ყმის უფლება-მოვალეობა პატრონის მიმართ, პატრონის მოვალეობა ერთგული ყმისა და უფლება ორგულის მიმართ.

ფეოდალის ყმობისა და „ერთგულად მსახურების“ საფუძველი „მამულია“, რომელიც იმის მიხედვით, თუ როგორი „სახლისა“ და „გვარისაა“ ყმა, და როგორი ერთგულება და სამსახური აჩვენა პატრონს ყმამ, ებოძება უკანასკნელს „სამკვიდრო-სამამულოდ“ ჩვეულებრივის წესით ან კიდევ „თარხნად და ქელშეუვალად“.

ასეთი „მკუიდრი მამულით“ „მსახურებს“ ყმა პატრონს. ერთგულებით სამსახური პირობაა „მამულის“ მიღება-ქონებისა. პატრონი მოვალეა ერთგული სამსახურის „სანუქფოდ“ წყალობა უყოს ყმას და ყმას უფლება აქვს საამისო აჯა-და-მოხსენებით მიჰმართოს პატრონს. ასეთ შემთხვევაში ყმა ხშირად თითონ ასახელებს ხოლმე „წყალობის“ საგანს.

ყმა მოვალეა მწყალობელი პატრონის მიმართ „ერთგულება-სამსახურსა შიგან“ დარჩეს.

შეცოდების შემთხვევაში პატრონს უფლება აქვს „წაართვას“ ორგულ ყმას „სამკუიდროდ“ და „სამამულოდ“ ნაწყალობევი. „დააღარიბოს“ ის, დასაჯოს, მაგრამ „დაუნაშავებლად წართმა... აროდეს ყოფილიყო“.

ფეოდალური პრინციპი, რომ „ნაწყალობევ მამულის“ „დაუნაშავებლად წართმა... აროდეს ყოფილიყო“ (საქ. სიძ. II, 202) ფეოდალურ სახელმწიფოს არსებობის პირობებში მეტ-ნაკლებად ურყევია. ცენტრალურ ხელისუფლების იდეალი ის არის, რომ მას ჰქონდეს ნაწყალობევ „ქელისა“ და „მამულის“ „დაუნაშავებლად წართმის“ საშუალება და უფლება.

ფეოდალის იდეალი კი, პირუკუ, ის არის, რომ ასეთ „წართმას“ არც „დანაშაულობა-შეცოდების“ შემთხვევაში ექნეს ადგილი.

არც ერთი და არც მეორე „იდეალი“ ფეოდალურ სამეურნეო ურთიერთობის პირობებში სისავსით არ განხორციელდება. ეს არის ორი ერთი მეორის მოპირდაპირე უკიდურესი წერტილი, რომელთაც ფეოდალურ ურთიერთობის პოლიტიკური საქანელა ამა თუ იმ ქვეყანაში მისი განვითარების კონკრეტული სახეობისდა მიხედვით უახლოვდება.

საქართველოში XIV—XV საუკუნეებში პოლიტიკური საქანელა უფრო ფეოდალების იდეალისაკენ იყო გადახრილი.

უფლების განხორციელება ფეოდალურ ურთიერთობის ხანაში, როგორც პატრონის, ისე ყმის მიერ ყოველ კერძო შემთხვევაში უპირატესად ძალაზე არის დამოკიდებული.

ხშირად არის, რომ პატრონს ყმის დასჯა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს. ყმა-ფეოდალი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ქვეშევრდომი არაა, ის „ჴელმწიფის“ ნებას აგრერიგად უსიტყვოდ როდი ემორჩილება. ასეთი ქვეშევრდომობა ფეოდალურ ურთიერთობის ხანაში პრინციპულად შეუძლებელია.

მაგალითად, მეფე ვახტანგს სურს თაყა ფანასკერტელის „წაჴდენა“. „ჴელთ შეპყრობა “სურს მისი, მაგრამ ვერ ახერხებს: ჰხედავს, რომ ასეთი რამ ადვილად არ ჩაუვლის მას.

ამ ნიადაგზეა, რომ პატრონისათვის ყმის ზედმეტი გაძლიერება მიუღებელია.

გაძლიერების პროპორციულად ყმას ერთგულობა-მორჩილების სტიმულები აკლდება, ხოლო პატრონს ყმის მიმართ თავისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა უმცირდება.

განსხვაება აქაც ნათელია ფეოდალურ პატრონ-ყმასა და ბურჟუაზიულ ხელმწიფე (=მთავრობა)—ქვეშევრდომის ურთიერთობათა შორის.

XV საუკუნის ფეოდალის წარმოდგენით ქვეყანა საფეოდალოთა კრებულია. ქართლი, მაგალითად, ამ წარმოდგენით იქნებოდა ქაჩიბასძე-ბარათიანთა, ჯავახიშვილთა, ციციშვილ-ფანასკერტელთა, გაბელისძეთა, ჩიჯავასძეთა, ზევდგინიძეთა, ქსნის ერისთვისა, შაბურისძეთა, აბულეთისძე-აბაზასძეთა და სხვათა „მამულების“ ჯამი.

ერთი მეორის მიმართ ეს „დარბაისერნი“ დამოუკიდებელნი არიან. კეთილმეზობლობენ, ან კიდევ მტრობენ ურთიერთს და ხშირად „პატრონის“ სურვილის წინააღმდეგაც კი. მეფე ყველა ამათი „პატრონია“, მაგრამ ის ეხლა, XV საუკუნეში, „ღმერთისა სწორი“ აღარ არის და ეს „დარბაზ-ბატონები“ მისი „ძმები“ და „შვილებია“.

ერთად ყველა ამათ მიმართ პატრონი უძლურია, მაგრამ ყმათა შორის საერთო შეთანხმების შეუძლებლობა პატრონის არსებობის პირობაა და მის სრუზერენულ უფლებათა რეალიზაციის საწინდარია.

ეხლა გასაგებია, თუ რატომ არის, რომ ფეოდალთა შეყრილობის თუ კეთილმეზობლობის აქტებს მეფის განსაკუთრებული ნებართვა სჭირდება და „მოდაწერილენი" მოვალენი არიან საგანგებოდ აღნიშნონ, რომ ისინი კეთილმეზობელნი ან ერთსახლნი იქნებიან „პატრონის უზიანო საქმითა".

ფრიად საყურადღებო მომენტს შეიცავს ჩვენი საბუთები ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ო ბ ი ს საკითხიდან ფეოდალურ საზოგადოებაში.

მთავართა სისტემის ახალი სახე, მკაფიოდ წარმოჩენილი XIII საუკუნიდანვე, რასაც, საბატონყმო ურთიერთობის გამარჯვების ნიადაგზე წარმოქმნილს, განვითარების მეტად თავისებური გეზი მისცა მონღოლთა ეპოქამ და ამის მომდევნო მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებმა, XIV—XV საუკუნეთა სიგრძეზე მაღალ განვითარებას აღწევს და ნახევრად დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებს წარმოშობს.

პრინციპულად განსხვავებული წინარე ეპოქასთან შედარებით აქ ჯერ კიდევ არაფერია.

„საქართველოს" არასოდეს არ მოუსპია „აფხაზეთი", „ქართლი", „რანი და კახეთი", „სომხითი", „სომხეთი" და „შირვანი". გაერთიანებულ საქართველოს მეფის ტიტული მხოლოდ ისტორიულ შინაარსის მოვლენად არასოდეს ქცეულა.

ასეთი გაერთიანება ფეოდალური ურთიერთობის პირობებში შეუძლებელი რამ იყო, მაგრამ ამ „სამეფოთა" გაერთიანების შედეგად მაინც წარმოიშვა „ყოველი ქართლი", „საქართველო" და „ყოველი საქართველო" საამისო იდეოლოგიით, კულტურით, ტრადიციებით.

ის კი, რასაც XV საუკუნის დასასრულს ჰქონდა ადგილი, ამავე პროცესის მეორე უკიდურესი მხარე იყო.

და აი, ასეთ პირობებში, როცა მაღალი ფეოდალი (=მთავარი) „ხელმწიფობისაკენ" მიისწრაფის და რამდენიმედ კიდეც აღწევს მას, ბუნებრივია, ბატონიშვილობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობისად იქცეს.

პრინციპულად ახალი არც აქ არის რამე, მაგრამ ინსტიტუტის ევოლუცია თვალსაჩინოა და მეტად საყურადღებო.

ბატონიშვილობის საკითხი, თან სდევს, როგორც წესი, ფეოდალურ ურთიერთობის მთელს ხანას, მაგრამ მისი ასეთი თუ ისეთი გამოვლინება დამოკიდებულია ხსენებულ ურთიერთობის კონკრეტულ სახეობისგან.

„სეფეწულნი", ტაოკლარჯეთის „კელმწიფენი", აფხაზთ მეფეთა უფლისწულები (ქართლის ერისთავნი), XI—XII საუკუნეთა ტახტის მაძიებელნი, ორმეფობა XIII საუკუნეში, პროვინციის „მეფენი" XIV—XV საუკუნეებში, „დამოუკიდებელი" სამეფონი XVI—XVIII საუკუნეებში და „ბატონიშვილები" XVIII საუკუნისა, ყველა ეს ერთი კატეგორიის მოვლენებია ფეოდალურ სინამდვილის სხვადასხვა გარემოებაში.

ხსენებული საკითხის მთელს ისტორიულ სიგრძეზე მიმოხილვას აქ ვერ შევუდგებით. ეს ფეოდალური ინსტიტუტი უნდა ცალკე მონოგრაფიული შესწავლის საგანი გახდეს.

ჩვენ აქ რამდენიმე მომენტის აღნიშნვით დავკმაყოფილდებით.

საქართველოს გაერთიანების ხანაში ტახტის მაძიებელი ბატონიშვილები რომელიმე კუთხის მეფობას არ ისახავენ მიზნად. ბრძოლა წარმოებს ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებისათვის. უფლისწული ან უწყინარი „ალასტანელია" ან აჯანყებული პრეტენდენტი.

ასეთია უფლისწულ დემეტრეს ბრძოლა ბაგრატ IV წინააღმდეგ. დავით II გამეფების საკითხი, დავით II ყალბი ანდერძი ვახტანგის გამეფების შესახებ, დავით დემეტრესძის ბრძოლა მამისა და ძმის წინააღმდეგ, დავით დემეტრესძის ყალბი ანდერძი და უფლისწულ დემნას აჯანყება გიორგი III წინააღმდეგ[3].

XIV—XV საუკუნეში, როცა „გაკელმწიფდეს დიდებულნი" და „მეფეთა ადგილთა მჯდომ" მოსაკარგავემ „კნინღა მეფობა იკადრა", ალასტანელი უფლისწული, სრულიად ბუნებრივია, „ბატონიშვილობას" აღარ სჯერდება და „მეფობას" მიიტაცებს.

ცენტრს ეხლა ის მიმზიდველობა აღარა აქვს და „კელმწიფობა" მხოლოდ იქ აღარ არის. ცენტრი „საკელმწიფოებად" დაშლის ტენდენციებს იჩენს და მთავარნი აღარც მეფის სიძობით ასაბუთებენ მათ მიერ სამთავროთა დაუფლების კანონიერებას...

---

[3] რომ უფლისწულთა ასეთი ბრძოლა ფეოდალთა ამ თუ იმ წრეებით საზრდოობდა და ამ წრეების წოდებრივ ინტერესებს ემსახურებოდა, რომ, მაშასადამე, „ბატონიშვილობის" საკითხს ნამდვილად ფეოდალურ წრეების შინაკლასობრივი ბრძოლა განსაზღვრავდა,—საკითხის ამ მხრით გაშლა-გაღრმავებას ჩვენ ამჟამად შეგნებულად ვუვლით გვერდს.

ასეთ პირობებში უფლისწულები არ დააყოვნებენ „გაქელმწიფებას“ და განსხვავებით სხვა ფეოდალ-მთავართაგან თავიანთ თავს „მეფეს“ უწოდებენ.

მეფე ანდრონიკე, მეფე მელქისედეკ (საისტორიო მოამბე I, 138—143), მეფე ალექსანდრე (მე-14 საუკუნის მიწურულს), და გიორგი მეფე, ალბუღას თანამედროვე, (საბუთი 1789 d. h.), მეფე ვახტანგ ალექსანდრესძე 1433 წ. (ისტ. საბ. III, 15), მეფე დიმიტრი ალექსანდრესძე 1445 წ. (ქრ. II, 257), მეფე ბაგრატ დიმიტრისძე (საბუთი № 1570 d h.), — ყველა ესენი უეჭველი მოწმობებით არიან დადასტურებული და ამ მოვლენის ახსნა საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობის არსებობის პირობებში შესაძლებელია, ვფიქრობთ, მხოლოდ ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულების საფუძველზე.

„(ოდეს) ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალს იქით მისსა ძმასა, პატრონსა დემეტრეს მიანება თაყას გარეთ და თაყა ამისთუის არ მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩიჟავას ძისათუის უნდოდა“.

ვახტანგი მეფეა, დემეტრე მისი ძმაა, — ბატონიშვილი. მეფემ ბატონიშვილს წყალს იქით „მიანება“ ე. ი. გაღმა მხრის პატრონობა მისცა. ამიერიდან მტკვრის გაღმართი ფეოდალები დემეტრეს ყმები არიან. მოტივი, თუ რატომ არ „მიანება“ თაყა, მეფე ვახტანგმა დემეტრეს, გვიჩვენებს, თუ როგორი ხასიათის იყო ეს „მინებება“.

უფლისწულ დემეტრესადმი მინებებული თაყა მეფე ვახტანგისათვის ხელმიუწვდომელი გახდება, მეფეს ამ ორგული ყმის დასჯა აღარ შეეძლება. აკი სწორედ ასეც მოხდა. გამრეკელ-ჯავახიშვილის თავგამოდებით თაყა ციციშვილი დემეტრე ბატონიშვილის ყმა შეიქნა და ამით მეფის ძიერ „წაქდენას“ გადარჩა. დემეტრე შეიქნა მეფის და ყმათა (ფეოდალთა) სუვერენული მფლობელი. რაღა დაუშლის მას „მეფე“ უწოდოს თავის თავსა. და აკი მოხსენებულიცაა მეფედ.

მართალია ეს ტიტული ვერ შეინარჩუნა მან, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

ასევე ვახტანგიც. ის ჯერ კიდევ მეფე ალექსანდრეს სიცოცხლეშივე 1433 წელს მოიხსენიება „მეფედ“, შემდეგ კი—არა. შეიძლება აქაც მეფის მიერ უფლისწულისადმი ქვეყნის რომელიმე ნაწილის ისეთივე „მინებება“ (და შეიძლება არც მთლად ნებაყოფლობითი) ვიგულისხმოთ, როგორიც ზემორე მოვიყვანეთ.

ან კიდევ მაგალითი. XV საუკუნის დასასრულს და XVI საუკუნის დასაწყისს (ქ'ცით 1512 წელს) მუხრანი უფლისწულს ბაგრატს

„მიანებეს“. ბაგრატმა „დაიჭირა ბატონობა“, „ძველი ტახტი განაახლა“ და თავის თავს მეფედ რაცხს[9], ყოველ შემთხვევაში ასე უწოდებს მას პოეტი (სერაპიონ საბაშვილი) და ეს მაშინ, როცა მისი მამა (თუ მამა არა, ძმა მაინც) ქართლის მეფეა. არც მუხრანელ უფლისწულებს შერჩათ მეფის სახელი, მაგრამ „კახ-ბატონის“ მსგავსად მათაც ჩვეულებრივ ფეოდალისაგან განსხვავებული ახალი სახელი მიითვისეს: „მუხრან ბატონი“.

პრინციპულად ამავე კატეგორიისაა ლიხთიქითის „მეფეთა“ საკითხიც.

სრულიად შემთხვევით შექმნილს (მონღოლთა პოლიტიკა: ორი „კანონიერი“ მემკვიდრე) ლიხთიქითის ტახტს არსებობის საფუძველს იგივე მოვლენები უქმნიან, რომელთა ნიადაგზედაც სხვა სამეფო-სამთავროები ჩამოყალიბდნენ. ორი ტახტი სრულიადაც იმთავითვე ორ სამეფოს არ ნიშნავდა და ნარინ დავითი მხოლოდ ლიხთიქითის მეფე არ ყოფილა, ისე როგორც ულუ დავითი არ ყოფილა მხოლოდ ლიხთამერეთის მეფე.

ფეოდალთა დაჯგუფებანი ტახტის ამ მაძიებელთა გარშემო XIII საუკუნის 40-იან წლებში, პრინციპი, რომლის მიხედვითაც XIII საუკუნის 60-იან წლებში ამ ორმა მეფემ ქვეყანა გაინაწილეს, ფეოდალთა დაჯგუფებანი ამ დაყოფის დროს და შემდეგაც XIII საუკუნის 90-ან წლებში ამ მეფეთა მემკვიდრეების მომხრე-მოწინააღმდეგეებად, ყველა ესენი უეჭველად მოწმობენ, რომ არც მეფეებს და არც ფეოდალებს XIII საუკუნეში საქართველო ორ ცალკე სამეფოდ არ ჰქონდათ წარმოდგენილი, არამედ ერთ მთლიან სახელმწიფოდ ორის ტახტით.

მხოლოდ ასეთ შეგნების ნიადაგზე შეიძლებოდა „ორისავე ტახტის გამაერთიანებელი“ სწოდებოდა იმას, ვინც შესძლო და ამ ორ ნაწილად დაშლის გზაზედ შემდგარი ქვეყანა პოლიტიკურად გააერთა.

მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ისე, როგორც XIII საუკუნის სამოციან წლებში, XIV საუკუნის დასაწყისშიაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ლიხთ-იმერეთის ჩამოშორების ტენდენციები. ისინი, რა თქმა უნდა, უკვე არსებობდნენ და რაც დრო გადიოდა, ქვეყნის ეკონომიურ უკან დახევასთან ერთად, თანდათან ძლიერდებოდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ეს ძალები სუსტნი იყვნენ გამაერთიანებელ ძალებთან შედარებით.

[9] „მეფედ“ უწოდებს ბაგრატს მისი ქალი დედისიმედიც. იხ. ვალეს ეკლესიის წარწერა **ИКОИМАО вып. II**, 14—75 და ჯვრის ბუდის წარწერა **Г. Церетели, Арх. экск. по Квир. ушелью**, გვ. 5.

ცენტრი ებრძვის დამოუკიდებლობის გზაზედ შემდგარ სამეფო-სამთავროებს და სანამ მათი ხელქვეითი ფეოდალები ამ თავიანთ პატრონთა „ერთგულებასა ზედა“ მტკიცედ არა დგანან, ამარცხებს მათ და ახლად შობილ ტახტებს აუქმებს. XIII—XV საუკუნეთა მთელს სიგრძეზე ერთი მეორის გვერდით თანდათან ყალიბდებიან ქართული სამეფო-სამთავროები და იმ მომენტში, როდესაც ცენტრის პრეტენზიები ლიხთ-იმერეთის ტახტის მიმართ საბოლოოდ მარცხდება, „ქკს. რნ. მეფეთ ყმობისაგან განთავისუფლდნენ მთავარნი: დადიანი, ათაბაგი, გურიელი და შარვაშიძე“ (ქრ. II, 281), ე. ი. ცენტრის გამაერთიანებელ პოლიტიკის დამარცხების გვერდით მარცხდება ქუთაისის ტახტის პრეტენზიებიც ლიხთიქითის მთავრების მიმართ.

და მხოლოდ ასეთი დათმობის საფასურით მოიპოვა ქუთაისის ტახტმა მთლიან საქართველოს ცენტრისაგან დამოუკიდებლობა. ეს იყო არა ლიხთიქითის ტახტის, არამედ ლიხთიქითის მთავართა გამარჯვება. სწორედ ამიტომაც იდგნენ ეს ფეოდალები „ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა“... მთელი სამი საუკუნის სიგრძეზე წარმოებს ბრძოლა ქვეყნის გამაერთიანებელ და მის დამშლელ ძალთა შორის. მთელს ამ მანძილზე ეს ბრძოლა ერთნაირი ხასიათისა არ არის. დასაწყისში ეს ჩვეულებრივი ბრძოლაა ფეოდალურ სახელმწიფოს შიგნით. მართალია, მონღოლთა კარის პოლიტიკა ძლიერ უწყობს ხელს ადგილობრივ ცენტრისაგან ფეოდალთა მაქსიმალურ გათავისუფლებას, მაგრამ ქვეყნის გამაერთიანებელი ძალები მატერიალურის თუ იდეური ხასიათისა ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ ფეოდალთ ზრახვებში ცენტრისაგან პოლიტიკურ-ტერიტორიული ჩამოშორება ვერ შედის. შემდეგ თანდათან ქვეყნის ეკონომიურ დაცემასთან და ამასთან დაკავშირებულ სოციალურ ხასიათის ცვლილებებთან ერთად ბრძოლა ცენტრსა და სამთავროებს შორის ახალ ხასიათს იღებს. სამთავროები ცენტრისაგან დამოუკიდებლობის ტენდენციებს იჩენენ და ქვეყნის გამაერთიანებელ ძალთა შესუსტებისდაკვალად სულ უფრო და უფრო მეტს წარმატებას აღწევენ ამ თავიანთ მისწრაფებაში. სწორედ ასეთივეა „ქუთაისის ტახტის“ საკითხიც.

დასაწყისში ეს ჩვეულებრივი უფლისწულის საკითხია, რამდენიმედ გართულებული მონღოლთა პირობებში.

სანამ გამაერთიანებელი ძალები განსაზღვრავდნენ პოლიტიკურ გეზს, „იმერთა მეფეც“ არ იოცნებებდა „აფხაზეთით“ შემოფარგვლას, არამედ „ნიკოფსით დარუბანდამდის“ პოლიტიკა იყო მისი სარბიელი.

„ორისავე ტახტის გამაერთიანებლობა“ სრულიადაც ბაგრატიონთა აღმოსავლურ შტოს განსაკუთრებული საქმიანობა არ ყოფილა. ამ ეპოქაში ის ასეთივე საქმიანობა უნდა ყოფილიყო დინასტიის დასავლურ შტოსთვისაც და სხვაგვარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოება ამ დროს არც ამ უკანასკნელთ შეეძლოთ. და ეს არა მარტო XIII საუკუნეში, თვით XV საუკუნის მეორე ნახევარშიაც კი „იმერთა მეფე“ ბაგრატ „ორისავე ტახტის გამაერთიანებლად“ გვევლინება და მისი პოლიტიკური პრეტენზიები ჯერ კიდევ შეეფერება იმ ტიტულატურას, რომელსაც, როგორც ირკვევა, არც მთლად უშინაარსოდ, ან უკეთ, არც თუ მხოლოდ ისტორიულ შინაარსის სამკაულად სთვლიან და ატარებენ, როგორც ლიხთ-ამერეთის, ისე ლიხთ-იმერეთის ეს მეფეები.

არა თუ დავით ლაშასძის და დავით რუსუდანისძის მომხრე ფეოდალური დაჯგუფებანი არ იყოფებოდენ ამერელ-იმერლებად, ასეთ რასმე ჩვენ XV საუკუნის მეორე ნახევარშიაც კი ვერ ვხედავთ.

ესა თუ ის დიდგვარიანი ან ასეთების ჯგუფი ემხრობა „ამერელს“ თუ „იმერელ“ მეფეს არა ამ მეფეთა სადაურობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებს მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები, ხოლო თვით მეფის პოლიტიკა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა ამ ფეოდალურ ინტერესთა თანასწორმოქმედი. მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ, უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, საბოლოო ანგარიშით, პირველს. ამის შემდეგ ბუნებრივად გასაგები ხდება, თუ როგორ იყო, რომ ლიხთაქეთის მეფეები „ეზრახებოდნენ“ ხოლმე ლიხთიქითის ფეოდალებს „საკუთარ მეფის“ წინააღმდეგ, ისე როგორც იმერელი „გამაერთიანებლები“ პოულობდნენ მხარის დამჭერთ ამერელ ფეოდალებში. და მხოლოდ თანდათან, ქვეყნის ეკონომიურ დაცემასთან დაკავშირებით, როცა სამთავრო-საფეოდალოების ინტერესები აღარ გადასცდებიან იმ საზღვრებს, რომელიც მათ დაცემულმა ეკონომიკამ და ამ ნიადაგზე ფრთაგაშლილმა თემობრივობამ შემოუფარგლეს, „ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა“ დადგნენ ფეოდალები და ლიხთ-იმერეთის მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ისევე შემოიფარგლა ლიხთ-იქითით, როგორც ქართლის მეფეთა ან კიდევ კახთ ბატონთა პოლიტიკა სათანადო კუთხეებით.

ეს იყო ნელი, თანდათანი და ხანგრძლივი პროცესი. XV საუკუნის დასასრული ამ პროცესის ქრონოლოგიური ტეხილია, როცა უდავო შეიქმნა დამრღვევ ძალთა უპირატესობა ვამაერთიანე-

ზელ ძალებთან შედარებით. არსებითად აქ არის ამ პროცესის დასასრული.

შემდეგდროინდელი (XVI საუკუნე) ამავე ხასიათის მოვლენები მხოლოდ იმის მოწმობად გამოდგებიან, თუ რა ძნელად გაიმარჯვა ქვეყნის ამ დაშლის ტენდენციამ და რომ გამაერთიანებელი მომენტები ჯერ კიდევ ცოცხლობენ, რომელთა გაძლიერებას, სამწუხაროდ, ხელს არ უწყობდა ეხლა არა მარტო ქვეყნის სამეურნეო განვითარების პირობები, არამედ საგარეო პოლიტიკური გარემოც.

აღწერილ მოვლენისათვის წინამდებარე მასალა შემდეგ სურათს იძლევა: შიდა ქართლში ჯავახიშვილები უთანხმოებაში არიან ციციშვილებთან. ჩიჯავასძეც მტრობს მათ და თავს ესხმის საციციანოს. სამხრეთ დასავლეთიდან მესხებიც გადმოდიან ხოლმე. მეფე ვახტანგს წასახდენლად სურს თავისი ცოლის ძმა თაყა ციციშვილი. აქ გამრეკელ ჯავახიშვილი ცდილობს და დიმიტრი ბატონიშვილის შემწეობით თაყას წახდენისაგან გადაარჩენს. ვახტანგ მეფე არც თაყა ამილახორთან არის კარგ განწყობილებაში. ის დაიჭერს მას და „ლეხთიმერით" ჰყავს ტყვედ. სამაგიეროდ, ვახტანგის ერთგულნი ჩანან ჩიჯავასძე და ჯავახიშვილი. ვახტანგ მეფეს უპყრია როგორც ქართლი, ისე იმერეთიც. უფლისწული დიმიტრი „გაღმა მხარის" პატრონია.

ვახტანგის შემდეგ გიორგი მეფემ „ქუთათისი წაართო" [ბაგრატს]. ბაგრატ იმ თავითვე მეფე არ ყოფილა. ის უნდა ერისთავიბატონიშვილი ყოფილიყო. შემდეგ 1453/4 წელს აჯანყებულ ბატონიშვილმა ბაგრატმა „ქუთათის გაილაშქრა". მწვავე ბრძოლა მეფე გიორგის დამარცხებით დამთავრებულა, თუმცა ქუთათისი ისევ გიორგის ხელთ დარჩენილა; 1466 წელს ქუთათისი კოსტანტინე დიმიტრისძის ხელთ არის და ეს მაშინ, როცა კოსტანტინე ჯერ კიდევ ბაგრატს არ დამორჩილებია და ათაბაგ ყვარყვარეს მიერ დატყვევებული გიორგი მეფის მემკვიდრეობას ცდილობს (საქ. სიძ. II, 19).

აჯანყებული ბაგრატ „მეფედ" კურთხეულა. ყოველ შემთხვევაში, 1463 წლის ადრე ის უკვე „მეფედ" იწოდება (იხ. აქვე გამრეკელ ჯავახიშვილის საჩივრის წიგნი).

ბაგრატსა და გიორგის შორის ამ ომის დროს უკანასკნელის წინააღმდეგ აღმოჩენილა მისივე ამილახორი, რომელსაც ამის შედეგად დაუკარგავს „მამული". მეფე გიორგის „დაულარიბებია" ის.

იმერეთში გამარჯვების შემდეგ ბაგრატს ბრძოლა ქართლში გადმოუტანია. აქ მას ჰყავს აშკარა თუ ფარული მომხრეები. გაბელისძე ბაგრატ მეფის აშკარა მომხრეა. მეფე გიორგი არც ციციში-

ლებთან ჩანს სასურველ განწყობილებაში: ერთხელ, როცა ბაგრატ მეფე გადმოდის და ციციშვილს ლაშქარს გაუძახებს, მეფე გიორგი არ იძვრის ყმის მისაშველებლად და გამრეკელ ჯავახიშვილი მეფის უნებურად მიდის თავისი ლაშქრით და ბაგრატ მეფის მარბიელთ განდევნის.

XV საუკუნის სამოციანი წლებისათვის ურთიერთ შორის მოქიშპე მეფეთ გარდა ბატონიშვილებიც ერევიან პოლიტიკურ ცხოვრებაში: კონსტანტინე და დავით დიმიტრისძენი. კონსტანტინე, როგორც უფროსი, საფიქრებელია, გაღმა მხარის ბატონი ყოფილიყოს: დიმიტრის ვახტანგ მეფემ გაღმა მხარი „მიანება"; დავითი გამოღმა მხრის მებატონე ყოფილა.

ორივე გიორგი მეფის მორჩილებაში ყოფილან. თვით მეფეს ჰყავს ვაჟი ალექსანდრე, რომელიც მას ჯერ კიდევ 1463 წელს „მეფედ" ჰყავს მოხსენიებული (საქ. სიძ. II, 19). ტახტის მემკვიდრის ნაადრევად მეფედ გამოცხადება ასეთ პირობებში სრულიად გასაგებია.

არა თუ ბაგრატ მეფე, კონსტანტინე და დავითიც კი ტახტის მაძიებელნი იყვნენ. მათი მორჩილება და ერთგულება ერთობ პირობითი და სათუო უნდა ყოფილიყო.

გიორგი მეფეს ყვარყვარე ათაბაგი ატყვევებს 1466 წელს. უმალ იცვლება სურათი: კონსტანტინე გამეფებას ლამობს და დროებით კიდეც აღწევს ამას. მის ხელშია გორი და ქუთათისი. დავით ბატონიშვილი წუვა ძმას და მეფე ბაგრატს ეყმობა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე ალექსანდრე არც ერთს ახსოვს.

ბაგრატ მეფე სწრაფად გადმოდის და ქართლის დაპყრობას ცდილობს. მის ძველ მომხრეებს ეხლა ბატონიშვილი დავით და მისი ყმა ზევდგინიძეც ემატება. უკანასკნელი ასეთ სამსახურისათვის დიდი ხნის წინად ჩამორთმეულს სახელოს, თავის „მკვიდრ მამულს" ,გორის მოურავობას დაიბრუნებს. კონსტანტინე მეფე, როგორც ჩანს, ამის შემდეგ ბაგრატ მეფესთან ბრძოლას უიმედოდ უყურებს და ისევ მორჩილებას არჩევს.

ამის შემდეგ ბაგრატ მეფეს მეტოქე აღარა ჰყავს და ისიც „ყოვლისა საქართველოსა" მეფე ხდება. ქართლში გადმოსული ბაგრატ სრულიადაც არ იქცევა როგორც დამპყრობელი ვინმე და არამკვიდრი მეფე. მას ქართლი სრულიადაც არ წარმოუდგენია დაპყრობილ ქვეყნად, არამედ თავი ქართლის მემკვიდრე მეფედ მიაჩნია. ის ისეთივე „ორისავე ტახტის გამაერთიანებელია", როგორც სხვა რომელიმე მეფე ლიხთ-ამერიდან თუ ლიხთ-იმერიდან.

დიდგვარიანთ ორიენტაციებს უპირველეს ყოვლისა მათი ფეოდალური-სამამულო ინტერესები განსაზღვრავენ და ყველა სხვა მომენტი მეორადი ხასიათისაა.

ბაგრატ მეფე არც ფეოდალებს მიაჩნიათ უცხოელად და ყოველივე ყოყმანის გარეშე დგებიან მის მხარეს, როცა კი ამ თავიანთ ინტერესების დაკმაყოფილებას მისგან ელიან და ასე იქცევიან არა მარტო ჩვეულებრივი ფეოდალები, ასე იქცევა „ამერელი“ უფლისწულიც.

———

# ИЗ ИСТОРИИ ФЕОДАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ В ГРУЗИИ XV В.*

В отношении первоисточников из истории Грузии XV века грузинская историография находится в весьма тяжелом положении. Современные нарративные грузинские источники совершенно отсутствуют, а источники документального характера в большей своей части однотипны (пожалования церквам). Пробела не восполняют и сведения, к тому же скудные, иностранных источников.

В этих условиях предлежащие документы, издаваемые впервые, приобретают большое значение. Как по характеру, так и по содержанию, наши документы выгодно отличаются от вышеназванных жалованных грамот. Это—доклады—жалобы феодалов «Дарбази», высшему феодальному судилищу (в данном случае).

По истории XV века они дают обильный материал. Из этих документов впервые предстают перед исследователем совершенно неизвестные до сих пор политические факты, яркие картины отношений феодалов между собою или царей с феодалами, группировки феодалов в борьбе между собою, политическое мышление феодала XV века, любопытные явления бытового характера и т. д...

Добытые из этих документов факты с успехом могут служить опорным материалом для освещения важнейших внутриполитических явлений в истории Грузии XV века.

* * *

XV век в истории феодальной Грузии знаменует совершенно определенный перелом.

На протяжении этого века окончательно оформляются те политические образования, которые в последующие века известны под названием «царств» и владетельных княжеств („სამთავრო“).

Вполне понятно, что это явление обращало на себя внимание историков Грузии. Ни в установлении факта, ни в его оценке историки не согласны друг с другом. Причину назван-

* პირველად დაიბეჭდა 1937 წ.

ного явления одни из них видели в прихоти одного царя, который раздал отдельные части Грузии в уделы своим трем сыновьям; другие (Вахушт) отрицают это. Одни видели в этом факте причину всех дальнейших бедствий, как социальных так и внешнеполитических...

Находятся и такие историки, которые расценивают это явление, как последствие имевшего будто бы в это время место социально-экономического прогресса...

И в самом деле, явление весьма важное и интересное. Чтобы страна после четырехсотлетнего единства (конечно феодального), экономического, политического и культурного, раздробилась бы на составные части, и это на целые века,— необходимы такие же глубокие причины, как те, благодаря которым страна, состоящая из совершенно отдельных политических образований объединилась под одну центральную феодальную власть.

Мы, конечно, не поддерживаем мнения, что распад, это следствие лишь воздействия иноземных, «внешних» сил. Они действовали и влияли, но никак не определяли этого явления. Ведь в таких силах недостатка не было и тогда, когда Грузия объединилась в одно феодальное государство. Во-вторых, в XV веке именно таких сил менее всего видно. Правда, с 1554 года Турция и Иран определенно мешали объединению феодальной Грузии, но факт распада никак нельзя отнести к этому сравнительно позднему явлению.

Не поддерживаем и того мнения, что распад феодальной Грузии — прихоть одного злосчастного царя, раздавшего отдельные части Грузии в уделы своим сыновьям. Если бы даже такой видимости факт и с таким последствием и имел место,—(бесспорного подтверждения чему мы до сих пор не находим), все равно, нам бы пришлось это явление счесть скорее за следствие, но никак не за причину сил, вызвавших распад страны.

Не приходится доказывать, что факт политического распада феодальной Грузии не есть причина установления крепостнических отношений. Такие отношения установились в Грузии задолго до этого.

Конечно, нам не приходится также серьезно оспаривать положения, будто политическое раздробление феодальной Грузии есть выражение социального прогресса на базе экономического преуспеяния страны. Такое положение не находит ни малейшей поддержки в фактах.

Не имея возможности подробно развить здесь свою мысль, мы все же решаемся выставить по данному вопросу поддерживаемое нами положение.

**Политический распад феодальной Грузии произошел в условиях окончательно победившего крепостничества и развившегося феодального иммунитета вследствие экономического регресса и хозяйственной деградации** (а не при наличии экономического преуспеяния феодального хозяйства Грузии), **что в свою очередь явилось результатом весьма сложного переплета сословно-классовых и внешнеполитических отношений.**

* * *

В политическом представлении грузинского феодала XV века Грузия — это сумма отдельных феодальных «домов» (сеньорий). Для Карталинии, например, слагаемыми этой суммы были бы вотчины (მამული, «мамули») Качибасдзе-Бараташвили, Папаскертели-Цицишвили, Джавахишвили, Габелисдзе, Чижавасдзе, Зевдгинисдзе, Газнели, Бибилури-Эристави, Шабурисдзе-Эристави, Абулетисдзе-Абазасдзе и др.

По отношению друг к другу эти сеньории (სახლები) совершенно независимы. Они мирно сожительствуют или же враждуют друг с другом, и это часто вопреки желаниям «патрона» (сюзерена, царя). Характерен, и лишь в этих условиях понятен, развившийся к этому времени институт добрососедства (კეთილმეზობლობა) или объединения (მეყრილობა) двух феодальных «домов» (сеньорий). Такой институт был бы непонятен и ненужен при наличии сильной центральной власти, например, при Давиде (XII в.). С некоторых же пор подобный институт становится необходимым. Юридические акты этого института сохранились еще с XIII в.

К этому времени приблизительно (конец XIII и начало XIV в.), можно предполагать, и оформился окончательно этот институт.

Царь есть — «патрони» (сюзерен) по отношению ко всем феодалам, но он теперь в XV веке, уже не «Богуравный» (ღმრთისა სწორი). Возвысившись социально и политически, феодалы тем самым давно уже низвели «царя царей» с высоты, держаться на которой оказывалось дальше не под силу власти, опирающейся лишь на тех же феодалов. «Богуравный» становится primus inter pares и «Дарбаз-Батони» (боярин-царедворец, боярин думный) становится «братом» и «сыном» «патрона».

В сравнении со всеми феодалами, вместе взятыми, «патрони» неизмеримо слаб, но невозможность полной согласованности вассалов между собой есть условие реализации сюзеренных прав царя. В таких условиях понятно, на чем основан тот

порядок, что юридические акты добрососедства или объединения двух феодальных «домов» в каждом отдельном случае нуждаются в согласии и утверждении патрона. В каждом таком акте специально оговаривается, что участники его (მოლაწერილენი) вассалы этим не помышляют чего-нибудь могущего принести вред патрону (პატრონის უზიანო საქმითა).

Документы XV века ставят одну интересную проблему феодального политического строя. Это — проблема «батонишвили» (царевич).

Воскресшая в новом виде на почве торжества крепостничества, система мтавар'ов, (букв. князь, владетель) поддержанная всеми дальнейшими политическими явлениями, внешними или внутренними, в XIV—XV веках, с приобретением мтаварами иммунитетных прав, достигает вершины своего развития: каждое такое «Самтавро» (букв. княжество, владение) начинает перерастать в полунезависимое политическое образование.

Принципиально нового тут еще ничего нет:

Феодальная «Сакартвело» (Грузия) никогда не поглощала окончательно понятий «Абхазии», «Картлии», «Кахетии», «Сомхитии» и т. д. и титулатура царя объединенной феодальной Грузии никогда не превращалась в формулу лишь с историческим содержанием. Такое глубокое объединение (=воссоединение) в условиях феодальных отношений было бы невозможно.

Входящие в Грузию «царства»-провинции и за время объединения достаточно сохраняли свое политическое лицо, не претворяясь в органическую часть целого ценой полной потери собственных политических органов. Но тем не менее, на почве и вследствие объединения этих «царств» создались понятия, выражающие это сложное содержание: «ყოველი ქართლი» (букв. вся Картлия), «საქართველო» (букв. Грузия) и «ყოველი საქართველო» (букв. вся Грузия). Такое единство обосновывалось и утверждалось соответствующей экономикой, идеологией, культурой...

А то, что имело место к концу XV века, была вторая крайняя сторона того же явления.

И вот, в условиях, когда рядовой феодал с успехом силится достичь полноты политической власти и превращается в мтавари, проблема «батонишвили» (царевич), естественно, приобретает особенное значение.

Трактуемое явление сопутствует всей эпохе феодальных отношений, но то или иное его выражение зависит от конкретного вида названных отношений.

«Сепецули» VII—VIII веков, Тао-Кларджские «государи» (ხელმწიფენი) IX—X веков, «уплис-цули» (букв. господские дети-царевичи) абхазских царей X века, претенденты престола в XI—XII веках, провинциальные «цари» в XIV — XV веках, «независимые» царства в XVI—XVIII веках и «батонишвили» XVIII—XIX веков (в Карталино-Кахетии, в Имеретии, в Мегрелии и Гурии),—все это явления принципиально одной категории, но в различных конкретных условиях феодальной действительности.

Тут неуместно заняться изучением этой проблемы во всем ее объеме и на всем историческом протяжении. Мы ограничимся лишь некоторыми моментами.

В эпоху объединения феодальной Грузии, в XI—XII веках претенденту на престол (уплис-цули) и в голову не приходит стать «царем» какой-либо части страны. Между царевичами тут борьба может идти лишь за центральную власть и постольку же «уплисцули» или безвредный Аластанец (Аластани—пункт в Джавахетии, предоставляемой в удел царевичам) или восставший претендент престола... Такого порядка все этого рода явления XI—XII веков, как-то: борьба Димитрия царевича против Баграта IV, завещание (подложное?) Давида сыну, царю Димитрию, относительно воцарения после себя второго сына Давида—Вахтанга, борьба царевича Давида, сына царя Димитрия против отца и брата, завещание (подложное?) царя Давида брату Георгию относительно воцарения племянника Димитрия, восстание Димитрия против Георгия...

В XIV—XV веках, когда выражаясь языком автора того времени, «გახელმწიფდეს დიდებულნი» —это значит: суверенами стали феодалы из высшей служилой знати,—в такое время, совершенно естественно, царевичи не довольствуются скромной участью «батонишвили» и становятся на местах «царями».

Центр теперь обнаруживает тенденцию дробления на ряд полусуверенных политических единиц...

Цари Аластанцы—Андроник, Мелхиседек (XIV в.), царь Георгий, современник Агбуги (XIV в.), царь Александр при жизни царя царей Константина (XV в.), царь Вахтанг при жизни царя царей Александра (XV в.), царь Димитрий при жизни царя царей Вахтанга (XV в.), царь Баграт при жизни царя царей Давида (XVI в.),—все это факты документированные и объяснить это явление при условии политического единства Грузии возможно, думаю, лишь на основании представленных тут соображений.

«Когда Вахтанг царем стал, (область) на той (правой) стороне Куры отдал в полное распоряжение (მიანება) брату, патрону Димитрию за исключением (феодала) Така, а его потому не отдал, что хотел вотчину и крепость его пожаловать Чижавасдзе».

Вахтанг—царь, Димитрий, его брат-царевич. Царь передал во владение («მიანება„) царевичу правобережную Картлию.

С этих пор феодалы этой области — вассалы Димитрия. О характере передачи указывает мотив, по которому царь Вахтанг не передал Димитрию одного из феодалов названной области — Така. Последнего Вахтанг хотел наказать. Переданный же Димитрию Така тем самым стал бы недоступен царю Вахтангу. Последний был бы не в силах наказать Така, ставшего вассалом Димитрия. Так и случилось: усилиями феодала Гамрекела Така был уступлен царем патрону Димитрию и тем самым избег ожидающего его наказания от царя Вахтанга: лишения вотчины и крепости.

Итак, Димитрий есть царевич и суверенный владетель высших феодалов. Совершенно естественно, что его станут именовать «царем», хотя формально он может быть и не принимал этого титула. Не мешает этому, конечно, и то обстоятельство, что такой «царь» может в большей или меньшей степени быть зависим от «царя царей»...

Еще один пример. В начале XVI века область Мухрани царь Давид передал брату своему Баграту. Этим Мухрани политически не отделялся от Картлии. Тем не менее Баграт в ряде документов. именуется «царем». Документы сохранили тут одну характерную особенность: они твердо отличают титулы: «царь царей» и «царь», чем ясно указывают на политическую структуру феодальной Грузии этого времени.

Принципиально этой же категории вопрос об Имеретинском царстве.

Дальнейшее существование возникшего при монголах имеретинского престола поддерживают те же явления, на основании которых народились современем и другие «царства»—владения.

В начале (середина XIII в.) два престола вовсе не обозначали существования двух отдельных друг от друга «царств»; то было два царя в одном царстве, причем один из них считался старшим. Так понимало это феодальное общество Грузии XIII века. И только на основании такого понимания возможно было назвать «объединителем двух престолов» царя Георгия (XIV в.), усилиям которого, главным образом, приписывали политическое воссоединени: („ორისავე ტახტის გამაერთიანებელი“).

Это, конечно, еще не означает, что в XIII—XIV веках, после монгольского завоевания, не существовало тенденции дробления страны на самостоятельные политические образования. Эти тенденции без сомнения налицо и в связи с экономическим регрессом они все усиливаются, но пока что они слабее сил, действующих в противоположном направлении.

Центр ведет борьбу со ставшими на путь, обособления «царями»-владетелями и имеет успех в этой борьбе, пока находит поддержку в ариервассалах.

На всем протяжении XIV—XV веков, один за другим оформляются эти «царства» и «владения» и в тот момент (60-ые годы XV века), когда политика центра, направленная против имеретинского «престола», терпит окончательную неудачу, по словам хроники, «от вассальной зависимости от царей освободились владетели Дадиани, Атабаги, Гуриели и Шарвашидзе». Историк Вахушт совершенно прав, когда замечает, что лишь на основании таких уступок своим вассалам, имеретинский «царь» обеспечил себе их поддержку в борьбе против «царя царей».

На протяжении целых двух с половиной веков идет постоянная борьба между этими двумя противоположными тенденциями. На всем означенном протяжении борьба эта не однородна.

Вначале эта обыкновенная борьба феодала, имеющая целью достичь максимума социально-политических прав и преимуществ внутри страны. Тут политика монголов идет в пользу феодала и последний во многом успевает означенным путем, но объединительные мотивы материального, а также идейного порядка пока еще настолько сильны, что совершенное обособление от центра не входит в политическую программу феодала. Только позднее и постепенно, по мере экономического регресса страны и связанных с этим социальных сдвигов, эта борьба между центром и отдельными феодальными владениями принимает другую окраску. Отдельные владения начинают проявлять тенденцию политического обособления и, по мере прогрессирующего ослабления объединительных начал, имеют в своем стремлении все больший и больший успех.

Такого порядка и вопрос об «имеретинском престоле» Вначале это обыкновенный вопрос «царевича», правда, несколько осложненный в условиях монгольской политики. Пока объединительные силы доминировали «имеретинский царь» не стремился к тому, чтобы окончательно ограничиться территорией за Лихскими горами: он тоже вел политику «от Никопси до Дербента».

«Объединение двух престолов» одинаково входило в программу царей западно-грузинского и восточно-грузинского.

И это не только в XIII веке, даже во второй половине XV в. «имеретинский царь» Баграт представляется более или менее «объединителем» и постольку же его политические претензии соответствуют той титулатуре, которую, как оказывается, не лишь как исторического характера украшение носят «лихт-имерские» или «лихт-амерские» «цари».

Весьма любопытно, что не только в XIII веке, но и во второй половине XV века феодал или группа феодалов в борьбе между «царями» ориентируются на того или иного «царя» не по территориально-политическому признаку «Имеретии» или «Амеретии», а лишь по принципу наибольших собственных феодальных выгод. Политика же каждого из царей не могла быть чем либо иной как не равнодействующей интересов этих феодалов...

Не политика царей определяла политику феодалов, а наоборот, интересы последних в конечном счете определяли политику царей. Теперь понятен секрет того, как «лихт-амерским» царям удавалось «уговорить» (ეზრახა) феодалов Имеретии против «собственного» царя и наоборот, эти «объединители престолов» из Имеретии находили себе сторонников среди карталинских феодалов.

И только постепенно, по мере хозяйственного упадка, когда политические интересы феодальной сеньории все меньше выходят за пределы, очерченные постоянно падающей экономикой и все возраставшим провинциализмом,—только в таких условиях ceteris paribus, местные феодалы могли проявить предпочтительную «верность к собственным царям» и с этих пор государственная политика имеретинских царей также ограничилась территорией Имеретии, как политика и других политических образований феодальной Грузии соответствующими провинциями.

Как мы уже отметили, это был постепенный, медленный и долгий процесс. Конец XV века—это дата определенного перелома, когда торжество разъединяющих сил стало бесспорно. В сущности тут и закончился описанный процесс. Дальнейшие же явления этого порядка указывают лишь на то, с каким трудом победили разъединяющие силы, и что объединительные тенденции, хотя все слабее, но еще продолжали действовать, усилению которых, к сожалению, теперь мешали не только условия социально-экономического состояния страны, но и условия внешне-политические.

# XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან*

მძიმე მარცხი განიცადა საქართველომ მე-16—17 საუკუნეთა მიჯნაზე ყიზილბაშებთან და ოსმალებთან ბრძოლაში. ოსმალეთმა საბოლოოდ მოჰგლიჯა მას სამცხე-საათაბაგო და აქ „ქართველობის“ ამოგდებას ენერგიულად შეუდგა. შაჰ-აბასმა ნანგრევ-ნასადგომევად აქცია აყვავებული კახეთი და ტყვე ქართველებით გაავსო ერანი. ქართლი და კახეთი შაჰის სახანოები შეიქმნენ. მაგრამ ბრძოლა ამაზედ არ დამთავრებულა და ქართველ ხალხს მოძალადეთა წინაშე ქედი არ მოუხრია. მარაბდის დიდ ომს (1624 წ.) და კახეთის მრისხანე აჯანყებას (1659 წელს) მტერი უნდა დაერწმუნებია, რომ „გურჯისტანში“ „ქართველობის“ ლიკვიდაცია მისთვის მიუწვდომელი ამოცანა იყო. მაგრამ დამპყრობელი დასახულ მიზანს ამის შემდეგაც არ ეშვებოდა და მის განხორციელებას სხვადასხვა საშუალებით დაჟინებით ცდილობდა. არა ნაკლების დაჟინებით ცდილობდა ქართველი ხალხი მტრის ამ ღონისძიებათა გაქარწყლებას.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო „აღდგომისა და გამოხსნისათვის“ ძალას იკრებდა, საამისოდ ირაზმებოდა. წამყვანი როლი ამ საქმეში ქართლს ეკუთვნოდა. ერანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართლი აღნიშნულ დროს ეკონომიურად და კულტურულად წინ მიდიოდა. ამავე დროს მისი გავლენა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

დიდბრძოლაგადახდილი ქართველი ხალხი ეხლა, „მშვიდობიანობის“ ხანაში, გამოვლილ ომებს იგონებდა, მებრძოლების შეფასებას ცდილობდა და დამარცხება-გამარჯვების მიზეზებს არკვევდა. ამისდა შესაბამისად ქართველი ხალხი შემდგომი ბრძოლის საშუალებებს სახავდა.

---

* პირველად დაიბეჭდა 1944 წ.

ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა მტრის შემოტევის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი,—პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ გაიმართა ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება"), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (იაკობ დუმბაძე), დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI, დომენტი)...

თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა ამ დასის საშინაო სამოქმედო პროგრამას შეადგენდა. მეორე მხრით, ამ დროს პოლიტიკის მიზანი იყო საქართველოს ერთ სამეფოდ გადაქცევა. საქართველოს პატრიოტებს ერანიც და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურიგებელ მტრებად მიაჩნდათ,—ერთი „ფოცხვერი" იყო ,მეორე „ბაბრი",—და მათ საწინააღმდეგოდ მოკავშირეებს ეძებდნენ. ასეთ მოკავშირეებად, ბუნებრივია, ქრისტიანული ქვეყნები იგულისხმებოდნენ. მაგრამ ისეთი, რომელსაც რეალური დახმარების აღმოჩენა შესძლებოდა, არავინ იყო. დიდ ქრისტიანულ ქვეყნებს შორის ყველაზე ახლოს და დასამხარი მოსკოვის სამეფო იყო. ამიტომაც მოხდა, რომ ეს ქვეყანა თანდათან ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა თავშესაფარად იქცა, იმისდამიუხედავად, რომ „დიდმა ხელმწიფემ" ქართველ მებრძოლებს არა ერთხელ გაუცრუა პოლიტიკური იმედები.

განსაკუთრებული პოლიტიკური მარცხი მოსკოვის სამეფომ საქართველოში 1658 წელს განიცადა. ქართველობისათვის მებრძოლთა დასის აქტიური მოქმედებით—თ ე ი მ უ რ ა ზ კ ა ხ თ ა მეფისა და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ი მ ე რ თ ა მ ე ფ ი ს მ ე თ ა უ რ ო ბ ი თ—მოსკოვის სამეფოსადმი სასარგებლო განწყობილება ამ დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო: მოსკოვის ხელმწიფეს ყმობდნენ კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, ყმობასვე ეფიცებოდნენ მას იმერთა მეფის მორჩილი სამეგრელოს და გურიის მთავრები. ქართლშიაც თეიმურაზ-მოსკოვის მომხრეთა ძლიერი დასი სამოქმე-

დოდ მზად იყო. ქართველობისათვის მებრძოლთა პოლიტიკური იდეალი თითქო ხორცს ისხამდა, მოსკოვის დიპლომატიის 70 წლის ნამოღვაწევი წარმატებით სრულდებოდა. საკმაო იყო „პატრონის“ მხრით ენერგიული მოქმედება... მაგრამ ეს დიპლომატიური წარმატება მოსკოვის ხელმწიფემ რეალურად ვერ გამოიყენა, საქართველოს გამაერთიანებელისა და მისი ერან—ოსმალეთის წინააღმდეგ დამრაზმველის როლში ვერ გამოვიდა. ამის შემდეგ ვიდრე მე-18 საუკუნის ოციან წლებამდის მოსკოვის ხელი ამიერ-კავკასიის საქმეებში თითქმის აღარა ჩანს. ამ პოლიტიკური მარცხის ეპილოგი იყო, რომ თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე, რუსხელმწიფის კარზედ მძევალი, მე-17 საუკუნის 70-იან წლებში წამოუვიდა „პატრონს“ და ერანის შაჰს ეყმო და მისგან მიიღო თავისი „სამკვიდრო“.

ამავე დროს ერან-ოსმალეთის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტის ენერგიით გამოდიან დასავლეთ ევროპელები. ახლო აღმოსავლეთის ვაჭრობაში ერთიმეორეს პირველობას ეცილებიან პორტუგალელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები.

სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ერთობ მისუსტებული მე-16 საუკუნეში, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ გაცხოველდა. ვაჭრებს ჩქარა მოჰყვნენ პოლიტიკური აგენტები, მეცნიერ-მოგზაურები, კათოლიკე მისიონერები. განსაკუთრებით საინტერესო იყო უკანასკნელთა მოღვაწეობა. რომის პაპის ამ აგენტების საქმიანობა მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებით როდი ამოიწურებოდა. მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა „საერო“ ცოდნით აღჭურვილი.

კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა. ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა, მისი აღდგენისა და განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“. ქართველობისათვის მებრძოლთა ეს დასი მზად იყო პაპის უზენაესობა აღეარებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინა და მთელ საქართველოში კათო-

ლიკობა გავრცელებინა, ოღონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიელო ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქრისტიანულ ევროპასთან კავშირის მონატრული ქართველები თავიანთი პოლიტიკური გეგმებით კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. მისიონერების მეშვეობით ისინი მიმზიდველ ეკონომიურსა და პოლიტიკურ პერსპექტივს უთვალისწინებდნენ ევროპის ქვეყნებს: საქართველო საუკეთესო გზა იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრებისათვის ერანისაკენ, ხოლო თბილისი მეტად მარჯვე ადგილი ფრანგ ვაჭრების საქონლის საწყობად. ქართველ პოლიტიკოსთა გეგმით კათოლიკობას წარმატება მხოლოდ საქართველოში როდი ელოდა. ქართველების აქტიური მონაწილეობით ეს საქმე ფრიად ნაყოფიერი იქნებოდა აგრეთვე აფხაზეთსა და ჩერქეზეთში. ქართველ პოლიტიკოსთა გეგმა ცხადი იყო: რომის პაპის ავტორიტეტით და საფრანგეთის ხელმძღვანელობით კავკასიის დიდი ნაწილის პოლიტიკური შეკავშირება ერან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ.

მისიონერები ჩქარა ჩაებნენ საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ მოღვაწეობაში. ესენი იყვნენ განთქმული ექიმები, მეფე-მთავართა პოლიტიკური მრჩევლები, ელჩები და საიდუმლო აგენტები. მისიონერები მხარს უჭერდნენ საქართველოს ფეოდალური ძალების გაერთიანებას, მეფე-მთავართა შეთანხმებას; მათ მოღვაწეობას, უეჭველად, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლი ქართველობის განმტკიცებისათვის, მაჰმადიანობის გავრცელების შეფერხებისათვის. კათოლიკე მისიონერების საშუალებით ქართლის მეფეებს ცხოველი მიმოწერა ჰქონდათ რომის პაპთან, საფრანგეთის კოროლთან, ავსტრიის იმპერატორთან თუ სხვა მეფე-მთავრებთან.

ასეთი ურთიერთობა თანდათან ძლიერდებოდა მე-18 საუკუნის ოციან წლებამდე. ამ დროს ახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება გართულდა. სეფიანთა ერანს დღე ელეოდა და საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის" მარჯვე დრო დგებოდა. კათოლიკური ევროპისა და საქართველოს კავშირის გამოცდის დღეც დადგა. ქართველებმა სრულიად გარკ-

ვეული პოლიტიკური დახმარება სთხოვეს მფარველ-მოკავშირეებს,—„ქრისტიანეს“ ლუი XIV-სა (1714 წელს) და ავსტრიის იმპერატორს (1722 წელს). ქართველ პოლიტიკოსებს აქაც იმედის გაცრუება ელოდა. ამ დროს საფრანგეთი შორეულ ამიერ-კავკასიაში პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა: მას აქ პოლიტიკური გაბატონების შესაძლებლობა არ გააჩნდა. უამისოდ კი ქართველთა (თუნდაც კათოლიკების) ინტერესებისათვის ოსმალეთის ხონთქრისა და ერანის შაჰის საწინააღმდეგოს ის არაფერს მოიმოქმედებდა: ინგლის-ჰოლანდიასთან აღმოსავლეთში სავაჭრო-კოლონიური მეტოქეობისას პოლიტიკური მეგობრობა ერან-ოსმალეთთან საფრანგეთისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო, არც ავსტრიის იმპერატორს აღმოაჩნდა ქართლის მეფისათვის რეალური დახმარების ხალისი თუ შესაძლებლობა.

ამავე დროს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად გამოვიდა პეტრე დიდის რუსეთი. და კათოლიკური ევროპის მხრით დახმარების იმედგაცრუებული ქართველებიც თავისი ქვეყნის „გამოხსნისა და აღდგომის“ იმედებით ადვილად შეუკავშირდნენ პეტრე ხელმწიფეს, რომელმაც სრულიად გარკვეული პოლიტიკური დაპირებანი მისცა თავის ახალ მოკავშირეს. მაგრამ მოვლენები ახლობელ აღმოსავლეთში ისე განვითარდა, რომ იმავე პეტრეს თანხმობით საქართველო გამოხსნის მაგივრად „ბაბრის კლანჭებში“ მოექცა. ის ოსმალეთმა დაიპყრო (1723 წ.).

15 ივლისს 1724 წელს ქართლის მეფე ვახტანგი შვილებით, ძმით, უახლოესი თანამოღვაწეებით და დიდის ამალით რაჭის გზით რუსეთს წავიდა. ქართლის მეფე, მისი აზრით, თავის ქვეყნიდან დროებით მიდიოდა და ჩქარა რუსეთის ჯართან ერთად დაბრუნდებოდა საქართველოს გასათავისუფლებლად. ასეთ იმედებს აძლევდა მას რუსეთის იმპერატორი.

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედი ქართლ-კახეთში განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო. 1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელს ატარებდა. 1735 წლის მიწურულს „ოსმალობა“ არა ნაკლებ მძიმე „ყიზილბაშობამ“ შეცვალა. ის 1747 წლამდის გრძელდებოდა. უცხოელ დამპყრობელთა აუტანელმა ბატონობამ არა ერთი სახალხო აჯანყება გამოიწვია. თითოეულ ასეთ აჯანყებას თან სდევდა დამპყრობელთა მხრით დამსჯელი ექსპედიციების სასტიკი თარეში. ამავე დროს მწარმოებელ საზოგადოებას გარეშე მტერზე ნაკლებად არ ანადგურებდა „საკუთარ“ მებატონეთა სრული აულაგმავობა. გამ-

კითხავი აღარავინ იყო. ურთიერთ შორის ბრძოლაში გართული მებატონეები უპირველეს ყოვლისა „მოწინააღმდეგის“ გლეხებს დაერეოდნენ ხოლმე. ჟლეტდნენ მათ ან უცხოეთში ტყვეებად ჰყიდდნენ. მაგრამ გაველურებული მებატონეები არც საკუთარ ყმებს ინდობდნენ. „უდების დადებით“, აუტანელი ბეგრით მათ აჯანყებამდის მიჰყავდათ გაძარცვული გლეხკაცობა. „ურჩი“ ყმების ხვედრი კი ტყვედ დაყიდვა, ხოლო მათი სარჩო-საბადებლის ბატონის მიერ მიტაცება იყო. და ბოლოს. ყველაზედ უმძიმესი ძნელბედობა ეს ლეკთა თარეში იყო. აღნიშნულს ოცდახუთ წლეულში ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აოხრებიათ, არ გაეძარცვათ. ერთი მეორის ქვეყნების სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს, აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და ბოლოს, უპატრონოდ ქცეულ ქვეყანაში ლეკები დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოახელებდნენ: ადამიანი, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვ*.

ყველა ამ ძნელბედობის შედეგი ის იყო, რომ კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. ზოგიერთი მხარე მოსახლეობისაგან სავსებით დაიცალა (თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი, გუჯარეთი, სომხითი, საბარათიანო), სხვაგან კიდევ ძლივს ბოგინობდა შეთხელებული მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა, მეორე ნაწილი ლეკებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ომებს შეეხოცა; სხვები ბოლომოუღებელი ომების თანამგზავრმა შიმშილობამ და ჭირმა იმსხვერპლა, დიდმა ნაწილმა, კიდევ, მიატოვა ეს გაჯოჯოხეთებული სამშობლო, და ახლობელ ქვეყნებს შეეხიზნა.

---

* მე-17—18 საუკუნეთა ქართული წყაროებით „ლეკი“ დაღისტნის მთიანეთის მკვიდრთა საერთო სახელია და არა მხოლოდ ერთ-ერთი დაღისტნური ტომის ეთნონიმი.

დაღისტნის მთიანეთში მრავალი ტომი ცხოვრობდა. ურთიერთისაგან ეს ტომები თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ მეურნეობით, კულტურით, სოციალურ-პოლიტიკური წყობით. ზოგგან იქ ადრეფეოდალური ურთიერთობა წარმოქმნილიყო, სხვაგან კი ჯერ ისევ ძალაში იყო სამხედრო დემოკრატია.

ბარის დასუსტებულობის (ფეოდალური „ჩიხის“) ხანაში საქართველოს რბევა ამ მთიელთა მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი დარგი შექმნილიყო. დაღისტნელი ფეოდალები („ბატონები“), სამხედრო ბელადები ადვილად შემოიყრიდნენ ხოლმე თავისუფალ მთიელებს და „სავაშკაცო საშოვარზე“ (ტყვისა და ალაფის მოპოვება) მოუძღოდნენ მათ.

ოსმალეთი ყირიმით ამ დაღისტნური „საქონლის“ ე. ი. ქართველ ტყვეთა მთავარი მომხმარებელი იყო.

„აღარ დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითსაც თჳნიერ სიმაგრეთა“ ამბობს ვახუშტი 1730 წლისათვის .ხოლო 1757 წლისათვის პაპუნა ორბელიანი შენიშნავს: „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს და ზოგნი ავიდნენ ზემო-ქართლში და საერისთაოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს“. მე-18 საუკუნის 20-იან წლებში კი „იმ მხარეს“, ე. ი. ქვემო ქართლში 40 ათასი სული მცხოვრები იყო...

1725 წელს ოსმალებმა ქართლის მმართველად ისაყ ახალციხის ფაშა დანიშნეს და მას კახეთის დაპყრობა დაავალეს.

ამავე წელს ოსმალებმა „აღწერეს ქართლი სრულიად და დასდვეს ხარკი კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ძროხაზედ აბაზი, კამეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური, მოსავალსა ზედა ხუთის-თავი ხილითურთ“. ა ს ე  დ ა ი წ ყ ო  ქ ა რ თ ლ შ ი **„ოსმალობა“.**

ეს უჩვეულო მძიმე გადასახადი მით უფრო აუტანელი იყო გლეხებისათვის, რომ ოსმალები ქართულ საბატონყმო ურთიერთობას არ შეხებიან და ქართლელ გლეხს ბეგარა და სამსახური „საკუთარი“ მებატონისადმი უცვლელად დარჩა. ასე რომ ამიერიდან მას ორმაგი ექსპლუატაცია აჩანაგებდა. ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის უჩვეულო გარემოება იყო აგრეთვე, რომ ეს ოსმალური გადასახადები მწარმოებელი მოსახლეობის ყველა ფენას აწვა. ოსმალობა არ სცნობდა თ ა რ ხ ა ნ ს, ა ზ ა ტ ს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალნი იყვნენ სხვადასხვა გადასახადისაგან, არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრილი იყო მძიმე გადასახადებით.

ქართლის ფეოდალური საზოგადოება, ოსმალობის უკმაყოფილო იყო.

გ ლ ე ხ ე ბ ი ორმაგ ხარკს (ოსმალურსა და საბატონოს) ვერ უძლებდნენ და სამკვიდრო ადგილებიდან გარბოდნენ. უკმაყოფილო იყვნენ ვ ა ჭ რ ე ბ ი ც: თავიანთი სავაჭრო საქმიანობით ქართლის ვაჭრები უმთავრესად ერანთან იყვნენ დაკავშირებული. ამიერიდან ერან-ოსმალეთს შორის ომის გამო მათი საქმიანობა ფერხდებოდა.

ოსმალობის წინააღმდეგი იყო ე კ ლ ე ს ი ა ც. თავადებმა ისარგებლეს ოსმალების მოსვლით და საეკლესიო მამულები მიიტაცეს. ოსმალებმა დახარკეს საეკლესიო ქონება, მისი ყმა-მამული. ხელს უწყობდნენ ტყვეებით ვაჭრობას და მაჰმადიანობის გავრცელებას. ოსმალეთის ხონთქარს მრავალი წლის განმავლობაში დაპატიმრებუ-

ლი ჰყავდა დ ო მ ე ნ ტ ი, მცხეთის კათალიკოზი (ვახტანგ მეფის ძმა), აქტიური საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, ტყვეთა სყიდვისა და გამაჰმადიანების წინააღმდეგ ენერგიული მებრძოლი.

ოსმალობის კმაყოფილი არც ს ა ე რ ო ფ ე ო დ ა ლ ე ბ ი იყვნენ. მართალია, ოსმალეთის ხელისუფლება ქართლში ოსმალური წესების მთლიანად გატარებას მოერიდა და მიწის მფლობელობის და სარგებლობის ქართული წესები ძირითადად ხელუხლებელი დატოვა; მეორე მხრით დიდებული თავადების (ასეთი იყო ექვსი თავადი) ადმინისტრაციული უფლებები მეფობის გაუქმების ხარჯზე რამოდენადმე გააძლიერა კიდეც (1727 წელს, როცა ქართლის ნომინალური მმართველი იესე გარდაიცვალა, ოსმალთა მოხელემ „ისაყ ფაშამ განჰყო ქართლი: სომხით-საბარათიანო მისცა ერასტის ყაფლანისშვილს, მცხეთას ზეითი ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივს ამილახორს, მუხრანი და საერისთაონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხვათა, რა იგი უხმდათ“). მაინც ქართლის მებატონეთა დიდ უმრავლესობას ოსმალობით უკმაყოფილების მიზეზი მრავალი ჰქონდა.

ქართლის ფეოდალები მოვალენი იყვნენ თავიანთი ყმა-მამულის მფლობელობის უფლება ახლად მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან. მფლობელობის უფლების ეს განახლება უზომო ხარჯებს იწვევდა. ოსმალო მოხელეების უსაზღვრო მექრთამეობა კი ქართველი ფეოდალების ბოროტმოქმედებას ფართო გასაქანს აძლევდა. ქრთამითა და ფეშქაშით ესა თუ ის მებატონე ადვილად ახერხებდა შეუძლებელი მეზობლის, სახლისკაცის ყმა-მამულის მიტაცებას, თავისთვის დამტკიცებას. გარდა ამისა, ფეოდალური სახლის შეუძლებელი წევრები, რომლებიც ვერ მონაწილეობდნენ მამულების ამ დამტკიცებაში, ჰკარგავდნენ საგვარეულო ქონებაში მონაწილეობის უფლებას. ამაების შედეგად მრავალი წვრილი მებატონე უყმამამულოდ დარჩა, მრავალმა გვარიშვილმა საგვარეულო ქონებაში წილი დაკარგა.

ყმა-მამულზედ დადებული ხარკის წესიერად გადახდის პასუხისმგებელი ოსმალთა ხელისუფლების წინაშე მებატონეები იყვნენ. ეს მოვალეობა კი რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მძიმე და აუტანელი ხდებოდა. ხალხის ერთი აღწერიდან მეორემდის გადასახადის რაოდენობა უცვლელი რჩებოდა, ხოლო ამა თუ იმ საბატონოს გადახდის უნარიანობა სწრაფად მცირდებოდა: ხარკის გადამხდელები ღატაკდებოდნენ, გარბოდნენ, „იკარგებოდნენ“; ზოგს ლეკები იტაცებდნენ, ზოგს თითონ მებატონე ჰყიდდა; საბატონო იცლებოდა, დამუშავებული და სათანადოდ დახარკული მი-

წები პარტახდებოდნენ. მცირედ დარჩენილი გაღატაკებული გლეხების კიდევ უფრო დატვირთვა შეუძლებელი იყო: ისინიც დაივანტებოდნენ და მამული სულ მთლად „ამოწყდებოდა“. ოსმალო მოხელეები კი ხარკს უკლებად მოითხოვდნენ მებატონისაგან, ართმევდნენ, რაც წაერთმეოდა, არ აკლებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი. მებატონე ცდილობდა ხელიდან გაეცალა აგრე აუტანელ ტვირთად ქცეული მამული. ჩალის ფასად ჰყიდდა მამაპაპის ნამემკვიდრევს, ან, ხშირად, სრულიად მუქთად უთმობდა მას უფრო შეძლებულ თავის სახლის კაცს, რომელიც ამ მამულზე დადებული ხარკისათვის პასუხისმგებლობას ოსმალთა წინაშე ამიერიდან თვით იკისრებდა.

რა თქმა უნდა, ყველა ფეოდალი ერთნაირად არ განიცდიდა ოსმალობის სიმძიმეს. ფეშქაშისა და ქრთამის დახარჯვით ზოგიერთი თავადი ვეზირისგან მიიღებდა ხოლმე თავისი მამულის ოსმალური ხარკისაგან განთავისუფლების „ბ ა რ ა თ ს“; სხვები კიდევ ოსმალთა მოხელეობით ახერხებდნენ ამ ხარკის თავიდან აცილებას ან რამოდენადმე შემსუბუქებას. მაგრამ ასეთები დიდი უმცირესობა იყო. თავად-აზნაურობის მთავარ მასას კი, და მათ შორის, განსაკუთრებით, წვრილ მფლობელებს, ფრიად მძიმე დღე ადგათ.

ასე რომ ო ს მ ა ლ ე ბ მ ა ქ ა რ თ ლ შ ი რ ა მ ო დ ე ნ ა დ მ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი ვ ე რ გ ა ი ჩ ი ნ ე ს. ამიტომაც იყო, რომ ქვეყანა განსაკუთრებულის შეურიგებლობით ებრძოდა დამპყრობელთა ბატონობას. „ოსმალობის“ თორმეტ წელიწადს ქართლში არც ერთი დღე არ ყოფილა, რომ ქვეყანა მთლად დამშვიდებულიყოს. ყველგან აჯანყების ცეცხლი ღვივოდა. მისი ალი ხან ერთ კუთხეში ამოვარდებოდა, ხან მეორეში; ხან საამილახორო იყო აჯანყებული, ხან ქსნის ხეობა, ხან საမაჩაბლო, ხან არაგვი, ხოლო კახეთის მეფე კონსტანტინე ხომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა კიდევაც 1731 წელს.

ასეთს პირობებში ოსმალებმა დაპყრობილ ქართლ-კახეთში ვერც საგარეო მშვიდობა უზრუნველყვეს. ქვეყანა ლეკების სათარეშოდ გადაიქცა, რომელთაც მუდმივი რბევა-ტყვენვით სრულიად მოშალეს ქართლში ნორმალური მეურნეობა, „ვინათგან არღარა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითსაცა თვინიერ სიმაგრეთა, რამეთუ მუშაკობადცა პარვით, მალვით ჩამოვიდიან და მათნი (ე. ი. ლეკთა, ნ. ბ.) მხილველნი ივლტოდიან სიმაგრეთა“.

1727 წელს, როცა რენეგატი იესე-მუსტაფა გარდაიცვალა, მას ოსმალებმა მემკვიდრე არ დაუნიშნეს და ამით მეფობა ქართლში

გააუქმეს. ისაყ ფაშამ ქართლი დიდი სათავადოების მიხედვით ექვს ერთეულად დაჰყო და სამმართველოდ სათანადო თავადებს ჩააბარა: ამილახორს, მუხრან-ბატონს, ქსნის ერისთავს, არაგვის ერისთავს, ციციშვილს და ყაფლანიშვილს. ეს თავადები იყვნენ ქვეყნისათვის პასუხისმგებელნი ქართლის ფაშის წინაშე. ასე იყო 1735 წლის მიწურულამდის, როცა ქართლ-კახეთის საერთო აჯანყებამ და ერანის შემოტევამ „ოსმალობას" საქართველოში დღე დაულია.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ მეფე დიდი ამალით რუსეთს შეეხიზნა. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ყველანი როდი იზიარებდნენ ვახტანგის ამ ნაბიჯს. ზოგიერთი ამ საქმეში ქართლისათვის ზარალის მეტს არაფერს ჰხედავდა. სხვები კიდევ გონივრულად აფრთხილებდნენ ემიგრანტ მეფეს, რომ უცხოეთში ქართული საქმის წარმატებისათვის აუცილებელი იყო მეფის ქართლშივე დარჩენა ან, ყოველ შემთხვევაში, შვილის აქ დატოვება: „ბაქარ დააბრუნე, სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას. არ გიჯობთ, დამიჯერე. არც სამჯობინარი არის. თუ თქვენი შვილი ამ ქვეყანას არის, გინდა რუსეთსაც და სხვას ქვეყანასაც უფრო ძალიანობაც გამოგიჩნდება და უფრო დიდურათაც დაგიჰერენ",—სამართლიანად ურჩევდა მეფეს **შანშე ქსნის ერისთავი**. ვახტანგი შეცდა. მას, როგორც ჩანს, იჰვი არ ეპარებოდა რუსეთის მეფისა და მისი მოხელეების დაპირებათა „უტყუელობაში", რომ ჩქარა ძლიერი ჯარით დახმარებას მიიღებდა და საქართველოს „ბაბრის კლანჭებიდან" დაიხსნიდა.

ქართლის მეფეს აქაც იმედის მწარე გაცრუება ელოდა. პეტრე ხელმწიფე და მისი მემკვიდრეები ქართლიდან ემიგრანტებს უპირველეს ყოვლისა იმისათვის ეპატიჟებოდნენ, რომ ისინი კასპიის ზღვის ერანული სანაპიროების დაჰერა-ათვისებაში გამოეყენებიათ; რაც შეეხება ქართლისათვის დახმარების აღმოჩენას, ქართლის ემიგრანტებს განუსაზღვრელად უნდა ელოდნათ „სანამ უფალი ღმერთი იმპერატორს არ მისცემდა რაიმე შემთხვევას ძლიერი დახმარების აღმოსაჩენად". მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ „უფალმა ღმერთმა" ასეთი „შემთხვევა" იმპერატორს არ მისცა. ე. ი. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესებმა არ მოითხოვეს საქართველოს საქმეებში ჩარევა. ამაოდ ცდილობდა ემიგრანტი მეფე დახმარების მიღებას, სანამ საბოლოოდ იმედგაცრუებული მწარე უცხოობაში არ გარდაიცვალა ასტრახანს 1737 წელს 27 მარტს.

დიდხანს იყვნენ ემიგრანტები სხვის კარად. სამშობლოს მოწყვეტილებმა მათ თანდათან დაკარგეს პოლიტიკური ფასი და მასპინძელმაც 1738 წელს ხანმოთეულ სტუმრებს მუქთი პურისჭამა

შეუწყვიტა. ემიგრანტების წინაშე სხვა არჩევანი არ იყო: ან უნდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ და სამსახური დაეწყოთ, ან თავიანთ სახლში წასულიყვნენ. 15 წელი იყო, ემიგრანტები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ბოლომოუღებელი ომებისა და აჯანყებათა ცეცხლით მოცულ საქართველოში დაბრუნება მათ აღარ ეხალისებოდათ. მიიღეს რუსეთის მთავრობისაგან ყმა-მამულები და ხელმწიფის სამსახურში შევიდნენ.

ქართველთა ამ გადასახლების მნიშვნელობა და შედეგები მრავალმხრივი იყო.

უპირველეს ყოვლისა საქართველოსათვის ეს იყო აუნაზღაურებელი დანაკლისი. ვახტანგ მეფეს თან გაჰყვა მის სახელმწიფოებრივს თუ კულტურულს შემოქმედებაში თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა. ქართლი ერთბაშად დაიცალა მოწინავე გონებრივ მუშაკთაგან და ქვეყანაში დიდის ხნით შეწყდა აგრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, სამშობლოდან გადახვეწილთ მუშაობა არ შეუწყვეტიათ; მთელი XVIII საუკუნის სიგრძეზე ისინი რუსეთში განაგრძობდნენ სასარგებლო საქმიანობას: სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო-სასწავლო წიგნებს, კვლავ აღადგინეს არჩილის მიერ გამართული სტამბა, სადაც ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს, და სხვა. მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა იმ დროის საქართველოს მეტად მცირედა რგებდა. სამშობლოში მათი ნამუშაკევი ერთობ მცირე მოდიოდა და ოსმალობა-ყიზილბაშობის პირობებში აქ ის ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა. და, რაც უმთავრესი იყო, ორი თაობის სიგრძეზე ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის კერა უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირული: საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის ქართველთა კოლონია კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას ვერ ქმნიდა.

ქართველ კულტურულ მოღვაწეთა კოლონიის რუსეთში გაჩენას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. XVI—XVII საუკუნეებში საქართველო ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეს ორი მიმართულებით ეძებდა: დას. ევროპაში (რომში, ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ავსტრიაში), და მოსკოვის რუსეთში. დას. ევროპასთან საქართველოს ძველი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ტრადიციები ჰქონდა. მაგრამ ეს ურთიერთობა ოსმალეთის მიზეზით მეტად გაძნელებული და მინელებული

იყო. ახალი ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები ახლო-აღმოსავლეთში და კერძოდ, ამიერ-კავკასიაში თანდათან იზრდებოდა, მაგრამ ეს ზრდა მეტად ნელი იყო და ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში პოლიტიკური ჩარევისაგან, და ისიც ერანის ან ოსმალეთის საწინააღმდეგოდ, ეს ახალმოზარდი ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჯერ კიდევ შორს იყვნენ. ჯერჯერობით დას. ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები ამიერ-კავკასიაში კულტურულ-ეკონომიურ სფეროს არ სცილდებოდა. ქართველები კი უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ მოკავშირეს ეძებდნენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს არაერთხელ გასცრუებიათ დას. ევროპის ქრისტიან ხალთაგან დახმარების მიღების იმედი.

მოსკოვის რუსეთი გვიან გამოჩნდა ქართველების პოლიტიკურ თვალსაწიერზე. დას. ევროპის სახელმწიფოთაგან ის არსებითად განსხვავდებოდა. ჯერ ერთი, ამიერ-კავკასიიდან რუსეთი გეოგრაფიულად უფრო ახლოს იყო, ვიდრე ისინი. მეორეც, ამიერ-კავკასიაში რუსეთი იმთავითვე ისახავდა პოლიტიკურ მიზნებს: „მესამე რომის“ სახელით ის აღმოსავლეთის ქრისტიანების მფარველობას იჩემებდა და უკვე ამით ამიერ-კავკასიაში მუსლიმან სახელმწიფოთა მოწინააღმდეგედ გამოდიოდა. ასე რომ პოლიტიკური კავშირი რუსეთსა და ამიერ-კავკასიის ქრისტიან ხალხებს შორის რეალურ საფუძველზე დამყარებული ჩანდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის პოლიტიკური გავლენა ამიერ-კავკასიაში განუხრელად არ იზრდებოდა. რუსეთის რეალური სახელმწიფო ინტერესი ხშირად სრულიად საწინააღმდეგო მოქმედებას უკარნახებდა მისი პოლიტიკის მესვეურთ, ვიდრე ამიერ-კავკასიის ქრისტიანი ხალხები „მესამე რომიდან“ მოელოდნენ. ასეთ შემთხვევებში მოსკოვის რუსეთის პოლიტიკური გავლენა მცირდებოდა და წინარიგში დასავლეთ ევროპის ორიენტაცია დგებოდა.

XVII საუკუნის სიგრძეზე რუსეთმა არაერთხელ გამოამჟღავნა თავისი სისუსტე ამიერ-კავკასიის ქრისტიან ხალხთა „მფარველობის“ საქმეში. ცხადი გახდა, რომ აქ მას ერანის ან ოსმალეთის წინააღმდეგ აქტიურად გამოსვლა ჯერ კიდევ არ შეეძლო. ამავე დროს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ძლიერდება საფრანგეთ-რომის გავლენა. მოკავშირეს მონატრებული ქართველები მხურვალედ გამოეხმაურენ კათოლიკურ ევროპას. მაგრამ 1714 და 1722 წელს აღმოჩნდა, რომ დას. ევროპის სახელმწიფოები ჯერჯერობით კიდევ უფრო ნაკლებად რეალური პოლიტიკური მოკავშირეები არიან საქართველოსი, ვიდრე რუსეთი.

ამიტომაც პეტრე ხელმწიფის გამოჩენამ ამიერ-კავკასიის სარბიელზე ადვილად შეცვალა ვახტანგის და მის თანამოაზრეთა დასავლეთ-ევროპული გეგმები. რუსეთი პეტრეს სახით პირველი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერ-კავკასიის მიწაზე მოვიდა. ერანსაც და ოსმალეთსაც დაუპირისპირდა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს კავშირი და მფარველობა შესთავაზა. პეტრე ხელმწიფემ ერთმორწმუნე საქართველო მიინდო. ჩქარა აღმოჩნდა, რომ რუსეთს არც ამჟამად გააჩნდა საკმაო ძალა ამიერ-კავკასიაში ერან-ოსმალეთთან სამეტოქეოდ. პეტრე I-მა საქართველო ოსმალეთს „დაუთმო“, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა უკან დაუბრუნეს ერანს მისგანვე მინატაცები ზღვისპირა ქვეყნები. მაგრამ ეს ფაქტი ოდნავადაც არ არყევდა ქართველ პოლიტიკოსთა რწმენას: რომ რუსეთი მაინც ერთადერთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერ-კავკასიაში რეალური პოლიტიკური ინტერესები აქვს და რომ ეს ინტერესები ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება. მოსკოვის ქართული კოლონია ქართველთა ასეთი რწმენის ცოცხალი გამოხატულება იყო. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ეს კოლონია ძლიერად ზემოქმედებდა საქართველოს პოლიტიკაზე: მან, უდავოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუს და ქართველ ხალხთა პირველ დაახლოების საქმეში.

მაგრამ მეფის რუსეთი მარჯვედ სარგებლობდა ხელმწიფის ქვეშევრდომად ქცეული ქართველებით არა მარტო რუსეთის სასარგებლო განწყობილების პროპაგანდისათვის საქართველოში, არამედ პოლიტიკური ინტრიგებისათვისაც ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ. ამ კოლონიიდან გამოდიოდნენ XVIII საუკუნეში ქართლის მეფობის მაძიებლები, რუსეთის დიპლომატიური მოხელეები საქართველოს მეფესთან და სხვა წვრილი პოლიტიკური აგენტები. ხოლო XIX საუკუნის დასაწყისს, როცა მეფის რუსეთმა საქართველო რუსულ გუბერნიად აქცია, ამავე კოლონიამ მისცა სამშობლოს არა ერთი პავლე ციციანოვი და დიმიტრი ორბელიანი...

* * *

არანაკლებ მძიმე იყო ოსმალობის დროს კახეთის მდგომარეობა. 1723 წ. ოსმალებმა გარე კახეთი დაარბიეს. ამავე დროს ლეკებ-

მა მთელი კახეთი მოიცვეს. უკიდურესი მდგომარეობისდა მიუხედავად კახთა მეფემ კონსტანტინემ ენერგიული პოლიტიკა განავითარა. ის შეუთანხმდა ლეკებს და ოსმალთა წინააღმდეგ მათი გამოყენება სცადა. ამავე დროს კახეთის მეფე შეუკავშირდა ვახტანგ მეფის-ძეს ბაქარს (ვახტანგი და მისი ძე ამ დროს ჯერ კიდევ ქართლში იყვნენ). ამ შეთანხმების შესახებ კონსტანტინემ აცნობა ერანის შაჰს, რომლის ერთგულ მოხელედაც ის ითვლებოდა, და დახმარება სთხოვა მას. მეორე მხრით, კონსტანტინემ დახმარების თხოვნით მიმართა პეტრე ხელმწიფეს. წარმატება არსად ჩანდა. ბაქარი (ვახტანგთან ერთად) რუსეთს გაიხიზნა, პეტრე ხელმწიფემ კახეთი, ისე როგორც ქართლი, ძალაუნებურად, ოსმალეთის საკუთრებად იცნო; შაჰთამაზი თითონ გაჭირვებული იყო და კონსტანტინესათვის მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენის საშუალება არ გააჩნდა, ლეკები კი მეტად საეჭვო მოკავშირეები იყვნენ: კახეთის რბევას ისინი არც ახლა იშლიდნენ.

ერანის შაჰისაგან კონსტანტინეს სამმართველოდ მიცემული ჰქონდა კახეთისა და ქართლის გარდა ყაზახი, შამშადილუ და განჯა. 1724 წელს კახეთის მეფე ლეკებთან ერთად ოსმალებს შეება ყაზახში. დამარცხდა. ლტოლვილი მეფე ძლივს გადაურჩა საკუთარ „მოკავშირე“ ლეკთაგან შეპყრობას. 1725 წელს ქართლში დიდი აჯანყება იყო ოსმალების წინააღმდეგ. აჯანყებულები ისევ ერანიდან ცდილობდნენ დახმარების მიღებას. ამიტომაც ქართლში გასაბატონებლად მათ მოუწოდეს კონსტანტინეს, რომელსაც ეს ქვეყანა ერანის შაჰისაგან ჰქონდა მიცემული.

კონსტანტინემ შემოიყარა კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები და ქართლს მოვიდა. ომი მოხდა გუფთას. მოღალატეებმა იესე-მუსტაფამ და ერასტი ყაფლანიშვილმა უშველეს ოსმალთ და მტერი დამარცხებას გადაარჩინეს. კონსტანტინე ჯერ ქსნის ერისთავს შანშეს შეეხიზნა, შემდეგ ფშავს გაიქცა.

კახთა მეფე თავისი ძმით და კახელი თავად-აზნაურობით მთელ წელიწადს ხიზნობდა ფშავში. კონსტანტინე-თეიმურაზის ამ ხიზნობის მიზეზი ლეკების მიერ კახეთის დაჭერა იყო. კახეთის დაჭერა ლეკთა მიერ მხოლოდ მათი საკუთარი ძალით არ მომხდარა. ჯერ კიდევ დავით მეფე (იმამ ყული-ხან) 1719—1722 წლებში განგაშსა სტეხდა, რომ კახელი გლეხები სულ უფროდაუფრო გადადიან ლეკების მხარეზე, „ლეკდებიან“ და მათთან კავშირში „საკუთარ“ მებატონეებს ერეკებიან,—და თუ ჩქარა დამხმარე არა-

ვინ გამოჩნდა, მთელი კახეთი „გალეკდება“, ურთავდა შეშფოთებული მეფე. კახეთის მეფისა და მისი თავად-აზნაურობის შველისათვის იმ დროს არავის ეცალა. 1725 წლისათვის დავით მეფის შიში გამართლდა. ეხლა ლეკებს მიემხრნენ არა ცალკეული სოფლები, არამედ „გალეკდნენ ქიზიყელნი და გაღმა-მხრელნი და მისცეს პირი ლეკთა“.

მრავალი რამ უშლიდა ხელს კახელი გლეხების ლეკებთან გაერთიანებას. ლეკები უცხო ტომისანი იყვნენ და მაჰმადიანები, კახელები კი ქრისტიანები. ლეკი აბრაგები საუკუნეთა მანძილზე (განსაკუთრებით XVI საუკუნიდან მოყოლებული) განუწყვეტლად თავს ესხმოდნენ კახეთის სოფლებს, ძარცვავდნენ და იტაცებდნენ გლეხობას და მის სარჩო-საბადებელს. ამიტომ კახელები, ბუნებრივია, ლეკებს თავიანთ მტრებადა სთვლიდნენ. ლეკები, მას შემდეგაც კი, რაც მათ ჭარ-ბელქანი დაიჭირეს და „უბატონო თემები“ შექმნეს, დანარჩენი კახეთის ძარცვა-რბევას თავს არ ანებებდნენ: მაგრამ კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლევდა: კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ეძებდა...

XVIII საუკუნის ოციან წლებში ჭარ-ბელაქანისა და თალას „უბატონო თემებმა“ ტერიტორიული გაფართოვება განიზრახეს და ლაგოდეხ-გავაზის მხარეებს შემოუტიეს. აქაურმა გლეხობამ თანდათან მხარი დაუჭირა ლეკებს, რომლებიც ხერხიანად სარგებლობდნენ ბატონყმური ძარცვის ნიადაგზე გამწვავებულ კლასობრივი ურთიერთობით, „ემოციქულებოდნენ“ გლეხებს, კავშირსა და მშვიდობას აღუთქვამდნენ მათ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. ჩქარა ლეკები შილდა-ყვარელის გლეხებმაც მიიღეს და „საკუთარი“ მებატონეები ალაზნის გაღმა საკუთარსავე მეფესთან გადმოაბარგეს.

კახეთის მეფე და მისი თავად-აზნაურობა ხედავდნენ კარზედ მომდგარ საფრთხეს, თავგამომეტებით „იქნევდნენ ხმალს“ თავიანთი ბატონობის გადასარჩენად და კლასობრივ მოძმეებს (მეზობელ მთავრებს—ხანებს) შველასა სთხოვდნენ.

1725 წლისათვის ჭარ-ბელაქანის „უბატონო თემებმა“ კახეთში თავიანთი სამოქმედო გეგმა კიდევ უფრო გააფართოვეს. ეხლა მათ მთელი კახეთის დაჭერა განიზრახეს. და თითქმის მოახერხეს კიდეც. გაღმა-მხრისა და ქიზიყის გლეხობამ სულ

ე რ თ ი ა ნ ა დ „პ ი რ ი მ ი ს ც ა ლ ე კ ე ბ ს“. მეფე-ფეოდალებს არც შიგნით-კახეთში ედგომებოდა. აქ ორიოდე პუნქტი—თელავი და ალავერდი დარჩათ ლეკებს აუღებელი.

მეფე კონსტანტინე მთელ წელიწადს იჯდა ფშავში. ერთი წლის გასულს კახეთის ფეოდალებს კვლავ ტაროსი დაუდგათ. „უბატონო თემებისა“ და კახეთის გლეხების კავშირი დღემოკლე აღმოჩნდა.

ჭარ ბელაქანის და თალას „უბატონო თემები“ მათი ჩამოყალიბების დღიდანვე თანდათან გადაგვარებას განიცდიდნენ. მალე ახლო მდებარე კახური სოფლები მათ კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს. ამრიგად, „უბატონო თემები“ თანდათან მ ე ბ ა ტ ო ნ ე თ ე მ ე ბ ა დ იქცნენ. ამ დროიდან მათ თავისუფლება („უბატონობა“) კი არ მოჰქონდათ, არამედ მიწებისა და ყმების შეძენის მიზნით კახელ ფეოდალებს ებრძოდნენ, მათ მ ე ბ ა ტ ო ნ ე ო ბ ა ს ე ც ი ლ ე ბ ო დ ნ ე ნ. კახელი გლეხობა კი უ ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ი ბ რ ძ ო დ ა და არა ძველი მებატონის ახლით შეცვლისათვის.

1725 წელს, კახეთის დაპყრობის შემდეგ, ლეკებმა კახელ გლეხებს დანაპირები არ შეუსრულეს და აქ გაბატონება სცადეს. ციხეები დაიპყრეს, მოლები მოასხეს და კახელ გლეხობას ერთბაშად გამაჰმადიანება დაუპირეს. დამპყრობელები შიშობდნენ, რომ მთელი კახეთის დასაპყრად მათ საკუთარი ძალები არ ეყოფოდათ და დამხმარედ დაღისტნელი აბრაგები მოიწვიეს. ახალმა მებატონეებმა „შეაწუხეს... ქისიყი და გაღმა-მხარი, რომლისა გამო ვეღარა შეუძლეს მოთმენა და უღალატეს მუნ მყოფთა ლეკთა და მრავალნი ლეკნი მოსწყვიტეს“. ბრძოლა თელავიდან დაიწყო. თელაველებმა დაამარცხეს ლეკთა ჯარი, რომელიც ქალაქის დაპყრობას ლამობდა. ლეკთა ეს დამარცხება საერთო აჯანყების ნიშანი შეიქმნა. გლეხებმა მთელს კახეთში უწყალოდ ჟლიტეს მათ სახლებში ჩამომდგარი ახალ-ბატონები. მაგრამ მტერს ციხეები ეჭირა. და წასვლას არ აპირებდა. ასეთ პირობებში გლეხებმა ფშავში გახიზნული მეფე ისევ უკან მოიწვიეს, გაძევებული თავად-აზნაურობა და ფეოდალური სამღვდელოება თანდათან დაბრუნდნენ თავიანთ საყმოსა თუ „სამწყსოში“ და შერყეული ბატონობისა და ქრისტიანობის აღდგენას შეუდგნენ.

კონსტანტინე თელავს ჩამოვიდა. კახელებიც მიუვიდნენ. ლეკებმა, რა იხილეს „მაგრობა კახთა“, მორიგების ხალისზედ დადგნენ. კახთა მეფემ ლეკების კვლავ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენება სცადა. კონსტანტინე და ლეკები მორიგდნენ: ლეკებმა

კახეთი დატოვეს, მეფემ სამაგიეროდ მათ კახეთზე თავისუფალი გზა მისცა. მართალია, ლეკებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ კახეთის ძარცვა-რბევა საბოლოოდ, მაგრამ ამიერიდან ისინი უმთავრესად მაინც „უპატრონო და მდიდარ" ქართლს და სამცხე-ჯავახეთს ესხმოდნენ თავს და არბევდნენ.

ოსმალები კახეთში საწადელს დიდხანს ვერ ეწივნენ. ქვეყანა ვერ დაიპყრეს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, კახეთის მეფის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ამიერ-კავკასია, ზღვისპირა ზოლს გარდა, მთლად ოსმალეთს დამორჩილებოდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე დაეზავა ოსმალთ და მათი ხარკი და სამსახური იკისრა. მაგრამ ამ ზავის არც ერთ მხარეს არა სჯეროდა. თბილისის ფაშა უნდობლად უყურებდა კახეთის მეფეს და მისი ოსმალებისადმი ერთგულებისა არა სწამდა. კონსტანტინესაც თავი სათანადოდ ფრთხილად ეჭირა.

ამასობაში ერანის საქმეები თანდათან გაუმჯობესდა. 1731 წელს თამაზ-შაჰის სარდალმა, ნადირმა, ოსმალთა ჯარი დაამარცხა ჰამადანთან და მთელი ადერბაიჯანიც მტერს ხელიდან გამოსტაცა. ერანელთა ამ გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოში. ქართველობისათვის მებრძოლთ დამპყრობელთა უღლისაგან განთავისუფლების იმედი მიეცათ. ენერგიულად ამოქმედდნენ ვახტანგ მეფის მომხრეები. მოსკოვში გახიზნულ მეფეს პოლიტიკური ტაროსის ხელსაყრელობაზედ აცნობებდნენ და სამოქმედოდ სამშობლოში მოუწოდებდნენ. ქართლში მსხდომი ოსმალები და მათი აგენტები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ამ საშიშ ამბებს და საწინააღმდეგო ღონისძიებებს იღებდნენ.

კონსტანტინე მეფე არც აქამდის იჩენდა ოსმალთა მაინცდამაინც ერთგულებას. ეხლა კახეთის მეფე კიდევ უფრო საეჭვო ხდებოდა. 1731 წელს კონსტანტინე ვერაგულად მოკლეს ოსმალებმა და კახეთი დაიჭირეს. კონსტანტინეს ძმა თეიმურაზი ფშავში გაიქცა, ოსმალებმა ყ ა რ ა ღ ა ჯ ი ს ც ი ხ ე გაამაგრეს და შიგ ოსმალო მცველები შეაყენეს. რამდენიმე ხნის შემდეგ თეიმურაზი ფშავიდან დაბრუნდა. თბილისის ფაშას ეახლა. უკანასკნელმა შეიწყნარა ის და კახეთი სამმართველოდ მისცა. მდგომარეობა სამშვიდობო შეიქმნა. მხოლოდ ლეკები ძველებურადვე არ უსვენებდნენ ქვეყანას. ასეთი იყო ვითარება 1734 წლამდის.

* * *

ერანის პოლიტიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ 1727 წლიდან გამოსწორების გზას ადგა. თამაზ შაჰის ნიჭიერმა სარდალმა, ნადირმა, ჯერ ავღანელი დამპყრობელები განდევნა ერანიდან (1730 წ.),

შემდეგ კი ის ოსმალეთს მოუბრუნდა. 1734 წლის ზაფხულს ნადირი უკვე ამიერ-კავკასიაში ებრძოდა ერანის სამფლობელოს მიმტაცებლებს.

რუსეთმა ჯერ კიდევ 1732 წელს ნადირის კატეგორიული მოთხოვნით „დაუთმო" ერანს 1723 წელს მინატაცები კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროები (რ ე შ ტ ი ს ტ რ ა ქ ტ ა ტ ი). 1735 წელს კი ჯერი ამავე ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე მიდგა.

1734 წლის ზაფხულში ნადირმა ოსმალებს შარვანში შეუტია. ამავე დროს მან ლაშქარი გაგზავნა განჯისა და ერევნის წინააღმდეგ. ორი თვის ბრძოლით ნადირმა აიღო შამახია და საბოლოოდ მოშალა აბრეშუმის ვაჭრობა-წარმოების ეს მნიშვნელოვანი ქალაქი.

შარვანის დაპყრობისასვე ნადირმა რუსეთის მეფეს ბაქო-დარუბანდის დაცლა მოსთხოვა. რუსეთს ეხლა ამ ქვეყნების დაცვის თავი არ ჰქონდა. გ ა ნ ჯ ი ს ტ რ ა ქ ტ ა ტ ი თ (1735 წლის 10 მარტი) რუსეთის ხელმწიფემ ეს მინატაცებიც უკან დაუბრუნა ერანს და ამიერ-კავკასიიდან ფეხიც ამოიკვეთა.

როგორც კი ერანის სარდალმა ბრძოლა ამიერ-კავკასიაში გადმოიტანა, ქართველები ოსმალო დამპყრობელებს აუჯანყდნენ. ნადირი ჯერ კიდევ შამახიას გარს ადგა, როცა თეიმურაზ კახეთის მეფე ყარაღაჯში უეცრად თავს დაესხა თბილისიდან შამახიისაკენ მიმავალ ოსმალთა დამხმარე ჯარს, დაამარცხა ის და აიძულა უკანვე დაბრუნებულიყო. ჩქარა აჯანყდა ქართლიც. ქართლელებმა ოსმალები სულ გასწყვიტეს, ვინც თბილისის გარეთ მოახელეს. გივი ამილახორი კი შეუვიდა ოსმალებს გორის ციხეში, ამოწყვიტა ოსმალთა გარნიზონი და ციხე თვით დაიპყრა.

აჯანყებული ქართლელები და კახელები ნადირს ეახლნენ. ამათ ერანის სარდალმა ყიზილბაშთა რაზმები გამოატანა და ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. თეიმურაზ მეფემ კახეთი ოსმალთაგან გაწმინდა და ჰარი დაარბია. ქართლის თავადები კი ყიზილბაშებთან ერთად ენერგიულად ებრძოდნენ თბილისში გამაგრებულ ოსმალებს.

ამასობაში ნადირი ოსმალთა მთავარ ძალებს დაეტაკა ბ ა გ ა ვ ა ნ თ ა ნ (ერევნის ახლოს) და მტერი სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ ერევნის, განჯის, თბილისის და ლორეს ოსმალო მეციხოვნეები უბრძოლველად დანებდნენ გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს.

ქართველებს, მათი ერთგული სამსახურისდა მიუხედავად, ერანის სარდალი ეჭვის თვალით უყურებდა. უეჭველია, ნადირს მოე-

პოვებოდა ცნობები იმ მიმოწერის შესახებ, ქართლის ფეოდალები რომ ვახტანგ მეფესთან აწარმოებდნენ და რუსეთის დახმარებითა და მეშვეობით მის კვლავ გამეფებას ცდილობდნენ. თეიმურაზ მეფის რუსთმომხრეობაც არ უნდა ყოფილიყო საიდუმლო ნადირისათვის.

ოსმალთა ლაშქრის დამარცხების შემდეგ ნადირმა თეიმურაზ მეფე და ქართლ-კახეთის თავადები ერევანს მიიწვია. ყმები მორჩილებით ეწვივნენ ახალ ბრძანებელს. ნადირმა უმრავლესობა მათგანი დააპატიმრებინა, ქართლ-კახეთის მმართველად კი თეიმურაზის ძმისწული ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დავითის ძე დაადგინა და უახლოეს თანაშემწეებად ა ს ლ ა მ ა ზ-ხ ა ნ ი (ორბელიანი) და ა ლ ი ყ უ ლ ი ბ ე გ ი (ამირეჯიბი) დაუნიშნა.

ნადირის ბრძანებით ალექსანდრემ თბილისს რვა ათასი თუმანი ხარკი შეაწერა. ამას გარდა სამი ათასი თუმანი ფული და სამი ათასი ხარვალი ხორბალი (75000 ფუთი) გლეხობას გადაახდევინა. მთელი ეს ხარკი და ორი ათასი მოლაშქრე ალექსანდრემ ნადირს გაუგზავნა.

ქართლ-კახეთში ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ო ბ ა დაიწყო. ოქტომბერში 1735 წელს ნადირი ერევნიდან თბილისისკენ წამოვიდა. თან მოჰყავდა თეიმურაზ მეფე და ქართლ-კახეთის თავადები. გზაში ქართველმა პატიმრებმა დრო იხელთეს და გაიქცნენ. თეიმურაზ მეფე კახელებით ფშავში გაიქცა; ქართლის თავადები ზოგი იმერეთს, ზოგი რუსეთს გადაიხვეწა; ზოგი კიდევ მიუვალს ციხეებში გამაგრდა.
ამრიგად, ქართლ-კახეთი ისევ აჯანყებამ მოიცვა.

6 ოქტომბერს ნადირი თბილისში მოვიდა. აქ ის ჩვიდმეტ დღეს დარჩა. ერანის სარდალმა დამსჯელი რაზმები გაუსია ქართლ-კახეთს. თავად-აზნაურობის დიდმა უმრავლესობამ გაქცევით თავს უშველა. ყიზილბაშებმა სასტიკად დაარბიეს ქვეყანა. ზოგიერთ კუთხეში მოსახლეობა პირწმინდად აყარეს. ათი ათასობით ტყვე წაასხეს.

როგორც ჩანდა, საქართველოს საკითხის გადაჭრას ნადირი ისეთივე საშუალებებით აპირებდა, როგორც შაჰ-აბასი. ნადირს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ერევანს იყო, ქართლ-კახეთის ფეოდალებისათვის ცოლშვილით მასთან ხლება უბრძანებია (კახეთში ასეთი რამ მას მეფისა და მისი ორასორმოცის დარბაისლისათვის მოუთხოვია). ქართველ ფეოდალებს შეუტყვიათ ნადირის განზრახვა: „ჩვენ ეს შევიტყევით, რომე, თუ ცოლშვილი იქ მიგვეყვანა, როგორც ამას წინათ შააბას ყეენსა საქართველო აუყრია, გაუთათრე-

ბია და ყიზილბაშში ჩაუსხამს, ჩვენც ეს ისე გვიპირობდა. რადგან ეს შევიტყევით,—ცოლშვილით ვერ მივენდევით, არზა მივსწერეთ და შევეხვეწეთ: „ცოლშვილის მოსვლას ნუ გვიბრძანებო და სხვას რასაც გვიბრძანებთ, ყველას გმსახურებთო. ამისთვის გაგვიწყრა და ლაშქარი გამოგვისია“.

ნადირი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო დამპყრობელი ერანის ერთგული არასოდეს არ იქნებოდა, რომ დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის ბრძოლას ქართველი ხალხი ცოცხალი თავით არასოდეს შეწყვეტდა და ამ ბრძოლის დროს ქრისტიანულ სახელმწიფოებთან (ამ შემთხვევაში რუსეთთან) მოკავშირეობაზე ხელს არ აიღებდა. ნადირმა კარგად იცოდა, რომ საქართველო ამიერ-კავკასიაში რუსეთისთვის ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენდა (ამის უტყუარი მოწმობა იყო ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა გრძელი სია ალექსანდრე კახეთის მეფიდან ვახტანგ ქართლის მეფემდის), ხოლო რუს-ხელმწიფის გეგმები ერანსა და ამიერ-კავკასიაში, პეტრეს ლაშქრობის შემდეგ მაინც, კარგად იყო ცნობილი.

ისე როგორც შაჰ-აბასმა, ვერც ნადირმა შეასრულა განაზრახი. ბედის ამდენი უკუღმართობის მიუხედავად ქართველ ხალხს მაინც აღმოაჩნდა საკმაო წინააღმდეგობის უნარი დამპყრობელის ამ გაბედული გეგმის ჩასაშლელად.

ნადირმა თბილისში სულ ჩვიდმეტ დღეს დაყო. ის სასწრაფოდ წავიდა დარუბანდისკენ ყირიმელი თათარხანის წინააღმდეგ, რომელიც ნაგვიანევად წამოსულიყო შარვანში ოსმალთა დასახმარებლად. რა ოსმალთა დამარცხება შეიტყო, თათარხანი უკანვე დაბრუნდა, ნადირი კი მუღანს წავიდა. აქ მას ერანის ყაენად დაჯდომა ჰქონდა განზრახული (ნადირმა თამაზ-შაჰი ჯერ კიდევ 1732 წელს გადააყენა ტახტიდან და ერანის ყაენად მისი მცირეწლოვანი შვილი გამოაცხადა. თითონ ნადირი კი ამიერიდან ამ ყაენის აღმზრდელად და მზრუნველად ითვლებოდა). ნადირმა მუღანში მთელი ერანის მაღალფეოდალური საზოგადოება იხმო. აქვე ეახლნენ მას ამიერ-კავკასიელი ყმებიც. ქართლიდან მუღანს მივიდნენ ქართლის მმართველი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, ვახტანგ მეფის ძმისწული ა ბ დ უ ლ ა ბ ე გ ი, ა ლ ი ყ უ ლ ი-ბ ე გ ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი და ს ა ბ ა რ ა თ ი-ა ნ ო ს სარდალი ქაიხოსრო ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

შიშით გულგახეთქილი ხანები, სულთნები, თავადები, მოლები და კათალიკოზ-ეპისკოპოზები „ერთხმად“ დიდხანს ემუდარებოდ-

ნენ ნადირს, მოელო მოწყალება და ერანის შაჰად დამჯდარიყო. „დაყინებითმა თხოვნამ“ გაჭრა. ნადირი „დათანხმდა“ ერანის ხელმწიფობას (26 II 1736 წ.). კმაყოფილმა ყაენმა ხელმწიფური წყალობა გასცა: რვა ათასი ქართველი ტყვე მონებად დაურიგა ამ ყიზილბაშურმა „კანდიდატმა“ თავის „ერთგულ ამომრჩევლებს“.

ნადირ-შაჰმა მუღანიდან ალექსანდრეს ს ე ფ ი-ხ ა ნ სარდალი გამოატანა ყიზილბაშთა ჯარით და აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. სეფიხანმა აოხრებულ ქვეყანას ს ა მ ი ა თ ა ს ს ა მ ა ს ი თ უ მ ა ნ ი ახალი ხარკი შეაწერა და ხ უ თ ა ს ი მ ო ლ ა შ ქ რ ი ს გამოყვანა მოსთხოვა. ეხლა ისინიც აჯანყდნენ, ვინც აქამდის არ აჯანყებულიყო. 1736 წლის ზაფხულის ბოლოს მთელი ქართლი, არაგვი, კახეთი აჯანყების ალში იყო გახვეული. აჯანყებულებმა დაამარცხეს ყიზილბაშთა ჯარი და სეფიხან სარდალი თბილისში ჩაიკეტა.

ამასობაში ერან-ოსმალეთს შორის არზრუმში ზავი დაიდო. ზავი ორივე მხარეს სურდა: ნადირ-შაჰი ავღანეთს სალაშქროდ ემზადებოდა, ოსმალეთს კი უკვე რუსეთთან დაეწყო ომი (12. IV. 1736 წ.). ამ ზავის მიხედვით ოსმალეთმა, სხვათა შორის, მთელი აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია (და, მაშ, ქართლ-კახეთიც) ერანს უკან დაუბრუნა. საქართველოს ამ მოსისხარ მტრებს შორის ზავი ქართველთა პირობებს დიდად აუარესებდა.

ქართველ აჯანყებულებმა რუსეთის მთავრობას მიჰმართეს. ბაქარ ვახტანგის ძის გამოგზავნასა და მცირე დახმარებასა სთხოვდნენ. რუსეთის იმდროინდელი მთავრობა ნადირ-შაჰის წყენას ერიდებოდა და ქართველების თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად მიაჩნდა.

ხანგრძლივი აჯანყება მოსახლეობას ანადგურებდა. გარედან დახმარების უიმედობა აჯანყებულთა ენერგიას ადუნებდა. ამავე დროს ერანის აგენტები აჯანყებულთა შორის მტრობასა სთესდნენ.

სეფი ხან სარდალმა ფიცით აღუთქვა აჯანყებულ ქართველებს ყაენის წინაშე შუამდგომლობა მათი უვნებლობისა და ხარკის შემცირების შესახებ. აჯანყების მეთაურები: კ ა ხ ე თ ი ს მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ, ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ბ ა რ ძ ი მ, გ ი ვ ი ა მ ი ლ ა ხ ო რ ი, ლ უ ა რ ს ა ბ თ ა რ ხ ა ნ ი, გ ი ვ ი ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, თ ა მ ა ზ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი და ქ ა ი ხ ო ს რ ო ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი მივიდნენ ხანთან. სეფი-ხანმა ვერაგულად შეიპყრო ისინი და ნადირშაჰს პატიმრებად გაუგზავნა ისპაანში. სეფი-ხანს არ ენდვნენ და პატიმრობას გადაურჩნენ ვ ა ხ უ შ ტ ა ბ ა შ ი ძ ე და შ ა ნ შ ე ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი.

მეფე ალექსანდრე სეფი-ხანს ვერ შეეწყო. ჩქარა ნადირ--შაჰის განკარგულებით ქართლის მმართველად დანიშნულ იქნა ა ბ დ უ- ლ ა ბ ე გ ი იესეს-ძე, ალექსანდრეს კი კახეთი მისცეს სამმართველოდ. კახეთში ალექსანდრე დიდხანს არ დარჩენილა. მან ჯერ ირანის წინააღმდეგ აჯანყება სცადა, შემდეგ რუსეთს გადახვეწა დააპირა. არსად არაფერი გამოუვიდა. ბოლოს მან დატოვა კახეთი და ისევ ნადირ-შაჰთან მივიდა. ყაენს გაჰყვა ის ინდოეთს ლაშქრობაში, სადაც დაიღუპა კიდეც.

შანშე ქსნის ერისთავი და ვახუშტ აბაშიძე აჯანყებულთა ხელმძღვანელობას ენერგიულად განაგრძობდნენ, არა ერთხელ დაამარცხეს მათ ყიზილბაშთა მოთარეშე რაზმები. ბოლოს 1737 წელს აჯანყებულთა წინააღმდეგ ადერბაიჯანის ლაშქრით თავრიზიდან მოვიდა ნადირ-შაჰის ძმა ი ბ რ ე ი მ-ხ ა ნ ი. აჯანყების მეთაურებმა დატოვეს ქართლი. შანშე იმერეთს გაიქცა. აქ მან იმერეთის მეფე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს თ ა ნ ერთად ერან-ოსმალეთის მონობისაგან გათავისუფლების ფართო გეგმა დააწყო. შანშე რუსეთს გაემგზავრა. მან თან წაიღო ქართლის თავადების ხელმოწერით საერთო თხოვნა. შანშესთან ერთად რუსეთს გაემგზავრა იმერეთის მეფის ელჩი ტ ი მ ო თ ე ც. ქართლის თავადები რუს-ხელმწიფისაგან ბაქარს ითხოვდნენ; ალექსანდრე მეფე იმპერატორის ლაშქარს იმერეთში ოსმალთა წინააღმდეგ მოუწოდებდა. რუსეთ-ოსმალეთის ომი, ამ დროს რომ მიმდინარეობდა, ქართველ პოლიტიკოსებს ხელსაყრელ პირობად ეჩვენებოდათ რუსეთის აქტიური გამოსვლისათვის დასავლეთ ამიერ-კავკასიაში. შანშე ერისთავი შესაფერისი ამალით მოსკოვში მივიდა და პეტერბურგში გაშვება და იმპერატორთან აუდიენცია ითხოვა. ერანის ხელმწიფის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი თავადის გამოჩენამ მოსკოვის პოლიტიკური წრეები შეაშფოთა. ნადირ-შაჰთან მყოფი რუსი ელჩისაგან რუსეთში იცოდნენ, რომ შანშე ყაენის შეურიგებელ მტრად ითვლებოდა, რომ ერისთავმა ამას წინათ ერანელთა ხაზინა მოიტაცა (70.000 მან.), რომ ამჟამად შანშე ძალით იყო ქართლის საზღვრებიდან გამოძევებული.

შანშეს მიღება პეტერბურგში შესაძლებლად ვერ დაინახეს და წინადადება მისცეს მას უკან დაბრუნებულიყო. იმედგაცრუებული შანშე ერისთავი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ ენერგიული პატრიოტი არ გატყდა. ის შევიდა თავის სამკვიდრო ქსნის ხეობაში და სამ წელიწადს მედგარ ბრძოლას მეთაურობდა დამპყრობელთა წინააღმდეგ.

საქართველოს საქმეებით ნადირ-შაჰი უკმაყოფილო იყო. მისი აგენტ-მოხელეები საქმეს თავს ვერ ართმევდნენ. აჯანყება არ ცხრებოდა. სასტიკ ზომებს სასურველი შედეგები არ მოჰქონდა. ეხლა მან თავადებისადმი დაყვავებით სცადა საქმის მოგვარება. ყაენმა ისპაანში თავისთან დაიბარა კახეთისა და ქართლის მმართველები და პატიმარ თავადებთან ერთად თან წაიყვანა ისინი აღმოსავლეთის ლაშქრობაში. ყანდაარის დაპყრობის შემდეგ ნადირ-შაჰი ინდოეთს სალაშქროდ მოემზადა. აქ, ყანდაარში, შაჰმა თეიმურაზ მეფეს კახეთიდან ქალი და ვაჟი დააბარებინა. კახეთის მეფის ქალი ყაენმა თავის ძმისწულს ცოლად მისცა, ხოლო ვაჟი ე რ ე კ ლ ე ინდოეთს ლაშქრობაში თან წაიყვანა. თეიმურაზი შაჰმა კახეთის მმართველად გამოისტუმრა. ასევე გაათავისუფლა და უკან დააბრუნა მან ქართლის თავადებიც. მაგრამ ქართლს ყაენმა ყიზილბაში ხ ა ნ ჯ ა ნ-ხ ა ნ ი დაუნიშნა მმართველად.

ერან-ოსმალეთის ზავს ამიერ-კავკასიაში მოსალოდნელი მშვიდობიანობა არ მოჰყვა. აუტანელი ხარკით თავმოძულებული მოსახლეობა აჯანყებას არ სწყვეტდა. მეორე მხრით, ლეკების თარეში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ადერბაიჯანის სპასალარმა ი ბ რ ე ი მ-ხ ა ნ მ ა ლეკთა „უბატონო თემების" დასჯა განიზრახა. ქართლ-კახეთისა და ყიზილბაშთა ჯარებით ჭარში შევიდა. ჭარელები მამაცურად დახვდნენ მათზე უფრო ძლიერ მტერს და ომიც მოიგეს (1738 წ.). თითონ იბრეიმ-ხანი ამ ომში დაიღუპა. ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ლეკებმა შაქი დაიპყრეს და ძარცვა-რბევით მთელს აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას მოედვნენ.

ლეკები შანშე ქსნის ერისთავის ერთგული მოკავშირენი იყვნენ. მათი რაზმებით ქსნის ერისთავი ძლიერად სცემდა ყიზილბაშთა ჯარებს და თავის მოქიშპე თავადებსაც.

ერანელებმა ადვილად იპოვეს აჯანყებული შანშეს წინააღმდეგ უტყუარი საშუალება. მტერი ხელოვნურად აღვივებდა თავადებს შორის ქიშპს და აჯანყებულთა ძალებს ამით ასუსტებდა. 1739 წელს შანშემ სრულიად ამოსწყვიტა ბ ა რ ძ ი მ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ს სახლი. საფრთხე უდგათ შანშეს სხვა მეზობლებსაც: ამილახვარს, მუხრან-ბატონს.

ამრიგად, შანშეს ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩქარა ქართლის თავადების ურთიერთ შორის ბრძოლად იქცა. შანშე ლეკებით საამილახვროს აწიოკებდა, ამილახორი ყიზილბაშებით ქსნის ხეობის გლეხებს სპობდა და ო რ ი ვ ე ნ ი კ ი ქ ა რ თ ლ ი ს ვ ა ო ხ რ ე ბ ა ს ჩ ი ო დ ნ ე ნ...

1738—1740 წლებში ნადირ-შაჰი აღმოსავლეთში ლაშქრობდა. ყანდაარის აღების შემდეგ ის ინდოეთში შეიჭრა. დ ე ლ ი აიღო და აურაცხელი სიმდიდრით უკან დაბრუნდა (1739 წ.). აღმოსავლეთში ლაშქრობა ნადირ-შაჰმა ბ უ ხ ა რ ი ს და ხ ი ვ ი ს დაპყრობით დაასრულა (1740 წ.).

1741 წელს ნადირ-შაჰი ამიერ-კავკასიაში მოვიდა. მას ეხლა ლეკების საბოლოოდ დამორჩილება ჰქონდა განზრახული. ლეკებთან ომი 1741—1742 წლებში მიმდინარეობდა. ამ დროს ნადირ-შაჰი აღმოსავლეთში უძლიერეს ხელმწიფედ ითვლებოდა. უდიდესი განსაცდელის წინაშე თავისუფლების მოყვარული მთიელები გმირებად იქცნენ. ამ ომში მათ მსოფლიოს აჩვენეს ხალხის წინააღმდეგობის ძალა. აქამდის უძლეველი ნადირ-შაჰი დაღისტნიდან შერცხვენილი დაბრუნდა. მედგარი პარტიზანული ბრძოლით ლეკებმა ყიზილბაშთა ჯარს სიცოცხლე გაუმწარეს. ლეკები მიუვალ ხეობებში ჩაიკეტნენ. ომი გახანგრძლივდა. ყიზილბაშთა დიდ ჯარს საზრდო შემოაკლდა. შაჰმა სურსათი ამიერ-კავკასიიდან მოითხოვა. აუტანელმა გადასახადებმა კი აჯანყება გამოიწვია. ნადირ-შაჰმა თვით განიზრახა ლეკების შიმშილით გატეხა. მან სასტიკად აკრძალა ლეკებისათვის პურის მიყიდვა. არც ამ ზომამ გაჭრა. ყიზილბაშებისაგან ფარულად ლეკები უხვად შოულობდნენ პურს შარვანში, კახეთში. ხსენებული ქვეყნების ფართო მოსახლეობის თანაგრძნობა ამ ომში ლეკების მხარეზე იყო. ამავე დროს ლეკებმა დახმარებისათვის მიმართეს რუსეთს, ოსმალეთს. რუსეთი ნადირ-შაჰის იმიერ-კავკასიის საზღვარზე გამოჩენამ შეაშფოთა. მართალია, ლეკებისათვის აშკარა დახმარება რუსეთმა ვერ გაბედა, საიდუმლოდ კი ფულით და იარაღით ხელს უწყობდა მათ. ასევე ეხმარებოდნენ ლეკებს ოსმალებიც.

ერთი წლის უშედეგო ომის შემდეგ ნადირ-შაჰი ერანს დაბრუნდა. იქ აჯანყებები დაწყებულიყო.

დაღისტანში მარცხმა ნადირ-შაჰის სახელმწიფოს სისუსტე გამოააშკარავა და დაპყრობილ ქვეყნებს ყაენის მონობისაგან გათავისუფლების იმედი მისცა. დაღისტნის ომს აჯანყება მოჰყვა შ ა რ ვ ა ნ შ ი, ქ ა რ თ ლ შ ი, ქ უ რ თ ი ს ტ ა ნ შ ი და მრავალგან საკუთრივ ერანშიაც. ამავე დროს ოსმალეთმა სცადა ესარგებლნა ერანის პოლიტიკური სიმტკიცის შერყევით და ომი აუტეხა მას (1743—1745 წ.).

1741 წელს ნადირ-შაჰის ბრძანებით საქართველო აწერეს. ამ აღწერის შესახებ თანამედროვე მწერალი შემდეგს გადმოგვცემს:

„ესრეთ იყო აღწერა. რაც ძველთ ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხრევი (ე. ი. ხარკი) დასდვეს. აგრეთვე ამ სახით შენობა (თუ) სადმე იყო, დიდი ხრევი დასდვეს. ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, (ისე) ამ ქვეყანას განუწესეს. თვალეს ვაზები. ეგრე ვაზის სათვალავს რასაც მიხვდნენ (ე. ი. რამდენი ვაზის დათვლაც კი შეძლეს), ვაზს ერთი ბისტი (ორი კაპ.) დასდვეს, სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს, ყმაწვილზე, პირუტყვზე ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო. ოდეს ურუმთ მცირეთა (ე. ი. ცოტა ხანს) ეს ქვეყანა ეპირა, მაშინ იმათაც დაწერეს და დასდვეს მირი, რომელ არს ხარკი, თორემ არასდროს ერანის ხელმწიფისაგან ქართლის ქვეყანა არ დაწერილიყო... ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფიდის და აოხრებდის“...

დაღისტანში ლაშქრობის წინ ყაენმა ქართლის თავადები თავისთან დაიბარა. შანშე ერისთავი ამ დროს ისევ აჯანყებული იყო. ნადირ-შაჰმა შანშეს მოქიშპე თავადებს წყალობა უყო. გ ი ვ ი ა მ ი ლ ა ხ ო რ ი მან ქართლის ერთ-ერთ ვექილად დანიშნა. ქსნის ხეობაც მას უწყალობა და აჯანყებული ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობაც დააკისრა. არაგვის საერისთაო ყაენმა გივის სიძეს ბ ე ჟ ა ნ ს მისცა. ქართლის მმართველად კი ყიზილბაში ი მ ა მ ყ უ ლ ი ხ ა ნ ი დანიშნა და 6000 კაცისაგან შემდგარი რაზმი გამოატანა.

ყიზილბაშთა ჯარი და ქართლის თავადები თავიანთი რაზმებით სამი მხრით შეესივნენ ქსანს და სასტიკი ომით გასტეხეს აჯანყებულთა წინააღმდეგობა. შანშე და მისი ძმა ახალციხეს გაიქცნენ. ქსნის ხეობა კი საშინლად აოხრდა. ვინც გაქცევით თავს ვერ უშველა, ისინი ან ამოხოცეს, ან ყიზილბაშ ჯარისკაცებმა ტყვეებად წაიყვანეს.

ამ დროს ნადირ-შაჰი დაღისტანს იყო. აქ მას ომი მოულოდნელად გაუხანგრძლივდა. ამიტომ მის ლაშქარს სურსათი შემოაკლდა. შაჰმა ამიერ-კავკასიის ხალხებიდნ მთელი გადასახადი მოითხოვა პურით, მტკიცე ფასებში. ქართლისათვის ეს ამბავი, ცეცხლზე ნავთის დასხმას რომ იტყვიან, ის იყო. იგივე თანამედროვე მწერა-

ლი მოგვითხრობს: „ებრძანა ხელმწიფეს, რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აქვსო, იმისი სულ ლიტრა ერთ ბისტად პური მომეციოთო. ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენმა მზემა, ბევრჯერ ვნახეთ, ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდიან და იმას სჭამდენ. დაუწყეს თხოვნა პურისა. ეკიდა კაცი და დედაკაცი (ე. ი. დაკიდებდნენ და სცემდნენ), მრავალი სული ჯოხით მოკუდა. თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდნენ, თავისის ხელით შვილებს აძლევდნენ. მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყანა (ე. ი. ოსმალეთი, ნ. ბ.) ქართლის კაცით აივსო“.

იმამ-ყული-ხანმა ჩქარა მოახერხა ლტოლვილი შანშე ერისთავისა და მისი ძმის ხელში ჩაგდება. ნადირ-შაჰის ბრძანებით ისინი ერანს წაიყვანეს, თვალები დათხარეს და 1745 წლამდის პატიმრებად ჰყავდათ.

ქართლში აჯანყების ლიკვიდაცია და შანშე ერისთავის შეპყრობა ნადირ-შაჰს ფრიად ესიამოვნა. ქართლის თავადები მან თავისთან მიიწვია და ერთგულებისათვის მადლობა გამოუცხადა, თავადებმა ყაენს ხარკის სიდიდე და ქვეყნის გაოხრება შესჩივლეს. ნადირ-შაჰმა მთხოვნელებს ქართლის საქმის შესწავლა და „სამართლიანი ხარკის“ დადება აღუთქვა.

როგორც ჩანდა, დამპყრობელს ქართლის თავადების გაერთგულება სურდა. ამ მიზნით მან ერანის შაჰების მიერ ქართველი ფეოდალების მოსყიდვის ძველი პოლიტიკა განაახლა, თავადებს, ვის რა შეეფერებოდა, სახელო და ჯამაგირი განუწესა. შეწყალებული თავადები გაოხრებულ ქართლში გახარებული დაბრუნდნენ. ამ ხერხით ნადირ-შაჰმა ქართლის თავადების გულის მოგება სცადა.

მაგრამ ყიზილბაშობის პირობებში ქართლში ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა შეუძლებელი იყო.

ეხლა „ყიზილბაშობისას“ ქართლს უარესი დღე ადგა, ვიდრე „ოსმალობას“ იყო. ყიზილბაშური ხარკი („მალუჯათი“) ისეთივე უჩვეულო და მძიმე იყო, როგორც ოსმალური „მ ი რ ი“. მაგრამ, ამას გარდა, ეხლა მოსახლეობა მოვალე იყო საკუთარი ხარჯით გამოეყვანა და შეენახა ჯარის გარკვეული რაოდენობა („ნოქარი“), ხოლო ქართლში მყოფი ყიზილბაშთა ჯარისათვის „სურსათი“ ეძლია. განსაკუთრებით მძიმე იყო მოსახლეობისათვის ხარკის მოთხოვნა პურით. ქართლში ამ წლებში (ეს იყო 1741—1742 წლებში) პურის მოუსავლობა იყო. ნადირ-შაჰმა კი 60.000 მინალთუნის (მინალთუნი დაახლოებით ერთ მანეთს უდრიდა) ხარკის ანგარიშში

3.000.000 ლიტრა პურის გადახდა მოითხოვა. ეს პური კი ბაზარზე სულ მცირე 300.000 მინალთუნი ღირდა. ასე რომ მარტო 1741 წელს ქართლის მოსახლეობამ 240.000 მინალთუნი მეტი გადაიხადა, ვიდრე მას ემართა.

„ყიზილბაშობის" შედეგები საშინელი იყო. სოფლის მეურნეს შრომის ხალისი აღარა ჰქონდა. მისი შემოსავალი ყიზილბაშთა ხარკს და ბატონის ბეგარას ვერ აუდიოდა. ამიტომ გლეხი არა თუ ახალს სამეურნეო წამოწყებას ხელს არ ჰკიდებდა, ძველსაც კი, რაც აქამდის შერჩენოდა, თავისი ხელით ანადგურებდა. ხარკი რომ გადაეხადა, გლეხი სესხს მიმართავდა, გაუმაძღარი ჩარჩის ხელში ექცეოდა, შეუძლებელი მოვალე ხდებოდა და მონად იქცეოდა ან, უკეთეს შემთხვევაში, ისედაც მძიმე ბეგარა კიდევ უფრო უმძიმდებოდა. ილაჯგაწყვეტილი გლეხობა სტოვებდა სამკვიდროს და გარბოდა. მეურნეობა ეცემოდა, ნაშენობა პარტახდებოდა, მკვიდრ გლეხთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იკლებდა, გლახაკთა, ბოგანოთა და ხიზანთა რიცხვი იზრდებოდა.

ასეთ პირობებში ჯამაგირები, ნადირ-შაჰმა რომ განუახლა საერო და საეკლესიო (კათალიკოზს, ალავერდელს) ფეოდალებს, ყიზილბაშობით უკმაყოფილებას ქართლის თავადებშიაც კი მცირედ ანელებდა.

ქსნის ხეობის დამორჩილების შემდეგ ყიზილბაშ-ქართველთა ჯარი ნადირ-შაჰის ბრძანებით ჰარსა და დაღისტანში სალაშქროდ გაემგზავრა. ეს ჯარი ჯერ კიდევ ივრის პირზედ იდგა ბანაკად, როცა გაიგეს, რომ გივი ამილახორი აჯანყებულიყო. ის თბილისიდან გასულიყო და შიდა-ქართლის თავადების ცოლშვილიც თან წაეყვანა (თავადების ცოლშვილი ყიზილბაშებს მძევლად ჰყავდათ თბილისში). გივის აჯანყების უშუალო საბაბი ის იყო, რომ ნადირ-შაჰმა ქართლიდან ახალი 2.000.000 ლიტრა პური მოითხოვა.

შიდა-ქართლის თავადები ივრის პირის ბანაკიდან მრავლად გაიქცნენ და აჯანყებულ გივის შეუერთდნენ. ამილახორი თბილისიდან არაგვის საერისთაოში შევიდა და აჯანყების ორგანიზაციას ენერგიულად შეუდგა. მან სწრაფად გაამაგრა ქსან-არაგვის ხეობები და საამილახორო. გივიმ წინადადება მისცა კახეთის მეფეს თეიმურაზს, აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო. თეიმურაზმა აჯანყებას მხარი არ დაუჭირა.

ყიზილბაშთა სარდალმა ბანაკში დარჩენილი შიდა-ქართლის თავადები დააპატიმრა, ჰარში ლაშქრობა მოშალა და თბილისში დაბრუნდა.

ქართლის ახალმა აჯანყებამ ნადირ-შაჰზედ ძლიერად იმოქმედა. მან ბრძანა დაპატიმრებული თავადების გათავისუფლება, ხოლო გივი ამილახორს მოციქულები მიუგზავნა და აჯანყების მიზეზი ჰკითხა. ამილახორის პასუხი იყო: „ქვეყანა ოხერი შეიქნა და არა გამოდიოდის რაო, ვეღარ შევძელ სამსახური ხელმწიფისა და წაველო“. ამასვე უმოწმებდნენ თავადებიც.

ამილახორმა აჯანყების დასაწყებად ხელსაყრელი დრო შეარჩია. დაღისტანში ლაშქრობამ ნადირ-შაჰს საქმე მეტად გაურთულა. ლეკების დამარცხება-დამორჩილება მან ვერ შეძლო. ჩრდილოეთიდან რუსეთი ამოქმედდა. ბაქარ ვახტანგის-ძეც კი ასტარხანს მოსულიყო. რუსეთის დახმარებით ის ქართლში გამეფებას აპირებდა. დასავლეთიდან ოსმალეთი იმუქრებოდა. ასეთ პირობებში ქართლის აჯანყება ერანის შაჰისათვის სახიფათო რამ იყო. ამიტომაც ნადირ-შაჰი ამ აჯანყების სწრაფად ჩაქრობას დიდ მნიშვნელობას აძლევდა. შაჰის დავალებით ალი-ყული-ხანმა გივის მოციქულები გაუგზავნა და მას შერიგებისაკენ მოუწოდა. დანაშაულის პატიება და უვნებლობა აღუთქვა. ამილახორმა შერიგება არ ისურვა.

ქართლის თავადებმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ აჯანყებულიყვნენ, ყაენს არზა გაუგზავნეს. თავადები ქვეყნის ამწერალთა უსამართლობას ჩიოდნენ, ქართლის აოხრება-გაპარტახებას მოახსენებდნენ ყაენს და ხარკის შემსუბუქებას სთხოვდნენ მას. ეხლა ასეთი „თხოვნა“, როცა ქართლის ნახევარი აჯანყების ალში გახვეულიყო, მოთხოვნას უფრო ჰგავდა.

შაჰმა არზის ავტორები თავისთან იხმო. ამასობაში ქვეყანას ყიზილბაშთაგან სულ ახალ-ახალი მოთხოვნები მოსდიოდა. გახანგრძლივებული ომი დაღისტანში დიდს ხარჯსა და სამსახურს ითხოვდა, ხოლო ასეთი რამ კი ახლო-მდებარე ქვეყნებს უნდა ეკისრათ. ჩქარა ნადირ-შაჰმა ქართლიდან სამი ათასი შებმული ურემი მოითხოვა. შამახიიდან დაღისტანში ჯარისათვის პური წაალებინა. ცოტა ხნის შემდეგ ორი ათასი ხარი კიდევ მოითხოვა. ბარდიდან პური აჰკიდეს და დაღისტანს მიიტანეს. ამ რვა ათასი ხარიდან უმცირესი ნაწილი თუ დაბრუნდა ქართლში. „აღარ დარჩა ქართლში ხარიო“, აღნიშნავს თანამედროვე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიწის მოქმედების ქვეყანას გამწევი ძალა აღარ შერჩა.

ყიზილბაშებსა და ქართლის აჯანყებულთ შორის ხანგრძლივი ბრძოლა დაიწყო. ოსმალეთი ხელს უწყობდა ქართლის აჯანყებას. ამილახორმა ბორჯომის ხეობა დაიჭირა და ახალციხიდან უხვად შემოჰქონდა ფული, იარაღი, ტყვია-წამალი. მეორეს მხრით, მან მო-

მოწერა გააბა ბაქარ ვახტანგის-ძესთან და ტახტის მემკვიდრეს ქართლში მოსვლას ეპატიჟებოდა. ამავე დროს ამილახორმა მთიელების დიდი რაზმები დაიქირავა და ყიზილბაშებს ენერგიულად იგერიებდა.

დაღისტანში მისულ ქართლის თავადებს ყაენმა მოუსმინა და ქვეყანას ხარკის ნაწილი, სამი ათასი თუმანი, აპატივა. ამავე დროს შაჰთან მოსულიყო თეიმურაზ კახეთის მეფე. მას შაჰი თავის ერთგულ ყმადა სთვლიდა. მართლაც, თეიმურაზის ერთგული სამსახური ეჭვს არ იწვევდა. მან ჯერ კიდევ 1738 წლიდან დაიმსახურა ყაენის ნდობა, როცა შვილები უყოყმანოდ მიჰგვარა მას. ყიზილბაშთა რაზმებთან ერთად თეიმურაზი კახელებით ენერგიულად იბრძოდა ჭარელების წინააღმდეგ. ეხლა, როცა აჯანყებული ქართლის თავადების მოწვევით და რუს-ხელმწიფის ხელის შეწყობით ბაქარი ქართლში შემოსვლას აპირებდა, კახეთის მეფის ერთგულება შაჰისათვის კიდევ უფრო ძვირფასი იყო. თეიმურაზს ქართლის მეფობაზე კანონიერი უფლებაც ჰქონდა. მისი მეუღლე თამარი ვახტანგ მეფის ქალი იყო. ასე რომ კახეთის მეფე ქართლში ბაქარის მეტოქედ გამოადგებოდა ერანის ხელმწიფეს. ერეკლე ბატონიშვილი ყაენმა ინდოეთს ლაშქრობიდან დაბრუნებისასვე დიდად შეწყალებული გამოუგზავნა მამას. ეხლა, 1742 წელს, ნადირ-შაჰმა კახეთის მეფეს განსაკუთრებული პატივი დასდო. კახეთი მან ყიზილბაშთა ხარკისაგან გაათავისუფლა. ამიერიდან კახეთს საყაენო ხარკის ანგარიშში მხოლოდ ხუთასი ნოქარი უნდა გამოეყვანა და ეს რაზმიც ისევ თეიმურაზს უნდა ხლებოდა. ასე რომ კახეთმა „ქართველობის“ აღდგენის გზით დიდს წარმატებას მიაღწია, ხოლო თეიმურაზ მეფე სხვა ქართველ ფეოდალებს შორის შესამჩნევად გაძლიერდა.

ნადირ-შაჰმა ერთხელ კიდევ სცადა ამილახორთან შერიგება. თეიმურაზ მეფის პირით მან უვნებლობა აღუთქვა აჯანყებულს. ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა. ამ დროს ვივი ამილახორს შვიდი ათასი ლეკი მისვლოდა და ქართლის აჯანყების მეთაური ყიზილბაშების სულერთიანად გასარეკად ემზადებოდა. შაჰმა ქართლში ადერბაიჯანის ლაშქარი სასწრაფოდ გამოგზავნა. მთელ რიგ ბრძოლებში ამილახორმა დაამარცხა ყიზილბაშთა რჩეული რაზმები.

შაჰის სამხედრო ღონისძიებები ქართლში სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა. ყაენმა ქართლის მმართველი იმამ-ყული-ხანი ხოჯა-ხანით შეცვალა. ამან საქმის მოწესრიგება სხვა ხერხით სცადა: „მოვიდა ხანად ქართლში ხოჯა-ხან სიტკბოებითა და სამართ-

ლის ჩემულობითა“. ხოჯა-ხანი გივი ამილახორს შემორიგებას შეეპატიჟა. ამილახორი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის კურსში იყო. ამ დროს დაღისტანში შერცხვენილ ნადირ-შაჰს ერანში მიეჩქარებოდა. იქ აჯანყებები დაწყებულიყო. მეორეს მხრით, ოსმალეთმა უკვე დაძრა ჯარები ერანისაკენ. გივიმ კარგად იცოდა, რომ ხოჯა-ხანის „სიტკბოება და სამართალი“ ასეთი ვითარების შედეგი იყო. ამილახორი რუსეთიდან ბაქარს ელოდა, ოსმალეთიდანაც აქტიური დახმარების იმედი ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ის ქართლის ხანთან მოლაპარაკებას განზრახ აჭიანურებდა და შერიგების ხალისს არ იჩენდა.

აჯანყებულთა მედგარმა ბრძოლამ გასჭრა. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა ქართლის მიმართ პოლიტიკა შეეცვალა. ყიზილბაშთა რჩეული რაზმები და ხოჯა-ხანი შაჰმა ერანს გაიწვია. ქართლის მმართველად ვინმე ალი-ხანი დანიშნა და მრჩევლად აბდულა-ბეგიესეს-ძე მისცა მას. ყაენმა ქართლის თავადებს წყალობის თვალით შეხედა, ხოლო განსაკუთრებული პატივი ვახტანგ მეფის ასულს თამარ დედოფალს დასდო. ამ აქტში უკვე ჩანდა ყაენის პოლიტიკური გეგმა ქართლის მიმართ. ნადირ-შაჰს ეს ქვეყანა თამარისა და მისი მეუღლის თეიმურაზისათვის სურდა მიეცა. ამავე დროს შაჰმა ერთხელ კიდევ გადაჰხედა ქართლის ხარკს. „ქართველნი ჩივიან, ქვეყანა ხარაბა არისო, მიდი, დაწერე და მართალი მომახსენეო“, უბრძანა ნადრი-შაჰმა თავის მოხელეს. „მოვიდა, დაიარა, დაწერა, მაგრამ არა თუ ციხეში, შენობა ვერსად დაახელა“. ნადირ-შაჰმა იცოდა, რომ „ამდენი ქართლისაგან ღალატი სათხოვარისაგან რთმევის მიზეზი იყო“ და „რაც ქართლში ხარაბა (ე. ი. მიტოვებული, გაპარტახებული) ადგილი იყო, იმისი ხარჯი ეპატიებინა“.

შაჰის ასეთ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. აჯანყების მონაწილე თავადებში ერანთან შერიგების სურვილი გაძლიერდა. შაჰის აგენტებს თავადების მოსყიდვა გაუადვილდათ და ქართლის აჯანყების ძალა ფეოდალების ურთიერთ შორის ბრძოლამ შესამჩნევად შეანელა. ამილახორმა სამაჩაბლო დაარბია. კახეთის მეფე შიდა-ქართლში შეიჭრა, შიდა-ქართლის თავადებმა ქვემო-ქართლი ააოხრეს. ფეოდალებს შორის ბრძოლა კიდევ უფრო ღრმად წავიდა. ამა თუ იმ ფეოდალური „სახლის“ შვილები, ერანის მომხრენი და მოწინააღმდეგენი, სასტიკად არბევდნენ ერთიმეორეს. მაგალითად, ციციშვილებმა პირწმინდად გაავერანეს საციციანო, ამო-

ხოცეს ან ტყვედ დაყიდეს ურთიერთის გლეხები. ასევე „მოღვაწეობდნენ“ ავალიშვილები, აბაშიძეები და სხვა.

1743 წელს ამილახორმა ხელთ იგდო საციციანო. მაგრამ, მეორეს მხრით, მან არაგვის ხეობა დაკარგა. არაგველები უკმაყოფილონი იყვნენ ბეჟან ერისთავით. მას ბეგარა-სამსახური დაემძიმებია არაგველთათვის. მას შემდეგ, რაც ყაენმა კახეთი ხარკისაგან გაანთავისუფლა, თეიმურაზს მომხრეები გაუმრავლდა არაგვზე, ქსანზე და მთელს ქართლშიაც. მთიულ-მოხევეები შეუთანხმდნენ კახეთის მეფეს. თეიმურაზი შეპირდა მათ: „რაც ძველ ერისთავებისაგან არა გდებიათ, მის მეტს მე თქვენ არას გთხოვთ და ხელმწიფის სამსახურსაც მე გარდავსწყვეტო“. არაგველებმა მოკლეს ბეჟან ერისთავი და მისი ბიძაშვილი ო ტ ი ა, გაძარცვეს მთიულეთს გივი ამილახორის სახლობა, მოუწოდეს თეიმურაზს და ყმობა შეჰფიცეს მას. ნადირ-შაჰმა არაგვი კახეთის მეფეს დაუმტკიცა და ქსნის საერისთაოც მას აღუთქვა.

ამილახორი კარგად ჰხედავდა, რომ ნადირ-შაჰმა ქართლის აჯანყებულებს და ბაქარს თეიმურაზ-თამარი მოხერხებულად დაუპირისპირა. ერანის ხარკისაგან კახეთის გათავისუფლებით შაჰმა ამ ბრძოლაში თეიმურაზის პოზიციები მეტად გააძლიერა. განაწამებ ქართლის მოსახლეობას თვალწინ ედგა კახეთი, სადაც არც ბოლომოუღებელი ურთიერთის რბევა იყო, აღარც ყიზილბაშების თარეში და არც საყაენო ხარკი. ასე რომ ბრძოლა თეიმურაზის წინააღმდეგ ამილახორისათვის გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე ყიზილბაშთა რჩეული რაზმების წინააღმდეგ.

ამილახორი ამას ჰხედავდა, მაგრამ გამარჯვების იმედს მაინც არ ჰკარგავდა: ერანის პოლიტიკური მდგომარეობა უიმედო ჩანდა. ეს ამბავი 1743 წელს იყო. ამ დროს ერანში საშინელი შიმშილობა იყო. ხალხში დიდი უკმაყოფილება მეფობდა. მრავალ მხარეს კი აჯანყება მოსდებოდა. ხორასანს ოზბეგები შესეოდნენ, შარვანში ერანის ტახტის მაძიებელი გამოჩენილიყო, გამარჯვებული ლეკები ოსმალეთს აშკარად დაკავშირებოდნენ. ერან-ოსმალეთის ომი დაწყებული იყო. ხონთქარს ჯარები დაეძრა ბაღდადისა და კავკასიისაკენ. ასი ათასი მეომრისაგან შემდგარი არმია თავს იყრიდა ყარსსა და ჯავახეთში. აქ ოსმალთა ბანაკში ერანის ტახტის მეორე „კანონიერი“ მაძიებელი გაჩენილიყო, რომელიც „თავის ერთგულ ქვეშევრდომებს“ ოსმალეთის მხარეზე და მოძალადე ნადირის წინააღმდეგ მოუწოდებდა. ოსმალებს დიდი ფული გაეგზავნათ შარვანში და დაღისტანში. ეს ქვეყნები სულ მთლად ოსმალეთის მხარეზე იდ-

გნენ. თითონ ამილახორს ამ დროს თორმეტი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ფეხზე უდგა, რომელსაც მთელი ქართლი მოეცვა.

გივი ამილახორი სათანადო ანგარიშს უწევდა აჯანყებულთა იდეური პოზიციების შესუსტებას და თეიმურაზ-თამარის საწინააღმდეგოდ ბაქარს ქართლში მოსვლას დაჟინებით სთხოვდა.

გივის შიში ჩქარა გამართლდა. ქსნის-ხეველები, ამილახორის მიერ მიღებული საგანგებო ღონისძიების მიუხედავად, გადაუდგნენ მას და თეიმურაზ მეფეს მიემხრნენ. კახეთის მეფე შევიდა ქსნის ხეობაში და დაიპყრა ის (1744 წ.). სხვებთან ერთად აქ ამილახორის მოღალატე აღმოჩნდა მისივე ბიძაშვილი და აქამდის აჯანყების აქტიური ხელმძღვანელი რევაზ. მან წირქოლის ციხე უომრად გადასცა თეიმურაზს და თითონაც თავისი აზნაურებით და გლეხებით კახეთს გადასახლდა.

ამილახორმა დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. ოსმალთა დამხმარე ჯარი ამილახორს სურამს მიუვიდა (1744 წ.).

ეს უკვე ქართლის აჯანყებულთა სახიფათო ნაბიჯი იყო.

ნადირ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისას გივი ამილახორი ქართლში ოსმალთა შემოყვანას არ ფიქრობდა. „ოსმალობის“ სიავკარგე მას ახლო წარსულიდან კარგად ახსოვდა, როცა ამ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყებას თითონ ხელმძღვანელობდა. ამილახორი ქართლში „ქართველობის“ დაცვისათვის ებრძოდა „ოსმალობასაც“ და „ყიზილბაშობასაც“. ამ საქმეში დამხმარედ მას პეტრე ხელმწიფის მემკვიდრეები წარმოედგინა. რუსეთში ამილახორს მართლაც თავის კაცადა სთვლიდნენ, მაგრამ მისთვის აქტიური დახმარების აღმოჩენას ვერ ახერხებდნენ. არც ბაქარი მოდიოდა. ნადირ-შაჰმა კი თეიმურაზ-თამარი დაუპირისპირა ბაქარსა და ამილახორს. ერთადერთი, ვისგანაც ეხლა ამილახორს დახმარების მიღება შეეძლო, ოსმალეთი იყო და გივიც სულ უფრო და უფრო ოსმალებზე დამოკიდებული ხდებოდა. ოსმალეთი კი ქართლის დასაპყრობად და აქ „ოსმალობის“ დასამყარებლად მოდიოდა. ასე რომ ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი მისდაუნებურად ოსმალების აგენტი ხდებოდა.

ამილახორი თავისი ლაშქრით და ოსმალები აჩაბეთის ციხესთან შეებნენ მოწინააღმდეგეს. კახელებს და თუშებს ერეკლე ბატონიშვილი სარდლობდა. ამილახორი და ოსმალები დამარცხდნენ. თეიმურაზმა მტკიცედ დაიპყრო ქსნის საერისთაო. ოსმალთა დამხმარე ჯარი ახალციხეს დაბრუნდა.

არც სხვა მხრით გამართლდა ამილახორის იმედები. შარვანის

აჯანყება უდღეური აღმოჩნდა. ნადირ-შაჰის შვილმა ნასრულა-მირზამ ადვილად დაამარცხა ერანის ტახტის მაძიებელი. უკანასკნელი მცირე რაზმით ამილახორთან გამოიქცა. მეგზურმა კი ის ქსნის ხეობაში თეიმურაზთან მიიყვანა. თეიმურაზმა დაატყვევა ლტოლვილი და ნასრულა-მირზას გაუგზავნა ბარდაში. ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ჯილდოდ დიდძალი ფული გამოუგზავნა და ქართლის მმართველობაც ყაზახ-ბორჩალოთი მას ჩააბარა.

ეს ამბავი თეიმურაზის დიდი გამარჯვება იყო. გივი ამილახორის საქმე წაგებული ჩანდა. ქართლის საზოგადოების დიდი უმრავლესობის თვალში აჯანყებას იდეური საფუძველი ეცლებოდა. ნადირ-შაჰის სარწმუნო თეიმურაზი, იმედი იყო, ქართლს ყიზილბაშობიდან ისევე გაათავისუფლებდა, როგორც გაათავისუფლა მან კახეთი.

თეიმურაზმა ქართლის თავადები მოიწვია. დაადგინეს, სთხოვონ ყაენს ხარკის შემსუბუქება.

თავის მხრით, აჯანყების მონაწილე თავადები ყარსში წავიდნენ. ოსმალთაგან სასწრაფო დახმარება ითხოვეს. იქვე ოსმალთა ჯარის ბანაკში „ერანის ტახტის მემკვიდრე“ ინახულეს, „ხელმწიფედ“ აღიარეს, მისგან წყალობა და კიდევ უფრო მეტი დაპირება მიიღეს და ქართლში დაბრუნდნენ.

ამრიგად, ქართლის ფეოდალური საზოგადოება თანდათან ორად გაიყო: თეიმურაზის (=ერანის) და გივის (=ოსმალეთის) მომხრეებად. მაგრამ პოლიტიკური არჩევანის გარეშე არც ქართლის უფართოესი მასები დარჩენილან. „მას ჟამში კახეთი ლეკისაგან მოსვენებული იყო და არც ხელმწიფის სათხოვარი ეთხოვებოდის. ვინც გზას იშოვნიდის ქართლის კაცნი თავადნი, აზნაურნი ანუ გლეხნი იქ სხდებოდიან. კარგადაც აპატივებდნენ მისულს კაცს, რომ არასფერს აწუხებდნენ“. ამ ხანებში მარტო საამილახოროდან გადაიკრიბა კახეთში სამი ათასი კომლი კაცი. ეს ყველაზედ საშიში განაჩენი იყო, ქართლის ფართო საზოგადოებამ რომ გამოუტანა გადაგვარების გზაზედ შემდგარ აჯანყებას.

1744 წელს ოსმალეთის ლაშქარი კვლავ შემოვიდა ქართლში. ამ ჯარს ახალციხის ფაშა უსუფი სარდლობდა. ოსმალებს ქართლის დაპყრა და შარვან-დაღისტანთან უშუალოდ დაკავშირება სურდათ. ამილახორი ოსმალთა ჯარს სურამს დახვდა. თეიმურაზი მტერს გორთან შეება, მაგრამ დამარცხდა. ოსმალთა ეს გამარჯვე-

ბა ერეკლე ბატონიშვილმა გააქარწყლა. ის გადაუდგა არაგვზე ლეკ-ოსმალთა ჯარს, რომელსაც დიდი ფული მიჰქონდა დაღისტანს და სასტიკად დაამარცხა ის. ლტოლვილი რაზმის ნაშთები უსუფ ფაშას მიუვიდნენ. უსუფ ფაშამ დაინახა, რომ ქართლი უფრო თეიმურაზის მხარესაა, ვიდრე ამილახორის. ასეთ პირობებში ქართლში დარჩენა სახიფათო იყო და ახალციხის ფაშაც უკან დაბრუნდა.

ამრიგად, ოსმალთა ეს ლაშქრობაც უნაყოფო აღმოჩნდა.

ივნისში 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა. ყაენმა ძველი ჩვეულება განაახლა. ქართლისა და კახეთის მეფეებს ერანის ხაზინიდან „ჯამაგირი" გაუჩინა. ამავე დროს ნადირ-შაჰმა ქართლს ხარკი საგრძნობლად შეუმსუბუქა. გივი ამილახორის მდგომარეობა კიდევ უფრო წახდა. იმედდაკარგული მისი მომხრეები სულ უფრო და უფრო თეიმურაზის მხარეზე გადადიოდნენ. ოსმალეთიც მარცხდებოდა. 1745 წლის დასაწყისს აჯანყების მეთაურს მომხრეები სულ შემოსცლოდა და ენერგიული თავადი სურამის მაგარ ციხეში ჩაკეტილიყო. ხუთი თვის ალყის შემდეგ სურამის ციხე დაეცა. აჯანყების მეთაური ნადირ-შაჰმა მოითხოვა და ტყვე ამილახორი თეიმურაზმა ხელმწიფეს გაუგზავნა.

ერანისაკენ გამგზავრებულ ამილახორს გზაზედ შანშე ერისთავი შემოეყარა. ის თეიმურაზის შუამდგომლობით ყაენს სამშობლოში დაებრუნებია. თავადური ქართლისათვის ორი მებრძოლი, ორივე ბრძოლაწაგებული, ერთი თვალებდათხრილი და მეორე თვალებდასათხრელი ურთიერთს უბედურებაში მწარე ტირილით ანუგეშებდნენ. ეს იყო თავადური ქართლის გლოვა.

ამრიგად, ქართლის აჯანყების მეთაური თავადები დამარცხდნენ და დაისაჯნენ, მაგრამ ამით ქართლის ბრძოლა არ დამარცხებულა. პირიქით, აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირშაჰი სავსებით უარეყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და „ყიზილბაშობა" აქ თანდათან „ქართველობით" შეეცვალა.

1745 წელს შემოდგომაზე ნადირ-შაჰმა მდინარე არფა-ჩაის ნაპირას ოსმალთა მთავარი ძალები დაამარცხა და ერან-ოსმალეთის ომიც დასასრულს მიუახლოვდა. ყაენი ერანს წავიდა. წასვლის წინ ნადირ-შაჰმა ნება დართო თეიმურაზს ქართლის მეფედ ქრისტიანული წესით კურთხეულიყო. ამავე დროს მან დაუბრუნა ქართლს

XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ მიტაცებული მხარეები: ლორე, ბორჩალო, ბაიდარი.

პირველ ოქტომბერს 1745 წელს თეიმურაზი ძველი ქართული წესით ქართლის მეფედ ეკურთხა.

ნადირ-შაჰმა, ამრიგად, დიდად შეცვალა საქართველოს მიმართ შაჰ-აბასის პოლიტიკური ხაზი. ქართლი ძველს საზღვრებში აღდგა. ქართველთა გამაჰმადიანების პოლიტიკაც უარყოფილ იქნა.

მაგრამ ეს ნადირ-შაჰის წყალობა როდი იყო. ე ს  ი ყ ო  ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა  ა ს ო რ მ ო ც დ ა ა თ წ ლ ო ვ ა ნ ი  მ ე დ გ ა რ ი  ბ რ ძ ო ლ ი თ  მ ო ნ ა პ ო ვ ა რ ი  უ ფ ლ ე ბ ა. ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ. შეეფერებოდათ კიდეც.

ამ ხანებში ნადირ-შაჰის ერანს დღე დაელია. ბოლომოუღებელი ომებით გამოწვეულმა აუტანელმა გადასახადმა, გაუკითხავმა სოციალურმა ჩაგვრამ და ხელმწიფის მოხელეების სრულმა თვითნებობამ დაღუპვის კარამდის მიიყვანეს უამისოდაც ჩამორჩენილი ფეოდალური ქვეყანა.

1747 წელს ნადირ-შაჰმა მთელს ერანს აუტანელი გადასახადები შეაწერა. მარტო ქართლ-კახეთს ორასი ათასი თუმანი შემოუკვეთა. ეს ზომა საბედისწერო აღმოჩნდა. ნადირ-შაჰი და მისი მონარქია საშინელ აჯანყებათა მსხვერპლი გახდა.

ქართლ-კახეთი პირველი აჯანყდა. საქართველოს მაგალითს შაქი-შარვანიც მიჰყვა. აჯანყდნენ, აგრეთვე, ერევანი, განჯა-ყარაბაღი, ადერბაიჯანი. აჯანყება მოედო შიგნით ერანსაც.

შაჰმა თავისი შეცდომა დაინახა და მისი გამოსწორება სცადა. ქართლისა და კახეთის მეფეებს იმედის სიტყვები შემოუთვალა და ერეკლე თავისთან დაიბარა. ნადირ-შაჰს ერეკლე ვერ ენდო. თეიმურაზი წავიდა. მაგრამ მას მძიმე პასუხისგება აღარ დასჭირდა. ამ ხანებში ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს. შეთქმულების მეთაური შაჰის ძმისწული, თეიმურაზის სიძე, ალი-ყული-ხანი იყო. ბიძის დაღუპვის შემდეგ მან თავი ერანის შაჰად გამოაცხადა (ა დ ი ლ-შ ა ჰ ი).

ნადირ-შაჰის სიკვდილის უმალ მთელს ერანში საშინელი ანარქია გამეფდა. არმია დაიშალა. სარდლებმა ქვეყნები დაისაკუთრეს. ტახტის მაძიებლები ერთიმეორეს დაერივნენ. სეფიანთა შაჰების ჩამომავალნი, ნადირ-შაჰის მემკვიდრეები, ყიზილბაშური ტომების მეთაურები თუ ჯარის სხვა სარდლები,—ყველანი ერთიმეორეს ეცილებოდნენ ერანის შაჰის ტახტს და ბოლომოუღებელი ომებით უწყალოთ ანადგურებდნენ ურთიერთის ქვეყნებს. ადილ-შაჰი ერთ

წელს ხელმწიფობდა, ის მისივე ძმამ იბრეიმმა დაღუპა. უკანასკნელი კიდევ ნადირის შვილისშვილმა შაჰ-როჰმა შეცვალა. ამას კი ვინმე საიდ-მუჰამედი აუტყდა, დაამარცხა და თვალები დათხარა. შაჰ-როჰი ამის შემდეგ მხოლოდ ხორასნის მფლობელად დარჩა.

XVIII საუკუნის 50-ან წლებში ერანში ხელმწიფობას ერთი მეორეს სამი მეტოქე ეცილებოდა ავლანი აზატ-ხანი, მაჰმადხან ყაჯარი და ქერიმ-ხან ზანდი.

ეს მეტოქეობა დიდხანს გრძელდებოდა. ერანში ყაენი არ იჯდა და ქვეყნებიც თავის ანაბარად იყვნენ.

1749 წელს მრავალ განსაცდელთა გამოვლით თეიმურაზ მეფე ერანიდან ქართლს დაბრუნდა.

სანამ თეიმურაზ მეფე ერანს იყო, ქართლში გამეფება მოისურვა აბდულა-ბეგმა იესეს-ძემ. აბდულა-ბეგი მაჰმადიანი იყო. ქრისტიანი თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ მას მფარველობდნენ ერანის ტახტის მაძიებლები. მათგან აბდულა-ბეგს უხვი დახმარება მოსდიოდა ფულით თუ ჯარით. მათივე ბრძანებით აბდულა-ბეგს უჭერდა მხარს თბილისის ყიზილბაშთა გარნიზონი. ქართლში ამ ტახტის მაძიებლის მხარეზე იყვნენ ზოგიერთი თავადები და ყაზახ-ბორჩალოს თათრები.

ერეკლემ ფიცხელ ომებში არა ერთგზის დაამარცხა აბდულა-ბეგი მისი მოკავშირეებით და თბილისის ციხეც ყიზილბაშებისაგან გაწმინდა (1748).

„ქართველობა შეიქნა". საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისათვის" ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა.

# საქართველო XVIII საუკუნეში*

## ბრძოლა ქართლ-კახეთის განთავისუფლებისათვის

### ქართლი XVII საუკუნის დამლევს

XVII საუკუნის უკანასკნელ მესამედში და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო დაუცხრომელ ბრძოლას განაგრძობდა უცხოელების ბატონობისაგან განსათავისუფლებლად. ბრძოლის წამყვანი ქართლი იყო. სპარსელთა ბატონობის მიუხედავად ქართლი ამ ხანაში როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად წინ მიდიოდა. მისი გავლენა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

დიდი მარცხის შედეგად ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი გამოვლილ ომებს იგონებდა და გადასული თაობის მებრძოლთა საქმიანობას აფასებდა. საქართველოს ძალთა გაუერთიანებლობა, თავადების თვითნებობა, ერთმანეთის გაუტანლობა, გლეხკაცების აულაგმავი ჩაგვრა მემამულეების მიერ,—აი, რა მიაჩნდათ მათ საქართველოს მარცხის მიზეზად.

ამისდაკვალად სახავდნენ შემდგომი ბრძოლის საშუალებებს. თანდათან შემუშავდა მტრის წინაალმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანიც. ამ მიზანს ემსახურებოდა იმ დროის ქართული პოეზია, მეცნიერება, პროპაგანდა. თანდათან შეიქმნა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტები, მეცნიერები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. თავადების უფლებების შეზღუდვა, სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური წინსვლისათვის ხელის შეწყობა იყო მათი საშინაო სამოქმედო პროგრამა. მეორე მხრით, მათი მიზანი იყო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან კავშირი. საქართველოს

* პირველად დაიბეჭდა 1940 წ.

პატრიოტებს ირანიცა და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურიგებელ მტრებად მიაჩნდათ,—ერთი „ფოცხვერია“, მეორე „ბაბრი“-ო[1],—და ეძებდნენ მათ წინააღმდეგ საგარეო მოკავშირეებსაც.

მოკავშირედ, ბუნებრივია, ქრისტიანული ქვეყნები იგულისხმებოდა, მაგრამ ისეთი, რომელსაც რეალური დახმარება აღმოეჩინა, იმჟამად არავინ იყო.

XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ქართველი მამულიშვილების ეს დასი თანდათან იზრდებოდა. ასეთი მოღვაწენი ამ დროს ქართლის გარდა მოიპოვებოდნენ კახეთშიაც და დასავლეთ საქართველოშიაც.

როსტომი უშვილოდ გადავიდა (1658 წ.). მის მემკვიდრედ სპარსეთის შაჰმა თეიმურაზ მუხრან-ბატონის შვილი ვახტანგი დაამტკიცა. ვახტანგ მეხუთით (1658 წ.—1675 წ.) ანუ შაჰ-ნავაზით იწყება ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე.

1676—1688 წლებში ქართლში გიორგი ვახტანგის ძე მეფობდა. ირანისადმი მორჩილებას გიორგი მეთერთმეტე უფრო ნაკლებად ითმენდა, ვიდრე მამა მისი, და აჯანყებისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა. შაჰმა შეუტყო განზრახვა და გიორგი მეფობიდან გადააყენა. ქართლის მეფე არ დაემორჩილა შაჰის ბრძანებას და აჯანყდა. მის ადგილზე შაჰმა თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე დანიშნა. ქართლში ერეკლე პირველი 1688—1703 წლებში ბატონობდა. მან ქართლში ზოგი რამ წესების შეცვლა განიზრახა. ამით ერეკლემ ქართლის ძლიერი თავადები გადაიმტერა. ბოლოს აჯანყებული გიორგიც დამორჩილდა შაჰს და 1703 წელს მან ქართლის მეფობა ისევ მიიღო, მაგრამ შაჰმა გიორგი ირანში დაიტოვა, ხოლო ქართლში მეფის მოადგილედ გიორგისავე ძმისწული, ვახტანგ ლევანის ძე, დანიშნა, რომელიც „ჯანიშინის“ (მოადგილე, ნაცვალი) წოდებას ატარებდა.

ქართლიდან გაწვეულ ერეკლეს ყაენმა კახეთი უწყალობა და ამავე დროს იგი თავის ყულარაღასად (სასახლის გვარდიის სარდალი) დანიშნა. ერეკლე ისპაანში დარჩა, კახეთის მმართველობა-კი მის შვილს დავითს (მაჰმადიანობაში—იმამყულიხან) ებოძა (1703 წ.).

შაჰის კარზე და საერთოდ ირანში ქართველებს ძველიდანვე დიდი პატივი ჰქონდათ მოპოვებული, შაჰის შემდეგ ოთხ უპირველეს კაცად მიჩნეულ პირთა შორის ერთი იყო საქართველოს მეფე.

---

[1] „ბაბრი“ გარეული მხეცია, ჯიქი.

ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები დიდ წარჩინებას აღწევდნენ ირანის სახელმწიფო სამსახურში. განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ეს მოვლენა XVII საუკუნიდან. წარმატებით მოღვაწეობდნენ ქართველები ირანში სამხედრო, ადმინისტრაციულსა და სამოსამართლო სარბიელზე. ქართლისა და კახეთის მეფეები, ბატონიშვილები და თავად-აზნაურები ძალიან ხშირად იყვნენ ირანის ლაშქრის მთავარსარდლებად და სარდლებად, ყულარაღასებად—შაჰის მცველთა ჯარის უფროსებად, ირანის ცალკე პროვინციების მმართველებად (ბეგლარბეგებად), ირანის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მოურავებად, ირანის მსაჯულებად.

მაგრამ ქართველები ირანში მარტო სამხედრო და მართვა-გამგეობის დარგში კი არ იჩენდნენ თავის ნიჭს, არამედ ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქ კულტურულ ასპარეზზედაც. ცნობილი არიან ქართველი მწერლები, პოეტები და მხატვრები ირანში. ასე, მაგალითად, მე-XVII საუკუნის ირანში სპარსულ პოეზიაში თავი გამოუჩენიათ ქართველ პოეტებს ქაიხოსრო ხანს, ზეინალ-ბეგს, ზურაბ-ბეგს, შარმაზან-ბეგს, ალიხან-ბეგს, ფაზლალი-ბეგს. ცნობილი სპარსელი ისტორიკოსი XVII საუკუნისა ისკანდერ მუნში ბევრსა წერს ქართველი მოღვაწეების შესახებ ირანში. ერთი ქართველი მხატვრის შესახებ, რომელიც შაჰ-თამაზის კარზე მოღვაწეობდა, ისკანდერ მუნში წერს: „სიაოშ-ბეგ-ქართველმა დიდ წარმატებას მიაღწია. მას მეტად ნაზი ფუნჯი ჰქონდა, იგი დეტალების დიდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი იყო. კალმით ხატვაში და მთების გამოსახვაში მას ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა. იგი უნაკლოდ ხატავდა ჯგუფს „(მეჯლისს“)."

## ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა

ვახტანგის მოღვაწეობა ჯერ ჯანიშინობის, შემდეგ მისი მეფობის დროს მრავალფეროვანი და მეტად შინაარსიანი იყო. ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შეხებოდეს.

საქმე ერეკლე პირველის დროს „შეშლილი“, ესე იგი, შეცვლილი წესების აღდგენით უნდა დაწყებულიყო. ასეც მოხდა. უპირველეს ყოვლისა ერეკლეს მომხრენი გადააყენეს. ერეკლეს მიერ დასჯილ თავადებს „უბრალოდ წართმეული“ ყმა-მამულები უკან დაუბრუნეს.

შემდგომი ღონისძიება დარღვეული საეკლესიო სამართლის აღდგენა იყო. ვახტანგის თაოსნობით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა ერეკლეს მიერ დასმული კათალიკოსი და მცხეთის კათალიკოსად ვახტანგის ძმა დომენტი აირჩია. დომენტის სახით ვახტანგმა ქართლის ეკლესიაში ერთგული მომხრე გაიჩინა. ამას მალე ეკლესიის მემამულეობის აღდგენა მოჰყვა. თავადებს საეკლესიო ყმა-მამული ბლომად ჰქონდათ მიტაცებული. 1707 წელს დომენტი კათალიკოსმა შაჰის ბრძანებით თავადებს მინატაცები უკან დააბრუნებინა.

1707 წელს შაჰმა ნება დართო ვახტანგსა და ქართლის თავადებს უკან მოეყვანათ ერეკლეს დროს ქართლიდან კახეთს გახიზნული ყმები. არც კახეთის მმართველსა და არც კახ ფეოდალებს გაქცეულ გლეხთა დაბრუნება არ სურდათ. კიდევ უფრო ნაკლებ ეხალისებოდათ თვით გლეხებს თავის ძველ მებატონეებთან დაბრუნება. საჭირო გახდა შაჰის მხრით საგანგებო ღონისძიება, რომ კახი თავადები ქართლელ ხიზნებს შელეოდნენ. შეიქნა, „მყრელობა", როგორც მაშინ ამბობდნენ. ვახტანგის მოხელეები და ქართლის ფეოდალები მოედვნენ კახეთს თავისი გლეხების ასაყრელად. მიუხედავად ამისა, ყველა გლეხის დაბრუნება შეუძლებელი შეიქნა. ხიზნები სარგებლობდნენ იმით, რომ თითოეული მებატონე ცალკე დაეძებდა თავის გლეხებს და თავს იცავდნენ; სუსტ მებატონეებს არ ნებდებოდნენ და იარაღით ხელში უმკლავდებოდნენ, ძლიერებს გაურბოდნენ, ემალებოდნენ. გაქცეულებს კახელი გლეხები და მთიელები იფარებდნენ.

ამავე ხანებში ვახტანგის კარზე საკანონმდებლო მუშაობა იყო გაჩაღებული.

ვიდრე საკუთარ სამართლის წიგნს გააჩენდა, ვახტანგმა შეაგროვა ძველი ქართული თუ უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომხური) სამართლის წიგნები და ერთ კრებულად შეჰკრა ისინი. ამ კრებულს შემდეგ მან საკუთარი „სჯულიც" დაურთო.

სამართლის წიგნი ვახტანგმა დარბაისელთა (ესე იგი საერო და საეკლესიო მაღალი ფეოდალების) უშუალო მონაწილეობით შეადგინა. რა თქმა უნდა, ეს კანონმდებლობა უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ამ საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

კანონთა წიგნი ვახტანგმა ქართლისათვის შეადგინა, მაგრამ ის ბუნებრივად გავრცელდა და მალე მთელს ფეოდალურ საქართველოში მოქმედ სამართლის წიგნად იქცა.

ვახტანგის მოღვაწეობის ამავე ხანას ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი—დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი. დასტურლამალი სახელმწიფოს ძირითადი კანონის მაგიერი რამ იყო საშუალო საუკუნეებში.

ამრიგად, ამიერიდან სახელმწიფო და კერძო წერილობითი სამართალი კვლავ მტკიცედ მოწესრიგდა.

ქართლი ვახტანგის დროს ეკონომიურად კიდევ უფრო დაწინაურდა. თვით ვახტანგი ამ მხრით ენერგიულად მუშაობდა. მან ხელახლა დაასახლა გლეხები დიდი ხნის წინ დაცლილ სოფლებსა და მთელ მხარეებში, ააგო სასახლეები, ქარვასლები. ვახტანგი ზრუ-

წავდა გზებისა და ხიდების მოვლა-შენახვაზე, სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგებაზე, ფულის მოჭრის საქმის გაუმჯობესებაზე. ვახტანგმა განაახლა დიდი ხნის წინ მოშლილი სარწყავი არხები.

ძველი არხების ეს განახლება დიდმნიშვნელოვანი საქმე იყო. გამოვლილ ჟამთასიავეში შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება კვლავ თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. მეჯოგეობა კვლავ ადგილს უთმობდა უფრო მაღალსა და შემოსავლიან მეურნეობას. ველსა და ტყეს—ბაღ-ვენახი, ხოლო მომთაბარე ურდოს კვლავ სოფელი და ქალაქი სცვლიდა.

სარწყავად ქცეულ მდიდარ ჭალებში ბლომად მოჰყავდათ ბამბა, აშენებდნენ თუთისხეს. მეაბრეშუმეობასა და ბამბის კულტურაზე ნაკლები ყურადღება არ ექცეოდა მეურნეობის სხვა დარგებსაც: მევენახეობას, მემინდვრეობას (ხორბლეულის კულტურას), მესაქონლეობას.

XVII საუკუნის დამლევსა და XVIII საუკუნის დამდეგს ასეთი ცხოველი სამეურნეო საქმიანობა მხოლოდ მეფის სახლს როდი ახასიათებდა. ეს სამეურნეო აღმავლობა მთელ ქართლს დაეტყო.

ქართლის სამეურნეო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა. ამ დროს ქალაქში ოცი ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. ვაჭარხელოსნები მრავალ „რიგად“ იყოფოდნენ. თითოეული „რიგი“ ერთ რაიმე საქმიანობას ეწეოდა. აქ აკეთებდნენ სამხედრო იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მუსიკალურ საკრავებს, ჭურჭლეულს; ამზადებდნენ ბამბის ქსოვილებს, სამოსელს, ცხენ-აქლემის მოკაზმულობას. ვაჭრობდნენ პურს, ბამბას, აბრეშუმს, ბეწვეულს, ფარჩა-მაუდს, ღვინოს, მატყლს, ყოველგვარ წვრილმანსა და სანოვაგეს. კახური და ქართლური ღვინო თბილისიდან უცხოეთში ბლომად გაჰქონდათ. ირანსა და ოსმალეთს მიდიოდა თბილისიდან აგრეთვე ბეწვეული. ქართლ-კახეთიდან ოსმალეთისაკენ გაჰქონდათ აბრეშუმი და ენდრო დიდი რაოდენობით. ენდრო ქართლიდან ამ დროს ინდოეთშიაც მიჰქონდათ.

შემოჰქონდათ თბილისში უმთავრესად მზა საქონელი ირანიდან, ოსმალეთიდან. ამ ქვეყნებზე ვამოვლით შემოდიოდა ევროპული საქონელიც, რომელსაც მაშინ ფ რ ა ნ გ უ ლ ი ეწოდებოდა. თბილისში ამ დროს გარედან სანოვაგეც შემოდიოდა: თევზი და ხილი—შარვანის სახანოდან, თევზი და მარილი—ერევნის სახანოდან, ზეითუნის ზეთი—ოსმალეთიდან და სხვა.

ერთი სიტყვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობის მხრით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მხრით ქართლი მე-18 საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ყველა სხვა ნაწილს დიდად წინ უსწრებდა.

ამ სამეურნეო წინსვლის შესაბამისი იყო ცხოველი საქმიანობა კულტურის დარგში. ვახტანგი ამ საქმეში მარტო არ იყო, მას მხარს უჭერდა კულტურულ მოღვაწეთა მთელი დასი.

კულტურის დარგში ვახტანგის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სტამბის დაარსება. 1709 წელს თბილისში პირველად მოეწყო სტამბა. ეს მეტად დიდი კულტურული საქმე იყო. მანამდე წიგნი მხოლოდ ხელნაწერად ვრცელდებოდა. ასე დამზადებული წიგნი ცოტა იყო და ძვირიც ღირდა. სტამბა წიგნს ადვილად ამრავლებდა და ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა. ვახტანგის სტამბაში საეკლესიო წიგნების გვერდით მალე საერო ხასიათის წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. ბეჭდავდნენ „ვეფხისტყაოსანს", სასწავლო სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო თხზულებებს.

ვახტანგმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის დამუშავებასაც. ამ მიზნით ვახტანგმა შეადგინა „ს წ ა ვ ლ უ ლ  კ ა ც თ ა" კომისია ბ ე რ ი  ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით. კომისიამ თავისი დროისათვის ღირსეულად შეასრულა ეს რთული საქმე,—შეადგინა საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე.

ვახტანგის სკოლაში მიიღო აღზრდა და ამავე ხანაში დაიწყო მოღვაწეობა ქართული საისტორიო მწერლობის დიდმა წარმომადგენელმა, ვ ა ხ უ შ ტ ი ბატონიშვილმა.

ქართველ მეცნიერთა ამ დასს ეკუთვნოდა და მის ნამდვილ სიამაყეს წარმოადგენდა ვახტანგის აღმზრდელი ს უ ლ ხ ა ნ  ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფი, სახელგანთქმული იგავების მწერალი, მეცნიერი რედაქტორი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. საბა-სულხანის მიერ შედგენილი ქართული ენის ლექსიკონი დღესაც ჩვენთვის ამოუწყველი საუნჯეა.

თვითონ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ც მთელი ამ სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობის მარტო პრაქტიკული და იდეური ორგანიზატორი კი არ იყო, არამედ გვერდში ედგა ამ მოღვაწეებს, როგორც ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი. ვახტანგის წრის ღირსეული თანამშრომლები იყვნენ აგრეთვე მთელი გუნდი სხვა მეცნიერ-მწიგნობრები და პოეტები.

ვახტანგის ხანის უმცროს თაობას ეკუთვნის დ ა ვ ი თ გ უ რ ა-მ ი შ ვ ი ლ ი (დაიბადა 1705 წელს), ფეოდალური საქართველოს ერთი უდიდესი პოეტთაგანი.

დავით ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა ქართლ-კახეთს მძიმე დღეები გაუთენა ახლო-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე სამი დიდი მეტოქის—რუსეთის, ირანის და ოსმალეთის ურთიერთშორის დატაკებამ. დავითი მოწმე იყო სამშობლო ქვეყნის ოსმალთა მიერ აოხრებისა. თავისი ქვეყნის ეს უბედობა მან პირადადაც მწარედ იგემა. პოეტი ლეკმა ავაზაკებმა დაატყვევეს და დაღისტანს წაიყვანეს. დავითი ტყვეობიდან გაიქცა და რუსეთს გავიდა, სადაც ის სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს შეუერთდა და მათი ბედი გაიზიარა. უცხოობაში დარჩენილმა პოეტმა, მხურვალე პატრიოტმა დავით გურამიშვილმა მუქი ფერებით დახატა მისი დროის საქართველოს თავს დატეხილი პოლიტიკური უბედურება და სწორად და პირუთვნელად აღნიშნა ამ უბედურების უმთავრესი მიზეზები.

განსაკუთრებით მოსახსენებელია ა რ ჩ ი ლ ი ს მოღვაწეობა, რომელიც წინ უსწრებდა „ვახტანგის სკოლას".

არჩილის პოეზია იდეურობის ნიმუშია. დამპყრობელთა წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი არჩილი ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენას სულიერ სფეროშიაც ებრძოდა. ეს პოეზია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოწოდებაა. არჩილი აკვირდება საქართველოს მარცხის მიზეზს და სამართლიანად ხედავს მას ქვეყნის საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ვითარებაში. არჩილი პირველი მწერალია საქართველოში, რომელმაც საზოგადოებრივი საკითხები წამოაყენა ქართულ პოეზიაში. „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ"-ო, აცხადებს პოეტი და მართლაც დაურიდებლად ამხელს აღვირახსნილ თავადებს, უგუნურ მეფეებს. არჩილმა პირველმა სთქვა: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა". არჩილი კარგად ხედავდა, რომ გლეხთა ამოწყვეტის მიზეზი ფეოდალების ძალადობა იყო. არჩილი ფეოდალებს ლმობიერება-წესიერებისაკენ ენერგიულად მოუწოდებდა. ასეთ განწყობილებამდე არჩილი გლეხთა ინტერესს არ მიუყვანია. არჩილი ფეოდალი (მეფე) პოეტი იყო. გლეხთა გამოსარჩლებამდე იგი ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესმა მიიყვანა. ამიტომაცაა რომ ის გლეხებს ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ფეოდალების მიმართ გამოთქმული საყვედურითა

და რჩევით კმაყოფილდება. იმ დროის ქართულ მწერლობაში ესეც დიდი ამბავი იყო.

ამ ხანის უცხოეთში მოქმედ ქართველთაგან საგანგებო ყურადღების ღირსია რუმინეთის შესანიშნავი მოღვაწე ა ნ თ ი მ ო ზ ი. უგრო-ვალახეთის მიტროპოლიტმა 1708 წლიდან, ანთიმოზმა სახელი გაითქვა როგორც საეკლესიო მოღვაწემ, ორატორმა, მხატვარმა, მოქანდაკემ, მშენებელმა, როგორც თავისი მეორე სამშობლოს მხურვალე პატრიოტმა. ამ ახალ სამშობლოს ანთიმოზმა თავისი სიცოცხლეც-კი შესწირა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანთიმოზის სასტამბო საქმიანობა როგორც თვით რუმინეთში, სადაც იგი წიგნებს ბეჭდავდა რუმინულს, სლავურსა და ბერძნულ ენებზე, ისე მის საზღვარ-გარეთაც. ანთიმოზმა მოაწყო წიგნების ბეჭდვა არაბულ ენაზე შორეული სირიისათვის, იგივე იყო ვახტანგ მეექვსის აქტიური ხელისშემწყობი პირველი ქართული სტამბის ორგანიზაციის საქმეში 1709 წელს.

თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ვახტანგი მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. ამ ნიადაგზე მალე დაიბადა უკმაყოფილება. თავადები ვერ ითმენდნენ იმ მცირე შეზღუდვასაც კი, რომელსაც მათ ახალი წესები უქმნიდა, და მტრული უნდობლობით უყურებდნენ ჯანიშინის საამისო ღონისძიებებს. დიდ თავადებს განსაკუთრებით აფიქრებდა, რომ ვახტანგმა „მ ც ვ ე ლ თ ა ჯ ა რ ი“ გაიჩინა. მცველთა ჯარი ჯამაგირზე იყო და ჯანიშინის ერთგული თავადიშვილებისა, აზნაურიშვილებისა და მსახურებისაგან შედგებოდა. ეს ჯარი მეთოფეთა სამ გუნდად იყოფოდა. თითო გუნდს უზბაში (ასისთავი) სარდლობდა, ყველას ერთად—მეფის ყულარაღასი. მცველთა ჯარს მხოლოდ საშინაო დანიშნულება ჰქონდა და განუყრელად ახლდა ვახტანგს.

ვახტანგის უკმაყოფილო მხოლოდ ზოგიერთი თავადი როდი იყო. ის არც ქართლის ყიზილბაშ მეციხოვნეებს მოსწონდათ. ვახტანგმა სასტიკად აკრძალა ქართლში ტყვის სყიდვა, რომელიც ერეკლე პირველის დროიდან ყიზილბაში მეციხოვნეების შემოსავლის მთავარ წყაროდ ქცეულიყო.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლში კვლავ გაცოცხლდა ძველი მიდრეკილება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა საქმეებში ჩარევისა და მუდმივი ზეგავლენისადმი. ქართლის სამეფო კარი დაქინებით ცდილობდა საქართველოს ფეოდალურ ძალთა შეკავშირებას, საქართველოს სამეფო-სამთავროების მეთაურობას.

ამ დროს ირანის აღმოსავლეთ ნაწილში ავღანთა დიდი აჯანყება იყო. აჯანყების ჩასაქრობად შაჰმა გიორგი ქართლის მეფე გაგზავნა ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარით. 1709 წელს მეფე გიორგი მეთერთმეტე ამ ომში დაიღუპა. შაჰმა ქართლის მეფედ და ირანის მთავარსარდლად ვახტანგის ძმა ქ ა ი ხ ო ს რ ო დანიშნა, ვახტანგი-კი ისევ ქართლის ჯანიშინად რჩებოდა. 1711 წელს ქაიხოსროც იმავე ავღანებთან ომში დაიღუპა.

ვახტანგი ირანს გაემგზავრა. მას შაჰისაგან უნდა ქართლის მეფობა მიეღო. ამოქმედდნენ ვახტანგის მტრებიც: ზოგიერთი თავადი ქსნისა და არაგვის ერისთავების მეთაურობით, ტყვით მოვაჭრე გადაგვარებული ფეოდალები, ყველა მტაცებელი და ყიზილბაში მეციხოვნეები. შაჰმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ ვახტანგი უარზე დადგა. მაშინ შაჰმა ქართლის მეფედ მაჰმადიანი ი ე ს ე, ვახტანგის ძმა, დანიშნა, ხოლო ვახტანგი ირანს დარჩა ნახევრად პატიმარი (1714 წ.).

ქართლის ფეოდალების მოწინავე ნაწილი ვახტანგს ეხმარებოდა და მის დახსნას ცდილობდა. ჯერ კიდევ 1713 წელს ამ მიზნით ევროპაში გაემგზავრა მეცნიერი ბერი ს ა ბ ა ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

საბა ორბელიანი ეწვია რომის პაპს, შემდეგ საფრანგეთის მეფეს ლ უ ი მეთოთხმეტეს და 20 ათასი თუმანი სთხოვა მას. ამ ფულით, იმედი ჰქონდათ, ყაენის კარს მოქრთამავდნენ და ვახტანგს ქრისტიანობით ქართლის მეფობას აშოვნინებდნენ. ქართველი დიპლომატი ევროპაში დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ ხელცარიელი გამოისტუმრეს. ამ გარემოებამ მწარედ გაუცრუა ქართველ პოლიტიკოსებს დასავლეთ ევროპის იმედები.

ეხლა ვახტანგის მომხრეებმა ისევ ნაცად გზას მიმართეს და დაჟინებით ურჩევდნენ ვახტანგს მაჰმადიანობის მიღებას.

1716 წელს ვახტანგმა დასთმო. მიიღო მაჰმადიანობა და შაჰმაც მისცა მას ქართლი. მაინც 1719 წლამდე ვახტანგი ირანს დარჩა ყაენის სამსახურში, ქართლს-კი მისი ძე ბ ა ქ ა რ ი მართავდა. 1719 წელს ვახტანგი დაბრუნდა სამშობლოში და უნებურად შეწყვეტილი სასარგებლო სახელმწიფო მოღვაწეობა განაახლა.

## კახეთი XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში

XVII საუკუნის მესამე მეოთხედში კახეთი შესამჩნევად მოშენდა. საგარეო მშვიდობა იყო. მმართველებმა (როსტომი, არჩი-

ლი) შესძლეს ლეკთა თარეშების ალაგმვა და ქვეყნის შიგნითაც შედარებით წესიერების დაცვა. ეს პირობა-კი საკმაო აღმოჩნდა, რომ ხიზან-ბოგანო გლეხები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მრავლად მისულიყვნენ ამ ბუნებით მდიდარ მხარეში.

1677 წლიდან ირანის კარის პოლიტიკა კახეთის მიმართ შეიცვალა. შაჰი კახეთს სამმართველოდ ქართველებს აღარ აძლევდა, არამედ ან განჯის ბეგლარ-ბეგებს ან სხვა ხანებს. შაჰის ეს ყიზილბაში მოხელეები მტრულად უცქეროდნენ კახეთში ქართველთა კვლავ მომრავლებას და ამ ქვეყნის თურქმანებით დასახლების ცდებს განაგრძობდნენ.

ხანების ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ მათ საკმაო დასაყრდენი ვერ გაიჩინეს კახეთის მოსახლეობის ვერც ერთ ფენაში. მათი წინააღმდეგი იყვნენ ფეოდალები (თავადები, ეკლესია) და სოფლის მშრომელი მოსახლეობა—გლეხკაცობა, თავისუფალი მთიელები. ამიტომაც ხანები უმთავრესად ყიზილბაშთა სამხედრო ძალასა და ჩამოსახლებულ თურქმანებს ემყარებოდნენ. შაჰის ეს მოხელეები კახეთის ყოველ მტერში თავის მოკავშირეს ხედავდნენ. ისინი აშკარად ხელს უწყობდნენ ლეკთა მოსახლეობის გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში—ჭ ა რ შ ი—და არც ლეკთა იმ ბრბოების წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომელნიც კახეთის სოფლების სარბევად განუწყვეტლივ მოდიოდნენ. ჭარში ლეკები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაჩნდნენ, აქ ისინი კახთა მეფეების ნებართვით მათ ყმებად სხდებოდნენ. XVII საუკუნიდან, შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ, ლეკების ჭარში ჩამოსვლა განსაკუთრებით გაძლიერდა. ამოწყვეტილი ან ირანში გადარეკილი კახური მოსახლეობის ადგილს აქ დაღისტნიდან გადმოსახლებულნი იჭერდნენ. ყიზილბაში ხანებისავე მფარველობით ჭარი ჩქარა გაძლიერდა და ახლობელი სოფლების დაპყრობას ხელი მიჰყო. ამავე დროს ჭარი კახეთის მარბიელ გადამთიელ ლეკთა სადგურადაც იქცა. XVII საუკუნის მანძილზე, უმთავრესად—მის უკანასკნელ მეოთხედში, თანდათან ჩამოყალიბდა ჭ ა რ ი ს, ბ ე ლ ა ქ ნ ი ს ა და თ ა ლ ა ს „უბატონო თემები“.

კიდევ უფრო გაძლიერდა ლეკთა შემოტევა XVIII საუკუნის დასაწყისიდან. დაღისტნელი მტაცებლების გუნდები ჭარელებთან ერთად მუდამდღე არბევდნენ კახეთის სოფლებს.

კახეთის რბევას ლეკებს ზოგიერთი მკვიდრიც უადვილებდა. ისედაც ხდებოდა, რომ კახელ თავადს მოჰყავდა ლეკი მარბიელები თავისი მოქიშპე თავადის წინააღმდეგ. ზოგჯერ კიდევ მებატონეების მძარცველობით თავმობეზრებული გლეხებიც მიდიოდნენ ლე-

კებთან და მებატონის ავლადიდებას არბევინებდნენ მათ. კახეთის გაღმა-მხარში ფეხის მოკიდების მიზნით ჭარელები კახელ გლეხებს კავშირს სთავაზობდნენ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. კახეთში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქნა.

## ირან-ოსმალეთ-რუსეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

### ვახტანგ მეექვსისა და პეტრე პირველის ურთიერთობა

XVIII საუკუნის მეორე ოცეულში ძველი ამბავი განმეორდა ერთხელ კიდევ: ოსმალეთი, რუსეთი და ირანი ერთმანეთს შეეჯახნენ ახლო აღმოსავლეთში. თითოეული მათგანის როლი და მნიშვნელობა ეხლა სულ სხვა იყო, ვიდრე ასი წლის წინ. შედეგებიც მათთვის ეხლა სხვა მოჰყვა ამ ჭიდილს. უცვლელი მხოლოდ ერთი რამ დარჩა: ეს ბრძოლაც უმთავრესად ამიერ-კავკასიაში გათამაშდა და აქაური ხალხებისათვის ისეთივე მძიმე შედეგებით, როგორიც იყო შაჰ-აბასის დროინდელი სისხლიანი კატასტროფა.

ირანში უნებური ყოფნისას ვახტანგი საბოლოდ დარწმუნდა ამ სახელმწიფოს უიმედო სისუსტეში. ქართლის მეფე ხედავდა, რომ საქართველოს განთავისუფლების ჟამი მოახლოვებულიყო. ვახტანგი ფრთხილად ემზადებოდა, მომხრე-მოკავშირეებს ეძებდა და საქმის დაწყებას აპირებდა. მაგრამ ირანის დასუსტებას ამჩნევდნენ მეზობელი დიდი სახელმწიფოებიც, ოსმალეთი და რუსეთი, რომელნიც მოსალოდნელი მემკვიდრეობის გასაყოფად ემზადებოდნენ და ეჭვის თვალით ერთი მეორეს მტრულად ზვერავდნენ.

რუსეთიცა და ოსმალეთიც ირანის მიერ დაპყრობილ ხალხებში მომხრეებს ეძებდნენ. ოსმალეთმა კავკასიაში შარვან-დაღისტნის „მფარველობა" დაიჩემა. პეტრე პირველმა-კი ჯერ კიდევ 1720 წელს გააბა კავკასიის ქრისტიან ხალხებთან დიპლომატიური მოლაპარაკება. რუსეთის მეფე ქართლის მეფეს თავის მხარეზე მოუწოდებდა და ურწმუნოთა მორჩილებისაგან განთავისუფლების იმედს აძლევდა.

ვახტანგ მეფეს სინამდვილედ ესახებოდა საოცნებო მდგომარეობა, როცა დიდი სახელმწიფოს დახმარებით მოძალადე შაჰის ხელთაგან განთავისუფლებული საქართველო ოსმალთა მიერ მიტაცებ სამცხე-საათაბაგოს უკან დაიბრუნებდა.

15 ივნისს 1722 წელს პეტრე მეფემ ირანს ლაშქრობის შესახებ მანიფესტი გამოაქვეყნა.

როგორც-კი პეტრე თერგიდან დარუბანდისაკენ წამოვიდა, ვახტანგ მეფე ქართლის ჯარით განჯას ჩავიდა და შარვანს ხელმწიფის გამოსვლას ელოდა. პაემანის თანახმად რუსთა და ქართველთა ჯარები ერთიმეორეს იქ უნდა შეყროდნენ.

ვახტანგი სამ თვეს იდგა განჯაში. ბოლოს, ნოემბერში. ვახტანგს მოუვიდა რუსეთის მეფის ელჩი. რომელმაც პეტრეს ლაშქრობის მოშლა და მისი მომავალი წლისათვის გადადება აცნობა.

მწუხარე ვახტანგი განჯიდან თბილისს დაბრუნდა. ქართლის მეფის საქმე მეტად გართულდა: ირანის შაჰი ვახტანგ მეფეს ორგულობასა და ღალატს აბრალებდა; არც ოსმალეთი იყო ვახტანგის მადლიერი,—ხონთქარი ვახტანგს რუსთა მომხრეობას უსაყვედურებდა, თავის მხარეზე მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპყრობით ემუქრებოდა.

ვახტანგი, რუსეთის მეფის აღთქმას მინდობილი, საქართველოს განთავისუფლების იმედს არ კარგავდა. იგი მტრებთან მოლაპარაკებით და მოსაჩვენარი მორჩილებით დროს მოგებას ცდილობდა და მომავალი გაზაფხულისათვის შარვანში პეტრეს გამოსვლას ელოდა.

ქართლის მეფემ ყველა მიმართულებით წააგო. განრისხებულმა შაჰმა „ორგულ ყმას“ ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველს კონსტანტინეს გადასცა. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე ის იყო, რომ ვახტანგს რუსთა მეფის დახმარების იმედი გაუცრუვდა. ოსმალეთმა და რუსეთმა ირანი გაინაწილეს: ხონთქარმა კასპიის ზღვის სანაპიროები რუსეთის საკუთრებად იცნო. პეტრემ-კი სამაგიეროდ ოსმალეთს დაუთმო ირანის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც აღმოსავლეთი საქართველოც მიათვალეს.

1723 წელს გაზაფხულზე კახეთის მმართველმა კონსტანტინემ ლეკთა დიდი ჯარი დაიქირავა და თბილისს თავს დაესხა. ლეკებმა თბილისი აიღეს და ისე სასტიკად გაძარცვეს და ააოხრეს, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ამის შემდეგ ქალაქი თავის ძველ კეთილდღეობას ვეღარ დაუბრუნდა. ვახტანგი შიდა ქართლში დადგა. კონსტანტინემ-კი ქალაქი დაიპყრა. ამავე დროს ოსმალთა ჯარი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისაკენ დაიძრა. 1723 წელს ივნისში ოსმალთა ჯარმა თბილისი უომრად აიღო.

რაკი ქვეყანა ხელთ იგდო. დამპყრობელი ქართლში მეფობის გაუქმებასა და ოსმალური წესწყობილების შემოღებას შეუდგა.

ვახტანგს ქართლში აღარ ედგომებოდა და არც რუსეთს წასვლის გარდა სხვა გზა გააჩნდა. 15 ივლისს 1724 წელს ვახტანგი შვილებით, ძმით, უახლოესი თანამოღვაწეებითა და დიდი ამალით რაჭის გზით რუსეთს წავიდა. მეფე, მისი აზრით, ქართლიდან დროებით მიდიოდა და მალე საქართველოს განსათავისუფლებლად რუსეთის ჯარით დაბრუნდებოდა. ასეთ იმედებს აძლევდა მას რუსეთის იმპერატორი.

მაგრამ რუსეთის საგარეო და საშინაო პირობები ამ დროს ისე მოეწყო, რომ ქართლის მეფემ მისთვის აღთქმული დახმარება ვერ მიიღო. ვახტანგი ვერ ეღირსა სამშობლოში დაბრუნებას. იმედგაცრუებული ის მწარე უცხოობაში გარდაიცვალა ა ს ტ რ ა ხ ა ნ ს (1737 წ.).

ვახტანგის ამალა მეფის გარდაცვალების შემდეგ იძულებული იყო ან რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო, ან არა და საქართველოში დაბრუნებულიყო. მცირე ნაწილი დაბრუნდა ცეცხლმოდებულ სამშობლოში, უმრავლესობა კი იქვე დარჩა უკეთესი დროის მოლოდინში. ემიგრანტი ქართველები რუსხელმწიფის ქვეშევრდომებად დაეწერნენ, მიიღეს რუსეთის მთავრობისაგან ყმა-მამული და ხელმწიფის სამხედრო თუ სხვა სამსახურში შევიდნენ.

ქართველთა გადასახლების მნიშვნელობა და შედეგები მრავალმხრივი იყო. უპირველეს ყოვლისა საქართველოსათვის ეს იყო მეტად მძიმე დანაკლისი. ვახტანგ მეფეს ემიგრაციაში თან გაჰყვა მის სახელმწიფოებრივს თუ კულტურულ შემოქმედებაში თანამშრომელთა დიდი დასი. ამით ქართლი ერთბაშად დაიცალა მოწინავე გონებრივ მუშაკთაგან და ქვეყანაში დიდი ხნით შეწყდა აგრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა. მართალია, უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს მშობელი ხალხისათვის სასარგებლო მუშაობა არ შეუწყვეტიათ: სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო და სასწავლო წიგნებს, აღადგინეს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში არჩილ მეფის მიერ გამართული ქართული სტამბა მოსკოვს, ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს, სთხზავდნენ ლექსებს და სხვ., მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა საქართველოს შედარებით მცირედ რგებდა. მათი ნამუშაკევი სამშობლოში მცირედ აღწევდა და აქ კულტურული მოღვაწეობის მოდუნების გამო ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა და, რაც უმთავრესი იყო, დიდი ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის ეს კერა იქ, უცხოეთში გადახიზნული, უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირული: ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ი ა დ ა გ ს მ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი მ ო ს კ ო ვ ი ს კ ო ლ ო-

ნია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას არ ქმნიდა. მიუხედავად ამისა ქართველთა კოლონიის დადებითი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო, მან ძლიერად შეუწყო ხელი საქართველოს კულტურულ დაახლოებას რუსეთთან.

გარდა ამისა ამ კოლონიას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. მოსკოვის ქართული კოლონია ქართველი ხალხის იმ რწმენის ცოცხალი გამოსახულება იყო, რომ რუსეთი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერ-კავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები მოეპოვება, და რომ ეს ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე აღნიშნული კოლონია ძლიერად ზემოქმედებდა ამ მიმართულებით საქართველოში მომუშავე პოლიტიკურ მოღვაწეებზე. რუსეთში ქართველები მალე დაწინაურდნენ სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის სხვადასხვა სარბიელზე და თავის მხრით დიდად შეუწყვეს ხელი რუსეთ-საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ დაახლოებას.

### ძნელბედობა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედი ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო. 1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა მძიმე ბატონობის უღელქვეშ გმინავდა. 1735 წლის მიწურულს ოსმალობა არანაკლებ მძიმე ყიზილბაშობამ შესცვალა. ის 1747 წლამდე გრძელდებოდა. უცხოელ დამპყრობელთა აუტანელმა ბატონობამ არა ერთი სახალხო აჯანყება გამოიწვია. თითოეულ ასეთ აჯანყებას თან სდევდა დამპყრობელთა დამსჯელი ექსპედიციების ველური თარეში.

ამავე დროს მშრომელ ხალხს გარეშე მტერზე ნაკლებ არ ანადგურებდა საკუთარ მებატონეთა აულაგმავობა. გამკითხავი აღარავინ იყო. ურთიერთ შორის ბრძოლაში გართული მებატონეები უპირველეს ყოვლისა „მოწინააღმდეგის“ გლეხებს დაერეოდნენ ხოლმე, ჟლეტდნენ მათ ან კიდევ ტყვედ ჰყიდდნენ. თავაშვებული მებატონეები არც საკუთარ ყმებს ინდობდნენ. „უდების დადებით“, ესე იგი— უჩვეულო გადასახადებითა და აუტანელი ბეგრით მათ აჯანყებამდე მიჰყავდათ გაძარცული გლეხკაცობა. „ურჩი“ ყმების ხვედრი-კი „დარბევა“ და „მოთხრა“ ანუ ტყვედ დაყიდვა, ხოლო მათი სარჩოსაბადებლის ბატონის მიერ მიტაცება იყო.

ყველაფერზე უმძიმესი მაინც ლეკთა თარეში იყო. ამ ხანაში ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ. ერთიმეორის სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს; აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და, ბოლოს, უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში ლეკები დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოახელებდნენ: ადამიანი, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვა.

ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი საშინლად შემცირდა. ზოგიერთი მხარე სავსებით დაიცალა მცხოვრებლებისაგან, სხვაგან კიდევ ძლივს ბოგინობდა შეთხელებული მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა, მეორე ნაწილი ლეკებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ბრძოლებში დაიხოცა, სხვები ბოლომოუღებელი ომიანობის თანამგზავრმა შიმშილობამ და ჭირმა იმსხვერპლა, დიდი ნაწილი კიდევ ახლობელ მხარეებს შეეხიზნა.

ირანის ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ 1730—1745 წლებში ნ ა დ ი რ ი ხელმძღვანელობდა. 1736 წლიდან ეს სარდალი ირანის შაჰი გახდა. საქართველოში ნადირი ჯერ კიდევ 1735 წელს მოვიდა.

ქართლ-კახეთის ფეოდალები ნადირ-შაჰს მიემხრნენ და ოსმალები განდევნეს. ირანის ბატონობა მათ უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ, ვიდრე ოსმალობა. მაგრამ ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ირანული გადასახადები და ყიზილბაშური წყობილება შემოიღო. ეს არანაკლებ მძიმე გამოდგა, ვიდრე ოსმალობა იყო. მაშინვე ქართლსა და კახეთში აჯანყებები დაიწყო. ქართლის აჯანყებას შ ა ნ შ ე ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი, ვ ა ხ უ შ ტ ი ა ბ ა შ ი ძ ე, გ ი ვ ი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი და სხვა თავადები მეთაურობდნენ, კახელთა აჯანყებას კი—თ ე ი მ უ რ ა ზ მეორე, კახეთის მეფე.

აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ ნადირ-შაჰი აიძულა საქართველოს გათათრებაზე საბოლოოდ ხელი აეღო და აქ თანდათან ძველი, ქართული წესწყობილება აღედგინა.

ივნისში 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო მისი შვილი ერეკლე მეორე კახეთის მეფედ დანიშნა.

თეიმურაზ მეორე ერეკლე პირველის შვილი იყო და კახეთის ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა. თეიმურაზი კახეთში 1733 წელს გამეფდა, თავისი ძმების, დავითისა (1703 წ.—1722წ.) და კონსტანტინეს (1722 წ.—1733 წ.) შემდეგ. ქართლის მიღების შემდეგ, ნა-

ღირის თანხმობითვე, თეიმურაზმა ქრისტიანული წესით გვირგვინი იკურთხა მცხეთაში 1745 წ. 1 ოქტომბერს. ეს პირველი შემთხვევა იყო XVII საუკუნის დამდეგიდან, რომ ქართლის სამეფო ტახტზე მეფე ქრისტიანობით ჯდებოდა.

ამ ხანებში ნადირ-შაჰის სახელმწიფოს დღე დაელია. ბოლომოუღებელი ომებით გამოწვეულმა აუტანელმა გადასახადებმა, ფეოდალების გაუკითხავმა პარპაშმა და ხელმწიფის მოხელეების სრულმა თვითნებობამ დაღუპვის კარამდე მიიყვანეს უიმისოდაც ჩამორჩენილი ირანი. 1747 წელს ნადირ-შაჰმა მთელ ირანს აუტანელი გადასახადები შეაწერა, მარტო ქართლ-კახეთს მან ორასი ათასი თუმანი შემოუკვეთა. ეს ზომა საბედისწერო აღმოჩნდა. ნადირ-შაჰი და მისი მონარქია აჯანყებათა მსხვერპლი გახდა. 1747 წელს ნადირ-შაჰი მოკლეს.

შაჰის სიკვდილის უმალ ირანში დიდი არეულობა გამეფდა: ლაშქარი დაიშალა, სარდლებმა ქვეყნები დაიტაცეს, ტახტის მაძიებლები ერთიმეორეს დაერივნენ.

ეს ანარქია დიდხანს გრძელდებოდა, და მთელი ირანი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ მცირე სახანოებად დაიშალა. ხანებს შორის დაუსრულებელი ომები გაჩაღდა. მრავალ სახანოდ იყო დაშლილი აღმოსავლეთი ამიერ-კავკასიაც.

## საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

### თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძოლა პირველობისათვის ამიერ-კავკასიაში

1748—1750 წლებში ქართლ-კახეთს ფიცხელი ომები ჰქონდა სხვადასხვა ხანებთან, რომელთაც აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში გაბატონება სურდათ. თეიმურაზმა და ერეკლემ ზედიზედ დაამარცხეს ისინი, ხოლო ერევნის, განჯისა და ნახჭავნის სახანოები საქართველოს მოხარკე ქვეყნებად გადააქციეს.

ხანებზე გამარჯვება, ერევნის, განჯისა და ნახჭავნის დამორჩილება ქართველ მეფეთა დიდი სამხედრო და პოლიტიკური წარმატება იყო. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში საქართველოს უპირატესობა თითქოს უცილობელი ხდებოდა.

მაგრამ საქართველოს წინაშე ერთი მეტად მძიმე საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელი რჩებოდა. ეს ლეკთა საკითხი იყო.

ქართლ-კახეთის წარმატებებმა ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები შეაშფოთა. ქართველთა გაძლიერებაში ისინი თავისთვის საფრთხეს ხედავდნენ. და მართლაც ასე იყო: საქართველოში ლეკთა თარეშების აღსაკვეთად ქართველებს აუცილებლად მიაჩნდათ ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის დაპყრობა და მათი ისევ კახეთისათვის შემოერთება.

ჭარელებმა გადამთიელი თანამოძმეები მოიხმეს, და ლეკთა დიდი ჯარი 1750 წელს საქართველოზე გამოემართა. ჯარის ერთი ნაწილი კახეთს დაეცა, მთავარი ძალები-კი ყ ა ზ ა ხ ს შეესივნენ და ის სასტიკად დაარბიეს. ახალგაზრდა ერეკლემ კახეთზე წამოსული მტერი მთელ რიგ ბრძოლებში უკუაგდო. ამის შემდეგ მეფე ფიცხლავ ქართლს მიეშველა. ქართველთა ჯარი აედევნა ნადავლით დატვირთულ ლეკთა მთავარ ძალას და ალაზან-იორის შესართავთან შეება მტერს. ლეკები დამარცხდნენ. ნადავლ-ნაალაფევს გარდა მათ დიდძალი დაჭრილ-დახოცილები თუ ტყვეები და ათასობით ცხენები დასტოვეს და გაიქცნენ.

ამ გამარჯვებას ქართველები დიდი მნიშვნელობისად სთვლიდნენ. მათი აზრით ეს ლეკთა საკითხის საბოლოო გადაჭრის საწინდარი იყო. მალე მეფეებმა დარბაზის სხდომა მოიწვიეს, სადაც „უბატონო თემების" დაპყრობა დაასკვნეს.

შაქი-შარვანის ხანი ა ჯ ი-ჩ ა ლ ა ბ ი სათვალმჩენოდ. მართალია, ქართველ მეფეებს მეგობრობდა, მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა მეზობელი საქართველო, მით უფრო ხანს მოსვენება ეკარგებოდა. ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის დაპყრობით ქართველები შაქს უშუალოდ უმეზობლდებოდნენ. ამიტომ აჯი-ჩალაბი გადამწყვეტი ომისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა. ქართველებმა აჯი-ჩალაბს განაზრახი გვიან შეუტყვეს. ლეკებისა და შაქი-შარვანის შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა ქართველი ჯარი (თებერვალი, 1751 წ.).

ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირველი სერიოზული დამარცხება. ამასთანავე გამოირკვა, რომ ლეკთა საკითხი გაცილებით უფრო მძიმე და რთული იყო, ვიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს წარმოედგინათ.

ამავე დროს ადერბაიჯანის მხრით საქართველოს დიდი საფრთხე გაუჩნდა. თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი მთელი ირანის დაპყრობასა და ხელმწიფედ დაჯდომას აპირებდა. 1751 წელს მან აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას შემოუტია. საქმე მან ერევნის სახანოდან დაიწყო.

ახალი საფრთხე ქართველებმა კარგად გაითვალისწინეს, და ერეკლე ფიცხლავ გაეშურა ერევნის მისაშველებლად. აზატ-ხანიც თვრამეტი ათასი მეომრით სწრაფად ერეკლეს წინააღმდეგ წამოვიდა. ომი მოხდა ერევნის ახლოს, ყ ი რ ხ ბ უ ლ ა ხ თ ა ნ. თუმცა ერეკლეს ბევრად უფრო მცირე ჯარი ჰყავდა, მაგრამ იგი მტერს მტკიცე გულით დახვდა. პირველად აზატ-ხანის დიდმა ჯარმა შეავიწროვა ქართველთა ლაშქარი და ყოველმხრივ გარს შემოერტყა მას. ყიზილბაშებს ქართველთა დამარცხებაში ეჭვი არ შესდიოდათ, და აზატ-ხანი ერეკლე მეფისაგან მორჩილების მოციქულსაც-კი ელოდა. მაგრამ ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა გაიმარჯვა: მისი პირადი მიძღოლით ქართველთა ჯარი ისე ძლიერად და ხერხიანად დაეტაკა ყიზილბაშთა ლაშქრის ცენტრს, რომ ის ერთი დაკვრით მოშალა. მტერი სულიერად გატყდა და მალე გაიქცა კიდევაც. ქართველებმა ოცდაათი კილომეტრის მანძილზე კვალდაკვალ სდიეს მას, ჰკაფეს და ატყვევეს იგი. აზატ-ხანმა ძლივს უშველა თავს, არაქსს გავიდა და ადერბაიჯანს შეეფარა. ერეკლე მეფემ ერევან-ნახჭავნის საქმეები მოაწესრიგა და თბილისს დაბრუნდა.

ეხლა ქართველებს შეეძლოთ ლეკებისათვის მიეხედნათ. ლეკთა საკითხის გადაჭრა უნდა აჯი-ჩალაბიდან დაწყებულიყო.

აჯი-ჩალაბი ხერხიანად იბრძოდა. ქრისტიანული ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მან მაჰმადიანური სახანოების შეკავშირება სცადა და ამ საქმეში წარმატებასაც მიაღწია. თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ შაქის ხანმა არა მარტო ლეკები დარაზმა, არამედ განჯა-ყარაბაღისა და ერევნის ხანებიც-კი გადაიბირა. 1752 წელს ამ ხანების ღალატის გამო ქართველებმა ომი წააგეს განჯას. გამარჯვებული აჯი-ჩალაბი შეტევაზე გადმოვიდა. მტრის დიდი ლაშქარი ქართლში შემოიჭრა. ამავე დროს ლეკების ბრბოები ქართლ-კახეთის დაბა-სოფლებს მოედვნენ.

კარზე მომდგარ საფრთხეს ქართველებმა ენერგიული მოქმედებით უპასუხეს. ხალხი ციხე-სიმაგრეებში დახიზნეს, ომში ქუდზე კაცი გაიწვიეს, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩერქეზებისა და სხვა მთიელების დასაქირავებლად ხალხი გაგზავნეს. საქმის სული და გული ერეკლე იყო.

სამი თვის გასულს ქართველები სავსებით მზად იყვნენ, რომ მტრისათვის ღირსეული პასუხი გაეცათ. მტერმა საქართველოს დაპყრობის განზრახვაზე ეხლა ხელი აიღო და უკან გაბრუნდა, მაგრამ ქართველთა ჯარი ერეკლეს სარდლობით ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე მიეწია მას. სასტიკ ომში განსაკუთრებით თავი ისახელეს

ქიზიყელმა გლეხებმა და ჩერქეზთა რაზმმა. მტერი დამარცხდა და დიდად დაზარალებული გაიქცა.

ამ გამარჯვებას საქართველოსათვის დიდი შედეგები მოჰყვა. მაჰმადიანური სახანოების კავშირი, შაქის ხანმა რომ საქართველოს დაუპირისპირა, ჩქარა დაიშალა. ერევნის, განჯის და სხვა ხანები თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ ისევ მეგობრობა-მორჩილების გზას დაადგნენ. ბოლოს თავრიზელმა აზატ-ხანმაც ხელი აიღო საქართველოს დაპყრობის განზრახვაზე და ზავი შემოსთავაზა ქართლ-კახეთის მეფეებს. საქართველოსათვის ეს ზავი მეტად სასურველი იყო. აზატ-ხანთან ზავი ქართლ-კახეთის საშინაო სიმტკიცესაც ხელს უწყობდა. ქართლის ზოგიერთი უკმაყოფილო თავადი აზატ-ხანის გამოლაშქრებას ელოდა. ამ რეაქციონერ ფეოდალებს თავრიზის ხანის შემწეობით თეიმურაზისა და ერეკლეს თავიდან მოშორება სურდათ. ამიერიდან თავადებს ეს იმედი უქრებოდა.

ამრიგად, ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ქართლ-კახეთმა უკუაგდო აზატ-ხანი, წარმატებით მოიგერია მეზობელი ხანების გაერთიანებული შემოტევა და უდავოდ ცხადყო თავისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში.

ლეკთა საკითხი კი ისევ გადაუჭრელი რჩებოდა.

### ლეკიანობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

ლეკი-აბრაგები ქართველებთან პირისპირ შებმას გაურბოდნენ. ეს გასაგებიცაა: მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადავლის შოვნა იყო. ვერც შეიარაღებით, ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართველებს ვერ უსწორდებოდნენ. ქართველებთან დიდ ბრძოლებში ისინი ჩვეულებრივ მარცხდებოდნენ ხოლმე.

მთებიდან ჩამოსვლის უმალ მტაცებლები წვრილ გუნდებად ნაწილდებოდნენ, უღრან ტყეებს, მიუვალ კლდეებსა და ვერანა ადგილებს ირჩევდნენ ხოლმე სადგურებად და ასეთი ბუნაგებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წვრილად ტაცებასა და ძარცვას ეწეოდნენ. სამოქმედოდ ისინი სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ქართველი გლეხობა ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებული სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გასულიყო. ხვნა-თესვის, მკისა თუ რთველის დროს მოედებოდნენ ეს მტაცებლები მინდვრებს და მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც კი შეიძლებოდა: ადამიანები, ოთხფეხი საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი. ამავე დროს ლეკები მიუხტებოდნენ უკაცოდ დარჩენილ სოფლებსა და თავისი ბუნაგებისაკენ მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებს, სოფლის ნახირს. ნაშოვრით

დატვირთულები, ლეკები ტყის ბილიკებითა და უგზო ველებით ბრუნდებოდნენ დაღისტანში. მიდიოდნენ ღამით, დღისით-კი მიუვალ ხევ-ხუვებსა და ტყეებში ბანაკობდნენ. ჭარ-ბელაქანს გასულნი ისინი უკვე სამშვიდობოს იყვნენ. აქ ჩვეულებრივ სტოვებდნენ ნატაცებს, როცა მას საკმაოდ არ სთვლიდნენ, და საშოვრისათვის ისევ ქართლ-კახეთს ბრუნდებოდნენ. დაღისტანში გადაყვანილ ტყვეებს უმთავრესად ყირიმელი ვაჭრები იძენდნენ.

ქართლ-კახეთში ლეკიანობა განსაკუთრებით ძლიერი იყო 1754—1760 წლებში. მთელი ქართლი ლეკთა ბრბოებით აივსო. მოსახლეობა ციხეებს იყო შეფარებული. მეურნეობა მიმქრალიყო.

გარდა წვრილ-წვრილი თარეშისა, ლეკებმა ამ ხანებში რამდენიმეჯერ მსხვილი ლაშქრობაც მოაწყვეს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლეკთა ორგზისი ლაშქრობა ხუნძახის ბატონის ნ უ რ- ს ა ლ-ბ ე გ ი ს მეთაურობით.

1754 წელს ხუნძახის ბატონი დიდი ჯარით გადმოვიდა და ქართლ-კახეთის ერთიანად აოხრებას იმუქრებოდა. კახეთის მოსახლეობა ერეკლემ სულ ციხეებში შეიყვანა და კახეთის ჯარი-კი თვითონ შემოიყარა. ქართლიც თეიმურაზმა დახიზნა.

ნურსალ-ბეგმა ძარცვა-რბევით კახეთი გამოიარა, არაგვი გადმოლახა, ქართლში შემოვიდა და მ ჭ ა დ ი ს ჯ ვ რ ი ს ციხე-გალავანს გარს შემოადგა. დაღისტნელ სარდალს იქ შეხიზნული ხალხის დატყვევება სურდა. ჯარის სიმცირის მიუხედავად ერეკლე მხნედ შეება მტერს.

სასტიკი ომი გაიმართა. ლეკთა ქვეითობამ სიმრავლით სძლია ქართველების ქვეითა ჯარს. მაგრამ ერეკლეს სიმხნემ და სამხედრო ნიჭმა იხსნა ქართველები დამარცხებისაგან. აი, როგორ ასწერს ამ ამბავს მისი ერთი მონაწილე: „რა გასჭირდა ომი, ბრძანა ბატონმა (ესე იგი, ერეკლემ) დაქვეითება ჯარისა. გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა:—„ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული სჯულისაო“.—დაიქვეითეს ქართველთა და კახთა, შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩანდა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხან აქა აძლიერებდა ჯარსა და პირდებოდა წყალობასა. შეუტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბურაკნი (ესე იგი, დიდრონი თოფები) და ზარბაზანნი, გააქცივეს ერთი დასი ჯარი ლეკისა. ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა, აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ. შეუტივეს ხმალდახმალ (ქართველებმა), დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა, ეგრე ხოცდნენ ლეკთა. თვითონ მეფემ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდა-

ჭმალ, მიყვნენ ხოცით არაგვამდის“. ეს ბრძოლა 16 აგვისტოს მოხდა.. ..წავიდა—განაგრძობს მწერალი,—ეს დამარცხებული ჯარი. გაიარა, ღახვდნენ კახნი და დაუმარცხეს. მივიდა ხუნძახის ბატონი სირცხვილეული დაღისტანში“.

ლეკთა ეს დიდი ლაშქრობა დამარცხდა, მაგრამ გამარჯვების სიხარულს ანელებდა ლეკების ბოლომოუღებელი წვრილი თარეშები.

ამ წვრილ თარეშებს 1755 წელს კვლავ დიდი ლაშქრობა მოჰყვა. ხუნძახის ბატონს მჭადისჯვართან დამარცხების სირცხვილი ვერ მოენელებინა. ქართლ-კახეთის ერთი დაკვრით წახდენის აზრი მას მოსვენებას არ აძლევდა. წინა წლის გამოცდილების გამოყენებით ის ეხლა საგანგებოდ ემზადებოდა. მისი კაცები მოედვნენ მთელ დაღისტანს და ყველას საქართველოში სალაშქროდ იწვევდნენ. ნურსალ-ბეგმა დიდძალი ლეკი შემოიყარა, დაღისტნის სხვა ბატონებიცკი გამოჰყვნენ მას. ამ დიდი ლაშქრით ხუნძახის ბატონი ყ ვ ა რ ლ ი ს თავს დადგა. აქედან მან მოციქულები გაგზავნა ჰარს, შაქს, კაკ-ენისელს, განჯას და ყველას საქართველოს წინააღმდეგ მოუწოდა. ესენიც ხალისით ეახლნენ დაღისტნელ სარდალს.

ქართველებისათვის ნურსალ-ბეგის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი არ ყოფილა. ამიტომ სათანადო ღონეც დროულად იხმარეს. მეფეებმა მთელი ქართლისა და კახეთის მოსახლეობა ოთხი თვის მარაგით განსაკუთრებით საიმედო ციხეებსა და მიუვალ ხევებში დახიზნეს. ჯარიც ქვეყნიდან ქუდზე კაცი გამოიყვანეს და თან იახლეს.

ნურსალ-ბეგმა ამჯერად საქმე კახეთიდან დაიწყო. თავისი ოცი ათასი მეომრით ის ყვარლის დიდ ციხე-გალავანს შემოადგა, სადაც გაღმა-მხრის მოსახლეობის ნაწილი იყო შეხიზნული.

ნურსალ-ბეგის ლაშქართან პირისპირ შებმა ქართველებმა შესაძლებლად ვერ დაინახეს: მტრის ჯარი რიცხვით დიდად სჭარბობდა ქართველებისას. ლეკთა დამარცხება მხოლოდ ხერხით თუ შეიძლებოდა. და ერეკლემაც ამ ძნელ საქმეს ბრწყინვალედ გაართვა თავი. ციხის დამცველებს უჭირდათ. ლეკებს გალავნის გარშემო ისეთი მაღალი საფრები შეეკრათ, რომ თოფს შიგ ციხეში ჩაისროდნენ. აუცილებელი იყო მეციხოვნეთა გამხნევება. ერეკლემ მეშველი რაზმის შეგზავნა გადასწყვიტა. ვინც ამ სავაჟკაცო საქმის მოხალისეთ გამოვიდოდა მეფე პირდებოდა—თავადსა და აზნაურს შესაფერი თანამდებობისა და მამულის წყალობას, ხოლო გლეხს—ბატონყმობისაგან განთავისუფლებას, ორ საკომლო მიწა-ადგილსა და ფულად ჯილდოს.

საგმირო საქმეზე ორას-ექვსი კაცი გამოვიდა (ექვსი თავადიშვი-

ლი, ორი აზნაურიშვილი, ერთი ხუცესი და დანარჩენი ყველა გლეხი, ამათგან ას-სამი ქიზიყელი). ვაჟკაცები ღამით გავიდნენ ქიზიყიდან, გავლეს ალაზანი, მიეპარნენ ლეკთა ყარაულებს და ხმალდახმალ გაიკაფეს გზა ციხისაკენ. მეშველმა რაზმმა თოფისწამლის დიდი მარაგი შეიტანა ციხეში. იმედმოცემულმა მეციხოვნეებმა მოახერხეს ციხის გალავნის გარშემო ლეკთა საფრების დაწვა. ნურსალ-ბეგის ლაშქარს მერყეობა დაეტყო: ციხის ჩქარა და ადვილად აღება საეჭვო ჩანდა.

ყვარლის ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნასთან ერთად ერეკლემ აარჩია გულადი და კარგი ცხენოსანი ქიზიყელები და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. ყვარლის ციხის ალყაზე მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ და სახლში წასვლა დააპირეს. ხუნძახის ბატონმა ძლივს შეიმაგრა ისინი.

მაშინ ერეკლემ უკვე მოზრდილი ლაშქარი გაგზავნა ჭარისაკენ. ყვარელს მდგომი ჭარელები ფიცხლავ წავიდნენ ქართველებთან შესაბმელად, მაგრამ ქართველები, ერეკლეს ბრძანების თანახმად, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ. ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს ასაოხრებლად ემუქრებოდა. ერეკლეს სამხედრო ხერხმა გასჭრა. ჭარელებმა გადასწყვიტეს ყვარლის ციხეს ჩამოსცლოდნენ და თავისი სახლებისათვის მიეხედნათ. ამ ნიადაგზე ჭარელებსა და ნურსალ-ბეგის ლეკებს შორის მტრობა ჩამოვარდა და ბოლოს ისინი ერთმანეთს დაერივნენ კიდევაც. ჭარელები სახლში წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის სულტანიც: ქართველი მარბიელები არც მის ქვეყანას უქადდნენ მშვიდობას.

ამის დანახვაზე ნუხის ხანმაც თავის ქვეყანას მიაშურა. ასე რომ მოალყეთა ჯარის ერთი მხარი სავსებით მოიშალა. დაღისტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. კიდევ მეტი, საჭირო ხდებოდა თავდაცვაზე ზრუნვა: გამხნევებული ქართველები, საცა იყო, შეუტევდნენ დასუსტებულ მტერს. ასეთ პირობებში დაღისტნელი სურხაი-ხანიც გამოეთიშა მოკავშირეს და შინისაკენ გზას გაუდგა. 23 სექტემბერს ნურსალ-ბეგიცა და შამხალიც მოეცალნენ ყვარლის ციხეს.

ამრიგად, ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ხუნძახელმა სარდალმა, ეხლა ისევ ძველებური ქურდ-ავაზაკობა ირჩია. დარჩენილი ლეკთა ჯარი მცირე გუნდებად დაიშალა, ტყეებსა და კლდეებს შეეფარა და აქედან ქვეყნის რბევას შეუდგა.

დიდმა საფრთხემ გაიარა, საქართველოს ერთბაშად აოხრების

გეგმა მტერს ჩაეშალა. ლეკთა ბრბოების მეთაურს, რა თქმა უნდა, იმის შესრულება არ შეეძლო, რაც თვით შაჰ-აბასმაც-კი ვერ შესძლო.

მაგრამ ლეკთა მიერ საქართველოს ერთი დაკვრით გაოხრება თუ უნიადაგო ოცნება იყო, ლეკიანობა მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას.

აპრილში 1760 წელს მეფე თეიმურაზ მეორე რუსეთს გაემგზავრა. ქართლის მეფეს რუსეთის იმპერატორისათვის გაბედული გეგმა და მნიშვნელოვანი სათხოვარი ჰქონდა მოსახსენებელი.

რუსეთის მეფეს თეიმურაზი ჯარს ან ჯარის დასაქირავებლად ფულს სესხად სთხოვდა. ამ ჯარით ქართველი მეფეები ლეკებს ალაგმავდნენ და ქართველთა საგანგებო ლაშქრით ირანში შევიდოდნენ. იქ სპარსელი დიდებულების ყრილობას მოიწვევდნენ და მას რუსეთისათვის სასურველ პირს ირანის შაჰად აარჩევინებდნენ.

ქართველების გეგმა გაბედული იყო და გონივრული. თეიმურაზი და ერეკლე ამით წინადადებას აძლევდნენ იმპერატორს, რომ ისინი ირანში რუსეთის ინტერესების გამტარებლებად გამოვიდოდნენ, ხოლო ამ საქმეში წარმატება, ფიქრობდნენ ისინი, **ირანის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების მტკიცე საწინდარი იქნებოდა.**

რუსეთში ქართველ მეფეთა წინადადებას ვერ გამოეხმაურნენ. 8 იანვარს 1762 წელს თეიმურაზი იქვე, პეტერბურგს, გარდაიცვალა.

### ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ

ამ დროს ირანში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ბრძოლა ირანის ტახტის მაძიებელთა შორის დასასრულს მიუახლოვდა. **ქერიმ-ხანზანდმა** ყველა თავისი მეტოქე დაამარცხა და 1761 წლიდან თითქმის მთელ ირანს განაგებდა.

მაგრამ ვიდრე ირანის ტახტის მაძიებელთა შორის ომი მიმდინარეობდა, ერეკლემ ერევანი და განჯა ისევ დაიმორჩილა (1760 წ.).

ერეკლე იშვიათი ოსტატობით ერკვეოდა ერთმანეთის მეტოქე ხანების ძალთა შეფასებაში და საჭირო თადარიგს ყოველთვის თავის დროზე იჭერდა. როცა ქერიმ-ხანი სხვა ხანებზე მეტად გაძლიერდა, ერეკლემ მას ერთი დიდი სამსახური გაუწია: 1760 წელს ქერიმის მიერ დამარცხებული აზატ-ხანი ერეკლეს ხელში ჩაუვარდა. მეფემ ეს ძვირფასი ტყვე, თავისი ძველი მტერი, მხარშეკრული, მის მეტოქეს გაუგზავნა.

ამ სამსახურის სამაგიეროდ ქერიმ-ხანმა იცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აგრეთვე—ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე, და ამით აღიარა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში.

ეს ფაქტი ქართველთა დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო. ამიერ-კავკასიაში ჰეგემონობის ერეკლესეული გეგმა თანდათან მკვიდრ წარმატებაში შედიოდა. ამის გამო სიხარული შესდგომოდათ არა მარტო ქართველ პატრიოტებს, რომელთაც ამ ფაქტში ძველი ძლიერი საქართველოს აღდგენა ეჩვენებოდათ. მრავალი არაქართველი (სომეხი, აისორი...) მოღვაწე ამიერ-კავკასიაში და მის მეზობელ ქვეყნებში თავისი ხალხის უკეთეს მომავალს ერეკლეს ამ პოლიტიკურ გეგმას უკავშირებდა და მზად იყო საქართველოს მეფის ხელმძღვანელობით ქართველებთან ერთად ებრძოლა ამ გეგმის განხორციელებისათვის. ასე რომ ერეკლე ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანების მოღვაწედ გამოდიოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერეკლემ, ამრიგად, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო ერეკლეს შინაპოლიტიკური მიღწევა. თეიმურაზის გარდაცვალების უმალ ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იქცა.

თავისი მიზნებისათვის ერეკლე მეფე მარტო გარეშე მტრებს კი არ ებრძოდა, კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა ჰქონდა მას თავადებთან.

თეიმურაზისა და განსაკუთრებით ერეკლეს სახელმწიფო მოღვაწეობა პროგრესულ მიზანს ემსახურებოდა. დაუღალავი ბრძოლით მათ აღადგინეს ქართველობა და მის განმტკიცება-უზრუნველყოფას ალევდნენ ძალღონეს. მაგრამ სწორედ აქ ელოდათ მათ ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომლის გადაულახავად დასახული მიზნის სავსებით მიღწევა შეუძლებელი იყო. ეს დაბრკოლება იყო სათავადოების არსებული სისტემა.

სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და თავისი მხრით ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა. ამიტომაც საქართველოს აღდგენისათვის ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „აღდგომისათვის“ ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა. ერეკლე ამ ბრძოლის თავდადებული გმირი იყო.

თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ კიდევ 1743 წელს შეუტიეს ერთერთს უძლიერეს სათავადოს. ამ დროს აჯანყებულმა არაგველებ-

მა ბეჟან არაგვის ერისთავი მოჰკლეს. თეიმურაზმა არაგველები მიიმხრო და საერისთავო თავისთვის საკუთრად დაიჭირა.

1744 წელს თეიმურაზმა ქსნისხეველებიც გადმოიბირა და ქსნის საერისთავო გივი ამილახვარს წაართვა.

ასე რომ თეიმურაზისა და ერეკლეს ბატონობა არაგვის საერისთავოს გაუქმებითა და თავადებთან ბრძოლით დაიწყო. ქართლის თავადები მტრულად უყურებდნენ თეიმურაზსა და ერეკლეს. მათ არ მოსწონდათ ამ მეფეების მოქმედება, თავადების პოლიტიკური უფლებების წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. მათ არ სურდათ ქართლ-კახეთის გაერთიანება, მეფეს რომ აძლიერებდა. თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობამ სავსებით გამოააშკარავა თავადების ბრძოლის რეაქციული ხასიათი. თავისი თავადური მიზნებისათვის ბრძოლაში ეს რეაქციონერები ერთნაირი ხალისით უკავშირდებოდნენ საქართველოს ყველა მტერს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, ლეკებს თუ სხვებს.

1747—1748 წლებში ქართლის რეაქციონერი თავადების სამეფო კანდიდატი მაჰმადიანი ა ბ დ უ ლ ა-ბ ე გ ი ე ს ე ს ძ ე იყო. მწვავე ბრძოლა ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა. 1751—1756 წლებში თავადების სასოება აზატ-ხანი იყო. აზატ-ხანს შეხიზნოდნენ აბდულა-ბეგის შვილები, რომელნიც „ქართლის შოვნას“ საქართველოს ამ მოსისხარი მტრის დახმარებით ცდილობდნენ. ამავე ხანებში ქართლის თავადებს თეიმურაზისა და ერეკლეს მოწინააღმდეგე ფალავნები რუსეთშიაც ეგულებოდათ. იქ ხომ ქართლის სამეფო ტახტის „ნამდვილი მემკვიდრეები“, ბაქარის ძმა და შვილები, იხიდნენ; ისინი ქართლში გაბატონებაზე ოცნებობდნენ და თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობას, რაც გაეწყობოდათ, ხელს უშლიდნენ.

1760-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქართლის თავადებს გარედან დახმარების იმედები თითქმის გადაეწურათ: ქერიმხანი ერეკლეს მეგობრობდა, რუსეთიდან დახმარების მოლოდინი აღარ იყო, ოსმალეთიც ეხლა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის საქმეებში აღარ ერეოდა, ხოლო ახლობელი ხანები ერეკლეს ან ემორჩილებოდნენ, ან უსმენდნენ და მის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავდნენ.

ამ ახალ პირობებში რეაქციონერ თავადებსაც ბრძოლის ხერხი უნდა შეეცვალათ. რაკი გარედან შველის იმედი გადაუწყდათ, შინაური მტრები შეთქმულება-ტერორის გზას დაადგნენ, მათ მეფისა და მთელი მისი ოჯახის გაწყვეტა განიზრახეს. ამ საქმეს თავისი ხელმძღვანელი გამოუჩნდა. ეს იყო პ ა ა ტ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ვახ-

ტანგ მეფის უკანონო შვილი. მალე პაატა ბატონიშვილის სადგომი, ვინმე მარკოზაშვილის დარბაზი, შეთქმულების ბუდედ იქცა. 1765 წელს, როცა შეთქმულები უკვე მზად იყვნენ განაზრახის სისრულეში მოსაყვანად, საქმე გასცა სამშვილდელმა გლეხმა დ ა თ უ ნ ა ფ ე ი ქ ა რ მ ა.

მეფემ სწრაფად დააპერინა შეთქმულების მეთაურები. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადოებრივი აზრი. მან იცოდა, რომ შეთქმულებს სხვა მომხრეებიც ჰყავდათ. მეფემ დ ა რ ბ ა ზ ი ს ს ხ დ ო მ ა მოიწვია, საქმე გასარჩევად მას გადასცა და თვითონ-კი მოჩივარის როლში გამოვიდა. დარბაზმა საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვა და მეფეს ნასისხლად მისცა, შეთქმულების მეთაურები-კი კანონის თანახმად დასაჯეს.

ამ გამარჯვების შემდეგ მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები" ფიზიკურ დამარცხებასთან ერთად მორალურადაც დამარცხდნენ. რა თქმა უნდა, რეაქციონერები ამით არ გამქრალან და მათ არც მეფის წინააღმდეგ მოქმედება შეუნელებიათ. მაგრამ შექმნილი პირობების შესაფერისად მათ ბრძოლის ხერხი შესცვალეს და ამის შემდეგ მეფის წინააღმდეგ ტერორი აღარ უცდიათ.

ქვეყნის გაერთიანებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერების გზაზე ერეკლეს ამ დროს სხვა წარმატებებიც ჰქონდა. 1755 წელს მან ყ ა ზ ა ხ შ ი ხ ა ნ ო ბ ა გ ა ა უ ქ მ ა და ეს ქვეყანა სამოურავოდ აქცია. 1765 წლისათვის კი ბ ო რ ჩ ა ლ ო-ბ ა ი დ ა რ ს ა ც მეფის მოურავები განაგებდნენ.

## ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა

გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებათა მიუხედავად ერეკლე მეფე კარგად ხედავდა, რომ საქართველო ჯერ კიდევ სამშვიდობოს არ იყო გასული, რომ ქვეყნის თავისუფალი მომავალი ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ იყო. მტრები მოყვრებად არ იყვნენ გადაქცეულნი, ისინი მხოლოდ მიყუჩებული იყვნენ და ხელსაყრელი ტაროსის მოლოდინში შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ. აუცილებელი იყო ქვეყნის ყოველმხრივი განმტკიცება, რომ მოსალოდნელი განსაცდელი საბედისწერო არ გამხდარიყო.

მაგრამ ქვეყნის განმტკიცება, მისი ეკონომიური და სახელმწიფოებრივი გაძლიერება გლეხთა საკითხის მოგვარების გარეშე შეუძლებელი იყო.

გვიანფეოდალურ საქართველოში გლეხთა საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მებატონე არ სცნობდა ყმა-გლეხის რაიმე უფლებას და როგორც ყმას, ისე მის ნაჭირნახულევსაც თავის სრულ საკუთრებად სთვლიდა.

ბატონისა და ყმის ურთიერთობას მწვავე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი ჰქონდა. ნებითა და სიამტკბილობით ქართველი გლეხი თავის მებატონეს არაფერს უთმობდა. გლეხები თავგამოდებით ებრძოდნენ ბატონების უსამართლობას, ჩიოდნენ მეფესთან და მისგან „განკითხვას" ითხოვდნენ, ეურჩებოდნენ უმართებულო ბეგარას და იარაღით იცავდნენ თავის უფლებებს, ხოცავდნენ გამხეცებულ მებატონეებს, სტოვებდნენ გაუმაძღარ მძარცველებს, აბრაგად დადიოდნენ ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ყაზახობდნენ", სხვაგან გარბოდნენ. აყრა-გაქცევა გლეხთა ბრძოლის მეტად ფართოდ გავრცელებული სახე იყო, მაგრამ აყრა საქართველოს ინტენსიურ მეურნეობასთან სრულიად შეუთავსებელი იყო. აყრა გლეხის ეკონომიურ განადგურებას ნიშნავდა. აყრილი გლეხი, ანასაყრელად მზადმყოფი ინტენსიურ მეურნეობას (ესე იგი, მიწის გაპატივებასა და მრავალწლიან კულტურებს—მებაღეობას, მევენახეობას, აგრეთვე მეაბრეშუმეობას და სხვ.) ხელს ვერ მოკიდებდა. მისი ხვედრი ღარიბობა და ბოგანოობა იყო. აყრილთა, ხიზანთა და ბოგანოთა სიმრავლე ცხადად მოწმობდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრების სიდუხჭირეს.

ასეთ პირობებში მყოფი გლეხობა მტრების წინააღმდეგ ძველებური მხნეობით ვერ იბრძოდა. ღატაკს, დაბეჩავებულს, ნახევრად უიარაღოს, მას თავდაცვის მცირე უნარი შესწევდა, ხოლო მძარცველი მებატონისა და მისი ქონების დაცვის ხალისი გლეხს არ ჰქონდა. ქართველ გლეხს რომ უცხოელ მტრებთან ბრძოლის უნარი დაბრუნებოდა. მას უნდა დაბრუნებოდა ბატონების მიერ მიტაცებული უფლებები, რომელნიც ყმას მონისაგან განასხვავებდნენ.

ქვეყანა ძალზე დაზარალებული იყო და გლეხთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებული. ისინი გასწყვიტეს ან დაატყვევეს ყიზილბაშებმა, ოსმალებმა, ლეკებმა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ისინი აუტანელმა ბატონყმურმა პირობებმა გადააშენა.

ერეკლეს კარგად ესმოდა ეს გარემოება. იგი ხედავდა, რომ გლეხები მხოლოდ ლეკიანობამ კი არა, არამედ კიდევ უფრო „უსამართლობამ გარეკა საქართველოდან", როგორც თვითონ გლეხები ჩიოდნენ, და მეფეც მთელი რიგი ღონისძიებით ცდილობდა გლეხო-

ბის გადარჩენას, რადგანაც კარგად ამჩნევდა, რომ საქართველოს დაძაბუნების უმთავრესი მიზეზი „გლეხი-კაცის ამოწყვეტა“ იყო.

ერეკლეს საგლეხო კანონები მიზნად ისახავდა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ კანონებით გლეხს უნდა დაბრუნებოდა უფლებები, რომლებიც მათ მებატონეებთან ბრძოლაში დიდი ხანია დაკარგეს. მონის მდგომარეობიდან, რომელშიაც გლეხი მოქცეულიყო, ის ისევ „ნახევრად-თავისუფალი ადამიანის“ მდგომარეობას უნდა დაბრუნებოდა.

ერეკლე მეფე ენერგიულად ერეოდა ბატონისა და ყმის დამოკიდებულებაში. იგი როგორც ბატონისაგან, ისე გლეხისაგან სასტიკად მოითხოვდა „ბატონ-ყმობის რიგის“ დაცვას, ესე იგი ძველადვე შემუშავებულ საბატონყმო უფლება-მოვალეობათა შესრულებას. ერეკლე ამ საქმეში მებატონეებისადმი დათმობას არ აპირებდა. „რომელიც ამათი დებულება არ არის და არა სდებიათ, იმის გარდა თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამათ ჩვენთან გიჩივლესთ, იცოდეთ რომ გიწყენთ“-ო. ასე აფრთხილებდა ერეკლე მებატონეს, რომლის გლეხებიც მეფესთან ჩიოდნენ „არა სამართლიანის საქმით“ ბატონის მიერ თავის შევიწროებას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ჩანს ერეკლეს ბრძანება თავადისადმი: „თუ რომ თქვენი მამულიდან მემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ, დიდ ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთ“-ო. ასეთი ბრძანებით მეფე გლეხთა მოსახლეობისათვის პასუხისმგებლობას ბატონს აკისრებდა. მკვიდრი ყმების აყრა-გაქცევის უმთავრესი მიზეზი-კი ბატონების მიერ ყმათა უსაზღვრო ჩაგვრა იყო. სახელმწიფო ავალებდა ბატონს მკვიდრი ყმების უკლებლად დაცვას. ბატონი-კი ამას მხოლოდ მაშინ შესძლებდა, თუ ყმისაგან „მეტს არ მოინდომებდა“, თუ ყმას „უდებს არ დასდებდა“, და, თუ „ძალასა და უსამართლოს“ არ უზამდა და იმას დასჯერდებოდა, რაც „დებულება იყო“, ესე იგი თუ თავის მძარცველურ მადას საზღვარს დაუდებდა.

ამავე ხანებში ერეკლემ აუკრძალა მებატონეებს გლეხკაცის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. გამოიცა აგრეთვე კანონი, რომლის თანახმად უცხოეთს ტყვეობიდან თავისი ნებითა და გარჯით შინ დაბრუნებული გლეხი თავისუფლდებოდა ძველი მებატონის ყმობისაგან.

დასასრულ, აღსანიშნავია ერეკლეს დამოკიდებულება ხ ი ზ ნ ე ბ ი ს ა დ მ ი. მეფე ენერგიულად ცდილობდა დაეცვა ისინი მასპინძელ-მებატონეთა ძალმომრეობა-ჩაგვრისაგან.

აღნიშნული ღონისძიებებით ერეკლე ბატონყმობის გაუქმებას მიზნად არ ისახავდა. მეფის მიზანი ბატონყმური დამოკიდებულების მოწესრიგება იყო, რომ ქვეყანას განვითარება-გაძლიერების უნარი დაბრუნებოდა.

მოკლედ, ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა მიმართული იყო აყრილ-დაკარგულთა, ხიზან-ბოგანოთა რიცხვის შემცირებისაკენ და სამ-შობლოს დამცველ მემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ, „გამომღებ" მი-წის მუშათა გამრავლებისაკენ.

გასაგებია, რომ ერეკლეს ასეთი საგლეხო პოლიტიკა თავადების გულისწყრომასა და წინააღმდეგობას ზრდიდა.

სამაგიეროდ ერეკლე უყვარდა ხალხის ფართო ფენებს, განსა-კუთრებით, გლეხობას, რომელიც თავადების წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს თავის მფარველ-მოჭირნახულედ სთვლიდა.

## დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნეში

დასავლეთ საქართველოშიXVIII საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური არეულობა შეუნელებლად გრძელდებოდა. სათავადო-ების სისტემა აქ შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ხელისუფლე-ბა უკიდურესად დაცემულიყო. სამეფო-სახასო ქვეყნები, ციხე-სი-მაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცნათ. ძლიერდებოდა ოს-მალთა გავლენა იმერეთში.

1723 წელს ოსმალებმა ფოთი დაიპყრეს, აქ ფაშა დასვეს და ის ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს, შემუსრეს ძველი რუ-ხის ციხე და ანაკრიის ციხე ააშენეს. ოსმალთა ხელში იყო ამავე დროს ბათომი, ციხისძირი, სოხუმი.

მტრის ასეთი გაძლიერება მეტისმეტად სახიფათო იყო. ოსმალ-თა ხელში ეს ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ცი-ხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ.

1752 წელს იმერეთში ახალგაზრდა სოლომონ ალექ-სანდრეს ძე გამეფდა. ამ დროს იმერეთში უძლიერესი თავა-დები იყვნენ ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი. ხსენებული თავადები მთავრობას იჩემებდნენ, აბაშიძე—არგვეთისას, ერისთავი—რაჭისას, და ამ ნიადაგზე მათ სასტიკი მტრობა ჰქონდათ სოლომონის მამასთან—მეფე ალექსანდრესთან. ახალგაზრდა სოლომონი მამის ნაკვალევს გაჰყვა და ამ თავადების დამორჩილებას ცდილობდა. სა-

ერთოდ, სოლომონს ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონდა: მ ტ კ ი ც ე ს ა მ ე ფ ო ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს შ ე ქ მ ნ ა, დ ა ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა და ო ს მ ა ლ თ ა ბ ა- ტ ო ნ ო ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა. ამ მხრით სოლომონის მოღვაწეობა ერეკლესას ჰგავდა.

სოლომონის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. სამეფო ქონება დიდიხანია თავადებს მიეტაცნათ და წვრილი ფეოდალებიც ძლიერი თავადების გავლენის ქვეშ იყვნენ. საჭირო იყო ფრთხილი და მოხერხებული მოქმედებით ძალების თანდათანი შემოკრება. თავისი მოღვაწეობა მეფემ მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ო ბ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს ა და ტ ყ ვ ი ს-ს ყ ი დ ვ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ი თ დ ა ი წ- ყ ო. ორივე უაღრესად მტკივნეული საკითხი იყო, და იმერეთის ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს აღნიშნულ მოვლენებთან პრძოლა საჭირო საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საკითხების გარშემო ძალების გაერთიანება ყველაზე უფრო იყო შესაძლებელი. მეფემ თავის მოღვაწეობას ამით მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა: ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს მ ე თ ა უ რ ა დ გ ა- მ ო დ ი ო დ ა.

მეფემ წვრილი თავადები თანდათან შემოიკრიბა. ამავე დროს სოლომონმა მოხერხებულად შემოირიგა უძლიერესი ფეოდალები— ო ტ ი ა დ ა დ ი ა ნ ი და მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი. ამით მეფემ მტერი გაიმარტოვა: ერისთავსა და აბაშიძეს ძლიერი მომხრეები შემოაცალა.

მეფე-მთავრების ეს შეთანხმება ოსმალეთს არ ესიამოვნა. მისთვის განსაკუთრებით უსიამოვნო იყო მეფისა და მისი მომხრეების ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. თანდათან სოლომონმა თავის სამეფოში თითქმის სავსებით მოსპო ეს საშინელი სოციალური სენი. ახალციხის ფაშამ არაერთგზის შემოუთვალა მეფეს, რათა ტყვისსყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და ტყვის-სყიდვა საერო და საეკლესიო სასჯელით სასტიკად აკრძალა.

მაშინ ოსმალეთის ხონთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა. ლევან აბაშიძესა და როსტომ ერისთავს თავისი დრო დაუდგათ. აბაშიძე ახალციხეს გაჩნდა და მტერს სოლომონისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ იმერეთზე წამოუძღვა. მეფეს დადიანისა და გურიელის ჯარები მოეშველნენ.

დეკემბერში 1757 წელს ოსმალთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. ქვეყნის მოღალატეები თავისი რაზმებით მტერს მიუვიდნენ.

ახალგაზრდა სოლომონი შესანიშნავი სარდალი და ყოვლად უშიში მეომარი აღმოჩნდა. მან ადვილად შეიტყუა თავის სიმრავლეს მინდობილი ოსმალები მოხერხებულ ადგილას, ოკრიბაში, ხ რ ე ს ი ლ ი ს მიდამოებში, და ისე გაბედულად დაესხა მტერს თავს, რომ სულ ერთიანად მოშალა იგი. ოსმალთა სარდლები დაატყვევეს, ან დახოცეს. მათი ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა, მრავალიც ტყვედ იგდეს ხელში. ამ ომში მოკლულ იქნა ლევან აბაშიძე, ხოლო როსტომ რაჭის ერისთავმა და ოსმალთა ჯარის მცირე ნაშთმა თავს გაქცევით უშველეს.

მეფემ აბაშიძის სათავადო საბოლოოდ დაიმორჩილა, ამ სათავადოდან თვითონ ლევან აბაშიძის წილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, სხვა აბაშიძეები-კი ფიცით შემოიმტკიცა და საბაშიოს ნაწილი მათ წყალობად მისცა. ასევე ჩამოართვა მეფემ ყმა-მამული სხვა დამნაშავე ფეოდალებსაც. როსტომ ერისთავი ამ ჯერობაზე დაუსჯელი გადარჩა: ფეოდალებმა შემოარიგეს სოლომონს ეს ძლიერი თავადი, რომელმაც მეფეს ერთგულება შეჰფიცა.

ამრიგად, ხრესილის ომის შედეგად მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი ავტორიტეტიც დიდად გაიზარდა.

1758 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ერთმანეთთან სამხედრო კავშირი დადეს: „რ ო მ ე ლ ს ა ც ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი მ ტ ე რ ი შ ე მ ო ვ ი დ ე ს ო, ე რ თ მ ა ნ ე თ ს მ ი ვ ე შ ვ ე ლ ნ ე თ ო". ე ს კ ა ვ შ ი რ ი ე რ ე კ ლ ე ს ა და ს ო ლ ო მ ო ნ ს შ ო რ ი ს 1770 წ ლ ა მ დ ე ა რ დ ა რ ღ ვ ე უ ლ ა.

ოსმალეთს ხრესილთან დამარცხება ვერ მოენელებინა და იმერეთის მეფის დამორჩილებას დაჟინებით ცდილობდა. 1758 წელს სოლომონ მეფისა და ოსმალთა ჯარებს შორის ომი ორჯერ მოხდა. პირველად ოსმალებმა გაიმარჯვეს, მეორედ-კი ისინი სასტიკად დამარცხდნენ. სოლომონ მეფის სახელი და გავლენა ამით დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა.

მეფემ ისარგებლა ამ გამარჯვებით და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და იმერეთის გაერთიანების გზით ახალი ნაბიჯები გადადგა. 1759 წელს, დეკემბერში, სოლომონმა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება მოიწვია. ეს კრება მთელი თვე გაგრძელდა და მან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. მსჯელობის საგანი მთელი დასავლეთ საქართველოს ს ა ე რ თ ო საკითხები იყო.

ამ კრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილება იყო ტყვის-სყიდვის აკრძალვა დასავლეთ საქართველოში.

1759 წლის კრებაზე სოლომონ მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს ს ა ე რ თ ო საქმეებში ხ ე ლ მ წ ი ფ ე დ გამოდიოდა, ხოლო მთავრები (დადიანი, გურიელი) და თავადები მისი „მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელნი“ იყვნენ. ეს მოვლენა სოლომონ მეფისა და იმდროინდელი ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დიდი გამარჯვება იყო.

მთავრები და, კიდევ უფრო, იმერეთის თავადები, გასაგებია, შიშნარევი ეჭვით უცქეროდნენ მეფის ასეთ გაძლიერებას. განსაკუთრებით მოუსვენრად იყო როსტომ რაჭის ერისთავი. მას ამის საბუთიც ჰქონდა. აბაშიძის სახლის დამდაბლების შემდეგ ჯერი ერისთავზე იყო მიმდგარი. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ ერისთავის წინააღმდეგ რაჭაში მეფემ ერისთავის მოქიშპე წ უ ლ უ კ ი ძ ე ე ბ ი დაიახლოვა. ამავე დროს დამდაბლებულ აბაშიძეთა ადგილზე სოლომონმა წ ე რ ე თ ლ ი ს სახლი წამოსწია.

1763—1768 წლებში იმერეთის ხალხი სოლომონ მეფის მეთაურობით გმირულად ებრძოდა ოსმალო დამპყრობელებს და მათ დამხმარე თავადებს. სოლომონმა არა ერთგზის დაამარცხა ოსმალთა რაზმები, არა ერთი ორგული თავადი დასაჯა. შეუდრეკელი ბრძოლით იმერეთის ხალხმა აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობის განზრახვაზე. მტერმა მეფესთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. სოლომონმა კარგად იცოდა მტრის ვერაგობა და მასთან ზავის სიმტკიცე არა სწამდა. მეფე შემდგომი ბრძოლისათვის ემზადებოდა და ძლიერ მოკავშირეს ეძებდა.

იმერეთში კარგად იცოდნენ რუსეთ-ოსმალეთის ძველიდანვე მტრობის ამბავი და სოლომონ მეფეც თავის გეგმას ამაზე აგებდა. 23 ივნისს 1768 წელს სოლომონმა საგანგებო ელჩი, მ ა ქ ს ი მ ე ქ უ თ ა თ ე ლ ი, გაგზავნა რუსეთს. სოლომონი რუსთ ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა, სამაგიეროდ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დახმარებას აღუთქვამდა.

## რუსეთ-ოსმალეთის ომი 1768 — 1774 წლებში და საქართველო

სწორედ ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო, ორივე მხარე მტრის ქვეყანაში ან მის მეზობლად მყოფი მცირე ხალხების ამხედრებას ლამობდა, დაჩაგრულებს უსჯულო მტარვალების ხელიდან გამოხსნას პირდებოდა და აჯანყება-ომისაკენ მოუწოდებდა. რუსეთი ბალკანეთისა და ამიერ-კავკასიის ქრისტიანი ხალხების მიმხრობას

ცდილობდა, ოსმალეთი—ყირიმისა და კავკასიის მაჰმადიანებისას.

რაც შეეხება საქართველოს, სოლომონიცა და ერეკლეც მზად იყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაეწყოთ. მაგრამ ამისათვის მათ აუცილებლად მიაჩნდათ რუსეთიდან ჯარითა და ფულით დახმარების მიღება.

ქართველები ამ საქმეში სრულიად გარკვეული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. სოლომონს რუსეთის ჯარი თავისი საშინაო და საგარეო გაძლიერებისათვის უნდოდა. რუსთა ძალის შემწეობით მეფე თავადებსა და მთავრებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქვეყნებს დაიბრუნებდა და დამპყრობელებს იმერეთიდან საბოლოოდ გააძევებდა.

ასეთივე დიდი საკითხების გადაჭრას ფიქრობდა ერეკლეც ამ ახალი ძალის დახმარებით.

რუსეთის დახმარებით ერეკლე ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ჭარ-ბელაქნის დაპყრობასა და ქართლ-კახეთში „ლეკიანობის" მოსპობას აპირებდა. ამას გარდა, რაკი საქართველო ამიერიდან რუსეთთან კავშირში იქნებოდა, ეს ოსმალეთისა და ირანის თავდასხმებისაგან დაიცავდა მას მომავალში.

რუსეთის ჯარის ამიერ-კავკასიაში შემოსვლა ერეკლესა და მის თანაგამზრახთ ახალ ხანად ეჩვენებოდათ.

რუსეთის მიზანი კი იყო: ოსმალთა წინააღმდეგ ომით ქართველებს მტრის დიდი ძალები უნდა დაებანდებინათ, რომ ამით ომის მთავარ ფრონტზე, მტერს ხელი შეშლოდა.

1769 წელს ზაფხულის გასულს რუსთა ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით საქართველოში შემოვიდა.

ტოტლებენი ზნედაცემული კაცი იყო. დიდი საქმისათვის საჭირო მას არც ხალისი გააჩნდა, არც ნიჭი. პირადი გამდიდრება-განდიდება იყო მისი მთავარი საზრუნავი.

საქართველოს მეფეებს ეს გენერალი იმთავითვე ვერ შეეგუა. ტოტლებენს განსაკუთრებით ის არ მოსწონდა, რომ ერეკლესა და სოლომონს საკუთარი მიზნები ჰქონდათ. საქართველოს ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას ის საჭიროდ არ სთვლიდა და ერეკლე-სოლომონის მხრით უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

ერეკლე და სოლომონი-კი ასეთი მორჩილების მოსურნენი არ აღმოჩნდნენ. ამიტომ ტოტლებენმა წყალობის თვალით შეხედა სოლომონ მეფისა და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების მტრებს—დადიანსა და გურიელს. ერეკლეს წინააღმდეგაც გენერალმა ქართლის რეაქციონერი თავადები დაიახლოვა—დავით ქსნის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბელი, ამირეჯიბი და სხვები.

მარტში 1770 წელს ერეკლე და ტოტლებენი ახალციხის საფაშოზე სალაშქროდ გაემართნენ. აპრილის შუა რიცხვებში რუს-ქართველთა ჯარი აწყურის ციხეს შემოადგა. მაგრამ ის იყო ომი გაჩაღდა, რომ ტოტლებენი თავისი ჯარით უეცრად უკან გაბრუნდა.

ტოტლებენის საქციელმა ქართველთა ჯარში აღშფოთება, არევდარევა და შიში გამოიწვია. მტერმა რაკი ეს შეამჩნია, გული მოიცა, ციხიდან გამოვიდა და ქართველებს თავს დაესხა. ერეკლემ ჯარის რჩეული ნაწილი შეახვედრა მტერს და დაზარალებული ისევ ციხეში შერეკა. მეორე დღეს ერეკლე თავისი ჯარით ასპინძის მიმართულებით წავიდა. ასპინძას მისულს მას ახალქალაქიდან წამოსული 1500 ოსმალო შემოეყარა. რჩეულ მხედართა რაზმით ერეკლე ფიცხლავ ეკვეთა მტერს, დაამარცხა ის და უკუაქცია. ამის შემდეგ ნახევარი საათი არ გასულიყო, რომ ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი ლეკოსმალთა რჩეული მხედრობა გამოჩნდა ახალციხის მხრიდან. ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და ოსმალთა ჯარი სასტიკად დამარცხდა. თურქებიდან მხოლოდ რამდენიმე ათეულმა კაცმა უშველა თავს გაქცევით. მტერმა სამი ათასამდე მოკლული დაკარგა. სხვები მტკვარში დაიხრჩვნენ ან ტყვედ ჩავარდნენ. ქართველთა ზარალი ფრიად უმნიშვნელო იყო. ეს მოხდა 1770 წლის 20 აპრილს.

ერეკლემ ამ დიდი გამარჯვებით ვერ ისარგებლა. მას დიდად აფიქრებდა ტოტლებენის აწყურიდან წასვლა და ქართლის საქმეები. 29 აპრილს მეფე სასწრაფოდ თბილისს დაბრუნდა.

ტოტლებენი ანანურს მისულიყო და აქ რუსეთიდან ახალ ჯარს ელოდა.

ერეკლესა და ტოტლებენს შორის დამოკიდებულება სავსებით გაფუჭდა. **გენერალს მეფის ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს დაპყრობა დიდიხანია გადაწყვეტილი ჰქონდა. ეხლა როცა აწყურიდან წასვლით ვერაფერს მიაღწია, მან ქართლის დაპყრობის საკითხი რუსთა კორპუსის სამხედრო საბჭოში დასვა და დასტურიც მიიღო.** ამ საქმეში ტოტლებენის ერთგული მოკავშირე იყვნენ ქართლის რე-

აქციონერი თავადებიც. გენერალმა საქმე დაიწყო: ციხე-ქალაქების დაჭერასა და ხალხის რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა.

მაგრამ ერეკლეს საპასუხო ენერგიულმა მოქმედებამ ტოტლებენი შეაშინა და განზრახვაზე ხელი აალებინა.

ტოტლებენმა მიიღო დამხმარე ძალები და ეხლა იმერეთს წავიდა. ამასობაში სოლომონ მეფეს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებიდან ოსმალები გაერეკა. ქუთაისის ქალაქიც დაეპყრო და ციხეც შეეხუთა. 2 ივლისს ტოტლებენმა ბაღდადის პატარა ციხე წაართვა ოსმალებს. ამის შემდეგ რუს-იმერელთ ჯარმა ქუთაისის ციხეც აიღო 6 აგვისტოს.

მაგრამ ტოტლებენს ვერც სოლომონი გაუწყო და ჩქარა მათ შორის აშკარა უკმაყოფილება ჩამოვარდა.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ტოტლებენი უკვე ფოთს შემოადგა. გენერალმა განაზრახი ვერ შეასრულა და ციხე ვერ აიღო, ის ძლიერ გამაგრებული აღმოჩნდა. მოკავშირე მთავრებიც—დადიანი, გურიელი. შარვაშიძე—მეტად საეჭვოდ მოქმედებდნენ.

6 თებერვალს ტოტლებენი მოეხსნა ფოთს და ხელცარიელი უკან გაბრუნდა.

ეხლა რუსეთის სამეფო კარიც დარწმუნდა. რომ საქართველოში „ტოტლებენი რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს". უვარგისი გენერალი გამოსცვალეს და მის მაგიერ **სუხოტინი** დანიშნეს.

მაგრამ ვერც სუხოტინმა ისახელა თავი, ის არც თვითონ იცნობდა ადგილობრივ პირობებს, არც სხვებისა სჯეროდა. შუა ზაფხულში სუხოტინმა ფოთს ლაშქრობა დაიწყო.

ფოთის ჰავამ უჩვევი ხალხი დასცადა: სუხოტინს რვაასამდე კაცი ციებ-ცხელებისაგან დაეხოცა. დანარჩენთა დიდი უმრავლესობა ავადმყოფობისაგან ფეხზე ძლივს იდგა. ოქტომბერში სუხოტინმა ფოთს ალყა მოხსნა.

რუსეთის ლაშქრის ორი წლის მოქმედებამ ერეკლეს სარგებლობა ვერ მოუტანა. ყველა ის დიდი მიზანი, რომელთა მიღწევასაც ერეკლე ამ ომის საშუალებით ლამობდა, მიუღწეველი რჩებოდა. კიდევ უარესი: ერევნის ხანი გამდგარიყო და ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო, ქერიმ-ხანიც გაუავგულდა რუსეთის მხარეზე გადასულ ერეკლეს და ახლო მეზობელი ხანებიც ეჭვის თვალით უცქეროდნენ მას. ლეკები კიდევ უფრო აიშალნენ: ეხლა მათ ოსმალეთი შველოდა. არ ისვენებდნენ შინაური მტრებიც. რეაქციონერი თავა-

დების იმედი ეხლა ალექსანდრე ბატონიშვილი იყო ბაქარის ძე, რომელიც რუსეთიდან წამოსულიყო, ქერიმ-ხანს შეხიზნოდა და მისი დახმარებით აპირებდა ერეკლეს ქართლიდან განდევნას.

ამავე დროს მოკავშირე რუსეთის მთავრობა საქართველოს აღდგენისა და გაძლიერების საქმისადმი გულგრილობას იჩენდა, ხოლო რუსთა ლაშქრის სარდლები ერეკლეს შინაურ მტრებს უფრო ეწყობოდნენ, ვიდრე მას. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის საკითხი დგებოდა. საჭირო იყო აქტიური მოკავშირე, მაგრამ სამშობლოს მომავლისათვის მებრძოლი ქართველობა ირან-ოსმალეთს ვერ აირჩევდა: საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის" იდეა ამ მოძალადეების წინააღმდეგ საუკუნოვანი უმაგალითო ბრძოლის იდეა იყო. და ერეკლემ თავის თანამზრახვებთან თათბირის შემდეგ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთი რომ საქართველოს აღდგენა-გაძლიერების საქმეში დაეინტერესებინა, ერეკლემ რუსეთის მთავრობას საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა შესთავაზა.

1772 წლის მაისში რუსის ჯარი საქართველოდან უკან გაიწვიეს. ერეკლესაც მის წინადადებაზე უარი შემოუთვალეს. პეტერბურგში ანგარიშს უწევდნენ იმ გარემოებას, რომ ქართლ-კახეთზე რუსეთის მფარველობის გამოცხადება ოსმალეთთან ერთად ირანსაც აამოძრავებდა რუსეთის წინააღმდეგ.

ოსმალეთმა ისარგებლა რუსთა ჯარის წასვლით და იმერეთის ძველებურადვე დაპყრობა სცადა. 1774 წლის იანვარში 4000 კაცისაგან შემდგარი ოსმალთა ჯარი იმერეთს შემოესია. ამავე დროს ფაშამ სოლომონის წინააღმდეგ დადიანსა და აფხაზთა მთავარს მოუწოდა. ორივე მხრიდან ერთდროულად უნდა დაეკრათ იმერეთისათვის. სოლომონ მეფემ მოკავშირე ერეკლეს შველა სთხოვა. ერეკლემ მოციქულები გაუგზავნა დადიანს და სოლომონის წინააღმდეგ გამოსვლაზე ხელი აალებინა. ამით იმერეთის მეფეს ხელი გაეხსნა და მან მთელი ძალა ოსმალების წინააღმდეგ მიმართა. ამავე დროს ერეკლემ მოკავშირის დასახმარებლად ჯარი შემოიყარა.

მტერი მიხვდა, რომ ხიფათში გაება, და სასწრაფოდ უკან დაბრუნება იწყო. სოლომონმა მტერს განზრახვა შეუტყო და ჩხერის ვიწროებში რჩეულ მეთოფეთა რაზმი ჩაუსაფრა. 6 თებერვალს გათენებისას მტერი ვიწროებს მიადგა, მაგრამ იმერელ მეთოფეთა ძლი-

ერმა ცეცხლმა მას გზა მოუჭრა. გაჭირვებულ მტერს სწორედ ამ დროს სოლომონ მეფემ ზურგიდან ხმლით ისე მხნედ დაჰკრა, რომ თურქების წინააღმდეგობა ერთბაშად გატეხა. 1000 მოკლული და 600 ტყვე ლეკ-ოსმალო ადგილზე დარჩა. რაც აქ დააკლდათ თავდამსხმელებს, ის იმერელმა მდევრებმა შეუთავეს: 1400 კაცი ჩხერიდან ვახანამდე დაკარგა გაქცეულმა მტერმა. ძლივს 700 კაცმა მიაღწია ახალციხეს და ფაშას საზარელი ამბავი მიუტანა.

10 ივლისს 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო ქუჩუკ-კაინარჯიში. საზავო ხელშეკრულების მე-23 მუხლი საქართველოს შეეხებოდა: რუსეთის მთავრობა ამ მუხლით დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის უფლებას სცნობდა იმ პირობით, რომ ოსმალეთი უარს ამბობდა იმერეთის ხარკზე.

1768—1774 წლის ომმა სოლომონს თვალსაჩინო წარმატება არგუნა. ოსმალებმა ვერ გამოიყენეს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ეს მუხლი: სოლომონ მეფე ვერ დაიმორჩილეს, ვერც იმერეთის ციხეები დაიჭირეს. მეფემ სავსებით მოსპო ტყვეთა სყიდვა, მტკიცე ხელით ალაგმა თავადების ალვირახსნილობა. როსტომ რაჭის ერისთავი სოლომონმა ჯერ კიდევ 1768 წელს იგდო ხელთ, დასაჯა იგი და საერისთაოც საკუთრად დაიჭირა. მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა დასჩემდათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა დ სწრაფად მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა.

იმ მარცხს, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩარევამ მოუტანა ქართლ-კახეთს, ერეკლეს ენერგია არ მოუდუნებია. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე მეფე დიდი მხნეობით მოღვაწეობდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

## მორიგი ჯარი

საქართველოში აქამდისაც კარგად იცოდნენ, ხოლო 1769—1771 წლებში რუსთა ჯარის გაცნობით კიდევ უფრო დარწმუნდნენ ფეოდალური ლაშქრის ჩამორჩენილობაში და „რეგულის“, ესე იგი, მოსახლეობიდან გაწვეული მუდმივი ჯარის უპირატესობაში. მაგრამ ქართველი მოღვაწეები იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ იმ დროის საქართველოში ასეთი ჯარის მოწყობა შეუძლებელი იყო. არც მეფეს გააჩნდა ასეთი ლაშქრის იარაღ-სანოვაგითა და ტანისამოსით მომარაგების საშუალება და არც თავადები მისცემდნენ მეფეს თავის ყმებს ასეთი ლაშქრისათვის.

1773 წლის მიწურულში ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია. მსჯელობა შეეხებოდა ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც ლეკთა ქურდულ თავდასხმებს საბოლოოდ მოსპობდა და ქართველ გლეხკაცობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. დარბაზმა შეიმუშავა „მორიგის ლაშქრობის განაჩენი", რომელიც მან „ყველასაგან უკეთესად და უმჯობესად გამოარჩია", როგორც ეს თვით ამ განაჩენშია ნათქვამი.

მორიგე ლაშქრის რაობა შემდეგი იყო. ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე იყო წელიწადში ერთი თვით ლაშქარში გასულიყო. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა. ამისთვის მეფემ ქართლ-კახეთის მთელი გლეხობა სურსათის გაღებისაგან გაანთავისუფლა. მორიგეს იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა. მორიგე ლაშქარში ხალხის უკლებლად გამოცხადებისათვის სოფლის მებატონე და მოხელე იყვნენ პასუხისმგებელი, ბატონი მოვალე იყო მორიგედ მიმავალი გლეხი მოემარაგებინა, როცა უკანასკნელს საკუთარი საშუალება არ გააჩნდა. მორიგე ლაშქარი ცალკე ერთეულებად იყოფოდა და თითოეულს მეფის მიერ დანიშნული მეთაური უფროსობდა. პირველ ხანებში მორიგეში თვიურად ხუთი ათასი მეომარი გამოდიოდა.

მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობა, მისი დიდი სარგებლიანობა მალე აშკარა შეიქნა. ლეკების თარეში შეწყდა, ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებმა ციხე-გალავნები დასტოვეს. მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ. მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს ვაჟი ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი იყო. ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს: მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა, ეს-კი თავადებისათვის არ იყო სასურველი.

მორიგე ლაშქარი ბრძანებით არასოდეს არ გაუუქმებიათ, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი თანდათანი შესუსტება და ბოლოს სავსებით გაქრობა. უდიდესი ზიანი მოუვიდა მორიგე ლაშქარს მისი ხელმძღვანელის, ლევან ბატონიშვილის, მოულოდნელი სიკვდილით (1781 წ.). სხვა ბატონიშვილები აგრე რიგად არ ზრუნავდნენ მორიგე ჯარზე და მალე ეს საქმე ანგარი მოხელეების ხელში მათი საკუთარი შემოსავლის წყაროდ იქცა. ქრთამით ესა თუ ის თავადი სულ უფრო და უფრო ადვილად ახერხებდა თავისი ყმებით მორიგეში გასვლისაგან თავის დაღწევას. მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა.

მორიგე ჯარის გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი.

## ქართლ-კახეთის სამეფო სამოცდაათიან წლებში

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა: ირან-ოსმალეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა, ორივე მხარე საომრად ემზადებოდა.

ასეთ პირობებში ერეკლე მეფის მიმხრობა თვითეული მხარისათვის ძვირფასი იყო. ამიტომ ირანიცა და ოსმალეთიც დაუტკბნენ ქართლ-კახეთის მეფეს, ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდნენ მას და მეგობრობა-კავშირს სთავაზობდნენ. ერეკლემ ოსმალეთი აირჩია. მეფე ფიქრობდა, რომ ოსმალეთი ირანს დაამარცხებდა და ქართლ-კახეთიც სამუდამოდ განთავისუფლდებოდა ირანის ბატონობისაგან.

1778 წელს ერეკლეს ოსმალეთის ხონთქრისაგან ძვირფასი საჩუქრები და ელჩი მოუვიდა. შეთანხმება მოხდა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ოსმალეთის მოკავშირედ ითვლებოდა.

ერეკლეს მოლოდინი არ გამართლდა. ირან-ოსმალეთს შორის საქმე ომამდე არ მივიდა, ერეკლესა და ქერიმ-ხანის ურთიერთობაკი მეტად გამწვავდა. მაგრამ ამ ხანებში (1779 წელს) ქერიმ-ხანი გარდაიცვალა, ირანი ისევ არეულობამ მოიცვა და ირან-საქართველოს ურთიერთობის საკითხის სიმწვავე კარგა ხნით განელდა.

1774 წელს ერეკლემ განაახლა სამთამადნო მრეწველობის საქმე. მადნების დამუშავება საქართველოში ძველიდანვე მოდიოდა და თავისი დროისათვის მაღალგანვითარებული იყო, მაგრამ გვიან, პოლიტიკური სიძნელეების ხანაში, ეს საქმე თანდათან შემცირდა, დაეცა. XVIII საუკუნეში, ერეკლეს დროისათვის, ის თითქმის გამქრალი იყო. დიდი გარჯით მეფემ მოახერხა ოსმალეთიდან ბერძენი მადნის ოსტატების გადმობირება. მოსულებმა ახტალასა და ალავერდში სპილენძისა და ვერცხლის ამოღება-გამოდნობის საქმე გააჩაღეს. მალე უკვე ამ მადნებიდან მეფეს 1500 კილოგრამი წმინდა ვერცხლი და საკმაო სპილენძი შემოსდიოდა.

ამ გზით ერეკლემ შესამჩნევად გაადიდა სამეფო შემოსავალი, რაც სათანადოდ გამოიყენა კიდეც. საჩუქრებით, „ჯამაგირით“ ერეკლემ ლეკთა ბელადები მრავლად გაიერთგულა, ლეკთა რაზმებიც დააქირავა, სხვები კიდევ მორიგე ლაშქრის შემწეობით ალაგმა და ქვეყანას მშვიდობა მოუპოვა.

არაჩვეულებრივ მრავალმხრივი იყო ერეკლეს სახელმწიფო მოღვაწეობა. საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების გვერდით მეფე არანაკლებ ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიურ წარმატებაზე. აქ ერეკლეს მოღვაწეობაში სრულიად ახალი რამ ჩანდა.

მეფე ხელს უწყობდა არა მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებას, არამედ მიზნად ისახავდა საქართველოში მრეწველობის გაფართოებასაც. ერეკლე, ერთი მხრით, ხელს უწყობდა აქამდე არსებულ წარმოებათა გაუმჯობესებას და ამავე დროს მრეწველობის ახალი სახეების დანერგვას დაჟინებით ცდილობდა. მეფე ზრუნავდა სხვადასხვა სამრეწველო წარმოების ოსტატების შოვნასა და ოსტატთა კადრების ადგილობრივ შექმნაზე. იგი ცდილობდა დაეარსებინა მაუდის, მინაბროლისა და სარკის წარმოების ქარხნები. მოეწყო შაქრის წარმოება, მოეზიდნა უცხოეთიდან კაპიტალისტ-წამომწყებნი.

მეფის ასეთი საქმიანობის შედეგი იყო სამთამადნო წარმოების გაჩაღება, სამხედრო მრეწველობის გაუმჯობესება. ასევე გაუმჯობესებულ იქნა, ერეკლეს თაოსნობით, ფულის მოჭრის ტექნიკა და სტამბის საქმე.

გზების დაცვით ლეკთა თავდასხმებისაგან, ვაჭართა დაცვით თავადების მიერ შევიწროებისაგან, ბაჟების მოწესრიგებით ერეკლე ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას.

მე-18 საუკუნეში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში დიდმნიშვნელოვანი ცვლილება ჩაისახა: რამდენიმე საუკუნის წინ დაყრუებული დარიალის სავაჭრო გზა გაიხსნა. ამ გზით საქართველო ეკონომიურად უშუალოდ დაუკავშირდა რუსეთს. რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ვაჭრობა-ხელოსნობისათვის ხელის შეწყობის მიზნით ერეკლემ სათანადო ყურადღება მიაქცია მოქალაქე ვაჭარ-ხელოსანთა უფლებრივ მდგომარეობას. 1770 წელს მეფემ საბოლოოდ დააკანონა ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის ხელსაყრელი საკუთრების ქალაქური წესი: ამიერიდან უშვილოდ გარდაცვალებული მოქალაქის ქონება მეფეს კი არ მიჰქონდა, როგორც ეს ძველად იყო, არამედ ამ მოქალაქის თუნდაც შორეულ მემკვიდრეს რჩებოდა.

ამავე დროს ერეკლე საქალაქო მართვა-გამგეობის მოწესრიგებას ცდილობდა. მის დროს მტკიცედ განსაზღვრულ იქნა ქალაქის

მოხელეების—მოურავის, მელიქ-მამასახლისის, ქედხუდების—და აგრეთვე ამქრების უფლება-მოვალეობანი.

განსაკუთრებულ სიძნელეს ერეკლესათვის ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნა წარმოადგენდა. შეუდრეკელი ბრძოლით მეფემ გააერთიანა ქართლ-კახეთი. გააუქმა საერისთაო-სახანოები, ერისთავებისა და ხანების მაგიერ დანიშნა თავისი მოხელე-მოურავები, დაიმორჩილა თავნება თავადები, მაგრამ სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნამდე ჯერ კიდევ შორს იყო. საქართველოს სინამდვილე ასეთ გარდაქმნას მეტისმეტად აძნელებდა. მიუხედავად ამისა ქვეყანაში თანდათან მწიფდებოდა აზრი სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნის საჭიროების შესახებ და ცხოვრებაშიაც საამისო ღონისძიებები თანდათან გზას იკვლევდა. მე-18 საუკუნის 70-იანი წლებისათვის ამ მხრით შესამჩნევი წარმატება ჩანდა. სახელმწიფოს მმართველობა სხვადასხვა ცენტრალიზებულ დარგებად იქნა დაყოფილი: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლისა და სამხედრო საქმეებისა. ასევე ახალი იყო მსაჯულთ შეკრებულობის დაწესებულება, ერეკლემ რომ შემოიღო 1778 წელს: ამიერიდან „ყოველი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიდესო“.

როგორც მეფე, ერეკლე თვითმპყრობელი იყო, ის შეუზღუდველი უფლებით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, მის დროს საბჭოს („დივანს“) უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერეკლე არც ერთს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს ამ საბჭოს დაუკითხავად არ გადასწყვეტდა. საბჭო ორგვარი იყო—დიდი და მცირე. პირველში შედიოდნენ მეფის შვილები, კათალიკოსი და სხვა საეკლესიო და საერო დიდბატონები. აქვე მონაწილეობდნენ სამეფო დიდმოხელენიც. მცირე საბჭო მეფის მიერ საგანგებოდ შერჩეულ პირთაგან შედგებოდა. ასეთები იყვნენ მისი ერთგული მრჩეველ-თანამშრომელნი. საქმის ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით მეფე ზოგ მათგანს დიდ საბჭოში განიხილავდა, ზოგს კიდევ თავის უახლოეს თანაგამზრახებთან ერთად შეიმუშავებდა.

ერეკლეს მრავალმხრივ მოღვაწეობაში განათლების საკითხს სათანადო ადგილი ეჭირა. უკვე XVIII საუკუნის 50-იან წლებშივე განახლდა ვახტანგის გადასახლებისა და ოსმალობა-ყიზილბაშობის შედეგად შეფერხებულ-შეწყვეტილი კულტურული მუშაობა. 1749 წელს თბილისის სტამბა კვლავ ამუშავდა. შემდეგ ამ საქმეში მნი-

შენელოვანი გაუმჯობესება იქნა შეტანილი. მაგრამ ერეკლეს თაოსნობა განსაკუთრებით სასკოლო საქმეში გამოჩნდა. ერეკლემდე, გვიანფეოდალურ ხანაში, სკოლები კერძო იყო, და სახელმწიფო მათზე საგანგებოდ არ ზრუნავდა. ერეკლეს დროიდან-კი საქართველოში სახელმწიფო სკოლა შემოდის. 1756 წელს თბილისში ფილოსოფიის სემინარია დაარსდა, ხოლო 1782 წელს მეორე ასეთივე სემინარია თელავშიაც გაიხსნა. ამ სასწავლებელთა გეგმა ასეთივე რუსული სასწავლებლებიდან იყო გადმოტანილი. თბილისისა და თელავის სემინარიებს რექტორები განაგებდნენ. მათ ხელფასი ხაზინიდან ეძლეოდათ.

აღნიშნული სასწავლებლებიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მთელი წყება განათლებული პირი გამოვიდა, რომელნიც შემდეგში სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა დარგში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ.

განათლების საქმის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს დროს ანტონ კათალიკოსი იყო. ანტონი თავის დროისათვის ფრიად განათლებული პირი იყო, დიდი ნიჭითა და ენერგიით დაჯილდოებული. ამავე დროს ის აქტიური სახელმწიფო მოღვაწეც იყო და ერეკლეს უახლოესი თანამშრომელი.

ამრიგად, განათლების საქმე ერეკლეს დროს მტკიცე სახელმწიფოებრივ საფუძველზე დადგა.

თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ერეკლე უდიდეს ყურადღებას აქცევდა მოახალშენეთა ქართლ-კახეთში მოზიდვას. საქართველოს შემცირებული მოსახლეობის ხელოვნურად გაზრდა მეფეს აუცილებლად მიაჩნდა. სამხრეთ აღერბაიჯანიდან, მცირე აზიიდან, ერევნისა თუ განჯა-ყარაბაღის სახანოებიდან და იმიერ-კავკასიიდან მეფე მოახალშენეებს ეპატიჟებოდა საქართველოში.

ამ საქმეში ერეკლე დიდ სიძნელეებს ხვდებოდა. მეზობელი სახელმწიფოები, რომელნიც ამ ხანისათვის საქართველოს გარშემო ქვეყნებს დაუფლებოდნენ, დაპყრობილ ხალხებს—სომხებს, იეზიდებს, აისორებს, ყაბარდოელებს საქართველოში გადმოსახლების ნებას არ აძლევდნენ. ამიერიდან ჩრდილოეთ-კავკასიელებს საქართველოს ლაშქარში დაქირავების საშუალებაც არ ჰქონდათ. ასე რომ ერეკლეს მოაკლდა ის ძალა, რომლითაც იგი ხშირად მტრების საშიშ შემოსევებს წარმატებით იგერიებდა.

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

## ერეკლე მეორის ხელშეკრულება რუსეთთან

XVIII საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ერეკლეს უმთავრეს მეტოქედ გამოვიდა შარვანის მპყრობელი ფ ა თ ა ლ ი-ხ ა ნ ი. როცა ქერიმ-ხანი გარდაიცვალა და ირანში არეულობა დაიწყო, ფათალი-ხანი ენერგიულად ამოქმედდა—მას ყ ა ე ნ ო ბ ა ს უ რ დ ა. ამისთვის-კი მას ჯერ აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია უნდა დაემორჩილებინა. ერეკლეს წინააღმდეგ აჯი-ჩალაბივით, მაჰმადიანი მფლობელების ამხედრებას ცდილობდა. ფათალი-ხანმა ქართლ-კახეთის მეფეს განჯისა და ერევნის ხანები აუჯანყა. სამაგიეროდ, ერეკლე ყარაბაღის ხანს ი ბ რ ე ი მ ს შეუკავშირდა. მოკავშირეებმა ორგზის დაამარცხეს ფათალი-ხანის ჯარები 1779 წელს და აჯანყებული განჯის-ხანიც დაიმორჩილეს. ამავე წელს ერეკლე დიდი ჯარით ერევანზე წავიდა. შეშინებულმა ერევნის ხანმა პატიება ითხოვა. მეფეს ერევნის სახანოს გაუქმება და ამ ქვეყნის საკუთრად დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ამიტომ პატიებას არ აპირებდა. მაგრამ ქართლის საქმეების გართულებამ ერეკლე აიძულა ერევნის ხანის თხოვნა შეეწყნარებინა და სწრაფად თბილისში დაბრუნებულიყო.

ქართლში ამ დროს მართლაც მძიმე ამბები იყო. ერეკლეს შეთანხმება ოსმალეთთან სოლომონ მეფეს არ მოსწონდა. ეჭვობდა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ოსმალთა თანხმობით იმერეთის დაპყრობა სურდა. სოლომონთან თანდათან თავი მოიყარეს ერეკლეს უკმაყოფილო თავადებმა. აქვე გაჩნდა ქართლის ტახტის მაძიებელი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ც, ბაქარის ძე. სოლომონ მეფემ საგანგებოდ მოაყვანინა ის ირანიდან.

1779 წელს ალექსანდრე ბატონიშვილმა ისარგებლა ერეკლეს ერევანზე ლაშქრობით და ქართლის თავადებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. მაგრამ ერევნიდან დაბრუნებულმა მეფემ ენერგიული ღონისძიებით რეაქციონერ თავადებს აჯანყების ხალისი გაუნელა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ამის შემდეგაც არ ისვენებდა. იმერეთიდან ის ფათალი-ხანთან მივიდა და მისი დახმარებით საკმაოდ დიდი ჯარი იშოვნა ქართლ-კახეთზე გამოსალაშქრებლად.

ამავე დროს ბრძოლა რუსეთსა და ოსმალეთს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. მე-18 საუკუნის განმავლობაში რუსეთმა თანდათან

გამოგლიჯა ოსმალეთს ხელიდან ყირიმი, ჩრდილოეთ-კავკასიის ქვეყნები და 80-იანი წლებისათვის სახელმწიფო საზღვრები თითქმის კავკასიონის ქედს მოაბჯინა. რუსეთის შემდგომი წარმატებისათვის აუცილებელი იყო ამიერ-კავკასიაში დასაყრდენის გაჩენა.

მეორე მხრით, რუსეთის მეფის კარზე გადაწყვიტეს აგრეთვე კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროების ხელში ჩაგდება.

ამ პირობებში ერეკლე და სოლომონი მეტად ძვირფასი გახდნენ რუსეთის მეფისა და მის პოლიტიკოსთა თვალში.

ერეკლე ამ დროს უკვე ოსმალეთზე გულაცრუებული იყო. ხონთქარი და მისი ფაშები არა თუ ხელს არ უწყობდნენ, ხელს უშლიდნენ კიდევაც ქართლ-კახეთის მეფის გაძლიერებას.

მეორე მხრით, ალექსანდრე ბატონიშვილი და ფათალი-ხანი სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდნენ. ქართლის რეაქციონერი თავადები-კი ამათ მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ.

სწორედ ამ დროს ერეკლეს დიდი მარცხი მოუვიდა. როგორც აღვნიშნეთ, 1781 წელს მას უეცრად გარდაეცვალა შვილი ლევანი, ნიჭიერი და მხნე ვაჟკაცი, მამის მარჯვენა ხელი, მორიგე ლაშქრის მეთაური. მეფის მოძულე თავადებს სიხარული შეუდგათ.

ასეთი მდგომარეობისდა მიუხედავად ერეკლე მხნეობას არ ჰკარგავდა და ქვეყნის ხსნის ღონეს დაუცხრომლად ეძებდა.

1781 და 1782 წლებში ერეკლემ ევროპის ხელმწიფეებთან კავშირის გაბმა და მათგან დახმარების მიღება სცადა. ასეთი ნივთიერი დახმარებით მეფეს განზრახვა ჰქონდა რამდენიმე პოლკი მხედრობა ევროპულ წესზე გაეწყო, რომ ამით გარეშე და შინაური მტრები საბოლოოდ აელაგმა და ქვეყნის აღმშენებლობას მტკიცე ხელით შესდგომოდა. ერეკლეს ესმოდა, რომ საქართველოს გამოხსნა, გაძლიერება და მისი მომავლის უზრუნველყოფა ქვეყნის ევროპულად გარდაქმნას, მის სამხედრო-ტექნიკურსა და სამეურნეო-სახელმწიფოებრივ დაწინაურებას შეეძლო მხოლოდ. ამიტომაც იყო რომ ერეკლე „ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“, როგორც ამბობს იმ დროებში საქართველოში ნამყოფი რუსი პოლკოვნიკი ბურნაშოვი.

დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისადმი მიმართვისაგან არაფერი გამოვიდა. ამავე დროს ენერგიულად ამოქმედდნენ რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები. ერეკლეს კარზე სტუმრობას მოუხშირეს რუსმა მოხელეებმა, ელჩებმა, მოგზაურებმა. ისინი ურჩევდნენ ერეკლეს ეთხოვნა რუსეთის ხელმწიფის მფარველობა. აიმედებდნენ,

რომ ძლიერი მოკავშირის დახმარებით საქართველო ყველა სიძნელეს ადვილად დასძლევდა, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეწეოდა.

განსაკუთრებით სიძნელეს უქმნიდა ერეკლეს ალექსანდრე ბაქარის ძის საქმიანობა. ფათალი-ხანისა თუ სხვა კავკასიელი მფლობელების შემოსევის მოლოდინში მეფე ყოველ წამს მზად უნდა ყოფილიყო. ქართლის ჯარი ამ საქმისათვის სანდო არ იყო: ალექსანდრეს იქ მრავალი მომხრე ჰყავდა. ამიტომ მეფე იძულებული იყო ლეკთა დიდი ჯარები დაექირავებინა და მუდამ თავისთან ჰყოლოდა. ამ ჯარის ჯამაგირი („სალეკო") მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას და მის უკმაყოფილებას აძლიერებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის განდევნა დარუბანდიდან და, საერთოდ, იმიერ-კავკასიიდან მხოლოდ რუსეთს შეეძლო, მაგრამ რუსეთის მთავრობა ამ გარემოებას სწორედ ერეკლეზე ზეგავლენის იარაღად იყენებდა.

ამრიგად, მე-18 საუკუნის უკანასკნელ ოცეულ წლებში ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში გაინასკვა. ერეკლეს წინაშე დიდი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი იდგა. სამი დიდი მეტოქე, ირანი, ოსმალეთი და რუსეთი, ამიერ-კავკასიას ერთი მეორეს ეცილებოდა. თავისუფლად და დამოუკიდებლად საქართველოს არც ერთი მათგანი არ დასტოვებდა. ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ერეკლეს უნდა არჩევანი მოეხდინა, იგი ერთ-ერთ მათგანს უნდა შეკავშირებოდა.

ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ამიერ-კავკასიაში ერთიმეორეს ეთანხმებოდა, რომ, მაშასადამე, რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა საიმედო და სანდო იქნებოდა. საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე ირან-ოსმალეთის მოძალადეებისაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გ ა მ ო ხ ს ნ ა ს ა და მ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა ს ლამობდა.

ერეკლე განსახიერება იყო ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა სპარს-ოსმალო მოძალადეთა წინააღმდეგ. დამპყრობელთა მიერ აღმართული ზღუდეების მიუხედავად, საქართველო საუკუნეთა განმავლობაში მაინც ახერხებდა შორეულ ქრისტიანულ ქვეყნებთან კულტურულ კავშირს. მე-18 საუკუნე რუსეთთან დაახლოების ზრდის ხანა იყო. ამ ხნის განმავლობაში თანდათან ირკვეოდა ქართველი ხალხის მომავალი განვითარების გეზი: რ უ ს ე თ ი ს გ ზ ი თ ე ვ რ ო პ ა ს თ ა ნ. ასე რომ

წარსულიცა და აწმყოც თანხმობით უკარნახებდა ერეკლეს იმ გადაწყვეტილებას. რომელიც მან მიიღო. „საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი იდგა—მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა. ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო"[1]...

21 დეკემბერს 1782 წელს ერეკლემ, რუსეთის მთავრობის სურვილის თანახმად, რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა

ერეკლეს მოთხოვნით, რუსეთის მთავრობამ წინასწარ საქმით დაუმტკიცა მას მეგობრობა: ეკატერინე იმპერატორის ბრძანებით დარუბანდელმა ფათალი-ხანმა ერეკლეს წინააღმდეგ შეყრილი ჯარები დაითხოვა, ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე აიძულა რუსეთს წასულიყო. ქართლის ტახტის მაძიებელი გზაშივე დააპატიმრეს.

24 ივლისს 1783 წელს ციხე გეორგიევსკში (იმიერ-კავკასიაში) რუსეთ-საქართველოს შორის „მეგობრობის პირობას" („ტრაქტატს") ხელი მოაწერეს. ერეკლე მეფის მხრით აქ იყვნენ იოანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, ეკატერინე მეფის მხრით—გენერალი პავლე პოტიომკინი.

6 თვის შემდეგ. ესე იგი. 24 იანვარს 1784 წელს. ერეკლემ ტრაქტატს ხელი მოაწერა. და ეს „მეგობრობითი პირობა" ძალაში შევიდა.

ტრაქტატი ორმხრივ ვალდებულებებს ითვალისწინებდა.

ქართლ-კახეთის მეფე საქვეყნოდ საუკუნოდ უარყოფდა თავის დამოკიდებულებას ირანისა თუ სხვა ხელმწიფეთაგან. ამიერიდან ის მხოლოდ იმპერატორის უზენაეს უფლებას სცნობდა და მის საფარველში შედიოდა.

ქართლ-კახეთის ტახტზე ახლადგამეფებული ამიერიდან რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა.

უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან დამოუკიდებლად არ აწარმოებდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ის მოვალე იყო რუსეთის მთავრობის ადგილობრივ მოხელეს შესთანხმებოდა.

დასასრულ, ქართლ-კახეთის მეფე მოვალე იყო მთელი თავისი სამხედრო ძალით საჭირო დროს რუსეთის მეფის სამსახურზე გამოსულიყო.

თავის მხრით, რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას აღუთქვამდა. ამის ნიშნად იმპერატორი ერეკლეს სამფლობელოს დაცვას ივალებდა.

---

[1] კრებული „К изучению истории", გვ. 38, 1937, მთავრობის კომისიის ჟიურის დადგენილებიდან.

ამიერიდან უცხო ქვეყნების მიმართ რუსეთი და საქართველო ერთი იყო. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ საქართველოს მტერს თავის მტრად იგულებდა.

იმპერატორი პირობას სდებდა, რომ ერეკლესა და მის ჩამომავლობას ქართლ-კახეთის ტახტზე უცვალებლად დაიცავდა.

ქვეყნის შინაურ მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელი იყო. რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდა.

ტრაქტატს ახლდა კერძო (საიდუმლო) პუნქტები. ამათ თანახმად ერეკლე სოლომონ მეფესთან თანხმობით ყოფნას ივალებდა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ის რუსეთის ხელმწიფეს შუამავლად სცნობდა და საცილობელ საკითხს მის მსჯავრს ანდობდა.

ქართველთა ჯარის გასამტკიცებლად და საქართველოს დასაცავად რუსეთი საქართველოში მუდმივ სამყოფად ორ ბატალიონს ქვეითა ჯარს გზავნიდა, ხოლო ომის შემთხვევაში დამატებითი სამხედრო შემწეობის აღმოჩენას კისრულობდა. იმპერატორი აღთქმას სდებდა აგრეთვე, რომ ომისა თუ დაზავების დროს ის ყოველ ღონეს მოიხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ყველა კუთხე და მხარე, რომელნიც მტრებს ჰქონდათ მისგან მიტაცებული.

ტრაქტატით გათვალისწინებული რუსთა ჯარი 1783 წელს, სამ ნოემბერს, მოვიდა თბილისში, ხოლო 23 იანვარს, 1784 წელს, ერეკლემ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღო.

### ტრაქტატიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე

ქართველები რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას დიდ გეგმებს უკავშირებდნენ. მფარველ-მოკავშირის დახმარებით ლეკებს ადვილად ალაგმავდნენ და უმთავრეს ყურადღებას ქვეყნის შინაურ აღმშენებლობას მიაქცევდნენ. რუსეთ-ოსმალეთს შორის მომავალი ომისას ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ სამცხე-საათაბაგოს დაიბრუნებდნენ. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში-კი ერეკლე არა მარტო საქართველოდან ჩამოგლეჯილი კაკ-ენისელის შემოერთებას აპირებდა, არამედ მეზობელ შაქი-შარვანის სახანოებზედაც ხელს იწვდიდა. ქართლ-კახეთის მეფის ასეთ განზრახვებს მფარველ-მოკავშირე მხარს უჭერდა. ერეკლე მეფის მფლობელობაშივე სცნობდა რუსეთი განჯა-ერევნის სახანოებსაც.

ასეთივე ტრაქტატის დადებას რუსეთის მთავრობა სოლომონ იმერეთის მეფესთანაც აპირებდა.

ერეკლეს გადაჭრით დადგომამ რუსეთის მხარეზე და რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლამ ამიერ-კავკასია ააფორიაქა. ხანებს შიშის ზარი დაეცათ. მოსაჩვენარი მორჩილებით ხანები თავის გადარჩენას ცდილობდნენ. დარუბანდის, ყარაბაღისა თუ ხოის ხანები ერთგულებას ეფიცებოდნენ რუსეთს. მორჩილება გააცხადეს დაღისტნის მთავრებმაც.

მაგრამ პირველმა შიშმა ჩქარა გაიარა, და მალე სულ სხვა სინამდვილე გამოჩნდა. მაჰმადიანი ხანები შიშისა და დაბნეულობიდან ოსმალეთმა გამოიყვანა.

რუსეთის პირველი მარცხი ის იყო, რომ იგი იძულებული შეიქნა იმერეთის მეფესთან განზრახული ხელშეკრულების დადებაზე უარი ეთქვა. რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა გამოარკვია, რომ ასეთ რამეს ოსმალეთი უომრად არ დასთმობდა. ასე რომ იმერეთის საჯაროდ მფარველობაზე რუსეთმა ძალაუნებურად ხელი აიღო.

მალე ოსმალეთი ირანის სახანოების მფარველისა და დამრაზმველის როლში გამოვიდა. ოსმალეთის აგენტები „სარწმუნოების დასაცავად“ მოუწოდებდნენ მაჰმადიანობას. ფულით, საჩუქრებით, დაპირებებით მათ ადვილად აამოძრავეს სამხრეთ ადერბაიჯანისა და ამიერკავკასიის ხანები, დაღისტნის მთავრები.

ამ დროს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ კვლავ ლეკები წამოიშალნენ. ამ საქმის მთავარ ორგანიზატორად ახალციხის ფაშა გამოვიდა. ფაშამ ახალციხე ლეკების საბუდრად გადააქცია, საიდანაც ავაზაკთა ბრბოები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლის სოფლებს.

ამიერ-კავკასიისა და სამხრეთ ადერბაიჯანის ხანები ზოგნი ოსმალთა „სამსახურში“ შევიდნენ, ერეკლეს მტრები გახდნენ და საქართველოზე ლაშქრობას აპირებდნენ. ხანები აყვედრიდნენ ერეკლეს რუსთა შემოყვანას, აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ. უფრო მეტიც: მეფეს გადაუდგნენ და ხარკი შეუწყვიტეს განჯამ და ერევანმა, თვით ყაზახ-შამშადილუს თათრებიც-კი შფოთავდნენ და მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ.

სამ წელს გრძელდებოდა ლეკთა თარეშები. ქვეყანამ კვლავ დაცლა იწყო. მოსახლეობა სახიზრებს უბრუნდებოდა. ვისაც შეეძლო, უცხოეთში გარბოდა. ერეკლე ტრაქტატით გათვალისწინებულ დახმარებას ითხოვდა მფარველისაგან. ენერგიული დიპლომატიური ზომებით რუსეთი ამაოდ ცდილობდა აეძულებინა ოსმალეთი ხელი აეღო ქართლ-კახეთის მიმართ მტრობისაგან.

1785 წელს ხუნძახის ბატონი ო მ ა რ-ხ ა ნ ი 20.000 კაცით კახეთის საზღვარს მოადგა. ერეკლე ხელშეკრული იყო: მეფემ ქართ-

ლის ჯარი ვერ შემოიყარა. რადგანაც ახალციხის მხრიდან ლეკ-ოსმალთა შემოსევისა ეშინოდა. კახელებითა და რუსთა რაზმით, მათი სიმცირის გამო, შებმა ძნელი ჩანდა. ომარ-ხანმა სწრაფად გამოვლო ყარაია, აიღო ბორჩალოს ციხე, აიარა დებედას ხეობა, აიღო ახტალა და მადნები სულ გაიოხრა. ტყვე-ალაფით დატვირთული ხანი ახალციხეს მივიდა. იქიდან ის მალე საბაშიძოში (ზემო იმერეთი) ვახანის ციხეს ეწვია, აიღო და დიდძალი ტყვით უკან გაბრუნდა. ერეკლე იძულებული იყო მორიგებოდა ომარ-ხანს და მისთვის ყოველწლიური „ჯამაგირი" 5.000 მანეთი გაეჩინა.

ერეკლე განსაკუთრებულ კასაჭირში ჩავარდა. შემოსავალი აღარსაიდან შემოდიოდა, აოხრებული ქვეყანა გადასახადებს ვერ იხდიდა; ერეკლე იძულებული იყო მოსახლეობა სამი წლით სამეფო გადასახადისაგან გაენთავისუფლებინა. მოხარკეც სამეფოს აღარავინ ჰყავდა. ახტალის მადნები ამის შემდეგ ორ წელიწადს სულ არ მოქმედებდა, ვაჭრობა დაეცა და საბაჟო შემოსავალმაც სათანადოდ იკლო. ერეკლე მფარველ-მოკავშირეს ფულს სესხად სთხოვდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორის კარისაგან მან ვერაფერი მიიღო.

ამ დროს რუსეთში საქართველოსადმი ინტერესი შენელდა. რუს პოლიტიკოსებს ყოყმანი დასჩემდათ. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ფეხის მოკიდება ძნელი აღმოჩნდა. ოსმალეთის გავლენაც მეტად ძლიერი იყო მთელ კავკასიაში, ხოლო მოკავშირე საქართველო—სუსტი.

ამავე დროს ოსმალეთი ერეკლეს მოუწოდებდა მასთან მეგობრობა-კავშირი აღედგინა და რუსეთთან კავშირი უარეყო. არზრუმის ფაშა მეფეს მოაგონებდა, თუ როგორი მშვიდობის ჟამი ჰქონდა საქართველოს ოსმალეთთან კეთილმეზობლობისას და მიუთითებდა იმ უბედურებაზე, რომელსაც ქართლი რუსთა მხარეზე დადგომის შემდეგ განიცდიდა.

ასეთ პირობებში საგარეო ორიენტაციის საკითხი საქართველოში შეუნელებელი სიმწვავით იდგა. ამ საკითხის გარშემო აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. ქართველი ფეოდალების პროგრესული ნაწილი ერეკლესთან ერთად ისევ რუსეთის მომხრეობას იცავდა. ამ დასს ეკუთვნოდნენ აგრეთვე სომეხი დიდვაჭრები და სომეხთა ეკლესიის მოღვაწენი. სომეხთა ასეთი პოზიცია სომხური სამეფოს აღდგენის რუსულ გეგმას უკავშირდებოდა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სომეხ ვაჭრებს ამ დროისათვის რუსეთში საკმაოდ ძლიერი ეკონომიური ინტერესები ჰქონდათ. ქართველი რეაქციონერები, „მარკოზაშვილის დარბაზელები" რუსთ-მოძულე იყვნენ და

ეს იმიტომ, რომ ერეკლე რუსეთთან ერთობას უკავშირებდა ამ რეაქციონერებისათვის არასასურველი ცვლილებების გატარებას ქართლ-კახეთის სახელმწიფო წყობილებაში. რეაქციონერებმა მალე საიმედო დასაყრდენი იპოვეს: ერეკლეს მეუღლე, დედოფალი დ ა რ ე ჯ ა ნ ი, და მისი შვილები. რუსეთ-ოსმალეთის საკითხში დარეჯანი და მისი შვილები ოსმალეთთან მორიგების პოზიციას ადგნენ.

1787 წლის აგვისტოში რუსეთ-ოსმალეთს შორის ახალი ომი დაიწყო. რუსეთის მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოდან უკან გაიწვია. ერეკლე ამის შემდეგ ადვილად მოურიგდა აშლილ მეზობლებს. ოსმალეთმაც შეანელა მტრობა, თუმცა საქართველო-რუსეთის კავშირის საბოლოო გაწყვეტას ის შემდეგშიაც დაჟინებით ცდილობდა.

1783—1795 წლები ქართლ-კახეთში პროგრესული და რეაქციული ძალების მძაფრი ბრძოლის დრო იყო. რუსეთთან კავშირმა იმ ხანებში ერეკლესა და მისი მომხრეების იმედები არ გაამართლა. ქვეყანას გარეშე მტერი გაუმრავლდა, და ერეკლეს სამეფო ამიერკავკასიაში განმარტოებული აღმოჩნდა. ეს სიძნელე ერეკლეს შინაურმა მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს. რეაქციონერი თავადებისაგან ზოგიერთი ახალციხის ფაშასთან გაიქცა, ლეკთა ბრბოების მეგზური გახდა და მათთან ერთად ქართლის სარბევად წამოვიდა. სხვებმა კიდევ თვით ქვეყნის შიგნით თავი აიშვეს, მორიგე ლაშქარში აღარ გამოდიოდნენ, ერეკლეს მიერ გამოცემულ საგლეხო კანონებს არ სცნობდნენ, ვაჭარ-ხელოსნებს ავიწროებდნენ.

ერეკლეს მრავალი შვილი ჰყავდა. უფროსი, ტახტის მემკვიდრე გიორგი, სხვა დედის შვილი იყო, დანარჩენნი კიდევ დარეჯან დედოფლისანი იყვნენ. ძმებს შორის უთანხმოება სუფევდა: თითოეულ ბატონიშვილს თავისი თავადების ჯგუფი ჰყავდა და ხელმწიფობას იჩემებდა. 1791 და 1792 წლები რეაქციის ზეიმი იყო. დარეჯანმა და მისმა შვილებმა მოხუც მეფეს ორი კანონი გამოგლიჯეს ხელიდან: ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველი კანონით ერეკლემ ტახტის მემკვიდრეობის წესი შესცვალა. ამიერიდან სამეფო ტახტი მამიდან შვილზე კი არ უნდა გადასულიყო, არამედ გვარში უფროსს უნდა სჭეროდა. ეს კანონი ნახევრად ნატყუარნაძალადევი იყო. და ერეკლემ ხელის მოწერის უმალვე უარყო ის. სამაგიეროდ. დარჩა მეორე კანონი: თითოეულ უფლისწულს მეფემ 1003 კომლი ყმა მისცა (ასეთი უფლისწული 5 იყო), ხოლო მემკვიდრე გიორგის—4.000 კომლი. ამნაირად. ამდენი შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება ამიერიდან კიდევ უფრო რეაქციუ-

ლი ფეოდალების ხელში ექცეოდა. ვიდრე თავადები იყვნენ. თავის საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი ხელმწიფეებად მოჰქონდათ. ესენი იქცნენ ამიერიდან თავადური რეაქციის ბურჯებად.

მეორე მხრით, იმავე დროს ისეთი მოვლენაც მოხდა, რომელიც საქართველოს მოწინავე ძალების ზრდას მოწმობდა. ეს იყო ამერეთ-იმერეთის გაერთიანების ცდა.

იმერეთის მეფე სოლომონი 1784 წელს გარდაიცვალა. მას ვაჟი არ დარჩენია. ტახტის მემკვიდრედ მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე გამოცხადნენ. მემკვიდრეებს შორის ბოლომოუღებელი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში რუსეთ-ოსმალეთისა და ერეკლეს ხელიც ერია. ბოლოს იმერეთის თავადების ერთმა ჯგუფმა ერეკლეს ამერ-იმერეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების წინადადებით მომართა.

იმერეთის წარმომადგენელნი ერეკლესთან მოვიდნენ. მეფემ დარბაზი შეყარა. ბჭობა სამ დღეს გაგრძელდა. ერეკლემ ბოლოსდაბოლოს უარყო გაერთიანების წინადადება. ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ მეფეს, სხვათა შორის, ერთი მძიმე საბუთიც ჰქონდა: ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი-კი ოსმალეთს თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა.

მაინც ამ ცდისაგან კარგად ჩანდა. რომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანების იდეა მწიფდებოდა.

ამავე დროს ერეკლემ ხელი შეუწყო სოლომონ პირველის ძმისწულის, დავით არჩილის ძის, საბოლოო გამეფებას იმერეთში. იმერეთის ახალგაზრდა მეფე ერეკლეს შვილიშვილი, მისი გაზრდილი და მისივე პოლიტიკის გამტარებელი იყო. დავით არჩილის ძემ გამეფების (1789 წ.) შემდეგ სოლომონ მეორის სახელი მიიღო.

მართალია, გაერთიანება იმჟამად შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ მოწინავე ძალებმა მაინც თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს სოლომონ ლიონიძის ცდით.

ერეკლეს შესანიშნავი თანამოღვაწე, ნიჭიერი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მსაჯული სოლომონ ლიონიძე ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელთაც ერეკლე გაბედულად აწინაურებდა უგვაროთა წრიდან მათი ჭკუის, ნიჭისა და ერთგულების მიხედვით. ამ დროს სოლომონ ლიონიძე დიდი გავლენით სარგებლობდა და მისი თაოსნობით იყო რომ ერეკლე მეორესა, ერთი მხრით, ხოლო სოლომონ მეორესა, გრიგოლ დადიანსა და სიმონ გურიელს შორის, მეორე მხრით,

1790 წელს „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელშეკრულება დაიდო. ეს იყო საერთო მტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის პირობა ერეკლეს მეთაურობით. 1793 წელს ამ ხელშეკრულების მონაწილენი საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს.

ამასობაში ირანში მრავალწლოვანი შინაური ომებიდან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა ა ღ ა-მ ა ჰ მ ა დ-ხ ა ნ ყ ა ჯ ა რ ი. მან ჯერ კიდევ 1786 წელს მოაგონა თავი ერეკლეს: „ძმობისა და სიყვარულის“ სიტყვები შემოუთვალა „გურჯისტანის“ მეფეს. აღა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა. ერეკლესაგან ის რუსეთ-საქართველოს კავშირის გაუქმებასა და ქართლ-კახეთის ირანისადმი დამორჩილებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ხანი დიდ წყალობასა და პატივს პირდებოდა ერეკლეს.

აღა-მაჰმად-ხანის წინადადება ერეკლესათვის ყოვლად მიუღებელი იყო, რადგანაც მეფემ დიდი ხანია საქართველოს მომავალი პროგრესულ ევროპას სამუდამოდ დაუკავშირა. ამ პირობებში ომი ირანსა და საქართველოს შორის აუცილებელი ჩანდა.

1793 წელს ერეკლემ უკვე იცოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს საქართველოზე ლაშქრობა გადაწყვეტილი ჰქონდა. აქეთკენ ეპატიჟებოდნენ მას ქართლ-კახეთის მეფის მეტოქე ხანებიც. ერეკლე რუსეთს ჯარითა და არტილერიით დახმარებას სთხოვდა.

ხელშეკრულების თანახმად რუსეთის მთავრობა მოვალე იყო ერეკლეს დახმარებოდა, მაგრამ მოკავშირე-მფარველის ეს დახმარება არ ჩანდა. მენაპირე-უფროსი გ უ დ ო ვ ი ჩ ი ერეკლეს დაუსრულებლად აიმედებდა, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებდა.

1795 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში აღა-მაჰმად-ხანის ჯარები შუშასა და ერევანს შემოსდგომოდნენ. ეჩმიაძინის სომეხთა კათალიკოსმა თავი დიდი ქრთამით დაიხსნა. სექტემბრის დამდეგს აღა-მაჰმად-ხანი უკვე თბილისისაკენ წამოვიდა.

მრავალ ომგადახდილი ერეკლე მოუმზადებელი აღმოჩნდა. თავადური რეაქცია ქვეყანას ისე მოსდებოდა, რომ 40.000 მეომრის ნაცვლად მეფეს 4.000 ძლივს მოუვიდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები“ დაძრწოდნენ სოფლიდან-სოფლად. მეფის სახელით ხალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უიმედობას ატყობინებდნენ და შორს დახიზვნას უბრძანებდნენ.

საქართველოს ასაოხრებლად აღა-მაჰმად-ხანმა 35 ათასი კაცი წამოიყვანა. 10 სექტემბერს მტერი თბილისს მოუახლოვდა. ერეკლეს მხოლოდ ხუთი ათასი კაცი ჰყავდა. სიმცირის მიუხედავად მეფემ ომი გადასწყვიტა. აღა-მაჰმად-ხანი ერეკლესაგან ძლიერ წინააღმდეგობას მოელოდა. 10 სექტემბერს ქართველებმა დაამარცხეს მტრის მოწინავე რაზმი და ის დიდი ზარალით უკუაგდეს. მტერი შეფიქრდა და თავისი საქმის წარმატებაში შეეჭვდა. ამ დროს მოღალატეებმა თბილისიდან მტრის ელჩი გააპარეს. მან მეფის სისუსტე ხანს აცნობა. მტერს იმედი მოეცა და 11 სექტემბერს ერეკლეს გულსრულად შემოუტია. კ რ წ ა ნ ი ს ი ს  მ ი ნ დ ო რ ზ ე, თბილისის კარებთან, გადამწყვეტი ომი მოხდა. მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა ქართველები დამარცხდნენ. თვით ერეკლეც ხიფათში ჩავარდა.—მას მტერი გარს შემორტყმოდა. მაგრამ ერეკლეს შვილიშვილის იოანე ბატონიშვილისა და სხვა ერთგულთა თავდადებამ იხსნა მეფე: მებრძოლი მოხუცი გამოიყვანეს ომის ცეცხლიდან. ერეკლე მთიულეთში წავიდა.

გამარჯვებული აღა-მაჰმად-ხანი თბილისში შემოვიდა. მტერმა ქალაქი გაძარცვა, დასწვა, დაანგრია. ხანი მეფის სასახლეში შევიდა, ჯერ გაძარცვა ის, შემდეგ დაანგრევინა. მისივე ბრძანებით საგანგებოდ დაანგრიეს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი, აბანოები, ზარაფხანა. ამავე დროს ხანმა ქვეყანას მარბიელი რაზმები გაუსია. ერთი ასეთი რაზმი ახტალას ავიდა, იქ ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომელნიც ომარ-ხანის შემდეგ აღედგინა ერეკლეს. გაძარცვა და დაანგრია. აქ სპარსელებმა მრავლად დაატყვევეს მადნის მუშები. მარბიელთა რაზმებმა შიდა-ქართლიც მოითარეშეს გორი-ცხინვალამდე, მაგრამ მოსახლეობა დახიზნულიყო და ბევრი ვერაფერი იშოვეს. არაგვზე მარბიელებს 300 კაცისაგან შემდგარი ხევსურთა რაზმი შეეყარა. ხევსურები ერეკლეს მოწოდებაზე წამოსულიყვნენ, ქართველთა დამარცხება მათ ჯერ არ შეეტყოთ და თბილისში მეფესთან მიდიოდნენ .ხევსურებმა მარბიელთა ეს რაზმი თითქმის სულ გასწყვიტეს.

ვიდრე აღა-მაჰმად-ხანი საქართველოში იყო, მასა და ერეკლეს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ერეკლე, რომელიც ანანურს იდგა, დროს მოგებას ცდილობდა, მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, ამის შესახებ რუსთა მენაპირე-უფროსს გუდოვიჩს ატყობინებდა და მისგან სასწრაფოდ დახმარებას მოითხოვდა. არც აღა-მაჰმად-ხანს სწამდა ერეკლეს გულწრფელობა.

საქართველოში მტერი დიდხანს არ დარჩენილა. ჯერ კიდევ მო-

ლაპარაკება გრძელდებოდა, რომ სექტემბრის მიწურულში ხანი აიყარა და სასწრაფოდ წავიდა.

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობამ არა მარტო ზოგიერთი მეზობელი ხანის სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია, სიხარულით ცას ეწია ოსმალეთი. ხონთქარმა აღა-მაჰმად-ხანს საგანგებოდ მიულოცა გამარჯვება და კავშირი შესთავაზა. დიდად კმაყოფილი იყო საფრანგეთიც. ხსენებული სახელმწიფოები ამ ფაქტში რუსეთის დამარცხებას ხედავდნენ და ამიერ-კავკასიიდან თავისი მეტოქის, რუსეთის, საბოლოოდ განსადევნად აღა-მაჰმად-ხანს კვლავ საქართველოში ლაშქრობას ურჩევდნენ.

საქართველოს გასაჭირით სარგებლობა ლეკებმაც მოინდომეს. ლეკთა ბრბოები წამოიშალნენ და ქართლ-კახეთის დაუცველ სოფლებს მოედვნენ.

რუსეთის მთავრობამ თავისი შეცდომა ეხლა დაინახა. მას გასაჭირში მიტოვებული და მტრის პირში მიცემული მოკავშირე ეკარგებოდა, ხოლო საქართველოს დაკარგვით რუსეთი იძულებული ხდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში ფეხი ამოეკვეთა. აღა-მაჰმად-ხანი თბილისიდან წასული იყო, როცა გუდოვიჩმა პეტერბურგიდან ერეკლესთვის დახმარების აღმოჩენის ნებართვა მიიღო. ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი 1795 წლის დეკემბერში საქართველოში შემოვიდა. ამ დროს რუსეთში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა ჩრდილოეთ ირანის დაჭერისა და ინდოეთთან სავაჭრო კავშირის გეგმა, რომელიც პეტრე პირველმა შეიმუშავა თავის დროზე. საქართველოს დაცვისა და აღა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით 1796 წელს გაზაფხულზე 30 ათასი კაცისაგან შემდგარი რუსთა ჯარი დარუბანდის გზით ამიერ-კავკასიაში შემოიჭრა.

ამასობაში ერეკლე ხალხის გამხნევებას, მოღალატე-მაშფოთებელთა ალაგმვასა და მტრისაგან მოყენებული ზიანის აღდგენას შეუდგა. მეფე თელავს იდგა. მშენებლობას თბილისში ერეკლეს ძე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ხელმძღვანელობდა. ქალაქმა ნელ-ნელა მოშენება იწყო. აყრილ-დახიზნული სოფლის მოსახლეობაც თავის სახლებს დაუბრუნდა.

1796 წლის გაზაფხულზე მეფე ერეკლემ ბატონიშვილები დ ა ვ ი თ ი და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე განჯას ჯავად-ხანის წინააღმდეგ გაგზავნა. განჯის მფლობელი ერეკლეს ორგული იყო. ის აღა-მაჰმად-ხანს თბილისზე წამოუძღვა და საქართველოს აოხრების დროს ყიზილბაში მოლაშქრეებისაგან მრავალი ტყვე და დიდი ალაფი შეიძინა. ქართველებმა სამ აპრილს განჯა აიღეს. ჯავად-ხანი ციხეში ჩაიკეტა. ცო-

ტა ხნის შემდეგ ერეკლეც განჯას ჩავიდა. ხანგრძლივი ალყით შეწუხებულმა ჯავად-ხანმა პატიება ითხოვა. მეფემ განჯას ძველებურად ხარკი დაადო, ათასი ქართველი და სომეხი ტყვე, ჯავად-ხანს რომ შეეძინა ყიზილბაშებისაგან, გაათავისუფლა, ამ ლაშქრობის ხარჯებიც მას აზღვევინა და უკან დაბრუნდა.

ამავე ხანებში მეფემ ერევნის საქმეც მოაგვარა. მან იქ აღა-მაჰმად-ხანის მიერ დევნილი მ ა ჰ მ ა დ-ხ ა ნ ი ისევ გააბატონა და მასაც ძველებურად ხარკი დააკისრა.

რუსთა ჯარმა ზუბოვის სარდლობით აიღო დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია, გავიდა მუღანს და შიგნით ირანში სალაშქროდ ემზადებოდა. პეტერბურგში ირანს ლაშქრობის გეგმასთან ერთად პეტრეს ძველი გეგმის მეორე ნაწილიც მოაგონდათ: ამიერ-კავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა. გეგმის ავტორების აზრით ასეთი სახელმწიფო ერეკლეს სამეფო უნდა ყოფილიყო. უხვ იმედებს აძლევდნენ სომხებსაც. აღა-მაჰმად-ხანი დიდ შიშში იყო.

1796 წელს, ნოემბერში, რუსეთის იმპერატორი ეკატერინე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, პ ა ვ ლ ე მ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსი შეცვალა, ირანს ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია. აღა-მაჰმად-ხანმა ეს თავის გამარჯვებად გამოაცხადა და კვლავ საქართველოში ლაშქრობა დააპირა.

ერეკლე დაჟინებით სთხოვდა თავის მფარველ-მოკავშირეს ტრაქტატით ნაკისრი მოვალეობის შესრულებასა და საქართველოს დასაცავად ჯარის დატოვებას. მოკავშირის დაინტერესების მიზნით ერეკლე მზად იყო რუსეთის სასარგებლოდ ახალ პოლიტიკურ დათმობებზე წასულიყო. ამავე დროს ერეკლემ მიიღო ის ერთადერთი გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებას შეეძლო საქართველოს დამოუკიდებლობა ეხსნა. მ ო ხ უ ც მ ე ფ ე ს რ უ ს ე თ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს გ ა ტ ა რ ე ბ ა ს უ რ დ ა.

ერეკლე ამ საქმეში მარტო არ იყო. მასთან იყო ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. იმ დროს ბევრს ესმოდა, თუ რა იყო საქართველოს ამდენი უბედურების მთავარი მიზეზი. კარგად არჩევდნენ ევროპული წესების უპირატესობას და ამ წესების საქართველოში გადმონერგვას ცდილობდნენ. არა ერთი კანონ-პროექტი იწერებოდა მაშინ საქართველოს საზოგადოებრივი, ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების მიზნით. სულ უფრო

და უფრო ძლიერდებოდა რწმენა, რომ არსებული სახელმწიფოწყობის სიდუხჭირე უნდა დაძლეულიყო, რომ დღეს თუ არა ხვალ ევროპული წესები უნდა შემოსულიყო, რომ სათავადოებს დღე უნდა დალეოდა.

მაგრამ ჯერ რეაქცია მაგრობდა და პოზიციების ადვილად დათმობას არ აპირებდა.

იმპერატორი პავლე ერეკლეს ვედრებისადმი ყრუ იყო. 1797 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოდან ჯარი გაიყვანა და მოკავშირე კვლავ გააფთრებული მტრის პირისპირ დააგდო.

აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღს მოვიდა, მაგრამ საქართველო ახალი აოხრებისაგან მკვლელის დანამ იხსნა: ამავე წლის ივნისში აღა-მაჰმად-ხანი იქვე, ყარაბაღში, მოკლეს.

მცირე ხნით ირანში კვლავ არეულობა გამეფდა. შემდეგ ძალაუფლება აღა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა ბ ა ბ ა-ხ ა ნ მ ა იგდო ხელთ. საქართველოს მიმართ ისიც თავისი ბიძის პოლიტიკას განაგრძობდა.

ქართლ-კახეთში-კი თავადები პარპაშობდნენ, რასაც ძველებური შედეგები სდევდა თან: ლეკთა გამუდმებული თარეში, გლეხთა აყრა-დაკარგვა, ვაჭარ-ხელოსანთა რუსეთს გაქცევა.

ასეთ გარემოებაში იყო სამეფო, როცა 11 იანვარს 1798 წელს თელავს გარდაიცვალა 80 წლის ერეკლე,—ქ ვ ე ყ ნ ი ს თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი მ ო ა მ ა გ ე, დ ი დ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ო ღ ვ ა წ ე, ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ს ა რ დ ა ლ ი და თ ა ვ ი ს დ რ ო ი ს მ ო წ ი ნ ა ვ ე კ ა ც ი. მოხუცებულობის მიუხედავად მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო აფორიაქებული ქვეყნისათვის.

## ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

სამეფო ტახტზე გ ი ო რ გ ი ე რ ე კ ლ ე ს ძე ავიდა. მისი მდგომარეობა იმთავითვე მეტად მძიმე იყო. თავისი ურჩი ძმების შეჭორიგების მიზნით გიორგი მალე იძულებული შეიქნა დაემტკიცებინა 1791 წელს დარეჯან დედოფლის თაოსნობით შედგენილი ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლის უკანონობა თვით ერეკლემ დაუდასტურა იმავე გიორგის. ძმებს შორის ნდობა ამის შემდეგაც არ დამყარებულა და ერთმანეთის წინააღმდეგ ორივე მხარე ძალებს იკრებდა.

თავის მცველებად გიორგი მეფემ ლეკთა დიდი რაზმი დაიქირავა. ამ ჯარის ჯამაგირი მძიმე ტვირთად დააწვა ილაჯ-გაწყვეტილ

გლეხობას. საჭირო ფულის შოვნის მიზნით მეფე სესხსაც მიმართავ-და ვაჭრებსა და თავადებს შორის და, თუ უარს ხვდებოდა, მაშინ არც აშკარა იძულებას ერიდებოდა. ამავე დროს ეს ლეკები მოსახლეობის მშვიდობიანობას სრულებით არ იცავდნენ. მათი მოძმე ავაზაკების თარეში ქართლის სოფლებში დიდი ხანია ისე თავაშვებული არ ყო-ფილა, როგორც ეხლა.

ლეკთა დაქირავებამ მტრობა-უნდობლობა მეფესა და მის ძმებს შორის კიდევ უფრო გაამწვავა. ბატონიშვილები შიშობდნენ, რომ მეფე მის მიერვე დამტკიცებულს ტახტის მემკვიდრეობის კანონს შესცვლიდა, და მართალიც იყვნენ. გიორგი არა მარტო ამ კანონის გაუქმებას, არამედ სახელმწიფო წყობილების შეცვლასაც აპირებდა. სათანადო კანონ-პროექტი მისმა შვილმა იოანემ შეადგინა კიდეც.

ლეკთა ამოდენა რაზმის—1200 კაცი იყო—ჯამაგირით შენახვა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა, ხოლო გართულებული სა-შინაო მდგომარეობა მეფეს აიძულებდა დახმარება ეძებნა სხვა ქვეყ-ნებში.

ჯერ კიდევ ერეკლემ უბრძანა 1797 წლის მიწურულში თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, რათა მას გადაჭრით დაესვა საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე, აპირებდა თუ არა რუსეთი ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ერეკლე ისე გარდაიცვალა, რომ რუსეთის მთავრობისაგან პასუხი არ მიუღია. გი-ორგი მეფემ თავისი ტახტზე ასვლა აცნობა რუსეთის ხელმწიფეს და მისგან დასტური ითხოვა. რუსეთის მთავრობა ეხლაც დუმილს განა-გრძობდა.

1798 წლის ივლისში გიორგი მეფეს ირანის შაჰის სიგელი მოუ-ვიდა. შაჰი გიორგისაგან ირან-საქართველოს ძველი ურთიერთობის აღდგენას მოითხოვდა, სამაგიეროდ დიდ წყალობას პირდებოდა მე-ფეს. უარისათვის შაჰი საქართველოს განადგურებას ემუქრებოდა. მეფემ შაჰთან მოლაპარაკება გადასწყვიტა და ამის შესახებ პეტერ-ბურგშიაც შეატყობინა. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ აცნობა თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, თუ რუსე-თი არ დაეხმარება, ტრაქტატი დარღვეულად გამოაცხადოს, ელჩი უკან გამოიწვიოს და დახმარებაც სხვაგან ეძიოს. ამ დროს მეფეს ოსმალეთთანაც მოლაპარაკება ჰქონდა გამართული. მეფის მტკიცე კილომ რუსეთის მთავრობა აამოქმედა. იმპერატორმა პავლემ გიორ-გი მეფეს წყალობის სიგელი გამოუგზავნა.

იმავე წლის შემოდგომით გიორგიმ, ტრაქტატის თანახმად, პავ-ლესაგან ტახტზე დამტკიცების ნიშნები, თავისი შვილის დავითის

მემკვიდრედ აღიარება და 3000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ითხოვა. რუსეთის მთავრობამ გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა. 1799 წლის აპრილში პავლემ დამტკიცების სიგელი და სათანადო ნიშნები გამოუგზავნა გიორგი მეფეს.

დავით გიორგის ძის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებამ გიორგი მეფის ძმები ააჯანყა. ბატონიშვილები თავის საუფლისწულოებში ჩასხდნენ და მეფის ხელისუფლებას აღარ სცნობდნენ. დარეჯან დედოფალი თბილისში იჯდა და გიორგი მეფისადმი მტრობას დაუღალავად აღვივებდა. ამის შემდეგ მალე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ერეკლეს ძე, ირანის შაჰთან გაიქცა. ბაბა-ხანმა დიდი ხალისით იკისრა ერეკლეს შვილების უფლების ცრუ ქომაგობა და კიდევ უფრო მეტი ენერგიით ცდილობდა ქართლ-კახეთის დამონებას.

რუსთა ჯარი ჯერ კიდევ არ მოსულიყო. შეშინებულმა ავადმყოფმა მეფემ ისევ რუსეთს მიმართა და ტრაქტატის შეცვლა ითხოვა. მეფე რუსეთის მთავრობას უფლებას აძლევდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეები მოეწესრიგებინა, ოღონდ თავისთვის და თავისი ჩამომავლობისათვის მეფობის შენარჩუნებას მოითხოვდა.

ნოემბრის ბოლოს 1799 წელს რუსთა ჯარი გენერალ ლ ა ზ ა რ ე ვ ი ს სარდლობით საქართველოში შემოვიდა. ლაშქართან ერთად მოვიდა რუსეთის მთავრობის მინისტრი საქართველოს მეფის კარზე—კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი.

რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლამ ირანის შაჰი შეაშფოთა. ელჩების პირით შაჰი რუსეთისგან საქართველოს დაცლას მოითხოვდა, თანაც ჯარებს აგროვებდა და ომით იმუქრებოდა. იმპერატორი პავლე ერთხელ კიდევ შეყოყმანდა, მაგრამ ამ დროს უკვე რუსეთის მთავრობის წრეებში მეტად გაძლიერებულიყო საქართველოს შეერთების მომხრეთა დასი. რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივი ურთიერთობის განმავლობაში რუსმა პოლიტიკოსებმა შეისწავლეს საქართველო, კარგად შეაფასეს მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში, გაიცნეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და საქართველოს შეძენას რუსეთისათვის ისინი ეხლა უკვე სიკეთედ სთვლიდნენ.

1800 წლის სექტემბერში რუსეთის მთავრობამ კიდევ ერთი პოლკი ჯარი გამოგზავნა საქართველოში გენერალ გ უ ლ ი ა კ ო ვ ი ს სარდლობით. გიორგი მეფეს ამის შემდეგ მშვიდი ძილი შეეძლო, მის მემკვიდრეებს-კი მეფობა სიზმარივით უქრებოდათ.

ამავე დროს, საქართველოში აშლილობა და არეულობა არ ნელდებოდა. ბატონიშვილებმა ეხლა გიორგი მეფის წინააღმდეგ ომარ-

ხანი, ხუნძახის ბატონი, მოიწვიეს; საქართველოს ამ დაუძინებელ მტერს თან ალექსანდრე ბატონიშვილიც, ერეკლეს ძე, მოჰყვებოდა. ამავე წლის ნოემბერში რუს-ქართველთა მხედრობამ დაამარცხა ომარ-ხანის ლაშქარი ნ ი ა ხ უ რ ა ს (ივრის პირზე) და ქვეყანა საშინელი აოხრებისაგან იხსნა.

1783 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ქართლ-კახეთი თანდათან ეცემოდა. იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა სუსტ ქვეყანას; საგარეო მტრები შინაურ მტრებს, რეაქციონერ თავადებს, დაუკავშირდნენ. და ამ ძლიერმა კავშირმა ქართველი საზოგადოების მოწინავე ძალები დროებით დაამარცხა.

გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ რუსეთის მთავრობას მეფის სიკვდილის მოლოდინში უკვე მიეღო გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს იყო 22 დეკემბერს 1800 წელს. ექვსი დღის შემდეგ გიორგი მეფე გარდაიცვალა. ადგილობრივი რუსის ჯარის სარდალს კარგა ხანია საიდუმლო განკარგულება ჰქონდა მიღებული, რათა დავით ბატონიშვილის მეფედ გამოცხადება არ დაეშვა. მაგრამ ამასობაში იმპერატორი პავლე I გარდაიცვალა (1/III 1801 წ.) და საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის მოგვარება წილად ხვდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომელმაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყნის რუსეთთან შეერთება საბოლოოდ გააფორმა.

საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა უცხო, მტრული გარემოცვის გარღვევით დასრულდა და ქართველი ხალხი, რუსეთის მეშვეობით, კვლავ და საბოლოოდ დაუბრუნდა ევროპული განვითარების გზას.

# საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში *

## წინასიტყვაობა

წარსულ 40-ან წლებში ქართველ ისტორიკოსებს საქართველოს ისტორიის სახალხო საკითხავი წიგნის დაწერა დაევალა. უმალვე ქართული ისტორიოგრაფიის ნაკლი თვალსაჩინო გახდა. საქართველოს ისტორია XIX—XX საუკუნეებისა დაუმუშავებელი აღმოჩნდა. სახელმწიფოებრივობისა და დისტანციის მცდარი თეორიების შედეგი იყო, რომ ქართველ ისტორიკოსთა კოლექტივში XIX—XX საუკუნეთა საქართველოს ისტორია უგულვებელყოფილი იყო. ამასთან ერთვოდა მეორე მცდარი შეხედულებაც: XIX—XX საუკუნეთა საქართველოს ისტორიის შემუშავების საქმეს ზემდგომ ორგანოებში სთვლიდნენ ახალ ჩამოყალიბებულ სამეცნიერო ორგანიზაციის—იმელის კომპეტენციად. ხოლო ისტორიის ინსტიტუტს საქართველოს ძველი ისტორიის მეცნიერული დამუშავება ეკისრებოდა. ყველა ამის შედეგი იყო, რომ ისტორიკოსთა კოლექტივმა დავალება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა: დაიწერა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის გასულამდე. ნაშრომი საერთოდ მოიწონეს, მაგრამ ეს ნაკლი აღნიშნეს და მისი გამოსწორებაც ჩვენვე დაგვაკისრეს.

საკმაო კადრები არ იყო. საქმე გაძნელდა და გახანგრძლივდა... დრო არ ითმენდა. და მე ვიკისრე როგორც თანაავტორი ჩავბმულიყავი ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული, და მითუფრო სოციალისტური ხანის საქართველოს ისტორია ჩემი საკუთარი საკვლევაძიებო უბანი აქამდე არ ყოფილა.

მორიდებით შეუდექი დიდ საქმეს. სამუშაოს საგულდაგულოდ გაცნობის შედეგად ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ამ ამოცანის მეცნიერული გადაწყვეტა დიდ წინასწარ მუშაობას მოითხოვდა, რომ ეს ისტორია სახელდახელოდ არ დაიწერებოდა. თვალწინ წარმო-

* იბეჭდება პირველად.

შიდგა წყაროების სიმრავლე, მათი ცალმხრივად გამოვლინებულობა. ცალმხრივი და ტენდენციური ლიტერატურის სიუხვე და მისი კრიტიკულად შეუფასებლობა, საზოგადოების შინაგანი ცხოვრების, მისი სოციალურ-ეკონომიური და იდეურ-კულტურული ზრდა-განვითარების შეუსწავლელობა და ყველაფერი ეს დიდი ეპოქალური ტეხილების ვითარებაში.

ასეთ სიძნელეთა გადალახვა შედარებით მოკლე დროში მხოლოდ მეცნიერ მუშაკთა ძლიერ კოლექტივს შეეძლო.

ინსტიტუტმაც ყურადღების ცენტრი სწორედ აქეთ გადმოიტანა. თანდათან მომზადდა საქართველოს ახალ ისტორიაში მომუშავეთა კადრები და ინსტიტუტშიაც შესაფერისი განყოფილებანი ჩამოყალიბდა. და მეც საშუალება მომეცა ამ ახალი სამეცნიერო ძალებისათვის დამეთმო უჩვეულო სარბიელი და ისევ ჩემს საკუთარ სამეცნიერო-საკვლევო უბანს დავბრუნებოდი.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ის „შავია“, მე რომ წინასწარი მონახაზის სახით წამოვიწყე.

როგორც ხედავთ, ის შეუთავებელიცაა, და შეუვსებელიც. იგულისხმებოდა, რომ შემდგომი დაღრმავებული მუშაობით, წლების მანძილზე, სრული კურსი გაიმართებოდა.

ნაკლული ნაშრომის ამ სახით გამოქვეყნება გაუმართლებელი იქნებოდა, ავტორს რომ ამ პრობლემაზე კვლავ მუშაობის განზრახვა ჰქონდეს (სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ 1949 წელს დაწერილი ეს ნაშრომი დღემდე არ დაბეჭდილა). მაგრამ ავტორს ასეთი განზრახვა არ აქვს. ამავე დროს ის დღესაც ფიქრობს, რომ ამ ნაშრომში დასმული საკითხები აქტუალურია, ხოლო მათი გადაწყვეტა მეცნიერულად მართებულია.

ყველა ამის გამო ნაშრომის ამ სახით („შავის“) გამოქვეყნება ავტორს გამართლებულად მიაჩნია.

ნაშრომი, როგორც აღინიშნა, განზრახული იყო სახალხო საკითხავ წიგნად. ამისდა შესაფერისად ის სამეცნიერო აპარატით (წყაროებზე მითითებანი, ლიტერატურის კრიტიკა და სხვ.) შეჯავშნული არაა, ქრონიკული ხასიათის თხრობაც ხშირ შემთხვევაში არსებული ლიტერატურის საფუძველზეა გამართული...

ავტორს იმედი აქვს, რომ მკითხველი ამ წინასიტყვაობას წაიკითხავს და ნაშრომის შეფასებისას მას მხედველობაში იქონიებს.

## შესავალი

XVIII საუკუნე საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ისტორიაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა იყო. ჩვენი ქვეყანა საცაა საერთაშორისო პოლიტიკური ბრძოლის სარბიელად უნდა ქცეულიყო. სწრაფად მოზარდი რუსეთი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ამიერკავკასიას. რომელიც ამ ჩრდილოეთის სახელმწიფოსათვის ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების გასაღებს წარმოადგენდა.

სწორედ ამ დროს სპარსეთი, ასევე ოსმალეთიც. უკიდურესი დაცემულობის ხანას განიცდიდნენ: ნადირშაჰი სპარსეთის კიდევ უფრო ნაკლებად მხსნელი აღმოჩნდა, ვიდრე შაჰაბასი იყო თავის დროს. ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ო ბ ა ვერ სძლია ვერც ამ სახელოვანმა მოღვაწემ და ოდესმე დიდი კულტურის ქვეყანა სპარსეთი უცხო (ახალდაწინაურებული) სახელმწიფოების კოლონიად საბოლოოდ გაიწირა.

ვერც ოსმალეთმა გადალახა ბარბაროსული ფეოდალიზმის საფეხური და, ოდესმე ევროპის მბრძანებელი „ბრწყინვალე პორტა“ თანდათან ამავე ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კოლონიად იქცა.

ამისდა შესაფერისად შეცვლილი იყო სპარსეთ-ოსმალეთისათვის ამიერკავკასიის ქვეყნების მნიშვნელობა. ეხლა საქართველო, მისი კავკასიელი მეზობლებით, ორ მოქიშპეთა ურთიერთის წინააღმდეგ შეტევა-თავდაცვის უკიდურეს დასაყრდენს კი არ წარმოადგენდა მხოლოდ, როგორც ეს იყო ამ ძველ მტაცებელთა პოლიტიკური ძლიერების ხანაში. არამედ მათი თავდაცვის დიდმნიშვნელოვან პოზიციასაც ჩრდილოეთიდან მომავალი ახალი ძალის წინააღმდეგ.

ამავე დროს თავს იჩენდა სხვა ახალი გარემოებაც: რაც დრო გადიოდა და რუსეთის მოქიშპე ბურჟუაზიული სახელმწიფოები სპარსეთ-ოსმალეთში ფეხს იკიდებდნენ, ამ უკანასკნელთა ყურადღების გააქტიურება ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა.

საქართველოს ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები ექმნებოდა. ერეკლეს შეეძლო სპარსეთის თუ ოსმალეთის აგრესიულ ზრახვათა წინააღმდეგ რუსეთის მხრით რეალური დახმარების იმედი ჰქონოდა, მაგრამ „დახმარების" იმედი შეეძლო საქართველოს ჰქონოდა სპარსეთის ან ოსმალეთის მხრითაც, თუ კი მას, *ფეხზე წამომდგარს და გარკვეული ძალის მქონებელს*, სხვა ვინმე სასაკუთროდ მისატაცებლად წამოეჭიდებოდა.

ერთი სიტყვით, შექმნილი იყო ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები იმისათვის, რომ საქართველო დამოუკიდებელ ძალად გამოსულიყო სპარსეთს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის.

მაგრამ მძიმეც ის იყო, რომ საქართველო ამ დროისათვის მეტისმეტად დაზიანებული იყო იმისათვის, რომ შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო პირობებით შესაფერისად ესარგებლნა.

ერეკლე II კარგად ესმოდა მომენტის მნიშვნელობა, ხედავდა, რომ საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის" დრო დამდგარიყო და ეს შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე *ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა იმისათვის, რათა თავისი ქვეყანა დამოუკიდებელი განვითარების პოლიტიკურ სამშვიდობოზე გამოეყვანა.*

ასეთი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელი იყო, რათა საქართველოს საკუთარი ჩამორჩენა გადაელახნა და საზოგადოებრივი განვითარების ახალ გზაზე შემდგარიყო.

*ამ მიზანს ისახავდა ქართველთა ბრძოლა ერეკლე და სოლომონის მეთაურობით XVIII საუკუნეში.*

ქართველი საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა, მაგრამ სრული გამარჯვებისათვის, საგარეო და, კიდევ უფრო, საშინაო ხასიათის დაბრკოლებათა სწრაფად და საბოლოოდ გადალახვისათვის მას საკუთარი ძალა არ ეყო. და ერეკლემ დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო. საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა თავისი ნებით ნაწილობრივ დათმო და ამის ფასად *მისი „გამოხსნა—აღდგომის" საბოლოო უზრუნველყოფის* საქმეში მფარველ *მოკავშირედ გარეშე ძალა—რუსეთი მოიწვია.*

ერეკლეს ასეთი არჩევანი ნაკარნახევი იყო არა მარტო საქართველოს ისტორიული წარსულით, არამედ, კიდევ უფრო, ის გამართლებული იყო ჩვენი ქვეყნის იმ დროის აწმყოთი და მისი მომავლით.

მაგრამ 1783 წლის აქტის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურებოდა. ე ს ი ყ ო ა მ ა ვ ე დ რ ო ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ი დ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ხ ა ლ ხ თ ა წ ი ნ ა შ ე.

გარეშე ძალის მოწვევას საშინაო თუ საგარეო რეაქციამ გადამწყვეტი ომით უპასუხა. მოწინააღმდეგემ მთელი ძალა მოიკრიბა და შეტევაზე გადმოვიდა. მოკავშირე-მფარველის დახმარება საკმაო არ აღმოჩნდა. ბრძოლა გამწვავდა და გახანგრძლივდა. საქართველოს პროგრესულმა ძალებმა არა ერთი მძიმე დამარცხება განიცადეს[1], მაგრამ ერეკლემ ერთხელ აღებული პოლიტიკური გეზი არ შეცვალა. მას ღრმადა სწამდა, რომ საქართველოსათვის უკეთესი გამოსავალი იმ პირობებში სხვა არსად იყო, რომ ჩვენი ქვეყნის „გამოხსნისა და აღდგომის“ გზა მაინც ეს იყო.

ამავე ხანებში რუსეთის პოლიტიკური ინტერესები საქართველოს მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. იმიერკავკასიის მთიანეთის დამორჩილებისათვის, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალი შეტევებისათვის, სპარსეთზე გავლენის მოპოვებისათვის და საერთოდ შუააღმოსავლეთის მსოფლიო პოლიტიკურ ქიშპში ძლიერად გამოსვლისათვის რუსეთს ეხლა ამიერკავკასიაში სუსტი მოკავშირე—საქართველო აღარ აკმაყოფილებდა. სამხედრო ფეოდალურ იმპერიას აქ, ამიერკავკასიაში, მტკიცე დასაყრდენის შექმნა გადაეწყვიტნა. ამისათვის კი საკმაო არ იყო სუსტი საქართველოს მოკავშირეობა, არამედ საჭირო იყო მისი ქვეშევრდომობა.

ასე რომ გიორგი მეფეს თუნდაც რომ რუს ხელმწიფის ქვეშევრდომობა არ ეთხოვნა, სულერთია, 1801 წლის აქტი გარდაუვალი იყო, მას რუსეთის სამხედრო-ფეოდალური იმპერია ადრე თუ გვიან განახორციელებდა.

## სამეფოს მოშლა და რუსული მმართველობის შემოღება

**გიორგი მეფის სათხოვარი და პავლე იმპერატორი.** 1800 წლის მიწურულს ქართლ-კახეთის მეფის ელჩმა რუსეთის კარზე გარსევან ჭავჭავაძემ გიორგი მეფის სახელით პავლე იმპერატორს მოხსენება მიართვა. ელჩი აცხადებდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე გიორგის მტკიცე სურვილია რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი გახდეს

[1] ამ ბრძოლის სიმძაფრის მოწმობად ისიც კმარა, რომ მის შედეგად 1783—1800 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა განახევრდა.

და აქვე ჩამოთვლიდა იმ პირობებს, რომელთა დაცვა მთხოვნელს საჭიროდ მიაჩნდა.

გარსევან ელჩის ამ ნაბიჯს არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა. საამისოდ ამ დროს მეტად ხელსაყრელი ვითარება შექმნილიყო. პავლე იმპერატორი, ინგლისის ვერაგობით გამოჯავრებული, ნაპოლეონ ბონაპარტესთან კავშირში ინდოეთს სალაშქროდ ემზადებოდა. ინგლისი, თავისი მხრით, დიდის ენერგიით ცდილობდა, რათა ირანში პოლიტიკური გავლენა მოეპოვებინა და ეს ქვეყანა ინდოეთსა და ევროპას შორის გარდაუვალ ზღუდედ ექცია. 1800 წელს ინგლისმა ამ მხრით დიდ წარმატებას მიაღწია. ირანის შაჰთან დაიდო ხელშეკრულება, რომელიც გარკვევით მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ.

ამიტომ იყო, რომ პავლე იმპერატორი, რომელიც აქამდე თავისი დედის ეკატერინეს დაპყრობით პოლიტიკას ამიერკავკასიაში არ იზიარებდა, ეხლა ირანის საქმეებს დიდის ყურადღებით ეკიდებოდა. ასეთ პირობებში საქართველოს საკითხი აქტიური შეიქმნა რუსეთის პოლიტიკისათვის და გარსევან ელჩის მოხსენებაც იმპერატორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გახდა.

17 ნოემბერს წარდგენილი მოხსენების პირობები ორ დღეში დაამტკიცა პავლე იმპერატორმა, რის შესახებაც მან საგანგებო სიგელით აცნობა ქართლ-კახეთის მეფეს.

მაგრამ საქმის კანონიერი გაფორმებისათვის, ე. ი. რუსეთის იმპერატორის საუკუნო ქვეშევრდომად გიორგი მეფისა და მისი ქვეყნის ოფიციალურად მიღებისათვის აუცილებელი იყო, რომ გარსევან ელჩის მიერ შედგენილი ეს ნოტა თვით გიორგი მეფეს საკუთარი ხელით დაემტკიცებინა.

გარდა ამისა ქართლ-კახეთის მეფეს მადლობის წერილი უნდა მიერთმივნა იმპერატორისათვის, ხოლო მთელ ამ საქმეში რწმუნებული პირები—გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი მეფისა და მთელი სამეფოს ელჩებად უნდა გამოეცხადებინა.

ამ მიზნით გ. ავალიშვილი და ე. ფალავანდიშვილი, რომელნიც ამ დროს გ. ჭავჭავაძესთან ერთად პეტერბურგში იყვნენ, სასწრაფოდ საქართველოში გამოისტუმრეს და პავლე იმპერატორის მიერ მოწონებული გარსევანისეული ნოტის პირიც თან გამოატანეს.

მაგრამ პეტერბურგში უჩვეულოდ ჩქარობდნენ. ვიდრე ქართველი რწმუნებულები დავალებულ საქმეს შეასრულებდნენ, მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ უკვე მზად იყო ხელმწიფის კარზე. 18. XII მას ხელი მოაწერა კიდევაც პავლე

იმპერატორმა. ამ მანიფესტის გამოქვეყნება განზრახული იყო, როგორც კი ქართველი რწმუნებულები დაბრუნდებოდნენ.

მაგრამ რწმუნებულები ჯერ საქართველოში არც კი მისულიყვნენ, რომ პეტერბურგში ცნობა მოვიდა გიორგი მეფის გარდაცვალების შესახებ. ეხლა უკვე რწმუნებულთა უკან დაბრუნებას აღარ დაუცადეს და 18. I. 1801 წელს მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ოფიციალურად გამოაქვეყნეს.

პეტერბურგში სხვა საჭირო თადარიგიც დაეჭირათ. საქართველოში მყოფ რუსთა ჯარის სარდალს გენერალ ლ ა ზ ა რ ე ვ ს საიდუმლოდ ნაბრძანები ჰქონდა, რათა მას გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ არცერთი უფლისწულისათვის გამეფების ნება არ მიეცა. ზამთრისდა მიუხედავად ჯარიც ამ დროისათვის საკმაოდ გადმოეყვანათ კავკასიის ლინიიდან საქართველოში.

**პავლე იმპერატორის მანიფესტი.** 1801 წლის 16 თებერვალს პავლეს მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ თბილისში სიონის ტაძარში წაუკითხეს საამისოდ საგანგებოდ შეყრილ ხალხს.

პავლე იმპერატორის აზრით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად უნდა ქცეულიყო და მისი მმართველობაც რუსეთის საგუბერნიო მმართველობის შესაფერისი უნდა ყოფილიყო. პავლე ხელმწიფემ ამ ახალი პროვინციის გენერალ-გუბერნატორად კავკასიის ლინიის ჯარის სარდალი კ ნ ო რ ი ნ გ ი დანიშნა. ეს იყო 6. III 1801 წელს.

ამრიგად, პეტერბურგში ქართველი ელჩების დაბრუნებას არ დაუცადეს და საქართველოს შეერთებისა თუ მისი ადმინისტრაციული მოწყობის საქმე ცალმხრივად გააფორმეს.

როცა პეტერბურგიდან წამოსული ქართველი რწმუნებულები თბილისს მოვიდნენ, გიორგი მეფე უკვე გარდაცვალებული იყო. მეფის მაგივრად ისინი დავით გიორგის ძეს წარუდგნენ, რომელიც ტახტის მემკვიდრის სახელით მართავდა ქვეყანას.

დავითმა შეასრულა პავლე ხელმწიფის ნება. მან რწმუნებულებს ელჩის პატივი მიანიჭა და მადლობის ორი სიგელიც ხელმწიფისათვის მისართმევად თან გაატანა მათ. ერთი ამათგანი თვით მემკვიდრისა იყო, ხოლო მეორე ქართველი ხალხის სახელით იყო შედგენილი.

ელჩებს თან წაყვა დეპუტაციის სახით ქართველ თავადაზნაურთა ჯგუფი.

ქართველი ელჩები პეტერბურგს 1801 წლის გაზაფხულზე დაბრუნდნენ. ამ დროს რუსეთის ხელმწიფედ უკვე ალექსანდრე იჯდა

(პავლე 1801 წლის 11 მარტს მოკლეს). მალე ელჩებმა ალექსანდრე იმპერატორს ვრცელი მოხსენება წარუდგინეს.

ელჩები ამ თავის მოხსენებაში ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობდნენ. ნამდვილად კი ეს მოხსენება გამოხატავდა ძირითადად ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ ნაწილის სურვილს, რომელიც გიორგი მეფის მხარეზე იდგა ერეკლეს შვილებს შორის ტახტის მემკვიდრეობისათვის გამართულ ბრძოლაში. ქართული ფეოდალური საზოგადოების მეორე (უდიდესი) ნაწილი 1783 წლის ტრაქტატის უცვლელად დაცვის მომხრედ გამოდიოდა.

**ქართველ რწმუნებულთა პროექტი.** თავისი მოხსენება ქართველმა ელჩებმა გარსევან ჭავჭავაძის იმ ნოტის საფუძველზე შეადგინეს, რომელიც უკვე მოწონებულ-მიღებული იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ.

მოხსენება შეეხებოდა საქართველოს მომავალი მმართველობის ძირითად საკითხებს და მათ პრინციპულ გადაწყვეტას იძლეოდა.

ეს დოკუმენტი უეჭველი მოწმობაა იმისა, რომ მის ავტორებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული მომენტის მნიშვნელობა და ცდას არ აკლებდნენ, რათა შექმნილი მდგომარეობა თავის წოდებრივ კლასობრივი ინტერესებისათვის რაც შეიძლება მარჯვედ გამოეყენებინათ.

საქართველოს მმართველად, მოხსენების თანახმად, უნდა დაინიშნოს ერთ-ერთი მეფის-ძეთაგანი. მას უნდა ეწოდოს იმპერატორის მოადგილე და „საქართველოს მეფედ" იხსენიებოდეს. ამ მმართველის თანაშემწე უნდა იყოს რუსი დიდმოხელე, ქვეყნისათვის რიგისა და სამართლის მიცემა ორივე ამათი სახელით უნდა ხდებოდეს.

სამეფო საბჭოში, რომელიც ქვეყნის ადმინისტრაციულსა და სასამართლო უმაღლეს დაწესებულებას წარმოადგენდა, მომხსენებელთა პროექტით, უნდა შესულიყვნენ საქართველოს მმართველი, მისი თანაშემწე, სამი თავადაზნაური და საქართველოში მყოფ რუსთა ჯარის სარდალი. ამ დაწესებულების მდივნებად ნაგულისხმევი იყო ქართველი და რუსი მოხელეები.

ამავე პრინციპით უნდა მოწყობილიყო სამაზრო სასამართლოები, თბილისის პოლიცია თუ საბაჟოები. ყველგან მმართველობის სათავეში ქართველი თავადაზნაური იგულისხმებოდა, ხოლო რუს მოხელისათვის მეორე ადგილი იყო ნავარაუდევი.

მოხსენება არაერთ სხვა დებულებას შეიცავდა პრინციპული ხასიათისას. უპირველეს ყოვლისა ის ეხებოდა, ბუნებრივია, თავადაზნაურთა სამამულო მფლობელობის საკითხს და იცავდა დებულე-

ბას, რომ ის მიწა-ადგილი, რომელიც დღემდე კანონიერად ეჭირათ ბატონიშვილებს, თავადებს და აზნაურთ, ამიერიდანაც მათ უნდა დარჩეთ უცვლელად. კანონიერად ნაქონევი სამფლობელოს ჩამორთმევა შესაძლებელია. თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს უშიშროების ინტერესები, მაგრამ ამ შემთხვევაში მფლობელი უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს საბადლო ადგილ-მამულით.

მოხსენება სპეციალურად ეხება ქართული ეკლესიის ორგანიზაციის საკითხს და მის ხელშეუხებლობას იცავს.

მოხსენების ავტორებს საჭიროდ დაუნახავთ ცალკე დაესვათ საბატონო აზნაურთა საკითხი. ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ საკითხის გადასაწყვეტად წარმოდგენილი პროექტი უდავო მოწმობაა მის ავტორთა პროგრესული აზროვნებისა. ავტორებს საჭიროდ მიაჩნიათ ყმა-აზნაურები ჩამოერთვას მეფის ძეებს, თავადებს, ეკლესია-მონასტრებს და აღირიცხონ ისინი სახელმწიფო აზნაურებად.

ცალკე მუხლი აქვს მოხსენებაში დათმობილი ქართული რეგულარული ჯარის შექმნის საკითხს. ქართული მუდმივი ჯარის შექმნა, ავტორების აზრით, აუცილებლად საჭიროა. მაგრამ ჯარის-კაცთა გამოყვანა იმ წესით და იმ ხანგრძლივობით, როგორც ეს იმ დროს რუსეთში იყო მიღებული, ჩვენს ავტორებს საქართველოსათვის შეუწყნარებლად მიაჩნიათ. ამავე დროს პროექტის ავტორ ამ ქართველ ფეოდალებს არ ავიწყდებათ მათ მიერვე ნავარაუდევ ქართულ ჯარში ვიწრო წოდებრივი მომენტის გათვალისწინება: სულ სხვადასხვანაირია ამ ჯარში სამსახურის პირობები ამა თუ იმ წოდებიდან გამოსულ პირთათვის.

გლეხთა საკითხი მოხსენების ერთი ძირითად საკითხთაგანია. პროექტი, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ზრუნავს, რომ გლეხებმა არ ისარგებლონ შექმნილი ვითარებით მებატონეების ყმობისაგან თავის დასაღწევად. ქართული სამართლის მიხედვით ყმა მებატონეზე იყო მიმაგრებული. პროექტით ეს კანონი უცვლელად უნდა იქნეს დაცული. „აღთქმითა საშინელისა დასჯისათა", ე. ი. უსასტიკესად უნდა აეკრძალოს ყმებს თავისი ნებით დატოვება მებატონისა.

გლეხთა მოსახლეობის მოზიდვა-გამრავლების მიზნით პროექტი წინადადებას იძლევა აღდგენილ იქნას ერეკლეს კანონი ტყვეობიდან თავისი ნებითა და საშუალებით დაბრუნებულ გლეხთა თავისუფლების შესახებ.

საბატონყმო ურთიერთობის გაჯანსაღებას გულისხმობდა აგრეთვე ერეკლეს მიერ შემოღებული, ხოლო ამ დროისათვის უკვე გა-

უქმებული კანონის აღდგენა, მოხსენების ავტორები რომ მოითხოვდნენ: ამიერიდან გლეხის გაყიდვა ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ ოჯახთან და უძრავ ქონებასთან ერთად და არა ცალკე და უმამულოდ.

პროექტის ავტორთა სახელმწიფოებრივი აზროვნების მაჩვენებელია, როცა ისინი ითხოვენ გლეხთა განთავისუფლებას სახელმწიფო გადასახადებისაგან რამდენ ხანსაც კი ეს შესაძლებელი იქნება. მაგრამ მომხსენებელთა აზრით ეს არ კმარა იმისათვის, რათა ქართველი გლეხები „მოყუანებულ იქმნენ სრულს გლეხკაცობის მდგომარეობასა შინა", ე. ი. ეკონომიურად რომ წელში გაიმართნენ. ამ მიზნით, მათივე აზრით, საჭიროა რომ სახელმწიფო ჩაერიოს ბატონისა და ყმის ურთიერთობაში, უნდა „ებრძანოს მებატონეთა", რათა „მიბაძონ ხელმწიფეს" და თავიანთ ყმებს მძიმე საბატონო ვალდებულებანი შეუმსუბუქონ.

თავადაზნაურობის მსახურეული ფენისათვის დიდმნიშვნელოვან მომენტს შეეხება პროექტის ის მუხლი, სადაც წამოყენებულია მოსაზრება, რომ შერჩეთ ძველი „პატივი" (შესაფერისი პენსიონით) იმ ქართველ მოხელეებს, რომელნიც, რაიმე მიზეზის გამო, ამიერიდან სახელმწიფო სამსახურში აღარ იქნებიან.

დასასრულ, ცალკეა გამოყოფილი ჭარ-ბელაქნის საკითხი. პროექტის ავტორები მას საქართველოს საშინაო საკითხადა სთვლიან და საამისო საბუთიც მოაქვთ: ჭარ-ბელაქანი კახეთის მიწაა, მისი მოსახლეობაც კახურია, ოღონდ გამაჰმადიანებული. ავტორები აღნიშნავენ ჭარ-ბელაქნის საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოსათვის და მისი რადიკალურად გადაჭრის გზებს სახავენ.

ასე წარმოედგინა, ძირითადად, რუსეთთან შეერთების მომხრე დასს საქართველოს მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ეს შეერთება განხორციელდებოდა.

პროექტის ავტორები ხაზგასმით ითხოვდნენ ალექსანდრე ხელმწიფისაგან, რომ მას საქართველოს მიღება რუს ხელმწიფის ქვეშევრდომობაში საზეიმო—ოფიციალური ო რ მ ხ რ ი ვ ი  ა ქ ტ ი ს შექმნით დაემტკიცებინა.

**საქართველოს საკითხი და ალექსანდრე ხელმწიფე.** ალექსანდრე ხელმწიფემ საკითხი საქართველოს შემოერთების შესახებ სახელმწიფო საბჭოს ორგზის მიანდო გასარჩევად. საბჭომ იმპერატორს ამ ქვეყნის შემოერთების აუცილებლობა დაუსაბუთა. ალექსანდრე ეთანხმებოდა სახელმწიფო საბჭოს მიერ წარმოდგენილ საბუთიანობას, მაგრამ საქმის გადაწყვეტაში მაინც ყოყმანობდა. რუსეთის სა-

მეფო კარზე გრძნობდნენ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმე პავლე ხელმწიფის მიერ კანონიერად გაფორმებული არ იყო; არც საქართველოს ტახტის მაძიებელთა არზები, იმპერატორს რომ მოსდიოდა, მოწმობდნენ, რომ იქ ერთსულოვნობა სუფევდა რუსეთთან შეერთების საკითხში. ალექსანდრე ხელმწიფის უახლოეს მეგობართა შორის იყვნენ ისეთები (ანგლოფილები), რომელნიც ამ შემოერთებას არ ურჩევდნენ მას.

**კნორინგის მისია.** ამიტომ ქართველი ელჩების წარდგენამოხსენებანი უშედეგოდ დარჩა და ალექსანდრე ხელმწიფემ, სახელმწიფო საბჭოს რჩევით, კავკასიის ლინიის სარდალს გენერალ კნორინგს უბრძანა, რათა წასულიყო საქართველოში და გამოეკვლია: პირველი, შეუძლია თუ არა საქართველოს არსებობა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მეორე, მისი სურვილი—რუსეთთან შეერთებისა საერთო-სახალხოა თუ არა?

ეხლა უკვე კნორინგის ამ გამოკვლევისაგან იყო დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ბედი.

იმ ბრძანება-ინსტრუქციაში, რომლითაც საქართველოს გამოკვლევისას კნორინგს უნდა ეხელმძღვანელნა, ხელმწიფე, სხვათა შორის, ამ თავის მოხელეს სწერდა, რომ საქართველოს შემოერთება რუსეთის საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით ყოვლად ზართებულია და მთავრობაც დიდი ხანია ამ საქმეზე ფიქრობდა და მას სასურველად სთვლიდაო, მაგრამო, ურთავდა იმპერატორი, სამართლიანობა გვაიძულებს ანგარიში გაუწიოთ ქართველი ხალხის უფლებასო.

აგრე საგანგებოდ დამოძღვრილი კნორინგი 1801 წლის მაისში საქართველოს ესტუმრა. გენერალმა ლაზარევმა, საქართველოში რუსთა ჯარის უფროსად რომ იყო, ქართველი „თავკაცები" თბილისში იხმო და ისინი კნორინგს შეახვედრა. ამ საგანგებოდ შერჩეულ პირთა ცნობებზე ააგო კნორინგმა თავისი მოხსენება საქართველოს შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, კნორინგმა სწრაფად „გამოარკვია", რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა არ შეუძლია და რომ მისი რუსეთთან შეერთება მთელი ხალხის სურვილია.

კნორინგი ვერ მალავდა, რომ ქართველი თავადაზნაურების დიდ ნაწილს სურს, რათა საქართველოს შერჩეს ძველი ქართული მმართველობა საკუთარი მეფით, მაგრამო, აქვე ურთავდა ეს მოხელე, ქარ-

თველი თავადაზნაურობის „უფრო საფუძვლიანად მოაზროვნე“ ნაწილი მზადაა დათმოს საკუთარი პრივილეგიები და რუსეთის იმპერატორს შეუდგეს და რუსეთის მმართველობა მიიღოს.

კნორინგის მთელ ამ მოხსენებას „სამართლიანობასთან“, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არ ჰქონდა და გამიზნული იყო ამისათვის, რათა გარეგნულად მაინც გაემართლებინა ის ღონისძიება, რასაც აგრე დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის სამხედრო-ფეოდალური იმპერიის ინტერესები.

მართალი კი ის იყო, რომ მთელ ქართველ ხალხს რუსეთთან კ ა ვ შ ი რ ი მართლაც რომ სრულის გულით სურდა. მაგრამ სურდა სწორედ იმისთვის, რომ „გამოხსნა-აღდგომა“ მას „ქართველობით“ შეძლებოდა. ხოლო თუ როგორ ფორმებში წარმოედგინა ქართველ ფეოდალურ საზოგადოებას ეს კავშირი რუსეთთან, ამის მოწმობა იყო ერთის მხრით უმრავლესობის პოზიცია, რომელიც 1783 წლის ტრაქტატის დაცვას გულისხმობდა, ხოლო მეორეს მხრით ქართველი ელჩების მიერ წარდგენილი მოხსენება-პროექტი, რომელიც ქართული ფეოდალური საზოგადოების მეორე დიდი ნაწილის პოლიტიკურ შეხედულებათა გამოსახულება იყო.

როდესაც კნორინგი საქართველოში მოვიდა, მას აქ ტახტის მაძიებელთა შორის ბრძოლა დახვდა გაჩაღებული. დავით გიორგის ძე ტახტის მემკვიდრის სახელით ქვეყანას მართავდა და მის შემოსამტკიცებლად ცდას არ აკლებდა. რუსთა ჯარის სარდალი გენერალი ლაზარევი მას შველოდა. დავითს თავისი ბიძები, ტახტის მაძიებელი იულონი და მისი ძმები, შეევიწროებინა. ეს უკანასკნელნიც თავის მხრით ცდას არ აკლებდნენ და დარეჯან დედოფლის ხელმძღვანელობით დავითისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ ირაზმებოდნენ.

ახალმოსულ კნორინგს დავით გიორგის ძემ წერილობით მიმართა. ტახტის მემკვიდრე განმარტავდა: გიორგი მეფემ თავისი სამეფო პავლე იმპერატორს იმ პირობით „უმსხვერპლა“, რომ საქართველოს სამეფო ტახტი მის მემკვიდრეს დარჩებოდა. დავითი სთხოვდა კნორინგს მოციქულების გაგზავნის ნებართვას ალექსანდრე იმპერატორთან მისთვის საჭირო თხოვნის წარსადგენად და აგრეთვე იმის გასაგებად, თუ როგორ ისაქმეს ხელმწიფის კარზე ქართველმა ელჩებმა. დავით ბატონიშვილს ეჭვი ჰქონდა. როგორც ჩანს, აღებული, რომ ელჩებმა მას უღალატეს.

დავით გიორგის ძის ეს განცხადება-თხოვნა კნორინგმა უყურადღებოდ დატოვა: მალე მან დავითი სამეფოს მმართველობის საქმეს სულ ჩამოაშორა, ხოლო ყველა ის პოლიტიკური ღონისძიება,

გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრეს რომ გაეტარებინა, უკანონოდ სცნო და გააუქმა.

ამის შემდეგ ქვეყნის დროებითი მმართველობა კნორინგმა საგანგებოდ შერჩეულ ხუთ ქართველ თავადს და გენერალ ლაზარევს ჩააბარა.

ამჯერად კნორინგი საქართველოში სულ 22 დღეს იყო. ის სწრაფად დაბრუნდა პეტერბურგს და ნაჩქარევად შედგენილი ვრცელი მოხსენება საქართველოს შესახებ ივლისის დამლევს ალექსანდრე იმპერატორს წარუდგინა. გამოცდილი მოხელე სწორად მიუხვდა თავის მბრძანებელს და მოხსენებაც ისე შეადგინა, როგორც ეს იმპერატორისათვის სასურველი იყო. კნორინგი თავის ამ მოხსენებაში, როგორც აღვნიშნეთ, გულმოდგინედ ამტკიცებდა, რომ ქართლ-კახეთს დამოუკიდებელ სამეფოდ არსებობა მხოლოდ საკუთარი ძალებით არ შეუძლია და რომ ქართველი ხალხის საერთო სურვილია რუსეთის იმპერატორის უშუალო ქვეშევრდომობა და რუსეთის იმპერიის კანონების საქართველოზე გავრცელება, რომ, მაშასადამე, ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა მოითხოვდა ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებას და ამ ქვეყნის რუსეთთან შეერთებას.

**საქართველოს საკითხი სახელმწიფო საბჭოში.** ალექსანდრე იმპერატორმა ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა განსახილველად. ამასთან ერთად მეფემ საბჭოს წარუდგინა განსახილველად თავის უახლოეს მრჩეველთა იმ ჯგუფის წერილობითი აზრიც, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ გამოდიოდა. ეს ჯგუფი ამ ქვეყნის შემოერთებას რუსეთისათვის საზარალოდ თვლიდა, ხოლო მეფობის ჩამორთმევა ქართველ სამეფო დინასტიისათვის მას უსამართლობად მიაჩნდა.

აქვე, სახელმწიფო საბჭოში, ამ ხანებში შემოვიდა გრაფი მუსინ-პუშკინის მოხსენებაც. ამ მოხელემ ჯერ კიდევ გიორგი მეფის სიცოცხლის დროს იმოგზაურა საქართველოში პავლე იმპერატორის პირადი დასაქმებით და რიგი მოხსენებით უსაბუთებდა თავის მბრძანებელს, რომ საქართველოს რუსეთთან შემოერთება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად ფრიად ხელსაყრელი იქნება რუსეთისათვის და რომ ამავე დროს ასეთი აქტი ქართველი ხალხის ყველა ფენის გულწრფელი სურვილია. თავისი ეს აზრები მუსინ-პუშკინმა ეხლა ერთი მთლიანი მოხსენების სახით წარმოუდგინა სახელმწიფო საბჭოს.

სახელმწიფო საბჭომ რვა აგვისტოს სხდომაზე საქართველოს საკითხის გარშემო საბოლოო დასკვნა გამოიტანა, რაც ალექსანდრე

ხელმწიფემ დაამტკიცა. გადაწყდა, რომ ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების გაუქმება და ამ ქვეყნის რუსეთთან შემოერთება არ შეიცავს რაიმე უსამართლობას, არამედ ეს იქნება ამ ქვეყნის ხსნა, ხოლო რუსეთისათვის ის წარმოადგენს არსებითი ხასიათის სარგებელს.

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შედგენილ იქნა მანიფესტი, რომელიც 12 სექტემბერს გამოქვეყნდა კიდევაც.

**ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტი.** ალექსანდრეს მანიფესტი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მისი პირველი ნაწილი იმის დამტკიცებას ისახავდა მიზნად, რომ ქართლ-კახეთს დამოუკიდებელ სამეფოდ არსებობა არ შეუძლია, რომ ქვეყანა უბედურებათა უფსკრულის კიდეზე დგას და უთუოდ გადაიჩეხება კიდევაც, თუ სამართლიანი ხელისუფლების ძლიერმა ხელმა არ იხსნა ის ამ დაღუპვისაგანო. ამიტომაც იყოვო, რომ ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ ჩემამდე ერთხმად მომართა რუსეთის მთავრობას, რათა მიეღო მას საქართველო თავისი უშუალო მმართველობის ქვეშო. ამჯერად ქართველი ხალხის ეს იმედი გაცრუებული არ იქნებაო.

მანიფესტის მეორე ნაწილი საზეიმო განცხადებით იწყებოდა იმის შესახებ, რომ „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის ისედაც მსოფლიოში უდიდესი იმპერიისა ვიღებთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთსო,—მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონისმიერი დაცვა".

აქვე იმპერატორი იუწყებოდა, რომ ამ საქმისათვის საქართველოს მთავარმმართებლად მან დანიშნა გენერალი კნორინგი; რომ ხელმწიფის მითითებათა საფუძველზე ის საქართველოში შემოიღებს მმართველობას, რომლის მონაწილენი აგრეთვე ღირსეული ქართველებიც იქნებოდნენ. ალექსანდრე ხელმწიფე იმედოვნებდა, რომ ამ ახალი მმართველობის წყალობით საქართველო თავდაპირველად მშვიდობას და უშიშროებას მოიპოვებდა, ხოლო შემდეგ კეთილდღეობასა და სიუხვეში შევიდოდა.

მანიფესტი საგანგებოდ აღუთქვამდა ქართველ ხალხს, რომ ქვეყნის შემოსავალი მისივე საჭიროებას მოხმარდებოდა,—მმართველობის შენახვას და დანგრეულ-აოხრებულ ქალაქების თუ სოფლების აღდგენას, რომ საქართველოში თითოეულ პიროვნებას მტკიცედ შერჩება თავისი საზოგადოებრივი უპირატესობანი, სარწმუნოების თავისუფალი აღიარება და საკუთრების ხელშეუხებლობა.

მანიფესტი საგანგებოდ აღუთქვამდა ქართველ ბატონიშვილებს, რომ მათ შერჩებათ თავისი საუფლისწულოები, ოღონდ კი იმპერატორისადმი ფიცით ნაკისრი მოვალეობის დამცველნი იყვნენო.

დასასრულ, მანიფესტი ქართველი ხალხისაგან ერთგულობის ფიცს მოითხოვდა.

**რუსული მმართველობის დებულება.** იმავე დღეს, ე. ი. 12. IX 1801 წელს იმპერატორმა დაამტკიცა დებულება საქართველოს ახალი მმართველობისა. ეს მმართველობა შემდეგნაირი უნდა ყოფილიყო:

საქართველოში უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენდა მთავარმართებელი, რომელიც ამავე დროს იმიერკავკასიისა და საქართველოში მყოფი რუსთა ჯარის მთავარსარდალიც იყო. მთავარმართებელს ექვემდებარებოდა საქართველოს მმართველი, რომელიც პირველის თანაშემწედ ითვლებოდა სამოქალაქო საქმეების ხაზით. მთავარმართებელს ექვემდებარებოდა აგრეთვე საქართველოს უზენაესი მთავრობა.

საქართველოს უზენაესი მთავრობა ოთხ ექსპედიციად იყოფოდა: 1. აღმასრულებელი, 2 .სამოქალაქო, 3. სისხლის სამართლის და 4. სახაზინო საქმეთა.

აღმასრულებელი ექსპედიციის თავმჯდომარედ საქართველოს მმართველი ითვლებოდა, ხოლო წევრებად ორი მრჩეველი, რომელთაგან ერთი რუსი მოხელე უნდა ყოფილიყო, მეორე კი ქართველი თავადი. ამ ექსპედიციის საქმეს შეადგენდა ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველობა, კანონდებულებათა გამოქვეყნება და მათი შესრულების უზრუნველყოფა.

სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციის უფროსი რუსი მოხელე იყო, ხოლო ექსპედიციის წევრებად ოთხი მრჩეველი ითვლებოდა, ესენი ქართველი თავადები იყვნენ. ეს ექსპედიცია განაგებდა წოდებათა უფლებისა და ურთიერთობის საქმეს. კერძო სა-

კუთრების თუ ქონების საქმეს, სამოქალაქო სარჩელის საქმეს და სხვ.

სისხლის სამართლის ექსპედიციის უფროსი რუსი მოხელე იყო, ხოლო ექსპედიციის წევრებად ოთხი მრჩეველი ითვლებოდა, ესენი ქართველი თავადები იყვნენ. ამ ექსპედიციის საქმეს სისხლის სამართალი შეადგენდა.

სახაზინო საქმეთა ექსპედიციის უფროსი რუსი მოხელე იყო, ხოლო ექსპედიციის წევრებად ოთხი მრჩეველი. ესენი ქართველი თავადები იყვნენ,—ორი ქართლიდან, ორიც კახეთიდან. ამავე ექსპედიციის წევრად ითვლებოდა გუბერნიის ხაზინადარი. სახაზინო საქმეთა ექსპედიცია ფინანსიურსა და ეკონომიურ საქმეებს განაგებდა.

საქართველოს მმართველი, ექსპედიციათა უფროსები და მრჩეველნი საქართველოს უზენაესი მთავრობის წევრები იყვნენ. მთავრობის საერთო კრებას მთავარმართებელი თავმჯდომარეობდა ან, მის არ ყოფნისას, საქართველოს მმართველი. მთავრობის საერთო კრება ისეთ განსაკუთრებულ საქმეებს იხილავდა, რომელთაც კოლეგიური გადაწყვეტა სჭირდებოდა.

ასეთი ხასიათის საქმეებს გარდა თითოეული ექსპედიცია თავის საქმეს ცალკე და დამოუკიდებლად უძღვებოდა.

თავის საქმიანობაში აღმასრულებელი ექსპედიცია რუსეთის საგუბერნიო სამმართველოების წესებით ხელმძღვანელობდა, ხოლო დანარჩენი ექსპედიციები, თითოეული—შესატყვისი პალატის წესების საფუძველზე.

ადმინისტრაციული დანაწილების მხრივ ქართლ-კახეთი ისევ ერთ გუბერნიად რჩებოდა, როგორც ამას პავლე ხელმწიფის განკარგულება გულისხმობდა, თუმცა ეს ეხლა „გუბერნიად“ კი არა, ისევ „საქართველოდ“ იწოდებოდა.

მთელი ქვეყანა ხუთ მაზრად და ხუთ დისტანციად იქნა დაყოფილი. მაზრები იყო: გორის, დუშეთის, ლორის, თელავის და სიღნაღის; დისტანციები იყო: ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილოს, ბამბაკის და შურაგელის. მაზრის ადმინისტრაციას საერობო პოლიცია შეადგენდა, ხოლო სასამართლო აპარატს—მაზრის სასამართლო.

საერობო პოლიცია თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან შედგებოდა. თავმჯდომარედ კაპიტან-ისპრავნიკი ინიშნებოდა—რუსი ოფიცერი, ხოლო წევრებად ქართველი თავადი ან აზნაური.

მაზრის სასამართლოც აგრეთვე სამი პირისაგან შედგებოდა: თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან. თავმჯდომარე რუსი მოხელე უნდა ყოფილიყო, ხოლო წევრებად ქართველი თავადი ან აზნაური.

სამაზრო სასამართლო სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა წარმოების პირველ საფეხურს წარმოადგენდა. ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან საქმეზე მას საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოჰქონდა, არამედ თავისი განაჩენი დასამტკიცებლად შესაბამ ექსპედიციაში შეჰქონდა.

სისხლის სამართლის საქმე რუსეთში მოქმედი საერთო კანონების საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო, ოღონდ მთავარმართებელი და საქართველოს მმართველი უნდა ცდილიყვნენ, რათა ეს კანონები ქართველი ხალხის შეგნებისდაგვარად გაეწყოთ, ქართველი ხალხის სამართლის შეგნებისათვის დაეახლოვებინათ. სამოქალაქო სამართლის საქმე ფორმით რუსული წესით უნდა წარმართულიყო, ხოლო მისი გარჩევა ქართული კანონების საფუძველზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა ქართული კანონი ნაკლული ან შეუფერებელი აღმოჩნდებოდა, მოსამართლეს რუსული კანონი შეეძლო მოეშველებინა.

მაზრებში საფინანსო საქმე მაზრის ხაზინადრებს ებარათ. მუსლიმანებით დასახლებულ პროვინციებს,—ბორჩალოს, ყაზახს, ბამბაკს ქართველი მოურავები განაგებდნენ კაპიტან-ისპრავნიკის უფლებით. მათ თანაშემწედ ენიშნებოდათ რუსი მოხელე. ასეთივე იყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის მმართველობაც. ყარაბაღიდან ახალშემოსული სომხური მოსახლეობა მათივე მელიქების მმართველობაში რჩებოდა სასისხლო საქმეების გამოკლებით.

ქალაქში საპოლიციო მოვალეობანი კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ს ეკისრებოდა. თანაშემწეებად მას ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ჰყავდა. კომენდანტი რუსი ოფიცერი უნდა ყოფილიყო, ხოლო ნაცვლები—ქართველი თავადი ან აზნაური.

გარდა ამისა მთავარმართებელს უფლება ჰქონდა ქალაქში მ ა გ ი ს ტ რ ა ტ ი დაეარსებინა; მაგისტრატს ქალაქის ფარგლებში სასამართლო დაწესებულების ფუნქცია დაეკისრებოდა.

**რუსული დებულება და ქართული პროექტი.** საქართველოს შინაგანი მმართველობის ეს დებულება, ალექსანდრე იმპერატორის მანიფესტის საფუძველზე რომ იყო შედგენილი, და საქართველოს მმართველობის პროექტი, ქართველ ელჩებმა გიორგი მეფის სურვილის თანახმად შედგენილი ნოტის საფუძველზე რომ შეიმუშავეს,

ერთი მეორისაგან პრინციპულად განსხვავდებოდნენ. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ელჩების პროექტით საქართველო პოლიტიკურ არსებობას, თუმცა შეკვეცილი უფლებებით, მაგრამ მაინც რეალურად განაგრძობდა. ოღონდ რუსული სახელმწიფო სამართლის საფუძველზე. საქართველოს მმართველობა, ელჩების პროექტით, ქართული რჩებოდა ქართველი მმართველით და ქართველი უფროსებით სათავეში. რუსულ ელემენტს აქ მხოლოდ დამხმარე როლი ჰქონდა მიკუთვნებული. „საქართველოს შინაგანი მმართველობის დებულებით" კი საქართველოს მმართველობა ქართული აღარ იყო. ის რუსული იყო რუსი მმართველით და რუსი უფროსებით სათავეში და ქართულ ელემენტს აქ დამხმარე, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დებულებით საქართველო პოლიტიკურად აღარ არსებობდა. რეალურად ის რუსეთის გუბერნია იყო. ამ დებულებით „საქართველო" პოლიტიკური შინაარსისაგან დაცლილი ტერმინი და იყო და ის, მხოლოდ გარკვეული მოსაზრებით დატოვებული ჩანდა, როგორც დროებითი ზომა. ამდენადვე შეუფერებელი იყო, რომ „საქართველოს მმართველი" ეწოდებოდა იმ პირს, ვინც რეალურად გუბერნატორი იყო სამოქალაქო ნაწილში. ამ თანამდებობის ეს შეუფერებელი სახელწოდებაც პოლიტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი დროებითი ზომა იყო.

თბილისში ალექსანდრეს მანიფესტი 1802 წლის 12 აპრილს გამოქვეყნდა, ხოლო საქართველოს ახალმა მმართველობამ მოქმედება დაიწყო 1802 წლის 8 მაისიდან.

**საქართველოს შეერთება და ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარება.** საქართველოში რუსული მმართველობის გახსნამ საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე მშვიდობიანად ჩაიარა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1798 წელს დადებული კავშირი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ოსმალეთი ძვირად აფასებდა რუსეთთან კეთილგანწყობილებას და საქართველოს საკითხის გამო მასთან საქმის გართულებას ერიდებოდა. ნაპოლეონ ბონაპარტე ამ დროს რუსეთთან პოლიტიკურ კავშირს ეძებდა ინგლისის წინააღმდეგ და ამიტომაც მან ხმა არ ამოიღო ალექსანდრეს ამ აქტის გამო. ინგლისი ამიერკავკასიის საქმეში სპარსეთის ზურგს უკან იდგა. სპარსეთი, მართალია, საქართველოზე უფლებებს აცხადებდა და ამიერკავკასიაში რუსეთის შემოსვლას არ სცნობდა, მაგრამ ფათალიშაჰი ჯერ თავისი ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის შემომტკიცებას უნდებოდა და ამიერკავკასიის სახანოები მის ხელმწიფობას არც კი სცნობდნენ. ასე რომ რეალურად მას საქართველოზე ხელი არ მიუწვდებოდა.

**რუსული მმართველობის ხასიათი.** მმართველობის ის წესი, რუსეთის მთავრობის მიერ რომ იქნა საქართველოში შემოღებული, უცხო და გაუგებარი იყო ქართველი ხალხისათვის. სხვადასხვა იყო რუსი და ქართველი ხალხის კულტურა, სამართალი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების დონე. ამ დროის რუსეთი ბიუროკრატულ-ცენტრალისტური ბატონყმური სახელმწიფო იყო, საქართველო კი ჯერ ისევ ფეოდალურ-ვასალური ურთიერთობის ბატონყმური ქვეყანა. ამისდა შესაბამისად სხვადასხვა იყო რუსული და ქართული მმართველობის წესებიც. მართალია, XVIII საუკუნის საქართველოში უკვე იყო ცდები ამ სოციალ-პოლიტიკური ჩამორჩენილობის გადალახვისა, მაგრამ ეს ცდები ერეკლე II მარცხით დაუმთავრდა და საქართველო ისევ ძველ წყობილებას შერჩა. ეხლა რუსული მმართველობის შემოტანით, ისე გამოდიოდა, რომ საქართველო რუსეთის მთავრობას უნდა გამოეყვანა სოციალურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობიდან. მაგრამ მძიმე ის იყო, რომ რუსეთის მთავრობას არ შეეძლო ასეთი როლი ქართულად შეესრულებინა. თავის ამ საქმიანობაში რუსეთის მთავრობა საქართველოში ქართველი ხალხის ინტერესებიდან კი არ გამოდიოდა, არამედ ის მხოლოდ რუსეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებით ხელმძღვანელობდა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მთავრობის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს საქართველოში არ ახლდა ღონისძიებანი სამეურნეო-ეკონომიური ხასიათისა, რომელიც მყარ საფუძველს შეუქმნიდა ქართველთა საზოგადოებრივ წინსვლას. პირიქით, ამ მხრით რუსეთის მთავრობა ქართველ ხალხს მუდამ ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდა, რამდენადაც ამას რუსეთის მემამულეებისა და ვაჭარ-მრეწველთა ინტერესები მოითხოვდა. ასე რომ რუსული მმართველობის წესები შიშველ ადმინისტრირებად და შეუფერებელ შეუმზადებელ ღონისძიებად რჩებოდა და ნაძალადეობის ხასიათს ატარებდა.

მაგრამ ამ ძირითადი ხასიათის სიძნელეს თან ერთვოდა სხვა არანაკლები ხელისშემშლელი გარემოებანი. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთის მთავრობა იმისათვის მომზადებული არ აღმოჩნდა, რომ დაპყრობილ ქვეყანაში რუსული მმართველობის შემოღებისას საჭირო მოქნილობა გამოეჩინა და ქართველი ხალხის კულტურული თავისებურებებისათვის შესაფერისი ანგარიში გაეწია. საქართველოში გამოგზავნილ რუს მოხელეთა უდიდესი ნაწილი სრულიად შეუფერებელი იყო ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის. მთავარმართებელ-მთავარსარდლები საქართველოს ხშირად სრულიად არ იც-

ნობდნენ და არც მისი არსებითად გაცნობის სურვილი და უნარი ჰქონდათ. მათ არ უყვარდათ, ზოგიერთს სძულდა კიდევაც, ის ქვეყანა, რომელსაც მართავდნენ. მედიდურად ზემოდან დაყურებდნენ მას და ამ ქვეყნის ღირებულებას აღმოსავლურ სატრაპივით საკუთარი სამოხელეო ინტერესის თვალსაზრისით ზომავდნენ. ისინი არ სცნობდნენ საქართველოს საკუთარ ინტერესებს და ეს ქვეყანა რუსეთის სამხედრო-ფეოდალური იმპერიის უსახო ელემენტად მიაჩნდათ.

ამის შესაფერისი იყვნენ სხვა სამხედრო თუ საერო მოხელეები. მათაც უვიცობა და მედიდურობა ახასიათებდა. მაგრამ წვრილფეხა მოხელეობას, ხშირად უფრო დიდებსაც კი, სხვა „სათნოებაც“ სჭირდა: უზნეობა. მრუში, ლოთი და მექრთამე მოხელეები უკანონობა-უსამართლობის განსახიერება იყვნენ. ეს ხროვა ამ ქვეყანას მხოლოდ თავის საწველ ფურად უყურებდა. მალე მოხელეებს გვერდი დაუმშვენეს ახალი დროის ბასკაკებმა,—ქართველ-სომეხ მოიჯარადრე კომისიონერებმა.

გასაგებია, რომ ასეთი გენერალური ხაზით და ასეთი „შტატით“ პროგრესული საქმის დამახინჯება შეიძლებოდა მხოლოდ.

ამიტომაც იყო, რომ ალექსანდრე ხელმწიფის საზეიმო განცხადებანი, ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას რომ ლაღადებდა, ცარიელ სიტყვებად გამოიყურებოდა.

ამრიგად, საქართველო რუსეთთან კავშირს ეძებდა. ის ნებაყოფლობით ხელმწიფის საფარველში შევიდა და ცარიზმის „ხალხთა საპყრობილეში“ კი აღმოჩნდა. მაგრამ ქართველი ხალხის „გამოხსნისა და აღდგომისათვის“ ბრძოლის გზა ამის შემდეგაც რუსეთზე გადიოდა: ყველა სხვა გზა უარესი იყო და უპერსპექტივო. ქართველი ხალხის ბრძოლა ამიერიდან კიდევ უფრო რთულდებოდა, მაგრამ ეს ბრძოლა გამარჯვების იმედიანი იყო: საქართველო თავის „გამოხსნასა“ და „აღდგომას“, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ამ გზით მიაღწევდა.

**რუსული მმართველობა და ქართული სამეფო სახლი.** გადაწყვეტილებამ ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ ქართველი ფეოდალური საზოგადოება შეაშფოთა. ქართველმა ელჩებმა ამ გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება გამოთქვეს და იმპერატორს შესაფერისი არზა მიართვეს. პეტერბურგში მყოფმა

სხვა ქართველებმა სწრაფად აცნობეს თბილისში საქმის ვითარების შესახებ და თანამოაზრეებს სამოქმედოდ მოუწოდეს. დავით ბატონიშვილმა თავისი ძმის იოანესაგან, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტის პირი საიდუმლოდ მიიღო. იოანესავე რჩევით ტახტის მემკვიდრე დავითი იმპერატორისათვის მისართმევ არზაზე თავადებს ხელს აწერინებდა, რომ თავისთვის მეფობა ეთხოვნა.

ეხლა, რაკი საქართველოში რუსული მმართველობის შემოღება გადაწყდა, ბაგრატიონთა სახლის შვილების საკითხი კატეგორიულად დაისვა. ამიერიდან მათი საქართველოში გაჩერება საქმისათვის საზიანო იყო.

აქამდე ბატონიშვილები ორ ერთიმეორის მოქიშპე დასსა ქმნიდნენ. თავადაზნაურობის უმრავლესობა ტახტის მაძიებელს იულონ ერეკლეს ძეს უჭერდა მხარს. ამ დასს დარეჯან დედოფალი, ერეკლეს ქვრივი, მეთაურობდა. თავადაზნაურობის მეორე ნაწილი დავით გიორგის ძეს მომხრეობდა. ვიდრე კნორინგი 1801 წლის გაზაფხულზე საქართველოში ჩამოვიდოდა, ქვეყანას დავით გიორგის ძე განაგებდა, როგორც ტახტის მემკვიდრე, და რუსთა ჯარი გენერალი ლაზარევის სარდლობით მას შველოდა. დავითის მიერ შევიწროვებული იულონი და მისი ძმები ალექსანდრე და ფარნაოზი 1801 წ. 10 თებერვალს იმერეთში გადავიდნენ და იმერთა მეფეს—სოლომონ II შეეხიზნენ, რომელიც ქართლ--კახეთის ტახტისათვის ატეხილს ამ ბრძოლაში აქტიურად ერეოდა და მხარს იულონს უჭერდა. სოლომონმა სცადა სპეციალურად ეშუამდგომლნა ალექსანდრე ხელმწიფის წინაშე, რათა მას მეფობა იულონისათვის დაემტკიცებინა.

აქვე იმერეთს, სოლომონ მეფის კარზე, მივიდა ალექსანდრე ბატონიშვილიც.

მეფობის მოშლისა და რუსული მმართველობის შემოღების შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ერთი მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში გართული ბატონიშვილები თანდათან, თითქო გონს მოვიდნენო, მორიგდნენ, დაღუპული საქმის გამოსწორებას — მეფობის აღდგენას შეეცადნენ. ალექსანდრე ხელმწიფის კარზე საამისოდ საქმიანობის გვერდით მათ მიმართეს დახმარებისათვის მეზობელ ხანებს და სპარსეთის შაჰს.

მით უფრო შეუძლებელი იყო მათი საქართველოში დატოვება.

ყველაფერ ამას კარგად ითვალისწინებდა რუსეთის მთავრობა. ამიტომაც იყო, რომ ალექსანდრე ხელმწიფე, ერთსა და იმავე დროს, მანიფესტით, სათვალმჩენოდ, ბატონიშვილებს საქართველოში თავი-

სუფლად დატოვებას აღუთქვამდა, ხოლო მთავარმართებელ კნორინგს საგანგებო ინსტრუქციით ავალებდა, რათა ბატონიშვილები და მეფის მთელი ოჯახი „ნებაყოფლობით“ რუსეთში გამოეწვია.

ასეთი გადაწყვეტილების მაჩვენებელი იყო ის, რომ პეტერბურგში თავისი ნებით წასულ ბატონიშვილებს იოანეს, ბაგრატს, მირიანს და მიხეილს ეხლა საქართველოში დაბრუნების ნება აღარ მისცეს. ამ ბატონიშვილებს პენსიები გაუკვეთეს და ისინი სამუდამოდ საცხოვრებლად რუსეთში დატოვეს.

საქართველოდან რუსეთში ნებაყოფლობით გადასახლების სურვილი სამეფო სახლის წევრმა არავინ გამოიჩინა. აშკარა იყო, აქაც „ნებაყოფლობა“, ადრე თუ გვიან, ძალადობად უნდა შეცვლილიყო.

9 აპრილს 1802 წელს საქართველოს მთავარმართებელი კნორინგი, საქართველოს მმართველი კოვალენსკი და რუს-მოხელეთა ლეგიონი თბილისში შემოვიდნენ. ქართველი თავადაზნაურობა ეხლა საკუთარი თვალით ხედავდა, რაც აქამდე კერძო ცნობებით იცოდა,— რომ საქართველოში მეფობა მოიშალა და მის ნაცვლად რუსული მმართველობა შემოვიდა.

12 აპრილს ახალმოსულმა მთავრობამ ალექსანდრეს მანიფესტი გამოაცხადა და ხელმწიფის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებას შეუდგა.

მთავრობა კარგად ითვალისწინებდა ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილებას და ამიტომაც იყო, რომ კნორინგმა მანიფესტის მოსასმენად მოწვეულ ქართველ დიდკაცობას რუსთა ჯარის მჭიდრო ალყა შემოარტყა და ასეთ „საზეიმო“ ვითარებაში მას ხელმწიფის ერთგულობის ფიცის მიღება მოსთხოვა. თავადაზნაურობა შეშფოთებული იყო ამ ძალადობით, მაგრამ რამოდენიმე აქტიური პროტესტანტ-თავადის დაპატიმრებამ აღელვებული დიდკაცობა გონს მოიყვანა.

თბილისში იმპერატორის ერთგულების ფიცი მორჩილებით მიიღეს. ამის შემდეგ ასევე დააფიცეს მთელი ქვეყანა.

ქართლ-კახეთის სამეფოში მომხდარი ამბავის შესახებ კნორინგმა გარშემო ქვეყნებს აცნობა და მეგობრულ-მშვიდობიანი მეზობლობა აღუთქვა მათ.

**რუსული მმართველობა და ქართული ფეოდალური საზოგადოება.** ახალმა მმართველობამ მოქმედება 1802 წლის რვა მაისს დაიწყო.

მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობის დაწყება რუსულ მმართველობას საქართველოში. მტრულად და უნდობლად უყურებდა მას ქართველი ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწი-

ლი. სამეფო სახლის წევრთა ენერგიული აგიტაცია გარეშე და შინაურ ძალებს რაზმავდა ახალი წყობილების წინააღმდეგ. ეს აგიტაცია ნოყიერ ნიადაგს პოულობდა ქართველ თავადაზნაურობაში.

ბევრი რამ არ მოსწონდა ქართველ თავადს ამ ახალი წყობილებისა. ჯერ ერთი, სამეფოს მოშლასთან ერთად მოიშალა მეფის თუ დედოფლის კარიც და კარის მრავალრიცხოვანი დიდი თუ მცირე მოხელენი პატივსა და სარგოს მოკლებული აღმოჩნდნენ.

რუსული მმართველობა არა სცნობდა ფეოდალურ მოხელეს მისი საშვილიშვილო სამემკვიდრეო თანამდებობით. ასე რომ ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული სამემკვიდრეო უფლება ქვეყნის მართვაგამგეობაში გარკვეული სახით მონაწილეობისა ქართველი თავადის სახლს ერთბაშად ხელიდან ეცლებოდა. ეს იყო დიდი სოციალური მნიშვნელობის მოვლენა, მიმართული ქართულ ფეოდალურვასალური წყობილების წინააღმდეგ. ფეოდალური მოხელის ნაცვლად ქართველი თავადი, თუკი ის რუსულ მოხელეობას შერჩებოდა, უბრალო „კალმის კაცი“ ხდებოდა, რომლის კეთილდღეობა მისივე პირად გარჯაზე იყო მხოლოდ დამოკიდებული.

მაგრამ არც ეს რუსული მოხელეობა იყო ადვილსაშოვნელი. მართალია, რუსული მმართველობის შემოღებისას მოხელეთა რიცხვი გაიზარდა კიდევაც, მაგრამ ეს ახალი სამოხელეო თანამდებობანი უპირატესად რუს მოხელეებმა დაიპირეს და ძველ ქართველ მოხელეთა დიდი უმრავლესობა სამოხელეო თანამდებობათა გარეშე აღმოჩნდა.

ახალი მმართველობა რუსული იყო. თითოეულ დაწესებულებაში, უმაღლესიდან უდაბლესამდე, წამყვანი თანამდებობა რუს მოხელეს ეჭირა, ქართველებს კი მეორეხარისხოვანი როლი ეკუთვნოდათ. ასე რომ ამაყი ქართველი თავადი „მრჩეველი“ და ხელქვეშეთი უნდა ყოფილიყო რუსი მოხელისა, რომელიც, შესაძლებელია, უბრალო აზნაურიც კი არ იყო. ბუნებრივია, ქართველი თავადისათვის მმართველობის ასეთი წესი შეურაცხმყოფელი და საძულველი იყო.

სამმართველო აპარატში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული ქართველი თავადი სხვა მხრივაც შეურაცხყოფილი იყო. დაწესებულების უფროსი რუსი იყო და საქმის წარმოებაც რუსულად მიმდინარეობდა. ქართველმა თავადმა („მრჩეველმა“ თუ „მსაჯულმა“) რუსული ენა არ იცოდა და არც საქმის წარმოების რუსული წესისა გაეგებოდა რამ; დაწესებულების უფროსს კი ქართული არ ესმოდა და არც ქართული ცხოვრებისა გაეგებოდა რამე. ასეთ პირობებში ამ ქართველი „მრჩევლის“ ნაბჭობი იმ შემთხვევაშიაც კი უქმი

იყო, როცა ის უვიცი-უწიგნური თარჯიმანის საშუალებით უფროსის ყურამდე მიდიოდა. არსებითად კი მაზრაში საქმეს კაპიტან-ისპრავნიკი ერთპიროვნულად წყვეტდა, ხოლო თბილისში ექსპედიციის უფროსები ან, კიდევ უფრო, თვით საქართველოს მმართველი. ასე რომ დებულებით ნაგულისხმევი კოლეგიური მმართველობა, სადაც ქართველ თავადაზნაურობას, მართალია მეორეხარისხოვანი. მაგრამ მაინც გარკვეული როლი ჰქონდა მიკუთვნებული, პრაქტიკაში ერთპიროვნულ რუსულ მმართველობად იქცეოდა, საიდანაც ქართული ელემენტი არსებითად გაძევებული იყო. ეს ქართველი „მრჩეველ-მსაჯული“, ისე გამოდიოდა, თავისებური პენსიონერი იყო და ამ თავის „გასამრჯელოს“ იმისათვის იღებდა, რომ, უსაქმო, მდუმარედ მჯდარიყო და კაპიტან-ისპრავნიკის თვითნებობისთვის ხელი არ შეეშალა.

მაგრამ ახალი მმართველობით ქართველი თავადის შევიწროვება-შეურაცხყოფა ამაზე შორს მიდიოდა. ამიერიდან ის საკუთარ საბატონო-სათავადოშიაც აღარ იყო მეფის ყმა—ვასალი, ნახევარხელმწიფე. რუსული სამაზრო ხელისუფლება კაპიტან-ისპრავნიკის სახით ცისმარე დღე აგრძნობინებდა ამაყ თავადს, რომ მისი სათავადო შეუვალ ან ნახევრად-შეუვალ სამფლობელო კი აღარაა, არამედ ის ხელმწიფის ქვეშევრდომის, „პომეშჩიკის“ უბრალო მამულია, რომლის მოსახლეობაზე კაპიტან-ისპრავნიკს ამ თავადის დაუკითხავადაც მიუწვდება ხელი საპოლიციო-საადმინისტრაციო, საგადასახადო თუ სამოსამართლო ხაზით. კიდევ უფრო ის აშფოთებდა ქართველ თავადს. რომ კაპიტან-ისპრავნიკები მოსახლეობას უცხადებდნენ, რომ ქართული მოურავობა გაუქმებულია, რომ ამიერიდან მოურავობას თვით ისინი კაპიტან-ისპრავნიკები გასწევენ. ხშირად კაპიტან-ისპრავნიკები სოფლების მოვლისას საბატონო გლეხებს უცხადებდნენ, რომ ისინი სახაზინოდ არიან შერაცხილნი და ამიერიდან თავიანთ ყოფილ მებატონეებს არ უნდა ემორჩილებოდნენ და არც უნდა ემსახურებოდნენ.

გასაგებია, რომ ქართველი თავადი აჯანყდა ამ ახალი წყობილების წინააღმდეგ და ძველი ქართული სამეფოს აღდგენისათვის, ქართველი მეფის დაბრუნებისათვის თავი გამოიდო. ძველი ქართული სახელმწიფო წყობილება ქართულ თავადურ-ბატონყმური წყობილების შესაფერისი იყო, ის ამ წყობილების შენამოქმედი იყო, ხოლო ქართველი მეფე ქართველი თავადის საკუთარი მეფე იყო. და ბუნებრივია, რომ ქართველმა თავადმა ხელი გამოიღო თავისი მეფის დასაცავად, სამეფოს აღსადგენად. ამით ქ ა რ თ ვ ე ლ ი თ ა ვ ა დ ი ს ა კ უ თ ა რ ს ო ც ი ა ლ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ უ პ ი რ ა ტ ე ს ო-

ზას იცავდა იმ საფრთხისაგან. რომელიც მას რუსული ცენტრალისტური სახელმწიფო წყობილების სახით დამუქრებოდა.

**პირველი გამოსვლა.** ჯერ კიდევ სამი თვე არც კი გასულიყო რუსული მმართველობის გახსნის დღიდან. რომ მის წინააღმდეგ „აჯანყება“ დაიწყო.

მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა იყო. ქვეყანას ოთხი ათასი ლეკი მცირე დასტებად შესეოდა ახალციხისა თუ ჭარ-ბელაქნის მხრიდან და მას სასტიკად აჩანაგებდა. რუსთა ჯარი ქვეითი იყო და მარბიელ ლეკთა მხედრობის ეფექტური დევნის საშუალება მას არ ჰქონდა.

ამავე დროს ბატონიშვილები ენერგიულად მოქმედებდნენ. იულონ და ფარნაოზი იმერეთში ირაზმებოდნენ და ლეკ-ოსმალთა ლაშქრით ქართლში შემოჭრას იმუქრებოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთის ყაენისათვის მიემართნა და მისგან დახმარების იმედი მიეღო. ალექსანდრე ერევნის მხარეს იდგა. თავის თანამოაზრეებს საქართველოში წერილებსა სწერდა და შესაფერ დროს ყაზახ-ბორჩალოს მხრით „დიდროვანის ჯარებით“ შემოსვლას პირდებოდა; თეიმურაზ ბატონიშვილი სურამს თავის საუფლისწულოში იჯდა და გარშემო თავადებს ახალი მმართველობის წინააღმდეგ მოუწოდებდა; ვახტანგ ბატონიშვილი დუშეთიდან მთიულებსა და ოსებში საქმობდა და საქართველოს სამხედრო გზის ჩასაკეტავად ემზადებოდა.

სანუგეშო არც საგარეო ვითარება იყო. ჯავად-ხან განჯელი შამშადილუს იჩემებდა; შერიფ-ფაშა ახალციხელს თავისი ქვეყანა ლეკთა სადგურად ექცია და, რაც კი მოეხერხებოდა. რუსთა სამტროდ მოქმედებდა. სპარსეთის სარდალი ფირ-ყული ხანი ენერგიულად საქმიანობდა: ურთიერთის მომდურავი ხანები ერევან-ნახჭავნისა მას მოერიგებინა; ყარაბაღის ხანთან მოლაპარაკება გაემართნა. შაქი-შარვანის ხანების გატეხის იმედი ჰქონდა, რომ ისინიც რუსთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებდნენ. ფირ-ყული ხანი 4000 ერაყელ მოლაშქრეს ითხოვდა ყაენისაგან. რათა რუსები. ვიდრე ისინი ცოტანი არიან, საქართველოდან გაერეკნა.

ყველაფერ ამის აქტიური თანამოღვაწე ალექსანდრე ბატონიშვილი იყო.

შეთქმულების მოთავე დარეჯან დედოფალი თბილისში იჯდა და მთელს ამ საქმეს დიდის მოხერხებით ხელმძღვანელობდა.

1802 წლის ივლისის მიწურულს სამაზრო საერობო პოლიციის თვითნებობით შეშფოთებულმა კახელმა თავადებმა თხოვნით მიმარ-

 თეს იმპერატორს, რათა მათ არ მოშლოდათ ის სახელოები, ქართველ მეფეებისაგან რომ ჰქონდა წყალობად მიღებული. საქართველოს მმართველმა კოვალენსკიმ თავადების ეს თხოვნა ხელმწიფეს არ გაუგზავნა. მაშინ თავადებმა ასეთივე თხოვნით მიმართეს თვით მას. კოვალენსკის პასუხმა მთხოვნელები არ დააკმაყოფილა.

ამავე დროს ათასგვარი ხმები ვრცელდებოდა, ზოგი მართალი, ზოგი სიმართლის მსგავსი, ზოგიც ტყუილი,—რომ მეფის სახლის შვილები ყველანი რუსეთს უნდა გადაასახლონო, რომ შემდეგ თავადებიც და მთელი ხალხიცო, რომ აქ კაზაკები უნდა ჩამოასახლონო, რომ გლეხებს ორი წლის გადასახადი წინდაწინ უნდა გამოართვანო, რომ ქართველებიდან რეკრუტი უნდა გაიყვანონო.

მმართველობასა და თავადებს შორის უნდობლობა გაიზარდა. ბევრი თავადი ჭარში გაიქცა, სხვები კიდევ ალექსანდრე ბატონიშვილს ეახლნენ. მმართველობის განკარგულებით რამდენიმე თავადი და ქიზიყელი მამასახლისი დააპატიმრეს, ზოგიერთს კიდევ დასაპატიმრებლად მიუხდნენ. თავადებმა ამაში ახალი შეურაცხყოფა დაინახეს. ქართული სამართლის მიხედვით „ქელმწიფის უბრძანებლივ" თავადის დაპატიმრება არ იყო „მართებული".

ასეთ ვითარებაში 21 ივლისს კახელმა თავადებმა ფრიად არსებითი ხასიათის წერილით მიმართეს კოვალენსკის. ამ წერილის პირი მათ გაუგზავნეს გენერალ გულიაკოვსაც, რომელიც ამ დროს კახეთში განლაგებულ რუსთა ჯარს სარდლობდა.

თავადები წერილს ისტორიული ხასიათის შესავალით იწყებენ. საქართველო მცირე ქვეყანა ვართო. დიდი მტრები გვყვანდნენო: ხონთქარი, ყაენი, დაღისტანი. არავის თავი არ დაუდევითო იმიტომ, რომ წარმართები იყვნენო, ძალას გვატანდნენ, ზოგჯერ დაგვიპყრობდნენ კიდევაც, მაგრამ თავი მაინც არ დაუდევითო. ამიტომაც ამ მტრებმა „ჩვენში ვერც მოშალეს მეფობა, ვერც მოშალეს ეფისკოპოზობა, ვერც მოშალეს თავადობა, ვერც მოშალეს გლეხობა", ე. ი. ხელუხლებლად დავიცავით საკუთარი საეკლესიო თუ სოციალურ-პოლიტიკური წესწყობილებაო. მტრებისაგან შევიწროვებულებმაო, განაგრძობენ თავადები, ჩვენ ერთ-მორწმუნე რუსეთის საფარველს მივმართეთო. ჩვენი განზრახვა და იმედი ის იყო, რომ „ჩვენს მეფესაც პატივი და დიდება მომატებოდა, ეკლესიებსაც და ეფისკოპოზთაც, თავადთაც და გლეხთაც და უშიშროებაშიც ვყოფილიყავითო".

აქ უკვე წერილის ავტორები ამჯობინებენ არაფერი სთქვან იმის შესახებ, რომ ხელმწიფემ მეფობა მოშალა საქართველოში,—ხელმწიფის საყვედური მათ აშკარა აჯანყებად ჩამოერთმეოდა. ავტო-

რები ყრუდ აღნიშნავენ, რომ „ინება ჴელმწიფემ და საქართველო რუსეთს შეაერთა“ და ჩვენ მანიფესტი გვიბოძაო. ჩვენც მადლობა მოვახსენეთო. მაგრამო „რაც მოწყალება მანიფესტით გვიბრძანა, თქვენგან არ აგვისრულდაო, ამხელენ წერილის ავტორები ახალ მმართველობას: „უშიშროება გვიბრძანა, რაში ჩანს?—სოფლებს და სოფლებს გლეჯენ ლეკნი და არას ნაღვლობთ; ეკლესიების და ეფისკოპოზთ პატივის მომატება ბრძანა, თქვენ ყმა და მამული მთლად ჩამოართვით; თავადთ პატივის მომატება გვიბრძანა,—ჩვენ, რომელნიც ჩვენის ბატონებისაგან (ე. ი. ქართველ მეფეებისაგანო) პატივცემულნი ვიყავით და იქიდამ ვრჩებოდით, ის პატივი მოგვეშალა, ვისაც დიდის ღვაწლით და სისხლდათხევით სოფლები სახელოთ გვეჰირა, ის მოგვიშალეთ; გლეხს თორმეტს წელიწადს მოწყალება უბრძანა ხარჯის გამოურთმევლობისა; ჩვენის დაქცეულის ქალაქისა გვიბრძანა, რაც შემოსავალი მართებელთ ჯამაგირს გადარჩეს, დაქცეულის ქალაქის აღსაშენებლად დახარჯულიყო. ესეც არ მოხდა“...

შემდეგ წერილის ავტორები მართველობას უსაყვედურებდნენ თავადებისა და ქიზიყელ უფროსი კაცების დაჭერას, პროტესტს აცხადებენ, რომ თავადის დაპატიმრება ხელმწიფის უბრძანებლივ ხდება...

ერთი სიტყვით, კახელი თავადები ჩივიან მეფობის მოშლას. თავადების დამცირებას, მათი პატივის მოკლებას, ეკლესიის პატივის მოკლებას და გლეხთა შევიწროვებასაც კი.

**შეთქმულება კელმეჩურს.** ასეთი იყო ვითარება, როცა 25 ივლისს კახელი თავადების ერთმა ჯგუფმა—ანდრონიკაშვილებმა, ვაჩნაძეებმა, ჯანდიერისშვილებმა—და ქიზიყის ქევხა მამასახლისებმა მდინარე ლ ა კ ბ ე ს პირას ბოდბელი მიტროპოლიტი იხმეს და იულონ ბატონიშვილის მეფობაზე დაიფიცეს. მიღებულ გადაწყვეტილების შესახებ მათ მაშინვე აცნობეს ტახტის მაძიებელ ბატონიშვილს. აქედან შეთქმულთა ეს ჯგუფი სოფელ მაღაროსაკენ წავიდა და მდინარე კ ე ლ მ ე ჩ უ რ ი ს პირას მათ მაღაროელები იხმეს. მაღაროელ გლეხთაგან შეთქმულებს მხოლოდ მცირე ნაწილი დაეთანხმა და იულონის მეფობაზე ფიცი მიიღო. სხვებმა რუსთა წინააღმდეგობა არ ისურვეს. აქედან შეთქმულებმა კახელ თავად-აზნაურობას და ხალხს მოწოდებით მიმართეს. აცნობებდნენ, რომ მათ „ხელმწიფის ერთგულობაზედ დაიფიცეს და იულონის მეფობაზედ“, რომ გარდა ამისა მათ ერთპირობის ფიცი დასდეს, რათა მმართველობას ნება არ მისცენ ამ საერთო საქმის გამო ვინიმე დაპატიმრებისა:— „რომელიც კაცი დაიჭირონ, იმაზედ სისხლი დავთხიოთ ერთად“-ო,

აცხადებენ შეთქმულები. აქვე შეადგინეს მიმართვა კოვალენსკისა და ლაზარევისადმი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობეს მათ.

მალე ხელმწიფისათვის მისართმევი თხოვნაც მზად იყო, რომელსაც მრავალი ათეული კახელი თავადაზნაური და მაღალი სამღვდელო პირი ხელს აწერდა. „ჩვენი ვედრება ეს არისო"—სწერდნენ პეტიციონერები—„რომ ჩვენზედ მრავალგვარად გარჯილის და ღვაწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვით და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ".

**კახელ გლეხთა პოზიცია.** კახელი შეთქმულები კარგად გრძნობდნენ, რომ მათი საქმის წარმატებისათვის აუცილებელი იყო, რათა ამ მოძრაობაში კახელ გლეხებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. მაგრამ შეთქმულთა ცდამ ამ მხრით თითქმის სრულიად უშედეგოდ ჩაიარა. კახელ გლეხთა დიდი უმრავლესობა არ აყვა თავად-აზნაურულ გამოსვლას და ახალი მმართველობის ერთგული დარჩა.

ბატონიშვილების თვითნებობით, საკუთარი ბატონების ძალმომრეობით და ლეკთა თარეშით გაჩანაგებული ქართველი გლეხი სამართალს ეძებდა, ერეკლეს ან მის უკეთეს მეფეს ნატრობდა. ძლიერი რუსხელმწიფე მას ასეთად ეჩვენებოდა. მეფობის მოშლა და რუსული მმართველობის შემოსვლა ქართველ გლეხს იმედს უღვიძებდა, რომ ბატონიშვილებიც აილაგმებიან, რომ სხვა ბატონებსაც ხელები დაუმოკლდებათ, რომ ძლიერი რუსხელმწიფე მშვიდობიანობას და სამართლიანობას დაამყარებს. რუსული მმართველობის ცდები სახაზინო გლეხთა რიცხვის გამრავლებისა, კაპიტან-ისპრავნიკების ჩარევა ბატონისა და ყმის ურთიერთობაში, ყმისა და მისი მებატონის თანაბარი პასუხისმგებლობა კანონის წინაშე და, ბოლოს, იმედი, რომ ახალი მმართველობა („ხელმწიფე") რამოღენიმე წლით მათ გაათავისუფლებდა სახელმწიფო გადასახადებისაგან, ყველაფერი ეს ქართველ გლეხთა არჩევანს ახალი მმართველობის სასარგებლოდ სწყვეტდა.

ჯერ კიდევ მეტად მცირე ხანი გამოსულიყო რუსული მმართველობის შემოსვლიდან და ქართველ გლეხს ჯერ კიდევ სისრულით არ ეგემნა ამ ახალი მმართველობის სიავკარგე, ხოლო ძველი ქართული მმართველობის სიმწარე კი მას ცხოვლად ახსოვდა.

**თავადების მოძრაობის ხასიათი.** თავდაპირველად კახელი თავადების ეს მოძრაობა მშვიდობიანი ხასიათისა იყო. კახელ პეტიციონერებს იმედი ჰქონდათ, რომ ხელმწიფისათვის მათი თხოვნის მისართმევად დარეჯან დედოფალს პეტერბურგს წასვლა მოუხერხდებოდა. მეორე მხრით, კახელი თავად-აზნაურობა თავისი სათხოვარის შესახებ პეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძესა სწერდა და მას დახმარებას სთხოვდა.

მაგრამ რაც დრო გადიოდა და ხელისუფლება ამ მოძრაობის სალიკვიდაციოდ ზომებს იღებდა, შეთქმულებიც აქტიურდებოდნენ. თავადები ტყეებში იმალებოდნენ, კრებებს აწყობდნენ, გლეხებს მონაწილეობისათვის მოუწოდებდნენ და, სადაც არ გაუდიოდათ, მუქარა-ძალადობას მიმართავდნენ. ამავე დროს ხმები ვრცელდებოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შაჰის დიდი ჯარით რუსთა გასარეკად მოდის, ბევრი შეთქმულთაგანი ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა.

**ვახტანგ ბატონიშვილის პოზიცია.** ამასობაში მთავრობას ცნობა მოუვიდა, რომ შეთქმულები ვახტანგ ბატონიშვილს დაუკავშირდნენ და მას საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვა სთხოვეს.

დუშეთს მდგომი ვახტანგ ბატონიშვილი მართლაც საშიში იყო რუსული მმართველობისათვის. ის ამ მმართველობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის ცენტრში იყო და მის მონაწილეებს ურთიერთთან ოსტატურად აკავშირებდა. ვახტანგი გამუდმებულ მიმოწერაში იმყოფებოდა იულონთან იმერეთში. ალექსანდრესთან სპარსეთის მხარეს, დარეჯანთან თბილისში და ქართლ-კახეთის თავადებთან.

**მმართველობის ღონისძიებანი.** მთავრობამ გადამჭრელი ზომები სასწრაფოდ მიიღო. ალექსანდრე ბატონიშვილთან ლტოლვილ თავადების მამულები სახელმწიფოდ გამოცხადდა. შეთქმულთა წინააღმდეგ კახეთში გენერალი ლაზარევი წავიდა, ხოლო გენერალ ტუჩკოვს დუშეთიდან ვახტანგ ბატონიშვილის ჩამოყვანა დაევალა.

3 აგვისტოს ლაზარევი უკვე ქიზიყს იყო. მან აქედან მოწოდებით მიმართა შეთქმულებს და მათ თავისთან გამოცხადება უბრძანა. 3—6 აგვისტოს შეთქმულთა დიდი უმრავლესობა მორჩილებით მოვიდა. ლაზარევის ბრძანებით შეთქმულებმა იულონის მეფობაზე ფიცი უარყვეს და ახალ ხელისუფლებას ერთგულობა შეფიცეს. 10 აგვისტოს ლაზარევი თბილისს დაბრუნდა. სწორედ ამავე დღეს, 10. VIII, ვახტანგ ბატონიშვილი გენერალ ტუჩკოვს დანებდა.

**თავადების გამოსვლის მარცხი. ამის მიზეზები.** ასე უსახელოდ და უშედეგოდ ჩაიარა ამ თავადაზნაურულმა პოლიტიკურმა გამოსვლამ. და ეს იმიტომ, რომ ეს მოძრაობა ქართველი საზოგადოების ფართე მასისათვის პოპულარული არ იყო. ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესული იდეის გამტარებლად ქართველი თავადობა არ გამოდგებოდა. ის, როგორც კლასი, დიდი ხანია, პატრიოტულ-პროგრესული აღარ იყო. ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესულ იდეაში ქართველი თავადები რეაქციულ შინაარსს, თავადურ-ვასალური წყობილების შენარჩუნების იდეას სდებდნენ, რაც ქართველი ფართე საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ამიტომაც ქართველი გლეხი არ გაყვა თავის ბატონს რუსული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს თავადაზნაურული მოძრაობაც გაირიყა.

ამ მოძრაობის დამარცხებას, ბუნებრივია, საქართველოში ქართულ სამეფო სახლის წევრთა ლიკვიდაცია უშუალოდ უნდა მოყოლოდა და მოყვა კიდევაც.

ამ ამოცანის შესრულება წილად ხვდა ახალ მთავარმართებელს ც ი ც ი ა ნ ო ვ ს.

**კნორინგ-კოვალენსკის მმართველობის დახასიათება.** კნორინგმა და კოვალენსკიმ რუსეთის მთავრობის იმედები ვერ გაამართლეს.

მმართველობის რუსული წესი, რუსეთის მთავრობამ საქართველოში რომ შემოიღო, ბუნებრივია, დიდ დაბრკოლებებს ხვდებოდა. ქართველი ხალხისათვის ის სრულიად უცნაური და გაუგებარი იყო. ახალ მმართველებს, ამიტომ, დიდი ტაქტი სჭიროდათ, რომ ასეთ ვითარებაში საქმეს წარმატებით გასძღოლოდნენ.

რუსეთის მთავრობა სწორად ითვალისწინებდა ამ საქმის სირთულეს და აქ მოვლინებულ მოხელეებს საგანგებოდ ფრთხილსა და წინდახედულ მოქმედებას ავალებდა. რუსი მმართველების უმრავლესობა კი საამისოდ სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ეს მოხელენი არ ცდილან, რათა მმართველობა ქართველი ხალხისათვის დაეახლოვებინათ, მის ხასიათს, ჩვევებს, შეხედულებებს გასწყობოდნენ. ასეთ რასმეს ისინი საჭიროდაც არ სთვლიდნენ. მათი აზრით ქართველი ხალხი იყო რუსული მმართველობისათვის გაჩენილი და არა ეს მმართველობა ქართველი ხალხისათვის.

ბუნებრივია, ხალხი, და უპირატესად მისი ფეოდალური ფენა, „განსაკუთრებული მფარველობის“ ნაცვლად განსაკუთრებულ შეურაცხყოფას და იმედის გაცრუებას ხედავდა.

საჩივრები არ წყდებოდა. ბატონიშვილები უსარჩოობას ჩიოდნენ, თავადები—სახელოების ჩამორთმევას, პირად შეურაცხყოფას, ყველანი—უსამართლობას, რუს მოხელეთა თავგასულობას და მათ მიმხვეჭელობას.

პეტერბურგიდან საგანგებოდ მოვლინებულმა მოხელემ აგრეთვე სავსებით დაადასტურა ასეთ პასუხსაგებ საქმისათვის კნორინგკოვალენსკის შეუფერებლობა და ალექსანდრე ხელმწიფემ 1802 წლის რვა სექტემბრის ბრძანებით ისინი თანამდებობიდან გადააყენა, ხოლო საქართველოს მმართველობის საქმე გენერალ ციციანოვს ჩააბარა.

**ციციანოვი.** გენერალი პავლე ციციანოვი ჩამომავლობით ქართველი იყო. პაპა მისი პაატა ციციშვილი რუსეთს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში გარდაიხვეწა. ანა ხელმწიფის დროს სხვა ქართველ გადმოხვეწილებთან ერთად პაატა რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა და იქვე დარჩა.

პავლე ციციანოვი რუსეთს დაიბადა. აღზრდა-განათლებით ის თუმცა სავსებით გარუსებული იყო, მაგრამ საქართველოს მაინც უფრო კარგად იცნობდა, ვიდრე სხვა რუსი მოხელე. ციციანოვი ამიერკავკასიაში ნამყოფიც იყო ჯერ კიდევ 1796 წელს, როცა რუსთა ჯარი ვ. ზუბოვის სარდლობით ამ ქვეყანაში სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობდა. გარდა ამისა ციციანოვს ნიჭიერი და ენერგიული სარდალის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში გართულებული საქმის მოსაგვარებლად და კავკასიაში რუსეთის მთავრობის პოლიტიკურ განზრახთა წარმატებისათვის ალექსანდრე ხელმწიფემ სწორედ ის გენერალი შეარჩია.

ახალი მთავარსარდალ-მთავარმართებელი თბილისში 1803 წლის პირველ თებერვალს მოვიდა.

**სამეფო სახლის წევრთა რუსეთს გადასახლების საკითხი.** ციციანოვს საქართველოში ფრიად რთული საქმეები სასწრაფოდ უნდა მოეგვარებინა. უპირველეს ყოვლისა ასეთი იყო ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გადასახლების საქმე. საამისო მტკიცე დავალება ციციანოვმა თვით ალექსანდრე ხელმწიფისაგან მიიღო, მაგრამ საქმის სირთულე იმაში იყო, რომ თავისი ნებით რუსეთს წასვლა არცერთ სამეფო სახლის წევრს არ სურდა, ხოლო ძალით გადასახლებას რუსეთის მთავრობა არასასურველად სთვლიდა და ასეთ რამეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ დაუშვებდა. ამ

ძალადობას რუსეთის მთავრობა, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არ ერიდებოდა, რომ თავისი ნებით დამორჩილებულსა და აგრე ერთგულად ნამსახურ სახლზე ძალადობა მას მიუღებლად ეჩვენებოდა,— არა, ეს მომენტი მას არ აწუხებდა. რუსეთის მთავრობა მხოლოდ იმას შიშობდა, რომ აშკარა ძალადობა მას სახელს გაუტეხდა და ამიერკავკასიის ხანები ასეთ უპიროსა და მოძალადეს აღარ ენდობოდნენ და მის მფარველობაში შესვლას აღარ ისურვებდნენ.

ჯერ კიდევ ციციანოვი იმიერკავკასიაში „ლინიაზე" იმყოფებოდა, როცა 1803 წლის 1 იანვარს მისგან გამოგზავნილი საგანგებო მოხელე საქართველოს მმართველ კოვალენსკისთან მოვიდა. მოხელემ ალექსანდრე ხელმწიფისა და მისი მეუღლე-დედოფლის წერილები კოვალენსკის მიუტანა დარეჯანისათვის გადასაცემად. ხელმწიფე და მისი მეუღლე დარეჯან დედოფალს რუსეთში სტუმრად იწვევდნენ. ციციანოვი უბრძანებდა კოვალენსკის, რათა ყოველი ღონე ეხმარა და დარეჯან დედოფალი დაუყოვნებლივ რუსეთს წასვლაზე დაეთათბირებინა.

დარეჯან დედოფლისათვის ძნელი არ იყო, რომ ამ უცნაური დაპატიჟების ნამდვილ აზრს მიხვედრილიყო. მან, რა თქმა უნდა, ხელმწიფესთან ხლების გამო სიხარული გამოსთქვა, მაგრამ ავადმყოფობა მოიმიზეზა და ამ საპატიო სტუმრობის სიამოვნება იმ დროისათვის გადასდო. როცა გამომრთელდებოდა.

თბილისში ჩამოსვლის უმალვე ციციანოვი ბევრს ეცადა დარეჯანისა და სხვა მეფის სახლის წევრების რუსეთში ნებაყოფლობით გასტუმრებას. მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო აღმოჩნდა.

**ვახტანგ და დავით ბატონიშვილების გადასახლება.** ამასობაში საქართველოში ხმები მოდიოდა, რომ ქართლ-კახეთიდან გადახვეწილი ბატონიშვილები იულონ, ფარნაოზ და ალექსანდრე ამ გაზაფხულსავე უცხო ჯარებით შემოიჭრებიან რუსთა გასადევნად და მეფობის აღსადგენად. ციციანოვმა ასეთ პირობებში დაყოვნება შეუძლებლად ჩათვალა და უკიდურეს ზომას მიმართა. 19 თებერვალს ციციანოვმა დავით და ვახტანგ ბატონიშვილები ძალით გაისტუმრა რუსეთისაკენ. კავკავამდე პატიმრები ძლიერი რაზმით გენერალმა ლაზარევმა მიაცილა.

ამის შემდეგ ციციანოვი დარეჯანს ეახლა. მაგრამ დედოფალი მართლა ავადმყოფი აღმოჩნდა და მისი გადასახლება ამის გამო ვადაიდო

**თეიმურაზ ბატონიშვილის გაქცევა.** ციციანოვის ამ მოქმედებამ ქართულ სამეფო სახლის აქტიური მომხრე თავადები შეაშინა. ბევრი მათგანი სამშობლოდან გადაიხვეწა. 25 თებერვალს თბილისიდან გაიქცა თეიმურაზ ბატონიშვილიც—გიორგი მეფის ძე. ის ბელაქანს ლეკებთან მივიდა, სადაც ამ დროს ბიძა მისი ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა.

მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა. ციციანოვმა ერთის მხრით ქართველ თავადაზნაურობას მოუწოდა, მშვიდობა და პატივი აღუთქვა მათ, მეორეს მხრით გენერალ გულიაკოვს ჭარ-ბელაქანში ლაშქრობა უბრძანა.

**იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები.** ამავე დროს ციციანოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა იმერეთში გადახვეწილი იულონი და ფარნაოზი რუსეთს წასვლაზე დაეთათბირებინა. ქრთამიც ბევრი გაიღო ციციანოვმა და არც სხვა რამ ღონისძიება დაუკლია, მაგრამ არ იქნა, ეს ბატონიშვილები ვერ მოიყვანა. მით უფრო შეუძლებელი შეიქმნა ეს საქმე მას შემდეგ, რაც ვახტანგ და დავით ბატონიშვილები, რომელნიც სულ მუდამ იმპერატორის მზესა ფიცავდნენ, აგრე ნაძალადევად და უპატიოდ გაისტუმრეს „ხელმწიფის წყალობის მისაღებად“, ე. ი. გადასახლებაში.

იულონ ბატონიშვილი თავის წერილებში დიდის მჭერმეტყველებით და შეუვალი საბუთიანობით უმტკიცებდა ციციანოვს, რომ საქართველოში მეფობის უფლება მხოლოდ მას აქვს, რომ ქართველი ხალხის (რა თქმა უნდა, ამ ხალხის თავადაზნაურულ ფენის) ნებაც ასეთია და რომ საქართველოში ბაგრატიონთა სახლის მეფობის მოშლა ღვთისა და კაცის წინაშე უსამართლობაა. ეს იყო ჩამორჩენილის უსასო ჩივილი ისტორიის განაჩენზე, რომელიც ამ დასაღუპავად განწირულს სულთამხუთავის სახედ თავს წამოსდგომოდა.

**გულიაკოვის ლაშქრობა ჭარ-ბელაქანში.** ვიდრე ციციანოვი თბილისში სამეფო სახლის წევრებს აწიოკებდა, გენერალი გულიაკოვი ჭარ-ბელაქანში წარმატებით ლაშქრობდა.

საქართველოს მშვიდობიანობისა და მისი მოშენებისათვის ამ კუთხის დაპყრობა სრულიად აუცილებელი იყო. მისი შემოერთებით დაღისტნელების თარეში ამ მხრიდან სავსებით შეწყდებოდა. მაგრამ ასეთი თარეში დიდად შენელდებოდა ახალციხის მხრიდანაც, რადგან დაღისტნიდან ახალციხეს მისასვლელი მარჯვე გზა ჭარ-ბელაქნის დაპყრობით ლეკ აბრაგებისათვის დახშული აღმოჩნდებოდა. ამას გარდა

ჭარ-ბელაქანი მდიდარ კუთხედ ითვლებოდა. აქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა ძველიდანვე განთქმული იყო აბრეშუმის წარმოებით. ასე რომ ამ ქვეყნის შემოერთება აოხრებული საქართველოს მცირე შემოსავალს საგრძნობლად გაზრდიდა. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამჟამად ის იყო, რომ ჭარ-ბელაქანს დიდი გავლენა ჰქონდა ყველა იმ ღონისძიებათა წარმატებაზე, რომელთაც საქართველოს დამორჩილება-დაწყნარებისათვის რუსული ხელისუფლება მიმართავდა. ჭარ-ბელაქანში გარბოდნენ რუსული მმართველობის შემოღებით უკმაყოფილო ქართველი თავადები, აქვე დაიდვა ბინა ყველაზედ შეურიგებელმა და ყველაზედ ენერგიულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელიც არც თუ უშედეგოდ ცდილობდა, რათა ჭარ-ბელაქანი ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის მოწინააღმდეგე ძალთა ცენტრად გადაექცია.

**ქართველთა პოზიცია ჭარ-ბელაქნის საკითხში.** ქართველებს კარგად ესმოდათ ჭარ-ბელაქნის დამორჩილების დიდი მნიშვნელობა თავისი ქვეყნისათვის და ამიტომაც იყო, რომ მათ აგრე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ლაშქრობაში. გენერალი გულიაკოვის ლაშქარში 1800-მდე რუსი ჯარისკაცი ითვლებოდა და 4500 მოხალისე ქართველი. 9 მარტს 1803 წელს რუს-ქართველთა ჯარმა დაამარცხა ლეკთა ჯარი და სოფელი ბელაქანი დაიჭირა.

ბატონიშვილებმა ალექსანდრემ და თეიმურაზმა თავს გაქცევით უშველეს.

ჭარ-ბელაქნელებს შაქის ხანი გამოესარჩლა. მან თავი ამათ მოკავშირედ გამოაცხადა და ციციანოვს შუამდგომლობა შემოსთავაზა. მაგრამ ციციანოვის მიერ წარდგენილი პირობები ჭარ-ბელაქნელებმა არ მიიღეს და ომიც განახლდა. შაქის ხანმა ჭარ-ბელაქნელი მოკავშირე ბრძოლის ველზე მიატოვა და გაქცევით თავს უშველა. ამის შემდეგ ლეკებიც გატყდნენ და გულიაკოვის ლაშქარმა 29 მარტს ჭარი უბრძოლველად დაიჭირა. ლეკებმა მორჩილება განაცხადეს და თავისი უფროსი კაცები ზავის მისაღებად თბილისში გამოგზავნეს.

**ჭარ-ბელაქნის დამორჩილება.** ამ ზავის პირობებით ჭარ-ბელაქანი რუსეთის იმპერატორის საუკუნო ქვეშევრდომი ხდებოდა. ამას გარდა ის მოვალე იყო ყოველწლიურად ხარკი ეძლია საქართველოს მთავრობისათვის—220 ფუთი (=3520 კილოგრამი) აბრეშუმი. იმისათვის, რათა ეს ქვეყანა ამ პირობებს არ გადასულიყო და ამავე დროს საქართველოში დაღისტნელთა თარეში საბოლოოდ ალაგმუ-

ლიყო. ციციანოვმა ჭარ-ბელაქნის მისადგომებზე სამი გამაგრებული მუდმივი ბანაკი შექმნა: ალაზნის პირას—უ რ დ ო ს ფ ო ნ თ ა ნ. დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო ს დ ა ყ ა რ ა ღ ა ჯ ს.

**პირობების შეფასება.** ჭარ-ბელაქანთან ციციანოვის მიერ დადებული საზავო პირობები უკვე მოწმობდა, რომ რუსეთის მთავრობის ინტერესები საქართველოში ქართველი ხალხის ინტერესებს თუ ერთის მხრით ეთანხმებოდა, მეორეს მხრით მისგან არსებითად განსხვავდებოდა. ქართული ხელისუფლება. თუ კი ჭარ-ბელაქანს გასტეხდა, მასთან ასეთ საზავო პირობას ის არ დასდებდა. არამედ საქმეს ოსმალთა ხონთქრებისა და ერანშაჰების მზაკვრული პოლიტიკის ამ წყეული ნაყოფის ლიკვიდაციით დაიწყებდა. ეს იქნებოდა ნაძალადევად მიტაცებულ ამ ქართულ მიწაზე და მის ქართველ მოსახლეობაზე დამპყრობელ ლეკთა ჯამაათების ბატონობის მოშლა და იქ საქართველოს აღდგენა. ასეთი იყო ერეკლეს გეგმა. ამ საკითხის ასეთსავე გადაწყვეტას ითვალისწინებდა ქართველი ელჩების პროექტიც. ციციანოვს კი რუსეთის მთავრობის პოლიტიკა უკარნახებდა, რათა ჭარ-ბელაქანში ლეკთა ბატონობას ლოიალურად მოკიდებოდა, რომ. რა არის, მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნები არ დამფრთხალიყვნენ და ხანები რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ ადვილად შემოსულიყვნენ. ხანების მობირება და ამ გზით ამიერკავკასიაში სპარსეთის შაჰის პოლიტიკური დამარცხება ამ დროს უკვე რუსეთის მთავრობის სტრატეგიულ გეგმას შეადგენდა.

აი იმის გამო იყო, რომ მაშინ ეს ისტორიული უსამართლობა ჭარ-ბელაქანში არ გასწორდა.

ამის შემდეგ რამოდენადმე ყალბად მოისმის როგორც ციციანოვის ხმააწეული ღაღადისი, რომ საქართველოს ღმერთმა წყალობის თვალით მოხედა და ქართველებს მადლობა და სიხარული მართებსთ. ისე ალექსანდრე იმპერატორის კმაყოფილება იმის გამო, რომ „საქართველოს სამეფოს ეს ძველი საკუთრება“ რუსეთის იარაღის წყალობით მასვე დაუბრუნდა.

მაგრამ ქართველებს სიხარული მაინც მართებდათ. ჭარ-ბელაქნის ასეთი სახით დამორჩილებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მშვიდობიანი განვითარებისათვის.

როგორც აღნიშნული იყო, ჭარ-ბელაქნის დაპყრობისათვის ომში ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები ლეკთა მხარეზე იბრძოდნენ. აქვე იყვნენ ქართლ-კახეთიდან გადახვეწილი სხვა ქართველებიც. თუ რამდენად ყალბ მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა ეს დასი, ჩანს იქიდან, რომ

მის პირისპირ იდგა 4500 ქართველი მეომარი, რომელიც საქართველოს ნამდვილად ხსნის მიზნით თავისი ნებით ბრძოლის ველზე გამოსულიყო და რუსთა ჯარს გვერდში ამოსდგომოდა საქართველოს უსაშინელესი მტრის ბუდის მოსაშლელად.

**მარიამ დედოფლის გადასახლება რუსეთს.** 1803 წლის 19 აპრილს ციციანოვის ბრძანებით საქართველოდან რუსეთს ძალით გადაასახლეს გიორგი მეფის ქვრივი დედოფალი მარიამი შვილებით. ძალადობის ამ აქტს ტრაგიკული შედეგი მოყვა. მოკლულ იქნა გადასახლების ორგანიზაციის მეთაური გენერალი ლაზარევი. ამის გამო მარიამ დედოფალი რვა წლის განმავლობაში ბელგოროდის მონასტერში იყო გამოკეტილი და მხოლოდ ამის შემდეგ დართეს მას ნება მოსკოვში გადასულიყო .

**დარეჯან დედოფლის გადასახლება რუსეთს.** დიდხანს საქართველოში არც დარეჯან დედოფალი დარჩენილა. 1803 წლის 25 ოქტომბერს ისიც ძალით გაუყენეს სხვების კვალს.

ამრიგად, მეფის სახლის წევრებიდან ამის შემდეგ ქართლ-კახეთში აღარავინ იყო. დიდი უმრავლესობა რუსეთს იყო გადასახლებული, დანარჩენი კი, სამშობლოდან გადახვეწილი, თავს მეზობელ ქვეყნებში აფარებდა.

**იმერეთის სამეფო XIX საუკუნის დამდეგს.** XIX საუკუნის დამდეგისათვის იმერეთის სამეფო სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. სოლომონ I მხნე ბრძოლამ ოსმალთა წინააღმდეგ და მისმა ბრძნულმა საშინაო სახელმწიფო მოღვაწეობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ოსმალეთი უშედეგოდ ცდილობდა გაენაღდებინა ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატი, რომლითაც რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოზე და კერძოდ იმერეთის სამეფოზე სულტანის ბატონობას სცნობდა. ამ ბატონობის აღსადგენად წარმოებული ყველა ცდა ოსმალეთს მარცხით დაუმთავრდა და იმერეთის სამეფო XIX საუკუნის დასაწყისისათვის უკვე 40 წელზე მეტი იყო ოსმალეთის სულტანს აღარც ხარკს უხდიდა და ფაქტიურად მას აღარც ემორჩილებოდა. ქვეყანაში ტყვისსყიდვა შეწყვეტილიყო და არც ახალციხიდან ლეკთა თარეში აწუხებდა მას ძველებურად. ამასობაში იმერეთის სამეფო მოშენებულიყო და XIX საუკუნის დამდეგისათვის იგი ყველა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის უძლიერეს ერთეულს წარმოადგენდა.

მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება-უზრუნველყოფის მიზნით იმერეთის სამეფო ხელისუფლება ოსმალეთის შესაძლებელი აგრესიისაგან საბოლოოდ თავის დასაღწევ საშუალებას დაუცხრომლად ეძებდა. ამ მიზნით ჯერ კიდევ სოლომონ I XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის ხელმწიფეს ისეთსავე მფარველობას სთხოვდა. როგორიც 1783 წლის ტრაქტატით ერეკლე II მიიღო. მაგრამ რუსეთის მთავრობა ოსმალეთის წყენას მოერიდა და ასეთ მფარველობაზე სოლომონს უარი უთხრა. შემდეგ, როცა იმერეთის მეფის სახლში სოლომონის გარდაცვალებას ტახტის მაძიებელთა შორის ხანგრძლივი ბრძოლა მოჰყვა, თავადების ერთმა ჯგუფმა გაბედული გეგმის განხორციელება განიზრახა: იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების შეერთება ერეკლეს ხელში. იგულისხმებოდა, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი ერეკლე ამ აქტით იმერეთსაც ამავე მფარველობის ქვეშ შეიყვანდა. სხვადასხვა გარემოებათა გამო და, მათ შორის, ოსმალეთის რიდით ეს გეგმა უარყოფილ იქნა.

ბოლოს, ამავე მიზანს ემსახურებოდა ქართლ-კახეთის მეფესა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის დადებული საკავშირო ხელშეკრულება, რომელიც ამ კავშირში ერეკლეს ჰეგემონობას გულისხმობდა და მიმართული იყო იქითკენ, რათა რუსეთის იმპერატორის მფარველობა დასავლეთ საქართველოზედაც გავრცელებულიყო. ქართველმა მოკავშირეებმა მართლაც ითხოვეს პეტერბურგის კარზე ასეთი მფარველობა. მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

რაკი რუსეთის მთავრობა ოსმალეთის რიდით ოფიციალურ მფარველობაში იმერეთის მიღებას აგრე დაჟინებით გაურბოდა, 1791 წლის მიწურულს იმერეთის მეფემ რუსეთის ხელმწიფის კარს საიდუმლო კავშირი შესთავაზა. იმერეთის მეფის ელჩი სიმონ გაბაშვილი რუსეთის მთავრობას უთვალისწინებდა იმ სარგებელს, რაც ამ საიდუმლო მფარველობას რუსეთისათვის უნდა მოყოლოდა: რუსეთის მხრით დახმარებაში საიდუმლოდ დაიმედებული იმერეთის მეფე ოსმალეთისაგან ძალით დაიბრუნებდა ორივე მოკავშირისათვის აგრე საჭირო ნავთსადგურებს,—ფოთს და ბათომს. არც ეს ცდა დასრულდა სასურველად და იმერეთის სამეფო XIX საუკუნის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთის საბოლოოდ განსადევნად ისევ ღონეს ეძებდა.

ამავე დროს იმერეთის მეფე ენერგიულად ცდილობდა დასავლეთ საქართველოს სამთავროების—გურიისა და სამეგრელოს საბოლოოდ დამორჩილებას. სოლომონ I-დან დაწყებული იმერეთის მეფეებს გურიაში ფეხი მტკიცედ ჰქონდათ მოკიდებული და გურიე-

ლები სულ უფრო და უფრო მათგან დამოკიდებულნი ხდებოდნენ. ასევე ცდილობენ იმერეთის მეფეები სამეგრელოს მთავრის დამორჩილებასაც. იმერეთის მეფე აფხაზეთის სამთავროსაც თავისად უყურებდა ისევე, როგორც ფოთს, ბათომს და აჭარას. მაგრამ ყველა ამ საქმეში მის წარმატებას, გარდა საშინაო სიძნელეებისა, წინ ოსმალეთი ეღობებოდა.

ასეთ პირობებში ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი იმერეთისათვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო. ქართლ-კახეთის სამეფო ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ იმერეთს ზურგს უმაგრებდა.

სოლომონ I გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტისათვის დიდხანს ერთი მეორეს ებრძოდა ორი ბატონიშვილი—დავით გიორგის ძე—სოლომონის ბიძაშვილი და დავით არჩილის ძე—სოლომონის ძმისშვილი. საბოლოოდ ეს ბრძოლა ერეკლე მეფის აქტიური მონაწილეობით დავით არჩილის ძის გამარჯვებით დამთავრდა. დავით არჩილის ძე ანუ სოლომონ II ერეკლეს ქალის შვილი იყო და გაზრდილიც იყო ეს უფლისწული ერეკლეს კარზე. ასე რომ მის დაინტერესებულობას ქართლ-კახეთის სამეფოს ბედით ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებდა.

**ქართლ-კახეთის სამეფოს მოშლა რუსეთის მთავრობის მიერ და სოლომონ II.** ქართლ-კახეთის სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში, ერეკლეს მემკვიდრეებს შორის რომ იყო გამართული, სოლომონ II ცხოველ მონაწილეობას იღებდა და იულონ ბატონიშვილის მხარეზე იდგა. ეს უკანასკნელი 1801 წელს იმერეთში გაიხიზნა და სოლომონ მეფის აქტიური დახმარებით ცდილობდა ქართლ-კახეთში თავისი უფლება აღედგინა. აქვე იმყოფებოდნენ ფარნაოზ და ალექსანდრე ბატონიშვილები.

დარეჯან დედოფალთან ერთად სოლომონ მეფემ გონივრული გეგმა დააწყო. იმ დროს, როცა ტახტის მაძიებელი იულონ ბატონიშვილი და მისი ძმები იმერეთის მეფის კარზე იმყოფებოდნენ, სოლომონმა 1801 წლის ივლისში დარეჯანის მოსაშუალეობით რუსხელმწიფის მფარველობაში შესვლა ითხოვა. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ შუამდგომლობა სცადა იმპერატორის წინაშე, რათა ხელმწიფეს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი იულონისათვის დაემკვიდრებინა. ორივე ნაბიჯი მარცხით დამთავრდა. რუსეთის მთავრობა ამჯერადაც მოერიდა თავისი მოკავშირე ოსმალეთის საწყენს და იმერეთის მეფეს მფარველობაზე უარი უთხრა, ხოლო სოლომონის მოციქული, რომელიც იმპერატორთან მიდიოდა იულონისათვის მეფობის

გამოსათხოვად. კნორინგმა მოზდოკიდან უკან დააბრუნა და პასუხად სოლომონ მეფეს ალექსანდრე იმპერატორის მანიფესტი გამოუგზავნა, ქართლ-კახეთში მეფობის მოშლას რომ შეეხებოდა.

გასაგებია. რომ იმერეთის მეფე რუსეთის სახელმწიფო კარის მიმართ ამის შემდეგ განსაკუთრებით გაეჰვიანდა.

მაგრამ ამავე ხანებში სხვა ამბავიც მოხდა. რომელმაც სოლომონის ეჭვი და უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა. იმერეთში ამ დროს ცხოვრობდა სოლომონ მეფის მოქიშპის დავით გიორგის ძის ქვრივი ანა დედოფალი. მისი ვაჟი, ბატონიშვილი კონსტანტინე, სოლომონსა ჰყავდა წაყვანილი. უშვილო მეფეს ეშინოდა, რომ ეს ყმაწვილი მას ოდესმე ტახტს შეეცილებოდა და ამიტომაც ის მუხურის ციხეში ჰყავდა მას გამოკეტილი. ანა დედოფალმა კავშირი გააბა თბილისში რუსთა ჯარის სარდლობასთან და 1801 წლის ზაფხულზე მათ მიერ ხელის შეწყობით იმერეთიდან ქართლს გამოიქცა. მცირე ხნის შემდეგ ის პეტერბურგს გაემგზავრა. ალექსანდრე ხელმწიფეს წარუდგა და მას სოლომონ მეფის ხელიდან კონსტანტინეს გამოხსნა სთხოვა. ალექსანდრე ხელმწიფემ 1802 წლის გაზაფხულს საგანგებო მოხელე გამოგზავნა სოლომონ მეფესთან მოკითხვის წიგნით და კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლება იშუამდგომლა.

სოლომონ მეფეს ამ დროს თავს ეხვია რთული სახელმწიფო საკითხები. ერთის მხრით, მას უკვე კარგა ხანია ომი ჰქონდა სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანთან, რომლის საბოლოო დამორჩილება გადაეწყვიტა. ეხლა, 1802 წლის ზაფხულს. როცა ხელმწიფის მოციქული სოკოლოვი სოლომონთან მოვიდა. იმერეთის მეფე რაჭას იდგა და ლეჩხუმის დასაპყრობად სამხედრო მოქმედებას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს ის აქტიურად ერეოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეებში. ამიერკავკასიის ხანებთან და სპარსეთის ყაენთან მიმოწერას აწარმოებდა და მათ ქართლ-კახეთზე სალაშქროდ იწვევდა ერეკლეს სახლის უფლებათა აღსადგენად. სოლომონ მეფის ერთგული თანაშემწე და მრჩეველი ჭალალნიჭიერი დიპლომატი სოლომონ ლიონიძე სწორედ ამ დროს, ე. ი. 1802 წლის ზაფხულში, თბილისში წასულიყო და რთულ პოლიტიკურ საქმეებს ოსტატურად ხლართავდა.

ლიონიძემ საქართველოს მმართველი კოვალენსკი სულ ერთავად მოაჯადოვა. სოლომონ მეფის დიპლომატი ამ რუს მოხელეს ცხოვლად უთვალისწინებდა იმ ბრწყინვალე პერსპექტივას, როგორიც იმერეთის სამეფოს თავისი მფარველობის ქვეშ მიღებით რუსეთის მთავრობის პოლიტიკას ამიერკავკასიაში ელოდა.

ლეონიძე ამავე დროს არწმუნებდა კოვალენსკის, რომ იულონი და სხვა ბატონიშვილები რუსეთის ხელმწიფის ერთგულნი არიან და მათთვის ხელმწიფისაგან წყალობას ითხოვდა.

სოლომონ მეფისაგან ლეონიძეს სხვა დავალებაც ჰქონდა. მან კავშირი გააბა დარეჯან დედოფალთან, რომელმაც კვლავ აღძრა საკითხი სოლომონ მეფის მოყვანის შესახებ ხელმწიფის მფარველობაში.

ამავე დროს ლეონიძე დაუკავშირდა რუსული მმართველობით უკმაყოფილო კახ თავადებს, რომელნიც იულონის გამეფებას ითხოვდნენ. მეფე ატყობინებდა მათ მიმოწერის შესახებ, როგორიც მას ჰქონდა გამართული ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეების გამო ამიერკავკასიის ხანებთან და თვით სპარსეთის ყაენთან.

და ბოლოს. იმავე 1801 წლის ზაფხულზე თბილისში სოლომონ მეფის მეორე მოციქული როსტომ ნიჟარაძე მოვიდა და ოფიციალური წინადადებით მიმართა აქაურ ხელისუფალთ: სოლომონ მეფეს სურს შემოვიდეს რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში, ოღონდ იმ პირობით, რომ ქართლ-კახეთში იულონი გაამეფონ.

ასეთი ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენაზე სოლომონის მხრით სრულიად მართებული იყო. იმერეთის მეფე კარგად ხედავდა. რომ ქართლ-კახეთში მეფობის მოშლით იმერეთის სამეფოს არსებობას უდიდესი განსაცდელი ელოდა.

ამ პირობებში კონსტანტინეს გაშვება და რუსეთის მთავრობისათვის მისი გადაცემა იმერეთის სამეფოს მოშლის დასაწყისად სამართლიანად ეჩვენებოდათ.

**სოკოლოვის მოციქულობა სოლომონ მეფესთან.** ხელმწიფის ეს მოციქული იმერეთის მეფეს 1802 წლის 24 და 27 ივნისს წარუდგა. სოლომონ მეფე ამ დროს ხვანჭკარას იდგა რაჭაში. მეფესთან გამართული საუბრიდან ხელმწიფის მოციქულს შეეძლო დაენახა, რომ მისი მოსაუბრე ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებას კარგად იცნობდა. სოლომონ მეფემ იცოდა, რომ ოსმალეთი საფრანგეთისაგან განადგურებას ინგლისმა და რუსეთმა გადაარჩინეს. თუ ამათი დახმარება არ ყოფილიყო, სულტნის „უქმი დიდება" სულ გაქრებოდაო, ნაღვლიანად შენიშნავდა იმერეთის მეფე. სოლომონი უკმაყოფილო იყო რუსეთ-ოსმალეთის კავშირით. უკმაყოფილო იყო, რომ ოსმალეთი გადაურჩა განადგურებას და გულჩათხრობილი ამბობდა, რომ დროა, რათა ევროპა გაათავისუფლონ ამ ველურისაგან. რომლის ბარბაროსული ნაკვლევი იმერეთს დღემდე ვერ მოუშუშებიაო.

**იმერეთის მეფის პოლიტიკური გეგმები.** ამრიგად, XIX საუკუნის დამდეგს იმერეთის მეფეს სრულიად გარკვეული პოლიტიკური გეგმები ჰქონდა სამოქმედოდ დასახული. მისი მიზანი იყო გურია-სამეგრელო-აფხაზეთის დამორჩილება, ოსმალთა საბოლოოდ განდევნა დასავლეთ საქართველოს საზღვრებიდან,—აფხაზეთიდან, ფოთიდან, ბათომიდან, აჭარიდან. იმერეთის მეფეს არ მოსწონდა, ამიტომ, რუსეთ-ოსმალეთის კავშირი, რამაც ეს ძველი მტაცებელი დაღუპვას გადაარჩინა. მაგრამ იმერეთის მეფის პოლიტიკური გეგმების წარმატებას რუსეთის მთავრობა იმ მხრითაც ხელს უშლიდა, რომ მან მოშალა ქართლ-კახეთის სამეფო. რუსეთის მთავრობა არც ამას დასჯერდა და ეხლა ის იმერეთის საშინაო საქმეებშიაც ჩაერია: კონსტანტინე ბატონიშვილის წაყვანა მოისურვა, რომ საჭირო დროს გამოიყენოს ის იმერეთის მეფის წინაალმდეგ.

სოლომონ მეფემ ალექსანდრე ხელმწიფის მოციქული უარით გაისტუმრა.

* * *

**რუსეთის მთავრობის გეგმები.** როდესაც 1801 წელს რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის სამეფოს მოშლა საბოლოოდ გადაწყვიტა, მან ისიც კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასიის შუაგულში მოთავსებულ ამ მცირე ტერიტორიას ის ვერ დასჯერდებოდა. ამას მოითხოვდა მისი ფართე პოლიტიკური გეგმები ახლო აღმოსავლეთში. ამიერკავკასიაში გადმოსვლით რუსეთის მთავრობა სპარსეთსა და ოსმალეთს ერთსა და იმავე დროს უპირისპირდებოდა, ხოლო ამისათვის სრულიად საკმაო არ იყო ქართლ-კახეთის მცირე ტერიტორია, სადაც ეს ახალმოსული ძალა სულ თავდაცვის პოზიციაში უნდა დარჩენილიყო. ამიტომ ამ თავისი დასაყრდენის გაფართოება იმთავითვე იგულისხმებოდა. საამისოდ რუსეთის მთავრობას ძირითად ხაზებში შემუშავებული ჰქონდა უკვე მეზობელ ქვეყნების შემოერთების მტკიცე გეგმა, რომლის განხორციელება მას სრულიად აუცილებლად მიაჩნდა. ასეთი ტერიტორიის მოხაზვისას რუსეთის მთავრობა სარგებლობდა პეტრე I და ეკატერინე II გეგმებით, თანაც ალექსანდრეს მთავრობა თავის ამ პოლიტიკურ საქმიანობას ახლო აღმოსავლეთში პეტრესა და ეკატერინეს პოლიტიკას უკავშირებდა და ის ამ უკანასკნელთა პოლიტიკური გეგმების შესრულებად მიაჩნდა ახალ ვითარებაში.

რუსეთის მთავრობას საკმაო მასალა მოეპოვებოდა იმისათვის, რომ კარგად გაერკვია, თუ რას წარმოადგენდა კავკასიის მთების ეს გადმოღმა ქვეყანა. ჯერ კიდევ პეტრე I და ეკატერინე II დროს რუს-

თა ჯარის კავკასიის გადმოღმა ლაშქრობისას რუსეთის მთავრობამ კარგად დაინახა, რომ ეს ქვეყანა არ არის სპარსეთი ან ოსმალეთი, რომ ორივე ისინი აქ დამპყრობელები არიან. ერეკლე II და სოლომონ პირველის მოხსენებიდან რუსეთის მთავრობას შეეძლო სცოდნოდა, რომ ამიერკავკასიის დასავლეთი, დასავლეთ-სამხრეთი და ცენტრალური ნაწილები ქართული მიწებია (ერეკლე II ისტორიულ უფლებას აცხადებდა აგრეთვე არა ქართულ ტერიტორიებზე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში). არანაკლებ მასალას იძლეოდა ამიერკავკასიის სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის შესახებ სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეთა ჩვენებები.

და ყველაფერი ეს რომ არც ყოფილიყო, კავკასიონს გადმოღმა გადმოსულს ამ ახალ ძალას არ გაუჭირდებოდა თავისთვის საჭირო და აუცილებელი ტერიტორიის მოხაზვა. ბაქოსა და კასპიის ზღვის მთელ დასავლეთ სანაპიროს ჯერ კიდევ პეტრე I იჩემებდა, ხოლო ფოთს, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ეკატერინე II შეაწყვიტა რუსთა ჯარები ტოტლებენისა და სუხოტინის უნიჭო სარდლობით. ასე რომ ტერიტორია შავისა და კასპიის ზღვათა ამ „გასაღებებით" სრულიად „ბუნებრივად" მოხაზული გამოიყურებოდა—ბაქო—სალიანი—ფოთი და ამათ შორის ქვეყნები რუსეთის მთავრობის ან „მფლობელობაში" ან „მფარველობაში" უნდა გადასულიყო. რაც შეეხება სამხრეთის მიჯნას, ესეც მალე გაირკვა,—მაინც და მაინც ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილისათვის—მდინარე არაზი.

**აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები.** მთელი ეს ქვეყანა ორ ნაწილად იყოფებოდა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი სახანოებისაგან შედგებოდა. ეს იყო: ერევნის, ნახჭავნის, განჯის, ყარაბაღის, ბაქოს, შაქის, შარვანის და ყუბა-დარუბანდის სახანოები. ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად ეს სახანოები ძველად სპარსეთის შაჰს ემორჩილებოდნენ. ამ დროს კი ისინი, უკვე კარგა ხანი იყო, დამოუკიდებელნი იყვნენ. ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთი ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გაერთიანებულიყო და ბაბა-ხან ყაჯარს, ამ დროს რომ შაჰობას იჩემებდა, სპარსეთის ხელმწიფედ მრავალი სახანო არც კი სცნობდა.

**დასავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები.** ამიერკავკასიის დასავლეთში უზენაეს უფლებას მეორე დამპყრობელი, ოსმალეთის სულტანი, აცხადებდა. ამ დროს ოსმალეთიც მახრწნილდასუსტებული იყო, თუმცა სპარსეთთან შედარებით ის მაინც უფრო ძლიერი ჩანდა. დასავლეთ საქართველოში—გურია, სამეგრელო

და, განსაკუთრებით, იმერეთი ფაქტიურად აღარ სცნობდნენ სულტანის ბატონობას. შედარებით უფრო რეალური იყო ოსმალეთის ბატონობა სოხუმში, ფოთსა და ბათომში, სადაც სულტნის მეციხოვნეები იდგნენ,—და აგრეთვე საფაშოებში: ახალციხესა და ყარსში.

რუსეთის მთავრობა ინგლისის მოკავშირე ბაბა-ხანს თავის მოქიშპედ უყურებდა და არც მის პრეტენზიებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე ანგარიშს არ უწევდა.

**რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა XIX საუკუნის დამდეგს.** სულ სხვა გვარი იყო რუსეთის მთავრობის ოსმალეთთან დამოკიდებულება. ოსმალეთსა და რუსეთს შორის ამ დროს ჯერ კიდევ კავშირი გრძელდებოდა და რუსეთის მთავრობა ამ კავშირის ერთგული იყო. ოსმალეთი რუსეთისათვის საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა, ხოლო ამ დასუსტებული მეზობლის შენახვა და იქ თავისი გავლენის შენარჩუნება რუსეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა. აქ, ოსმალეთში ინგლისის გვერდით რუსეთის მოქიშპედ ძლიერი საფრანგეთი გამოდიოდა, რომელიც ცდას არ აკლებდა, რათა ოსმალეთი ან სულ დაეპყრო ან იქ განსაკუთრებული გავლენა მოეპოვებინა. ამის გამო იყო, რომ რუსეთის მთავრობა დიდის სიფრთხილით ცდილობდა ოსმალეთთან საზავო პირობების დაცვას, რათა მოკავშირე არ წასულიყო და მის მოქიშპეებს—საფრანგეთს ან ინგლისს არ მინდობოდა.

ამით აიხსნება, რომ კნორინგს უკრძალავდნენ იმერეთისა თუ სამეგრელოს რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შემოყვანისაკენ მიმართულ საქმიანობას, ხოლო ამავე დროს უწონებდნენ ერევნის ხანთან წამოწყებულ პოლიტიკურ მოლაპარაკებას, რომლის მიზანი იყო ამ ქვეყნის შემოყვანა რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში. რუსეთის მთავრობა კნორინგს უბრძანებდა დაეთათბირებინა ერევნის ხანი, რათა მას რუსთა რაზმი ერევანში მეციხოვნეებად შეეყვანა ბაბა-ხანისაგან თავის დასაცავად. ასეთსავე საქმიანობას უბრძანებდნენ კნორინგს განჯის ხანის მიმართაც.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობაზე საბოლოოდ ხელს იღებდა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის მთავრობა, სანამ მას ოსმალეთთან კავშირი ჰქონდა და რამდენადაც ამ კავშირის დაცვა მას საჭიროდ მიაჩნდა, მოკავშირის წყენას ერიდებოდა. ისე კი ამ ქვეყნების შემოერთება რუსეთის მთავრობის სამოქმედო გეგმაში სრუ-

ლიად გარკვეულად იდგა და მისი განხორციელება. ამრიგად, დროსა და პირობებზე იყო დამოკიდებული.

საიდუმლო ინსტრუქცია, რომელიც ციციანოვს ალექსანდრე ხელმწიფის სახელით მიეცა, გარკვევით მოხაზული იყო ის ტერიტორია, რუსეთის მთავრობის მფლობელობაში რომ უნდა გადასულიყო. ეს ინსტრუქცია, რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოს დაპყრობასაც ითვალისწინებდა. ოღონდ, ვიდრე სამისო ხელსაყრელი პირობა შეიქმნებოდა, ციციანოვს სტამბოლში რუსეთის მთავრობის ელჩისათვის უნდა ეცნობებინა. ეს უკანასკნელი სთხოვდა ოსმალეთის მთავრობას, რათა სულტანს დაეთმო თავისი ერთგული მოკავშირისათვის დასავლეთ საქართველოზე მფარველობის უფლება. რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ სულტანი ამ უფლებას დაუთმობდა მეგობარ ხელმწიფეს, მით უფრო, რომ რეალურად თავის ამ პატრონობას დასავლეთ საქართველოზე ის, კარგა ხანი იყო, ვეღარ ახორციელებდა.

რა თქმა უნდა, ამ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის ეს გეგმა რუსეთის მთავრობის ღრმა საიდუმლოება იყო და გარდა სახელმწიფო კარის ვიწრო წრისა და თვით ციციანოვისა ის არავინ იცოდა.

ოფიციალურად რუსეთის მთავრობა ყველას მეგობრობასა და მშვიდობას აუწყებდა, თითოეულს სპარსეთის შაჰისა თუ სხვა მოძალადეთაგან დაცვა-მფარველობას პირდებოდა. სამართლისა და პირიანობისათვის მებრძოლად თავი მოჰქონდა და მთელს საქმიანობას „ერთმორწმუნე" საქართველოსათვის უანგარო დახმარებად ასაღებდა.

**სოლომონ მეფე და გრიგოლ დადიანი.** 1789—1804 წლებში სამეგრელოს მთავრად იყო გრიგოლ კაციას ძე დადიანი. სოლომონ იმერთა მეფესა და დადიანს შორის დიდი ხანია უთანხმოება და ომი იყო გამართული. მეფე დადიანის პატრონობას იჩემებდა, დადიანი კი მეფის ყმობას არ კადრულობდა და თავი მის ტოლად მოჰქონდა. სოლომონს განზრახვა ჰქონდა სამეგრელო დაემორჩილებინა, გრიგოლი გაეძევებინა და დადიანობა მისი ძმისათვის მიეცა. ლეჩხუმი კი, რომელსაც დადიანი იჩემებდა, სოლომონს სურდა თავისთვის აეღო.

მეფე ბევრად ძლიერი იყო დადიანზე. შევიწროვებული დადიანი დახმარებას ხან აფხაზეთში ეძებდა, ხან ახალციხეში. ბოლოს, 1802 წლის მიწურულს მან მიმართა თავის ცოლისძმას დავით ბატონიშვილს თბილისში და მას რუსეთის ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობა სთხოვა. ასეთივე წერილით დადიანმა მიმართა—1802 წლის

20. XII—რუს მოხელე სოკოლოვს და აცნობა, რომ თუ მას ხელმწიფე არ დაიხსნის მოძალადე სოლომონ მეფისაგან, ის იძულებული იქნება ოსმალეთის სულტანის მფარველობა ეძებოს. სოკოლოვმა დადიანის წერილი ციციანოვს გაუგზავნა. ციციანოვმა ეს შემთხვევა კარგად გამოიყენა. მან დადიანს წერილი მისწერა და დაცდა ურჩია. მეორეს მხრით რუსეთის მთავრობის ელჩს სტამბოლში წერილი გაუგზავნა. ციციანოვი აცნობებდა ელჩს საქმის ვითარებას და საიდუმლო ინსტრუქციის თანახმად სთხოვდა მას, რათა ეშუამდგომლნა ოსმალეთის მთავრობის წინაშე მფარველობის უფლების დათმობა იმერეთზე, სამეგრელოზე და გურიაზე. აქვე ურთავდა ოსმალეთის მთავრობასთან სიტყვის ჩამოგდების სასურველობას ფოთისა და ახალციხის შესახებ.

*
* *

**ციციანოვის მისია დასავლეთ საქართველოში.** საქართველოში წამოსულ ციციანოვს ხელმწიფისაგან მტკიცე დავალება მიეცა, რათა კოსტანტინე ბატონიშვილი იმერეთის მეფის ხელისაგან გამოეხსნა. გარდა ამისა ის უნდა ცდილიყო, რომ სოლომონ მეფეს გაეცა მის კარზე შეხიზნული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები.

ვიდრე ციციანოვი სტამბოლელი ელჩისაგან პასუხს მიიღებდა, მას ალექსანდრე ხელმწიფის ბრძანება მოუვიდა. ხელმწიფე იმერეთისა და სამეგრელოს მიმართ მოქმედების თავისუფლებას აძლევდა თავის მოხელეს, დარწმუნებული იმაში, რომ ოსმალეთი ამ ფიქციური ყმებისათვის თავს არ გამოიდებდა. ამავე დროს ახალციხის დაჭერას უკრძალავდა მას, ის, როგორც მაჰმადიანური ქვეყანა, სულტანის კუთვნილებაა და უომრად არ დაითმობაო.

სოლომონ მეფის გასატეხად ციციანოვმა მრავალგვარ საშუალებას მიმართა. ჯერ იმპერატორის მოკითხვის წიგნი გაუგზავნა, სადაც ხელმწიფე „სიყვარულს“ და „მშვიდობას“ აუწყებდა გაეჭვიანებულ მეფეს. შემდეგ ქრთამი აამოქმედა და სოლომონ მეფის კარის კაცები, საერო და საეკლესიო თავადები, მრავლად გაიერთგულა. ხან კიდევ სამხედრო დემონსტრაციას მიმართა. ბოლოს საკუთარი მოხელე გაგზავნა და მეფეს კოსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლება კატეგორიულად მოსთხოვა. და სოლომონ მეფე, ოთხი თვის მოლაპარაკების შემდეგ, დაყვა ციციანოვის ნებას, კოსტანტინე ბატონიშვილი გაათავისუფლა და თვითონ ხელმწიფის საფარველში შესვლაც ითხოვა.

30/V 1803 წელს კოსტანტინე ბატონიშვილი თბილისს ჩამოიყვანეს. მას თან ჩამოჰყვა იმერეთის მეფის ელჩი სოლომონ ლიონიძე, რომელსაც პეტერბურგს ხელმწიფისათვის უნდა მიეტანა სოლომონ მეფის სათხოვრები.

სოლომონ მეფემ, უეჭველია, გრიგოლ დადიანისა და ციციანოვის მოლაპარაკების შესახებ იცოდა. ასე რომ იმერეთის მეფეს აღმოსავლეთიდან უკვე შემომდგარი ეს ახალი მეზობელი ეხლა დასავლეთიდან შემოდგომას ემუქრებოდა. რუსხელმწიფის სიტყვის უტეხელობისა სოლომონს, რა თქმა უნდა, არა სჯეროდა. ასეთი დანდობის მსხვერპლი მას თვალწინ ჰყავდა, ერეკლე მეფის სახლი. ისიც კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა კოსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლება, მაგრამ სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. სოლომონმა ჯერ კიდევ სოკოლოვისაგან დაიდასტურა რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა, დადიანიც, საცა იყო, რუსთა ხელმწიფის საფარველში შევიდოდა. ქართლ-კახეთი სოლომონის მტკიცე საფარი აღარ იყო და ამავე დროს საკუთარ სახლში, რაც უმთავრესია, ზურაბ წერეთელი და სხვა „ზურაბ წერეთლები" ანუ მოღალატე მექრთამე თავადები... სხვა გზა არ იყო. საცა იყო „ძალით ჩათრევა" მოხდებოდა და სოლომონმა „ნებით ჩაყოლა" არჩია. ბრძოლა გრძელდებოდა.

ციციანოვი კი მედიდურად ფიქრობდა, რომ გატეხილი ნდობა აღიდგინა და ეს ერთი „აზიელიც" მოაღორა.

საქართველოს მთავარმართებელი თავის ამ წარმატებას დიდად აფასებდა. იმერეთის მეფის ელჩი მან სწრაფად გაისტუმრა ხელმწიფესთან. 1803 წლის ხუთ აგვისტოს სოლომონ ლიონიძე უკვე პეტერბურგს იყო.

**სოლომონ ლიონიძის ელჩობა პეტერბურგს.** სოლომონ მეფე დიდი მოხერხებით ცდილობდა დაეცვა თავისი სამეფო საფრთხისაგან, რომელიც მას კარზე მოსდგომოდა. მეფის პირველი სათხოვარი ის იყო, რათა ხელმწიფეს ყველა ქვეყნისათვის ეცნობებინა, რომ იმერეთის მეფე და მისი ქვეყანა მან თავის საფარველში მიიღო. ამ ხერხით სოლომონი, თითქოდა სიხარულით ცას ნაწევი, ვითომ ქვეყანას თავის გაბედნიერებას ატყობინებდა, ნამდვილად კი ამით ის თავისი წამხდარი საქმის შველას აპირებდა. სხვა ქვეყნებს, მსოფლიო პოლიტიკურ აზრს, რომელსაც რუსეთის მთავრობა ოფიციალურად დიდ ანგარიშს უწევდა, იმერეთის მეფე თავისი საქმის მოწმედ მოუწოდებდა იმ პატრონთან ურთიერთობაში, რომელიც პირმტკიცეობას ოფიციალურად იჩემებდა, მაგრამ მისი ნდობის საფუძველი იმერეთის მეფეს არა ჰქონდა.

სხვა წინადადებანი. სოლომონ ლიონიძემ თავისი მეფის სახელით რომ რუსეთის ხელმწიფეს წარუდგინა, დიდი დიპლომატიური ხელოვნებით შექმნილი დოკუმენტი იყო. ამ დოკუმენტში სრულიად

აშკარად ჩანდა, რომ იმერეთის მეფის კარზე მთელი სიგრძე-სიგანით იცოდნენ რუსეთის მეფის პოლიტიკური განზრახვანი ამიერკავკასიაში და ამ ვითარებისათვის თავისი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების შეგუებას ოსტატურად ცდილობდნენ.

თავის მოხსენებაში ლიონიძე რუსეთის ხელმწიფეს საქმეს ისე წარმოუდგენს, რომ მთელი დასავლეთ საქართველო იმერეთის მეფის კანონიერი კუთვნილებაა; პროვინციები ოდიში და გურია მას უკვე შემოერთებული აქვს. ხელმწიფის მფარველობით ეხლა აფხაზეთსაც შემოიერთებს, ისიც ხომ მისი უძველესი სამკვიდრო—საყმოა; ფოთიც მისია. ასე რომ იმერეთის მეფის მფარველობით ხელმწიფეს დიდი სარგებელი ელის: შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ანაპიდან ფოთამდე. აქედან ყველაფერი ახლოა,—ყირიმი და სტამბოლი. „შავისა და თეთრი ზღვის გველეშაპი“ (ე. ი. ოსმალეთი) თავის ბადეში ეყოლება რუსეთის ხელმწიფეს. გზახსნილია იმერეთიდან ახალციხე-არზრუმ-ანატოლიისაკენ. დიდია იმერეთიდან ვაჭრობის პერსპექტივა: ხომალდის გზა რიონით, ფოთით, შავი ზღვით; გემების ასაშენებელი ძვირფასი ტყე, საიალქნე თოკებისათვის კანაფი, მადნეული, მდიდარი სათევზაო ადგილები. და როცა იმპერატორის მფარველობის ქვეშ იმერეთი ასეთ წარმატებაში შევა, ქართლ-კახეთიც აყვავდება. მაშინ დიდი ჯარის შენახვა, აგრე დიდ ხარჯს რომ იწვევს, რუსეთის მთავრობას იქ აღარ დასჭირდება, რადგან ლაშქარი კახეთის, ქართლის და „ჩვენი სამეფოსი“, ე. ი. აფხაზეთის, ოდიშის, გურიის, ლეჩხუმის და იმერეთის ისეთ ძალას შექმნიან, რომ რუსთა მცირე ჯარიც საკმაო იქნება, რათა შეერთებული ძალით ადვილად დაუმორჩილონ ხელმწიფის მფლობელობას ქვეყნები არაზიდან კასპიის ზღვის ნაპირებამდე. ხოლო კასპიის ზღვის დაპყრობა ადვილად მოაქცევს ხელმწიფის ხელ ქვეშ მთელ სპარსეთს.

მოკლედ, სოლომონი საქმეს ისე წარმოადგენს, რომ იმერეთის სამეფოს დაცვა-გაძლიერება რუსეთის მთავრობის ინტერესებისათვის დიდად სასურველია; იმერეთის სამეფოს გაძლიერება პირობაა რუსეთის მთავრობის პოლიტიკური წარმატებებისათვის არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ თვით ოსმალეთსა და სპარსეთში.

ამის შემდეგ სოლომონ მეფე სთხოვდა მფარველს ბრძანებას მისთვის საჭიროებისამებრ ათასი ჯარისკაცის მიშველების შესახებ. სოლომონ მეფე, როგორც აცხადებდა, ეხლა აფხაზეთის დაპყრობას იწყებდა.

**საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკური გეგმები და რუსეთი.** სოლომონ მეფის ეს პოლიტიკური ნაბიჯი კიდევ ერთი

ცდა იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად. იმერეთის მეფის კარზე ძალიან კარგად ესმოდათ, რომ სამეფო-სამთავროთა გაერთიანების გარეშე საქართველო სახელმწიფოებრივობას ვერ შეინარჩუნებდა და რომ გაერთიანებული ქართული ქვეყნები ადვილად მოიგერიებდნენ მეზობელ მთიელთა თუ ველურთა მტაცებლურ შემოტევებს. მაგრამ მძიმეც ის იყო, რომ ეს გაერთიანება არ ხერხდებოდა, რადგან შინაური დაბრკოლებანი—თავადურ-მთავრული წინააღმდეგობანი—მეზობელ დამპყრობელთა ინტერესებს ეთანხმებოდა, ხოლო შინაურ და გარეთულ ძალთა ამ რეაქციული თანამშრომლობის წინააღმდეგ საქართველოს გაერთიანებისათვის მოქმედი პროგრესული ძალა სუსტი იყო. ასეთ პირობებში საქართველოს გაერთიანების მოღვაწენი ცდილობდნენ საკუთარი სისუსტის ღონედ ისეთი უცხო ძალა მოეწვიათ, ვისთვისაც საქართველოს გაერთიანება, მისი სახელმწიფოებრივი გაძლიერება პოლიტიკურად ხელსაყრელი და სასურველი იქნებოდა. საქართველოს გაერთიანების მოღვაწენი დიდი ხანია რუსეთს სწორედ ასეთ ძალად სთვლიდნენ და ცდილობდნენ კიდევაც მის გამოყენებას საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების, მისი გამოხსნა-აღდგომის პროგრესული საქმისათვის.

მაგრამ ქართველ მოღვაწეთა ასეთი შეხედულება, ძველად სწორი და მართებული, ეხლა უკვე საქმის რეალურ ვითარებას აღარ შეესაბამებოდა. რუსეთის მთავრობის პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფოებრივობის დაცვა და მისი გაძლიერება ამ დროს უკვე სასურველი აღარ იყო. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების უშუალო დაპყრობა, რადგან, როგორც ის ფიქრობდა, მხოლოდ ასეთი სახის მფლობელობით შეძლებდა ის თავისი მიზნების საუკეთესოდ განხორციელებას შუა აღმოსავლეთში. ყმობა-მფარველობის ეს ფეოდალური ფორმა კი, რომელსაც საქართველო რუსეთის მთავრობასთან ეხლა ეძებდა, ამ უკანასკნელისათვის უკვე კარგა ხანია გახვლილი ეტაპი იყო. ამდენადვე სოლომონ იმერთა მეფის ამ მცდელობას რუსეთის ხელმწიფის კარზე აუცილებელი მარცხი მოელოდა. ციციანოვი იმერთა მეფის ამ სათხოვართა წინააღმდეგობა-შეუთავსებლობას რუსეთის მთავრობის განზრახვებთან იმავე მოხსენებაში აღნიშნავდა, რომელშიაც ის სოლომონ მეფესთან მიღწეულ თავის წარმატებათა შესახებ ხელმწიფის კარს ატყობინებდა.

მაგრამ რუსეთის მთავრობის განზრახვებს იმერთა მეფის კარიც მიხვედრილი იყო. კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთის მთავრობა ეხლა საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანება-გაძლიერებას კი არ

ცდილობდა, როგორც ამას ეს სათხოვარი პუნქტები გულისხმობდა, არამედ ამ ქვეყნის საკუთრად დაპყრობას. ერეკლეს სამეფოს ბედი ამის უდავო მოწმობა იყო.

ამავე დროს ციციანოვმა სოლომონ მეფეს რუსეთის მთავრობის უნდობლობა-გულგაუწმენდელობის კიდევ ერთი საბუთი მისცა. ალექსანდრე ხელმწიფის წერილში, სოლომონ მეფეს რომ მოსწერა, აღნიშნული იყო, რომ კონსტანტინე ბატონიშვილს რუსეთს წაიყვანდნენ და იქ ამყოფებდნენ. სოლომონმაც ის ამ პირობით გაათავისუფლა. ციციანოვმა კი კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელსაც ის იმერეთის სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეს უწოდებდა, თბილისში დატოვა რაღაც უსაბუთო მომიზეზებით. სოლომონისათვის ცხადი იყო, რომ, დაპირებისდა მიუხედავად, რუსეთის მთავრობამ კონსტანტინე ბატონიშვილი იმერეთის მეფეზე ზეგავლენის იარაღად აქცია.

ამავე რიგის მოქმედებანი იყო რუსეთის მთავრობის მხრით იმერეთის თავადების მოსყიდვა-გაერთგულების ცდა და გრიგოლ დადიანთან ურთიერთობაც, რომელთა შესახებ სოლომონს, შეუძლებელია, რომ არ სცოდნოდა, და თუ, ამისდა მიუხედავად, იმერეთის მეფე ასეთი წინადადებით მიმართავდა რუსეთის მთავრობას, ეს იმას ნიშნავდა, რომ სოლომონს თავისი ეს წინადადებანი, ფორმით სათხოვარი, რეალურად საბრძოლო პროგრამად მიაჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის გადარჩენისათვის.

**სოლომონ მეფის პოლიტიკური ღონისძიებანი.** ეს კარგად ჩანდა იმერეთის მეფის მოქმედებიდან. სოლომონ მეფე ერთი მხრით რუსხელმწიფეს „უმდაბლესად სთხოვდა“ მფარველობას, ხოლო მეორე მხრით ისეთ საშუალებებს ეძებდა, რაც მფარველს ამ სათხოვარი პუნქტების მიღებას და მის დაცვას აიძულებდა.

მფარველობის სათხოვრად რუსეთის ხელმწიფესთან მოციქულის გაგზავნის უმალ სოლომონ მეფემ მეორე მოციქული სტამბოლს სულთანთან გაგზავნა და რუსეთ-იმერეთის ურთიერთობაში ოსმალეთის ჩარევა სცადა. იმერეთის მეფე ვარაუდობდა, რომ ამ ორი მოქიშპის ინტერესთა დაპირისპირებით ის საქართველოს სახელმწიფოებრივობის დაცვის უფრო ხელსაყრელ პირობას შექმნიდა.

ამავე მიზანს ისახავდა სოლომონ მეფის მეორე ღონისძიებაც: მეფემ მორიგების წინადადებით მიმართა გრიგოლ დადიანს. სოლომონი დადიანთან ურთიერთობას იმერეთის სამეფოს შინაურ საქმედ სთვლიდა და ამ თავისი „გაურჩებული ყმის“ დამოუკიდებელი ცდა ხელმწიფის საფარველში შესვლისა დაუშვებლად მიაჩნდა. იმერე-

ტის მეფე ცდილობდა ხელმწიფესთან ურთიერთობაში გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს სათავეში მდგარიყო და თავისი სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის საბუთი მფარველისათვის არ მიეცა.

ყველა ზემოთ თქმულის შემდეგ დაუჯერებელი ჩანს ციციანოვის მტკიცება, თითქოს სოლომონ მეფე რუსხელმწიფის გულის მოსაგებად გულწრფელად არწმუნებდა და აიძულებდა მასთან შეხიზნულ ბატონიშვილებს—იულონს და ფარნაოზს, რათა ისინი ქართლს დაბრუნებულიყვნენ და რუსეთის მთავრობას მორჩილებით მისვლოდნენ.

**სოლომონის მარცხი.** იმერეთის მეფემ ყველა მიმართულებით წააგო. დადიანმა სოლომონ მეფეს მორიგებაზე უარი უთხრა. მაშინ იმერეთის მეფემ მისი ძალით გატეხა გადაწყვიტა, მაგრამ ციციანოვი უმალ გამოექომაგა დადიანს და ამ მთავრის „უსამართლო მიმძლავრება" იმერეთის მეფეს არ მოუწონა. აღმოჩნდა, რომ რუსეთის ხელმწიფეს დადიანის მიღება თავის საფარველში უკვე გადაეწყვიტა და ციციანოვი, „მეგობრულად" ურჩევდა სოლომონს, რომ, როცა იმერეთი ხელმწიფის საფარველში შესვლით გაბედნიერდებოდა, პირუთვნელი სამართალი დადიანთან საქმეში იმერეთის მეფეს შეეძლო ხელმწიფესთან ეპოვნა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების ცდამ მარცხი განიცადა. ასეთი იყო მფარველის ნება.

იმერეთის მეფის მეორე მარცხი საგარეო ხასიათისა იყო. ოსმალეთი ამ დროს რუსეთთან მეგობრობას დიდად საჭიროებდა და მასთან საქმის რაიმე გართულებას ერიდებოდა. ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ დასავლეთ საქართველოს გამოსარჩლების სურვილი არ გამოიჩინა და სოლომონ მეფის მოციქული უარით გამოისტუმრა. ხოლო რუსეთის მთავრობის სტამბოლელმა ელჩმა სოლომონ მეფის ამ საქმიანობის შესახებ შეიტყო და თავის მთავრობას და, კერძოდ, ციციანოვსაც აცნობა.

ამრიგად, იმერეთის მეფე შიგნით თავადურ-მთავრული რეაქციით სუსტი და მოშლილი, ხოლო გარედან მიტოვებულ-მიუსაფარი რუსეთის მთავრობის ნება-სურვილზე მიგდებული აღმოჩნდა.

ამის შემდეგ იმერეთის სამეფოს ბედი გადაწყვეტილი იყო.

**დადიანის ქვეშევრდომობა.** ამასობაში დადიანის ქვეშევრდომობის საქმე შესრულდა. 4 დეკემბერს 1803 წელს დადიანმა ხელმწიფის ქვეშევრდომობაზე დაიფიცა.

მისი „სათხოვარი", ე. ი. საპატრონყმო პირობა შემდეგი იყო: დადიანი თავისი სამთავროს მემკვიდრეობით მფლობელად რჩებოდა, მთავრის გარდაცვალებისას მისი მემკვიდრე რომ მთავრად დამჯდარიყო, ამისთვის აუცილებელი იყო ხელმწიფის სანქცია;

სამთავროს შინაური მმართველობა ანუ ადმინისტრაცია და სამართალი დადიანის უფლებაში რჩებოდა, ოღონდ დამნაშავის სიკვდილით დასჯა ან დასახიჩრება ეკრძალებოდა მას.

შინაურისა თუ გარეშე მტრებისაგან სამთავროს დასაცავად და ამ ქვეყანაში მშვიდობისა და წესიერების დასამყარებლად უნდა შესულიყო რუსთა ჯარი მუდმივად სამყოფლად.

ეს ჯარი მთავარს უნდა უზრუნველ ეყო ბინით, სათფობით. განათებით;

აგრეთვე ეს ჯარი მთავარს უნდა მოემარაგებინა, ზომიერ ფასებში, საკმაო პურით, ღომით, ბრინჯით და შვრია-თივით:

თუ სამთავროში რუსი მადნის ოსტატები რაიმე მადანს აღმოაჩენდნენ და მის დამუშავებას დაიწყებდნენ, შემოსავალში წილი მთავარსაც უნდა დასდებოდა, ოღონდ ამისთვის საჭირო მუშახელი, ზომიერი ქირით. მასვე უნდა გამოეყვანა; თუ სამთავროში ახალი ქალაქი გაშენდებოდა და რუსეთის ხაზინას აქედან შემოსავალი ექნებოდა, ამ შემოსავალში მთავარსაც წილი რაიმე უნდა დასდებოდა;

თუ სამთავროში ზღვის სანაპიროზე ნავსადგური აშენდებოდა დადიანი აქედან სარგებელს ვერას ითხოვდა, რამდენადაც ზღვის სანაპირო მას დიდი ხანია ოსმალთაგან წართმეული ჰქონდა. ოღონდ ხელმწიფეს წყალობად სთხოვდა ნავსადგურის შემოსავლის 1/15 იმ პირობით, რომ თავის სამთავროში ამ ნავსადგურიდან გზად გამვლელ ვაჭარს ბაჟს აღარ გამოართმევდა;

რუსეთის ფლოტისათვის სახომალდე ხე-ტყეს დადიანი უსასყიდლოდ სთმობდა. ოღონდ მოჭრა-გატანის ქირა რუსეთის ხაზინიდან უნდა მისცემოდა ამის მუშებს;

მთავარი, როგორც ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომი. მოვალე იყო ყველაფერში დამორჩილებოდა საქართველოს მთავარმართებელს ან მის მიერ მოვლინებულ რუს მოხელეს.

მთავრობის თუ სარდლობის ნიშნად მთავარს ხელმწიფისაგან უნდა ბოძებოდა ხმალი და დროშა.

ციციანოვის მიერ რედაქტირებული ეს „სათხოვრები" დადიანისა ხელმწიფის კარზე არ მოეწონათ. ვარაუდობდნენ, რომ „მთავრის" ნაცვლად დადიანისათვის „უფროსი" ეწოდებინათ, აგრეთვე სამთავროს შემოსავლის საქმე ჩამოერთვათ და ამის სამაგიეროდ მისთვის

ჯამაგირი გაეჩინათ. მოკლედ, დადიანი, სურდათ, ჩვეულებრივ მოხელედ ეხლავე ექციათ.

ამის წინააღმდეგი პრინციპულად, რა თქმა უნდა, არც ციციანოვი იყო, ოღონდ ჯერჯერობით მას ასეთი ოპერაცია მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. უკვე მიღებული პირობის უმიზეზო დარღვევა დადიანს გაგვიორგულებს და მეტიც: მთავრის წოდების წართმევის ცდამ შეიძლება ის აგვიჯანყოს კიდევაც და დაგვჭირდება სამეგრელოს ძალით დაპყრობა, რაც რამოდენიმე ათას კაცს შეიწირავსო; ამას გარდა, მე და ჩემს შემდგომი მთავარმართებელნიც საბოლოოდ დავკარგავდით აქაურ ხალხებში ყოველგვარ ნდობასო. და ეს საქმესთან უფრო ახლომდგომი დამპყრობელი რჩევას აძლევდა ხელმწიფის კარს. რათა დადიანის სათხოვრები უცვლელად დამტკიცებულიყო, ხოლო მთავრის უფლებების შეკვეცა თუ გაუქმება ადვილად შეიძლებაო. სათანადო კანონიერი მომიზეზებით, მას შემდეგ. რაც იქ რუსთა ჯარი საკმაო რაოდენობით იქნება შეყვანილიო.

ციციანოვი იმაში ცდებოდა, რომ ეგონა, თითქო ვისი სიტყვისა აქ. საქართველოში, ან მის მეზობლად ვისმე სჯეროდა. რუსეთის მთავრობისა და მის მოხელეთა უპირობის მაგალითი აქ საკმაოდ ჰქონდათ და არც ასეთი ბეცი პოლიტიკოსები იყვნენ ამიერკავკასიის ფეოდალები, რომ რუსეთის მთავრობის გეგმებს ვერ მიხვედრილიყვნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ისინი მწიფე ვაშლებივით ხელში უცვივოდნენ ამ ახალ დამპყრობელს, რადგან სოციალურ-პოლიტიკური განვითარების იმ საფეხურზე იდგნენ. რომ ეფექტიანი ბრძოლის უნარი ამ უფრო ორგანიზებული ძალის წინააღმდეგ მათ არ გააჩნდათ. გახანგრძლივებულ ფეოდალურ-ვასალურ წყობილებაში დაჩიხულები ეს სამეფო-სამთავროები ისტორიის მიერ დასალუპავად იყვნენ განწირული.

პეტერბურგში ციციანოვის მოსაზრებებს ანგარიში გაუწიეს და 1804 წლის 4 ივლისს ხელმწიფემ დადიანის სათხოვრები უცვლელად დაამტკიცა.

**სოლომონ ლეონიძის ელჩობის მარცხი.** როგორც მოსალოდნელი იყო, იმერთა მეფის მოციქულმა ხელმწიფის კარზე მიზანს ვერ მიაღწია. სოლომონ მეფის პირობები რუსეთის მთავრობისათვის სრულიად მიუღებელი იყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დადიანი ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შედიოდა.

ხოლო, როცა იმერეთის მეფემ დადიანი შეავიწროვა იმიტომ, რომ ის ხელმწიფის საფარველს ეძებდა, ციციანოვმა ხელმწიფეს

სოლომონ მეფის სათხოვართა მიუღებლობა მოახსენა, მისი კადნიერი საქციელის შესახებაც აცნობა და ნებართვა სთხოვა, რათა კონსტანტინე ბატონიშვილი იმერეთის ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა და ქვეყანა ძალით დაეპყრა, როცა მეფეს თავადები აუჯანყდებოდნენ,—ამ აჯანყების ნიშნები უკვე ჩანსო მოახსენებდა ციციანოვი თავის ხელმწიფეს. პეტერბურგში ამ შემთხვევაშიაც ციციანოვის რჩევა მიიღეს. დადიანის წინააღმდეგ ლაშქრობა, ოსმალეთში მოციქულის გაგზავნა და, ბოლოს, ციციანოვსა და დადიანს შორის მოლაპარაკების შეფერხების ცდა, ყველა ეს მიზეზად მოუდვეს იმერეთის მეფეს და მის მოციქულთან მოლაპარაკება შეწყვიტეს. 1804 წლის იანვრის დამდეგს ლიონიძე თბილისში გამოისტუმრეს და სოლომონ მეფესთან საქმის მოგვარება ციციანოვს მიანდვეს, რომელსაც უფლებაც მისცეს ისე დაიპყროს იმერეთი, როგორც მოეხერხება. ოღონდ ამ მოხელეს არ ურჩიეს ტახტის მაძიებლად კონსტანტინე ბატონიშვილის გამოყვანა.

ამიერიდან ციციანოვს სოლომონ მეფეზე ხელი გახსნილი ჰქონდა. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთავარმართებელი იძულებული იყო იმერეთის საქმე მცირე ხნით გადაედო ვიდრე განჯის საქმეს მოაგვარებდა.

**განჯის საკითხი.** განჯა საქართველოს უახლოესი მეზობელი ქვეყანა იყო. გვიანფეოდალურ ხანაში სპარსელ დამპყრობლებთან ქართველი ხალხის ბრძოლის დროს განჯის სახანო სპარსელთა დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოს წინააღმდეგ.

როცა ნადირშაჰის სიკვდილის შემდეგ XVIII საუკუნის 40-იან წლებში სპარსეთში დიდი ფეოდალური აშლილობა დაიწყო, ერეკლე მეფემ ეს სახანო დაიმორჩილა და დახარკა. ასე მოხარკედ რჩებოდა განჯის ხანი ვიდრე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის დროს ჯავად ხან განჯელმა უღალატა ერეკლეს და სპარსეთის მპყრობელს საქართველოში შემოუძღვა. აღა-მაჰმად-ხანის წასვლის შემდეგ ერეკლემ განჯა კვლავ დაიმორჩილა, მაგრამ საქართველოს შემდგომი დასუსტებისას განჯის ხანი ისევ განთავისუფლდა და საქართველოს მოსისხარ მტრად აღუდგა. ასეთსავე მტრობას განაგრძობდა განჯის ხანი მას შემდეგაც, როცა ქართლ-კახეთში რუსული ხელისუფლება შემოვიდა.

საქართველოს რუსული ხელისუფლებისათვის განჯას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა, რუსეთის მთავრობას რომ ჰქონდა განზრახული, აუცილე-

ბლად მოითხოვდა უპირველეს ყოვლისა ამ სახანოს დამორჩილებას. მტრის ხელში განჯა საფრთხეს უქმნიდა საქართველოს თავდაცვას სპარსეთის შაჰის მოსალოდნელ შემოტევის დროს.

ჯავად ხან განჯელი გონიერი და ენერგიული კაცი იყო. სწორად აფასებდა არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და თავის გადასარჩენად ზომებს იღებდა. ჯავად ხანი მოურიგდა თავის ძველ მოქიშპე იბრეიმ ხან ყარაბაღელს, მოკავშირედ ყავდა შაქის ხანი და შველა-დახმარებისათვის მიმართა სპარსეთის შაჰს. ამავე დროს ჯავად ხანი მფარველობას უწევდა და ენერგიულადაც ეხმარებოდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ბატონიშვილებს და საქართველოში „ერეკლეს სახლის“ უფლებების დამცველადაც კი თავი მოქონდა.

**ციციანოვის ბრძოლა ლეკ მარბიელთა წინააღმდეგ.** იმ დროს, როცა ციციანოვი განჯის წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისში იყო, ქართლ-კახეთში დაღისტნელ ლეკთა თარეში გაძლიერდა. ციციანოვი იძულებული იყო ქვეყნის დაცვაზე ეზრუნა.

ლეკებმა საქართველოს ორი მხრით შემოუტიეს. ახალციხის მხრიდან ისინი ქართლის სოფლებს დაეცნენ, ხოლო ჭარ-ბელაქნის მხრიდან კახეთში შემოჭრას აპირებდნენ.

ჭარ-ბელაქნელები დაღისტნელთა ამ შემოსევის მონაწილენი იყვნენ. ისინი, ციციანოვისათვის მიცემული პირობისდა მიუხედავად, მშვიდობის სადგურსა და გზას აძლევდნენ დაღისტნელ მტაცებლებს. ამავე დროს ჭარ-ბელაქნელი ლეკები ნაკისრ ხარკს არ იხდიდნენ. ციციანოვის მუქარა არ მოქმედებდა. ჩანდა, რომ ჭარ-ბელაქნელებს გარედან მნიშვნელოვანი დახმარების იმედი ჰქონდათ.

ციციანოვი თავისი შეცდომის ნაყოფს იმკიდა. შეცდომა კი იმაში მდგომარეობდა, რომ მან ამ მხარეში ქართველი მოსახლეობის ინტერესები უგულვებელყო და ლეკ მოძალადეთა ბატონობა შეიწყნარა.

ლეკი მარბიელები ქართლიდან ადვილად გადარეკეს ახალციხის მხარეში. ჭარ-ბელაქნისა და კახეთის საზღვარზე საქმე უფრო სერიოზული იყო. ლეკთა მცირე დასტებით თარეშებს აქ 1803 წლის 21 ოქტომბერს ძლიერი შემოტევა მოყვა. 10000 დაღისტნელი სურხაი-ხან ყაზიყუმუხელისა და ალისკანტ ავარიელის მეთაურობით ღამით თავს დაეცა გენერალ გულიაკოვის ბანაკს მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირას ქიზიყ-ბელაქნის გზაზე.

ლეკები ამოდენა ჯარით, რა თქმა უნდა, უბრალო თარეშს არ აპირებდნენ. გულიაკოვზე გამარჯვებას, უეჭველია, ჭარ-ბელაქნელთა

ერთიანი გამოსვლა მოჰყვებოდა. მაშინ არც სხვა მტრები დააყოვნებდნენ და საქართველოდან რუსთა განდევნისათვის წამოიშლებოდნენ. მაგრამ დაღისტნელ მეომრებს ანგარიში არ გაუმართლდათ. გულიაკოვმა მათი თავდასხმა მხნედ მოიგერია და დაზარალებული დაღისტნელი აბრაგები პირშერცხვენილნი უკუიქცნენ.

ამის შემდეგ ციციანოვი ისევ განჯის საქმეს მიუბრუნდა.

**განჯის დაპყრობა.** ვიდრე საქართველოში ლეკთა ამ შემოსევის წინააღმდეგ თავდაცვითი ომი სწარმოებდა, ჯავად ხან განჯელი საომრად ემზადებოდა. მას განჯის ციხე გაემაგრებინა და სპარსეთის შაჰისაგანაც დახმარების იმედი მოსვლოდა.

22 ნოემბერს ციციანოვი განჯას სალაშქროდ წავიდა. განჯის ხანის სამფლობელოში შესვლისას მან ჯავად ხანს წერილი მისწერა, სადაც თავისი ამ ლაშქრობის სამართლიანობის დასაბუთება სცადა. სხვა საბუთებს შორის ციციანოვის „პირველი და უმთავრესი" საბუთი ის იყო, რომ განჯა მისი ოლქით თამარ მეფის დროს საქართველოს ეკუთვნოდა და მხოლოდ ქართველ მეფეთა სისუსტის გამო ჩამოსცილდაო ის ამ ქვეყანას. ეხლა რუსეთის იმპერიას, რომელმაც საქართველო თავის მფარველობა-ქვეშევრდომობაში მიიღო, არ შეეძლო გულგრილად მოითმინოს საქართველოს დანაწილებულობა და, მაშასადამე, განჯის, როგორც საქართველოს კუთვნილი ნაწილის, სხვის ხელში დატოვება.

ეს ვითომდა საბუთი საინტერესო იმითაა, რომ საქართველოს დამპყრობელი, ისევე როგორც ჭარ-ბელაქნის დამორჩილებას, განჯის დაპყრობასაც საქართველოს ისტორიული უფლებით ამართლებდა.

განჯის ხანი უომრად არ დანებდა და ციციანოვმა განჯის ციხე იერიშით აიღო 1804 წლის 3 იანვარს. ბრძოლას ორივე მხრით მძიმე მსხვერპლი მოჰყვა. თვით ჯავად ხანიც ამ ომში დაიღუპა.

ხელმწიფემ ასეთი წარმატება დიდად დაუმადლა ენერგიულ მოხელეს და იმედი გამოთქვა, რომ ის მტკვარ-არეზის აუზებს მანამ დაიპყრობს, ვიდრე ხორასანში დაბანდებულ სპარსეთის შაჰს ამიერ კავკასიის საქმეებისათვის ვერ მოუცლია.

ამავე ხანებში ჭარ-ბელაქანში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. განჯას სალაშქროდ მიმავალმა ციციანოვმა გენერალ გულიაკოვს გაურჩებული ჭარის დასჯა დაავალა. მაგრამ ვიდრე გულიაკოვი ალაზნის ბანაკიდან ჭარისაკენ წავიდოდა მას ორგზის შეტაკება მოუხდა ლეკთა ჯარებთან. 30/XII 1803 წელს სურხაი-ხანი ყაზიყუმუხელი

6000 კაცით ალაზანს გამოვიდა. გენერალმა გულიაკოვმა მას პოდპოლკოვნიკი ერისთავი მიაგება რუსთა ჯარით. ბრძოლა ლეკთა დამარცხებით დამთავრდა. სურხაი-ხანი უკუიქცა. ამავე დროს გენერალი გულიაკოვი შეება დაღისტნელთა მეორე რაზმს, რომელიც აგრეთვე ალაზანზე გამოსვლას ლამობდა. დაზარალებული მტერი აქაც უწესრიგოდ უკუიქცა.

ამის შემდეგ გენერალი გულიაკოვი რუს-ქართველთა ჯარით ჭარელთა დასასჯელად წავიდა. ჯარმა ბრძოლით გაიკაფა გზა და ჭარში შევიდა, რომელიც მცხოვრებთაგან სულ ერთიანად დაცლილი აღმოჩნდა. ხალხი მთებში გახიზნულიყო და ლეკებს ხეობა გაემაგრებინათ. გულიაკოვი საჭირო სიფრთხილის დაუცველად თავისი ჯარით ვიწრო ხეობაში შევიდა. 15/I 1804 წელს მძიმე ბრძოლა ლეკთა გამარჯვებით დამთავრდა. ომში დაიღუპა თვით გენერალი გულიაკოვი. დამარცხებულმა ჯარმა გენერალი ორბელიანის სარდლობით უკან დაიხია.

ჭარელები გამარჯვებამ არ დაათრო. მათ მოციქულები გამოგზავნეს, მომხდარი ამბის გამო სინანულს გამოსთქვამდნენ, მორჩილების აღთქმას და ხარკის შემოტანის პირობას იძლეოდნენ. ამავე დროს ელისუს სულტანი, სურხაი ხანის შვილი ჰამიდ აღა და ალისკანტ ავარიელი ციციანოვის წინაშე ჭარ-ბელაქნელებისათვის შუამდგომლობდნენ. ყველა ისინი ამავე დროს გარკვევით ატყობინებდნენ ციციანოვს, რომ ამ ბრძოლაში ჭარ-ბელაქნელები მარტონი არ არიან, რომ მათი და დაღისტნელ ლეკთა საქმე ერთია. ციციანოვმაც იგრძნო ჭარ-ბელაქნელ ლეკთა ეს ძალა და მათი მორჩილების პირობა შეიწყნარა, თუმცა კარგად ხედავდა, რომ ჭარ-ბელაქნის საქმე ისევ გადაუწყვეტელი რჩებოდა.

ამჟამად მას სხვა უფრო საშური საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი.

**იმერეთის მეფის შემოყვანა ხელმწიფის ქვეშევრდომობაში.**

ხელმწიფე უბრძანებდა ციციანოვს, რომ ის ეხლა იმერეთის საქმეებს დაბრუნებოდა და ეს ქვეყანა რუსეთის იმპერიაში შემოეყვანა, რათა, შემდეგ, სამეგრელოს სანაპიროდან შავი ზღვით ყირიმს დაკავშირებოდა და ამით რუსეთ-საქართველოს შორის მეორე და უფრო ხელმისაწვდომი გზა გაეტანა.

ციციანოვმა ხელმწიფის ეს სურვილი სახელმძღვანელოდ დაიდვა.

რუსთა ჯარის მიერ განჯის აღებამ სოლომონ მეფის პოზიციები კიდევ უფრო გააუარესა. გარედან დახმარების იმედი აღარ იყო.

ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს საქმეებისათვის ყრუ აღმოჩნდა. სპარსეთი— უმწეო და მოუცლელი, —მისმა მოიმედე ჯავად ხან განჯელმა თავი წააგო, ამიერკავკასიის ხანები შიშით გულგახეთქილი ციციანოვის პირის მომშვიდებაზე-და ფიქრობდნენ.

კიდევ უფრო უარესი ის იყო, რომ სოლომონის ფეოდალური „ციხე—შიგნიდან“ ადვილად „ტყდებოდა“. დადიანის მაგალითს გურიელი მიჰყვა. უკვე სამ იანვარს 1804 წელს ვახტანგ გურიელი ციციანოვს ჩერილსა სწერდა, თავს დამოუკიდებელ მთავრად აცნობდა მას და ხელმწიფის საფარველში შესვლას ითხოვდა. იმერეთის მეფემ. უეჭველია, ისიც იცოდა, რომ აფხაზეთის მთავარი ქელაიშ-ბეგ შარვაშიძე რუსეთის ხელმწიფის საფარველში შესვლის სურვილს გამოსთქვამდა. მაგრამ საქმე ამაზე შორსაც მიდიოდა. ამ დროს არა ერთი თავადი მოიძებნებოდა საკუთრივ იმერეთში, რომელიც მზად იყო თავისი ფეოდალური ანგარიში იმერეთის მეფესთან ამ ახალი ძალის დახმარებით გაესწორებინა. მაგალითად, ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე. ქვეყნის მოღალატე მამის შვილი, ის ჯერ კიდევ 1769 წელს სოლომონ I დასაჯა მოღალატეობისათვის,—იმერეთიდან გააგდო და მისი მამული სამეფოდ დაიჭირა. ოსმალეთში გახიზნული ქაიხოსრო დიდხანს სულტანის წყალობით ცხოვრობდა. სოლომონ I გარდაცვალების შემდეგ დავით გიორგის ძის მეფობაში ის დაბრუნდა იმერეთს და თავის მამულს დაეპატრონა. მაგრამ სოლომონ II ის კვლავ გააძევა ურჩობა-მოღალატეობისათვის. ეხლა ეს მოღალატე ციციანოვთან მოვიდა და მისი შემწეობით თავის მამულში დაბრუნებას ცდილობდა.

ასეთ პირობებში იმერეთის მეფეს ის-ღა დარჩენოდა, რომ მორჩილების პირზე მოლაპარაკებას ცდილიყო გამარჯვებულ ციციანოვთან.

საქართველოს მთავარმართებელს თუმცა ნება ჰქონდა მიცემული, რომ ეხლავე ომით შესულიყო ქუთაისში, მაგრამ მან უმჯობესად ჩათვალა უფრო გვიანი საშუალებით, სამაგიეროდ ნაკლები მსხვერპლის გაღებით, და, რაც მთავარი იყო, ვითომდა სამართლიანობის დაცვით. ემოქმედნა.

ასეთ ტაქტიკას რეალური გამართლება ჰქონდა. პეტერბურგში ციციანოვს ნება არ დართეს, რომ კონსტანტინე ბატონიშვილი კანონიერ მეფედ გამოეცხადებინა და ვითომცდა მისი უფლებების აღსადგენად იმერეთში შესულიყო. უამისოდ კი იმერეთში ძალით შეჭრა ამ სამეფოს მოშლას ნიშნავდა. სამეფოს მოშლას იმერეთის თავადები მხარს არ დაუჭერდნენ და, მაშ, ომი გაძნელდებოდა.

მეორე მხრით, ასეთი აშკარა დაპყრობითი პოლიტიკა რუსეთის მთავრობის საიდუმლო განაზრახს ნაადრევად გამოამჟღავნებდა და სამართლიანობით მოქადულ ხელმწიფეს ამიერკავკასიაში საბოლოოდ სახელს გაუტეხდა. რუსეთის მთავრობას კი ამიერკავკასიაში ჯერჯერობით ამოდენა ძალა არ ჰქონდა, რომ ამ გარემოებისათვის ანგარიში არ გაეწია.

მესამე საბუთი ეკონომიური ხასიათისა იყო. ამ დროს რუსეთის მთავრობა მსოფლიო პოლიტიკურ კრიზისში აქტიურად ჩაბმული იყო, რაც შედარებით ღარიბი სახელმწიფოსაგან მეტისმეტად დიდ ხარჯებს მოითხოვდა. რუსეთის სახელმწიფო დიდ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიდა. ამავე დროს ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის შემოღებით რუსეთის მთავრობას ამ ქვეყანაში დიდი ხარჯი მოსდიოდა. შემოსავალი კი აოხრებული ქვეყნიდან, ბუნებრივია, პცირე იყო. რუსეთის მთავრობა ამ გარემოებით უკმაყოფილო იყო. ხარჯები კი აქ, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მთავრობა ციციანოვისაგან ხარჯების დაზოგვასა და ადგილობრივ შემოსავლის ახალი წყაროების აღმოჩენას მოითხოვდა.

ამ პირობებში შემუშავდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის ახალი, კომპრომისული, პოლიტიკა. ის შემდეგში მდგომარეობდა: ადგილობრივ ხელისუფლებას არ აუქმებენ და უშუალოდ რუსული მმართველობა არ შემოაქვთ. მეფეებს, მთავრებს, ხანებს მათვე ადგილზე სტოვებენ, მაგრამ სტოვებენ ისე, რომ ხელმწიფობის ყოველივე ნიშანწყალს გამოაცლიან. ასეთი საშუალებით ამ ქვეყნების ქვეშევრდომობა იმპერიისათვის უზრუნველი იქნებოდა, რუსეთის ხელმწიფეს „სამართლიანის“ სახელი შეუბღალველი შერჩებოდა, ხოლო ამ ქვეყნების დაპყრობის ხარჯები რუსეთის მთავრობას აგრე მძიმედ აღარ დააწვებოდა.

ციციანოვმა ერთი პოლკი ჯარი სურამს გაგზავნა იმერეთის საზღვარზე და ასეთი დამაჯერებელი საბუთის მომარჯვების შემდეგ მან სოლომონ მეფესთან მოლაპარაკება დაიწყო.

მოლაპარაკების უმთავრესი მოსაშუალენი იყვნენ იმერეთის მეფის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და მისი სიმამრი გიორგი აბაშიძე ქართლიდან.

ციციანოვმა იდიპლომატა. მან ვითომცდა „კერძო წერილი“ მიწერა ქაიხოსრო წერეთელს და „გაუტყდა“ მას, რომ საიდუმლო ბრძანება აქვს ხელმწიფისაგან, რათა იმერეთი ძალით დაიპყროს. ქაიხოსრო სარდალმა ეს წერილი მეფეს აჩვენა. ასეთი მარტივი ხერ-

ხით იმერეთის მეფის კარის შეცდომაში შეყვანა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, თუ რომ ეს მუქარა ობიექტურად დაუჯერებელი ყოფილიყო. სოლომონ მეფეს კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა, რომ მისი მოციქული ხელმწიფის კარიდან უპატიოდ დააბრუნეს. იმერეთის მეფემ იცოდა. თუ რაში სდებდნენ მას ბრალს, იმასაც მიხვედრილი იყო, თუ როგორი იყო რუსეთის მთავრობის გეგმა საქართველოს მიმართ. ამიტომ ციციანოვის „კერძო წერილის" ეს ცნობა მოულოდნელ-დაუჯერებელი არ უნდა ყოფილიყო სოლომონ მეფისათვის.

იმავე წერილში ციციანოვი მცირე იმედს იძლეოდა, რომ სოლომონ მეფეს თავისი ტახტის გადარჩენის გზა სავსებით მოჭრილი არ ჰქონდა, თუ ის გულწრფელად მოინანიებდა და ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომი შეიქნებოდა. ციციანოვი არწმუნებდა იმერეთის მეფეს, რომ მას შეუძლია გულდაჯერებული იყოს, რადგან რუსეთის მთავრობა ვერაგობა-მოტყუებისაგან „ყოვლად უცხოა". მაგრამ არსებობდა ამ დებულების საწინააღმდეგო ერთი მამხილებელი საბუთი, რომლის უგულვებელყოფა ციციანოვსაც კი შეუძლებლად უცვნია. ალექსანდრე იმპერატორი მანიფესტით აღუთქვამდა ერეკლე მეფის სახლის წევრებს, რომ ისინი თავის ქვეყანაში დარჩებოდნენ. ციციანოვმა კი ესენი, ვინც მოახელა, სულყველა რუსეთს ძალით გადაასახლა, დანარჩენნი კიდევ ეხლაც სხვის კარად ხიზნობდნენ. ციციანოვი არწმუნებდა სოლომონ მეფეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტისა და მეფის სახლის წევრთა ასეთ ბედს თავისთვის სამაგალითოდ ნუ დაიდებს, იმიტომ რომ „ცხრა ტახტის მაძიებლის დატოვება შეუძლებელი იყო", ისედაც აოხრებულ ქვეყანას სულ დაღუპავდნენო. გამარჯვებული გენერალი, ჩანს, არ ზრუნავდა თავისი საბუთის დამაჯერებლობაზე, თორემ უნდა ეფიქრნა, რომ შეეძლოთ ეპასუხნათ: ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მაძიებლები დიდი ხანია ურთიერთში მორიგებული იყვნენ და ეხლა იბრძოდნენ არა ერთი მეორის წინააღმდეგ, არამედ ქართული სახელმწიფოებრივობის აღსადგენად, რომელიც რუსეთის მთავრობამ უსამართლოდ მოშალა. ან და ტახტის მაძიებელთა სიმრავლე რატომ უნდა ყოფილიყო სამეფო ტახტის მოშლის მიზეზი, როცა შეიძლებოდა რვა მაძიებელი გადაესახლებინათ, თუ ძიებას არ მოიშლიდნენ, და ერთი კანონიერისათვის ტახტი გაემაგრებინათ.

სოლომონ მეფეს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ციციანოვის ამ „საბუთების" დამაჯერებლობა ვითომდა ეწამებინა და დაყვავებით ცდილიყო გადაერჩინა ის, რის გადარჩენაც კი ასეთ პირობებში შესაძლებელი იყო.

* * *

1804 წლის მარტის დამდეგს სოლომონმა ქაიხოსრო წერეთელი და ხეხნია წულუკიძე ციციანოვს აახლო გორში და განჯის აღება მიულოცა მას. ამ ელჩების პირით სოლომონი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობას ითხოვდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მას იმერეთის მეფობა შერჩებოდა და ლეჩხუმი, რომელიც დადიანს წაართვა, აგრეთვე მას დაუმტკიცდებოდა. უკანასკნელი პირობა ციციანოვისათვის მიუღებელი იყო. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ლეჩხუმი მან უკვე დადიანს აღუთქვა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობა კარგად იყო მიხვედრილი სოლომონ მეფის გამაერთიანებელ ზრახვებს დასავლეთ საქართველოს მიმართ, რაც მას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა (სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი სოლომონ ლიონიძის ელჩობის მარცხისა). ამიტომ იმერეთის მეფის დაუძლურება მიზანშეწონილი მოქმედება იყო.

სოლომონ მეფის მოციქულებს ციციანოვმა თან გააყოლა თავისი რწმუნებული გრაფი ვორონცოვი. ვორონცოვმა იმერეთის მეფეს ციციანოვის მიერ შედგენილი ტრაქტატის, ანუ „სათხოვართა პუნქტების“ პროექტი მიუტანა. სოლომონ მეფეს ეს პროექტი უცვლელად უნდა მიეღო და თავისი სახელით ამ პუნქტების დამტკიცება ხელმწიფისათვის უნდა ეთხოვა. სოლომონმა ამ პირობების მიღებაზე უარი განაცხადა. უთანხმოების უმთავრესი მიზეზი ლეჩხუმი იყო, რომელსაც მეფე დაჟინებით თავისთვის ითხოვდა.

სოლომონ მეფის ამ წინააღმდეგობის გასატეხად ციციანოვმა მთელი რიგი საშუალება იხმარა. მეფეს კატეგორიული წინადადებით მიმართავდა, მეფის მრჩეველ თავადებს სასტიკად ემუქრებოდა, იმერეთის საზღვარზე ჯარს თავს უყრიდა, უხვად ოქროს გზავნიდა და მეფის მრჩევლების მისყიდვას ცდილობდა. ციციანოვი იმერეთის მეფესთან პირისპირ შეხვედრას მოითხოვდა.

**ელაზნაურის ტრაქტატი.** ბოლოს სოლომონი დაეთანხმა და ციციანოვის შესახვედრად გამოვიდა. ეს შეხვედრა ე ლ ა ზ ნ ა უ რ ს მოხდა 16 აპრილს. შეთანხმება, ლეჩხუმის გამო, აქაც გაძნელდა, მაგრამ, როცა ციციანოვის ბრძანებით რუსთა ჯარი იმერეთში შეიჭრა და ხალხს რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცება დაუწყო, სოლომონმა დათმო. იმერეთის მეფემ მიიღო ციციანოვის მიერ წარდგენილი პირობები და 25 აპრილს რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა.

ამ ტრაქტატით სოლომონ მეფე რუსეთის ხელმწიფის საუკუნო ქვეშევრდომი ხდებოდა.

იმერეთის მეფობა სოლომონს საშვილიშვილოდ უმტკიცდებოდა. სოლომონის მემკვიდრედ, თუ მას ვაჟი არ მიეცემოდა, კონსტანტინე ბატონიშვილი იგულისხმებოდა.

იმერეთის მეფე ტახტზე ასვლისას რუსეთის ხელმწიფის სიგელით უნდა დამტკიცებულიყო.

როგორც იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი, იმერეთის მეფე პირობას სდებდა, რომ ყველაფერში დაემორჩილებოდა ხელმწიფის მიერ დანიშნულ ხელისუფალს,—საქართველოს მთავარმართებელს. ქვეყნის ადმინისტრაცია და სამართალი ძველებურადვე მეფის ხელთ რჩებოდა, ოღონდ, სისხლის სამართლის საქმეებში მას ამიერიდან რუსული კანონებით უნდა ეხელმძღვანელნა.

იმერეთის სამეფოში,—ამ ქვეყნის „დასაცველად გარეშე და შინაური მტრებისაგან“ და აგრეთვე იქ „მშვიდობიანობის დასამყარებლად“ სამუდამოდ სამყოფელად უნდა შესულიყო რუსთა ჯარი.

ამ ჯარის უზრუნველყოფა ბინით და გათბობით იმერეთის მეფეს ევალებოდა.

მეფესვე ევალებოდა ამ ჯარის მომარაგება, ზომიერ ფასით, პურით, ღომით, ბრინჯით და თივა-ქერით.

თუ იმერეთში ოქროს, ვერცხლის ან სხვა მადანი აღმოჩნდებოდა და მისი დამუშავება დაიწყებოდა, იმერეთის მეფეს ამაში გარკვეული წილი უნდა დასდებოდა.

მადნის დამუშავებისათვის საჭირო მუშები მეფეს უნდა გამოეყვანა. ქირას ამ მუშებს სამთამადნო მმართველობა გაუკვეთდა.

თუ იმერეთში ახალი ქალაქი სადმე აშენდებოდა და აქედან იმპერიის ხაზინას სარგებელი რამე გაუჩნდებოდა, მაშინ მეფესაც წილი რაიმე უნდა დასდებოდა.

თუ იმერეთის ტყეებში რუსეთის შავი ზღვის ფლოტისათვის საჭირო სახომალდე ტყე აღმოჩნდებოდა, იმერეთის მეფე მას სრულიად უფასოდ სთმობდა, ოღონდ ამ მასალის მოჭრა-გატანისათვის ზომიერი ქირა უნდა მისცემოდა იმერელ მუშებს.

იმერეთზე გზად გატარებული სავაჭრო საქონელი ქართლ-კახეთიდან ზღვისპირისაკენ და ზღვისპირ-სადადიანოდან ქართლ-კახეთისაკენ უბაჟოა. ამის სამაგიეროდ იმერეთის მეფეს წილი რამე უნდა დაედვას ხელმწიფის საბაჟოს შემოსავალში.

იმერეთის მეფე დაცლის და უკან დაუბრუნებს დადიანს ყველა ციხეს და მათ მიმდგომ ქვეყნებს ოდიშსა და ლეჩხუმში; უთავისუფლებს დადიანს ყველა ტყვეებს და სამუდამოდ ხელს იღებს დადიანის მიმართ რაიმე პრეტენზიისაგან.

იმერეთის მეფე მოვალეა საურმე გზა გაიტანოს ვახანიდან ქუთაისამდე; მეფისავე მოვალეობაა როგორც ამ გზის მოვლა, ისე მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფა მგზავრებისათვის.

იმერეთის მეფე კონსტანტინე ბატონიშვილს სარჩოდ უთმობდა მისივე საბატონიშვილო მიწა-წყალს, მაგრამ იმ პირობით. რომ ბატონიშვილი, ვიდრე სოლომონ მეფე ცოცხალი იყო. რუსეთში ან აღმოსავლეთ საქართველოში იცხოვრებდა, რათა საბატონიშვილოში მისი დაბრუნება იმერეთის მეფის წინააღმდეგ შფოთის მიზეზი არ გამხდარიყო.

ამ ტრაქტატის დადების დღიდან აკრძალული იყო სათანადო ნებართვის გარეშე იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში ან პირუკუ გადასახლება. როგორც მეფე, ისე მთავარმართებელი მოვალენი იყვნენ ასეთები უკან დაებრუნებინათ.

* * *

ციციანოვი ამ ტრაქტატის დიდად კმაყოფილი იყო. იმავე 25/IV მთავარმართებელი მოახსენებდა ხელმწიფეს, რომ მისი ნება შესრულებულია და სამეგრელო-იმერეთის შემოერთებით ზღვის გზით დაკავშირება მეტროპოლიისა ამ შორეულ პროვინციებთან უზრუნველყოფილია. აქვე ეს მოხელე თავისი ხელმწიფის საამებლად საქართველოს ისტორიასაც იშველიებდა: „განჩებას ენებათ, რათა საქართველოს სამეფო, ქართველთა მეფის ალექსანდრე პირველის მიერ 1390 წელს დაყოფილი იმერეთის სამეფოდ და სამეგრელოს სამთავროდ, სრულიად რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მიერ კვლავ შეერთებულიყო“.

ისტორიულად ეს ასე არ ყოფილა, მაგრამ ციციანოვი აწმყოს მიმართაც სცოდავდა. მას ის ავიწყდებოდა. რომ ალექსანდრე იმპერატორი ამ ქართულ ქვეყნებს საქართველოდ კი არ აერთიანებდა, არამედ რუსეთის იმპერიის პროვინციად.

ალექსანდრე იმპერატორი საქართველოს სახელმწიფოებრიობას კი არ აღადგენდა, არამედ სპობდა მას და ქართველ ხალხს საქართველოს აღდგომისათვის დიდი ბრძოლა ამიერიდან წინ ედო. ჯერ კი ქართული ქვეყნები თავს იყრიდნენ „ხალხთა საპყრობილეში“. მაგრამ საქართველოს „აღდგომა-გამოხსნის“ გზა სწორედ ამ „საპყრობილეზე“ გადიოდა და სხვა უმჯობესი გზა იმ დროს არ არსებობდა.

**გურიის შემოსვლა ხელმწიფის ქვეშევრდომობაში.** რაც შეეხება გურიას, ციციანოვმა ეს მხარე იმერეთის სამეფოს პროვინციად იცნო. ამდენადვე იგულისხმებოდა, რომ იმერეთთან ერთად გურიაც

ხელმწიფის ქვეშევრდომი ხდებოდა. 1804 წლის 29 მაისს ციციანოვმა გურიის მთავარს ეს ახალი ქვეშევრდომობა მიულოცა.

* * *

1804 წლის 4 ივლისს ალექსანდრე ხელმწიფემ იმერეთისა და სამეგრელოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატები ორივე დაამტკიცა.

ხელმწიფე ამ პირობების დიდად კმაყოფილი იყო. რუსეთის ინტერესებს ამ ქვეყანაში ის სავსებით უზრუნველყოფილად სცნობდა. ამავე დროს არც მოსახლეობა უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო, როგორც ეს იყო რუსული მმართველობის შემოღების გამო ქართლ-კახეთში, სადაც შფოთსა და მღელვარებას ბოლო არ ეღებოდა. ამავე დროს ეს ახალი პროვინციები რუსეთის ხაზინის მხრით არავითარ ხარჯს არ ითხოვდა, პირიქით, ახლო მომავალში მათგან მოსალოდნელი იყო საგრძნობი შემოსავლის მიღება.

ყველაფერი ეს იმდენად ხელსაყრელად მოსჩვენებია ალექსანდრე ხელმწიფეს, რომ მას საკითხი დაუსვამს: ხომ არ იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი, რომ აღმოსავლეთ საქართველოშიაც ასეთივე პირობები აღედგინათ და ქვეყნის მმართველად ერთი მეფისძეთაგანი დაესვათ. 1804 წლის 8 ივლისს ციციანოვს ამ საკითხის შესახებ თავისი მოსაზრების წარდგენა მოსთხოვეს.

**ელაზნაურის ტრაქტატი და იმერეთის მეფე.** ელაზნაურის ტრაქტატი სოლომონის მეფობას არარად აქცევდა. ამიერიდან იმერეთის მეფე არსებითად რუსეთის მთავრობის უბრალო მოხელე ხდებოდა. თავის უფლებობაში სოლომონ მეფე სამეგრელოს მთავართან იყო გათანასწორებული. მაგრამ ის, რაც ასე თუ ისე მისაღები იყო დადიანისათვის, რამდენადაც მას, როგორც მთავარს, იმერეთის მეფე ემუქრებოდა,—სრულიად მიუღებელი იყო სოლომონ მეფისათვის, რომელიც სოლომონ I მიერ წამოწყებულ პროგრესული საქმის—საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის იბრძოდა. რუსეთის მთავრობა იმერეთის მეფის ასეთ მოღვაწეობას ძირშივე სპობდა.

ძალად თავზე მოხვეულ ამ ტრაქტატს სოლომონ მეფე ვერ შეურიგდებოდა და ის მას არც შერიგებია, არამედ შეუნელებლად იბრძოდა მისი უარსაყოფელად ვიდრე ცოცხალი იყო.

გაჯიუტებული სოლომონ მეფე რომ თავის ნებაზე დაეყოლიებინა და ამ ტრაქტატზე ხელი მოეწერინებინა, ციციანოვმა მას საიდუმლო წერილობითი პირობა მისცა,—ოდიშ-ლეჩხუმის ციხეებს იმერეთის მეფე მანამ არ დაცლიდა, სანამ ლეჩხუმის კუთვნილების

სამართალს ალექსანდრე ხელმწიფე არ გააჩენდა. თუმცა, წინასწარ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ეს სამართალი უსამართლოდ გადაწყდებოდა და ის დადიანის სასარგებლოდ იქნებოდა გამოტანილი, მაგრამ ისიც ერთგვარი ნუგეში იყო, რომ საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად არ ითვლებოდა და ეს ციხეები ჯერ ისევ სოლომონის ხელთა რჩებოდა.

**საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები.** იმერეთის შემოერთების შემდეგ დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩებოდა, რუსეთის ხელმწიფის ხელქვეშ რომ არ იყო შემოსული. ასეთი იყო აფხაზეთი, ქვემო გურია (=ქობულეთი,—ჩაქვი, კახაბერი). მაგრამ რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო შავი ზღვის ნავსადგურები, ოსმალთა მეციხოვნეებს რომ ეჭირათ: ბათომი, ფოთი და ანაკლია. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფოთის ნავსადგური იყო. ის რიონის შესართავთან იდო. რიონი კი დიდ მანძილზე ქვეყნის შიგნით სანაოსნო იყო. ქართლიდან იმერეთ-სამეგრელოსაკენ მხოლოდ საქარავნე გზები მიდიოდა. ასეთი გზებით იმერეთ-სამეგრელოში დასაბანაკებელ რუსთა ჯარის მომარაგება საეჭვო იყო, მით უფრო, რომ ეს გზები ახალციხის მხრიდან ლეკთა მიერ თავდასხმებისაგან უზრუნველყოფილი არ იყო. ფოთი—რიონი კი საუკეთესო გზა იქნებოდა. ყირიმიდან ამ გზით ადვილად შეიძლებოდა რუსთა ჯარის შემოყვანა სამეგრელოსა და იმერეთში და ამ ჯარის მომარაგებაც საჭირო სურსათით. ამ ნავსადგურების ხელში ჩაგდებით რუსეთის მთავრობის მფლობელობის სიმტკიცე დასავლეთ საქართველოში ერთი ორად იმატებდა. რუსეთის მოწინააღმდეგეებს კი ოსმალეთის უშუალო მეზობლობით ზურგი გამაგრებული აღარ ექნებოდათ და მათი გავლენაც ქვეყნის შიგნით ამისდა შესაფერისად შესუსტდებოდა.

აქამდე ეს ნავსადგურები ტყვეებით სავაჭრო მთავარი პუნქტები იყო. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საზოგადოება ოსმალეთიდან მოტანილ სავაჭრო საქონელზე სცვლიდა თავის მოძმეებს. ამიერიდან სავაჭრო საქონელი ყირიმიდან შემოვიდოდა და ქვეყნის გამანადგურებელი ტყვეთა სყიდვა, თუ სულ მთლად არ მოისპობოდა, დიდად შემცირდებოდა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ამ ნავსადგურების დაკარგვით ოსმალეთი ერთბაშად მოწყდებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დიდ ნაწილს, რაც მის გავლენას კავკასია-ამიერკავკასიაში საგრძნობლად შეამცირებდა.

რუსეთის მთავრობამ გამოარკვია, რომ ოსმალეთი ამ ნავსადგურებს მოკავშირე რუსეთს არ დაუთმობდა. ოსმალეთის მოკავშირეობა კი რუსეთის მთავრობისათვის ჯერჯერობით სასურველი იყო. ამიტომაც რუსეთის მთავრობა ოსმალეთის მთავრობის საწყენს უნდა მორიდებოდა. მაგრამ ფოთის მნიშვნელობა რუსეთისათვის ეხლა ისე დიდი გამხდარიყო, რომ პეტერბურგიდან ციციანოვს ნებას აძლევდნენ ხელთ ეგდო ეს ნავსადგური რაგინდა რა ხერხით, ოღონდ კი მტრობის აშკარა საბუთი არ მიეცა ოსმალეთისათვის.

**ლიტვინოვის მისია.** ამ რთული ამოცანის შესასრულებლად ციციანოვმა დასავლეთ საქართველოში მიავლინა მოხელე ლიტვინოვი ორმოცდაათი ჯარისკაცისაგან შემდგარი მცველთა რაზმით.

ამასთან ერთად ლიტვინოვს სხვა მნიშვნელოვანი დავალებაც ჰქონდა.

დასავლეთ საქართველოში ჯერ რუსთა ჯარი შეყვანილი არ იყო. სოლომონ მეფე და დადიანი თუმცა ორივენი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომნი იყვნენ, მაინც ერთი მეორის მტრებად რჩებოდნენ. ლიტვინოვს ესენი ურთიერთისათვის უნდა შეერიგებინა. ციციანოვის ამ მოხელეს მეფისა და დადიანისათვის „სათხოვარი პუნქტებით" გათვალისწინებული სხვა პირობების შესრულებაც უნდა მოეთხოვა: გზების გატანა, ჯარისათვის ბინების მომზადება. გარდა ამისა ლიტვინოვს ფხიზლად უნდა ედევნებინა თვალყური როგორც მეფე-დადიანისათვის, ისე სხვა ფეოდალების პოლიტიკური საქმიანობისათვის, დაეზვერა და გამოერკვია მათი ნამდვილი განწყობილება რუსეთის მთავრობის მიმართ.

1804 წლის 4 ივნისს ლიტვინოვი უკვე ქუთაისში იყო.

ფეოდალური დასავლეთ საქართველოს შინაგანი სისუსტე რუსეთის ცენტრალისტურმა მთავრობამ მარჯვედ გამოიყენა და სოლომონ მეფეს თავისი ბატონობა ძალად თავს მოახვია. თავის მხრით იმერეთის მეფე დიდის ოსტატობით ცდილობდა რუსეთის პოზიციის სუსტი მხარე მოესინჯა და მისი გამოყენებით მოწინააღმდეგის ძალთა უპირატესობა გაექარწყლებინა.

ელაზნაურის ტრაქტატი სოლომონ მეფეს დროის მოგების საშუალებად მიაჩნდა და მისი შესრულებისათვის ბრძოლა ციციანოვს წინ ედო.

სწორედ იმავე ხანებში, როცა ლიტვინოვი იმერეთს მიდიოდა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დიდი ამბები მზადდებოდა. სპარსეთი რუსეთის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა, აღმოსავლეთ სა-

ქართველოში უკმაყოფილება და მღელვარება რუსული მმართველობის წინააღმდეგ ძლიერდებოდა. ოსმალეთიც ძველებურად ყრუ აღარ იყო კავკასიაში დატრიალებული ამბების მიმართ.

სოლომონ მეფეც თავის პოლიტიკურ გეგმებს ამ მოვლენებს უკავშირებდა. მას ცხოველი საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა გაბმული ქართველ ბატონიშვილებთან, ხანებთან, ფაშებთან. სპარსეთის შაჰთან და ოსმალეთის კართან.

ლიტვინოვმა თავის უპირველეს საქმედ სოლომონ მეფისა და გრიგოლ დადიანის ურთიერთთან შერიგება დასახა. ამ მიზნით მან მეფის შემდეგ დადიანი ინახულა, ლეჩხუმსაც ეწვია. იქაურ პოლიტიკურ ვითარებასაც გაეცნო და ქუთაისს დაბრუნდა. რუსი მოხელის შეხედულებით ლეჩხუმის საქმე სოლომონის სასარგებლოდ არ გამოიყურებოდა იმიტომ, რომ ამ ქვეყნის თავადები დადიანს ირჩევდნენ, რადგან ამ უკანასკნელს ხელმწიფე სწყალობდა.

ლიტვინოვმა მალე დაადგინა, რომ სოლომონ მეფე დადიანივით საბოლოოდ ქედის მოხრას არ აპირებდა, ის სანდო არ იყო. თავისი მხრით სოლომონ მეფემაც ურყევად დაადგინა, რომ ციციანოვლიტვინოვთან სამართლის ძებნა მისთვის უიმედო იყო.

ციციანოვი კი ურჩევდა ლიტვინოვს, რომ, სანამ დასავლეთ საქართველოში რუსთა ჯარი არ შესულა. ის უნდა მოერიდოს სოლომონ მეფესთან საქმის გამწვავებას. აქვე ციციანოვი მცოდნე-მასწავლებელივით განუმარტავდა თავის მოხელეს, რომ დადიანი და მეფე ორივენი ერთნაირად უნდონი არიან რუსეთის მთავრობისათვის, ოღონდ დადიანს სისუსტე აიძულებს უფრო მეტი ერთგულება გვიჩვენოსო. ციციანოვი, რა თქმა უნდა, ცდებოდა. ის ვერ ითვალისწინებდა. რომ სოლომონის. როგორც დასავლეთ საქართველოს მეფის, მიზნები რუსეთის მთავრობის პოლიტიკურ განზრახვებთან ყოვლად შეუთავსებელი იყო და დაპირისპირებული, მაშინ როცა დადიანობის შერიგება რუსეთის მთავრობის პოლიტიკასთან შესაძლებელი გახდა და გამოინახა კიდევაც პირობა, რომლის საფუძველზე დადიანობა ამის შემდეგ 60 წელს არსებობდა, იმერეთის მეფე კი თავის სამეფოსთან ერთად ისე დაიღუპა. რომ რუსეთის მთავრობის პოლიტიკურ კურსს არ შერიგებია.

დადიანი მზად იყო ლიტვინოვის მითითების თანახმად სოლომონს შერიგებოდა, იმერეთის მეფე კი უკმაყოფილებას არ მალავდა განსაკუთრებით ლეჩხუმის გამო და დადიანთან შერიგების სურვილს არ იჩენდა. ამავე დროს ის ფხიზლად თვალყურს ადევნებდა პოლი-

ტიკური ამბების განვითარებას ამიერკავკასიაში და თავისი პოზიციების განმტკიცებას მოხერხებულად ცდილობდა.

**კონსტანტინე ბატონიშვილი.** ელაზნაურის ტრაქტატით სოლომონ მეფის მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი იგულისხმებოდა, თუ იმერეთის მეფეს ვაჟი არ მიეცემოდა. ციციანოვს ამ ტრაქტატში ეს მუხლი იმისთვის კი არ შეუტანია, რომ ის ამ დაჩაგრული ბატონიშვილის უფლებებზე ზრუნავდა. რუსეთის მთავრობისათვის უფრო ხელსაყრელი იყო, თუ იმერეთის მეფე უმემკვიდროდ გარდაიცვლებოდა. მაშინ იმერეთის სამეფოს მოშლა „სამართლიანობის" დაურღვევლადაც მოხერხდებოდა. და თუ ამისდა მიუხედავად კონსტანტინე ბატონიშვილი ტახტის მემკვიდრედ იქნა გამოცხადებული, ამის მიზეზი სულ სხვა იყო: რუსეთის ხელმწიფე სამართლიანობის მოღვაწედ გამოჩნდებოდა და ქართლის ბაგრატიონთა დარბევით შელახულ სახელს აღიდგენდა; ანა დედოფლისა და კონსტანტინე ბატონიშვილის მომხრე თავადები რუსეთის მთავრობის ერთგულებაზე დადგებოდნენ და ამით სოლომონ მეფე დასუსტდებოდა; და ბოლოს, უმთავრესი ის იყო, რომ იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე რუსეთის მთავრობის ხელში სოლომონ მეფეზე მუდმივი პოლიტიკური ზემოქმედების ძლიერი საშუალება იქნებოდა.

რუსეთის მთავრობას კონსტანტინე ბატონიშვილი რომ იმერეთში სამეფოდ არ სურდა, ამის მოწმობა იყო ტრაქტატის ის მუხლი, რომლის ძალითაც ამ ტახტის მემკვიდრეს იმერეთში თავის საბატონიშვილოში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, ვიდრე სოლომონ მეფე ცოცხალი იყო. რუსეთის მთავრობა აქამდეც დაჟინებით არწმუნებდა კონსტანტინეს დედას ანა დედოფალს, რათა ის მოსკოვს გადასახლებულიყო თავისი შვილით და იქ ყმაწვილი სასწავლებელში მიებარებინა.

რუსეთის მთავრობის განზრახვებს ადრე მიუხვდნენ იმერეთის მეფის კარზე. ანა დედოფალიც მიახვედრეს საქმის ნამდვილ აზრს და 12 ივნისს 1804 წელს, როცა ციციანოვი ერევნის მხარეს იმყოფებოდა, კონსტანტინე ბატონიშვილი ქართლიდან იმერეთს გაიქცა.

ამით სოლომონმა რუსეთის მთავრობას ხელიდან გამოსტაცა იმერეთის მეფეზე ზემოქმედების ძლიერი პოლიტიკური იარაღი, გაიერთგულა კონსტანტინეს მომხრე იმერელი თავადები და ეს ბატონიშვილი რუსეთის მთავრობაზე ზემოქმედების საშუალებად გამოიყენა.

სოლომონ მეფე ამტკიცებდა, რომ—ის კოსტანტინეს ამ საქმის, ე. ი. მისი თბილისიდან გაქცევის მონაწილე არ იყო, რომ მან ბატონიშვილის ადგილსამყოფელიც კი არ იცოდა, მაგრამ ეს არავის სჯეროდა. ლიტვინოვს ცნობები მოსდიოდა, რომ მეფემ ფარულად ინახულა ბატონიშვილი, რომ მეფის ბრძანებით მას ფრთხილად ინახავენ საიდუმლო ადგილას. მალე ხმაც დავარდა, რომ სოლომონ მეფე კოსტანტინე ბატონიშვილს ოსმალეთის სულტანთან გაგზავნას უპირებსო.

თავის მხრით ლიტვინოვიც არ ზოგავდა ენერგიას სოლომონ მეფის მდგომარეობის გასაძნელებლად. ლეჩხუმის საკითხში მან გარკვევით დადიანის მხარე დაიჭირა, გურიელის სახლის საქმეებში ჩაერია და იქაც მეფის საწინააღმდეგოდ ისაქმა. ამავე დროს დადიანის აგენტები შეეცადნენ მოეშალათ სოლომონ მეფის საყრდენი ძალა. მათ საიდუმლოდ გადაიბირეს რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე იმერელი „ფიცის კაცები"—ავალიანები, მესხები, იოსელიანები.

**საჭილაოს შეთანხმება.** ამავე დროს გარეშეხედვით ურთიერთობა ნორმალურად მიმდინარეობდა. ლიტვინოვმა 1804 წლის ივნისშივე საჭილაოს ერთი მეორეს შეახვედრა სოლომონ მეფე და გრიგოლ დადიანი. მეფე-მთავარმა ურთიერთშორის მშვიდობის პირობა დადვეს, ფიცით დაამტკიცეს, რომ ლეჩხუმის საქმეში ხელმწიფის გადაწყვეტილებას დაელოდებიან და მას განუხრელად შეასრულებენ, სხვა სადაო საკითხების მშვიდობით მორიგებას ეცდებიან, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოსაშუალედ ლიტვინოვს მიმართავენ.

ამ ხანებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რთული პოლიტიკური მდგომარეობა შექმნილიყო. ციციანოვი ერევანს გარს შემოდგომოდა და წარმატება არა ჰქონდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი აჯანყება დაწყებულიყო. სოლომონ მეფე ცდილობდა ამ გარემოებით ესარგებლნა და თავისი წაგებული საქმე გამოესწორებინა.

სოლომონ მეფე ხელს უშლიდა ყირიმიდან ზღვის გზით რუსთა ჯარის შემოყვანას დასავლეთ საქართველოში. მან კარგად იცოდა, რომ აქ რუსთა ჯარის შემოყვანა იმერეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასასრული იქნებოდა.

**სოლომონ მეფე და ფოთის ციხის საკითხი.** იმერეთის მეფემ შეიტყო, რომ ლიტვინოვი ფოთის ციხის ხელში ჩაგდებას დადიანის საშუალებით აპირებდა. სოლომონს კი არ სურდა, რომ ფოთი რუსეთის მთავრობის ხელში გადასულიყო. რუსეთის მთავრობა ამ ნავ-

სადგურს უპირველეს ყოვლისა იმერეთის მეფის დასამონებლად გამოიყენებდა. [illegible]ტომაც იყო, რომ მეფეს საიდუმლოდ აცნობა ფოთის ოსმალთა გარნიზონის უფროსს დადიანის განზრახვა.

მეორე მხრით სოლომონ მეფე ხელსაყრელი პირობების შეთავაზებით დადიანის გადმობირებას ცდილობდა, ხოლო როცა ეს ცდა მარცხით დამთავრდა, მან სადადიანო ლეჩხუმის აჯანყება სცადა. იმერეთის მეფეს აქაც მარცხი ელოდა.

1804 წლის 24 ოქტომბერს გრიგოლ დადიანი უეცრად გარდაიცვალა. სოლომონის მომხრეები სამეგრელოში ძლიერად ამოქმედდნენ. გრიგოლის მოქიშპე ძმის მანუჩარის გადადიანება სურდათ. მაგრამ ამ დროისათვის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკური მდგომარეობა სავსებით გამოირკვა. ციციანოვმა, მართალია ერევანი ვერ აიღო, მაგრამ ვერც სპარსეთმა მოახერხა მისი განდევნა საქართველოდან. ამას გარდა ციციანოვის მუქარის წერილებს, დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს რომ უგზავნიდა, ამ დროს უკვე თან ახლდა ძლიერ დამაჯერებელი არგუმენტი: ყირიმიდან წამოსული რუსთა ჯარი უკვე სამეგრელოს ნაპირზე გადმოსულიყო.

ლიტვინოვმა ფოთი ვერ იგდო ხელში. ვერც იმაზე დაითანხმა ფოთის ციხისთავი, რომ რიონით რუსთა ჯარისათვის ყირიმიდან სურსათი შემოეტანა. მაშინ რუსეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა დაკმაყოფილებულიყო მცირე და უვარგის ნავსადგურს მდინარე ხობის შესართავთან, სადაც 1804 წლის ოქტომბერში რუსთა ჯარი საქართველოს ნაპიროზე გადმოსხდა კიდევაც.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის მთავრობის მიერ ნავსადგურის დაჭერა ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტი იყო. ჩამორჩენილი ოსმალეთის 300-წლოვანი სავაჭრო მონოპოლია წარსულს ჩაბარდა და ბურჟუაზიულ ევროპიდან აღმოსავლეთში ახალი სატრანზიტო გზა ოსმალეთის გვერდის ავლით დაისახა.

1804 წლის დეკემბერში დილევსკის ლეგიონი სამეგრელოში შევიდა.

გრიგოლ დადიანს მემკვიდრე მცირეწლოვანი დარჩა. ციციანოვმა შეიმუშავა სამეგრელოს სამთავროს დროებითი მმართველობის პროექტი, რომელიც ალექსანდრე ხელმწიფემ 1805 წლის იანვარში დაამტკიცა კიდევაც. სამეგრელოს მმართველად და მცირეწლოვანი მემკვიდრის მეურვედ გრიგოლ დადიანის ქვრივი დედოფალი ნინო

გამოცხადდა. ქვეყნის მართვა-გამგეობას წარმართავდა ედდოფალთან შექმნილი დროებითი საბჭო, რომელიც ოთხი წევრისაგან შედგებოდა. საბჭოს წევრები საგანგებოდ იყვნენ შერჩეული ციციანოვლიტვინოვისაგან: ბესარიონ ჭყონდიდელი, ნიკო დადიანი, ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი და მთავრის სახლთუხუცესი ჩიქოვანი. საბჭოს ეკითხებოდა სამთავროს შინაურ საქმეებზე ზრუნვა, მათ შორის სამოქალაქო სამართლის საქმეები. სისხლის სამართლის საქმე კი სამეგრელოში მდგომ რუსთა ლეგიონში უნდა გარჩეულიყო რუსული სამხედრო კანონების საფუძველზე.

გრიგოლ დადიანს თავისი მემკვიდრე ლევანი აფხაზეთის მთავრის ქელაიშ ბეგისათვის მძევლად მიეცა. ქელაიშ ბეგი ოსმალეთის სულტნის ქვეშევრდომი იყო. ციციანოვმა ქელაიშ ბეგს ლევანის განთავისუფლება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ საქართველოს მთავარმართებელმა გენერალ რიკჰოფს უბრძანა ძალით შესულიყო აფხაზეთში და ლევანი გამოეყვანა. წყალდიდობის გამო ეს ექსპედიცია შეფერხდა, თუმცა საბოლოოდ ეს საქმე მაინც წარმატებით დამთავრდა. 2 აპრილს ქელაიშ ბეგმა მძევალი ბატონიშვილი უკან დააბრუნა.

მაგრამ ამ ექსპედიციას სხვა ამბავიც მოყვა. აფხაზეთისაკენ მიმავალმა გენერალმა რიკჰოფმა ანაკლიის ციხე წაართვა ოსმალო მეციხოვნეებს. ამან სულტნის კარის შეშფოთება გამოიწვია. სტამბოლში სასწრაფო ზომები მიიღეს შავი ზღვის სანაპიროზე ციხეების გასამაგრებლად. ამავე დროს ოსმალო დიდმოხელე ფოთს მოვიდა. მას დავალებული ჰქონდა ანაკლიის საქმის გამოძიება და აგრეთვე შავი ზღვის აღმოსავლეთით შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესწავლა.

რუსეთის მთავრობა ამ დროს ოსმალეთთან მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა და მასთან ამ ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა.

ამავე დროს იგი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნავსადგურს მეტისმეტად საჭიროებდა. ნავსადგურები კი ყველა ოსმალთა ხელში იყო. რაკი ფოთის მიღება არ ეწყობოდა, ციციანოვმა ახალ ხერხს მიმართა: ვითომ გენერალმა რიკჰოფმა ანაკლია ისე დაიჭირა, რომ ამისი ბრძანება მას არა ჰქონია. მოსინჯეს: თუ ოსმალეთი მაინც და მაინც თავს გამოიდებდა, მოიბოდიშებდნენ და ციხეს უკან დააბრუნებდნენ, თუ არა და ეს ნავსადგური რუსეთს შერჩებოდა.

ეხლა, რაკი ოსმალეთის კარი აგრე შეშფოთდა, რიკჰოფმა დასცალა ციხე, ნავსადგური და ოსმალო მოხელის თანდასწრებით ის ქელაიშ ბეგმა ჩაიბარა.

10 ივნისს 1805 წელს ხელმწიფის სიგელი და ინვესტიტურის ნიშნები ლევანს დიდის გამოჩვენებით ჩაბარდა.

ამის შემდეგ სოლომონის საქმე განსაკუთრებით დამძიმდა. მეფე ცდილობდა მფარველისათვის ერთგულება-მორჩილების ჩვენებით მისი რისხვა თავიდან აეცდინა, თუმცა კარგად იცოდა, რომ რუსეთის მთავრობას მისი ერთგულებისა არა სწამდა რა.

1805 წლის 19 თებერვალს ქუთაისში იმერეთის მეფეს დიდის ზეიმით ჩააბარეს იმპერატორის წყალობის სიგელი. მაგრამ ეს ოფიციალური სიამტკბილობა ურთიერთის უკმაყოფილებას არ ანელებდა და უნდობლობას არ სპობდა. სოლომონ მეფე ამის შემდეგაც შეუნელებელ ბრძოლას განაგრძობდა და მოძალადე—„მფარველის“ წინააღმდეგ მოკავშირეს დაყინებით ეძებდა. ის დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მეფე თავის სახელმწიფოში სხვა მეფეს ვერ იგუებდა და ადრე თუ გვიან ის იმერეთის მეფესაც ისევე გააქრობდა, როგორც გააქრო პოლონეთის, ყირიმის და ქართლ-კახეთის სამეფოები. სოლომონი თვალყურს ადევნებდა იმ მსოფლიო მნიშვნელობის ამბებს, ამ დროს რომ ევროპაში მიმდინარეობდა, იცოდა ამ ამბებში რუსეთის მონაწილეობის შესახებ და იმედოვნებდა, რომ რუსხელმწიფე დამარცხდებოდა. ამავე დროს სოლომონს ცხოველი საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთის შაჰთან, ოსმალეთის კართან, ალექსანდრე ბატონიშვილთან, ფაშებთან, ხანებთან და რუსეთის მთავრობის ყველა მტერთან. მან იცოდა, რომ რუსეთის მთავრობა ამ რთულ მდგომარეობაში იმერეთში ომს არ დაიწყებდა, ვიდრე ამის აშკარა მიზეზს სოლომონ მეფე მას არ მისცემდა.

რუსეთის მთავრობით უკმაყოფილებას სოლომონი არ მალავდა. ამ უკმაყოფილების მთავარ მიზეზად მას ლეჩხუმი გამოჰქონდა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, იმპერატორმა სამეგრელოს მთავრის კუთვნილებად სცნო.

დამოკიდებულება მეფესა და რუს მოხელე ლიტვინოვს შორის სულ უფრო და უფრო არანორმალური ხდებოდა. სოლომონი ვერ ურიგდებოდა ლიტვინოვის მოქმედებას დასავლეთ საქართველოში. რუსი მოხელის ეს მოქმედება სოლომონის, როგორც მეფის, უფლებებს არღვევდა და მის პოლიტიკურ განზრახთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ლიტვინოვი თავის მხრით კარგად ხედავდა, რომ სოლომონი ნაძალადევად თავსმოხვეული ტრაქტატის ერთგული არ იყო. რუსი მოხელე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მეფის საქმიანობას და მის საწინააღმდეგო ღონისძიებებს სახავდა.

მეფესა და რუსეთის მთავრობის ამ წარმომადგენელს შორის ნდობა აღარ იყო. ვიდრე იმერეთში რუსთა ჯარი არ შესულიყო ლიტვინოვი თავისი მცირე ამალით ქუთაისში ვერ დგებოდა. მას ფიზიკური განადგურებისაც კი ეშინოდა და სამეგრელოში ყოფნას ირჩევდა. მას შემდეგ კი, რაც რუსთა ჯარი ქუთაისში შემოვიდა, იმერეთის მეფე გაეცალა თავის სატახტო ქალაქს, ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას დაიჭერდნენ და რუსეთს გადაასახლებდნენ. მეფე ჯერ ვარციხეს, ხოლო შემდეგ საჯავახოს დადგა.

ციციანოვი სოლომონს გულგაუწმენდილობას და უნდობლობას უსაყვედურებდა და მისგან მოითხოვდა ქუთაისშივე დაბრუნებას, კონსტანტინე ბატონიშვილის გაცემას და იმპერატორთან მადლობის დეპუტაციის გაგზავნას.

სოლომონი კონსტანტინეს გაცემას არ აპირებდა. ეს ბატონიშვილი მას უკვე ეშვილებინა, თუმცა, ოფიციალურად ამას ჯერ კიდევ არ აცხადებდა. ქუთაისში დაბრუნების პირობად მეფე რუსთა ჯარის ამ ქალაქიდან გაყვანას მოითხოვდა. სოლომონი ლეჩხუმის გამო ისევ საყვედურობდა, ლიტვინოვის მხრით თავის შეურაცხყოფას ჩიოდა, ამ მოხელეს მრავალ უწესო საქციელს აბრალებდა და მის ნაცვლად სხვა მოხელის დანიშვნას ითხოვდა.

ორივე მხარე კარგად ხედავდა, რომ მორიგების საფუძველი მათ შორის აღარ იყო და თითოეული გადამჭრელი მოქმედებისათვის ემზადებოდა.

**განჯის დაპყრობის გამოძახილი სპარსეთში.** რუსეთის მთავრობის წარმატებანი ამიერკავკასიაში სპარსეთისათვის სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. ჯავად-ხანის დაღუპვა და განჯის აღება ციციანოვის მიერ სპარსეთის დიდი მარცხი იყო. ჯავად-ხანი შაჰის ერთგულ კაცად ითვლებოდა. განჯის ხვედრით შეშინებული ხანები ციციანოვს მოციქულებს უგზავნიდნენ და მორჩილების პირზე ხელმწიფის საფარველში შესვლის სურვილს აცხადებდნენ. სპარსეთში მიხვდნენ, რომ თუ შაჰი აქტიურად არ ჩაერევა ამიერკავკასიის საქმეებში, მალე ყველა ხანი რუსხელმწიფეს მიუვა.

და შაჰიც ამიერკავკასიიდან რუსთა გასადევნად ომის სამზადისს შეუდგა.

ციციანოვმა ჯერ კიდევ 1804 წლის გაზაფხულს მიიღო ცნობები, რომ თავრიზში სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა ლაშქარს უყრიდა თავს.

ვიდრე მტერი საქართველოში ომით შემოვიდოდა, ციციანოვმა გადაწყვიტა დაესწრო მისთვის და საომარ ასპარეზად საქართველოს გარეთი ქვეყანა ექცია. ასეთ ასპარეზად მან ერევნის სახანო დაიგულა.

**სომეხთა პატრიარქის საკითხი.** ერევნის ხანსა და ციციანოვს შორის კონფლიქტის საბაბი სომეხთა პატრიარქის საკითხი იყო.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ ამიერკავკასიაში ფეხი ჩამოდგა, ის, ბუნებრივია, მეტი, ვიდრე აქამდე, ყურადღებით მოეკიდა სომეხთა საკითხს და ამ ხალხში გავლენის მოპოვებას ცდილობდა.

ოსმალეთ-სპარსეთის მოძალადეობით სულ-ამოხუთული სომეხი ხალხი დიდი ხანია, ქართველებივით, იმედის თვალით უყურებდა რუსეთს და თავის სახელმწიფოებრივ აღდგომას ამ ქრისტიანულ სახელმწიფოს დახმარებით ოცნებობდა.

რუსეთის მთავრობა ეხლა უკვე იმ პოლიტიკურ კურსს აღარ იზიარებდა, როცა ის, XVIII საუკუნეში, საქართველოს სამეფოს გაძლიერებას უჭერდა მხარს და სომეხთა სახელმწიფოს აღდგენით აიმედებდა მრავალტანჯულ სომეხ ხალხს. საქართველო და სომხეთი რუსეთის მთავრობას ეხლა საკუთარ რუსულ გუბერნიებად სურდა ჰქონოდა. ამისდა მიუხედავად რუსეთის მთავრობას, თუმცა „სომხეთის“ აღდგენა არ სურდა, მაგრამ მას დიდად აინტერესებდა სომხები, რომელთაც ქართველებთან ერთად შეეძლოთ ამიერკავკასიაში დასაყრდენი ძალა შეექმნათ რუსეთის მთავრობისათვის სპარსეთ-ოსმალეთთან ბრძოლაში. ამიტომ, გასაგებია, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რომ გავლენა შერჩენოდა და მფარველის სახელი არ მოშლოდა სომეხთა შორის. ამით აიხსნება, რომ რუსეთის მთავრობა დიდად დაინტერესებული იყო, რათა ეჩმიაძინის საკათალიკოზო ტახტზე ისეთი პირი ოჯდარიყო, რომელიც სომეხ ვაჭართა წრეებში დიდი გავლენით სარგებლობდა და ამავე დროს რუსეთის გავლენას სომეხ ხალხში ხელს შეუწყობდა.

ასეთ პირად რუსეთის მთავრობას დანიელ კათალიკოზი მიაჩნდა. მაგრამ დანიელს მხარს არ უჭერდა ერევნის ხანი და ეჩმიაძინის

საკათალიკოზო ტახტიც მის სასურველ პირს დავით კათალიკოზს ეპყრა.

პეტერბურგში ციციანოვს საგანგებოდ დაავალეს, საქართველოში წამოსვლისას, რომ იძულებულ ეყო ერევნის ხანი, რათა მას დავით კათალიკოზი გადაეყენებინა და მის მაგივრად დანიელი დაესვა.

საქართველოში მოსვლის უმალვე ციციანოვმა ასეთი დავალებით ერევნის ხანს მოციქულები გაუგზავნა. უარი მიიღო. საქართველოს მთავარმართებელს ხელსაყრელი საბუთი ეძლეოდა ერევნის დაპყრობისათვის. პოლიტიკური პირობებიც შესაფერისი ჩანდა. იმიერ კავკასიაში რუსთა ჯარის მიწოლით შეჭირვებულ დაღისტნელებს თავდაცვაზე უნდა ეზრუნათ. სპარსეთის შაჰი ხორასანში აჯანყებათა ჩაქრობას უნდებოდა და ამიერკავკასიის ხანები, შაჰის მხრით დახმარების უიმედონი, რუსეთის ხელმწიფის მფარველობას ეძებდნენ. და ციციანოვი ვარაუდობდა, რომ „ერევნის დაპყრობის შემდეგ ის ნახჭევანზე გაივლიდა, აქედან შუშას“ (ე. ი. ნახჭევნისა და ყარაბაღის სახანოებს დაიმორჩილებდა) და ამრიგად რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას—„მტკვარ-არაზის დინებით სპარსეთთან სასაზღვრო ხაზის გავლების შესახებ მის უმთავრეს ნაწილში ამ ლაშქრობისასვე განახორციელებდა“. ეს იყო 1803 წელს. მაგრამ ამ ჯერად ციციანოვმა მუქარა ვერ განახორციელა. მას კიდევ უფრო საშური საქმეები გაუჩნდა ქართლში, ჭარ-ბელაქანში, განჯაში, იმერეთ--სამეგრელოში და მხოლოდ 1804 წლის შუაზედ და მოიცალა ერევნის საქმისათვის.

**ერევნის ხანი და მისი სახანო.** ერევნის ხანი ისევე, როგორც სხვა ხანები ამიერკავკასიაში, სპარსეთის იმდროინდელი მპყრობელი ბაბა-ხანის (იგივე ფათჰალი შაჰი) უფლებას თავის სახანო ერევანზე არა სცნობდა და თავი დამოუკიდებლად ეჭირა. ეხლა, როცა ორი ძლიერი სახელმწიფო—რუსეთი და სპარსეთი—ამიერკავკასიაში ერთი მეორეს დაუპირისპირდა. ერევნის ხანი თავის გადარჩენას ამათ ურთიერთის მტრობით ვარაუდობდა. რუსეთისაგან შეჭირვებული ერევნის ხანი დახმარებას ბაბა-ხანსა სთხოვდა, ხოლო ბაბა-ხანის მიერ ერევნის დაპყრობის წინააღმდეგ რუსთა ძალის გამოყენებას ცდილობდა.

ეხლაც, რაკი ციციანოვის მუქარა საქმიანი ჩანდა, ერევნის ხანმა დახმარებისათვის სპარსეთის შაჰს მიმართა, თითონ კი ერევნის

ციხე, როგორც გაეწყობოდა, გაამაგრა და საომრად გამზადებული შიგ ჩაიკეტა.

**ციციანოვის ლაშქრობა ერევანს.** ციციანოვმა ლაშქარი შემოიყარა. რუსთა გვერდით მან ქართველ თავადაზნაურობის რაზმი და თბილისის მოქალაქენიც თან იახლა, ერევნის მხრისაკენ დაიძრა და ხანს ულტიმატუმი გაუგზავნა: ერევნის ხანმა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობა უნდა ითხოვოს, მან ერევნის ციხეში რუსთა გარნიზონი უნდა მიიღოს და საქართველოს მთავრობას ყოველწლიური ხარკი უნდა აძლიოს; გარდა ამისა დანიელ კათალიკოზი უნდა აღადგინოს, ხოლო დავით კათალიკოზი თბილისში გამოგზავნოს.

ერევნის ხანმა ციციანოვს პასუხი არ გასცა.

ამასობაში სპარსეთის ჯარის მეწინავე რაზმი ერევნის სახანოში შემოვიდა, ხოლო შაჰის ვეზირმა ციციანოვს მოციქული გამოუგზავნა და მას რუსთა ჯარისაგან საქართველოს დაცლა მოსთხოვა. ციციანოვმა საპასუხო მუქარის წერილში შაჰს ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების გაცემა მოსთხოვა.

პირველი შეტაკება ციციანოვის ლაშქარსა და სპარსელ ჯარს შორის გუმბრის (=ლენინაკანი) მიდამოებში მოხდა 1804 წლის ივნისის შუა რიცხვებში. სპარსელთა თავდასხმა რუსთა ჯარმა ადვილად მოიგერია.

მეორე შეტაკება ეჩმიაძინის მისადგომებზე მოხდა ოც ივნისს. აქ სპარსელთა ლაშქარს სპარსეთის შაჰის მემკვიდრე აბას-მირზა სარდლობდა. ეს ომიც რუსთა ჯარის გამარჯვებით დამთავრდა.

ივლისის დამდეგს ციციანოვის ჯარს კიდევ უფრო დიდი ომი ჰქონდა სპარსელებთან ერევნის მისადგომებზე. ამ შეტაკების დროს დაიღუპა ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე, სოლომონ იმერთა მეფის მტერი, რომელიც ოსმალეთიდან ციციანოვს მოსვლოდა და სოლომონ მეფესთან ანგარიშის გასწორებას მისი დახმარებით აპირებდა.

რუსთა ჯარის წყობისა და იარაღის უპირატესობა სრულიად აშკარა იყო. აბას-მირზა იძულებული გახდა უკან დაეხია.

**ერევნის ალყა.** ციციანოვმა ერევანს ალყა შემოარტყა. შეშინებული ერევნის ხანი ეხლა მზად იყო, რომ ხარკი, რომელსაც ის უკვე ექვსი წელი იყო, რაც არ იხდიდა, ერთად გადაეხადა, მაგრამ ეხლა ციციანოვი რაიმე პირობებზე მოლაპარაკების სურვილს არ იჩენდა. გამარჯვებული მთავარმართებელი ხანს სპარსელთა მიმდგომობას აბრალებდა, მისგან უსიტყვო მორჩილებასა და ციხის ჩაბარებას

შოითხოვდა და მას, დამორჩილებულს, წყალობად რუსეთში უზრუნველ ცხოვრებას, ე. ი. გადასახლებას აღუთქვამდა.

ციციანოვს ერევნის ოლქის დაპყრობა და იმპერიისათვის მისი უშუალო შეერთება ეხლა ადვილგანსახორციელებლად ეჩვენებოდა.

მთავარსარდლის ეს მოთხოვნა ერევნის ხანმა არ შეასრულა და ხუთ ივლისს ომი დაიწყო ალყა შემორტყმულ მეციხოვნეებსა და რუსთა ჯარს შორის.

მაგრამ ციხე რუსთა ჯარის მიერ აღებისაგან ისევ სპარსელებმა იხსნეს. რუსთაგან დამარცხებულ აბას-მირზას დასახმარებლად სპარსეთიდან თვით შაჰი წამოსულიყო და 14 ივლისს ერევნის ახლოს მოსული ბაბა-ხანი და აბას-მირზა რუს მოალყეთა საიერიშოდ ემზადებოდნენ.

მდგომარეობა გართულდა. რუსთა ჯარს ერთსა და იმავე დროს ორპირი ბრძოლა ელოდა ერევნის მეციხოვნეებისა და გარშემოდგომილ სპარსელების წინააღმდეგ.

მწვავე შეტაკებები გადამწყვეტ შედეგს არ იძლეოდა. ომი გახანგრძლივდა. ბაბა-ხანმა ციციანოვს საქართველოდან სურსათისა და ტყვია-წამლის მიღების საშუალება არ მისცა. მტერმა გზები სულ ერთიანად მოიცვა. გზის გახსნის მიზნით ციციანოვის მიერ მიღებული ღონისძიებანი მარცხით დამთავრდა. ერევანს შემომდგარი რუსთა ჯარი მძიმე სამხედრო მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ კიდევ უფრო დამაფიქრებელი ჩანდა საერთო პოლიტიკური ვითარება. საქართველოდან აჯანყების შესახებ საშიში ცნობები მოდიოდა.

ქართველ თავადაზნაურთა რაზმის ნაწილმა და თბილელმა მოქალაქეებმა, ციციანოვის ლაშქარში რომ იყვნენ, მისი საქმე წაგებულად შეაფასეს და „თავს უშველეს“, ბრძოლის ველი დატოვეს და საქართველოში უკუიქცნენ. დეზერტირებს გზაში სპარსელთა ჯარი დახვდა. მრავალი ბრძოლაში დაიხოცა, სხვები კი ტყვედ ჩაცვივდნენ. ტყვე თავადები თეირანს წაიყვანეს. იქ ისინი ვირებზე შესვეს და აგრე ქალაქის ქუჩებში ატარეს.

**სპარსეთის შაჰის ღონისძიებები.** სპარსეთის შაჰი რუსთა წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყებისას, ბუნებრივია, ცდებოდა მტრის სამხედრო თუ პოლიტიკური პოზიციების გაუარესებას. შაჰის აგენტები მოსდებოდნენ მთელს ამიერს თუ იმიერ კავკასიას და ყველას რუსთა წინააღმდეგ ომში მოუწოდებდნენ. იმუქრებოდნენ სპარსეთის „უძლეველი“ და „უთვალავი“ ჯარით, უხვად აბნევდნენ შაჰის „წყალობა—ხალათებს“, კიდევ უფრო უხვად მის დაპირებებს.—

ყველას აუწყებდნენ, რომ საქართველოდან რუსთა განდევნა უთუო საქმეა.

მაგრამ ნამდვილად სპარსეთის ჯარი არც „უთვალავი“ ჩანდა და არც. კიდევ უფრო. „უძლეველი“, არც შაჰის წყალობა იყო ისე „უხვი“. როგორც მისი დაპირება-აღთქმანი. ასე რომ ამ ხერხით კავკასიელი ფეოდალების, გამობრძმედილი პოლიტიკოსების—გადაპირება და მათი რუსთა წინააღმდეგ სახიფათო ომში გამოყვანა უიმედო საქმე იყო.

ხოლო თუ აჯანყება რუსული მმართველობის წინააღმდეგ სადმე ავარდა, აქ სპარსეთის შაჰის მოწოდება ხელსაყრელი შემთხვევა შეიძლებოდა ყოფილიყო .და არა ამ აჯანყების გამომწვევი მიზეზი.

**ხანების პოზიცია.** რუსეთ-სპარსეთის ომმა ამიერკავკასიის მოსახლეობა ააშოძრავა. ხანები თავდაცვის სამზადისს შეუდგნენ. „ერთგულება-სამსახურის“ ჩვენებას აპირებენ, მაგრამ გადაჭრით და გადაწყვეტით არც ერთი არ ამჟღავნებს თავის „ორიენტაციას“ და თითოეული ცდილობს თავისი მოქმედება ამა თუ იმ მებრძოლი მხარის წარმატება-წარუმატებლობას შეუფარდოს, რათა „სამსახური“ გამარჯვებულს არ დაუგვიანოს.

**საქართველოს მაჰმადიანების პოზიცია.** უფრო გადაჭრით ამოქმედდა შამშადილუ-ყაზახის და ბამბაკ-ბორჩალუს მაჰმადიანური მოსახლეობა. თურქმანი მომთაბარენი ზოგი ყარსის ოლქში გადაიხვეწა, ზოგი ბაბა-ხანს მიუვიდა, სხვებმა კიდევ მეზობელი სომხური მოსახლეობის ძარცვა იწყეს,—მხოლოდ მცირე ნაწილი შერჩა რუსული მმართველობის ერთგულებას.

ასევე გააქტიურდნენ ჭარელი ლეკები და ქართლ-კახეთის სოფლებს საძარცველად მოედვნენ.

**ბატონიშვილების პოზიცია.** ქართველი ბატონიშვილები — იულონ და ფარნაოზ იმერეთიდან, ხოლო ალექსანდრე და თეიმურაზი შაჰის კარიდან არაფერს ზოგავდნენ იმისათვის. რომ რუსთა მფლობელობის წინააღმდეგ აემხედრებინათ ხანები, მთიელები, ქართველი თავადები. წერილებით თუ მოციქულებით, რჩევით და იმედებით, მუქარით და ბრძანებით, ისინი ყველასა და ყველაფერს „ერეკლეს ოჯახის“ აღსადგენად ჰოუწოდებდნენ.

**ქართველი თავადაზნაურობის პოზიცია.** ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა სამ ჯგუფად იყოფოდა:

რუსული მმართველობის მომხრენი—ესენი იყვნენ, ვინც ხელისუფლებამ, ქვეყნის ღალატისა თუ სხვა შეცოდებისათვის ერეკლეს მიერ დევნილები, დააბრუნა და თავის სამამულო უფლებებში აღადგინა (ერისთავები, ორბელიანი, ხიდირბეგიშვილები...), ან ისინი, ვისაც ხელისუფლებამ, გიორგი მეფისა და მისი ძმების უთანხმოების დროს მიმძლავრებულთ, „წყალობის ხელი აუპყრა“ და, ბოლოს, ამ ჯგუფში შედიოდნენ ისეთები, ვინც ხელისუფლებამ პირადი ჯილდო-პატივით გაიერთგულა. ბევრი ამათგანი ეხლა ციციანოვს ახლდა ერევნის მხარეს, სხვები კიდევ, სახლში დარჩენილები, რუსული ხელისუფლების სასარგებლოდ ენერგიულად იბრძოდნენ.

მეორენი რუსული მმართველობის აშკარა მტრები,—ისინი, ქართლ-კახეთიდან გადახვეწილები, ბატონიშვილებთან იმყოფებოდნენ ან ქვეყნის შიგნით იმალებოდნენ.

თავადების დიდი უმრავლესობა, რუსული მმართველობის უკმაყოფილო იყო, თუმცა თავის ამ პოზიციის ნაადრევად გამომჟღავნებას ერიდებოდა. ესენი პოლიტიკური ამინდის გამორკვევას უცდიდნენ. მაგრამ ამავე დროს საჭირო თადარიგს ამ თავითვე იჭერდნენ: თავადის სახლიდან ზოგიერთი სახლისკაცი რუსული მმართველობის „ერთგული“ რჩებოდა“, ზოგიერთი კი ამა თუ იმ ბატონიშვილს მიუდიოდა.

**ქართველი გლეხის პოზიცია.** ქართველი გლეხის პოზიცია ერთი და გარკვეული იყო. ის მტერი იყო ყველა უსამართლოსი, მკვიდრი ბატონი იქნებოდა ის თუ სახელმწიფო მოხელე. ქართველი მოურავი თუ რუსი კაპიტან-ისპრავნიკი.

ამ დროისათვის კი ქართველ გლეხს უკვე საკმაოდ ეგემნა ახალი მმართველობის უკუღმართობანი. სახელმწიფო ვალდებულებანი: გადასახადები და მძიმე სამუშაო ბეგარაები. საერობო მოხელეთა თვითნებობა-უსამართლობანი „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ შესაფერისი იყო. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე ის იყო, რომ ქართველ გლეხს სამართლის ძებნის საშუალება არა ჰქონდა. ხელმწიფესთან მის საჩივარს არავინ მიიტანდა. ხოლო ადგილობრივი მოსამართლე ყრუ იყო და უსამართლო.

ერთი მაგალითი: ქართლის მთიანეთის სამი პატარა სოფელი ყამურში წელში გაწყვიტა უზომო სახელმწიფო ბეგარამ და საერობო პოლიციის ძალადობა-მტაცებლობამ. და როცა შევიწროვებულმა გლეხებმა მეტისმეტი უსამართლობის გამო თავისი უკმაყოფილება გამოთქვეს, ეს საქციელი მათ „ხელმწიფისათვის მიცემუ-

ლი ერთგულების ფიცის გატეხად“ და „აჯანყებად“ ჩაეთვალა და იგივე კაპიტან-ისპრავნიკი. ვინც ძალადობა-უსამართლობის მთავარი მოქმედი იყო, ეხლა დამსჯელი ექსპედიციის მეთაურად მოევლინა ამ ვითომც და „აჯანყებულ“ ხალხს.

აი როგორ ასწერენ ამ ამბავს თვით ქამურელები: „„ამას წინად ის (ე. ი. კაპიტან-ისპრავნიკი) ქამურს მოვიდა, დაიჭირა ოსები, გომში, საიდანაც ძაღლები სვლეპენ, შრატი ჩაასხა, დახოცა კატები და შიგ ჩაყარა, შიგვე ჩაყარა ადამიანის განავალი და მათ აჭამა.

იმავე ოსებს რვა სახლი დაუწვა, სადაც 300 კოდი ქერი დაიღუპა.

რვა თვის განმავლობაში, წარსული წლის ივლისიდან მუხრანს თავლის შენებაზე რაც ამ სამ სოფელს გადახდა კაპიტან-ისპრავნიკის მიერ გამოგზავნილ ზესედატელებისა თუ ყაზახების სმა ჭამაზე ან რაც სახელმწიფო ბეგარა შეასრულა, ეს არის:

350 ურემი, 251 მუშა კაცი, 23 კოკა ღვინო, 50 კოდი ქერი, 117 ქათამი;

იმათ (ე. ი. ზასედატელისა და ყაზახების) გამოგზავნილმა კაცმა წაიღო 2 მან. და 20 კაპ., 7 გირვანქა ერბო, 1 გოჭი.

ამავე სოფლებიდან კიდევ გაიყვანეს 34 ურემი მუხრანს თივის მისატანად, ქირა კი არ მიუციათ.

და როცა ჩვენ, ვხედავთ რა მის (კაპიტან-ისპრავნიკის) ასეთ საქციელს, ვეუბნებით, რომ ნუ იკადრებს უსამართლობას, ის (კაპიტან-ისპრავნიკი), ჩვენზე გამოჯავრებული, გვაბეზღებს (ე. ი. ცილს გვწამებს), სადაც კი ხელი მიუწვდება“.

ან კიდევ მაგალითი არაგვის ხეობიდან: „იოანე ნაზღაიძის სახლიდან რაც უფალს ტიტულარნი სოვეტნიკის ლაცუკზე აცხადებენ საჩივარსა, რომელიც ამის შედეგად იწერება სიათი:

კაიშაურიდან ანანურამდის თორმეტი უღლის ხარისა და ცხრა ცხენის ქირა არ მოგვცემია;

ბენიაძის საქერივო აიღო;

ორმოცი ძირი თივა გამოგვრთმევია და ამისი ფასი არ მოგვცემია ფარემუზას ხელითა იმავ კაპიტანის დროში;

ორმოცი ლიტრა ერბო და თორმეტი ქათამი, ამის ფასი არ მოგვცემია, ფარემუზას ხელითა, ამავე კაპიტანის დროში“...

და ეს მაგალითები გამონაკლისი შემთხვევა კი არ იყო, არამედ ჩვეულებრივი სურათი კაპიტან-ისპრავნიკის და მისი ბანდიტების (ქართველ ზასედატელებისა და რუსი კაზაკების) მმართველობისა ქართულ სოფელში.

მაინც განსაკუთრებით მძიმე საქართველოს სამხედრო გზისპირად მცხოვრებთა მდგომარეობა იყო. გზების გატანა, მათი მოვლა, ხიდების კეთება, ტვირთის ზიდვა მეტისმეტად დიდ მუშაობას ითხოვდა. გზის პირის მოსახლეობა ხშირად ვერ აუდიოდა ამ მოვალეობას და საკუთარი მეურნეობა უყურადღებოდ მიტოვებული სულ ერთიანად უპარტახდებოდა. ამავე დროს იმ მცირე გასამრჯელოსაც კი, რაც ასეთი მუშაობისათვის დაწესებული იყო, საერობო პოლიციის მოხელენი გლეხებს არ უხდიდნენ. ჩივილი კი „აჯანყებად" ცხადდებოდა და მას სამხედრო დასჯა-დარბევა მოსდევდა. გლეხების ფიზიკური დასჯა, შეურაცხყოფა-შეგინება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, სულ ერთიანად გასთელეს ამაყი მთიული.

ასე რომ ეს დიდი გზა, რომლის გახსნა თავის დროს (XVIII საუკუნის შუაზე) სიხარულით აღნიშნეს ქართველებმა და რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ამ გზისპირა მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, მათი ტანჯვისა და გაპარტახების წყაროდ იქცა და სასოწარკვეთილმა ხალხმაც გადაწყვიტა, რომ მოეშალა ეს მათი განმანადგურებელი გზა.

1804 წლის დამდეგს, როცა ციციანოვი ერევანზე ლაშქრობისათვის ემზადებოდა, მან ლინიიდან ჯარი იხმო—სამი ბატალიონი ქვეითი და სამი ყაზახთა ასეული. თუ რა უბედურება დაატყდა თავს მთიულეთს ამ ლაშქრის გადმოსვლისას სტეფანწმინდიდან ანანურამდე, ამას თვით ისინი ასე აღწერენ:

„კაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფანწმინდიდამ ანანურამდენ საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავსწმინდეთ.

ჩვენგან გაკეთებულს ამავე გზაზედ წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჰრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს; ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარისძე.

მოვიდა თოვლი და ამოივსო ჩვენგანვე გაკეთებული გზა. ასეთს დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვერიდეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა, კიდევ ტიმოთემ ხლმის ცემით მიგვყარა. წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანერთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი კაცი იქ გაიჭყლიტა.

მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენიანი ყაზახი. ამათ უნდებოდათ დღეში სალდათს ათი საკლავი, ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა. ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი, ესეც მოვითმინეთ.

ორნი დედაკაცი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ.

გვიბრძანეს და ოთხი საკირე დავსწვით,—ერთი ზაქათ-კარს, მეორე ბურდულის კარს, მესამე ნადიბაძის-კარზე და მეოთხე ამირიძის-კარზე.

თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს, ერთობით ჯარში უნდა წამოხვიდეთო და იქიდამ გავიგონეთ. ჩვენ წინ უნდა წავეყვანეთ, ჩვენგან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენ უკან სალდათი და შეწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გავერეკენით. დედაკაცნი და რომელნიც წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლად კირი იმათ უნდა ვაზიდვინოთო,—ესეები იმათგან გავიგონეთ.

დაგვიდვეს ფიცით შვიდის წლის სითარხნე, არც ერთი წელი დაგვაცალეს წელს ცხვრისა, თოხლისა, ღომისა და სხვისაც დებულებისა მაგიერად სულ თეთრი გამოგვართვეს ორის წლისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანინეს თეთრი და წაიღეს.— გამოგვართვეს ცხვარზედ ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთი ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს სოხელეთაც არა ჰკითხეს.

ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ და ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთის ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ. ქერსა და თივას უფასოდ გვართმევდნენ და ცხენსაც უქიროდ და კურიელიც ჩვენის ცხენით დაჰყვანდათ.

ჩვენ ამ ზემოხსენებულის მწუხარებისაგან, რომელნიც ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ. ჩვენ ძალს არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით ეს აწ ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან. ჩვენის

ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ. ცოლშვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათ-რახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ,—მარტო მთიულეთში ცემით ოც-დასამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა".

1804 წლის მაისში ციციანოვმა ანანურის მაზრის თავადაზნაურ-თა წინამძღოლს თორნიკე ერისთავს მაზრიდან ქართველთა ჯარის წვევა უბრძანა ერევანს სალაშქროდ.

**საქართველოს მთიანეთის აჯანყება.** არაგველები ერისთავის დაძახილზე გამოვიდნენ, მაგრამ არა ერევანს სალაშქროდ, არამედ თავგანწირულს აჯანყებაში.

ასე რომ ციციანოვი ჯერ კიდევ თბილისიდან ერევნისაკენ არც კი წასულიყო, რომ მთიულეთში უკვე აჯანყება დაიწყო. ციციანოვ-მა ამ საქმის მოგვარება საქართველოს მმართველ ვოლკონსკის და-ავალა, თითონ კი ერევნისაკენ წავიდა.

აჯანყებით შეშინებულმა არაგვის აზნაურებმა, ორიოდე ვინმეს გარდა, მყისვე მიატოვეს თორნიკე ერისთავი და თავიანთ სახლს მია-შურეს. მათ ეშინოდათ, რომ აჯანყებულნი სახლ-კარს გაუნადგურებ-დნენ.

აჯანყებულმა მთიულებმა კაიშაურის საგუშაგო გაანადგურეს. ამის შემდეგ აჯანყებულთა ნაწილი ანანურის მიმართულებით წამო-ვიდა, ნაწილი კი ხევისაკენ წავიდა. ხევში მთავარი პუნქტი სოფელი სტეფანწმიდა იყო. აქ რუსთა რაზმი იდგა. ეს სოფელი გზასაყარზე იყო და ამიტომაც მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე ცხოვრობდა გაბრიელ ყაზიბეგიშვილი (ჩოფიკაშვილი). ეს მოხევე ქართველ მე-ფეთა სამსახურში უკვე გააზნაურებულიყო, ეხლა რუსეთის მთავ-რობის სამსახურში შესულიყო და ერთგული სამსახურით გათავადე-ბას აპირებდა. მისი გავლენით ხევის ზოგიერთი სოფელი აჯანყებას არ მიემხრო. სამაგიეროდ აჯანყებულებმა თრუსოს ხეობის ოსები მიიმხრეს და ფშავ-ხევსურებსაც უხმეს. მათვე მოციქულები გაგზავ-ნეს იმერეთს და ბატონიშვილებს იულონსა და ფარნაოზს მოუწო-დეს.

**სტეფანწმიდა.** ივლისში აჯანყებულებმა სტეფანწმიდა აიღეს. ამავე ხანებში თაგაურელმა ოსებმა ლარსის საგუშაგო აიღეს და სა-ქართველოს სამხედრო გზაც მთლიანად ჩაიკეტა.

**ანანური.** აჯანყებულ მთიულთა მეორე ჯგუფი არაგვის ხეობაში გამაგრებულიყო და ანანურის საიერიშოდ ემზადებოდა. აქ თითქმის ერთი თვის ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა 4 ივლისს დათმეს პოზიციები და უკან დაიხიეს.

**ლომისა.** აჯანყებულთა მესამე ჯგუფი ლომისას გარშემო იბრძოდა. ლომისა დიდმნიშვნელოვანი პუნქტი იყო. არაგვის ხეობიდან ქსნის ხეობაში გარდამავალი გზების კონტროლი მის ხელთ იყო, ვისაც ლომისა ეჭირა. ქსნის ხეობის უდიდესი ნაწილი ეხლა ერისთვიანთ სახლის საბატონო იყო. რუსეთის მთავრობამ ეს ქვეყანა ერეკლეს მიერ დევნილ ერისთვიშვილებს დაუბრუნა და ეს თავადებიც გაიერთგულა. ქსნელი გლეხობა ძველი მებატონეების დაბრუნებას ვერ ურიგდებოდა. გაურჩებულ ყმებს ერისთვისშვილები რუსთა რაზმების დახმარებით ძლივს იმაგრებდნენ. ეხლა ეს მებატონეები გულგახეთქილნი იყვნენ, რომ, თუ არაგველები ლომისას აიღებდნენ, აჯანყება უმალ ქსანსაც მოედებოდა. ეს კი საფრთხეს შეუქმნიდა მთელი შიდა ქართლის მყუდროებას. გარდა ამისა, ქსნის ხეობის აჯანყება მთლიანად გაწყვეტდა საფოსტო კავშირსაც კი თბილისსა და პეტერბურგს შორის, რომელიც არაგვის გზის ჩაკეტვის შემდეგ დიდის გაჭირვებით ქსნის ხეობით ხერხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ლომისას გარშემო განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლა გაიმართა 10 ივნისიდან 9 აგვისტომდე. ერისთვიშვილები თავიანთი რაზმებით და რუსთა ჯარი დიდი თავგამოდებით იცავდნენ ამ პუნქტს, ხოლო აჯანყებულნი ასეთივე დაჟინებით ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. სტეფანწმიდის აღების შემდეგ აჯანყებულთა ხევის ჯგუფი ლომისელ თანამებრძოლებს წამოეშველა და შეერთებული ძალით გაიმარჯვეს კიდევაც. 9 აგვისტოს მთავრობის ჯარმა ლომისა დატოვა.

ამის შემდეგ აჯანყება უმალვე ქსნის ხეობაში გავრცელდა. გლეხები დაერივნენ ერისთვიანთ ქონებას, სხვა მებატონეთა კარმიდამოც მრავლად აიკლეს. მდგომარეობა მეტად საგანგაშო შეიქმნა.

საქართველოს მმართველი ვოლკონსკი 16/VIII გულგახეთქილი მოახსენებდა იმპერატორს შექმნილი მდგომარეობის შესახებ და სწრაფ დახმარებას ითხოვდა. იმპერატორის ბრძანებით 27/IX ლინიიდან საქართველოსაკენ წამოვიდა გენერალი ნესვეტაევი 3000 ჯარისკაცით და 30 ქვემეხით. მას უნდა ჩაკეტილი გზა გაეხსნა. ვოლკონსკის დასახმარებლად ამავე დროს ყირიმიდან ზღვის გზით გამოგზავნეს ჯარი ხორგას, სამეგრელოს სანაპიროზე. ხელმწიფე უბრძანებდა ვოლკონსკის, რათა მას დამხმარე ჯარი სასწრაფოდ მიეშვე-

ლებინა ერევანს გარეშემოდგომილ ციციანოვისათვის, რომელიც მეტად მძიმე სამხედრო მდგომარეობაში იყო.

**იულონ ბატონიშვილის დატყვევება.** ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი ივნისის დამდეგს იმერეთიდან გამოვიდნენ. ჯერ კიდევ იმერეთში მყოფ ამ ბატონიშვილებს ქართლიდან ზოგი ვინმე თავადიშვილი მიუვიდა. ეს იყო პოლიტიკური ამინდის არევის ნიშანი. თავადებმა დაყნოსეს: შაჰი მოდის, რუსული მმართველობის საქმე შეიძლება წახდეს და ბატონიშვილებსაც შეიძლება ამინდი დაუდგეს. და თავადები საჭირო თადარიგს იჭერენ. რუსული მმართველობის ერთგულების გვერდით ისინი ბატონიშვილებსაც „ერთგულებას" უჩვენებენ. თუმანიანთ, ამირეჯიბიანთ და თარხნიანთ სახლებიდან თავადიშვილები მიუვიდნენ ბატონიშვილებს.

მაგრამ ბატონიშვილების აშკარა გამოსვლა უდროო აღმოჩნდა. ქართლის თავადები გადაჭრით მოქმედებას ჯერჯერობით ნაადრევად სთვლიდნენ, ამიტომაც ისინი ერთიანად ბატონიშვილებს არ მიუვიდნენ. რუსულ მმართველობასაც საჭირო ზომები მიეღო და ზოგიერთი თავადი (ელიზბარ ერისთავი, გიორგი ამილახვარი), მთავრობის მიერ დასაქმული, ბატონიშვილების დაჭერასაც კი აპირებდა.

ბატონიშვილები ვერც ქართლის მთიანეთში გაიჭრნენ, ვერც ბამბაკს წასვლა მოახერხეს მათ და მცირე ხანს ზემო ქართლში უშედეგო ხეტიალის შემდეგ ისინი იძულებული იყვნენ ისევ იმერეთს უკუქცეულიყვნენ. აქ ულევის ეწერში 29 ივნისს მათ თავს დაეცა სურამის რუსთა რაზმი, რომელსაც ქართლელი თავადი გიორგი რამინის ძე ამირეჯიბი მეგზურობდა. იულონ ბატონიშვილი შეიპყრეს, ხოლო ფარნაოზ და ლევან იულონის ძე გაიქცნენ.

**ფარნაოზ ბატონიშვილი აჯანყებულ მთიულეთში.** ფარნაოზი და ლევანი ბამბაკს მივიდნენ. აქ იდგნენ ამ დროს სპარსეთის ჯარის სარდალი ფირყული ხანი და ბატონიშვილები ალექსანდრე და თეიმურაზი. აქ ესენი საქართველოდან ერევნისაკენ მიმავალი გზის ჩაკეტვას ცდილობდნენ.

ფარნაოზმა შაჰისაგან დიდი მნიშვნელობის დავალება მიიღო. ის უნდა წასულიყო აჯანყებულ მთიანეთში და მათ ბრძოლას სათავეში უნდა ჩადგომოდა. ამავე დროს ფარნაოზ ბატონიშვილი ამ აჯანყების გაფართოებას უნდა ცდილიყო.

ბამბაკიდან წამოსულმა ფარნაოზმა 13 სექტემბერს შევლო კახეთი და მთიულეთს ავიდა. ალავერდობას კახმა თავადებმა თათბი-

რი ქმნეს და მრავლად უკან აედევნენ ფარნაოზ ბატონიშვილს. მათ შორის იყო პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მაშინ 18 წლის ახალგაზრდა. სხვები კიდევ, სახლში დარჩენილები, თადარიგს იჭერდნენ იმ შემთხვევისათვის, როცა კიდევ უფრო ცხადი შეიქმნებოდა რუსთა მარცხი; სამხედრო გზა ლარსიდან ანანურამდე აჯანყებულთა ხელში იყო; აჯანყებულები ეხლა უკვე დუშეთსა და ანანურს შემოსდგომოდნენ. თბილის-ერევნის გზაც გადაჭრილი იყო და ციციანოვისა აღარაფერი ისმოდა.

მაგრამ ციციანოვი და რუსული მმართველობა დაღუპვისაგან იხსნა მოწინააღმდეგის ფეოდალურმა დაშლილობამ და შაჰის ლაშქრის უორგანიზაციობამ.

**ციციანოვის მარცხი.** როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით ციციანოვის მარცხი აშკარა იყო

ერევანს ლაშქრობა ციციანოვმა მოუმზადებლად დაიწყო. ის ზურგ გაუმაგრებელი მიიჭრა შორ ქვეყანაში და სამხედრო გასეირნების მოქადული თითონ გზამოჭრილი და ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. სარდალს ჯარი დაემშა და დაუავადმყოფდა. და მტერმა, მიუხედავად იმისა, რომ მას არც სამხედრო ორგანიზაცია უვარგოდა, არც ნიჭიერი ხელმძღვანელები ჰყავდა, ხოლო შეიარაღება ხომ სულ ჩამორჩენილი ჰქონდა—პატრუქიანი თოფი შაჰ-აბასის დროისა,—რუსთა ჯარს დიდი ზიანი მიაყენა.

ციციანოვის პოლიტიკური მარცხი ის იყო, რომ ეხლა ამიერკავკასიის ფეოდალებს შორის მას უფრო ცოტა მომხრე ჰყავდა, ვიდრე ამაზედ წინ. განჯისა და ერევნის საქმემ რუსეთის მთავრობის პოლიტიკური მიზნები გამოამჟღავნა, ხოლო ციციანოვის პირადმა თვისებებმა—ყოყოჩობა-უხეშობამ სპარსეთის მომხრეები კიდევ უფრო გაამრავლა.

მაგრამ რუსული მმართველობის პოლიტიკური მარცხი განსაკუთრებით ხელშესახები თვით საქართველოში იყო, სადაც ამ მმართველობის წინააღმდეგ ეხლა თავგანწირულ აჯანყებას აწარმოებდა ქართველი საზოგადოების სწორედ ის ფენა—გლეხობა, რომელიც რუსთა შემოსვლას ამ ორიოდე წლის წინ გულწრფელად ესალმებოდა.

ერევნის მოალყე რუსთა ჯარი სრული განადგურებისაგან სპარსეთში შექმნილმა არეულობამ იხსნა. შაჰმა სპარსეთს მიაშურა და ამით ციციანოვს საქართველოში დაბრუნების საშუალება მიეცა.

**შაჰის მარცხი.** ერევნის აუღებლობა ციციანოვის მარცხი იყო, თუმცა გამარჯვებული არც შაჰი ჩანდა. მისი მიზანი ხომ საქართვე-

ლოდან რუსთა განდევნა იყო. კიდევ მეტი: ერევანთან წარუმატებლობა ციციანოვის ინდივიდუალური მარცხი უფრო იყო, ვიდრე რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობისა ან მისი სამხედრო ორგანიზაციის ნაკლის შედეგი. მაშინ როცა შაჰის მხრით ასეთი ხელსაყრელი პოლიტიკური და სამხედრო ვითარების გამოუყენებლობა სპარსეთის სახელმწიფოებრივი წყობისა და მისი სამხედრო ორგანიზაციის უკიდურესი ჩამორჩენილობის მოწმობა იყო.

**ციციანოვის დაბრუნება.** სექტემბრის მიწურულს ციციანოვი თბილისს დაბრუნდა. საკუთარი მარცხი ხელქვეითებს გადააბრალა, ამ ლაშქრობაში ერთგულად ნამსახურ ქართველი თავადებისათვის ხელმწიფის წყალობა გამოითხოვა და მთიანეთის აჯანყების სწრაფი ლიკვიდაციის რწმენა გამოსთქვა. ხელმწიფემ ახუგეშა გაწბილებული სარდალი, საქართველოში აჯანყების ჩაქრობა დაავალა და შემდეგ ისევ ერევანს ლაშქრობა განუზრახა.

**მთიანეთის აჯანყების დამარცხება.** ციციანოვის დაბრუნებამ, შაჰის უკუქცევამ და რუსეთის მთავრობის სამხედრო ღონისძიებებმა აუცილებელი გახადა საქართველოს მთიანეთის აჯანყების სამხედრო დამარცხება. უმალ რუსხელმწიფის ერთგულება-მორჩილების პირზე დადგნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანები. ირანს წავიდნენ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები. „თავს უშველეს" ქართლელ თავადიშვილებმა და არც კახმა თავადებმა გასწირეს თავი „მემკვიდრე ბატონისათვის". რაკი დაინახეს, რომ აჯანყების საქმე უიმედო იყო, ფარნაოზ ბატონიშვილი თავისი მცირე ამალით მარტო შერჩა აჯანყებულ მთიანეთს.

ოქტომბრის დასაწყისშივე აჯანყებულთ უკვე სამი მხრიდან უტევდნენ: თბილისიდან ციციანოვი, ქსან-ლიახვიდან ერისთავები, ხოლო ჩრდილოეთიდან სწრაფად წინ მოიწევდა გენერალი ნესვეტაევი, რომელმაც ბრძოლით გამოვლო ლარსი, დარიალი და სტეფანწმიდა. სიონთან მას გზა გადაუღობა ფარნაოზ ბატონიშვილმა, მაგრამ მძიმე ბრძოლაში დამარცხდა.

19 ოქტომბერს აჯანყება ძირითადად უკვე დასრულებული იყო. ანანურში ერთმანეთს შეეყარნენ ლინიიდან წამოსული ნესვეტაევი და თბილისიდან გასული ციციანოვი.

**ფარნაოზ ბატონიშვილის დაპატიმრება.** სიონში დამარცხებულმა ფარნაოზ ბატონიშვილმა თავი ჯერ ფშავ-ხევსურეთს შეაფარა,

შემდეგ სპარსეთს წასვლა გადაწყვიტა. მას დასაჭერად აედევნა რუსთა რაზმით თავადი სავარსამიძე, მისივე დაჭერას ცდილობდნენ თამაზ ორბელიანი და სოლომონ ავალიშვილი. 29 ოქტომბერს ფარნაოზ ბატონიშვილი და მისი მხლებელნი დაატყვევეს ყაზახში (ამათ შორის იმყოფებოდა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე).

ქართველი თავადები ერთი მეორეს ეცილებოდნენ ჯილდოს რომელიც ბატონიშვილის დატყვევებისათვის ხელმწიფისაგან ელოდა ამ საქმეში დაშსახურებულს.

**იულონისა და ფარნაოზის გადასახლება.** ტყვე ბატონიშვილები იულონ და ფარნაოზი 1805 წლის 4 აპრილს რუსეთში გადაასახლეს, იულონი—ტულაში, ფარნაოზი—ვორონეჟში.

* * *

**ლიახვის ხეობის ოსთა დამორჩილება.** არაგვის ხეობის აჯანყებულთა დამორჩილების შემდეგ ციციანოვმა ლიახვის ხეობის ოსებს მიმართა. აქ ფარნაოზ ბატონიშვილის მომხრეებს ხალხი აეჯანყებინათ. ციციანოვს თან ახლდნენ და აჯანყებულთა დამორჩილებისათვის საქმობდნენ ამ მხრის თავადები: ერისთვები, მაჩაბლები. 13 ნოემბერს რუსთა ჯარი ცხინვალიდან გავიდა. ორი დღის შემდეგ რაზმი ჯავას ავიდა. ოსები მორჩილებით არ მოვიდნენ და ციციანოვმა ბრძოლით აიღო სოფელი კროჟი და სულ ერთიანად გაანადგურა ის. აქედან რაზმი ლიახვის ხეობის სათავეებისაკენ წავიდა. ომით აღლო მთელი ხეობა და სოფელი კოშკი დაიჭირა. ოსები დამორჩილდნენ. ციციანოვმა დააპატიმრა აჯანყების აქტიური მოქმედნი და ანანურს დაბრუნდა.

ციციანოვმა აქაც მრავალი დააპატიმრა. წლების განმავლობაში განაჩენს უცდიდა სატუსაღოებში გამომწყვდეული ხალხი, რომელიც არავითარ დანაშაულს ვინმეს მიმართ არც გრძნობდა და არც სცნობდა, რომელიც იქამდე უდანაშაულო იყო, რომ ორი წლის გასულს მათი სავსებით განთავისუფლება თვით ხელმწიფემაც კი შესაძლებლად სცნო.

**მთიანეთის აჯანყების შედეგების შეფასება.** ამრიგად, მთიანეთის აჯანყება ჩაქრობილ იქნა. უქმად ჩაიარა აღმოსავლეთ საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენის ცდამ. მაგრამ ხალხის ამ ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია. მთიელმა ხალხმა ამ თავგანწირული ბრძოლით დაუმტკიცა რუსეთის მთავრობის ალვირახს-

ნილ მოხელეებს, რომ ის ანგარიშგასაწევი ძალაა და ადვილად არავის გაეთელვინება. ციციანოვი იძულებული იყო მიეცა მთიელებისათვის მტკიცე წერილობითი განაწესი, სადაც აღნიშნული იყო გზისპირის მოსახლეობის როგორც მოვალეობა, ისე უფლებაც ამ გზის ემსახურების საქმეში. ასე რომ ხალხმა ამ აჯანყებით გარკვეული უფლება მოიპოვა. საეჭვო იყო, რომ მთავრობის მოხელენი ამ წესს დაიცავდნენ, მაგრამ ამის გარანტია მთიელთა ფხიზლობა და მათი ბრძოლის უნარი იყო.

**ყარაბაღის ხანის შემოსვლა რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში.** 1805 წელს ციციანოვს ამიერკავკასიაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური წარმატებანი ხვდა. საქართველოს მთავარმართებელმა ჯერ კიდევ განჯის დაპყრობის უმალ მოლაპარაკება გამართა ყარაბაღისა და შაქის ხანებთან და მათ ხელმწიფის საფარველში შემოსვლა მოსთხოვა. გამარჯვებულ მხედართმთავარს მფარველობის ეს ნაძალადევობა არ აწუხებდა, თუმცა ასეთი რამ არც ერან-ოსმალეთის „მფარველობის" გამოცდილ ხანებს უკვირდათ. მაგრამ 1804 წელს ამ გეგმის განხორციელება ციციანოვმა ვერ მოახერხა, რადგან მთელი მისი ენერგია ერევნის მხარეში ომს და ქართლის მთიანეთში აჯანყების ჩაქრობას შეელია.

სპარსეთის შაჰმა იცოდა იბრეიმ-ხან ყარაბაღელისა და ციციანოვის მოლაპარაკების შესახებ და იმ მიზნით, რათა ამ საქმის შესრულებისათვის ხელი შეეშალა, თავისი მხრით ყარაბაღის ხანს სპარსეთის საყმოდ იწვევდა. ამავე დროს სპარსეთის შაჰმა 1805 წლის დამდეგს ყარაბაღის მხარეს ჯარი გამოგზავნა. შაჰის დაპირებებისა იბრეიმ-ხანს არა სწამდა, ხოლო მის მიერ გამოგზავნილ ლაშქარს ყარაბაღის ხანი ომით შეეგება, დაამარცხა ის და თავისი ქვეყნიდან განდევნა ბაბა-ხანი სწორად აფასებდა ყარაბაღის მნიშვნელობას და მისი შოვნისათვის ცდას არ აკლებდა. მან ერთხელ კიდევ გამოუგზავნა იბრეიმ-ხანს მოციქულები და ძველი პირობები შემოსთავაზა. ყარაბაღის ხანმა სპარსეთის შაჰს ეხლაც უარი შეუთვალა და თავის მხრით ციციანოვთან მოლაპარაკება განაახლა. 10 თებერვალს 1805 წელს ციციანოვმა იბრეიმ-ხანთან მაიორი ლისანევიჩი და ნინია ჯორაშვილი გაგზავნა და მათ ქვეშევრდომობის ტრაქტატი თან გაატანა. 21 თებერვალს იბრეიმ-ხანმა თანხმობა განაცხადა ტრაქტატით გათვალისწინებულ პირობებზე, ხოლო 14 მაისს ყარაბაღის ხანი ციციანოვს ეახლა ქ უ რ ა გ ს, განჯის ოლქის საზღვარზე და იქ რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობის ფიცი მიიღო. ტრაქტატის მუხლები იყო:

იბრეიმ-ხანი თავის თავზე არავის უფლებას არა სცნობდა გარდა რუსეთის იმპერატორის უზენაესობისა.

ხანი პირობას სდებდა, რომ გარშემო მფლობელებთან რაიმე ურთიერთობას არ დაიჭერდა ისე, რომ ციციანოვისა ან მისი რწმუნებულისათვის არ ეცნობებინა და ამათი თანხმობა არ მიეღო.

ხანი მოვალე იყო შუშაში დაბანაკებულ რუსთა რაზმისათვის სურსათი დაემზადებინა ისეთ ფასებში, როგორსაც მთავარსარდალი დაადგენდა.

ხანი მოვალე იყო საურმე გზა გაეტანა განჯიდან შუშამდე.

ერთგულების საწინდრად ხანს უნდა უფროსი ვაჟიშვილი მძევლად მოეცა, რომელიც მუდმივად თბილისში იცხოვრებდა.

ხანი მოვალე იყო ყოველწლიურად 8000 ჩერვონეცი ხარკი გადაეხადა.

ამის სამაგიეროდ:

ყარაბაღის სახანოს ტერიტორია უცვლელად დაიცვებოდა.

ხანის უფლება სამისდღეშიოდ იბრეიმის სახლში რჩებოდა და ეს უფლება მამიდან შვილზე გადადიოდა, მაგრამ ისე რომ ახალ ხანს ხელმწიფის მიერ დამტკიცება სჭიროდა.

სახანოს ადმინისტრაცია, სამართალი, შემოსავალი ხანისავე ხელში რჩებოდა.

სახანოს საზღვრების დასაცავად შუშის ციხეში 500 კაცისაგან შემდგარი რუსთა რაზმი ჩადგებოდა.

ხანს დროშა, რუსული გერბით, მფლობელობის ნიშნად ეძლეოდა.

**შაქის ხანის შემოსვლა რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში.** იბრეიმ-ხანის შემდეგ იქვე ქურაგს ციციანოვს ეახლა სელიმ-ხან შაქელი. 1805 წლის 21 მაისს მანაც ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. მისი ყმობის პირობები ანალოგიური იყო ყარაბაღის ხანთან დადებული ტრაქტატისა. ხუთასი კაცისაგან შემდგარი რუსთა რაზმი შაქში ჩადგა.

ყარაბაღისა და შაქის დამორჩილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში რუსეთის მთავრობის სიმტკიცისათვის. შაქში რუსთა ჯარის ჩადგომის შემდეგ ჭარ-ბელაქნელები ორ ცეცხლს შუა იყვნენ, ხოლო ყარაბაღის დაუფლება სპარსეთის მხრით საქართველოში შემოსევას დიდად აძნელებდა. გარდა ამისა, ხორცი ესხმებოდა მშვიდობიანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზის გატანას თბილისს—განჯა—შუშა—ჯავათზე, აქედან კი ასტრახანისკენ წყლის გზა უზრუნველი იყო.

**შურაგალის სულტნის შემოსვლა რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში.** ამავე ხანებში ციციანოვმა ისარგებლა ერევნის ხანისა და შურაგალის სულტნის ურთიერთ შორის მტრობით და შევიწროებული სულტანი ხელმწიფის საფარველს ქვეშ შემოიყვანა.

მაგრამ საქართველოს მთავარმართებლის წარმატებანი ამაზე შორსაც მიდიოდა. სპარსეთის შაჰი თავისი ქვეყნის შემომტკიცებას ჰცდელობდა. ამისათვის მას შიშველი ძალადობის მეტი სხვა რამე საშუალება არ ჰქონდა. ამავე დროს სპარსეთის შაჰი იმ ძალისა არა ჩანდა, რომ მოქიშპე რუსეთს გამკლავებოდა. ასეთ პირობებში ამიერკავკასიისა თუ მისი მეზობელი ხანები ჩვეულებრივზე მეტად ურჩობდნენ. ციციანოვს ესაქმებოდნენ და ზოგი განზრახ, ზოგი გულწრფელად რუსხელმწიფის საფარველში შემოსვლის სურვილს აცხადებდნენ. ამავე დროს საქართველოში გადმოსახლების ნებას ითხოვდნენ სპარსეთში მოსახლე სომხები და აისორები.

მოკლედ, შაჰის პოზიციები რუსეთთან ბრძოლაში სულ უფრო და უფრო უარესდებოდა და სპარსეთის მფლობელი ბუნებრივია, ამ საშიში მოქიშპის განდევნას, რაც ძალი ჰქონდა, უნდა ცდილიყო.

ამავე დროს სპარსეთის შაჰს რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ ნაპოლეონი მოუწოდებდა.

**ნაპოლეონის პოლიტიკა სპარსეთში და ოსმალეთში.** ალექსანდრე ხელმწიფესა და ნაპოლეონს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 1804 წლიდანვე წახდა. რუსეთი გადაჭრით დადგა ინგლისის მხარეს და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. ამ დროიდან მოკიდებული ნაპოლეონი განსაკუთრებული ენერგიით ცდილობდა სპარსეთ-ოსმალეთის ამხედრებას რუსეთის წინააღმდეგ. ნაპოლეონის აგენტები არწმუნებდნენ შაჰს საფრანგეთის სპარსოფილობაში, ნაპოლეონის უძლეველობაში და რუსეთის დამარცხების გარდაუვალობაში. ამის შედეგი იყო, რომ 1804 წლის მიწურულს შაჰმა წერილით აცნობა ნაპოლეონს, რომ ის მომავალ 1805 წელს რუსეთის შემუსრვას აპირებს და იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთის იმპერატორს რუსეთში შეეყრება. ნაპოლეონმა შაჰთან მიმოწერა გააბა. ის გულმოდგინედ სწავლობს სპარსეთს და შაჰთან სამხედრო კავშირის დადების სურვილს გამოსთქვამს. სპარსეთის შაჰისა და ოსმალეთის სულტანისათვის მიწერილ წერილებში ნაპოლეონი ორივეს აგულიანებდა რუსეთის წინააღმდეგ, მოუწოდებდა მათ ურთიერთშორის შეთანხმება-კავშირისაკენ, აღუთქვამდა საფრანგეთის მხრით დახმარებას და აიმედებდა დაკარგული პროვინციების დაბრუნებას:

საქართველო—სპარსეთს, ყირიმი და ბესარაბია—ოსმალეთს. ნაპოლეონი უსაყვედურებდა სულტანს, რომ ის არ ეშველება სპარსეთის შაჰს რუსეთის წინააღმდეგ ომში, საფრანგეთის მბრძანებელი არწმუნებდა სელიმ სულტანს, რომ რუსეთის მიზანია შავ ზღვაზე გაბატონება, რაც შეუძლებელია სტამბოლის დაუფლების გარეშე. სპარსეთის შაჰს კი ნაპოლეონი აშინებდა საფრთხით ინგლის-რუსეთის მხრით. მოუწოდებდა მას ენერგიული მოქმედებისათვის, ურჩევდა განეხორციელებინა თავის ქვეყანაში სამხედრო რეფორმები, შემოეღო იარაღის მრეწველობა.

**სპარსელთა 1805 წლის შემოტევა.** უკვე 1804 წლის მიწურულს სპარსეთის შაჰი „ურიცხვი" ჯარით ისევ ამიერ-კავკასიაში შემოჭრას იმუქრებოდა. ბაბა-ხანი ამიერისა თუ იმიერკავკასიის ხალხებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა, იკვეხნიდა, რომ გასული კამპანიისას მან სასტიკად დასაჯა რუსები და თავის უკუქცევას ზამთრის პირობებით ხსნიდა. შაჰი ირწმუნებოდა, რომ ამჯერად ის ყიზლარსა და ასტრახანსაც კი წაართმევდა რუსეთს.

ალექსანდრე ბატონიშვილი, ისევე როგორც შაჰი, აჯანყებისაკენ მოუწოდებდა ქართლის თავადებს, მთიანეთს, თაგაურს, ყაბარდოს, ჩაჩნეთს და სხვებს.

ციციანოვმა ენერგიული ღონისძიებანი მიიღო იმისათვის, რათა წარსული წლის ამბები არ განმეორებულიყო. შაჰის მოწოდებებს მართლაც ნაკლები წარმატება ხვდა. ჩანდა, რომ სპარსეთის მუქარისა ნაკლებად სწამდათ. რუსთა წინააღმდეგ არა მარტო ქართლ-კახეთი არ გამოვიდა, სპარსეთის შაჰის მოწოდებას მცირედ აყვნენ მუსულმანური სამთავროებიც კი.

ციციანოვის მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. მტრის ლაშქართან შედარებით მას მეტად მცირე ჯარი ჰყავდა, ხოლო დახმარების მიღებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის საქმეთა გართულების გამო.

ომი 1805 წლის ზაფხულში გაჩაღდა. მტერმა მიზანში ყარაბაღი ამოიღო. რუსთა რაზმმა სიმცირის გამო მტერი არაზზე ვერ შეიმაგრა, უკან დაიხია და შუშის ციხეში გამაგრდა. სპარსელთა შემოჭრამ ამიერკავკასიაში ყარაბაღისა და შაქის ხანები შეაშინა და რუსთა უძლეველობაში შეაეჭვა. მტერმა ყარაბაღის მხარე გადაბუგა.

**სპარსელთა მარცხი.** სპარსთა მეწინავე ჯარის სარდალი ფირყული-ხანი განჯის მხარეს დაემუქრა, ციციანოვმა მას წინ მიაგება მა-

მაცი პოლკოვნიკი კარიაგინი. 24 ივნისიდან მოკიდებული კარიაგინის მცირე რაზმმა თავგანწირული ბრძოლით თითქმის 15 დღეს შეაჩერა მტრის დიდი ჯარი. ამასობაში ციციანოვმა ლაშქარი შემოიყარა განჯას და ბაბა-ხანს გაეგება. სპარსეთის მპყრობელმა ბრძოლა არ მიიღო და არაზს გაღმა გავიდა. აბას-მირზამ ისარგებლა ციციანოვის წასვლით და განჯის მხარეს შემოიჭრა. სპარსეთის ტახტის მემკვიდრეს თან ახლდნენ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები. სპარსელები განჯას ალყად შემოერტყნენ, ოლქის მოსახლეობა აყარეს და არაზს გაღმა გაისტუმრეს. სპარსელთა ჯარის ნაწილი ფირყული-ხანის სარდლობით შამქორს მოვიდა. აქვე იყვნენ ბატონიშვილები ალექსანდრე და თეიმურაზი. აქვე მოვიდა აბას-მირზა მთავარი ძალებით. ორგზის უშედეგო შეტაკების შემდეგ, 23 და 27 ივლისს, აბას-მირზა რუსთა მთავარი ძალების მოახლოვების გამო ერევნისაკენ წავიდა. უკუქცეულ სპარსელთა ამ ჯარს ყაზახელებმა დიდი ვნება მიაყენეს.

ამრიგად, წარმატება შაჰის არც ამ წამოწყებას ხვდა. პირიქით, კავკასიის ხალხები სპარსელთა სისუსტეში კიდევ უფრო დარწმუნდნენ. შაჰი უკმაყოფილო იყო ამიერკავკასიელი ფეოდალებისა, რუსთა წინააღმდეგ რომ არ აჯანყდნენ. უკმაყოფილო იყო შაჰი, რომ საქართველო შეუძრველი დარჩა და რუსთა მხარეზე იბრძოდა. მცირე ვინმე თავადაზნაურთაგანი მიუვიდა ალექსანდრე ბატონიშვილს. ეს უკანასკნელი კი შაჰს აიმედებდა, რომ სპარსელთა მოახლოებისასვე საქართველო ერთიანად რუსთა წინააღმდეგ ადგებოდა. ღრმა შეცდომა იყო. საქართველოში ამ დროს აჯანყებანი იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ყიზილბაშები სურდათ მოეწვიათ, არამედ იმიტომ, რომ რუსული მმართველობის უსამართლობას ებრძოდნენ. ყიზილბაშობა კი, დიდი ხანია, ქართველებს უარეს უსამართლობა-ველურობად მიაჩნდათ.

**ზავალიშინის ლაშქრობა.** ციციანოვი ამ სამხედრო კამპანიის დროსვე ვარაუდობდა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ დასაპყრობად დასახულ ტერიტორიას შემოიერთებდა და სპარსეთის შაჰს აიძულებდა მტკვარ-არაზის ხაზი რუსეთ-სპარსეთის სახელმწიფო საზღვრად ეცნო. ამ მიზნით ციციანოვმა უბრძანა გენერალ ზავალიშინს ასტრახანიდან კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ლაშქრობა. 23 ივნისს ზავალიშინი ხომალდებით ენზელს ეწვია, აიღო ის და გილანის მთავარ ქალაქ რაშტისაკენ წავიდა. უჩვეულო სიცხემ და ჰავამ რუსთ ჯარი დასცადა. თანაც ექსპედიცია სპარსელთა ძლიერ

წინააღმდეგობას შეხვდა. ზავალიშინი უკუიქცა. გაწბილებული გენერალი ბაქოს დასაპყრობად წავიდა და 12 აგვისტოს ამ ქვეყნის ხანს ბაქოს ციხის გადაცემა მოსთხოვა. ხანი არ დანებდა და 15 აგვისტოდან ბრძოლა გაჩაღდა. ზავალიშინის რაზმი საკმაო არ აღმოჩნდა ამ ციხის ასაღებად. ამის გარდა ბაქოს ხანს ყუბისა და ყაზიყუმუხის ხანები მოეშველნენ. 3 სექტემბერს ზავალიშინმა ბაქოს ალყა მოხსნა, თავისი რაზმი ისევ ხომალდებზე აიყვანა. წავიდა და კუნძულ სარაზე დაბანაკდა.

**1805 წლის ომის შედეგები.** ზავალიშინის მარცხის მიუხედავად ციციანოვი ამ კამპანიიდან საერთოდ გამარჯვებული გამოვიდა. შედარებით მცირე ჯარით მან წარმატებით მოიგერია მრავალრიცხოვანი მტერი. მართალია. მან ბაბა-ხანს ზავი თავს ვერ მოახვია. მაგრამ სპარსეთის შაჰის პოზიციები რუსეთთან ბრძოლაში ამ კამპანიის შემდეგ კიდევ უფრო უარესი იყო, ვიდრე აქამდე. ეხლა ციციანოვს არაზს იქიდან არა ერთი ხანი ესაქმებოდა და რუსხელმწიფის საფარველში შემოსვლის სურვილს აცხადებდა.

ციციანოვი სწორად აფასებდა შექმნილ ხელსაყრელ ვითარებას და მის გამოყენებას დაუყოვნებლად საჭიროდ სცნობდა. მისი აზრით ამ კამპანიას უშუალოდ უნდა მოჰყოლოდა ბაქოს და ერევნის დაპყრობა, რის შემდეგ სხვა სახანოების დამორჩილება ძნელი აღარ იქნებოდა.

**ციციანოვის ლაშქრობა ბაქოზე.** ამიტომაც იყო. რომ ციციანოვმა უბრძანა ზავალიშინს ისევ ბაქოს დაბრუნებულიყო.

1805 წლის ნოემბერში ზავალიშინი ბაქოს მოვიდა. მის ახლოს დადგა და ხანს დამორჩილება მოსთხოვა. ბაქოს ხანი ჰუსეინ-ყული მოლაპარაკებას არ გაურბოდა. მაგრამ. როგორც ჩანდა. დამორჩილებას არ აპირებდა. ციციანოვს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ზავალიშინის მარცხის გამოსწორება. ამისათვის ხელსაყრელი დროც ეხლა იყო. როცა სუსხიანი ზამთრის მიზეზით ბაბა-ხანს ბაქოს ხანისათვის დახმარების მოწოდება არ შეეძლო.

ნოემბრის მიწურულს მთავარმართებელი განჯიდან ბაქოსაკენ წავიდა.

**შარვანის ხანის შემოყვანა რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში.** გზად ციციანოვმა შარვანის სახანოზე გაიარა. მუსტაფა-ხან შამახიელთან საქართველოს მთავარმართებელს კარგა ხანია მოლაპარაკება გაემართნა და მდიდარი შარვანის მფლობელს ხელმწიფის საფარ-

ველში იწვევდა. შამახიის ხანი კი შარვანის ძველ საზღვრებში აღდგენაზე ოცნებობდა და ქვეშევრდომობის პირობად რუსეთისაგან მოითხოვდა, რომ ხელმწიფეს მისი უფლებები ეცნო საკუთრივ შარვანს გარდა შაქსა, მუღანსა, რუდბარსა, სალიანსა და ბაქოზე. ასეთი რამ რუსეთის პოლიტიკურ კურსს ძირიანად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც მოლაპარაკება უნაყოფო იყო.

ეხლა, როცა ციციანოვი ჯარით შეიჭრა შარვანის სახანოში და ქალაქ შამახიას ეწვია, მუსტაფა-ხანი დაყვა მთავარმართებლის ნებას და ხელმწიფის ქვეშევრდომობა იკისრა იმ პირობებით, რომელთა მიღებას აქამდე ის დაჟინებით გაურბოდა. 25 დეკემბერს მუსტაფა-ხანი ეახლა ციციანოვს და ხელმწიფის ქვეშევრდომობის ფიცი მიიღო. მისი ქვეშევრდომობის პირობები ყარაბაღისა და შაქის ხანების პირობათა ანალოგიური იყო. შარვანის ხანის ყოველწლიური ხარკი 8000 ჩერვონეცს უდრიდა.

**ციციანოვის მოკვლა.** ამ წარმატების შემდეგ ციციანოვი ბაქოსაკენ გაემართა და 1806 წლის 30 იანვარს ამ ქალაქის ახლო დადგა. სარდალმა ბაქოს ხანს მოციქულად ელიზბარ ქსნის ერისთავი გაუგზავნა და მას ციხის ჩაბარება მოსთხოვა, თუ არა იერიშით დაემუქრა.

ხანმა იმუხანათა. ის, ვითომც მორჩილებით, ციციანოვის შესახვედრად ციხიდან გამოვიდა. პაემანზე ციციანოვიც გავიდა და ხანისაგან ციხის გასაღები მიიღო. ხანმა ციციანოვი ნოხზე დაიწვია. ყალიონი აანთეს. ამ დროს ხანის მხლებელმა იბრეიმ-ბეგმა ციციანოვს კეფაში დამბაჩა დაკრა. მეორე გასროლით მთავარმართებლის მხლებელი ელიზბარ ერისთავი მოკლა. იბრეიმ ბეგმა ციციანოვს თავი მოკვეთა და ციხეში გაიქცა. აქედან ის თავრიზს წავიდა და ნადავლი აბას-მირზას მიართვა.

რუსთა ჯარმა სწრაფად დაიხია უკან, ისე რომ სარდლის ნეშტის წამოღებაც კი ვერ მოახერხა. იქვე კედლის ძირას იყო დაფლული ციციანოვის ნეშტი, ვიდრე 1811 წლამდე, როცა მარკიზ პაულუჩიმ გადმოასვენა ის თბილისს და სიონის ეკლესიაში დაკრძალა.

**ციციანოვის სამოქალაქო მოღვაწეობა.** ციციანოვი ენერგიული და ნიჭიერი რუსი მოხელე იყო საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ხანმოკლე მოღვაწეობისას თითქმის სულ ერთთავად ომსა და საგარეო პოლიტიკურ ამბებში იყო გართული, ციციანოვი ახერხებდა საკმაო ყურადღება მიექცია საქართველოს საშინაო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ქვეყნის რუსული მმართველო-

ბის შემდგომი განვითარება, აოხრებული ქვეყნის მოშენება-დასახლება, სოფლის მეურნეობის გამოცოცხლება-გაუმჯობესება, საფაბრიკო-საქარხნო წამოწყებანი, გზების მშენებლობა, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, განათლება,—ყველაფერი მისი ზრუნვის საგანი იყო.

**სამართლის საქმე.** საქართველოში მოსვლის უმალვე ციციანოვმა ყურადღება მიაქცია იმ ყოვლად აუტანელ მდგომარეობას, რაც შექმნილიყო იმის გამო, რომ საქართველოში სამართალი რუსული შემოეღოთ. რუსული ენისა, ისევე როგორც რუსული სამართლის მცოდნე საქართველოში რუსი მოხელის გარდა იშვიათად თუ ვინმე მოიძებნებოდა, ხოლო რუს მოხელეს ქართული ენისა და ქართული ცხოვრების არაფერი გაეგებოდა. ასევე არაფერი გაეგებოდა მას ვახტანგის სამართლისა, რომლით ხელმძღვანელობა სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოებისას ევალებოდა. ასეთ პირობებში რუსული სამართლის შემოღება მ თ ე ლ ი  ხ ა ლ ხ ი ს  ს ა მ ა რ თ ლ ი ს  გ ა რ ე დ  დ ა ტ ო ვ ე ბ ა ს  ნ ი შ ნ ა ვ დ ა. ამიტომაც იყო, რომ ხალხი ამ „სამართლით“ გახსაკუთრებით უკმაყოფილო ჩანდა.

ციციანოვი მართებულად დაასკვნიდა, რომ აუცილებელია რუსული სამართალი, რამდენადაც შეიძლება, შეეგუოს ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებას. მისი წარდგენით 13/V 1805 წელს ხელმწიფემ გააუქმა საქართველოში სამართლის წარმოების ფორმალობანი და იმისათვის, რათა, რუსული ენისა და წესების არ ცოდნის გამო, ქართველ მოჩივარს სამართალი არ დაკარგოდა, მან ნება დართო, რომ სასამართლოს არზა ქართულ ენაზე და ფორმის დაუცველად დაწერილი მიეღოთ.

**რუს მოხელეთა საკითხი.** ამავე დროს ციციანოვი არანაკლები ენერგიით ებრძოდა სხვა ბოროტებასაც, რუსულ მმართველობას რომ ახლდა. ასეთი იყო, კერძოდ, რუს მოხელეთა საკითხი. რუს მოხელეთა დიდი უმრავლესობა სრულიად მოუმზადებელი იყო ამ მძიმე ამოცანის შესრულებისათვის, რომელიც მას ამ ახლადშემოერთებულ ქვეყანაში ევალებოდა. რუსეთიდან ამ უცხო და შორ ქვეყანაში, როგორც წესი, ის მოხელე მოდიოდა, რომელსაც იქ სახლში დიდი ღირსება და პატივი არ ჰქონდა. უსწავლელ-მოუმზადებელი, შოვნა-გამდიდრების სურვილით ამოძრავებული, თავმოძულებული თუ თავზეხელაღებული მოდიოდა ეს ბედის მაძიებელი ცხრა მთას იქით ამ „აზიაში“ და თავი „განმანათლებლად“ მოქონდა. მექრთამე,

მტაცებელ-მიმხვეჭელი. ხშირად ლოთი და უზნეო ის ადვილად უკავშირდებოდა ადგილობრივ კომისიონერ-მოიჯარადრეს და ამრიგად იქმნებოდა ბასკაკ-ბანდიტთა წრე, რომელიც სულთამხუთავად ყელზე ადგა მწარმოებელ საზოგადოებას.

გასაგებია, რომ ასეთი მოხელეობა ნდობას და ავტორიტეტს ვერ შეუქმნიდა ჩვენში რუსულ მმართველობას. ციციანოვი დაუზოგავად იბრძოდა ამ მოვლენის წინააღმდეგ. გაწბილებულ მოხელეს ის დაუყოვნებლივ ხსნიდა და უკანვე ისტუმრებდა და ამავე დროს ზრუნავდა ისეთი პირობების შექმნისათვის, რაც განათლებულსა და რიგიან მოხელეებს რუსეთიდან საქართველოში მოიზიდავდა.

ციციანოვის ცდას ამ საქმეში დიდი წარმატება არ მოჰყოლია და განათლებულ-იდეურ მოხელეებით საქართველოს მომარაგების საკითხი ამის შემდეგაც ათეული წლების მანძილზე ასევე მწვავედ იდგა. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთს ასეთი მოხელეები სახლშიაც ნაკლებად მოეპოვებოდა, რაც მისი ჩამორჩენილობის მოწმობა იყო, ხოლო ისეთ მოხელეთა ხელში, როგორიც საქართველოს დაპატრონებოდნენ, საუკეთესო ღონისძიებაც კი უქმი და უვარგისი იყო.

**უცხოელთა გადმოსახლება საქართველოში.** ამიერკავკასიის დაპყრობას რუსეთის მთავრობა საქართველოდან აწარმოებდა, საქართველო ამ დიდ საქმეში რუსეთის დასაყრდენი იყო. ამდენად საქართველო მოწოდებული იყო რუსთა ლაშქრის მომსახურების მძიმე ტვირთი ეკისრნა. რუსთა ლაშქარი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მისი მომსახურების ტვირთიც სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. რუსულ მმართველობას, ბუნებრივია, უნდა ეზრუნა, რათა ეს დასაყრდენი ეკონომიურად ძლიერი და პოლიტიკურად საიმედო ჰქონოდა. საქართველო კი ამ დროს უფრო ნაოხარს ჰგავდა, ვიდრე მოშენებულ ქვეყანას. უკვე ოცი წელი იყო, რაც შინაური და გარეთული მტრები შეთანხმებულნი ავერანებდნენ ერეკლეს მხნეობით მოშენებულ ქართლ-კახეთს. თავადური რეაქცია „ლეკიანობა“-„ყიზილბაშობას“ დაკავშირებოდა და საქართველოს მწარმოებელი მოსახლეობა გადაშენების პირას მიეყვანა. მთელი მხარეები სრულიად დაცლილი იყო და მცირედ გადარჩენილი მოსახლეობა ქალაქებს, ციხეებს ან სხვა ძნელად მისადგომ ადგილებს ეკედლებოდა. ასეთ პირობებში რუსული მმართველობა იძულებული იყო ეზრუნა საქართველოში მწარმოებელი მოსახლეობის გამრავლებაზე. საამისო ერთ-ერთ საშუალებად ციციანოვს უცხოეთიდან საქართველოში მოსახლეობის მოზიდვა მიაჩნდა.

ახალი და უჩვეულო აქ არაფერი იყო. თავის დროს ერეკლეს ამისო ფართე გეგმები ჰქონდა შემუშავებული და ისიც მოზომილ-მოფიქრებული ჰქონდა, თუ ვინ მოახალშენე და სად უფრო სასურველი და სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისათვის.

ციციანოვსაც გადმოყავდა მოახალშენე სომხები ერევნის მხარიდან თუ სპარსეთის ადერბაიჯანიდან, ესაქმებოდა აისორებს და ურმიის მხრიდან მათ ერთიანად გადმოსახლებას ურჩევდა. მაგრამ ციციანოვის ეს საქმე ერეკლეს საახალშენო-პოლიტიკისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამ ღონისძიებას ეხლა საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება კი არ ჰქონდა მიზნად, როგორც ეს იყო ერეკლეს დროს, არამედ ეს იყო სხვადასხვა ქრისტიან ხალხთა თავმოყრა გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელსაც ჯერ კიდევ „საქართველო" ეწოდებოდა, და რომელსაც ეკისრებოდა რუსეთის მთავრობის ექსპანსიური პოლიტიკის სამსახურში მდგარიყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ რუსეთის სამეფო კარზე საქართველოში საკოლონიზაციო პოლიტიკის ის კურსი არ შემუშავებულიყო, რომელიც, უფრო გვიან, ქართველი ხალხის ეროვნულ გაქრობას ისახავდა მიზნად. ციციანოვის საკოლონიზაციო ღონისძიებანი ჯერ კიდევ არ სცილდებოდა იმ პრაქტიკულ მიზნებს, რასაც მას ეს დიდმოხელე უსახავდა: უზრუნველ ეყო მტრებით გარშემოცულ ამ შორეულ მხარეში რუსული მმართველობისათვის ერთგული დასაყრდენი, ხოლო რუსთა ჯარისათვის საკმაო მომსახურება.

**ზომები სოფლის მეურნეობის გაძლიერებისათვის.** როგორც შევნიშნეთ, რუსეთის მთავრობის დაპყრობითი პოლიტიკა რუსული სამხედრო ნაწილების დიდი რაოდენობით შემოყვანას მოითხოვდა საქართველოში. ამ ჯარისათვის საჭირო პურის რუსეთიდან მოტანა უგზოობის გამო მეტად ძნელი იყო (ზღვის გზა ჯერ კიდევ რუსეთის ხელთ არ იყო, ხოლო დარიალის საქარავნო გზით ასეთი რაოდენობის საქონლის გადმოტანა სრულიად მოუხერხებელი იყო). ციციანოვი ასეთს პირობებში ერთადერთ გამოსავალს საქართველოში პურის მოყვანის გაძლიერებაში ხედავდა. ამ მიზნით იყო, რომ მთავარმართებელმა საგანგებო ზომები მიიღო, რათა ქართველი გლეხობა სოფელს დაბრუნებოდა და პურის მეურნეობისათვის ხელი მოეკიდა. ლეკთა თუ სხვა მტაცებელთაგან ქვეყნის დასაცავად და მშვიდობიანი შრომისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად ციციანოვმა მრავალ ადგილას სამხედრო ბანაკი შექმნა. რუსთა რაზმების მუდმივ სადგომი ასეთი ადგილები იყო: ცხინვალს, სურამს,

ქარელს, ხოვლეს, ატენს, გორს, წალკას, ბამბაკს, შადნებს, დმანისს, ღართის-კარს, სოღანლუღს, ანანურს, ქიზიყში ალაზნის გასწვრივ (დედოფლის წყაროს, ყარაღაჯს, ურდოს ფონს, სიღნაღს), გავაზს, ყვარელს, ფშაველს, მატანს, მადნის ხევს და სხვ.

ეს რაზმები ლეკ მტაცებლებს გასაქანს არ აძლევდნენ, ხოლო მეორეს მხრით სოფლის მეურნე გლეხებს მათ შრომაში შველოდნენ. ეს იყო რუსი და ქართველი ხალხის ძმური შეხვედრის პირველი ფაქტები XIX საუკუნეში. პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ამ ამბების თანამედროვე კაცი, მოწმობს, რომ ციციანოვს მეტად სიამოვნებდა „იმის დანახვა, თუ რა თანხმობა იყო ადგილობრივ მცხოვრებთა და სამხედრო ნაწილთა შორის. ყოველ სოფელს სურდა მასთან ჯარი ყოფილიყო დაბანაკებული და ქართველი გლეხები მათ უყურებდნენ არა მარტო როგორც დამცველს, არამედ როგორც სამუშაოში სასარგებლო დამხმარეებს“.

ამავე დროს ციციანოვმა გლეხებს თბილისში ცხოვრება აუკრძალა და აიძულა ისინი სოფელს დაბრუნებოდნენ და მიწისმოქმედებისათვის ხელი მოეკიდათ.

ამ ზომების შედეგი იყო, რომ საქართველოში პურეულის მოყვანა სწრაფად გაიზარდა და რუსთა ჯარის საჭიროებისათვის ყოველწლიურად 850 ათასი ფუთი (=14000 ტონა) ხორბლის მიწოდება შესაძლებელი შეიქნა.

მეპურეობის განვითარებისათვის ხელისშეწყობის მიზნით იყო, რომ მთავარსარდალი ქართველი გლეხის საბეგრო სამუშაოზე გამოყვანას პურის თესვა-მკის დროს ერიდებოდა.

ციციანოვი ფიქრობდა, რა თქმა უნდა შეცდომით, რომ ქართველმა გლეხმა პურის მოყვანის საქმე ხეირიანად არ იცოდა და ენერგიული მთავარმართებელი მეურნეობის ამ დარგში ტექნიკური გაუმჯობესების შეტანას ცდილობდა.

**ხელის საქმე.** ლაშქრის მომარაგების საკითხმა ციციანოვი სხვა აგრონომიულ ღონისძიებამდეც მიიყვანა. მთავარსარდალმა შეიტყო, რომ საქართველოში სელი მრავლად მოჰყავდათ, მაგრამ მისგან მხოლოდ ზეთსა ხდიდნენ, სელის ქსოვილს კი არ აწარმოებდნენ. ძველად საქართველოში სელისაგან ტილოს ამზადებდნენ, მაგრამ დიდი ხანი იყო მას შემდეგ, რაც ჩვენში მეურნეობის ეს დარგი ბამბის ქსოვილს გაედევნა. რუსთა ჯარში კი სელის ტილო იყო მიღებული და ბამბის ქსოვილი ჯარის სამოსად სასურველად არ იქნა ცნობილი. მაშინ ციციანოვმა ზომები მიიღო სელის ქსოვილის წარმოების აღსადგენად საქართველოში. მან ბრძანება გასცა აღმოეჩინათ

რუს ჯარისკაცებს შორის ხელის საქმის მცოდნენი, რომელთაც უნდა ესწავლებინათ ქართველი გლეხებისათვის ამ ქსოვილის დამზადების ტექნიკა.

**შალისა და ტყავის წარმოება.** იმავე ლაშქრის მომარაგებაზე ზრუნვამ ციციანოვი იმ განზრახვამდე მიიყვანა, რომ აქ შალისა და ტყავის წარმოების საქმე წამოეწყო. საამისო პირობები მეტად ხელსაყრელი ჩანდა. მატყლიცა და ტყავიც აქ უხვად იპოვებოდა და იაფიც იყო. ციციანოვი ოცნებობდა, რომ მის მიერ მოწყობილი ქარხნების ნაწარმი არა მარტო საქართველოში მომქმედ ჯარს დააკმაყოფილებდა, არამედ ამიერკავკასიის ლაშქარსაც გასწვდებოდა. მაგრამ მთავარსარდალს ეს ჩანაფიქრი არ გაუმართლდა. რუსეთის მთავრობა ამ საკითხის შესახებ სხვა აზრის აღმოჩნდა. საქმე იმაში იყო, რომ რუსთა ჯარს საცმელ-სამოსელით რუსეთის ფაბრიკები ამარაგებდა. კავკასიაში მომქმედი ჯარი მათი ნაწარმოების დიდი გამსაღებელი იყო. ამიტომ რუს მრეწველთათვის საქართველოში ასეთივე წარმოების გაჩაღება ხელსაყრელი არ იყო. ციციანოვი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ამ გზით ჯარის მომარაგება სახელმწიფო ხაზინას უფრო იაფად დაუჯდებოდა. მთავარსარდალი, ჩანს, საკმაო ანგარიშს ვერ უწევდა ძალას რუსი მრეწველებისას, რომელთაც სახელმწიფო ხაზინის კი არა, საკუთარი ჯიბის სარგებელი ამოძრავებდათ. ამათი გავლენით იყო, რომ მთავრობამ ციციანოვს ნება არ მისცა საქართველოში მატყლისა თუ ბამბის საქსოვი ფაბრიკები შემოეღო. ასევე შეუძლებელი შეიქნა ტყავეულობის ქარხნის გახსნა.

ასე ხელოვნურად შეაფერხეს საქართველოს ეკონომიური განვითარება შიდა რუსეთის მექარხნეთა ინტერესების სასარგებლოდ. და ეს ასე იყო ამიერიდან სულ მუდამ დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე. ამიერკავკასიაში მეფის მთავრობა არავის ანებებდა ისეთი წარმოების წამოწყებას, რაც შიდა რუსეთის მექარხნეთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რაც შიდა რუსეთის ქარხნების ნაწარმს მეტოქეობას გაუწევდა.

**სპილენძის წარმოების საქმე.** საქართველოში ერეკლეს მიერ განახლებული სპილენძის წარმოების საქმე ეხლა რუსეთის ხაზინის ხელთ იყო. ციციანოვი ამ ქარხნების შემოსავლის გადიდებაზე ენერგიულად ზრუნავდა. ქარხნები მუშა ხელის ნაკლებობას განიცდიდა. ციციანოვმა გამოითხოვა ნებართვა, რათა დამნაშავენი, რომელთაც

გაციმბირება ელოდათ, საქართველოდან ციმბირის ნაცვლად ამ ქარხნებში გაეგზავნათ სამუშაოდ. ხოლო იმისათვის, რომ ქართულ სპილენძს დიდი მომხმარებელი გასჩენოდა, ციციანოვი დაუკავშირდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ადმირალს და მას ქართული სპილენძის ნიმუში გაუგზავნა ამ უკანასკნელის მოსახმარისობის გამოსაცდელად. სპილენძი კარგი გამოდგა. ფლოტს კი იგი დიდი რაოდენობით სჭირდებოდა. მაგრამ ციციანოვის ეს წამოწყება უშედეგოდ ჩაკვდა, იმიტომ, რომ შავი ზღვის ფლოტი რუსული სპილენძით მოამარაგეს.

**სახაზინო გლეხთა გადასახადების საკითხი.** ლაშქრის მეურნეობასა და სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგებაზე ზრუნვამ ციციანოვი აიძულა სახაზინო გლეხთა გადასახადების სახეობაში ცვლილება შეეტანა. ყველა საგლეხო გადასახადი მან პურის ან ფულადი გადასახადით შეცვალა. ციციანოვი კარგად ხედავდა, რომ ამ ღონისძიების გატარება ადვილი საქმე არ იყო ქართველი გლეხის მეურნეობის მოშლილობისა და ქვეყანაში ფულის სიძვირის გამო. ამიტომ მან გადაწყვიტა გლეხისათვის შეღავათი მიეცა და უმცირეს საბადლოს დასჯერებოდა. თავის თავად კი ეს მოვლენა, ე. ი. აურაცხელი მოვალეობა-გადასახადების ორი სახეობის გადასახადით შეცვალა, უთუოდ პროგრესული ზომა იყო გლეხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით. ხაზინას ლაშქრისათვის დიდი რაოდენობით პური სჭიროდა და გლეხს ჭირნახულის გაყიდვა კარგ ფასში შეეძლო. ამ გზით სოფელში თანდათან ფული შემოდიოდა და სულადი გადასახადების ფულით შეცვლა თანდათან უფრო მსუბუქი ხდებოდა. ამავე დროს გლეხი თავის მეურნეობაში უფრო დამოუკიდებელი ხდებოდა და მას აქ წამგლეჯელი მოურავის ხარბი თვალი აღარ დასტრიალებდა.

**საბაჟოებისა და იჯარების საკითხი.** ქვეყნის პროგრესს, მის ეკონომიურ მოღონიერებას ემსახურებოდა ციციანოვის გადაწყვეტილება საბაჟოებისა და საიჯარო სისტემის გაუქმების შესახებ. საქართველოში მრავალი საბაჟო იყო. ეს ვაჭრობას დიდად აფერხებდა, საქონელს მეტისმეტად აძვირებდა. მაგრამ გარდა საგზაო გადასახადისა (რახტარისა) საქართველოში ბაჟი ყოველ გასაყიდ საქონელზე აიღებოდა ხოლმე. ბაჟის აკრეფის ამ უფლებას მეფე იჯარით აძლევდა ამა თუ იმ პირს, რომელსაც საიჯარო ფასი მეფის სალაროში

წინდაწინ შეჰქონდა, ხოლო შემდეგ მთელი წლის მანძილზე ბაჟს თავისთვის კრეფდა, რა თქმა უნდა, გადამეტებული მოსაგებით. ციციანოვის დროს თბილისში 15 ასეთი იჯარა იყო გაცემული, საიდანაც 45000 მანეთამდე შემოსავალი შემოდიოდა. ეს საშინაო ბაჟები და საიჯარო სისტემა კიდევ უფრო აფერხებდა აღებმიცემის განვითარებას. ციციანოვმა იშუამდგომლა რუსეთის მთავრობის წინაშე ამ საშუალსაუკუნეების სავაჭრო წესების გაუქმება და მათ ნაცვლად ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს საზღვრებზე ოთხ ადგილას საბაჟოს დაარსება ითხოვა: სურამს, წალკას, კარაკლისს და შამშადილს. 1804 წლის 4 მარტის ბრძანებით ხელმწიფემ ციციანოვის კა თხოვნა დააკმაყოფილა.

**„ბატონიშვილების“ გაქრობა.** რუსეთის სახელმწიფო წყობილება თუმცა იმავე ფეოდალურს, მაგრამ ქართულისაგან მაინც განსხვავებულ ურთიერთობას ემყარებოდა. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწესრიგება რუსული სამართლის მიხედვით ანუ რუსული მმართველობის წესების გატარება ჩვენი ქვეყნის სოციალურ ურთიერთობას ხელშეუხებელს ვერ დასტოვებდა. ციციანოვის დროს და მისი აქტიური მონაწილეობით საბოლოოდ გადაწყდა ქართველი ბატონიშვილების საკითხი. უცხოეთში გადახვეწილებს გარდა ყველა ბატონიშვილი რუსეთს გადაასახლეს, ხოლო მათი „საბატონიშვილოები“ სახელმწიფო ქონებად აღრიცხეს. გადასახლებულ ბატონიშვილებს მათი ნაქონევის სამაგიეროდ ფული მისცეს პენსიონის სახით, რათა საჭირო ყმა-მამული რუსეთში შეეძინათ. ასევე სახელმწიფო ქონებად იქმნა აღრიცხული ქართული „სადედოფლოები“, ხოლო რუსეთს გადასახლებულ დედოფლებს სამაგიერო პენსიონები გაუჩინეს. ამრიგად, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ერთბაშად მოსცილდა უმაღლესი სოციალური ფენა—ბატონიშვილებისა, ქართული თავადობის დასაყრდენი მის რეაქციულ სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ბატონიშვილობის, როგორც სოციალური ფენის, გაქრობა საჭირო და სასურველი საქმე იყო, ოღონდ მძიმე ის იყო, რომ ეს ხდებოდა არა ქართული საზოგადოებრივი განვითარების შედეგად, არამედ ამას აკეთებდა უცხო ძალა საკუთარი მიზნებისათვის. მაგრამ ამ პირობებშიაც კი ეს აქტი უთუოდ დადებითი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის სოციალური განვითარების გზით.

**მოურავობის საკითხი.** რუსული მმართველობის შემოღებამ ქართველი თავადის პოზიცია სხვა მხრივაც შეავიწროვა. მას შემდეგ,

რაც ქართველი მეფის ხელისუფლება მოისპო და სახელმწიფო გლეხის ვალდებულებანიც შეიცვალა, მას შემდეგ, რაც სამართალი სამაზრო სასამართლოების ხელთ გადავიდა, ქართული მოურავის თანამდებობა არსებითად გაზედმეტდა და ბუნებრივად დადგა საკითხი ამ საშუალსაუკუნეების ინსტიტუტის მოშლისა. მაგრამ ამ საქმის მოგვარება პოლიტიკურ მომენტს გადაეხლართა და გაძნელდა კიდევაც. საქმე იმაში იყო, რომ მოურავობა თავადებს სამემკვიდრეოდ ეჭირათ და სამოურავო შემოსავალი მათი არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. მოურავობის ინსტიტუტის მოშლით თავადების დიდი რაოდენობა ულუკმა-პუროდ რჩებოდა. მაგრამ მოურავობის გაუქმება თავადობას არა მარტო ეკონომიურად აზარალებდა. არა ნაკლებ საგრძნობი იყო ამ საქმის პოლიტიკური მხარე. მოურავობის მეშვეობით ქვეყნის მართვა-გამგეობა რეალურად ქართველ თავადთა ფენის ხელთ იყო. ამიტომ ამ ინსტიტუტის გაუქმებით ქართველი თავადობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმისაგან ერთბაშად უნდა გარიყულიყო. ამიტომ იყო, რომ ქართველი თავადობა თავის ამ სოციალური სიმტკიცის საფუძველს თავგამოდებით იცავდა და მოურავობის წინააღმდეგ მიმართულ ყოველივე ზომას დაუზოგავად ებრძოდა. თავადებმა სწორად შეაფასეს ვითარება და რუსული მმართველობის შემოღების უმალვე, ჯერ ისევ 1802 წელს, მოურავობის დასაცავად საერთო გამოსვლა მოაწყვეს. კოვალენსკის ფიცისა, რომ მოურავობას არავინ გააუქმებდა, თავადებს არა სწამდათ. და მართალი იყვნენ: რამდენადაც კაპიტან-ისპრავნიკისა, სამაზრო სასამართლოსა და ხაზინადრის ინსტიტუტები რჩებოდნენ, ესენი მოურავობას გამორიცხავდნენ. რუსულმა მმართველობამ ქართველი თავადების ასეთი პოზიციის გამო მოურავობის ინსტიტუტი ერთის დაკვრით ვერ მოსპო და მისი თანდათანი გაუქმების მეთოდი მიიღო. მაგრამ ეს საქმეს არსებითად არ სცვლიდა: რუსული მმართველობის შემოღებით ქართული მოურავობა ადრე თუ გვიან უნდა გაუქმებულიყო. *ქართველი თავადის პოლიტიკური როლი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში ამით არსებითად იცვლებოდა.*

**სახელმწიფო ბეგარა და ქართველი მებატონე.** ქართველი თავადის შემდგომ შევიწროვებას გულისხმობდა რუსული მმართველობის ის წესი, რომლის ძალითაც საბატონო გლეხები მოვალენი იყვნენ სახელმწიფო ბეგარა-სამსახური ეკისრნათ. კაპიტან-ისპრავნიკების უცერემონიო განკარგულებანი ამა თუ იმ ბატონის საყმოში

საფუძვლიანად არღვევდა სათავადოს აზრს და ამაყ ქართველ თავადს ჩვეულებრივ რუს პომეშჩიკად აქცევდა. გასაგებია, რომ ქართველი მებატონე (დიდი თუ მცირე „თავადი") შეურაცხყოფილი და უკმაყოფილო იყო.

**ქართველთა მონაწილეობის საკითხი საქართველოს მმართველობაში.** ციციანოვი კარგად ხედავდა იმ სიძნელეებს, რაც რუსული მმართველობის შემოღებას საქართველოში თან სდევდა. ქართველი ხალხისათვის რუსული ენა იმ დროს სრულიად უცნობი იყო. ასევე რუსმა მოხელეებმა ქართული ენა სრულიად არ იცოდნენ. ამიტომ ქართველი ხალხი მმართველობაში მონაწილეობის გარეშე აღმოჩნდა. თარჯიმანიც კი იშვიათად იპოვებოდა და ვინც იყო, ისიც უვიცი. აუტანელი ვითარება შექმნილიყო: „მოსამართლესა და მთხოვნელს ერთი მეორისა არ ესმოდათ". ციციანოვი გონიერი რუსი მოხელე იყო. ის მართებულად დაასკვნიდა, რომ ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილების შესანელებლად აუცილებელი იყო, რათა მას ფართე სარბიელი გახსნოდა სამოქალაქო თუ სამხედრო სახელმწიფო სამსახურში.

აუცილებელი იყო ამ სიძნელეთაგან თავის დაღწევა. რუსეთის მთავრობას, რა თქმა უნდა, აზრად არ მოუვიდოდა ამოცანის ერთადერთი სწორი და ბუნებრივი გადაწყვეტა: მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა ქ ა რ თ უ ლ ე ბ ა. არც ციციანოვს მოსვლია ის აზრად მიუხედავად იმისა, რომ ამას დაჟინებით და გადაჭრით მოითხოვდა. ქართველი ხალხის ხსენებული სიძნელის გადალახვას რუსული მმართველობა ამის საწინააღმდეგო გზით ცდილობდა: რ უ ს უ ლ ი ე ნ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი თ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა შ ო რ ი ს.

ს კ ო ლ ა. „განათლების პირველი სხივების" შემოსატანად". ქართველთა შორის და იმისთვის, რათა ქართველ თავადაზნაურობის მომავალმა თაობამ მაინც „იგემოს ნეტარება, რომელსაც მას უმზადებს რუსეთის მთავრობა", ციციანოვმა იშუამდგომლა გაეხსნათ თბილისში ორწლიანი სასწავლებელი თავად-აზნაურთა შვილებისათვის.

ციციანოვი, რა თქმა უნდა, არ იყო მართალი, როცა მას ამ სკოლის დაარსებით რუსეთის მთავრობა საქართველოში „განათლების პირველი სხივების" შემომტანად გამოყავდა. საქართველოში განათლების სხივები უშავბნელეს დროშიაც კი არ ჩამქრალა; ხოლო XVIII საუკუნეში ერეკლეს თაოსნობით განათლების საქმე ჩვენში საკმაოდ მაღლა იდგა და თბილისში განათლება მიღებუ-

ლი არა ერთი ქართველი თავისი ცოდნა-განვითარებით აკვირვებდა ევროპულად აღზრდილ რუს დიდ მოხელეს (სულხან თუმანიშვილი, სოლომონ ლიონიძე). კიდევ უფრო ფართედ დასვა განათლების საკითხი საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულს ქართული სახელმწიფო წესწყობილების რეფორმის პროექტის ავტორმა იოანე ბატონიშვილმა. მისი პროექტით გათვალისწინებული სასწავლებლები (თბილისს, გორს, თელავს), საერო და საეკლესიო, არა თუ არ ჩამოუვარდებოდნენ ციციანოვის მიერ დაარსებულ სასწავლებელს, არამედ უფრო მაღლაც იდგნენ.

რუსული სასწავლებელი თბილისში ჯერ კიდევ კოვალენსკიმ გახსნა 1802 წელს, მაგრამ საქმე ნაჩქარევად და მოუმზადებლად წამოწყებული აღმოჩნდა და ეს სასწავლებელი მალე დაიხურა. ციციანოვმა საქმე ყოველმხრივ შეამზადა და 1804 წლის 21 მაისს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ზეიმით გაიხსნა. ამ სასწავლებლის პირველი ვამგე იყო მღვდელი ალექსი პეტრიაშვილი— კნორინგისა და შემდეგ ციციანოვის თარჯიმანი. ამ დროდან მოკიდებული კეთილშობილთა ორკლასიანმა სასწავლებელმა 20-იან წლებამდე იარსება. ამ დროს ის თანდათან ექვს-კლასიან სასწავლებლად გადაკეთდა.

* * *

**ვითარება ამიერკავკასიაში ციციანოვის შემდეგ.** ციციანოვის სიკვდილი მძიმე დანაკლისს წარმოადგენდა რუსეთის მთავრობისათვის. კავკასიის დაპყრობა მხოლოდ დასაწყის სტადიაში იმყოფებოდა და ამ გეგმის შესრულებისათვის დიდი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო. მომხრე-ერთგული კავკასიაში რუსეთის მთავრობას ამ დროს მცირე ვინმე ჰყავდა, ხოლო მტერი, აშკარა თუ ფარული, მრავალი. ციციანოვის მხნე მოღვაწეობის შედეგად რუსეთის მფლობელობა აქ მეტად ვრცელ ქვეყანას გადასწვდომოდა. ბრძოლის ფრონტიც ამისდა კვალად გაზრდილიყო: საამისოდ საკმაო სამხედრო ძალა კი არ იყო და რუსეთის მთავრობას არც საშუალება ჰქონდა დამხმარე ჯარის მოწოდებისა.

სწორედ ამ ხანებში რუსეთსა და მის მოკავშირეებს დიდი ომი ჰქონდათ საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონთან. 1805 წლის ორ დეკემბერს უკანასკნელმა სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგეთა შეერთებული ლაშქარი. რუსეთის მთავრობა შემდგომი ბრძოლისათვის ემზადებოდა, ნაპოლეონი კი გამარჯვების ნაყოფს იმკიდა.

ამიერკავკასიის საქმეებზე ნაპოლეონის ამ გამარჯვებას დიდი გავლენა ჰქონდა. რუსეთის მთავრობა, როგორც აღვნიშნეთ, მოკლებული იყო საშუალებას, რომ კავკასიაში დამხმარე ძალა გამოეგზავნა. პირიქით, მან რამოდენიმე პოლკი ჯარი იმიერკავკასიიდან ევროპის ფრონტზე გადაისროლა. მაგრამ უფრო მძიმე ის გარემოება იყო, რომ ამ გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონის აგენტებს სპარსეთსა თუ ოსმალეთში მეტი გასავალი მიეცათ. საფრანგეთის ეს აგენტები თავდადებით და დიდის მოხერხებით ცდილობდნენ გაექროთ ოსმალეთში რუსეთისა და მისი მოკავშირეების გავლენა, გაეძევებინათ სპარსეთიდან ინგლისის აგენტები, შეეკრათ სპარსეთ-ოსმალეთის სამხედრო კავშირი და ორივე ეს სახელმწიფო რუსეთისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში ჩაებათ.

რუსეთის მთავრობამ ამ გარემოებათა შესაფერისი სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა ამიერკავკასიაში. აქ ის დროებით თავდაცვაზე გადადიოდა. საქართველოს მთავარმართებელს უპირველეს ყოვლისა მოპოვებული პოზიციების შენარჩუნება ევალებოდა. მას სპარსეთთან ზავის დადება უნდა ეცადნა, რათა ოსმალეთის შესაძლებელ შემოტევას მთელის ძალით წინ დახვედროდა. ამავე დროს რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას მთელი ყურადღება უკვე დამორჩილებული ქვეყნების მოწყობა-შემომტკიცებისათვის უნდა მიეპყრო. მოკლედ, რუსეთის მთავრობის მიზანი იყო მიღწეული წარმატებანი შეენარჩუნებინა ამ მძიმე დროში და საქმე ისე შეემზადებინა, რომ შემდეგ, როცა ამისათვის ხელსაყრელი დრო დადგებოდა, ინტენსიური შეტევით ომი განეგრძო.

ამ რთული ამოცანის შესრულების საქმეში ციციანოვის შემცვლელის პოვნა ძნელი ჩანდა.

**ციციანოვის მოკვლის გამოძახილი. ხანები.** საქართველოს მთავარმართებლის სიკვდილმა გასაგებია, რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დამორჩილებული ხანები უმალვე სამტროდ წამოიშალნენ, რუსთა განდევნის გეგმებს აწყობდნენ და დახმარებას სპარსეთის შაჰისაგან ელოდნენ.

**ჭარ-ბელაქანი. სპარსეთის შაჰი.** გულმოცემული იყვნენ ჭარ-ბელაქნელებიც. დაღისტნელი აბრაგები მოეწვიათ და ქართლ-კახეთის რბევა წამოეწყოთ. ომის გუნებაზე იდგა სპარსეთის შაჰი. ყველას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა და ამავე გაზაფხულზე დიდი ლაშქრით საქართველოში შემოჭრას იმუქრებოდა. რუსეთ-

სა და ოსმალეთს შორის ზავი თუმცა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ ახალციხის ფაშამ დრო შესაფერისად იცნო და ლეკები ქართლის სარბევად აუშვა.

**სოლომონ მეფე.** სოლომონ იმერეთის მეფესა და რუსულ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო წახდა. გენერალმა რიკჰოფმა ერთი ბატალიონი ჯარი ქუთაისში შეიყვანა. მისი აგენტები იმერეთის მეფის დასასუსტებლად ღონეს არ შურავდნენ და საერო თუ საეკლესიო ფეოდალებს შორის მომხრეებს იძენდნენ. ამავე დროს მათ მოისყიდეს მცველები და მუხურის ციხიდან გამოიყვანეს სოლომონ პირველის შვილიშვილი, გიორგი ბატონიშვილი, რომელიც, დიდი ხანია, იმერეთის მეფეს იქ პატიმრად ჰყავდა. სოლომონ იმერთა მეფე თავის მხრით იმერელ თავადების შემომტკიცებას ცდილობდა, ფაშებთან თუ ხანებთან მიმოწერას განაგრძობდა, ალექსანდრე ბატონიშვილთან მოციქული დაუდიოდა, თბილისის რუსულ ხელისუფლებას თავის შევიწროებაბა-შეურაცხყოფას აყვედრიდა, მადლობის დეპუტაციას პეტერბურგში არ გზავნიდა, ელაზნაურის ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ ასრულებდა და ნორმალური ურთიერთობის აღდგენის პირობად რუსთა ჯარისაგან ქუთაისის დაცლას მოითხოვდა.

**ქართლ-კახეთი.** მაგრამ მდგომარეობა საკუთრივ ქართლ-კახეთშიაც არანაკლებ გართულებულიყო. ოსები ლიახვზე და სხვა მთიელები შფოთავდნენ. ხევსურებმა გამოაძევეს ხელისუფლების მიერ დანიშნული მოურავი და ორგზის თავს დაესხნენ თიანეთში მდგომ რუსთა რაზმს. ხელისუფლებამ ხევსურებს ბარში შემოსასვლელი გზები ჩაუკეტა და არც კახეთის საზამთრო საძოვრები დაანება. ხევსურები მხნედ იტანდნენ დახუთვას და მთავრობის მიერ დანიშნულის მოურავის მიღებაზე უარს აცხადებდნენ. 1806 წლის 6 აპრილს ისინი კვლავ დაეცნენ თიანეთის საგუშაგოს. მაგრამ დამარცხდნენ. მოლაპარაკება გაგრძელდა და ბოლოს წარმატებით დამთავრდა. ხელისუფლებამ დაუთმო. ხევსურებს მისცეს უფლება მოურავად ის ჰყოლოდათ, ვისაც თვით აირჩევდნენ. მისცეს აგრეთვე საქართველოს ბარში შეუზღუდველი მიმოსვლის უფლება და დაუბრუნეს ხატის საკუთრება ვენახი ახმეტაში. ეს ვენახი ძველ დროს მეფეებს შეეწირათ ხევსურთა სალოცავისათვის და რუსულ მმართველობას ის სახაზინოდ ჩაერიცხა.

ყველა ეს გართულებანი ამიერკავკასიაში, საშინაო თუ საგარეო ხასიათისა, აფიქრებდა რუსეთის მთავრობას. პეტერბურგში ახსოვ-

დათ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის პოლიტიკური განწყობილება. 1804 წელს რომ ძლიერად გამომჟღავნდა. ამ გამოსვლის შედეგად დაპატიმრებულნი, ჯერ კიდევ მსჯავრდაუდებელნი, სატუსაღოებში ეყარნენ და თავის ხვედრს ელოდნენ. 1804 წლის შემდეგაც ციციანოვს არაერთი შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ თავადაზნაურობა საერთოდ უკმაყოფილო იყო შექმნილი ვითარებით. ზოგი ემიგრანტ ბატონიშვილებს მისვლოდა და მრავალი ვინც სახლში იჯდა, ხელსაყრელ დროს უცდიდა, რომ თავისი უკმაყოფილება გამოეთქვა.

იმ გართულებულ მდგომარეობაში, ეხლა რომ შექმნილიყო, რუსეთის მთავრობა საგანგებოდ დაინტერესებულა ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური განწყობილებით. პეტერბურგიდან მოსთხოვეს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს სათანადო მოხსენება, კერძოდ, დაავალეს გამოეკვლია. თუ რას ფიქრობდა ქართველი თავადაზნაურობა იმის შესახებ, რომ 1804 წლის გამოსვლის მონაწილენი დღემდე პატიმრებად ისხდნენ. ასეთი კი იყო 300 კაცზე მეტი, ამათგან 100-ზე მეტი თავადი.

მოხელემ ბრძანება შეასრულა და მთავრობას მოახსენა, რომ საქართველოში მშვიდობაა, რომ ქართველ თავადებს ხელმწიფის სამსახურისათვის უძგერთ გული. ხოლო პატიმართა შესახებ საკითხში ისინი მოწყალე ხელმწიფის სამართლიანი განაჩენის მორჩილებით მოიმედენი არიანო.

**რომან ბაგრატიონის მისია.** მაგრამ, ვიდრე ეს მოხელური მოხსენება მთავრობას მიუვიდოდა, ალექსანდრე ხელმწიფეს განუზრახავს სხვა გზითაც გაეგო საქმის ნამდვილი ვითარება. იმპერატორს ამ მიზნით პეტრე ბაგრატიონისათვის მიუმართნია. ალექსანდრე ხელმწიფის თანხმობით და სურვილით სახელგანთქმულ გენერალს პეტრე ბაგრატიონს (შემდეგში 1812 წლის სამამულო ომის გმირს) ქართლ-კახეთის თავადებისათვის წერილები გამოუგზავნია. ეს წერილები საქართველოში პეტრეს უმცროს ძმას რომან ბაგრატიონს ჩამოუტანია. ხელმწიფისავე თანხმობით პეტრეს დაუვალებია თავისი ძმისათვის, რათა მას ფარულად შეესწავლა საქართველოს ამბები. როცა რომან ბაგრატიონი თბილისში ჩამოსულა, აქ ამ დროს ქართველი თავადაზნაურობის ყრილობა ყოფილა—წინამძღოლი უნდა აერჩიათ.

პეტრე ბაგრატიონი თავის წერილებში ქართველ თავადებს რუსხელმწიფის ერთგულებისაკენ მოუწოდებდა, მოაგონებდა იმ ამაგს,

როგორიც რუსთა ჯარის აქ ყოფნამ ქვეყანას დასდო. იუწყებოდა, რომ საქართველოს მშვიდობით დაცვა, მისი ბედნიერება ხელმწიფის გულითადი სურვილია. პეტრე მოუწოდებდა თავადებს სურსათით თუ სხვა სახმარით დახმარებოდნენ რუსთა ჯარს და აქვე იმედს გამოსთქვამდა, რომ თითონ მოვიდოდა საქართველოში. ამ შემთხვევისათვის პეტრე ქართველ თავადობას პირდებოდა, რომ ის მათ ერთგულებასა და სიყვარულს საქმით უჩვენებდა.

პეტრეს წერილებმა ქართველი თავადები ძლიერ აალელვა. შემთხვევა ეძლეოდათ ესოდენ წარჩინებული კაცის საშუალებით იმპერატორისათვის თავისი გულისნადები დაუფარავად მოეხსენებინათ. ამას გარდა ეს წერილები ქართველმა თავადებმა ისე გაიგეს, რომ საქართველოს მთავარმართებლად შესაძლებელია პეტრე ბაგრატიონი დანიშნულიყო.

თავადებმა არ დააყოვნეს და თავისი სურვილები მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოთხოვნილების სახით პეტრესათვის გადასაცემად რომან ბაგრატიონს თან გაატანეს.

ადგილობრივი რუსული მმართველობა შეშფოთდა. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მიერ შეთხზულ ყალბ სურათს, ვითომდა ქვეყნის რეალურ ვითარებას რომ გამოხატავდა, თავადების ეს მოთხოვნილებანი სულ ერთიანად უარყოფდა. სამოქალაქო გუბერნატორმა სცადა საქმის გამოსწორება. ის შეეცადა შეექმნა თავადების ამ გამოსვლის მოწინააღმდეგეთა დასი. მცირე ვინმე იშოვა, ეს რიცხვი ხელოვნურად გაბერა და ასეთივე ნაყალბევი მოხსენებით პეტერბურგს აფრინა. საქმის ნამდვილი ვითარება ნათელი იყო.

**ქართველი თავადების მოთხოვნილება.** თავის მოთხოვნილებათა შესავალში თავადები მადლობას უთვლიდნენ პეტრე ბაგრატიონს რჩევა-დარიგებისათვის, სურვილს გამოსთქვამდნენ ხელმწიფის სამსახურისას და ირწმუნებოდნენ, რომ მარად მზად არიან მისთვის სისხლის დასანთხევად, რადგანაცო—ასაბუთებდნენ პეტიციონერები—რასაც ჩვენი წინაპრები ითხოვდნენ, ის შეგვისრულდა და ჩვენ რუსეთის უძლეველი მხედრობის საფარველს ქვეშ ვიმყოფებოდითო. მაგრამო,—ურთავდნენ თავადები—უმდაბლესად ვითხოვთ ნება გვიბოძოთ ჩვენი ჭირი და სათხოვარი ამ ცამეტ მუხლად თქვენს წინაშე წარმოვადგინოთო.

თავადების მოთხოვნილება იყო:

1. საქართველოში სამართალი აქაური წესით უნდა წარმოებდეს, რადგან ჩვენ რუსული არც ენა ვიცით, არც წიგნიო;

2. თავადებს თუ სხვა კეთილშობილთ რომ სახაზინო გლეხების მოურავობა მათ საუკუნოდ უნდა შერჩესთ, ამიტომ კაპიტან-ისპრავნიკები აღარ უნდა იყვნენო;

3. ქართველი თავადები და აზნაურები რუსეთის თავადებისა და აზნაურების სწორად უნდა აღირაცხნენ, რადგან ჩვენც უმაღლესი ტახტის ქვეშევრდომნი ვართო;

4. ვინც ჩვენგანს ქართველ მეფეთაგან სამემკვიდრო სახელო ჰქონდა და ამის სანაცვლოდ პენსიონი მიეცა, ის პენსიონი მათ სამარადისოდ უნდა შერჩესთ, ხოლო ვისაც აქამდე არ მისცემია, მათ ღირსებისაებრ უნდა მიეცესო;

5. საბატონო და სახაზინო გლეხების სახელმწიფო სამსახური სწორად ნუ იქნება, რადგან ამის გამო ჩვენი გლეხებისაგან სამსახური გვაკლდებაო:

6. ომში წარჩინებულთა შეფასება ერთნაირი უნდა იყოს საქართველოს თუ რუსეთის კეთილშობილთათვისო;

7. კეთილშობილთ მათი ღირსებისდა შესაფერისი ნიშანი უნდა მიეცეს, რათა ამით სალდათი მას სცნობდეს და ვერ შეურაცხყოფდესო;

8. ისინი ვინც უმეცრების გამო მოტყუვდნენ და პატიმრებად სხედან, უნდა განთავისუფლდნენო;

9. ქურდს ვახტანგის კანონის მიხედვით უნდა გარდახდეს და არა რუსული სისხლის სამართლის მიხედვითო;

10. ქართველთა ლაშქარს, როცა ის რუსთა ჯარის გვერდით იბრძვის, სურსათი ისევე უნდა მიეცეს, როგორც რუსთა ჯარსო;

11. მთავარსარდალი, ვინც დანიშნული იქნება, ჩქარა მოვიდეს, რადგან მტერი უკვე ჩვენს საზღვარშია შემოსულიო;

12. რაც შეეხება სურსათს, ის არა მარტო ამ ჯარს ეყოფა. საქართველოს ოთხჯერ მეტი ლაშქრის გამოკვებაც კი შეუძლია, ოღონდ სურსათის ყიდვა წესიერად იქნესო.

**თავადების მოთხოვნილებათა შეფასება.** თავადები უთუოდ ქართველი ხალხის უმრავლესობის გულის ნადებს გამოხატავდნენ, როცა ირწმუნებოდნენ, რომ რუსეთის უძლეველი მხედრობა საქართველოს გარეშე მტრებისაგან იფარავს.

თავადების ამ სათხოვრებიდან კარგად ჩანდა, რომ საქართველოში ამ დროს იმ მშვიდობიანი განწყობილების ნასახიც კი არ იყო,

როგორც ამას საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი თავის მთავრობას მოახსენებდა. ბევრ რასმე „უსამართლოს“ აღნიშნავდნენ თავადები, ბევრ რასმე გასაჭირს ჩიოდნენ. ასე რომ მათივე კატეგორიული განცხადება რუსხელმწიფის ტახტისადმი მორჩილება-ერთგულების შესახებ საკმაოდ პირობითად გამოიყურებოდა.

თავადების ეს სათხოვრები კლასობრივ-წოდებრივი ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა ქართველი თავადაზნაურობის ინტერესების დაკმაყოფილებას. ქართველი თავადობა დიდი ხანია რეაქციული კლასი იყო და ქართველი ხალხის განვითარების წინამძღოლად არ გამოდგებოდა. ამიტომაც აქ ბევრი რამ იყო ისეთი. რაც ქართველი ხალხის განვითარების თვალსაზრისით რეაქციული და მიუღებელი იყო, მაგრამ აქვე მოიპოვებოდა ისეთი მუხლიც. რომელიც *მმართველობას და სამართალს საქართველოში ქართულს და ქართულ ენაზე გულისხმობდა.*

მმართველობის რუსული წესისა და რუსული სამართლის შემოღებით ოფიციალურ ენად საქართველოში რუსული ენა ხდებოდა. ამ პირობებში სკოლაც ბუნებრივია. რუსული უნდა შექმნილიყო. ასე რომ ქართული ენის სარბიელი ყოველმხრივ მეტისმეტად იზღუდებოდა, მისი განვითარება ხელოვნურად ფერხდებოდა და ის ჩამორჩენა-დაკნინებისა და თანდათანი გაქრობის გზაზე დგებოდა. ეს გარემოება კი *ქართველი ხალხის ეროვნულ განვითარებას საფრთხეს უქმნიდა.*

სათხოვართა მე-12 მუხლში თავადები აგრეთვე მეტად მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდნენ. საქართველოს რუსული მმართველობა სულ იმას ჩიოდა, რომ აქ პურის ნაკლებობაა და დიდი ლაშქრის გამოკვება შეუძლებელია. თავადების ამ წერილიდან კი ჩანდა. რომ პურის ნაკლებობის მიზეზი. იგივე მმართველობა იყო. რუსთა ჯარისათვის პურის შეძენა ლაშქრის სასურსათო უწყების საქმე იყო. ამ უწყებაშიც. ისევე როგორც სხვაგან. მიხვეჭა-მექრთამეობა ბუდობდა. სასურსათო უწყების მოხელე და პურის შესყიდვის რწმუნებული შეთქმული ბანდიტები იყვნენ. ადგილზე კაპიტან-ისპრავნიკის მხარის დაჭერით ისინი გლეხს პურში იმ დაბალ ფასსაც კი არ უხდიდნენ, მმართველობა რომ ნებისმიერად აწესებდა. და. სადაც გაუდიოდათ. ძალად ართმევდნენ. პურის მწარმოებელი ჩანაგდებოდა. ხოლო პროვიანტის მოხელე-კომისიონერები სუქდებოდნენ. გლეხს პურის წარმოების ხალისი ეკარგებოდა და ქვეყნის სამეურნეო განვითარება ფერხდებოდა.

თავადების ეს მოთხოვნანი რომან ბაგრატიონმა პეტრეს. გადასცა. პეტრემ კი ისინი ხელმწიფეს მიართვა. ხელშესახები რამე

შედეგი ამ გამოსვლას არ მოყოლია. ყველაფერი ძველებურადვე დარჩა. თავადების მთელი ეს საქმე კი ახლად დანიშნულ მთავარმართებელს ცნობად გამოუგზავნეს.

**მთავარმართებელი გუდოვიჩი. 1806 წლის ომი.** 1806 წლის ორ ივნისს საქართველოს მთავარმართებლად გუდოვიჩი დაინიშნა.

მაგრამ ჯერ კიდევ გუდოვიჩის დანიშვნამდე სპარსელთა ჯარი ამიერკავკასიაში შემოვიდა. სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა ყარაბაღში შემოიჭრა და შუშას მოუახლოვდა. იბრეიმ-ხან ყარაბაღელს მტრის მომხრეობა შეაჩნდა. რუს მეციხოვნეების უფროსმა ლისანევიჩმა იბრეიმ-ხანის დაპატიმრება სცადა. ამ საქმის დროს, ხანი მოკლულ იქნა. ამავე დროს რუსთა ჯარის სარდალმა გენერალმა ნებოლსინმა აბას-მირზა დაამარცხა. უკანასკნელი უკუ იქცა და არაზის პირად დადგა.

**ალექსანდრე ბატონიშვილი შამშადილოში.** ვიდრე ყარაბაღში ეს ამბები იყო, ალექსანდრე ბატონიშვილი 7000 სპარსელით შამშადილოში შემოიჭრა. აქეთკენვე მოდიოდა სპარსელთა მეორე რაზმიც ხუსეინი ყული-ხანის სარდლობით. სპარსელთა ეს ჯარები ყარაბაღიდან აბას-მირზას მოსვლას ელოდნენ, რათა შეერთებული ძალით საქართველოში შემოჭრილიყვნენ. ამასობაში მოწინააღმდეგენი ურთიერთის დასუსტებას ცდილობდნენ. სპარსელები მაჰმადიანური მოსახლეობის აჯანყებას აპირებდნენ, საქართველოს რუსული მმართველობა კი ალექსანდრე ბატონიშვილის ხელში ჩავდებას ცდილობდა. ამ მიზნით ყაზახის მოურავი ბებუთაშვილი ალექსანდრე ბატონიშვილთან ვითომცდა საიდუმლო მიმოწერას აწარმოებდა და, როგორც ერთგული ყმა, თავის ხელმწიფის (ერეკლე მეფის) შვილს საქართველოში მოსვლას ურჩევდა. ალექსანდრე ბატონიშვილი მოლაპარაკებას არ გაურბოდა და შემორიგების პირობად სამ რასმე მოითხოვდა: რომ მის მხლებელ ქართველებს აგრეთვე შემორიგებოდნენ და არ დასჯიდნენ, რომ ბატონიშვილს საქართველოში დასტოვებდნენ და რუსეთში არ გადაასახლებდნენ, რომ მას ხელმწიფესთან თხოვნით უშუალოდ მიმართვის საშუალებას მისცემდნენ. საქართველოს რუსული მმართველობისათვის ეს პირობები მიუღებელი აღმოჩნდა და ალექსანდრე ბატონიშვილის შემორიგება არ მოხდა.

აბას-მირზას დამარცხება-უკუქცევის შემდეგ შამშადილოში დაბანაკებული სპარსელთა ჯარის მდგომარეობა სახიფათო შეიქმნა.

რუსთა ჯარის სარდლობა შეეცადა ალექსანდრე ბატონიშვილი მოლაპარაკებით შეექცია, ხოლო ამასობაში მის რაზმს გარს შემორტყმოდა. მაგრამ მებრძოლი ბატონიშვილი გამოცდილი და ფხიზელი მეომარი იყო. მან საფრთხე დროზე შეამჩნია, უკუიქცა და ერევანს შეეფარა.

**გლაზენაპის ლაშქრობა დარუბანდ-ბაქოზე.** ჯერ კიდევ სპარსელებთან ომი იყო, როცა იმიერკავკასიიდან რუსთა ჯარი გენერალ გლაზენაპის სარდლობით დარუბანდზე წამოვიდა. დაღისტნის მფლობელმა შამხალმა რუსთა მხარე დაიჭირა და მათ მიერ დარუბანდის დაპყრობას ხელი შეუწყო. დარუბანდის ხანი შიხ-ალი ყუბას გაიქცა. ლაშქარს თავს უყრიდა, სპარსელებს შველად იწვევდა და თავისი მოკავშირის სურხაი-ხან ყაზიყუმუხელის გამოსვლას ელოდა. დარუბანდის სახანო ხელმწიფემ შამხალს უწყალობა.

**აბას-მირზას უკუქცევა. ბაქოს შემოერთება.** ამასობაში არაზს გაღმა გასული აბას-მირზა შემობრუნდა და შარვანის სახანოში შემოვიდა. შარვანის ხანი მუსტაფა აბას-მირზას არ მიუვიდა და საქართველოს მთავარმართებელს დახმარება სთხოვა. რუსთა ჯარი გენერალ ნებოლსინის სარდლობით აბას-მირზას შესახვედრად შარვანს გაემართა. აბას-მირზამ ბრძოლა არ მიიღო და სწრაფად უკუიქცა. ამის გამო სურხაი-ხანი მთებიდან აღარ გამოვიდა და ვერც შიხ-ალი ხანმა გაბედა დარუბანდაზე გალაშქრება. მაშინ რუსთა ჯარი გენერალი ბულგაკოვის სარდლობით დარუბანდიდან ბაქოზე წამოვიდა. ბაქოს ხანი გაიქცა და 3 ოქტომბერს 1806 წელს ბაქო რუსთა ჯარმა დაიკავა. ბაქოს სახანო გააუქმეს და ქვეყნის მმართველობა მეფის რუს სამხედრო მოხელეს ჩააბარეს.

ეხლა, რაკი სპარსელები უკუქცეული იყვნენ, საქართველოს მთავარმართებელს საშუალება ეძლეოდა უკუმდგარი სელიმ-ხან შაქელი დაესაჯა და აჯანყებული ჭარ-ბელაქანი მორჩილებაში მოეყვანა.

**შაქის ხანის განდევნა.** გენერალი ნებოლსინი 1806 წლის ოქტომბერში შაქში შევიდა. სელიმ-ხან შაქელი ამ წლის გაზაფხულს სხვა ხანებთან ერთად გამდგარიყო. რუსთა რაზმი შაქიდან გაეძევებინა და სპარსელთათვის ეხმო. 22 ოქტომბერს ნებოლსინმა დაამარცხა სელიმ-ხანი და განდევნა ის. მთავარმართებელმა შაქის ხანად დაადგინა არაზს იქიდან ლტოლვილი ჯაფარ-ყული, ხოის ყოფილი ხანი.

**ორბელიანის ლაშქრობა ჭარში.** ამავე დროს გენერალ ორბელიანს ჭარში ლაშქრობა და ლეკთა დამორჩილება ებრძანა.

ლეკთა საკითხი იმთავითვე განსაკუთრებული სიმწვავით იდგა საქართველოს რუსული მმართველობის წინაშე. ეს სიმწვავე არც ეხლა ნელდებოდა და ლეკები ამიერკავკასიაში რუსთა მფლობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა მნიშვნელოვან ძალად რჩებოდნენ. ლეკები იყვნენ იმედი და დასაყრდენი ყველა გამდგარ-აჯანყებულისა, იგინივე იყვნენ მონაწილენი ყველა რბევა-აოხრებისა. ხანები, ფაშები, თვით ყაენი და სულტანიც კი დიდად აფასებდნენ ამ ძალას და რუსთა წინააღმდეგ ბრძოლაში ლეკთა მხარის დაჭერით მარჯვედ სარგებლობდნენ. აუცილებელი იყო ამ ძალის გატეხა, მაგრამ საქართველოს რუსული მმართველობა ჩქარა დარწმუნდა, რომ ლეკთა საკითხი ერთი უმძიმესთაგანი იყო იმ საკითხთა შორის, მის წინაშე რომ გადასაჭრელად იდგა.

საუკუნეთა მანძილზე, გვიანფეოდალურ ხანაში, ამიერკავკასიის ბარის დაცემა-დასუსტების დროს, დაღისტანი თანდათან საშიშ განმანადგურებელ ძალად იქცა. ის თანდათან გაექცა ბარის გავლენას და მთელი თავისი პირველყოფილი ძალით „შეტევაზე“ გადმოვიდა. ეს კი ბარის საბოლოო განადგურების რეალურ საფრთხეს მოასწავებდა. თავის განვითარებაში შეფერხებული, დასუსტებული ბარი საჭირო წინააღმდეგობას ვერ უწევს მთიელებს და „ლეკი“ თანდათან უბატონდება მას. თითქმის მთელი ამიერკავკასია, და, პირველ თავში, საქართველო, „ლეკთა“ სათარეშოდ იქცა. ბარის ქვეყნების რბევის საკითხში გაერთიანდნენ დაღისტნური ტომები. ამ თავისებური, პირველყოფილი, „მეურნეობით“ ლეკები გაძლიერდნენ, მომრავლდნენ ისე, რომ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ისინი კავკასიაში წარმოადგენდნენ ყველაზე მნიშვნელოვან ძალას. ნურსალ ბეგის ლაშქრობანი, ჭარ-ბელაქნის გაჩენა, გავაზის მხარეს შემოტევა ან ქიზიყის და შიგნით კახეთის დაჭერის ცდა XVIII საუკუნის 20-იან წლებში, ყველა ეს ისეთი ხასიათის მოვლენები ჩანდა, რომ საფრთხე „ლეკთა“ მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაჭერისა რეალურად იდგა.

ერეკლე მეორემ თავისი უმაგალითო ბრძოლით იხსნა საქართველო ამ საფრთხისაგან.

მაგრამ საქართველოში რუსთა მფლობელობის გაჩენის შემდეგაც არ აუღიათ „ლეკებს“ ხელი „შეტევისაგან“ (ქვეყნების რბევისაგან). მშვიდობიანი ცხოვრება მათ ეხლა არც ეხერხებოდათ და

დაუფარავად აცხადებდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ ხელი აიღონ ქვეყნების რბევისაგან. ეს მთიელები, როგორც ჩანს, ასეთ „უპირატესობას“ საუკუნეთა მანძილზე ბრძოლით მოპოვებულ „უფლებად“ სთვლიდნენ. მართლაც ქვეყნების რბევა და ტყვის სყიდვა ლეკური „მეურნეობის“ ერთი უმთავრესი დარგი იყო, რომლისაგანაც დიდად იყო დამოკიდებული ლეკთა მატერიალური კეთილდღეობა, მათი ძალა და მნიშვნელობა.

* * *

8 ნოემბერს გენერალი ორბელიანი ალაზანს გაღმა გავიდა და სოფელი კატეხი აიღო. ჭარში სალაშქროდ ორბელიანს რუსთა ჯარს გარდა 2000 კაცისაგან შემდგარი ქართველ მხედართა რაზმი ახლდა, ჭარ-ბელაქნელებს 10000 დაღისტნელი „ლეკი“ დამხმარედ მოსვლოდათ: ავარიელნი, ყაზიყუმუხელნი. ორბელიანი მიადგა ჭარს, რომელიც ლეკებს გაემაგრებინათ. მოწინააღმდეგეთა შორის მოლაპარაკება გაიმართა. სურხაი-ხან ყაზიყუმუხელი ჭარ-ბელაქნელების საქმეს ლეკთა საერთო საქმედ აცხადებდა, რომლისთვისაც ხელის გამოღება მას საკუთარ ვალად მიაჩნდა. ხანი რუს-ქართველთა ჯარის უკუქცევას მოითხოვდა. მაგრამ ლეკთა სიმტკიცე ახმედ-ხან ავარიელის საქციელმა გატეხა. რუსეთის მთავრობამ ახმედ-ხანს აღუთქვა ის ჯამაგირი, რომელიც მამამის ომარ-ხანს ეძლეოდა, ვიდრე ციციანოვმა არ შეუწყვიტა. ამის შემდეგ ახმედ-ხანი თავისი ავარიელებით უკუიქცა დაღისტანს. რაკი მოკავშირე გამოეცალათ, ჭარ-ბელაქნელები ზავის გუნებაზე დადგნენ.

საქართველოს რუსულმა მმართველობამ დაინახა მთელი ამ წლების მანძილზე, რომ ჭარ-ბელაქნელთა საკითხი უშუალო კავშირშია დაღისტნის დამორჩილების საქმესთან. ამიტომაც, ვიდრე საამისო ძალა არა ჰქონდა, ის ერიდებოდა რეპრესიული ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ და საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტას სჯერდებოდა. ეხლაც ორბელიანმა ლეკებს შეღავათიანი პირობები დაუდვა. ჭარ-ბელაქნელებმა ხარკი გადაიხადეს, პირობა დასდეს, რომ საქართველოში აღარ ითარეშებენ და არც ვინმეს მათი მხარიდან ათარეშებენ, ტყვე ქართველები გაათავისუფლეს, მძევლები გამოგზავნეს და იმისი პირობაც დასდეს, რომ ჭარ-ბელაქნის ქართულ მოსახლეობას აღარ შეავიწროვებენ და მათ გამაჰმადიანებას არ დააძალებენ.

**სპარსელთა 1806 წლის შემოტევის შედეგები.** ამრიგად, სპარსელთა 1806 წლის ეს მორიგი „შემოტევაც“ უშედეგო აღმოჩნდა.

რუსთა მცირერიცხოვანმა მხედრობამ ის ადვილად მოიგერია. კიდევ მეტი, რუს მხედრობას შესაძლებლად მიაჩნდა იმავე წელს ელაშქრნა ერევანზე და მისი დაპყრობის იმედიც ჰქონდა. მაგრამ ამ საქმის წამოწყებას ხელი შეუშალა რუსეთ-ოსმალეთს შორის დამოკიდებულების გართულებამ.

**რუსეთ-ოსმალეთის დამოკიდებულება.** 1791 წლის იასის ზავის შემდეგ რუსეთ-ოსმალეთს შორის დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა. ამის მიზეზი ორივე ამ სახელმწიფოს რევოლუციურ საფრანგეთთან მტრული დამოკიდებულება იყო. 1798 წელს ოსმალეთ-რუსეთს შორის დადებულ იქნა სამხედრო თავდაცვითი კავშირი საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელსაც ამ დროს ოსმალეთის სამფლობელო ეგვიპტე დაეპყრა. ამ კავშირს რუსეთი თავისთვის მეტად სასარგებლოდ სთვლიდა და, რაც გაეწყობოდა, მის შენარჩუნებას ცდილობდა. 1805 წელს ეს კავშირი კიდევაც განაახლეს. ნაპოლეონი, ბუნებრივია, ამ კავშირის მოშლას და ოსმალეთში საფრანგეთის ძველი გავლენის აღდგენას ყოველი ღონით ცდილობდა. საფრანგეთის დამპყრობელობით შეშინებული ოსმალეთი კი ფრთხილობდა და ნაპოლეონის მცდელობა უნაყოფო რჩებოდა. მაგრამ 1805 წლის ნაპოლეონის სამხედრო გამარჯვებებმა ევროპაში სხვა გუნებაზე დააყენა ოსმალეთი. სელიმ სულტანმა ნაპოლეონი იცნო საფრანგეთის იმპერატორად და მასთან „მეგობრული" მიმოწერა გააბა. ოსმალეთის კარი თანდათან ნაპოლეონის ელჩის გენერალ სებასტიანის გავლენის ქვეშ მოექცა. სებასტიანი დიდხანს არწმუნებდა სულტანს, რომ ნაპოლეონი მისი კეთილის მსურველია, სთავაზობდა საფრანგეთ-სპარსეთ-ოსმალეთის კავშირს ინგლის-რუსეთის წინააღმდეგ, ურჩევდა დარდანელის სრუტის ჩაკეტვას ინგლის-რუსეთის გემებისათვის, აიმედებდა რომ საფრანგეთთან კავშირში ოსმალეთი შეძლებს დაიბრუნოს ყირიმი, ბესარაბია და განდევნოს რუსეთი ამიერკავკასიიდან. ამავე დროს სულტანს მრავლად მოუვიდნენ ნაპოლეონისაგან სამხედრო საქმის სპეციალისტები ოსმალთა ჯარის რეორგანიზაციისათვის.

**რუსეთ-ოსმალეთის ომი.** ბოლოს სულტანმა გაბედა და 1806 წლის 18 დეკემბერს ომი გამოუცხადა რუსეთს, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ელჩიც გაგზავნა ნაპოლეონთან კავშირის შესაკვრელად.

რუსეთის მთავრობისათვის ეხლა უკვე ზავი სპარსეთთან მეტისმეტად საჭირო საქმე იყო და გუდოვიჩსაც შესაფერისი ბრძანება

მოუვიდა პეტერბურგიდან. ამავე დროს ოსმალთა წინააღმდეგ გადაწყვეტილი იყო შეტევითი ომის წარმოება მათი განდევნის მიზნით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ციხეებიდან: ანაპიდან, სოხუმიდან, ანაკლიიდან, ფოთიდან, ბათომიდან, გონიოდან.

მაგრამ მძიმე ის იყო, რომ სპარსეთი ზავს არ თანხმდებოდა. ის რუსთა ჯარისაგან საქართველოს დაცლას მოითხოვდა, ხოლო რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიიდან ფეხს არ იცვლიდა.

1806 წლის ზაფხულიდან სპარსეთში ნაპოლეონის ელჩი ჟობერი საქმობდა. მისი მთავარი ცდა ის იყო, რომ სპარსეთი ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა. შაჰის კარზე ამ დროს სპარსელ დიდებულთა შორის ორი დასი იყო. ერთი ინგლისთან კავშირს მომხრეობდა, მეორე საფრანგეთს ირჩევდა. ნაპოლეონის დაპირებებით მოხიბლული შაჰი უფრო საფრანგეთის მხარეზე იხრებოდა. ჟობერს წარმატება ხვდა. 1807 წელს შაჰმა ელჩობა მიავლინა მირზა რიზა-ხანის მეთაურობით ნაპოლეონთან სამხედრო კავშირის გასაფორმებლად. მეორე მხრით შაჰმა ოსმალეთს კავკასიაში რუსთა ჯარის წინააღმდეგ საერთო მოქმედება შესთავაზა. შეთანხმება მოხდა და მოწოდება-პროკლამაციები შაჰისა და სულტანის სახელით მოეფინა იმიერისა თუ ამიერკავკასიის ხალხებს. უკვე 1807 წლის დასაწყისში კავკასია ისევ ღელავდა და გაზაფხულზევე დიდი ომის მოლოდინში იყო. ჯერ ისევ რვა თებერვალს ოსმალთა დესანტი ყულევს დაეცა, მაგრამ უკუქცეულ იქნა.

რაკი სპარსეთთან ზავის დადება არ მოხერხდა, გუდოვიჩმა მის წინააღმდეგ თავდაცვითი ომის წარმოება გადაწყვიტა, რათა მთავარი ძალები ოსმალთა წინააღმდეგ შეტევით ომში გამოეყვანა.

გუდოვიჩმა ოსმალებს სამი მიმართულებით შეუტია. გენერალი ნესვეტაევი ყარსზე წავიდა, თვით გუდოვიჩი წალკის გზით ახალციხის საფაშოზე გაემართა, ქუთაისში მდგომ გენერალ რიკჰოფს კი ფოთზე მისვლა ებრძანა.

**ბრძოლა ყარსის საფაშოში.** ყარსის ციხე მეტად გამაგრებული აღმოჩნდა და ნესვეტაევმა მისი იერიში ვერ გაბედა. უკუეცალა და ყარსის სოფლებში პურის შეგროვება იწყო.

**ბრძოლა ახალქალაქთან.** გუდოვიჩი ახალქალაქის ციხეს შემოერტყა და 9 მაისს ღამით იერიში მიიტანა, მაგრამ დიდი ზარალი ნახა. ციხე ვერ აიღო და წალკასვე უკუიქცა.

**ბრძოლა ფოთთან.** ამავე დროს გენერალი რიკჰოფი ქუთაისიდან ფოთისაკენ წავიდა და ამ ციხეს ალყად შემოადგა. ციხეს იერიში არ უხერხდებოდა და რიკჰოფმა ხანგრძლივი ალყის გეგმა მიიღო. ამასობაში ოსმალებმა მეშველი ჯარი გამოგზავნეს, რომელიც ბათომს მოვიდა. ამით ოსმალები რუსთა მოალყე ჯარს გარემოცვას უპირებდნენ. რიკჰოფმა საფრთხე იგრძნო, ციხეს მოეცალა და ყულევ-ჭალადიდს დადგა. აქ მას წალკიდან გუდოვიჩის ბრძანება მოუვიდა, რათა ქუთაისს დაბრუნებულიყო.

**ბრძოლა გუმბრთან.** რუსთა ჯარის ამ წარუმატებლობამ თურქები გაამხნევა. ოსმალთა სერასკერი ყარსის მიმართულებით შეტევაზე გადმოვიდა. ნესვეტაევი ყარსის საფაშოდან გამოვიდა, გუმბრს (ლენინაკანი) გამაგრდა და მტრის მოძალებულ იერიშებს მხნედ იგერიებდა. ნესვეტაევის მისაშველებლად თვით გუდოვიჩი წავიდა. აქ 17 ივლისს გადამწყვეტი ომი მოხდა. ოსმალები დამარცხდნენ და გამარჯვების მოქადული სერასკერი უკუიქცა და ყარსში ჩაიკეტა.

ამ ომში სპარსეთმა მონაწილეობის მიღებაც კი ვერ მოასწრო. როცა აბას-მირზა სპარსელთა ჯარით გუმბრს მოუახლოვდა, რათა ოსმალთა სერასკერს მიშველებოდა, მან შეიტყო, რომ მოკავშირე უკვე დამარცხებულიყო. აბას-მირზამ გაცლა ამჯობინა და მშვიდობიანად სპარსეთს დაბრუნდა.

**ფინკენშტეინის ხელშეკრულება.** სწორედ ამ ხანებში, როცა ამიერკავკასიაში ომი იყო გაჩაღებული, ევროპაში ფ ი ნ კ ე ნ-შ ტ ე ი ნ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე შ ი 4 მაისს 1807 წელს საიდუმლო ხელშეკრულება დაიდო ნაპოლეონსა და სპარსეთის შაჰს შორის. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი საქართველოს შეეხებოდა. საფრანგეთის იმპერატორი ცნობდა შაჰის „უფლებას" საქართველოზე და ივალებდა ყოველი ღონე ეხმარა, რათა აეძულებინა რუსეთი, რომ ამ ქვეყნიდან გასულიყო. სხვა მუხლის თანახმად ნაპოლეონი მიაწვდიდა სპარსეთს თოფებს, ზარბაზნებს, ინსტრუქტორ-ინჟინერებს. შაჰი კი მოვალე იყო ინგლისელებისთვისაც ომი გამოეცხადებინა და ინდოეთს სალაშქროდ მომზადებულიყო.

ამ ხელშეკრულების შესაბამისად იყო, რომ ნაპოლეონმა სპარსეთში სამოღვაწეოდ გაგზავნა 150 კაცისაგან შემდგარი მისია გენერალი გარდანის მეთაურობით, რომელიც თეირანს ჩავიდა 24 დეკემბერს 1807 წელს. მისიაში მრავლად იყვნენ მაღალკვალიფიციუ-

რი დიპლომატები, სამხედრო საქმის სპეციალისტები. ტექნიკოს-ინჟენერები, მეცნიერები. მისვლის უმალვე ამ მისიამ ფრიად ინტენსიური მოქმედება გააჩაღა და დიდი გავლენაც მოიპოვა.

**ტილზიტის ზავი.** ამავე ხანებში ასეთივე აასიათის ხელშეკრულება მზადდებოდა ოსმალეთთან, რომელსაც ნაპოლეონი, მოლდავია, ვალახია, ბესარაბია, ყირიმს და საქართველოს აღუთქვამდა. შემდეგ ამას უნდა მოჰყოლოდა ოსმალეთ-საფრანგეთ-სპარსეთის კავშირი ინგლის-რუსეთის წინააღმდეგ. მოსალოდნელი იყო, რომ კავკასიაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს,1807 წლის 9 ივლისს, ნაპოლეონსა და ალექსანდრე ხელმწიფეს შორის ზავი დაიდვა (ტ ი ლ ზ ი ტ ი ს ზავი), რომელმაც პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა ახლოაღმოსავლეთშიაც სულ ერთიანად შეცვალა.

ტილზიტის ზავის თანახმად საფრანგეთი და რუსეთი ურთიერთის მოკავშირენი ხდებოდნენ. ამ ძლიერი მოკავშირის შეძენის მიზნით ნაპოლეონმა ადვილად გასწირა ოსმალეთი. ტილზიტის ზავის თანახმად ნაპოლეონი რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავის მოსაშუალედ გამოდიოდა, ხოლო ამავე ხელშეკრულების საიდუმლო მუხლით ისიც გათვალისწინებული იყო, რომ, თუ ოსმალეთი ნაპოლეონის მოსაშუალეობას არ დასჯერდებოდა და რუსეთს ზავით არ შეეკვრებოდა, მაშინ რუსეთ-საფრანგეთი საკითხს დასვამდნენ ოსმალეთის ურთიერთ შორის განაწილების შესახებ. საქმე აქამდე არ მივიდა და ნაპოლეონის მოციქულის მონაწილეობით 24 აგვისტოს 1807 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო.

ამ ზავის შესახებ ამიერკავკასიაში მოქმედ მოწინააღმდეგეთაც აცნობეს და 2 სექტემბერს საქართველოს მთავარმართებელსა და ოსმალთა სერასკერს შორის დაზავება მოხდა.

**რუსეთ-ოსმალეთის ომი და სოლომონ მეფე.** ვიდრე რუსეთსა და ოსმალეთს შორის ეს ომი მიმდინარეობდა, სოლომონ იმერეთის მეფესა და საქართველოს რუსული მმართველობის შორის ურთიერთობა კიდევ უფრო წახდა. ომთან დაკავშირებით სოლომონ მეფეს იმედები ეძლეოდა, რომ ის რუსხელმწიფის ქვეშევრდომობას თავს დააღწევდა და დამოუკიდებლობას აღიდგენდა. ჯერ კიდევ ომის მოლოდინში სოლომონმა უმატა დიპლომატიურ აქტივობას ოსმალთა ფაშებთან, ალექსანდრე ბატონიშვილ-

თან. როცა, შემდეგ, 1807 წლის 27 აპრილს გენერალი რიკჰოფი ფოთზე სალაშქროდ წავიდა, სოლომონ მეფე ქუთაისს დაბრუნდა და აქ დარჩენილი რუსთა მცირე რაზმის ქალაქიდან გაყვანა მოითხოვა.

სოლომონი ფრთხილი პოლიტიკოსი იყო. მას ოსმალთა მკვეხარაობისა არა სწამდა, მათი მოწოდების მიუხედავად გადაჭრილ ნაბიჯს არა სდგამდა და მოვლენათა განვითარებას უცდიდა. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი მეფის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას მოითხოვდა. გუდოვიჩიც სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებას ჯერ კიდევ კავკასიაში გამომგზავრებისასვე ითვალისწინებდა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა, რათა ეს აქტი ისეთ ფორმებში შესრულებულიყო, რომ მას უსამართლობა-ნაძალადევობის სახე არ ჰქონოდა. სოლომონ მეფე კი ორგულობის აშკარა საბუთს არ იძლეოდა. ხოლო მეფის უმიზეზოდ გადაგდებას და ისიც ამ ომის დროს შეიძლება მეტად არასასურველი შედეგები მოყოლოდა.

როცა ფოთთან გაწბილებული რიკჰოფი ქუთაისს დაბრუნდა,— სოლომონი ისევ საჯავახოს გავიდა და სოფელ მუხაღრუას დადგა.

ეხლა იმერეთის მეფის ბედი გადაწყვეტილი იყო და ამოცანა იმაში მდგომარეობდა, თუ როდის და როგორ იქნებოდა უფრო მოსახერხებელი იმერეთის სამეფოს ლიკვიდაცია.

სოლომონ მეფე საქმეს საბოლოოდ წაგებულად არ სთვლიდა და თავის გადასარჩენად საგარეო თუ საშინაო ხასიათის ოსტატურ ზომებს მიმართავდა. საქართველოს რუსული მმართველობა განაზრახის სისრულეში მოყვანას იმერეთის თავადების მოსყიდვით აპირებდა, მაგრამ, მიუხედავად დიდი ხარჯისა, ამ მხრით წარმატება მცირე იყო. „ერთგულთა“ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმერეთის მეფის სახლთუხუცესი თავადი ზურაბ წერეთელი. ზურაბი იმერეთში უძლიერესი ფეოდალი იყო. მოყვრობა-ნათესაობით თუ სხვაგვარი „მოკიდებით“ ზურაბი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ფეოდალურ სახლებთან და იმედი ჰქონდა, რომ, თუ საქართველოს რუსული მმართველობა კი ისურვებდა, იმერეთის ტახტზე სოლომონ მეფეს ის ადვილად შეცვლიდა. და ეხლა, როცა იმერეთის მეფესა და რუსულ მმართველობას შორის ურთიერთობა საბოლოოდ წახდა, პატივმოყვარე თავადმა ფრთხილად აცნობა გუდოვიჩს თავისი განაზრახი.

მაგრამ ასეთი რამ იმერეთის რუსულ გეგმებს არ ეთანხმებოდა, ხოლო იმერეთში რუსული მმართველობის შემოტანის მომხრე ზურაბ წერეთელი არ იყო.

**იმერეთის სამეფოს გაუქმების პროექტი.** ამ ხანებში (1808 წლის 10 თებერვლის თარიღით) გუდოვიჩს ალექსანდრე ხელმწიფის საიდუმლო ბრძანება მოუვიდა, რათა იმერეთის მეფე სოლომონ ოჯახით და ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე რუსეთს გადაასახლონ, სადაც ისინი ისეთივე პენსიონს მიიღებენ, როგორც სხვა ქართველი ბატონიშვილები იღებდნენ. იმერეთში კი რუსეთის მომხრე თავადებისაგან შედგება საბჭო „იმერეთის დროებითი მმართველობა". საბჭოს რუსი ოფიცერი უხელმძღვანელებს.

ამ საბჭოში პირველ კაცობა ზურაბ წერეთელს შესთავაზეს პოლკოვნიკის ჩინითა და 1200 მანეთი წლიური ჯამაგირით. ასევე წყალობას პირდებოდნენ სხვა თავადებსაც.

ეს პროექტი ამ ჯერად განუხორციელებელი დარჩა, რადგან სოლომონ მეფეს ძლიერი მომხრეები ჰყავდა. ჯერ არც საბოლოო ზავი იყო და რუსეთ-ოსმალეთს შორის დასავლეთ საქართველოს საკითხი საცილობელი რჩებოდა. სოლომონ მეფე ამ საქმის კურსში იყო. ასეთ ვითარებაში გუდოვიჩმა ვერ გაბედა გადამჭრელი ზომების მიღება და იმერეთის საქმის გადაწყვეტა უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადასდო.

**გუდოვიჩის სპარსული გეგმები.** ოსმალეთთან დროებითი ზავი გუდოვიჩმა იმისთვის გამოიყენა, რათა სპარსეთი, ნებით თუ ძალით, ზავზე დაეყოლიებინა. მან საამისო წერილები მიწერა შაჰს, აბას-მირზას, და გენერალ გარდანს. გუდოვიჩის საზავო პირობები სპარსეთისათვის მიუღებელი იყო: ამ პირობების თანახმად მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია რუსეთის სამფლობელოდ იგულისხმებოდა. ნაპოლეონის ელჩი გარდანი უხერხულ მდგომარეობაში იყო. ტილზიტის ზავით რუსეთი საფრანგეთის მოკავშირე გახდა და 1808 წელს ინგლისს ომიც გამოუცხადა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში საფრანგეთი რუსეთის უსიამოვნოს უნდა მორიდებოდა. ფინკენშტეინის ხელშეკრულებით კი საფრანგეთს ინგლისის წინააღმდეგ სპარსეთიც გამოჰყავდა. ამის სამაგიეროდ ნაპოლეონი კისრულობდა რომ უზრუნველყოფდა სპარსეთის შაჰის უფლების დამყარებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. ეს კი ამ ქვეყნებიდან რუსეთის გაძევებას ნიშნავდა. ამ შეურიგებელი წინააღმდეგობის გადალახვას გარდანი იმით ცდილობდა, რომ სპარსეთსა და რუსეთს შორის ზავის მოსაშუალეობას იჩემებდა. მაგრამ მოწინააღმდეგენი ისეთ პოზიციებზე იდგნენ, რომ მათი მორიგება არ ხერხდებოდა. გარდანი ოსტატურად

შეეცადა სპარსეთ-რუსეთის ზავის საქმე გადასაწყვეტად პარიზში გადატანილიყო და იქ „სამი იმპერიის კავშირი“ დადებულიყო. მაგრამ რუსეთმა არ ისურვა ამ საქმეში ნაპოლეონის ჩარევა და ალექსანდრე ხელმწიფემ გუდოვიჩს ომის განახლება უბრძანა, თუ შაჰი რუსეთის მიერ წარდგენილ საზავო პირობებს არ მიიღებდა.

**ლაშქრობა ნახჭავანსა და ერევანზე.** გუდოვიჩმა ერთხელ კიდევ სცადა, რომ სპარსეთი საზავო მოლაპარაკებაზე დაეყოლიებინა თბილისში და, რაკი არ მოხერხდა, ომის დაწყება გადაწყვიტა. 1808 წლის შემოდგომაზე გენერალი ნებოლსინი ყარაბაღიდან ნახჭავანზე წავიდა, ხოლო თითონ გუდოვიჩი ბამბაკიდან ერევანზე გაემართა. 3 ოქტომბერს გუდოვიჩი რუს-ქართველთა ჯარით ერევანს შემოადგა, ხოლო 1 ნოემბერს ნებოლსინმა აბას-მირზა დაამარცხა და ნახჭავანი აიღო. გენერალი გარდანი ბევრს ეცადა, რომ საომარი მოქმედება შეწყვეტილიყო. მან გუდოვიჩს მოციქული მიუგზავნა და მას ერევნის სახანოდან გასვლა მოსთხოვა, ჩემმა ხელმწიფემ შაჰს მისი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა აღუთქვაო. გუდოვიჩმა გარდანის მოთხოვნილებას ანგარიში არ გაუწია და ერევნის ალყა განაგრძო. ბოლოს 17 ნოემბერს გუდოვიჩი იერიშით მივიდა ერევნის ციხეზე, მაგრამ ვერ აიღო და მალე, დიდად დაზარალებული, იძულებული შეიქმნა საქართველოში უკუქცეულიყო. ნებოლსინმაც ნახჭავანი დასტოვა და ისევ ყარაბაღს დაბრუნდა.

**საფრანგეთის მისიის მარცხი სპარსეთში და ოსმალეთში.** მიუხედავად ამისა სპარსეთში საქმის უკმაყოფილონი იყვნენ. ფინკენშტეინის ხელშეკრულება არ სრულდებოდა, საქართველო ისევ რუსეთის ხელში რჩებოდა. სპარსელებმა საფრანგეთზე გული აიცრუეს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მისია დიდის ცოდნით და ენერგიით მუშაობდა. ფრანგებმა ევროპულ სამხედრო წესზე გაწრთვნეს 4000 კაცისაგან შემდგარი რაზმი, მოაწყვეს ზარბაზნების ჩამოსხმის საქმე, სამხედრო-საინჟინერო ხელოვნების წესით გაამაგრეს ციხეები, მაგრამ ყველაფერი ეს შაჰს არ აკმაყოფილებდა და უპირველეს ყოვლისა საქართველოდან რუსთა გასვლას მოითხოვდა. უამისოდ ის უარს ამბობდა ინდოეთს ლაშქრობაზე და ინგლისთან შეთანხმების სურვილსაც კი აღარ მალავდა. ძველი მტაცებელი—ეს კბილებმოცვეთილი მგელი ეხლა თურმე „სამართლიანობის“ არგუმენტსაც მიმართავდა და ამტკიცებდა, რომ ქართველ ხალხს რუსთა ბა-

ტონობა არ სურდა, რაზედაც ნაპოლეონის გენერალი მართებულად შენიშნავდა: უეჭველია მოსახლეობა უჩივის რუსთა უღელს, მაგრამ შესაძლებელია ისამ უღელს არჩევდეს შაჰის დესპოტურ უღელთან შედარებით.

ერთის სიტყვით, საფრანგეთმა რუსეთი და სპარსეთი ვერ მოარიგა. ამის მიზეზი საქართველოს საკითხი იყო. საფრანგეთის ამ მარცხით ინგლისელებმა მოხერხებულად ისარგებლეს. საქართველოს შოვნას ეხლა ისინი შეპირდნენ შაჰს და საფრანგეთის გავლენა სპარსეთში სულ ერთიანად გააქარწყლეს. 1809 წლის 12 მარტს ინგლისის წარმომადგენელმა გარფორდ ჯონსმა მოახერხა სპარსეთის შაჰთან საკავშირო ხელშეკრულების დადება. კავშირის პირობა იყო, რომ ინგლისი სპარსეთს უფასოდ მიაწოდებდა იარაღს და ყოველწლიურად ორ მილიონ მანეთს ოქროთი—რუსეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. სპარსეთი კი კისრულობდა, რომ თავის ქვეყანაში საფრანგეთის აგენტებს არ გააჭაჭანებდა.

დამარცხებულმა საფრანგეთის მისიამ გარდანის მეთაურობით ჯერ კიდევ 13 თებერვალს დატოვა თეირანი.

ასეთივე წარმატება ხვდა ინგლისის დიპლომატიას ოსმალეთშიაც. რუსეთ-ოსმალეთის დროებითი ზავი ხანმოკლე აღმოჩნდა. საბოლოოდ ვერ მორიგდნენ. თანაც ზავის შუამავალი ნაპოლეონი სულ უფრო და უფრო რუსეთის სასარგებლოდ საქმიანობდა. ოსმალეთში აღშფოთებული იყვნენ ნაპოლეონის „ღალატით". რუსეთმა ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და დამარტოხელებულ ოსმალეთს 1808 წლის მიწურულს ულტიმატუმი წარუდგინა: ან ომი ან ზავი შემდეგი პირობით: ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა დაეთმო მოლდავია, ვალახია, უნდა ეცნო სერბიის დამოუკიდებლობა და რუსეთისად უნდა ეცნო საქართველო (ქართლ-კახეთი), იმერეთი, სამეგრელო.

აი ამ კრიტიკულ დროს ოსმალეთს კავშირი შესთავაზა ინგლისმა. შეთანხმება 1809 წლის 5 იანვარს მოხდა. ინგლისთან ამ შეთანხმებით წელმომაგრებულმა ოსმალეთმა 13 აპრილს 1809 წელს რუსეთის ულტიმატუმი უარყო და რუსეთ-ოსმალეთის ომიც განახლდა, რომელიც 1812 წლის 28 მაისამდე აღარ შეწყვეტილა.

**მთავარმართებელი ტორმასოვის დანიშვნა.** 1809 წელს 5 მარტს გაწბილებული გუდოვიჩი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და საქართველოს მთავარმართებლად გენერალი ტორმასოვი დანიშნეს.

ტორმასოვი არა ნაკლებ შევიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე მისი წინამოადგილე იყო. სპარსეთთან საზავო მოლაპარაკების საქმე წინ არ მიდიოდა, სულ წინასწარი და ბოლომოუღებელი მოციქულობა გრძელდებოდა. კარგად ჩანდა, რომ მორიგება არ მოხდებოდა. რუსეთი არა მარტო დაპყრობილი ქვეყნების შენარჩუნებას, ის ჯერ კიდევ მტრის ხელში მყოფ ოლქებსაც თავისთვის მოითხოვდა. ასეთი იყო ერევნისა და ნახჭავნის სახანოები. ალექსანდრე ხელმწიფის საამისო „საბუთი" ის იყო, რომ „ქრისტიანული ოლქები, ჩემს მფარველობას რომ ეძებენ, ამ საფარველს მოკლებული არ შეიძლება იყვნენ"-ო. ამ განცხადებაში იგულისხმებოდა სომეხი ხალხის დიდი ხნის ცდა, რათა ყიზილბაშთა ბარბაროსული ბატონობისათვის თავი დაეღწია და ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მფარველობა მოეპოვებინა.

თავისი მხრით სპარსეთიც არა ნაკლებ „უცნაურ" მოთხოვნილებას აყენებდა. შაჰი მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას თავისად სთვლიდა და რუსეთის მიერ მის დაცლას მოითხოვდა.

ინგლისის ელჩი ჯონსი, თეირანში რომ მოკალათებულიყო, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა სპარსეთსა და რუსეთს შორის ზავი არ დადებულიყო. და ეს ზავი არც შეიძლებოდა ინგლისის თანხმობის გარეშე დადებულიყო. ხელშეკრულების თანახმად ინგლისი ფულად სუბსიდიას სპარსეთს მანამ აძლევდა, ვიდრე ეს უკანასკნელი „საქართველოსათვის" რუსეთის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა. ასე რომ სპარსეთის შაჰი ინგლისის დაქირავებულ მოლაშქრის მდგომარეობაში იყო და ჯამაგირს—2 მილიონ ოქროს მანეთს—მანამ იღებდა, ვიდრე დამქირავებლის სურვილის თანახმად ომობდა.

ასე რომ საზავო მოლაპარაკების შესახებ მოციქულობა როგორც რუსეთის, ისე სპარსეთის მხრით დროის მოგების ხერხი და იყო.

ინგლისის ელჩი ჯონსი ღონეს არ ზოგავდა იმისათვის, რომ რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთ-ოსმალეთის სამხედრო კავშირი განეხორციელებინა. მართალია, ოსმალეთის მთელი გულისყური დუნაის ფრონტს ჰქონდა მიპყრობილი; ამიტომ მას საშუალება აღარა ჰქონდა ამიერკავკასიის ფრონტისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გამოეყო, მაგრამ სამაგიეროდ ოსმალეთს კავკასიის მთიელებში დიდი გავლენა ჰქონდა და რუსეთის წინააღმდეგ ამ ხალხების ამოძრავება შეეძლო. მარტო ის რად ღირდა, რომ ამ დროს კავკასიის მთიანეთში მაჰმადიანობა სწრაფად ვრცელდებოდა. ეს ფაქტი უეჭველი მოწმობა იყო რუსეთის მთავრობის პოლიტიკის უვარგისობი-

სა, მაგრამ ამავე დროს იგივე იყო მოწმობა ოსმალეთის გავლენის ზრდისაც.

**1809 წლის კამპანია.** ჯონსმა მოახერხა სპარსეთ-ოსმალეთის შეთანხმება რუსეთის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისათვის. შაჰისა და სულტანის მოწოდებები მთელს კავკასიას მოეფინა. მოწოდებებს თან ახლდა უხვად გაღებული ინგლისური ფული და კიდევ უფრო—ხმები იმის შესახებ, რომ ინგლისმა ზღვა ფული მოაყარაო. ხმები გავრცელდა აგრეთვე, რომ ინგლისის ფლოტი შავ ზღვაში შემოვიდაო.

სპარსეთის შაჰი გაზაფხულზე შემოჭრას იმუქრებოდა. ტორმასოვს თავდაცვითი ომი უნდა ეწარმოებინა, რადგან შეტევისათვის საკმაო ძალა არ გააჩნდა. სპარსელებს კი შეტევით ომში ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მათი ლაშქარი მხედრობა იყო, რუსთა ჯარი კი უპირატესად ქვეითისაგან შედგებოდა. მტერი რუსთა ჯართან პირდაპირ შებმას ერიდებოდა, დაუცველ სოფელ-ქვეყანას აოხრებდა და სწრაფად გარბოდა. რუსთა ქვეითობა მას ვერ ეწეოდა და მტერი დაუსჯელი რჩებოდა.

23 ივლისს 10000 მხედარისაგან შემდგარი რაზმი შაჰის შვილის მაჰმად ალი-ხანის მეთაურობით ბამბაკში შემოიჭრა, მაგრამ დამარცხდა და ერევანს უკუიქცა. ტორმასოვი ღმანისს დადგა იმ მიზნით, რომ პასუხის გასაცემად მზად ყოფილიყო, ოსმალეთიდან შემოიჭრებოდა მტერი, თუ სპარსეთიდან.

ამ დროს აბას-მირზა ნახჭავანის გზით განჯაზე წამოვიდა. ტორმასოვმა დროზე შეუტყო და მტერს შამქორს გაეგება. აბას-მირზამ ბრძოლა არ მიიღო და უკუიქცა. სპარსელები მცირე გუნდებად დაიყვნენ და საოხრებლად სოფლებს მოედვნენ. რუსი ქვეითობა ასეთ მტერს ეფექტიანად ვერ სდევნიდა, ხოლო საკმაო მხედრობა ტორმასოვს არ ჰყავდა.

აბას-მირზა თალიშის სახანოზე წავიდა. თალიშის ხანი რუსხელმწიფის ხელდებული იყო და ერთგულიც იყო მისი. აბას-მირზამ ხანს ქვეყანა აუოხრა, ტორმასოვი კი მას ვერ დაეხმარა.

**1809 წლის საომარი მოქმედება და ალექსანდრე ბატონიშვილი.** ვიდრე ტორმასოვი ამ გასაჭირში იყო, ალექსანდრე ბატონიშვილი „დიდი ხაზინით“ ახალციხეს მოსულიყო და მთა და ბარს რუსთა წინააღმდეგ აჯანყებაში მოუწოდებდა.

იმისათვის, რომ მუდამი აჯანყებით თავმობეზრებული და სპარსელთა საქმის წარმატებაში დაეჭვიანებული კავკასიელები დაერწმუნებინა ამ ლაშქრობათა სერიოზულობაში, ალექსანდრე ბატონიშვილმა ჯერ კიდევ თეირანიდანვე მიმართა მთიელებს წერილით, რომელშიაც მოკლედ, მაგრამ არსებითად გამოსთქვა საქართველოს საკითხის მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკაში და კერძოდ ამ საკითხის მნიშვნელობა სპარსეთისათვის. ბატონიშვილი არწმუნებს თაგაურელებს, რომ შაჰის გადაწყვეტილებაა, რათა სპარსეთის მთელი ძლიერება საქართველოს საკითხს შეალიოს. ამაში დარწმუნებული იყავითო, იმიტომ, რომ „თუ ერანის ხელმწიფე საქართველოსათვის ბრძოლას თავს დაანებებს (და მას რუსეთის ხელში დატოვებს), ის ვერც ერანში იხელმწიფებს, და არც მისცემენ ამის ნებას (რომ საქართველოსათვის დავას თავი დაანებოსო)".

ჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს კარად ესმოდა საქართველოს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც მას ამჟამად ჰქონდა, როგორც ჩრდილოეთის მხრით აღმოსავლეთში შეტევისათვის, ისე სამხრეთიდან ამ შეტევის წინააღმდეგ თავდაცვისათვის. აქ იმის ცოდნაც ჩანს, რომ საქართველოს საკითხით დაინტერესებული იყო არა მხოლოდ სპარსეთის შაჰი და რომ შაჰის ასეთი თუ ისეთი მოქმედება საქართველოს საკითხში მხოლოდ მის ნებაზე როდი იყო დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ალექსანდრემ იცოდა, რომ სპარსეთში საქართველოს საკითხს ნამდვილად შაჰი კი არა, ინგლისი დირიჟორობდა, რომელიც დაინტერესებული იყო, რათა ეს ქვეყანა რუსეთს არ დარჩენოდა.

ამავე დროს ალექსანდრე ბატონიშვილი საგანგებო წერილით მიმართავდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას. აუწყებდა, რომ მოდიოდა არა შურისძიებით, არამედ მშვიდობით და სიყვარულით; მოდიოდა იმისათვის, რათა გამოეხსნა ქვეყანა „უფლებისაგან უცხოთასა". ბატონიშვილი აღუთქვამდა ქართველ თავადაზნაურობას ძველებურ პატივს და მოუწოდებდა მათ ბაგრატიონთა სახლის სამსახურის განახლებისაკენ. ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი მოაგონებდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას, რომ მან იცოდა მათი და მათი წინაპრების პატივი და სამსახური, მაშინ როცა საქართველოს რუსულმა მმართველობამაო „არა იციან პატივისცემა თქვენი, ვერცა იცნობენ მამაპაპათა თქვენთა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებისა თქვენისა"-ო. ალექსანდრე ბატონიშვილი აქვე იგონებდა ქართველ მეფეთა ღვაწლს საქართველოზე და კერ-

ძოდ თავადაზნაურობაზე, როცა XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში თავადაზნაურთა ტყვეობიდან განთავისუფლების პირობად ნადირ-შაჰმა თეიმურაზ მეფისაგან ერეკლე ბატონიშვილი მძევლად, ხოლო მისი და ელენე თავისი ძმის წულის საცოლედ წაიყვანა; აქვე იგონებდა ის შაჰ-აბასის მიერ წამებულ ქეთევან დედოფალს.

დასასრულ, ალექსანდრე აუწყებდა ქართველ თავადაზნაურობას, რომ მას თან ახლდა არა მარტო სპარსეთის შემწეობა, არამედ თან მოჰქონდა სამი დიდი სახელმწიფოს—სპარსეთის, ოსმალეთის და ინგლისის „ძალი და ხაზინა".

ეს წერილი თავადური საქართველოს თვალსაზრისით სიმართლე იყო. ქართველი თავადი მრავალმხრივ შეურაცხყოფილი იყო რუსული მმართველობით. და ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველ თავადაზნაურობას აღუთქვამდა დაკარგული დიდებისა და პატივის აღდგენას, ესე იგი აღუთქვამდა ძველი ქართული წესწყობილების აღდგენას.

ალექსანდრე ბატონიშვილს სუბიექტურად სპარსეთისა არაფერი სწამდა: შაჰ-აბაზი, ნადირ-შაჰი თუ აღა-მაჰმად-ხანი სწორედ ის „სპარსელები" იყვნენ, საქართველოს ამოგდებისათვის რომ ძალღონეს არ ზოგავდნენ, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის ტრაგედიაც იმაში იყო, რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა და იმავე სპარსელებით ცდილობდა საქართველოს „გამოხსნას უფლებისაგან უცხოთასა", ესე იგი რუსული მმართველობისაგან განთავისუფლებას. ასე რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველი თავადისა (=შინაური უბოროტესი მტერი საქართველოსი) და სპარსეთ-ოსმალეთის (საგარეო უბოროტესი მტერი საქართველოსი) ძალით ცდილობდა სამშობლოს გამოხსნას და აღდგომას. რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, ა ს ე თ ი ა რ ი ყ ო ე რ ე კ ლ ე ს ა ნ დ ე რ ძ ი. თავადობა (სათავადოები) იყო ის, რასთან ბრძოლასაც შეელია ერეკლე მეორის მეფობა საქართველოს აღდგომისათვის საქმეში, ხოლო ერან-ოსმალეთი იყო ის, რასაც შეელია ერეკლე მეორის მეფობა, როცა ის საქართველოს გამოხსნისათვის იბრძოდა. ასე რომ ეს იყო არა ერეკლეს, არა პროგრესის გზა, არამედ გზა უკან იმავე ვითარებისაკენ (ჩიხისაკენ), რომელმაც ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობაც კი საფრთხის წინაშე დააყენა.

ალექსანდრე ბატონიშვილი დაუღალავად მუშაობდა. საქართველოში თუ კავკასიის მთიანეთში მისი აგენტები მრავლად მიმოდიოდნენ. მოწოდებებს ავრცელებდნენ, ოქროს არიგებდნენ, ხმებს არხევდნენ, ქართლ-კახეთში ხმა დავარდა, რომ ტორმასოვი ყარაბაღში სპარსელებთან ომში დაიღუპაო. საყოველთაო აჯანყება მზად-

დებოდა და ალექსანდრე ბატონიშვილიც ქართლში შემოსასვლელად ემზადებოდა.

ტორმასოვმა საფრთხე დროზე შეიტყო და სწრაფად საქართველოში დაბრუნდა. ის ქვეშს დადგა, რომ მზად ყოფილიყო, თუ ახალციხის ფაშა ქართლში შემოჭრას გაბედავდა.

მთავარმართებლის და მისი ჯარის უვნებლად დაბრუნებამ აჯანყების განწყობილება ქართლში შეანელა. ვერც ახალციხის ფაშამ გაბედა ალექსანდრეს დახმარება და ეს უკანასკნელიც იძულებული იყო აბას-მირზას კვალს შესდგომოდა და სპარსეთს წასულიყო.

ეხლა, როცა სპარსეთთან ამ წლის სამხედრო ოპერაციები ჩათავდა და რუსთა ჯარი საზამთრო ბანაკებში დაბინავდა, ტორმასოვმა დრო შესაფერისად სცნო, რათა იმერეთის სამეფოს საკითხი გადაეწყვიტა.

* * *

**იმერეთის სამეფოს ლიკვიდაციის საკითხი.** იმერეთის სამეფოს ლიკვიდაციას ჯერ კიდევ გუდოვიჩი აპირებდა 1808-1809 წლების ზამთარში. ეს საქმე მაშინ დავალებული ჰქონდა დასავლეთ საქართველოში მომქმედ რუსთა ჯარის სარდალს გენერალ რიკჰოფს. მაგრამ ეს გენერალი ისე გარდაიცვალა, რომ იმერეთის სამეფოს საქმე მას მოუგვარებელი დარჩა. გუდოვიჩმა რიკჰოფის ნაცვლად 1809 წლის 10 თებერვალს გენერალი დიმიტრი ორბელიანი დანიშნა და სოლომონ მეფის საკითხის გადაწყვეტაც მას მიანდო. საქართველოს მთავარმართებელმა გააცნო ორბელიანს ხელმწიფის საიდუმლო ბრძანება და ამის შესაფერისი სამოქმედო გეგმაც დაუსახა: გაეჭვიანებული სოლომონ იმერეთის მეფე ორბელიანმა ტკბილი სიტყვით, ცრუ შეპირებით, უმნიშვნელო სამსახურით უნდა მიინდოს და ამით მისი სიფხიზლე მოადუნოს. აგრე გულდადებული მეფე, როცა ამისათვის ხელსაყრელი დრო იქნება, ორბელიანმა უნდა შეიპყრას და სწრაფად თბილისში გაგზავნოს. მეფესთან ერთად უნდა შეპყრობილ იქნას მისი ოჯახიც და, განსაკუთრებით, ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე. მაგრამ ყველაფერი ეს ისე უნდა მოხდეს, რომ სისხლი არ დაიღვაროს. ამისათვის საჭიროა, რათა იმერელ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაში მან მეფის ორგულთა ძლიერი დასი გაიჩინოს. საამისოდ მას აქვს ფული, საჩუქრები, შეუძლია შეპირდეს იმერლებს ხელმწიფის უხვ წყალობას. ამ დასის დახმარებით მან უნდა დააწყნაროს მეფის გადაგდებით შეშფოთებული იმერეთის ხალხი და ის ახალ ვითარებას შეარიგოს.

კერძოდ, მას შეუძლია აღუთქვას იმერელ გლეხობას, რომ ხელმწიფე მათ ნახევარი წლის გადასახადებისაგან სულ გაათავისუფლებს, ხოლო ამის შემდეგ მათ მცირე ბეგარა-გამოსაღები დაევალებათ, არასოდეს გასაჭირი კარს არ მიადგებათ და ხელმწიფის კალთის ქვეშ ბედნიერებას ეწევიან. ამ რთული დავალების შესრულების საქმეში ორბელიანს შეუძლია ენდოს სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს და მასთან ერთად მოქმედების გეგმაც შეიმუშავოს.

იმერეთის სამეფოს საქმის სწრაფად მოწესრიგების აუცილებლობას რუსეთის მთავრობას ისიც უკარნახებდა, რომ ოსმალეთი დასავლეთ საქართველოზე უფლებას აცხადებდა. მართალია, ამ დროს რუსეთ-ოსმალეთს შორის ჯერ კიდევ დროებითი ზავი გრძელდებოდა, მაგრამ საბოლოო შერიგების პერსპექტივა არ ჩანდა. ომის განახლება და ამიერკავკასიაში ოსმალეთის შემოტევაც მოსალოდნელი იყო. ამ პირობებში აგრე განდგომილი ქვეშევრდომის ყოლა, როგორიც სოლომონი იყო, არ ეგებოდა.

ორბელიანი იმერეთს წავიდა, მაგრამ საქმეს წარმატების პირი არ უჩანდა. სოლომონ მეფე ვარციხეს გამაგრებულ ბანაკში იდგა. მან საკმაოდ დაყოვნებით მიიღო იქ მისული გენერალი ორბელიანი. უკანასკნელი ჩქარა დარწმუნდა, რომ სოლომონ მეფესთან ნდობის მოპოვება უიმედოა. იმერეთის მეფემ თავადებისა და უმაღლესი სამღვდელოების კრება მოიწვია, რომელმაც ორბელიანის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილებანი განიხილა. ამ კრების ნაზჲობი სოლომონმა ორბელიანს პასუხად გასცა. მეფე ქუთაისში გადასვლისა თუ სხვა მოთხოვნათა შესრულების პირობად მისთვის ლეჩხუმის დაბრუნებას და ქუთაისიდან რუსთა ჯარის გაყვანას კატეგორიულად მოითხოვდა.

ამ ხანებში გუდოვიჩი საქართველოს მთავარმართებლის თანამდებობაზე ტორმასოვმა შეცვალა და სოლომონ მეფემ ახალ მთავარმართებელთან ზურაბ წერეთელი მოციქულად გაგზავნა. მეფის ორგულმა თავადმა ტორმასოვს სოლომონის სიმტკიცის გასატეხად გაბედული ზომა ურჩია. იმერეთის თავადებს და მაღალ სამღვდელოებას სოლომონ მეფეზე ძლიერ დიდი გავლენა აქვსო. ამიტომ საკმაო იქნება მთავარმართებელმა მეფის გვერდის ავლით უშუალოდ მიმართოს ხალხს, აუწყოს მას მეფის შეუსაბამო საქციელის შესახებ ხელმწიფესთან დამოკიდებულებაში და მოუწოდოს მეფეზე ზემოქმედებისათვის. ამით მეფე შეშინდება და მორჩილებაშიც მოვაო. ტორმასოვმა ასეთი პროკლამაცია მართლაც შეადგინა და ის ორბელიანს გაუგზავნა. გენერალს ეს პროკლამაცია მაშინ უნდა გამოექვეყნებინა, თუ სოლომონი არც ტორმასოვის იმ მოთხოვნას დააკმა-

ყოფილებდა, რომელსაც საქართველოს მთავარმართებელი იმერეთის მეფეს ზურაბ წერეთლის ხელით უგზავნიდა. სოლომონისათვის მიწერილ წერილში ტორმასოვი იმერეთის მეფეს მეგობრობას უცხადებდა და „გულწრფელად“ ურჩევდა, რათა ის ქუთაისში დაბრუნებულიყო, დიდგვაროვანი თავადიშვილები ამანათად თბილისში გაეგზავნა, ხოლო პეტერბურგს ხელმწიფესთან—მადლობის დეპუტაცია, რომლის ერთ-ერთ წევრად უნდა ზურაბ წერეთელი ყოფილიყო.

სოლომონ მეფე ელაზნაურის ხელშეკრულებას ძალადობის აქტად აღიარებდა. ამდენადვე ის ხელმწიფესთან მადლობის დეპუტაციის გაგზავნას შეუძლებლად სცნობდა. იმისათვის ხომ არ უნდა გავეგზავნო მადლობის დეპუტაცია, რათა მოვახსენო ხელმწიფესო: „გმადლობთ უმდაბლესად, დიდო იმპერატორო, ვინაითგან დამამდაბლე მეფე ერთმორწმუნე და დამაკლე სამფლობელოთა ჩემთა ყოვლად უმოწყალესითა ამით ღრამოტითა“-ო. ამავე დროს სოლომონ მეფე ამ ხელშეკრულებას რუსეთის მთავრობის მხრით დარღვეულად სთვლიდა, რამდენადაც ციციანოვის ფიცის წიგნი, იმერეთის მეფეს რომ მისცა ლეჩხუმის შესახებ, შეუსრულებელი რჩებოდა. ამავე ხელშეკრულების დარღვევად მიაჩნდა სოლომონ მეფეს ისიც, რომ რუსთა ჯარი მისი სურვილის წინააღმდეგ ქუთაისში ბანაკობდა, მაგრამ ეს ტრაქტატი იმერეთის მეფისათვის მიუღებელი უმთავრესად მაინც იმით იყო, რომ ის სოლომონის სუვერენულ უფლებას არარად აქცევდა და იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფის მიერ დადგენილი მოხელის მდგომარეობამდე ჩამოჰყავდა. ამის გამო იყო, რომ სოლომონი ამ ტრაქტატის გადასინჯვას მისი დადების დღიდანვე დაჟინებით ცდილობდა.

* * *

საქართველოს მთავარმართებლის რჩევა სოლომონ მეფემ არ მიიღო. მაშინ ორბელიანმა ტორმასოვის პროკლამაცია გამოაქვეყნა, მაგრამ ამ აქტს სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა, ვიდრე ამას მისი ავტორები ვარაუდობდნენ.

მრჩეველებმა სოლომონს ტორმასოვის პროკლამაცია იმერეთის მეფის ტახტიდან ჩამოგდების განზრახვად გაასინჯეს. სოლომონმა იმერეთის ხალხს თავისთან მოუწოდა და შეყრილ 6 ათას კაცს შეეკითხა: სურთ თუ არა ის თავის მეფედ. შეყრილმა ჯარმა მეფეს შეფიცა. იმერეთს არ დასჯერდნენ და მეფის ერთგულები გურიაოდიშსაც გავიდნენ და იქაც მეფის ერთგულებაზე ხალხი მრავლად

აფიცეს. ამის შემდეგ სოლომონ მეფემ ტორმასოვს წერილი გაუგზავნა და ხელმწიფესთან მადლობის დეპუტაციის გაგზავნის პირობად ელაზნაურის ტრაქტატის შეცვლა მოითხოვა. ასეთივე წერილი მიუვიდა ტორმასოვს იმერეთის თავადაზნაურობისა და სამღვდელოების სახელით.

ტორმასოვი გაწბილდა და რჩევისათვის ისევ ზურაბ წერეთელს მიმართა. ზურაბმა ერთადერთ საშუალებად ტორმასოვს სამხედრო ძალის მოხმარება განუზრახა და თავისი მხრით არსებით დახმარებას შეპირდა: მეფეს გურიელს გაუორგულებ და რაჭასაც ჩამოვაშორებო; ამის შემდეგ სწრაფი სამხედრო ოპერაციით სოლომონს ადვილად ვიგდებთ ხელთო. ტორმასოვმა წერეთლის რჩევა მართებულად მიიჩნია და პეტერბურგიდან საამისო ნებართვა ითხოვა.

მაგრამ ამასობაში უკვე ზაფხული შემოსულიყო. საცაა სპარსეთის ჯარი ამიერკავკასიაში სამხედრო ოპერაციებს დაიწყებდა, ოსმალეთის მხრითაც შემოტევა მოსალოდნელი იყო. ასეთ პირობებში ტორმასოვი იმერეთში მოსალოდნელ სამხედრო გართულებას მოერიდა და სოლომონის საქმის გადაწყვეტა შემოდგომისათვის გადადო.

**ფოთის ომი.** 1809 წლის 17 ივლისს მთავარმართებელმა გენერალ ორბელიანს ამის შესაფერისი დავალება მისცა. ორბელიანი ყულევს უნდა წასულიყო. იქიდან აფხაზეთის საქმეებისათვის უნდა მიეხედნა და ფოთის შოვნასაც ცდილიყო. ამავე დროს ორბელიანს თვალი უნდა სჭეროდა იმერეთზედაც, სადაც ზურაბ წერეთელი და მისი მომხრეები მეფის ორგულებს გაამრავლებდნენ და სხვა მხრივაც ეცდებოდნენ, რათა შემოდგომისათვის საქმე ყოველმხრივ შემზადებულიყო.

ორბელიანი ყულევს წავიდა, ხოლო—ტორმასოვი განჯა-ყარაბაღის მხარეში სპარსელთა მორიგ შემოსევას იგერიებდა.

ოსმალეთს უმთავრესი ყურადღება ამ დროს მიქცეული ჰქონდა ბალკანეთის ფრონტისადმი, საიდანაც რუსთა ჯარი სტამბოლს ემუქრებოდა. ამიტომ ამიერკავკასიაში ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ დივერსიებით კმაყოფილდებოდა. სპარსეთთან სამხედრო შეთანხმებით, კავკასიის ხალხებში აჯანყებათა გამოწვევით ოსმალეთი ცდილობდა მტრისათვის გართულებანი შეექმნა, რომ ამ გზით აქ თავისი ნაქონევი შეენარჩუნებინა. ამიერკავკასიის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ფოთი ცენტრალური პუნქტი იყო, საიდანაც ოსმალეთი მოსაზღვრე ქვეყნების ურთიერთობაში ერეოდა და აქ თა-

ვის გავლენა-მფლობელობის შენარჩუნებას ცდილობდა. ამღენადვე ფოთის დაპყრობა რუსეთის დიდმნიშვნელოვანი წარმატება იქნებოდა.

ორბელიანი მალე დარწმუნდა, რომ უომრად ფოთის აღებას ის ვერ მოახერხებდა, ამიტომ 12 აგვისტოს გენერალი ყულევიდან წავიდა და ფოთის ციხეს ალყად შემოადგა.

ფოთისათვის ბრძოლამ სამ თვეს გასტანა. მეციხოვნეთა დასახმარებლად ოსმალებმა ტრაპიზონის შერიფ-ფაშა გამოგზავნეს 9000 კაცით. როცა ეს ჯარი მდინარე სუფსას პირად გრიგოლეთს დადგა მას ზურგიდან დაეცნენ გურულები ვახტანგ ერისთავისა და სიმონ გუგუნავას სარდლობით, ხოლო პირისპირ ორბელიანი დაუდგა თავისი ჯარითა და მეგრელ-აფხაზთა რაზმებით. ორმხრივ ბრძოლაში თურქები სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ. ამის შემდეგ იმედგადაწურულმა ციხისთავმა 1809 წლის 15 ნოემბერს ფოთი ორბელიანს ჩააბარა.

ვიდრე ორბელიანი ფოთის ციხეს ალყად ადგა, ხოლო ტორმასოვი სპარსელებს ეომებოდა, სოლომონ მეფე მოვლენათა განვითარებას ფხიზლად თვალყურს ადევნებდა და შესაფერის თადარიგს იჭერდა. იმერეთ-ახალციხის საზღვარზე მან საიდუმლოდ ინახულა ალექსანდრე ბატონიშვილი და ასევე საიდუმლოდ მოციქულები გაგზავნა ახალციხის ფაშასთან და სპარსეთის შაჰთან. როგორც ტორმასოვი პეტერბურგში ხელმწიფის კარს არწმუნებდა, სოლომონ მეფე ყველა ამათ საქართველოში სალაშქროდ იწვევდა და თავის მხრით ენერგიულ დახმარებას პირდებოდა.

ამავე დროს ლეღოვანს, იმერეთის საზღვრებს შიგნით, თბილისიდან ორბელიანისათვის გაგზავნილ სამხედრო საჭურველის ტრანსპორტს დაეცნენ. სოლომონი უარყოფდა ამ საქმეში მონაწილეობას, თუმცა ტორმასოვი ბრალს მაინც იმერეთის მეფეს სდებდა.

ენერგიულად საქმობდა ზურაბ წერეთელიც და საქართველოს რუსულ ხელისუფლებას დიდ სამსახურს უწევდა. ის ახალციხის სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს ემოციქულებოდა და მას ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შემოსვლას ეპატიჟებოდა. ვიდრე ეს მოციქულობა გრძელდებოდა ახალციხის მხრიდან ქართლში ლეკ-ოსმალთა შემოჭრის შიში არ იყო. მეორე მხრით ზურაბ წერეთელი იმერეთში და მის გარეთ სოლომონ მეფის ორგულთა გამრავლებას ცდილობდა. მართალია, იმერეთში მისმა ამ მხრით მოღვაწეობამ თითქმის უქმად ჩაიარა. სამაგიეროდ მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა მას გურიაში.

ამ ხანებში გურიელის სახლში ბრძოლა-შფოთი გრძელდებოდა. სოლომონი მხარს უჭერდა მამია გურიელს, რომელსაც ბიძამისი

ვახტანგი ებრძოდა. იმერეთის მეფის დასუსტების მიზნით საქართველოს რუსული ხელისუფლება გურიის საქმეებში ერეოდა და ვახტანგს ექომაგებოდა. ეხლა ზურაბმა მამიას გადმობირება იკისრა. ცბიერმა თავადმა ადვილად დაარწმუნა ახალგაზრდა გურიელი, რომ ის ხელმწიფის საფარველს ქვეშ დადიანივით იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებელი მთავარი შეიქმნებოდა, თუ სოლომონ მეფეს გადაუდგებოდა. წერეთელმა გურიელის თანხმობა მიიღო და ეს თავისი წარმატება ტორმასოვს აცნობა.

1809 წლის 24 სექტემბერს ტორმასოვი უკვე ატყობინებდა ჯერ კიდევ ფოთის ალყად მდგომ ორბელიანს, რომ მან პეტერბურგიდან უკვე მიიღო უმაღლესი ნებართვა იმერეთში საჭირო დამატებითი ჯარის წაყვანისა და სამხედრო ძალის გამოყენებით სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ, როცა ყველა მშვიდობიანი საშუალება უშედეგოდ ამოიწურებოდა.

ზურაბ წერეთლის რჩევით ტორმასოვმა ამ საქმის შემსრულებლად პოლკოვნიკი სიმონოვიჩი შეარჩია და გეგმა დააწყო. ფოთს ორბელიანისათვის მიშველების საბაბით ის ერთ პოლკ ჯარს პოლკოვნიკი სიმონოვიჩის სარდლობით დასავლეთ საქართველოში გაგზავნიდა. სიმონოვიჩს საიდუმლო განკარგულება ჰქონდა, რომ ფოთის დაპყრობის უმალ იმერეთში წამოსულიყო და სოლომონ მეფის საქმის წარმატებისათვის ტორმასოვი სიმონოვიჩს თან გაატანდა დავით თარხნიშვილს—ზურაბ წერეთლის სიძეს და მის განზრახვათა მოზიარეს. დავით თარხნიშვილი რუსული ხელისუფლების ერთგულ კაცად ითვლებოდა და ჯერ კიდევ გუდოვიჩს გაენდო მისთვის საიდუმლო გეგმები, სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდებას რომ შეეხებოდა. აი ამ სამეულს —სიმონოვიჩს, ზურაბს და დავითს უნდა შეემუშავებინათ ადგილზე კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ამავე დროს ტორმასოვმა სოლომონ მეფეს წერილი მიწერა და შეატყობინა, რომ ის ფოთში ორბელიანს უგზავნის მეშველ ჯარს. საქართველოს მთავარმართებელი აქვე განმარტავდა ფოთის დაპყრობისა და ოსმალების განდევნის დიდ მნიშვნელობას იმერეთისათვის და იმედს გამოსთქვამდა, რომ ეს ჯარი სოლომონის ქვეყანაზე, მეფის ხელისშეწყობით, მშვიდობით გაივლიდა.

ნოემბერში პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა თავისი ჯარით იმერეთი გაიარა და ფოთს ჩავიდა. ამასობაში ორბელიანს ციხე უკვე აეღო. სიმონოვიჩმა სარდლობა ჩაიბარა და იმერეთის საქმის გადაწყვეტას შეუდგა.

მიუხედავად ასეთი შენიღბვისა რუსული ხელისუფლების განზრახვას იმერეთის მეფე სწორედ მიუხვდა. ამ პირობებში სოლომონისათვის ერთადერთი გამოსავალი დროს მოგება იყო, რათა გაზაფხულამდე თავი გადაერჩინა, როცა იარაღით თავდაცვაც უფრო ადვილი იქნებოდა და რუსეთის ომს სპარსეთ-ოსმალეთ-ინგლისთან შესაძლებელია იმერეთის მეფის დამოუკიდებლობის აღდგენაც კი მოჰყოლოდა. ამ მიზნით იყო, რომ სოლომონ მეფე ბოლომოუღებელ მოლაპარაკებას აწარმოებდა ტორმასოვთან სიმონოვიჩის თუ სხვა პირთა საშუალებით.

მოლაპარაკებას არც მოწინააღმდეგე გაურბოდა, თუმცა მისი მიზანი აქ სულ სხვა იყო. ტყუილი სიტყვით, შეპირებით, ცრუ ფიციით ტორმასოვ-სიმონოვიჩს მეფის სიფხიზლე სურდათ მოედუნებინათ. ამასობაში საქმე შეემზადებინათ და დანდობილ-მოტყუებული მეფე ადვილად შეეპყროთ.

საქმე იმაში იყო, რომ რუსეთის მთავრობა იმერეთში ომს ერიდებოდა, და ცდილობდა მეფე ისე ეგდო ხელთ, რომ ამას დიდი სისხლისღვრა არ მოჰყოლოდა. სამართლიანობით მოქადული ხელმწიფისათვის არ იყო სასურველი იარაღის დატრიალება იმ ქვეყანაში, სადაც ხალხს საუკუნეთა მანძილზე რუსეთის ხელმწიფე თავის მფარველად და კეთილისმყოფელად ეგულებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავარმართებელი არაფერს ზოგავდა იმისათვის, რათა იმერეთში რუსხელმწიფის ერთგულება და სოლომონ მეფის ორგულები გაემრავლებინა. საქართველოს რუსულ ხელისუფლებას ევალებოდა სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდება და იმერეთის სამეფოს გაუქმება, ისევე როგორც ქართლ-კახეთში, იმერელი ხალხის სურვილად გამოეტანა.

მაგრამ აქ იმერეთის მეფის პოზიციები „უცნაურად" მტკიცე აღმოჩნდა. საამისო დამაჯერებელი საბუთი სოლომონმა ჯერ კიდევ წარსულ 1808 წლის გაზაფხულს უჩვენა მოწინააღმდეგეს, როცა ტორმასოვის მხრით იმერელი ხალხისადმი აპელაციაზე მეფემ თავისებური სახალხო „რეფერენდუმით" უპასუხა. მართალია, ასეთი „დემოკრატიული ხერხის" გამოყენებისაგან ტორმასოვმა ამის შემდეგ ხელი აიღო, მაგრამ იმერელ თავადაზნაურობაში სოლომონის ორგულთა „პარტიის" შექმნის ცდას ის დაჟინებით განაგრძობდა.

გაცხოველებული მოლაპარაკება გაიმართა. სოლომონი მოხერხებულად დიპლომატობდა, იმერეთის მეფე უმტკიცებდა ტორმასოვს, რომ ელაზნაურის ტრაქტატი ძალადევია და არარეალურიც. ის არაერთხელ თვით რუსულმა ხელისუფლებამ დაარღვია. ამიტომ

მისი შეცვლა ახალი ხელშეკრულებით მართებულიც არის და საჭიროც და დიპლომატი მეფე აქვე იძლეოდა ახალი ტრაქტატის პროექტს, რომლის „მცირე განსხვავება“ ელაზნაურის ტრაქტატისაგან ის იყო, რომ ეს ახალი ხელშეკრულება სოლომონ მეფის სუვერენიტეტის აღდგენას გულისხმობდა. აქვე დიპლომატი მეფე მოწინააღმდეგისათვის მეტად უსიამოვნო მანევრს მიმართავდა. სოლომონის მოციქულებს თან მიჰქონდათ ტორმასოვთან ცალკე წერილი, რომელშიაც იმერეთის თავადაზნაურობა და მაღალი სამღვდელოება სოლომონ მეფის თავს ფიცავდნენ და რუსული ხელისუფლებისაგან მისთვის წყალობას ითხოვდნენ. ეს უმორჩილესი თხოვნა ერთსა და იმავე დროს მოხდენილი პასუხიც იყო და უსიამოვნო გაფრთხილებაც. ტორმასოვს ამით უნდა დაენახა, რომ სოლომონის ორგულთა „პარტიის“ შექმნის მისეული ცდა უნაყოფო იყო და რომ, ამდენადვე, სოლომონ მეფესთან ანგარიშის გასწორება ადვილი საქმე არ იყო.

სოლომონის მოტყუება არ ხერხდებოდა. მეფის შემოყვანა ქუთაისში და მისგან ამანათების მიღება ან მადლობის დეპუტაციის პეტერბურგში გაგზავნა უიმედო საქმე ჩანდა. იმედგაცრუებული სიმონოვიჩი ეჭვობდა კიდევაც, რომ სოლომონს უკვე გაგებული ჰქონდა ხელმწიფის საიდუმლო ბრძანება. მეფის მოღალატე ზურაბ წერეთელიც გადაჭრით მოითხოვდა, რათა საქმე სამხედრო ძალით სწრაფად გადაწყვეტილიყო. ამ აზრის იყო სიმონოვიჩიც. მაგრამ იმერეთში მყოფი რუსთა ჯარი ამისთვის საკმარისი არ ჩანდა. სიმონოვიჩი და ზურაბ წერეთელი ქართლიდან დამატებითი ლაშქრის შეყვანას საჭიროდ სთვლიდნენ.

ტორმასოვმა სიმონოვიჩის ეს გეგმა გაიზიარა. სოლომონთან მოლაპარაკება უნდა გაგრძელებულიყო. ამასობაში მისი ბანაკი რუსთა ჯარს ისე უნდა გარემოეცვა, რომ მეფეს გასაქცევი არსაით ჰქონოდა. გურიელი მზად უნდა ყოფილიყო საჯავახოს მხრიდან მეფეზე მისასვლელად, ასევე უნდა შემზადებულიყვნენ დადიანის ლაშქარი და გელოვანი ლეჩხუმიდან, სიმონოვიჩს კი პირი უნდა გაეთქვა თითქო და ახალციხეზე სალაშქროდ და ხანისწყლის ხეობა დაეჭირა, რომ მეფეს ახალციხისაკენ გასაქცევი გზა არ ჰქონოდა. ამავე დროს ქართლში იმერეთის საზღვარზე რუსთა დიდი ჯარი დაბანაკდებოდა და, როდესაც ყველაფერი ეს შემზადდებოდა, დანიშნულ დღეს ჯარები დაიძრებოდნენ და იმერეთის საზღვრებში შემოვიდოდნენ. ამავე დროს სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდებისა და „იმერეთის დროებითი მმართველობის“ პროკლამაცია გამოქვეყნ-

დებოდა და ხელმწიფის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებასაც შეუდგებოდნენ.

მაგრამ საჭირო იყო საქმის დაჩქარება. მარჯვე დრო მიწურულიყო. საცაა გაზაფხული მოატანდა და საქმე გაძნელდებოდა. სოლომონ მეფე მოწინააღმდეგის ამ მზადებას ხედავდა, მაგრამ არას იმჩნევდა და დიდის ოსტატობით მოლაპარაკების გახანგრძლივებას ცდილობდა.

ბოლოს ტორმასოვმა ქუთაისს მეფის მისატყუებლად კიდევ ერთი ხერხი იხმარა. მთავარმართებელმა სოლომონს წერილი მისწერა და ვითომ „გაუტყდა": ბრძანება მაქვს, რომ ხელმწიფეს დაგამორჩილო, თუ არა იმერეთიდან უნდა გაგაძევო. თუ გსურს გადარჩე, მძევლები თბილისში უნდა გამოგზავნო, ხოლო მადლობის დეპუტაცია პეტერბურგსო. დეპუტატებად კი უნდა იყვნენო: კონსტანტინე ბატონიშვილი, მალხაზ ანდრონიკაშვილი, სოლომონ ლიონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და როსტომ ნიჟარაძეო. თითონ კი ქუთაისში უნდა გადახვიდე და იქიდან იმპერატორს შეცოდებათა პატიება სთხოვოო. სამი დღის ვადა მომიციაო. და საქართველოს მთავარმართებელი აქვე საზეიმო ფიცით არწმუნებდა სოლომონს, რომ მას იმერეთის მეფობა არ წაერთმეოდა, თუ ამ პირობებს შეასრულებდა.

ტორმასოვის ამ ხერხის აზრი ძნელი მისახვედრი არ იყო იმერეთის მეფისათვის. დეპუტაციის წევრებად მთავარმართებლის მიერ დასახელებული თავადები სოლომონის უახლოესი დარბაისლები და უერთგულესი მრჩევლები იყვნენ. ამდენადვე ესენივე იყვნენ ყველაზე საძულველი პირები საქართველოს რუსული ხელისუფლებისათვის. მათი დეპუტატებად გამოთხოვით ტორმასოვი მიზნად ისახავდა სოლომონის სამეფო კარის უკიდურეს დასუსტებას და ამით მეფის სიმტკიცის გატეხას; სოლომონის ქუთაისში გადასვლა ეს საკუთარი ხელფეხის შეკვრას და თავისი თავის მოწინააღმდეგისათვის გადაცემას ნიშნავდა. ხოლო ტორმასოვის საზეიმო ფიცი ისეთივე ფასისა იყო, როგორიც იყო ციციანოვის ფიცის წიგნი, სოლომონს რომ მთავარმართებელთა ფიცისმტეხელობის საბუთად არაერთხელ მოყავდა.

სოლომონის პასუხი ტორმასოვის ხერხის შესაფერისი იყო. მეფე დეპუტატების გაგზავნას ეთანხმებოდა, ოღონდ საამისო კანდიდატებს თითონ დანიშნავდა. დეპუტატებს სოლომონი ხელმწიფესთან სათხოვარს გაატანდა; როცა ესენი პეტერბურგიდან დაბრუნდებოდნენ, მეფე ქუთაისშიაც გადავიდოდა.

მოწინააღმდეგის განზრახვას ტორმასოვიც მიხვედრილი იყო. საქართველოს მთავარმართებელი ერთის მხრით სიმონოვიჩს სამხედრო სამზადისის სასწრაფოდ მოსრულებას უბრძანებდა, ხოლო მეორე მხრით სოლომონ მეფეს. ამ უკანასკნელის სურვილის თანახმად, მოციქულს მოგილევსკის უგზავნიდა, მოთხოვნილებას უმეორებდა და ერთხელ კიდევ არწმუნებდა. რომ უსიტყვო მორჩილებითა და თხოვნით მეფეს ყველაფერი შეუსრულდებოდა.

ქუთაისიდან ვარციხეს მიმავალ მოგილევსკის სოლომონ მეფის დარბაისლები ლიონიძე და ჯაფარიძე მიყვებოდნენ. დიპლომატი ლიონიძე საუბარში, ვითომ სხვათა შორის, ეუბნებოდა მოგილევსკის, რომ იმერელი ხალხი თავისი მეფის ერთგულია, რომ იმერეთის მეფე საკმაოდ ძლიერია და რომ იმერეთში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც თავდაცვა მცირე ჯარითაც კი დიდხანს შეიძლება. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის გაფრთხილებას. მაგრამ აქ უფრო საყურადღებო სხვა მომენტი იყო. ლიონიძე იმ გარემოებას გახაზავდა, რომ იმერლები სოლომონ მეფის ერთგულნი არიან. ცნობილია, რომ საქართველოს რუსული ხელისუფლება ხშირად აცხადებდა. რომ ქართლ-კახეთში ხალხი მისი მომხრე იყო და რომ, ამდენადვე. ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ხალხის მტრები იყვნენ. ერთი სიტყვით, რუსული ხელისუფლება „დემოკრატიულ“ პრინციპებს ეთამაშებოდა. იმერეთში კი მას ასეთი რამ არ ეთქმოდა. 1809 წლის გაზაფხულს ეს კარგად გამოჩნდა. რუსი მოხელენი მათთვის ამ უსიამოვნო მოვლენის ერთ მიზეზს მართალს ასახელებდნენ: იმერელ თავადებს რუსული წესწყობილება სძულთ და ამიტომაც ერთგულნი არიან თავისი მეფისა, რომელიც მათ ძველ წყობილებას იცავსო. ეს მოსაზრება, ნაწილობრივ მაინც, სწორი იყო. „რუსობაში“ მოყოლილ ქართლ-კახელ თანამოძმეთა „უპატიობის“ შემხედვარე იმერელი თავადობა, ბუნებრივია, უფრთხოდა ასეთსავე ბედს. მაგრამ ეს იყო მოვლენის ერთი მხარე. იმერეთში რუსული ხელისუფლების დამყარებას არა მარტო თავადები ებრძოდნენ, მას მხარს არ უჭერდა უფრო ფართე საზოგადოებაც. მაშასადამე, სოლომონ მეფისადმი ერთგულებას იმერულ საზოგადოებაში სხვა საფუძველიც ჰქონდა.

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე თავისი ბიძის ს ო ლ ო მ ო ნ პ ი რ ვ ე ლ ი ს ს ა ქ მ ი ს გ ა მ გ რ ძ ე ლ ე ბ ლ ო ბ ა ს ი ჩ ე მ ე ბ დ ა. სოლომონ პირველს კი იმერეთის ხალხი სამართლიანად სთვლიდა ქვეყნის მხსნელად, მეორე „აღმაშენებელად“. სოლომონ პირველს მართლაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა იმაში, რომ იმერეთი ეხლა

აგრე მოშენებული იყო და საქართველოს სხვა ნაწილების მსგავს სიძნელეებს არ განიცდიდა. ამიტომაც იყო, რომ იმერელმა ხალხმა სოლომონ პირველი „დიდის“ სახელით შეამკო და თავისი მხატვრული შემოქმედების გმირად აქცია. აი ამ სოლომონის მოღვაწეობის ერთგული მიმბაძველი იყო სოლომონ მეორე, რომელიც, როგორც ამას 1802 წელს საქართველოს მმართველი კოვალენსკი აღნიშნავდა, თურმე „თავის ქვეყანას კეთილგონიერად მართავდა. იყო სალი გონების პატრონი, მშვიდი, მტკიცე და [illegible]ულმსაჯული და ამიტომაც უყვარდა თავის ხალხს, გარდა, შესაძლებელია, მცირე ვინმე თავადთაგანთა“. მოკლედ, იმერეთი ორმოცი წელი იყო, რაც აღმავლობის გზით მიდიოდა. ამ საქმეს სათავეში უდგნენ ჯერ სოლომონ პირველი, ეხლა სოლომონ მეორე. გასაგებია, რომ იმერელი საზოგადოების ფართე წრეები ამ მეფის ერთგულნი იყვნენ.

აქვე მოგილევსკისთან საუბარში სოლომონ ლიონიძე არწმუნებდა ამ თავის მოსაუბრეს, რომ ის რუსეთის ერთგული იყო. მოგილევსკის ეს არა სწამდა, ის ლიონიძეს რუსეთის უბოროტეს მტრადა სთვლიდა. არც ერთი არ სტყუოდა.

**სოლომონ ლიონიძე.** ლიონიძე უკანასკნელი დიდი ქართველი დიპლომატი იყო ძველი საქართველოსი. ის იყო დამცველგამტარებელი იმ დიპლომატიური ფორმულის, რომელიც საქართველოში საბოლოოდ XVI საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა კახთა მეფის ალექსანდრე მეორის კარზე და რომელიც „აზიასთან“ ბრძოლას ანუ საქართველოს მიერ საგარეო პოლიტიკურ სიძნელეთა გადალახვას რუსეთთან („ევროპასთან“) კავშირში გულისხმობდა. ეს იყო ისტორიულად დასაფუძვლებული მტკიცე ორიენტაცია საქართველოსი გვიანფეოდალურ ხანაში. ასეთი იყო, კერძოდ, ორიენტაცია ყველა იმერელ მეფისა XVII საუკუნიდან მოკიდებული, ასეთივე იყო ორიენტაცია თვით სოლომონ მეორისა.

სოლომონ ლიონიძის აზრით იმერეთი (და მთელი საქართველოც) რუსეთის მ ო კ ა ვ შ ი რ ე უნდა ყოფილიყო; რუსეთი საქართველოს საუკეთესო მოკავშირე იყო, ისევე როგორც საქართველო რუსეთისათვის ერთგული და სასარგებლო მოკავშირე იქნებოდა კავკასია-ახლო აღმოსავლეთში. სოლომონ ლიონიძე 1783 წლის ტრაქტატის აქტიური მონაწილე, 1790 წლის ტრაქტატის ავტორი, ბუნებრივია, თავისთავს რუსეთის ერთგულადა სთვლიდა. თავისი პოლიტიკური შეხედულებანი ამ მაღალნიჭიერმა დიპლომატმა 1803 წელს ერთხელ კიდევ გამოსთქვა, როცა იმერეთ-რუსეთის კავშირის დადებას ხელმწიფის კარზე მცდელობდა. მართლია, ეხლა რუსეთი

ასეთ ტრაქტატებს განვლილ ეტაპადა სთვლიდა და ამ „მოკავშირე“ ქვეყნების დაპყრობისათვის იბრძოდა, მაგრამ ლიონიძე, ისევე როგორც სოლომონ მეფე, რუსეთთან ურთიერთობაში ამ ტრაქტატების პრინციპებს იცავდა, ამ ტრაქტატების რეალურობისათვის იბრძოდა. ერთი სიტყვით, ეს შესანიშნავი დიპლომატი ჯერ ისევ ცდილობდა, რათა ქართული პოლიტიკური ხელისუფლების ინტერესები რუსული პოლიტიკური ხელისუფლების ინტერესებისათვის შეეთანხმებინა. ლიონიძეს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ საქართველო შესძლებდა დაკარგული პოზიციების დაბრუნებას, რომ რუსეთთან კავშირში საქართველო საქართველოდვე დარჩებოდა.

სოლომონ ლიონიძის ასეთი სახე დარჩა ქართველი ხალხის მეხსიერებაში და ის ისტორიულად სწორად აღადგინა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოემაში „ბედი ქართლისა“.

ასე რომ, თუ 1810 წელს სოლომონ ლიონიძის, ისევე როგორც სოლომონ მეფის, ერთგულობისა რუსეთის მთავრობას არა სწამდა, ეს იმდენად, რამდენადაც ეხლა მას (მთავრობას) ვეღარ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც საქართველოს პოლიტიკური თვითმყოფობის სამსახურს ძალღონეს ალევდა, ამავე დროს რუსეთის ერთგული ყოფილიყო. და ეს იმიტომ, რომ ქართველთა პოლიტიკური თვითმყოფობის იდეა რუსეთის მთავრობის ცნობიერებაში რუსეთის ინტერესებს დაუპირისპირდა. მოკლედ, სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეორისა, სოლომონ პირველისა და 1783 წლის ტრაქტატის ენით ლაპარაკობდა, ხოლო ალექსანდრე ხელმწიფე და მისი მოხელენი კი 1801 წლის აქტისა და მის შემდგომი მოვლენების ენით.

**სოლომონ მეფის დატყვევება.** ტორმასოვმა მოგილევსკის ხელით სოლომონ მეფეს უკან დაუბრუნა მისი ახალი ხელშეკრულების პროექტი და ელაზნაურის ტრაქტატის განუხრელად შესრულება მოსთხოვა.

მოგილევსკის მიღებისას მეფემ, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ რუსთა ჯარი მის ხალხს ავიწროვებს და ამ ჯარის იმერეთიდან გაყვანა მოითხოვა. რუსმა მოხელემ, დანასაქმევის თანახმად, უპასუხა, რომ ეს ჯარი მისი ქვეყნის მცველადა დგას ახალციხის მხრიდან ოსმალთა შემოსევის წინააღმდეგ. მეფემ განაცხადა, რომ მას საკმაო ძალა მოეპოვება მტრის დასახვედრად და თავდაცვაში დახმარებას არ საჭიროებს.

სოლომონი მართალი იყო. XIX საუკუნის დასაწყისს იმერეთს გარეშე მტერი უშუალოდ არ ემუქრებოდა. ოსმალები იმერეთიდან დიდი ხანია განდევნილი იყვნენ და მოძლიერებული იმერეთის სამეფო დასავლეთ საქართველოდან ოსმალთა განდევნას აპირებდა და სამეფოს ყოფილი მთლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა. სწორედ ამისათვის ეძებდა იმერეთი რუსეთის ხელმწიფის „მფარველობას". სოლომონ პირველმა რუსეთის დახმარება ბრწყინვალედ გამოიყენა ქვეყნის აღდგომისათვის. ბრძოლის პირველი ეტაპი წარმატებით შესრულა: ოსმალები იმერეთიდან განდევნა, ტყვეთა სყიდვა აღკვეთა, თავადები ალაგმა, ქვეყანა ორგანიზაციულად მოაწესრიგა და მთავრებზე გავლენა მოიპოვა. აღდგომისათვის ბრძოლის შემდგომი ეტაპი მთავრების დამორჩილება და დასავლეთ საქართველოდან ოსმალების განდევნა იყო. ეს ბრძოლაც ჯერ ისევ სოლომონ პირველმა დაიწყო. ამოცანა მძიმე იყო: მთავრებს—დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს ზურგს ოსმალეთი უმაგრებდა. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, შემტევი, საქმის ინიციატორი იმერეთის სამეფო იყო. აი ამ ძნელ ბრძოლებში დახმარებისათვის სოლომონ მეორე რუსეთის მთავრობას ესაქმებოდა, თავის მხრით რუსეთის სასარგებლოდ მას არანაკლებ „სამსახურს" სთავაზობდა. ასე რომ იმერეთი XIX საუკუნის დამდეგს სრულიადაც იმ ავადმყოფს არ ჰგავდა, როგორც ქართლ-კახეთი 1801 წელს, „რომელსაც ძლივს და შეუძლია მკურნალს თავის სისუსტე ამცნოს". იმერეთის სამეფო საკუთარ ფეხზე იდგა და შემდგომი წარმატების პერსპექტივაც ჰქონდა. სოლომონ იმერეთის მეფე მოკავშირეს ეძებდა და არა ხელმწიფეს.

მოგილევსკის მისიაც უნაყოფო იყო: სოლომონ მეფე ვერ მიინდვეს. სამაგიეროდ სასწრაფოდ შეემზადნენ და პაემანიც—20 თებერვალი—დანიშნეს, როცა ყოველი მხრით ჯარები იმერეთში შემოვიდოდა და ტორმასოვის პროკლამაციაც სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდებისა და იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების შესახებ გამოცხადდებოდა. ასეც მოხდა.

დადიანი და გურიელი ერთხელ კიდევ, და ეხლა უკვე უკანასკნელად, გამოვიდნენ მოღალატეებად და საქართველოს პოლიტიკური თვითმყოფობის დამსამარებლად. გურიელის ჯარი საჯავახოს ამოვიდა, სამეგრელოს ჯარის ერთი ნაწილი რუსთა ჯართან ერთად ჩხარს დადგა, მეორე ნაწილი ვარციხისაკენ წავიდა. სიმონოვიჩმა ხანისწყლის ხეობა დაიჭირა, ხოლო ქართლიდან რუსთა ჯარები სხვადასხვა მიმართულებით შემოვიდნენ და ხელმწიფის ერთგულებაზე ხალხის

დაფიცებას შეუდგნენ. იმერლები მთებსა და ტყეებში გადაიხიზნენ.

ამავე დროს ზურაბ წერეთელი და ექვთიმე გენათელი ტორმასოვის სახელით დაყინებით არწმუნებდნენ სოლომონს, რომ მის მეფობას საფრთხე რაიმე არ მოელოდა. საჭირო იყო ოღონდ, რომ იმერეთის მეფესა და საქართველოს მთავარმართებელს ურთიერთშორის გაუგებრობანი გულგაწმენდით მოეგვარებინათ.

ექვთიმე გენათელი იმერეთში დიდი გავლენით სარგებლობდა. ეს მღვდელმთავარი სოლომონ პირველის ურთგულესი თანაშემწე იყო და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის თანაზიარი. ქვეყნის მოშენებაში გენათელს დიდი ღვაწლი მიუძღოდა. ასევე ერთგული იყო ექვთიმე გენათელი სოლომონ მეორისა. ამავე დროს ეს მოხუცი მოღვაწე გულწრფელი მომხრე იყო რუსეთთან კავშირისა და ურყევად სწამდა, რომ ასეთი კავშირის არსებობა რუსეთის მთავრობასა და იმერეთის მეფეს შორის შეიძლებოდა

და საქართველოს მთავარმართებელი ამ გულუბრყვილო პოლიტიკოსის გამოყენებას სოლომონ მეფის ხელში ჩასაგდებად ხერხიანად ცდილობდა.

თუმცა იმერეთის მეფეს ტორმასოვის ფიცისა არა სწამდა, მაგრამ ეხლა სხვა გამოსავალი არ იყო და სოლომონმაც ირწმუნა ტორმასოვის დაპირებისა.

როსტომ ნიჟარაძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი და სოლომონ ლიონიძე ახალციხეს „გაიქცნენ". კონსტანტინე ბატონიშვილი სიმონოვიჩს დანებდა. მეფე დაეთანხმა სიმონოვიჩის მოთხოვნას, რომ ტორმასოვთან წავიდოდა ქართლში და იქიდან ხელმწიფეს პატიებასა სთხოვდა. მეფის მოთხოვნით სიმონოვიჩმა მას ჯვარსა და სახარებაზე საჯაროდ შეფიცა, რომ მას, ვით პატიმარს, მცველებს არ დააყენებდნენ.

15 მარტს სოლომონ მეფე 400 კაცისაგან შემდგარი ამალით ქართლისაკენ წავიდა. გორის ახლოს მას ტორმასოვი შეხვდა. მეფე თბილისს წაიყვანეს, ამალა შემოაცალეს და მის სადგომს საგანგებო მცველებიც მიუჩინეს. პატიმარი მეფის რუსეთს გადასახლებას ტორმასოვი საგანგებოდ ამზადებდა.

პატიმრობაში სოლომონ მეფე დიდ ხანს არ დარჩენილა. 10 მაისს მან მოახერხა თბილისიდან გაქცევა და ახალციხეს ავიდა.

ამ დროს ტორმასოვი ყარაბაღში იმყოფებოდა. იქ სპარსეთიდან მოციქული მოსულიყო ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლად. შეთანხმება შეუძლებელი გახდა და ტორმასოვი თბილისს დაბრუნდა.

სოლომონ მეფის გაქცევა ტორმასოვის მძიმე მარცხი იყო. საქართველოს რუსული ხელისუფლების სამხედრო მდგომარეობა მეტად რთულდებოდა. სპარსეთთან ზავს და ამით ოსმალეთის ჟამარტოხელებას ტორმასოვმა ვერ მიაღწია. პირიქით, სპარსეთის შაჰი ჩვეულებრივზე მეტად აქტიურობდა, დიდი ომით იმუქრებოდა. ინგლისური ფული და სამხედრო იარაღი მას ამის საბუთს აძლევდა. ქვეითი ჯარიც შეექმნათ სპარსეთში და აბას-მირზას ლაშქრის მთავარ ძალას ეხლა უკვე 10000 სარბაზი ანუ ახალ წესზე გაწრთვნილი ქვეითი ჯარისკაცი შეადგენდა.

ასე რომ ომი ორი მხრით—სპარსეთ-ოსმალეთთან ისევ რჩებოდა. მაგრამ ამას ეხლა ახალი საფრთხე ემატებოდა. თუ აქამდე იმერეთი რუსხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომი არ იყო. აშკარა მტერი ის მაინც არ ყოფილა. ამიერიდან სულ სხვა ვითარება იქმნებოდა.

ზაფხული დგებოდა და საცაა სპარსეთ-ოსმალეთთან სამხედრო მოქმედება გაცხოველდებოდა. უეჭველი იყო, რომ სოლომონ მეფე იმერეთში შემოვიდოდა და აქაც ომი გაჩაღდებოდა. ტორმასოვს კი ჯარი ისედაც მცირე ჰყავდა და არც დამხმარე ძალის მიღების იმედი ჰქონდა.

* * *

**ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის.** ჯერ ისევ მაისშივე სოლომონ მეფის მოწოდებები იმერეთს უხვად მოეფინა. ეს მოწოდებები საქმის ცოდნით და ოსტატურად იყო შედგენილი. მეფე ანგარიშს უწევდა იმერეთის საზოგადოებრივ აზრს. იმერეთის ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკურ განწყობილებას და თავის საქმიანობასაც ამას უფარდებდა. მეფემ იცოდა, რომ იმერელი ხალხისათვის არ შეიძლებოდა პოპულარული ყოფილიყო რუსთა წინააღმდეგ ომი საქართველოს საუკუნო მტრების—ოსმალების ან სპარსელების დახმარებით. იმერეთის მეფემ კარგად იცოდა, რომ იმერელ ხალხს რუს ხელმწიფის მტრობა არ ჰქონდა და საუკუნეთა სიგრძეზე შემუშავებული პრორუსული ორიენტაცია აქ ძველებურადვე ცხოველი იყო. მაგრამ სოლომონმა ისიც კარგად იცოდა. რომ იმერელი ხალხი კიდევ უფრო ერთგული იყო საკუთარი მეფისა, რომელიც თავისი ათასწლოვანი პოლიტიკური თვითმყოფობის განსახიერებად მიაჩნდა. იმერელ საზოგადოებას ჯერ კიდევ ღრმად სწამდა, რომ იმერეთის სამეფოსა და რუსეთის სახელმწიფოს ინტე-

რესები ერთი მეორეს ა რ გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ დ ნ ე ნ. ამიტომაც იყო, რომ სოლომონ მეფე ამ თავის მოწოდებებში ცდილობდა, რათა ის იმერელ საზოგადოების თვალში რუსხელმწიფეს არ დაპირისპირებოდა. იმერეთის საზოგადოება თვით უნდა დარწმუნებულიყო, რომ რუსეთის მთავრობა იმერეთის მეფესთან ურთიერთობაში შეურიგებელ პოზიციას ადგა.

ამის შესაბამისი იყო ის მოწოდება, რომლითაც სოლომონ მეფე იმერეთის გავლენიან სამღვდელოებას მიმართავდა. გელათისა და ნიკორწმინდის ეპისკოპოსებს მეფე სთხოვდა იმერეთის თავადებთან ერთად ეშუამდგომლნათ მისთვის რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა იმერეთის მეფედ დადგენილი ყოფილიყო ისევ სოლომონი, რ ო მ ე ლ ს ა ც ა მ ი თ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა მ ი ე ც ე მ ო დ ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს მ ტ რ ე ბ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ა შ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ი ს ხ ლ ი დ ა ე ღ ვ ა რ ა.

სოლომონ მეფე კარგად ხედავდა, რომ რუსეთის მთავრობა აზიელ დამპყრობელთ—სპარსეთს ან ოსმალეთს არ გავდა. ხალხის ჟლეტისა და ქვეყნის აოხრების მუქარით კი არ მოდიოდა, არამედ პირზე ეკერა „მშვიდობა“, „სათნოება“ და „სამართლიანობა“. საქართველოს შეერთება რუსეთის მთავრობას აზიელთა უღლისაგან მის განთავისუფლებად გამოჰქონდა, ხოლო ქართველი ხალხის პოლიტიკური თვითმყოფობის მოსპობა „ღვთის წყალობად“, რამდენადაც „ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის“ უშუალო ქვეშევრდომობით „გაბედნიერებულ“ ქართველ ხალხს ვითომც „ურყევი კეთილდღეობა“ ელოდა.

ამ გარემოებას ითვალისწინებდა სოლომონ მეფის მეორე პროკლამაცია, რომელიც რუსული მფლობელობის მკაცრ განქიქებას წარმოადგენდა. იმერეთის მეფემ იცოდა ტორმასოვის მოწოდება, სადაც საქართველოს მთავარმართებელი იმერლებს არწმუნებდა, რომ სოლომონ მეფის გარდაგდება მათი ბედნიერების მომასწავებელი იყო. მეფე მოაგონებდა იმერლებს მათდამი სიყვარულს და ფიცით არწმუნებდა, რომ „თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენი მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი“-ო. მაგრამ თქვენ ხედავთო, თუ როგორ უნუგეშოდ კვნესიან თქვენი მეზობლები იმათ ხელში, პატიოსანი გვარები როგორ უპატიო გახადეს, როგორ სიკვდილს ნატრულობენ სახლისა და ცოლშვილის უპატიობისათვისო. თქვენ იცითო, ეუბნება მეფე იმერ-

ლებს, რომ რუსეთის მთავრობა „თავეთს ჩვეულებას თქვენთვის არ გამოსცვლიან“ და ვიცი, რომ, როცა იმერეთს საბოლოოდ დაიმორჩილებენ, „უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ, დღეს რომ პატივს სცემენ, ხვალ... უპატიოდ გახდიან“-ო. ამის საბუთად მეფეს მოაქვს ქართლკახეთი, „რომელიც პირველში ფიცითა და ოქროთი მოატყუეს და დღეს აღარც სიმდიდრე უხარიანთ და აღარც თავეთი სახლი და კიკვდილს ნატრულობენ“-ო. „ესენიო, განაგრძობდა მეფე, არც თქვენს მამაპაპათ იცნობენ, არც აქვთ სიყვარული და გულის შეტკიება. რომელიც მე მაქვს“-ო.

ამრიგად, სოლომონ მეფე რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის აუცილებლობას იდეურად ასაბუთებდა. რუსეთის მთავრობის მმართველობის წესი სხვაა, ჩვენი კი სხვაო. მმართველობის რუსული წესი ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო, ამიტომ ქართული სოციალურ-პოლიტიკური წესის დასაცავად იმერელ საზოგადოებას ხელი უნდა გამოეღო. მმართველობის რუსული წესი ამ ქართულ წესს გასაქრობად ემუქრებოდა. სოლომონ მეფე ქართული წესის დაცვის განსახიერება იყო. ამიტომაც იმერელ ხალხს სოლომონ მეფის აღდგენისა და რუსული მმართველობის განსადევნად უნდა ებრძოლნა.

სოლომონ მეფემ კარგად იცოდა, თუ როგორ საზარელი იყო ფართე საზოგადოებისათვის უცხო ჯარების, განსაკუთრებით ლეკოსმალთა, იმერეთში შემოყვანა. იმერეთის მეფეს სამართლიანად ეშინოდა, რომ ასეთი „მოკავშირეების“ შემოყვანით და მათი რუსთა წინააღმდეგ დაპირისპირებით მას შეეძლო იმერული საზოგადოების ფართო ფენებში სიყვარული და ნდობა დაეკარგნა. სოლომონ მეფე ხედავდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს ქართველი ხალხი უფრო შინაურ საქმედ უყურებდა და საქართველო—ოსმალეთის ან საქართველო—სპარსეთის ურთიერთობისაგან მას არსებითად ასხვავებდა. ამიტომაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საქმეში სპარსეთ-ოსმალეთის ჩარევას ქართველთა ფართე მასები უნდობლად უყურებდნენ. სოლომონი ანგარიშს უწევდა ხალხის ასეთ განწყობილებას და თავის პროკლამაციაში იმერლებს აუწყებდა, რომ ის უცხო ჯარებს არ შემოიყვანდა და მარტო შემოვიდოდა, როცა იმერეთის ერთსულოვანი აჯანყების შესახებ გაიგებდა.

იმერლებს სოლომონის სიმართლეში ეჭვი არ შესდიოდათ და მისი დაბრუნებისათვის ბრძოლა საქვეყნო საქმედ მიაჩნდათ. ჯერ ისევ იმ დროს, როცა სოლომონი თბილისში ტყვედ იჯდა, იმერეთის მეფის ერთგულებმა და რუსეთ-იმერეთის თანხმობის ყველაზე უფრო აქტიურმა მოღვაწეებმა—გელათის, ქუთაისის, ნიკორწმინდისა და ხონის ეპისკოპოსებმა თხოვნით მიმართეს ტორმასოვს და სოლომონის იმერეთის მეფედვე დაბრუნება იშუამდგომლეს. ტორმასოვმა მათ უარი უთხრა. იმერული საზოგადოების თვალში ეს უარი გაუმართლებელი იყო და ამდენადვე ის სოლომონ მეფის პოზიციებს ამაგრებდა.

სახალხო აჯანყება მზადდებოდა. სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ახალციხიდან შემოიპარა და საქმეს უთავა. მცირე ვინმე შერჩა სოლომონის ორგულობას: ზურაბ წერეთელი, რაჭის ერისთავიანნი და ოციოდე სხვა თავადაზნაური, რომელნიც რუსული მმართველობის დამქარებიდან პირად სარფას გამოელოდნენ.

სოლომონ მეფემ კარგად იცოდა, რომ ის საკუთარი ძალებით რუსთა ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომაც იყო, რომ იმერეთის მეფე ერთის მხრით რუსეთის მთავრობასთან მორიგებას ცდილობდა, მეორე მხრით კი სპარსეთ-ოსმალეთს ემოციქულებოდა, რათა თავისი სამხედრო გამოსვლა ამათ სამხედრო მოქმედებასთან შეეთანხმებინა. მეფის მრჩევლები სოლომონ ლიონიძე და როსტომ ნიჟარაძე ამ მიმართულებით საქმობდნენ. სოლომონ მეფის პოლიტიკური ანგარიში შემდეგში მდგომარეობდა: სპარსეთ-ოსმალეთთან ორ მხრივ ომში ჩაბმული რუსეთის მთავრობა იძულებული შეიქმნებოდა აჯანყებული იმერეთისათვის დაეთმო და ელაზნაურის ტრაქტატი გადაესინჯა: რათა სოლომონ იმერთა მეფის სუვერენიტეტი და მისი პოლიტიკური უპირატესობა დასავლეთ საქართველოში აღედგინა.

* * *

იმერეთის აჯანყება საქართველოს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ სპარსეთ-ოსმალეთისათვის ფრიად ხელსაყრელი გარემოება იყო. ამიტომაც იმერეთის მეფეს ესენი დახმარების დიდ იმედებს აძლევდნენ და საერთო შეთანხმებული მოქმედების გეგმაც დააწყვეს. ვიდრე იმერეთში აჯანყება გრძელდებოდა, სპარს-ოსმალთა ჯარი ალექსანდრე ბატონიშვილის თანხლებით ზემო ქართ-

ლში უნდა შეჭრილიყო. ალექსანდრე ბატონიშვილს იმედი ჰქონდა, რომ ქართლის თავადაზნაურობა მას მიუვიდოდა, როგორც კი ის აქ სპარს-ოსმალთა ჯარით გამოჩნდებოდა. ამავე დროს სპარსელთა ჯარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შემოიჭრებოდა და რუსთა ჯარის დიდი ნაწილი ამას დასჭირდებოდა. მესამე მხრით ქართლს ლევან ბატონიშვილი, იულონის ძე, არ მოუსვენებდა. მთიანეთს ააჯანყებდა და საქართველოს სამხედრო გზას დაემუქრებოდა.

ჯერ ისევ ივნისში სიმონოვიჩი ქუთაისიდან საშიშ ამბებს ატყობინებდა საქართველოს მთავარმართებელს. იმერეთს საყოველთაო აჯანყება მოსდებოდა. რუსთა რაზმები აჯანყებულთ გარემოეცვათ. სიმონოვიჩი ქუთაისიდან ვერ გამოდიოდა. ასევე ალყაშემორტყმული იყვნენ რუსთა ჯარის ნაწილები ვარციხეს, ჩხერისციხეს თუ სხვაგან, ხოლო ზედა საქარას რუსთა რაზმს სისხლიანი შეტაკება მოსვლოდა აჯანყებულებთან. მას შემდეგ, რაც მდგომარეობის ბატონპატრონობა ხელთ ეგდოთ აჯანყებულებს, მათ მოციქულები გაეგზავნათ ახალციხეს მეფესთან და სოლომონი ახალციხელი შერიფფაშის მიერ მოცემული მცირე რაზმით იმერეთში შემოსულიყო.

* * *

ტორმასოვი შეშფოთდა. საქართველოს მთავარმართებელმა ჯერ კიდევ იმერეთის მეფის გაქცევის უმალვე დასახა მარჯვე საშუალება წამხდარი საქმის გამოსასწორებლად. მან უბრძანა სიმონოვიჩს მკვლელის მოსყიდვა და ამ გზით მეფის თავიდან მოცილება. ამ „კულტუროსანს“, რა თქმა უნდა, მორალი არ აწუხებდა, რაკი ეს „აზიური“ საქმე „ევროპელთა“ დამპყრობელურ მიზანს ემსახურებოდა. სოლომონის მუხთლურად მოკვლის განზრახვა ტორმასოვმა იმერეთის მეფის პირად მტერს ელიზბარ ერისთავს გაანდო და მასვე დაავალა სიმონოვიჩთან ერთად ამის საშუალებები გამოენახა. მაგრამ დრო გადიოდა და საქმე სისრულეში კი ვერ მოყავდათ. ტორმასოვი იძულებული იყო აჯანყების ლიკვიდაციისათვის სხვა გადამწყვეტი ხასიათის ზომები სწრაფად მიეღო. აუცილებელი იყო, რათა აჯანყება მანამდე ჩაქრობილიყო, ვიდრე ოსმალეთი და სპარსეთი არ გამოსულიყვნენ. ამ მიზნით ტორმასოვი არ მოერიდა საკუთარი კორპუსის დასუსტებას და გენერალ ორბელიანს სამი ბატალიონი ქვეითით, არტილერიით და საამისო კაზაკთა რაზმებით საჩქაროდ იმერეთში გამგზავრება და აჯანყების ლიკვიდაცია დაავალა.

ორბელიანს და სიმონოვიჩს ტორმასოვმა მოქმედების ზედმიწევნითი ინსტრუქცია მისცა. გურიელი და დადიანი აჯანყებულ

იმერელთა სოფლებს საძარცვავად უნდა შესეოდნენ. აჯანყების მეთაურები უნდა ჩამოეხრჩოთ ან წკეპლაში გაეტარებინათ, სხვა აჯანყებულნი,—დიდკაცნი უნდა გაეციმბირებინათ, ხოლო ხალხი, რამდენიც საჭირო იყო სხვათა დასაშინებლად, ჩამოეხრჩოთ. ხალხის მოსასყიდლად, ჯაშუშების დასაქირავებლად ტორმასოვი ამ თავის მოხელეებს საკმაო ფულს აძლევდა და თან გაკვირვებას გამოსთქვამდა, თუ როგორ იყო, რომ ფულით ჯაშუშებს, მკვლელებს და სხვა ერთგულ მომხრეებს ვერ პოულობდნენ. არ ერიდებოდა ტორმასოვი აჯანყებული იმერეთის საძარცვავად ლეკთა ბანდების მიშვებას. ხოლო საქართველოს მმართველს ამავე მიზნით თუშ-ფშავ-ხევსურთა ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმის გამოყვანას ავალებდა. ცალკე აღსანიშნავია ტორმასოვის განკარგულება, რომლის მიხედვით აჯანყებულ მებატონეთა წინააღმდეგ გამოსული და რუსთა მხარეზე მებრძოლი გლეხები თავისუფლდებოდნენ ასეთი ბატონებისაგან და სახაზინო გლეხებად აღირიცხებოდნენ.

ერთი სიტყვით, საქართველოს მთავარმართებელმა მოწინააღმდეგის გასატეხად ყველა ღონეს მიმართა: სამხედროს, პოლიტიკურს, სოციალურს. მაგრამ ყველა ამ ღონისძიებათაგან ტორმასოვი მთავარ მნიშვნელობას მაინც სოლომონის მოკვლას ანიჭებდა და ეს მით უფრო საჭირო იყო, მისი აზრით, რაც უფრო დიდი იყო იმერელ ხალხში ამ მეფისადმი ერთგულება.

მაგრამ საქმე იმერეთში სრულიად ისე არ წავიდა, როგორც ამას ტორმასოვი ვარაუდობდა. ივნისის მიწურულს ორბელიანი თავისი ჯარით სოღანლუღიდან. სადაც ტორმასოვის ბანაკი იყო, იმერეთისაკენ გაემართა. ის მოულოდნელ დაბრკოლებას წააწყდა. სურამს მოსულმა გენერალმა მაიორი ტიხოცკი ერთი ბატალიონი ჯარით ალის გზით გაგზავნა იმერეთში, თითონ კი ვახანის გზით შესვლა გადაწყვიტა. მაგრამ ბ ნ ე ლ ა თ ხ ე ვ შ ი იმერლებმა მალხაზ ანდრონიკაშვილისა და როსტომ წერეთლის მეთაურობით ტიხოცკის რაზმს გზა გადაუღობეს და მძიმედ დააზარალეს. ტიხოცკი თავისი რაზმით აჯანყებულთა რკალში აღმოჩნდა და წინ ვერ იძვროდა, მას სრული განადგურება უქადდა. ორბელიანი იძულებული იყო ამ რაზმის გადასარჩენად წამოსულიყო. ცხარე ბრძოლის შემდეგ მან იხსნა ტიხოცკის რაზმის ნაშთი, მაგრამ იმერეთში შესვლა ამის გამო მეტისმეტად დაუგვიანდა.

დრო კი არ ითმენდა. საცაა სპარსეთი ამოძრავდებოდა. ასეთ პირობებში რვა ბატალიონი ჯარის იმერეთში დაბანდება ყოვლად შეუწყნარებელი იყო. 16 ივლისს ტორმასოვმა გენერალი ორბელი-

ანი გადააყენა და აჯანყების ჩაქრობის საქმის ხელმძღვანელობა გენერალ როზენს ჩააბარა.

იმერეთის საქმეებით პეტერბურგშიაც შეშფოთებული იყვნენ. აყვედრიდნენ ტორმასოვს, რომ ხაფანგში გაბმული მეფე მან უმალვე რუსეთში არ გაგზავნა, მეფის გაქცევასთან დაკავშირებით ამ საქმესთან ახლო მდგომ პირთა სამხედრო წესით გასამართლებას მოითხოვდნენ და აჯანყების სწრაფად ჩასაქრობად საქართველოს მთავარმართებელს ენერგიული ღონისძიებების მიღებას უბრძანებდნენ. ტორმასოვი აიმედებდა მთავრობას, რომ ის აჯანყებას სწრაფად ჩააქრობდა, ხოლო სოლომონ მეფეს ან ტყვედ ჩაიგდებდა ხელში, ან მკვლელის შეჩენით მას თავიდან მოიცილებდა და რომ, ბოლოს, აგრე „დამშვიდებული" იმერეთის ხალხისაგან ეს მოხელე ყოვლად მოწყალე ხელმწიფესთან მადლობის მოსახსენებლად დეპუტაციის გაგზავნას არ დააყოვნებდა.

გენერალი როზენი აჯანყებულთა მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. იმერლებს გზები ჩაეხერგათ, გადაეთხარათ. ვიწროებში მეთოფეები ჩაესხათ. წინ ეღობებოდნენ, გვერდებიდან თავს ესხმოდნენ, ზურგიდან სცემდნენ ქუთაისისაკენ მიმავალ ჯარს. ექვს დღეს მოუნდა როზენი ჩხერიდან ქუთაისამდე მანძილის გავლას. ცხარე შეტაკებანი მოხდა ჩხერს, ცხრაწყაროს, ყვირილის ფონზე, სიმონეთს.

29 ივლისს როზენმა გაათავისუფლა ალყაშემორტყმული ქუთაისი და სიმონოვიჩს შეუერთდა.

ამის შემდეგ იმერლები თავდაცვაზე გადავიდნენ. რუსთა ჯარის სარდლობა აჯანყების სწრაფად ლიკვიდაციას ცდილობდა, იმერეთის მეფე კი მის გახანგრძლივებას.

* * *

იმერეთის მეფე თავს დიდი მოხერხებით იცავდა. სოფლიდან სოფლად გადადიოდა. ხან შეებრძოლებოდა მდევარ ჯარს და ისევ გაუჩინარდებოდა. 8 აგვისტოს ცხარე ბრძოლა მოხდა სოფ. რიონთან, 10 აგვისტოს ნააგარევს (გელათის ახლო) მდგომ მეფეზე ორი მხრიდან მიიტანეს იერიში რუსთა რაზმებმა. მეფე გოგნის გაიქცა, სადაც მას კვალდაკვალ მიყვა მდევარი ჯარი. მწვავე შეტაკებამ ვერც აქ გამოიღო სასურველი ნაყოფი. მეფე მდევარ ჯარს ისევ გაუსხლტა. ამ დროს ახალციხიდან დაბრუნდა როსტომ ნიჟარაძე, რომელმაც მეფე დაარწმუნა, რომ სპარსელთა ჯარი თვით შაჰის სარდლობით თბილისზე გაემართა, ხოლო, მეორე მხრით, ქართლი, ქსანი და არაგვი რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდნენო.

იმედმოცემული მეფე მძიმე ბრძოლას განაგრძობდა.

როსტომ ნიჟარაძის მიერ მოტანილი ცნობა სიმართლეს ჰგავდა მხოლოდ. ამ ხანებში სპარსელები მართლაც სალაშქროდ ემზადებოდნენ. მეორე მხრით ინგლისელი ელჩის ჯონსის მოსაშუალეობით სპარსეთ-ოსმალეთს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა სამხედრო კავშირის დასადებად რუსეთის წინააღმდეგ. ახალციხეში შერიფფაშას 7000 მხედარი უდგა, ყარსშიაც ოსმალთა ჯარი შეყრილიყო.

* * *

ტორმასოვს ჯარი ეცოტავებოდა. მან რუსეთის ქვეშევრდომ ხანებს დახმარებისათვის მოუწოდა. ხანებმა, უმრავლესობამ, სამხედრო მდგომარეობა რუსეთის სასარგებლოდ ვერ დაინახეს და საეჭვოდ ამოქმედნენ. თანაც ინგლისის ელჩი ჯონსი ენერგიულად ცდილობდა რუსთა წინააღმდეგ მათ გააქტიურებას.

თალიშის ხანს, რომელსაც ყოყმანი შექმნოდა, თუ ვის მხარეზე გამოსულიყო, ჯონსი მოაგონებდა რუსეთის მთავრობის უნდობლობა-პირისმტეხელობას და ამის საბუთად ერეკლეს სამეფოს თავგადასავალზე მიუთითებდა. მართლაც მძიმე ბრალდება იყო: რუსეთის მთავრობამ უერთგულესი ხელდებული-მოკავშირე, რომელსაც მფარველობა-დაუპყრობლობა საზეიმოდ აღუთქვა, არ დაინდო, ის სხვას ვისღა დაინდობდა?

სიმართლე კი ის იყო, რომ ამასვე ჩაიდენდა ყველა სხვა „მფარველიც“, სოციალურ-პოლიტიკური განვითარების იმ დონეზე მყოფი და იმ საერთაშორისო პირობებში მოქცეული, როგორიც და როგორშიაც რუსეთი იყო. 1801 წლის აქტი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობაში განმსაზღვრელია ერთად-ერთი მომენტი—პოლიტიკური სარგებელი. რუსეთს წილად ხვდა ამ დებულების ისტორიული დემონსტრაცია: მისმა სახელმწიფო ინტერესებმა გარდაუვალად მოითხოვა ერთგული და დანდობილი მოკავშირე სამეფოს მოშლა.

სწორედ ამ უჩვეულო ვითარებით იყო გამოწვეული ის ბოლომოუღებელი, თუმცა ყალბი, ამოჩემება მიუხვეჰელობა-უანგარობისა და სამართლიანობისა, ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტიდან მოკიდებული რომ ქვეყანას არწმუნებდნენ საქართველოს საკითხში

რუსეთის მთავრობა და მისი მსხვილი თუ წვრილი ადგილობრივი მოხელენი.

ინგლისის აგენტი, ბუნებრივია, მოწინააღმდეგის ამ სუსტი პოზიციის გამოყენებას ცდილობდა.

* * *

შუა ივნისში აბას-მირზა ყარაბაღზე წამოვიდა სპარსელებმა ვერ აიღეს სოფელი მიგრი, რომელსაც მამაცი პოლკოვნიკი კოტლიარევსკი იცავდა. სამაგიეროდ სხვა დაუცველ სოფლებს საძარცვავად მოედვნენ. სპარსეთის ტახტის მემკვიდრე ბამბაკისაკენ მოიწევდა. ამავე დროს არზრუმის სერასკერს მან მოციქული გაუგზავნა და შეთანხმებისდა კვალად საქართველოზე ლაშქრობა მოსთხოვა. მაგრამ მოკავშირენი ერთი მეორეს უცდიდნენ და არც ერთი არ ჩქარობდა ამ სახიფათო წამოწყებას.

**1810 წლის კამპანიის შედეგები.** ბოლოს, 13 აგვისტოს 1810 წელს ერევნის ხანი ხუსეინ-ყული 10000 კაცით ჯავახეთში მოვიდა და ახალქალაქს დადგა. ერევნის ხანს თან ახლდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლის გასამეფებლად ვითომც-და ეს ჯარი ქართლში უნდა შეჭრილიყო. ერევნის ხანი მხოლოდ საკუთარი ძალით ამას ვერ ბედავდა და ახალციხიდან შერიფ-ფაშის ლაშქრის მოსვლას ელოდა. შერიფ-ფაშა ახალციხელი კი ადგილიდან ვერ იძვროდა, რადგან ეშინოდა, რომ ზურგიდან თავს დაესხმოდა მისივ მოსისხარი სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი. რომელიც მას აჭარიდან უთვალთვალებდა.

ვიდრე ხუსეინ ყული-ხანი ახალაქალაქს იდგა და ჯარს ელოდა, ტორმასოვმა მის წინააღმდეგ გენერალი პაულუჩის სარდლობით რუსთა ათასეული გაგზავნა. ათასეულს თან ახლდა ხუთასი კაცისაგან შემდგარი ქართველთა რაზმი. რუს-ქართველთა ჯარი ღამით მიეპარა მტრის ბანაკს და გათენებისას, 1810 წლის 5 სექტემბერს მოულოდნელად თავს დაესხა მძინარე მტერს. სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ. ერევნის ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი ძლივს გადარჩნენ დატყვევებას.

ახალქალაქის ბრძოლა გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო 1810 წლის მთელი კამპანიისათვის. გაქრა უშუალო საფრთხე ქართლს რომ ემუქრებოდა. ხუსეინ ყული-ხანი ყარსის საფაშოში დამდგარი-

ყო. თავის მარცხს შერიფ-ფაშას აბრალებდა და აბას-მირზას ლაშქარსა სთხოვდა ახალციხის ფაშისათვის სამაგიეროს მისაზღვავად. მართალია, ამ ფაქტს სპარსეთ-ოსმალეთის შეთანხმების ოფიციალური უარყოფა არ მოყოლია. მაგრამ მათი საერთო გამოსვლა ამის შემდეგ მოსალოდნელი აღარ იყო.

მაინც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ახალქალაქის ბრძოლას იმერეთისათვის ჰქონდა. ტორმასოვის წინააღმდეგ საერთო მოქმედების გეგმა ჩაიშალა და ამიერიდან სოლომონ მეფეს გარედან დახმარების იმედი გადაეწურა. შერიფ-ფაშას საკუთარი თავის დაცვაზე უნდა ეზრუნა, ხოლო აბას-მირზა ამ წლის კამპანიას აგრეთვე დასრულებულად სთვლიდა, ერევანს დამდგარიყო და თბილისში მყოფ ეფრემ სომეხთა კათალიკოზის მოსაშუალეობით ტორმასოვთან საზავო მოლაპარაკების დაწყებას ცდილობდა. იმერეთის აჯანყების გამარჯვება ამიერიდან უიმედო იყო და სოლომონ მეფეს ბრძოლის ველიდან გაცლის მეტი არა დარჩენოდა რა.

ტორმასოვი საგანგებოდ ატყობინებდა სიმონოვიჩს ახალქალაქს გამარჯვების შესახებ, აჯანყებულთა იმედის გასატეხად ამ ცნობის ფართედ გავრცელებას უბრძანებდა მას და აფრთხილებდა, რომ განსაკუთრებით ფხიზლად სჭეროდა თვალყური. რათა სოლომონ მეფე იმერეთიდან არ გაქცეულიყო. საქართველოს მთავარმართებელის საზრუნავი ეხლა სოლომონ მეფის ლიკვიდაცია იყო. უამისოდ იმერეთის საქმეს ის მოგვარებულად არ სთვლიდა და მართალიც იყო: გადახვეწილ სოლომონს კვლავ შეეძლო აჯანყება გამოეწვია და იმერეთში შემოსულიყო. როცა საამისო პირობები შეიქმნებოდა. ტორმასოვს სოლომონის მოკვლის იდეა აკვიატებოდა. ყოველ ბრძანებაში, ყოველ მიმართვაში ის იმერეთის მმართველს ამ საქმეს მოაგონებდა, რჩევას აძლევდა. თანაშემწეებს უსახელებდა და ცოფმორეული იყო, რომ ნანატრი არ უსრულდებოდა. ტორმასოვს უკვირდა და ვერ გაეგო, თუ როგორ არ იპოვებოდა მთელს იმერეთში მეფის უკმაყოფილო ან მისგან ნაწყენ-შეურაცხყოფილი. ან დიდ ფულსა და ჯილდოს დახარბებული თავზე ხელაღებული ვინმე, რომელიც ამ საქმეს შეასრულებდა.

**სოლომონ მეფის გარდახვეწა.** სიმონოვიჩი თავს არ ზოგავდა ტორმასოვის ბრძანების შესრულებისათვის, მაგრამ მას ყველა ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა. 23 სექტემბერს სოლომონს უკანასკნელი შეტაკება ჰქონდა რუსთა მდევარ ჯართან ხანისწყლის ხეობაში, 25 სექტემბერს კი მეფე ახალციხეს გადავიდა.

გაწბილებული სიმონოვიჩი ტორმასოვს ამ ამბავს ატყობინებდა და თავისი მარცხის მიზეზად მეტად საინტერესო გარემოებას ასახელებდა. „საყოველთაო რევოლუციის სული“, აჯანყებულ იმერეთში რომ ბატონობდა, ისე ძლიერი იყო, რომ ამ ქვეყანაში თითქმის არავინ იპოვებოდა, ვინც დაინტერესდებოდა იმ სარგებლით, რომელიც ჩვენ მხარეზე დადგომით მას მოელოდა და ნამდვილად ჩვენი ერთგული, ვისაც შეეძლო ჩვენთვის სარგებელი მოეტანა, თითქმის არავინ იყოვო.

სიმონოვიჩს, როგორც ჩანს, „რევოლუციისა“ არაფერი ესმოდა და ამ ტერმინს ის აქ სრულიად უადგილოდ ხმარობდა. იმერეთის აჯანყებას რევოლუციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. სამაგიეროდ სიმონოვიჩი სწორად აღნიშნავდა, რომ ეს აჯანყება „საყოველთაო“ იყო, რომ ამ აჯანყებას ახლდა იდეა, რომელსაც იმერეთი ისე ძლიერად მოეცვა, რომ საერთო საქმის მოღალატე რუსულ ხელისუფლებას თითქმის ვერავინ ეპოვნა.

სიმონოვიჩი ვერ ატყობდა, რომ მან რუსეთის მთავრობის საქმეს იმერეთში, სამართლიანიაო რომ გაჰყვიროდნენ, ამით მეტად მძიმე განაჩენი გამოუტანა.

ოთხი თვის ბრძოლა ჩათავდა. აჯანყება შეწყდა და სიმონოვიჩს შეეძლო იმერეთის ადმინისტრაციულ მოწყობაზე ეფიქრნა. მაგრამ საქმის კმაყოფილი არც თითონ იყო და არც მით უფრო, ტორმასოვი. და მართლაც, ეს მებრძოლი იმერეთის მწყობრად უკან დახევა უფრო იყო. ბრძოლის მეთაური უვნებელი იყო, ხოლო ხალხი მისი ერთგული რჩებოდა. მარტო ის რად ღირდა, რომ ტორმასოვი სოლომონის მკვლელს ამის შემდეგაც დაუცხრომლად ეძებდა, ხოლო სიმონოვიჩი მთელი იმერეთის ღიდკაცობის დამძევლას აპირებდა, რომ რა არის, ეს „დამშვიდებული“ ქვეყანა კვლავ არ აჯანყებოდა.

* * *

**გურიელის უფლებების ცნობა რუსული მმართველობის მიერ.** იმერეთის საქმეში ერთგული სამსახურისათვის რუსეთის მთავრობამ გურიელი „გააბედნიერა“. მისი, როგორც იმერეთისაგან დამოუკიდებელი მთავრის, უფლებები იცნო და მამია გურიელს გურია სამთავროდ დაუმტკიცა ისეთივე პირობებით, როგორც ეს თავის დროს იმავე იმერეთის სამეფოს ხარჯზე დადიანს გაუფორმა. 19 ივნისს 1810 წელს მამია გურიელმა რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობის ტრაქტატს ხელი მოაწერა.

**ლევან ბატონიშვილი.** იმ დროს, როცა იმერეთში აჯანყება ღვიოდა და ალექსანდრე ბატონიშვილი თურქ-სპარსელთა ჯარით ჯავახეთიდან ქართლში შემოსასვლელად ემზადებოდა, ქართლის მთიანეთში ლევან ბატონიშვილი იულონისძე შესულიყო და რუსთა წინააღმდეგ მთიელებს აჯანყებისათვის მოუწოდებდა. ქართლის მთიანეთის ოსები ლევანის მოწოდებას ფიცხლად გამოეხმაურნენ და ბატონიშვილმა ლიახვის ხეობაში საიმედო დასაყრდენი იპოვა.

ქართლის მთიანეთის ოსები საქართველოს რუსული ხელისუფლების განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ. ყოფილ სამეფო ოსებს, რომლის ნაწილი ბოლო დროს იულონის საბატონიშვილოში შედიოდა, ეხლა რუსი მოხელე ჩაგდომოდა და უჩვეულო გადასახადბეგარაებით აბეზრებდა. მაგრამ უფრო უარესი ის იყო, რომ ოსთა უდიდესი ნაწილი საქართველოს მთავარმართებლებს ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წინააღმდეგ ერთგული ბრძოლის ჯილდოდ ერისთავებისათვის დაემტკიცებინათ. ოსები თავგამოდებით იბრძოდნენ და ერისთავებს საყმოდ თავს არ უდებდნენ. საქართველოს რუსული ხელისუფლება მებატონეთა მითითებით დამსჯელ რაზმებს გზავნიდა ურჩი სოფლების გასატეხად. მებრძოლი გლეხების ხვედრი ციმბირი იყო და „გახრეკა“, ესე იგი მთელი მათი ქონების მითვისება მძარცველი მებატონის მიერ. ერთი სიტყვით. ოსები რუსულ ხელისუფლებაში ერისთავიანთ მოკავშირეს ხედავდნენ და, გასაგებია, მხარს უჭერდნენ ქართლელ ბატონიშვილებს, რომელნიც მათ ერეკლეობას პირდებოდნენ, როცა ერისთავები ამ ქვეყნიდან განდევნილები იყვნენ და სამეფოდ აღრიცხული ოსები შეღავათებით სარგებლობდნენ.

მაგრამ რუსული ხელისუფლების კმაყოფილი არც დანარჩენი საქართველოს, კერძოდ, არც ქართლის გლეხობა იყო. ტორმასოვიც კი აღნიშნავდა, რომ 1809 წელს იმერეთსა და ფოთში ლაშქრობის მომსახურება მეტისმეტ ტვირთად დასწოლოდა ქართლის გლეხობას, რომელიც კინაღამ აჯანყებულიყო. ამიტომაც 1810 წლის კამპანიაში, როცა ალექსანდრე ბატონიშვილი ქართლს კარებს მომდგარიყო, ტორმასოვი ამავე გლეხთა ბეგარაზე გამოყვანის წინააღმდეგი იყო. მთავარმართებელს ეშინოდა, რომ სასოწარკვეთილი გლეხობა რუსულ ხელისუფლებას აუჯანყდებოდა და ალექსანდრე ბატონიშვილს მიუვიდოდა. ქართლის პოლიტიკური ვითარება კარგად გამოჩნდა ბნელათხევში ბრძოლის დროს 1810 წლის ივლისის დამდეგს, როცა გენერალი ორბელიანის ცდებისდა მიუხედავად აჯანყებულ იმერელთა მიერ ალყა შემორტყმულ რუსთა ჯარის დასახმა-

·რებლად ქართლელთა მცირე რაზმის გამოყვანაც კი ვერ მოხერხდა. ასეთივე პოლიტიკური ვითარების შედეგი იყო, რომ საქართველოს მმართველმა ახვერდოვმა ტორმასოვის ბრძანება ვერ შეასრულა და ქართველ მთიელთა 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი აჯანყებული იმერეთის საძარცვავად ვერ გამოიყვანა.

ასეთ ვითარებაში ოსთა სოფლებში შეხიზნული ლევან ბატონიშვილი მეტად საშიში იყო საქართველოს რუსული ხელისუფლებისათვის.

***

ლევან ბატონიშვილი ენერგიული და გაბედული ახალგაზრდა იყო. ოსებს და ქართველებს მთასა თუ ბარში ის გადამწყვეტი მომენტის დადგომას აუწყებდა და რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლად მოუწოდებდა. მისი აგენტები მოსდებოდნენ ლიახვს, ქსანს, არაგვს და თერგის ხეობას. ლევანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თავის ბიძა ალექსანდრესთან, შერიფ-ფაშა ახალციხელთან და თავის მოქმედებას ამათ სამხედრო გეგმებს უთანხმებდა. ლევან ბატონიშვილი ქართლს ალექსანდრე ბატონიშვილის შემოსვლისათვის ამზადებდა.

საქართველოს რუსულ ხელისუფლებას იმისათვის საკმაო თავისუფალი ჯარი იმჟამად არ გააჩნდა, რომ ლევანის საქმე სამხედრო ძალით სწრაფად გადაეწყვიტა. თანაც ზაფხულში ამ ტყიან ხეობაში ლაშქრობა, მოსალოდნელი იყო, დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. ამიტომ ხელისუფლება ლევანის საკითხის მოგვარებას კარგა ხანს უფრო სხვა საშუალებებით ცდილობდა და მცირე სამხედრო ექსპედიციებს სჯერდებოდა.

თავდაპირველად ლევანის მინდობა სცადეს. ბატონიშვილს მისივ აღმზრდელი იოანე ქართველიშვილი მიუგზავნეს. პატივი და დიდება აღუთქვეს და თანაც აუწყეს, რომ ასეთია მამა მისის იულონის ნებაც. ბატონიშვილმა შორს დაიჭირა და მამის ნებაც უარყო. მაშინ ტორმასოვმა ახვერდოვს სხვა უფრო მომქმედ საშუალებებზე მიუთითა. ოსები მოისყიდე, რომ ან დაიჭირონ ლევან ბატონიშვილი ან მოკლანო. ახვერდოვმა თავადები ამირეჯიბ-ფალავანდიშვილები დასაქმა, მაგრამ სასურველი შედეგი არც ამას მოჰყვა.

1810 წლის აგვისტოს მიწურულს ლევანი ჯავას იყო, როცა მასთან ვითომცდა საკუთარი ინიციატივით დავით აბაზაძე მივიდა. დავითი იულონის მხლებელი იყო და ლევან ბატონიშვილს კარგად

იცნობდა. ფიქრობდნენ, რომ აბაზაძე დაარწმუნებდა ახალგაზრდა ბატონიშვილს საქმის უიმედობაში და მას მთავრობას შემოარიგებდა. ეს ცდაც უნაყოფო აღმოჩნდა.

ამასობაში ახალქალაქის ბრძოლა მოხდა, რამაც არსებითად ლევან ბატონიშვილის საკითხიც გადაწყვიტა. ამიერიდან მთიანეთში მის საქმიანობას აზრი ეკარგებოდა.

6 სექტემბერს აბას-მირზას ბანაკიდან, ერევნის მიდამოში რომ იდგა, გამოიპარა თეიმურაზ ბატონიშვილი, სპარსელთა ჯარის არტილერიის უფროსი, და გენერალ პორტნიაგინს მიუვიდა. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი გარემოება ტორმასოვმა სცადა ლევანის მისანდობად გამოეყენებინა. ამ ცნობით დ. აბაზაძე კვლავ ლევანთან გაგზავნეს და ტორმასოვი დარწმუნებული იყო, რომ ლევანი თავის ბიძაშვილ-მეგობარს მიბაძავდა და მორჩილებით გამოცხადდებოდა, მით უფრო, რომ აბაზაძე ლევანთან ამ ცნობით სექტემბრის მიწურულს წავიდა, ესე იგი ახალქალაქის ბრძოლის შემდეგ, როცა ლევან ბატონიშვილი თავისი ბიძის ალექსანდრეს ქართლში შემოსვლას ამ წელს უკვე აღარ მოელოდა.

არც ამ ცდამ გამოიღო სასურველი ნაყოფი.

ოქტომბრის დამდეგს რუსთა ჯარი პოლკოვნიკი სტალის სარდლობით ქართლის მთიანეთის აჯანყებულ ოსთა სოფლებს ორი მიმართულებით შეესია. სოფლები გადაბუგეს, მორჩილებით მოსული ოსები ხელმწიფის ერთგულებაზე დააფიცეს.

* * *

ნარას გადამალულ ბატონიშვილის ხელში ჩაგდებას ტორმასოვი სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა. პოლკოვნიკი გაბრიელ ყაზიბეგი „სამსახურის“ ჩვენებით ბატონიშვილის მიტყუებას და მის მუხთლურად დაჭერას აპირებდა. ლევანი არ ენდო გამცემელს. კავკავის კომენდანტი გენერალი დელპოცო ნარელების შევიწროვებით ცდილობდა აეძულებია ისინი, რომ სტუმარი ან ცოცხლივ ან მკვდარი გაეცათ.

თავდაპირველად ტორმასოვმა შედარებით იაფად შეაფასა ლევანის თავი. ბატონიშვილის მკვლელს ის ხუთას მანეთს ჰპირდებოდა. მაგრამ საქმე გაძნელდა. ლევანი დიდის მოხერხებით ინახავდა თავს და უკიდურესი შევიწროვებისდა მიუხედავად ქედს არ იხრიდა. ტორმასოვს ხელთ ჩაუვარდა შერიფ-ფაშის წერილი. ახალციხის

ფაშა აიძულებდა ბატონიშვილს, აქებდა მის მხნეობას და თავისთან იწვევდა, სადაც ამ დროს სოლომონ მეფეც შეხიზნული იყო. აქ ჩემთან გადაიხამთრე, ბიძა შენი ალექსანდრეც ამას გირჩევს, და მომავალი წლის მოქმედების გეგმაც აქ შევიმუშავოთო. ეხლა ტორმასოვმა მეტი ფასი დასდო ლევან ბატონიშვილს. ყველგან ბრძანება აფრინა, რათა ფხიზლად თვალი სჭეროდათ, რომ ბატონიშვილი ახალციხეს არ გაჰპაროდათ. შანშე ერისთავი მას ქართლში უთვალთვალებდა, სიმონოვიჩი ზურაბ წერეთელსა და ანტონ ერისთავს საქმავდა.

ამასობაში 1810—1811 წლის ზამთარი მიიწურა და მთას შეხიზნული ლევანი სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. უეჭველი იყო, რომ მომავალ ზაფხულში, როცა სპარსეთ-ოსმალეთი სამხედრო მოქმედებას დაიწყებდნენ, ლევანი მთიანეთის აჯანყებას კვლავ შეეცდებოდა. ამიტომ მისი საქმის მოთავება ზაფხულამდე იყო აუცილებელი.

ტორმასოვმა იშუამდგომლა და იულონ ბატონიშვილს პეტერბურგიდან წერილი მიაწერინეს შვილთან. მებრძოლ შვილს მამა დამორჩილებას ურჩევდა. მამის სიტყვას ლევანმა არც ეხლა დასდო ფასი. შემდეგ გაჯიუტებულ ბატონიშვილს პორუჩიკი ერემია ბაგრატიონი ესტუმრა. ეს ოფიცერი ტორმასოვთან პეტრე ბაგრატიონის წერილით მოსულიყო. პეტრე ურჩევდა ტორმასოვს, რათა მას ალექსანდრე და ლევან ბატონიშვილებთან მოსარიგებლად ეს ახალგაზრდა კაცი გამოეყენებინა. ლევანმა ერემია ბაგრატიონი ტორმასოვის მიერ შეჩენილ მკვლელად მიიღო. დააჭერინა ის და გაყიდა.

ამასობაში ზაფხულმა მოატანა და ლევანმაც აქტივობას უმატა. ივნისში ის ნარადან გამოვიდა და ქსან-არაგვის აჯანყებაც სცადა. მაგრამ ხელისუფლების მიერ წინასწარ მიღებულ ენერგიულ ღონისძიებათა გამო ასეთი რამ ეხლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ლიახვი ჯერ ისევ გასულ წელს, ხოლო არაგვი ეხლა დაემძევლათ, ქსანს კი შანშე და ელიზბარ ერისთავები დატრიალებდნენ.

ლევანი ისევ ნარას დაბრუნდა და ახალციხეს გაქცევა გადაწყვიტა.

ტორმასოვი ყოველი მხრით ეცადა, რათა ხელთ ეგდო შეურიგებელი ბატონიშვილი. საქართველოს მთავარმართებელი ეხლა მზად იყო ორი ათასი მანეთი მიეცა ნარელი ოსებისათვის ლევანის ცოცხალ თავში. მაგრამ ტორმასოვის მიერ გაღებულ ფულს სხვა ძალა დაუპირისპირდა, აღმოჩნდა რომ არაერთ ქართლელ თავადაზნაურს აშკარა თუ საიდუმლო ურთიერთობა გაება მებრძოლ ბა-

ტონიშვილთან. ეხლა უკვე მრავლად ისხდნენ საპატიმროებში ან კიდევ ხელისუფლების რისხვას ემალებოდნენ ლევანის მომხრეობისათვის ყმა-მამულ ჩამორთმეული ძაჩაბლები, ამირეჯიბიანნი, ფავლენიშვილ-გედევანიშვილები და სხვანი. არც ნარელმა ოსებმა დაიდვეს ერეკლეს სახლის სისხლი...

ბოლოს, ლევან ბატონიშვილის გაცემა თითქო იკისრა ნარელმა მამასახლისმა რაჯაბა ოსმა. პაემანის თანახმად მან ლევან ბატონიშვილი მისი მხლებლებით რუსთა რაზმთან სოფელ სხლების მიდამოში თითქო მოიყვანა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მხლებელნი დაიჭირეს, ხოლო ბატონიშვილი მარტო გაიქცა უცხენ-უიარაღო· მის კვალს ვერ მიაგნეს. სამართლიანი ჩანს ტორმასოვის ეჭვი, რომ ეს საქმე იმავე ნარელი ოსების მოწყობილი იყო.

**ლევან ბატონიშვილის დაღუპვა.** ნარადან გამოქცეული ლევანი რაჭაზე გამოვლით ბორჯომის ხეობაში გადავიდა, სადაც გოგიას ციხეს ის დაიღუპა 1811 წლის ოქტომბერში, როგორც ამბობდნენ, ლეკი აბრაგის ხელით.

* * *

**აფხაზეთის სამთავროს შეერთება.** 1810 წლის ოქტომბერში რუსეთის მთავრობამ საბოლოოდ შეიერთა ფეოდალური საქართველოს კიდევ ერთი მხარე. აფხაზეთის მთავარმა გიორგი შარვაშიძემ ალექსანდრე ხელმწიფისაგან სამთავრო ნიშნები მიიღო და იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა. ასე რომ ამიერიდან დასავლეთ საქართველო, ოსმალთა მონობის უღელქვეშ დარჩენილი აჭარისა და ქვემო გურიის გარდა, თითქმის მთლიანად რუსეთის ხელში გაერთიანდა.

აფხაზეთის შემოერთება რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა და მისი გახანგრძლივებაც ამით აიხსნება. საქმე ის იყო, რომ აფხაზეთი, ისევე როგორც ფეოდალური საქართველოს სამხრეთი ნაწილიც. დამპყრობელს ოსმალურ ადმინისტრაციულ ერთეულად, სამაჰმადიანოდ გადაექცია და ამ ქვეყნის მაჰმადიანი მმართველიც ოსმალეთის სახელმწიფო მოხელე ორთუღიანი ფაშა იყო. ამიტომაც რუსეთის მიერ ამ ქვეყნის შემოერთება ოსმალეთთან უომრად შეუძლებელი იყო. მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილების შემოერთების საკითხი, როგორც ქრის-

ტიანული ქვეყნებისა და ოსმალეთისაგან მხოლოდ ნომინალურ დამოკიდებულებაში მყოფთა, ასეთ სიძნელეს არ შეხვედრია.

აფხაზეთის შემოერთებას კი რუსეთისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს დიდი ნაწილი აფხაზეთზე მოდიოდა. აფხაზთა მთავრის (ანუ ოსმალო ფაშის) ხელთ იყო უშუალოდ ან მას ექვემდებარებოდა შავი ზღვის ნავსადგურები—სოხუმი, ანაკლია, ფოთიც აფხაზეთის მთავრის ხელქვეშე იყო. გარეთ რჩებოდა ბათომი, რომელსაც, დიდი ხანია, აგრეთვე აფხაზთა მთავრის სახლისკაცი—შარვაშიძე განაგებდა. აფხაზეთისა და ამ ნავთსადგურების რუსეთის ხელში გადასვლით ოსმალეთის პოლიტიკურ გავლენას კავკასიაში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ნიადაგი ეცლებოდა.

აფხაზეთის შემოერთების საქმე გიორგი შარვაშიძის მამის ქელაიშ-ბეგის დროსვე დაიწყო.

ქელაიშ-ბეგ შარვაშიძის მამა აჰმედ-ფაშა პირველი მაჰმადიანი იყო აფხაზეთის მთავრის სახლიდან. თურმე სულტანმა აჰმედ IV რენეგატს დიდი პატივი დასდო, ციხე ფოთი ჩააბარა, ორთუღიანი ფაშობა უწყალობა და საკადრისი ჯამაგირიც გაუჩინა. აჰმედ-ფაშის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი ქელაიშ-ბეგს ეჰირა. ქელაიშ-ბეგი ოსმალეთშიაც და აფხაზეთშიაც დიდად მიღებული კაცი იყო. ქელაიში მაჰმადიანი იყო. აფხაზეთში მაჰმადიანობა უმთავრესად ჯერ მხოლოდ მმართველ კლასს შეეხებოდა. ხალხის ფართე მასები კი ქრისტიანებადვე რჩებოდნენ ან პირველყოფილ საკუთარ რელიგიას მისდევდნენ.

როგორ მოხდა ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ ოსმალეთის სულტანსა და ქელაიშ-ბეგს შორის ძველი ურთიერთობა დარღვეულა. სულტანს ეს თავისი მოხელე სასიკვდილოდ გაუწირავს. მაგრამ ქელაიშ-ბეგს თავის დროზე შეუტყვია სულტნის გადაწყვეტილება და თავდაცვითი ზომაც მიუღია. ის აფხაზეთში გამაგრებულა. მაგრამ არც აშკარად სულტანს ასჯანყებია.

ამ ხანებში ამიერკავკასიაში რუსეთი შემოვიდა. ქელაიშ-ბეგი, როგორც გონიერი პოლიტიკოსი, საჭიროდ სცნობდა ამ ახალმოსულ ძალას ასე თუ ისე გასწყობოდა. ყირიმი უკვე რუსეთის იყო, ხოლო ეხლა მასვე ქართლ-კახეთი დაეჰირა და სამეგრელოს ეჰიდებოდა.

აფხაზეთი ფეოდალურ დასავლეთ საქართველოში შედიოდა და მის პოლიტიკურ ურთიერთობაში მუდამ ორგანიულ მონაწილეობას იღებდა. არც ეხლა იყო ქელაიშ-ბეგი სოლომონ მეფისა და გრიგოლ დადიანის ბრძოლის გარედან მაყურებელი. სოლომონ მეფის მიერ

შევიწროებული გრიგოლ დადიანი ქელაიშ-ბეგის მომხრეობას დიდად საჭიროებდა და ბუნებრივია, რომ ის თავს იწუხებდა ამ ძლიერი მეზობლის შემოყვანისათვის რუსხელმწიფის მფარველობაში.

ჯერ კიდევ 1803 წელს გრიგოლ დადიანის მეწიგნე კვინიხიძეებმა ციციანოვს ზეპირად განუცხადეს, რომ ქელაიშ-ბეგს ხელმწიფის საფარველში შემოსვლა სურს და ამ საქმის მოსაშუალედ გრიგოლ დადიანი ეგულებაო. მათვე მოახსენეს ციციანოვს, ალბათ ამ უკანასკნელის კითხვის პასუხად, საინტერესო პოლიტიკური გარემოებაც,—რომ ქელაიშ-ბეგი ოსმალეთის სულტანისაგან დამოუკიდებელი მთავარიაო.

ციციანოვს ეს ცნობა მეტად ესიამოვნა. მით უფრო, რომ ფოთი მას ქელაიშ-ბეგის ხელში ეგულებოდა. თუ აფხაზეთის მთავარი გააცხადებდა, რომ ფოთი მისი საკუთრებაა, ხოლო თითონ ის ოსმალეთისაგან დამოუკიდებელია, ამით ციციანოვს კანონიერი საბუთი მიეცემოდა, ქელაიშ-ბეგის ხელმწიფის მფარველობაში შემოყვანით, ფოთზე ხელი დაედო და რუსეთის მეგობარ ოსმალეთს კი საჩივლელი არაფერი ექნებოდა. კიდევ მეტიც: ანაკლიაც ხომ იმავე ქელაიშ-ბეგისა იყო...

ციციანოვმა სთხოვა გრიგოლ დადიანს, ურჩიოს ქელაიშ-ბეგს, რათა მან ეს თავისი სურვილები წერილობით გამოთქვას.

მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზეთის მთავრის ნასწრაფევად რუსხელმწიფის საფარველს ქვეშ შემოყვანა გრიგოლ დადიანის სურვილი უფრო იყო, ვიდრე თვით ქელაიშ-ბეგისა. უკანასკნელი ნიადაგს სინჯავდა და საქმეს არ ჩქარობდა. ასეთ მოქმედებას უკარნახებდა მას რთული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა.

სამურზაყანოს მფლობელი შარვაშიძენი—ქელაიშ-ბეგის სახლისკაცები—ქრისტიანები იყვნენ და აფხაზეთის მთავრის მოქიშპენიც. 1804 წელს მანუჩარ შარვაშიძე ციციანოვს უცხადებდა, რომ სამურზაყანო სამეგრელოს არის მოკიდებული, რომ ის არც ოსმალეთისაა და არც ქელაიშ-ბეგისა. ამიტომ სამართლიანი იქნებოდა, თუ დადიანთან ერთად ისიც ხელმწიფის ქვეშევრდომი შეიქმნებოდა. მაგრამ მანუჩარ შარვაშიძეს ძმები ჰყავდა, რომელთაგან ბეჟანი სულ სხვა კვალს ადგა,—ქელაიშ-ბეგის მხარეს ირჩევდა. მანუჩარი თავის ძმას ბეჟანს მტრობდა და რუსთა დახმარებით მის შემძლავრებას აპირებდა, უკანასკნელი ქელაიშ-ბეგს ეკედლებოდა.

სამურზაყანო აფხაზეთის მთავარსა და დადიანს შორის ბოლომოუღებელი ქიშპის საგანი იყო. ეს ბრძოლა ძველიდანვე მოდიოდა.

პირველად დადიანი სძალავდა, მაგრამ შემდეგ აფხაზთა მთავრებმა შეავიწროვეს დადიანი და სამურზაყანოც მოისაკუთრეს.

უცხო დამპყრობელი ოსმალეთი, რა თქმა უნდა, ამ ფეოდალური ქიშპის პასიური მაყურებელი არ იყო და ამ ქვეყანაში თავისი გავლენის გასაძლიერებლად მას მარჯვედ იყენებდა. კერძოდ, აფხაზეთის მთავრის გამაჰმადიანება პოლიტიკური აქტი იყო, რომელიც ერთი მხრით ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას გულისხმობდა, ხოლო მეორე მხრით ოსმალეთისავე დახმარებით ამ მთავრის მიერ თავისი მოძმე—მეზობლების მიმძლავრებას.

ეხლა, როცა ხელმწიფის საფარველში შესული დადიანი შარვაშიძიანთ სახლის საკუთრება—სამურზაყანოს ქრისტიანობით წამოექიდა, ბუნებრივია, ქელაიშ-ბეგი მას შეუგულძვირდა და ოსმალეთის სულტანს გაეწყო, თუმც საბოლოოდ გულგაწმენდილი არც მასთან იყო ეს გონიერი ფეოდალი.

ქელაიშ-ბეგი ძლიერად არბევდა მანუჩარ და ლევან შარვაშიძეთა ნაწილ სამურზაყანოს, მოსახლეობას ძალით ყრიდა და თავის სამფლობელო აფხაზეთში ასახლებდა. ციციანოვი, ოსმალეთის რიდით, აფხაზეთში ვერ შედიოდა და ხელმწიფის მფარველობის მოიმედე შარვაშიძენი შევიწროვებული რჩებოდნენ. ამ პირობებში ქელაიშ-ბეგი აფხაზეთზე ოსმალეთის სუვერენიტეტის პროკლამაციას თავისთვის სასარგებლოდ სთვლიდა. ოსმალეთის სულტნის მოხელის როლში გამოვიდა ქელაიშ-ბეგი 1805 წელს, როცა გენერალმა რიკჰოფმა ოსმალო მეციხოვნეებს ანაკლია წაართვა. სტამბოლიდან მოვლინებული ოსმალო მოხელის თანდასწრებით რიკჰოფმა მას გადასცა ანაკლია და ციხის აღებისას შემთხვეული ზარალიც რუსმა მოხელე ლიტვინოვმა ქელაიშ-ბეგს აუნაზღაურა.

მაგრამ აფხაზეთის მემკვიდრე მფლობელი ქელაიშ-ბეგი არ აპირებდა, რომ ოსმალეთის სულტნის მოხელეობას შერჩენოდა. ფეოდალური საქართველოს უდიდეს ნაწილში რუსეთის მთავრობის მიერ ფეხის მოკიდება აფხაზეთის მთავარს აიძულებდა ამ ახალ ძალასთან მორიგება ეფიქრნა. ამას უკარნახებდა მას ფეოდალური ქიშპი მეზობელ დადიანთან თუ სახლისკაც შარვაშიძეებთან და ქელაიშ-ბეგი სწორედ იმავე ხანებში, როცა რუსეთის მთავრობის ქვეშევრდომობაში შესულ თავის მეზობლებს და სახლისკაცებს ავიწროებდა, საქართველოს მთავარმართებელს პირდაპირი თუ მოვლითი საშუალებებით თავის პრორუსულ ორიენტაციას ატყობინებდა.

1805 წელს ერთი, იმ დროის ოსმალეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი, ამბავი მოხდა. ტრაპიზონელ ტაიარ-ფაშას

სულტნის მოღალატეობა შეაჩნდა. ფაშას სიკვდილი ელოდა. ის გამოიქცა და ქელაიშ-ბეგს შეეხიზნა. ლტოლვილ ფაშას ოსმალეთის სულტნის კარიდან გამოგზავნილი ჯალათი კვალდაკვალ მოჰყვა. აფხაზეთის მთავარმა ტაიარ-ფაშა მოსაკლავად ჯალათს არ დაანება და მალე ამ თავის სტუმარს რუსეთის სამფლობელო ყირიმში გაქცევის საშუალება მისცა. ამით ქელაიშ-ბეგმა ოსმალეთის სულტნის წინაშე მძიმე ურჩობა გამოიჩინა. ასეთი საქციელი მას დაუსჯელად არ ჩაუვლიდა და აფხაზეთის მთავარიც თავის დასაცავად ზომებს იღებდა.

ქელაიშ-ბეგი ამ თავის საქციელს რუსეთის მთავრობის სათნო საქმედ სთვლიდა. მომხდარი ამბის შესახებ მან ციციანოვს მისწერა და თავისი სურვილიც ხელმწიფის საფარველში შესვლის შესახებ მას გარკვევით აცნობა. მეორე მხრით აფხაზეთის მთავარმა ტაიარ-ფაშას თან გაატანა რუსხელმწიფისათვის წარსადგენად თავისი საქვეშევრდომო პირობები. ტაიარ-ფაშამ ქელაიშ-ბეგის საქმე ნოვოროსიის გუბერნატორს რიშელიეს გააცნო. ამ უკანასკნელმა კი ის რუსეთის მთავრობას მოახსენა.

ამ ხანებში დამოკიდებულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის თანდათან უარესდებოდა. ციციანოვიც მოკლეს და რუსეთის მთავრობის საქმეები ამიერკავკასიაში საფრთხის ქვეშ დადგა. ქელაიშ-ბეგი გაძვირფასდა. ეხლა რუსეთის მთავრობა იმასაც დიდ მიღწევად სთვლიდა, თუ აფხაზეთის მთავარი დადიანის წინააღმდეგ სოლომონ იმერთა მეფეს არ შეუკავშირდებოდა. პეტერბურგიდან ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებას საგანგებოდ უბრძანებდნენ, რათა ყოველი ღონე ეხმარათ აფხაზეთის მთავრის გულის მოსაგებად. რაც შეეხება ქელაიშ-ბეგის ხელმწიფის საფარველში მიღებას, ეს თუმცა ფრიად სასურველი იყო, მაგრამ, ვიდრე რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი გრძელდებოდა, მოუხერხებელი ჩანდა. თანაც რუსეთის მთავრობა არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ქელაიშ-ბეგი ამ ნაბიჯით თავის მთავრობასთან პოლიტიკურ თამაშს არ ეწეოდა და რომ ამ მაჰმადიან მთავარსა და ოსმალეთის სულტნის დიდმოხელეს ქრისტიანი ხელმწიფის ხელქვეშ შემოსვლა გულწრფელად სურდა.

ქელაიშ-ბეგი კი ამ თავისი გადაწყვეტილების გულწრფელობის არა ერთ საბუთს იძლეოდა. ის არ შეუკავშირდა სოლომონ იმერთა მეფეს, არამედ, პირიქით, კეთილმეზობლობის ხელწერილი დაუდო დადიანის სახლს. ასევე ფიცით მოურიგდა ის სამურზაყანოელ ლევან შარვაშიძეს. ამავე რიგის იყო ქელაიშ-ბეგის პასუხი ოსმალეთის მთავრობის ღონისძიებაზე.

1806 წელს. ივლისში ქელაიშ-ბეგის დასასჯელად აფხაზეთის სანაპიროს ტრაპიზონიდან ოსმალეთის ფლოტილია მოადგა. ოსმალებმა ძველებურ ხერხს მიმართეს. მთავრის სახლის შიგნით არსებული ფეოდალური ქიშპის გამოყენება სცადეს: ქელაიშ-ბეგის პირად მტერს მანუჩარ შარვაშიძეს მთავრის წინააღმდეგ ლაშქრობაში მოუწოდეს. გენერალმა რიკჰოფმა მანუჩარი დააჯერა ასეთი ნაბიჯის არასასურველობაში.

აფხაზეთის მთავარი ოსმალურ დამსჯელ ექსპედიციას საგანგებოდ მომზადებული დაუხვდა. აფხაზებს გარდა მას დამხმარედ ჩერქეზები მოსვლოდნენ. ქელაიშ-ბეგის 25000-იანი ლაშქრის წინააღმდეგ ოსმალთა ექსპედიცია უღონო იყო და მას უშედეგოდ უკან დაბრუნების მეტი არაფერი დარჩენოდა. დამსჯელი ექსპედიციის გაწბილებულმა უფროსმა უხერხული მდგომარეობიდან ვითომ გამოსავალი ნახა. მან განაცხადა, რომ ფლოტილია გამოგზავნილი იყო მხოლოდ ტაიარ ფაშის წასაყვანად, ხოლო რაკი ეს მოღალატე ფაშა აფხაზეთიდან წასულა. მას აქ სხვა საქმე არა აქვს რა.

რა თქმა უნდა, ამ განცხადებისა არავის სჯეროდა და ყველაზე უფრო არა სჯეროდა ქელაიშ-ბეგს, რომელმაც სულტნის კარის თვისებები მეტად კარგად იცოდა.

ამის შემდეგ ქელაიშ-ბეგს რუსეთის მთავრობამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქცია. მით უფრო. რომ ეხლა 1806 წელი იყო, როცა ოსმალეთთან ომს დღედღეზე მოელოდნენ. ბოლოს. 1806 წლის მიწურულს რუსეთ-ოსმალეთს შორის ომიც დაიწყო. უკუმდგარი მთავრის დასაღუპავად ოსმალეთის მთავრობა საშუალებებს ეძებდა. ქელაიშ-ბეგი კი რუსხელმწიფის წყალობას მოუთმენლად ელოდა და საქართველოს მთავარმართებელისაგან შემწეობას ითხოვდა. რუსეთის მთავრობა საქმეს სწავლობდა, ფრთხილობდა და გადაწყვეტილების მიღებას აგვიანებდა. საქართველოს რუსული ხელისუფლება ქელაიშ-ბეგისაგან პოლიტიკური გულწრფელობის უეჭველ საბუთს—ოსმალთა წინააღმდეგ ომში აქტიურ მონაწილეობას მოითხოვდა. ამ დროს დიდ შიშში იყვნენ, რომ ოსმალთა ჯარი ყულევს დაეცემოდა. ქელაიშ-ბეგს შეეძლო წარმატებით მოევვარებინა რუსთა მიერ ფოთის ღალატით აღება. რომლის ციხისთავი ამ მთავრის დადგენილი იყო. ერთი სიტყვით, აფხაზეთის მთავარს შემთხვევა ეძლეოდა. თავისი პოლიტიკური პოზიცია საბოლოოდ გამოერკვეია. ასე მსჯელობდა რუსეთის მთავრობა.

ხელმწიფის საფარველში მიღების საქმეში რუსეთის მთავრობის ასეთი ხელგვიანობა ქელაიშ-ბეგს აეჭვებდა და მიმდინარე ომში მას განსაკუთრებულ სიფრთხილეს უკარნახებდა. აფხაზეთის მთავ-

არი იძულებული იყო სახიფათო ნეიტრალური პოზიცია აერჩია. ამიტომაც იყო, რომ ქელაიშ-ბეგი არც ყულევის ოსმალთაგან დასაცავად გამოსულა და არც რუსეთისათვის ფოთის შოვნას ცდილა. 1807 წლის 14 ივლისს საქართველოს მთავარმართებელი გარკვევით აყვედრიდა აფხაზეთის მთავარს, რომ მას, ხელმწიფის საფარველში შესვლის მაძიებელს, მთელი ამ ომის დროს ხელმწიფისათვის სამსახური რაიმე არ უჩვენებია.

ოსმალეთი კი ქელაიშ-ბეგს, თუ აქამდე სულტნის ურჩობას აბრალებდა, ამიერიდან იგი მას სახელმწიფოს და რჯულის მოღალატედაც სთვლიდა.

* * *

1807 წლის აგვისტოში რუსეთ-ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. აფხაზეთის მდგომარეობა არ შეცვლილა, ის ოსმალეთის ხელშივე დარჩა. ქელაიშ-ბეგის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ეხლა, ვიდრე დროებითი ზავი გრძელდებოდა, რუსეთის მხრით ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების იმედი მას აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა.

და ოსმალეთის მთავრობამაც ეს დრო შეარჩია აფხაზეთის მთავრის დასაღუპავად.

ქელაიშ-ბეგს მრავალი შვილი ჰყავდა. მამის სახელოს დამკვიდრებისათვის ისინი ერთიმეორეს მტრობდნენ. ოსმალეთმაც ეს მომენტი გამოიყენა.

2 მაისს 1808 წელს ქელაიშ-ბეგი მოკლა საკუთარმა შვილმა არსლანმა, დაიპყრა სოხუმის ციხე და ოსმალეთის სულტანს წყალობა სთხოვა. არსლანის წინააღმდეგ ქელაიშ-ბეგის უფროსი ვაჟი სეფერ ალი-ბეი გამოვიდა, ზუფუს მფლობელი. მან მოაოხრა არსლანის საბატონიშვილო და ალყა შემოარტყა სოხუმს, სადაც მამისმკვლელი ჩაკეტილიყო.

სეფერ ალი-ბეიმ გენერალ რიკჰოფს აცნობა მომხდარი ამბავის შესახებ. დახმარება სთხოვა მას და რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში აფხაზეთის შემოყვანა აღუთქვა. სეფერ ალი-ბეი გარკვევით უპირისპირდებოდა ოსმალეთს, რომლის აგენტადაც ის თავის მეტოქე არსლანსა სთვლიდა. ამავე დროს სეფერ ალი-ბეიმ დადიანის სახლს დახმარება სთხოვა. სეფერ ალი დადიანის სიძე იყო და, როგორც ამბობდნენ, ქრისტიანობაში მოქცეულიც, თუმცა ამ უკანასკნელ გარემოებას ის პოლიტიკური მოსაზრებით აქამდე არ ამხელდა.

* * *

საქართველოს მთავარმართებელი აფხაზეთში მომხდარ ფაქტს დიდის ყურადღებით მოეკიდა, თუმცა ამ საქმეში უშუალო ჩარევას ოსმალეთთან დროებითი ზავის დარღვევის შიშით ის მოერიდა. სოლომონ იმერთა მეფის საკითხის მოუგვარებლობაც საქართველოს მთავარმართებელს სიფრთხილეს უკარნახებდა. მაგრამ ამ პირობებშიაც რუდოვიჩმა გამოსავალი იპოვნა და სეფერ ალი-ბეის დახმარება აღმოუჩინა: ნინა დედოფალს მეგრელთა ჯარით და მანუჩარ შარვაშიძეს ნება მისცა სეფერ ალი-ბეის მიშველებოდნენ.

**აფხაზეთის საკითხი სამეგრელოს მთავრის კარზე.** სამეგრელოს მთავრის კარზე აფხაზეთში მომხდარ ამბავს ქართულად შეხედეს. ნინა დედოფლის აზრით აფხაზეთის მიღება რუსეთის ხელმწიფის საფარველში კანონიერი იმიტომ იქნებოდა, რომ აფხაზეთი „არს უკვე წევრი სამეგრელოისა, რომლისათვის მარჯვედ მისაღებელ არს მონარხობისა მიერ თქვენისა“-ო, უსაბუთებდა თავის აზრს ნინა დადიანი რუსხელმწიფეს და ისტორიასაც იშველიებდა, როცა აფხაზეთის „ტახტი ნიკოპსისა დადიანისა ლევანისა და წინაპართა მათთა“ იყო.

მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ სამეგრელოს მთავრის კარი აფხაზეთის შემოყვანას რუსხელმწიფის საფარველში სხვა დიდმნიშვნელოვან მომენტს უკავშირებდა. აფხაზეთი უძველესი დროიდან ქართულ-ქრისტიანული კულტურის ქვეყანა იყო რუსხელმწიფის საფარველს ქვეშ მისი შემოყვანით ეს ქართული ქრისტიანული კულტურა, რომელსაც ოსმალეთის მაჰმადიანური პოლიტიკის წყალობით აფხაზეთის თავადაზნაურობაში პოზიციები შერყეოდა, ამ ქვეყანაში კვლავ უნდა განმტკიცებულიყო. როგორც კი რუსხელმწიფის საფარველში შევიდოდა, სეფერ ალი-ბეი თავის ქრისტიანობას გააცხადებდა, ქრისტიანებადვე მოიქცეოდა მისი მომხრე თავადაზნაურობაც, ხოლო ფართე მასების უმეტესობა, დადიანის განცხადებით, აქამდეც ქრისტიანი რჩებოდა. ამ ფაქტს მოჰყვებოდა, დადიანის კარის აზრით, დაუქმებული ქართული ეკლესიის აღდგენა აფხაზეთში, რასაც რუსეთის მთავრობის ხელისშეწყობით სამეგრელოს ქართული ეკლესია შეასრულებდა.

დადიანისა და მანუჩარ შარვაშიძის ჯარები სოხუმს მივიდნენ. სოხუმი კარგად გამაგრებული ციხე იყო, მას მრავალი ათეული ზარბაზანი იცავდა. არსლან-ბეის დასახმარებლად ამ დროს ფოთიდან ქუჩუკ-ბეი, — შარვაშიძიანთ სახლისკაცი და ფოთის ციხისთავი მო-

სულიყო ოსმალთა რაზმით. არსლანსავე მოსვლოდა სამასამდე ჩერქეზი. ასე გამაგრებული ციხის წინააღმდეგ დადიანის ლაშქარი უმწეო იყო. მოალყეთა უშედეგო უკუქცევამ სეფერ ალი-ბეის მომხრე აფხაზებს გული გაუტეხა, ხოლო ოსმალთა საქმიანმა დახმარებამ არსლან-ბეის მომხრეები გაამხნევა.

პეტერბურგში შესაძლებლად დაინახეს ხელმწიფის საფარველში სეფერ ალი-ბეის მიღება. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ოსმალეთთან მოლაპარაკება, ამ დროს რომ მიმდინარეობდა, ასე თუ ისე დამთავრდებოდა. მანამდე კი ეს საქმე არ უნდა გახმაურებულიყო. რუსეთის მთავრობის სამხედრო და პოლიტიკური პოზიციები ოსმალეთთან დამოკიდებულებაში ეხლა ძლიერი იყო და ამ ხელსაყრელი მომენტის გამოუყენებლობა და აფხაზეთის შემოერთებაზე უარის თქმა გაუმართლებელი იქნებოდა.

მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სამართლიანი საბუთი. სამეგრელოს სამთავროს კარის მიერ მიწოდებული საამისო საბუთი საქართველოს რუსულმა ხელისუფლებამ გაიზიარა, ოღონდ თავისებური შესწორებით. ეს საბუთი ეხლა ასე გამოიყურებოდა: ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი  ქ ვ ე ყ ა ნ ა  ა ფ ხ ა ზ ე თ ი  ფ ე ო დ ა ლ უ რ ი  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  ნ ა წ ი ლ ი  ი ყ ო  დ ა,  გ უ დ ო ვ ი ჩ ი ს  მ ტ კ ი ც ე ბ ი თ,  ქ ე ლ ა ი შ-ბ ე გ ი ს  მ ა მ ი ს ო ბ ა მ დ ე  ი ს  ი მ ე რ ე თ ი ს ა გ ა ნ  დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი  ს ა მ თ ა ვ რ ო  ი ყ ო.

სამეგრელოს ნაცვლად იმერეთის გამოტანას აფხაზეთის „პატრონად" გუდოვიჩის თვალში ის უპირატესობა ჰქონდა, რომ დღეს არა ხვალ იმერეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, უნდა გამქრალიყო. იქ რუსული მმართველობა უნდა შემოეღოთ, მაშინ როცა სამეგრელოს სამთავრო ჯერჯერობით რჩებოდა და ნინა დადიანის საბუთს კი აფხაზეთის მიმართ თუმცა გაუბედავი, მაგრამ მაინც გარკვეული პრეტენზიის უსიამოვნო სუნი სდიოდა.

ასე იყო თუ ისე რუსეთის მთავრობას მოპოვებული ჰქონდა საკმაო საბუთი იმის მტკიცებისათვის, რომ აფხაზეთის შემოყვანა რუსხელმწიფის ქვეშევდრომობაში მეზობელი ოსმალეთის უფლების უსამართლო დარღვევა კი არ იყო, არამედ  ი ს ტ ო რ ი უ ლ ი  ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს  ა ღ დ გ ე ნ ა.

სიმართლე კი ის იყო, რომ ოსმალეთი აქ მართლაც მიმტაცებელი იყო და მას არც უფლება რამ ჰქონია, რომ ვინმეს იგი დაერღვია; მაგრამ, მეორე მხრით, ეს იყო არა აფხაზეთის განთავისუფლება,— დანარჩენ საქართველოსთან მისი შეერთებით, როგორც ეს რუსეთის მთავრობას სურდა მიეჩვენებინა, არამედ მისი გადმოყვანა ოსმალურ „აზიური" დილეგიდან ცარიზმის „ევროპულ" საპყრობილეში.

* * *

გუდოვიჩის პირით სეფერ ალი-ბეის ხელმწიფის ნება შეატყობინეს და „სათხოვარი პუნქტების“ ანუ საქვეშევრდომო პირობების წარდგენა მოთხოვეს.

აფხაზეთის მთავრის საქვეშევრდომო პირობები ანალოგიური იყო სხვა ასეთივე ტრაქტატებისა, რუსეთის მთავრობა რომ ამ დროს ამიერკავკასიელ ფეოდალებს—მთავრებს თუ ხანებს—უდებდა. თავისებურება ის იყო, რომ სეფერ ალი-ბეი—ამიერიდან გიორგი შარვაშიძე—რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში შედიოდა აფხაზეთის „ძველი სარწმუნოებით“, რომელსაც „მისი წინაპრები აღიარებდნენ“ ესე იგი „ბერძნული ქრისტიანობით“.

სეფერ ალი-ბეი არსლანის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა და ხელმწიფის წყალობას მოუთმენლად ელოდა.

ამასობაში გენერალი რიკჰოფი გარდაიცვალა და გუდოვიჩმა დასავლეთ საქართველოს საქმეები გენერალ ორბელიანს ჩააბარა. მალე საქართველოს მთავარმართებლად გუდოვიჩის ნაცვლად ტორმასოვი დაინიშნა.

1809 წლის 13 აპრილს რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი განახლდა.

ორბელიანი ფოთის ციხის უომრად შოვნას ცდილობდა. ციხისთავს ქუჩუკ-ბეი შარვაშიძეს მან მიუგზავნა ვახტანგ გურიელი, პოდპოლკოვნიკი ერისთავი, სოსლან და მანუჩარ შარვაშიძენი. მოლაპარაკებამ არ გაჭრა და ორბელიანი ფოთზე ომით მივიდა და აიღო კიდევაც. აქ ოსმალთა წინააღმდეგ გრიგოლეთის ბრძოლაში გურულებთან და მეგრელებთან ერთად მხნედ იბრძოდნენ სეფერ ალი-ბეის მომხრე აფხაზებიც.

ბოლოს, 1809 წლის შუაზე პეტერბურგიდან ტორმასოვს აცნობეს, რომ სეფერ ალი-ბეის მიღება ხელმწიფის ქვეშევრდომობაში გადაწყვეტილია და ინვესტიტურის ნიშნებიც მალე გამოეგზავნებაო. პენსიონიც დაუნიშნეს აფხაზეთის მთავარს—2500 მან., ხოლო მის დედინაცვალს—1500 მან. წლიურად. ხელმწიფის ეს წყალობა, ვარაუდობდნენ, გავლენას მოახდენდა აფხაზ თავადებზე და სეფერ ალი-ბეის გააძლიერებდა არსლანის ხარჯზე, რომელსაც ეხლა ოსმალეთის სულტანი აფხაზეთის მთავრად აღიარებდა.

* * *

ოსმალეთთან ომი გრძელდებოდა. რუსთა ჯარს ანაპა აეღო, ფოთიც ხომ ორბელიანმა აიღო. ეხლა ორი ციხე ღა რჩებოდა შავი

ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, საიდანაც ოსმალეთი კავკასიის ხალხებს უკავშირდებოდა. ამ ციხეების დაპყრობა რუსთა მიერ დიდი წარმატება იქნებოდა კავკასიაში გასაბატონებლად და ტორმასოვი მართალი იყო, ს ო ხ უ მ ი ს ა და ს უ ჯ უ კ ი ს (ეხლა ნოვოროსია) დაპყრობას რომ ჩქარობდა. მატერიკიდან ამ ციხეების აღება ძნელი იყო. სადესანტო ჯარით ზღვიდან ეს უფრო მოსახერხებელი ჩანდა. თანაც ტორმასოვს ჯარი მცირე ჰყავდა. ის მოგერიებითი ომისათვის ძლივს კმაროდა. ამ ჯარის ნაწილის აფხაზეთში დაბანდება ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო. ამიტომ საქართველოს მთავარმართებელი ითხოვდა, რათა სოხუმისა (და შემდეგ სუჯუკის) ასაღებად სევასტოპოლიდან საამისო ფლოტილია გამოეგზავნათ.

მაგრამ, ვიდრე ამაებზე თბილის-პეტერბურგს შორის მიმოწერა გრძელდებოდა და გიორგი შარვაშიძე ხელმწიფისაგან აფხაზეთის მთავრად დადგინების წიგნისა და სხვა ნიშნების უსასრულო მოლოდინში იყო, არსლან-ბეი იქამდე გაძლიერდა, რომ უკიდურესად შევიწროვებული გიორგი იძულებული შეიქმნა თავისი ქვეყნიდან თითქმის ლტოლვილი ქუთაისს სიმონოვიჩს ხლებოდა და მისთვის დახმარება ეთხოვნა. გიორგის საქმის წარმატებაში შეეჭვებული აფხაზი თავადაზნაურობის უმრავლესობა არსლანის მხარეს დამდგარიყო. საფრთხე დგებოდა, რომ არსლანი გიორგის აფხაზეთიდან საბოლოოდ გამოაძევებდა.

ეხლა ტორმასოვი გარკვევით შეპირდა გიორგის, რომ გაზაფხულზე (1810 წ.) სევასტოპოლიდან ფლოტილია მოვა სოხუმის ასაღებად.

ბოლოს, 1810 წლის 7 აპრილს, როგორც იქნა, პეტერბურგიდან ხელმწიფის წყალობის სიგელი და ინვესტიტურის სხვა ნიშნებიც გამოგზავნეს. აქვე იყო ფიცის წიგნი ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე. ეს უკანასკნელი გარემოება მარტო იმით როდი აიხსნება, რომ, სეფერ ალი-ბეი გაქრისტიანდა, და მართლმადიდებლური ქრისტიანობის ენა კი ამიერკავკასიაში ქართული იყო, არამედ უმთავრესად იმით, რომ იმ თავიდან აფხაზეთი ქართული ფეოდალური კულტურის ზიარი ქვეყანა იყო და მისი კულტურული ურთიერთობის ენა ქართულივე იყო. მაჰმადიანი ქელაიშ-ბეგიც ხომ ქართულ ენას მიმართავდა თავის საკუთარ ბიძა-ძმის შვილებთან საქმიან ურთიერთობაში, ისევე როგორც სამეგრელოს მთავარსა თუ იმერეთის მეფესთან მიმოწერისას.

ინვესტიტურის ნიშნებმა თბილისში მაისის შუაზე მოაღწია. მაგრამ გიორგი შარვაშიძემ ეხლა ამ წყალობის საზეიმო გამოჩვე-

ნებით მიღება ვერ გაბედა. გიორგი შარვაშიძის აზრით ამისათვის პირველად საჭირო იყო მისი გამარჯვების უზრუნველყოფა—ესე იგი სოხუმის აღება, არსლანის გაძევება და აფხაზ თავადაზნაურობისაგან მძევლების აყვანა, თუ არა ინვესტიტურის მიღებას არსლანის საპასუხო ზომები და აფხაზეთიდან გიორგის საბოლოო გაძევება მოყვებოდა.

რუსეთის მთავრობა უსიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდა: ის იძულებული გახდა აფხაზეთი ომით ეშოვნა, რათა ის უმიწაწყლო გიორგი შარვაშიძისათვის ზეიმით ჩაებარებინა

* * *

8 ივლისს 1810 წელს რუსთა სამხედრო გემები კაპიტანი დოლტის სარდლობით სოხუმს მოადგა და ორი დღის მკაცრი ბრძოლით 11 ივლისს აიღო ის. ამის შემდეგ დოლტს სწრაფად სუჯუკს ლაშქრობა ებრძანა, რათა ოსმალეთს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საბოლოოდ ფეხი ამოკვეთოდა.

სოხუმში რუსთა გარნიზონი ჩადგა. ინვესტიტურის ნიშნებით ფოთიდან მაიორი მოიზა გაგზავნეს და სოხუმში აფხაზ თავადების თანდასწრებით ხელმწიფის ეს წყალობა დიდის გამოჩვენებით გიორგი შარვაშიძეს ჩააბარეს. ეს მოხდა 1810 წლის ოქტომბერში. ახალმა მთავარმა სოხუმში დაიდვა ბინა.

* * *

მას შემდეგ რაც ოსმალეთი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან გაიდევნა, საჭირო გახდა მისი შეცვლა ეკონომიურადაც. ცნობილია, რომ გარკვეული სახის საქონელი დასავლეთ საქართველოში შავი ზღვით შემოდიოდა. ეს ვაჭრობა კი დიდი ხანია ოსმალეთის ქვეშევრდომთა მონოპოლიად ქცეულიყო. განსაკუთრებით საგრძნობი იყო მარილის, მატყლის, რკინის და დამარილებული თევზის საჭიროება. რუსი ვაჭრები კი ყირიმიდან არ მოდიოდნენ. საქართველოს რუსული მმართველობა ჩიოდა ამ გარემოებას და რუსეთის მთავრობას სთხოვდა, რათა იძულებულ ეყოთ ყირიმელი ვაჭრები, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ვაჭრობა ეწარმოებინათ. ეს ფაქტი თვალსაჩინო მაჩვენებელი იყო იმისა, თუ რამდენად ჩამორჩებოდა რუსეთის ეკონომიკა მის საგარეო პოლიტიკას.

* * *

**ბრძოლა ახალციხის შემოერთებისათვის.** 1810 წლის შემოდგომისათვის საქართველოს რუსული მმართველობის სამხედრო-პო-

ლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა. სპარსეთიდან შემოტევა მტერს უშედეგოდ დაუმთავრდა, ოსმალეთმა კი აფხაზეთი დაკარგა. ალექსანდრე ბატონიშვილი ქართლში ვერ შემოიჭრა; ხოლო იმერეთის აჯანყება ჩაქრობილ იქნა, ისევე როგორც ყუბის სახანოს აჯანყება. იმერეთის აჯანყების ერთდროულად რომ მიმდინარეობდა. დამარცხებული შიხალიხან ყუბელი დაღისტანში გადაიხვეწა. ხოლო ყუბაში, ისევე როგორც იმერეთში, რუსული მმართველობა შემოიღეს.

ეხლა ტორმასოვს უკვე შეეძლო შეტევაზე ან, უფრო სწორად, აქტიურ თავდაცვაზე ეფიქრნა, რათა მტრისათვის საქართველოს წინააღმდეგ შეტევის მარჯვე პოზიციები ხელიდან გამოეგლიჯნა. ასეთი იყო ძველი ქართული მესხეთი, რომელიც ეხლა, ოსმალეთის ადმინისტრაციულ ერთეულად ქცეული, ახალციხის საფაშოდ იწოდებოდა.

უკვე ორი საუკუნე გასულიყო, რაც საქართველოს ამ ლვიძლ მხარეში ოსმალები ბატონობდნენ. დავით აღმაშენებლისა და თამარის დროის საქართველოს მეწინავე სადროშო ანუ ფორპოსტი ანატოლიის თურქ სელჩუკების წინააღმდეგ საუკუნოვან ომში—ძველი მესხეთი ეხლა ახალციხის საფაშოს სახით ოსმალთა დასაყრდენად ქცეულიყო საქართველოს და ამიერკავკასიის დაპყრობის საქმეში.

განსაკუთრებით აუტანელი და სახიფათო გახდა ახალციხის საფაშოს მხრიდან ოსმალთა მეზობლობა მას შემდეგ, რაც ერეკლემ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და 1768—1774 წლის ომში ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო 1783 წელს ხელმწიფის საფარველში შევიდა და რუსთა ჯარი საქართველოში მოიწვია. ამიერიდან ახალციხის საფაშო მტაცებელ ლეკთა საბუდრად იქცა და თუ აქამდე ლეკთა შემოსევანი ჭარბ-ბელაქნიდან სწარმოებდა, უკვე ნახევარი საუკუნე სრულდებოდა, რაც ახალციხე მათ მეორე ასეთივე ბუნაგად ქცეულიყო. საიდანაც აღმოსავლეთი თუ დასავლეთი საქართველო ოხრდებოდა. კაკ-ენისელი—ეს კახეთის ჩამონაგლეჯი აღმოსავლეთით და მესხეთ-ჯავახეთი სამხრეთ დასავლეთით ეს იყო ჭრილობა გვიანფეოდალურ საქართველოს სხეულზე, რომლის განკურნება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური აღდგომის პირობა ჩანდა. ორასი წლის მანძილზე საქართველო ამ შეუნელებელ ტკივილსა გრძნობდა და ასევე შეუნელებლად მის განკურნებას ცდილობდა.

1801 წელს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ტეხილი მოხდა. გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური

არსებობა შეწყდა და რუსეთის მთავრობამ „საქართველოს" („გრუზიას") რუსული მმართველობის სახით კოლონიურ „კავკასიის გადაღმა ქვეყანას" („ზაკავკაზიეს") საძირკველი ჩაუყარა.

რუსული „საქართველოს" მმართველთა წინაშე კაკ-ენისელისა და მესხეთ-ჯავახეთის საკითხები ძველი, ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობით. ბუნებრივია. აღარ იდგა. რამდენადაც რუსეთის მთავრობამ თვით საქართველო მოშალა როგორც პოლიტიკური ერთეული. მაგრამ ლეკური ჭარ-ბელაქნისა და ოსმალური ახალციხის საფაშოს საკითხები არც საქართველოს რუსული ხელისუფლებისათვის კარგავდნენ თავის სიმწვავეს. ამ მხარეებიდან ლეკები ეხლაც ძველებურადვე დათარეშობდნენ ქართულ სოფლებში. ხოლო შუასაქართველოში წამოწეული ოსმალური ახალციხის საფაშო ყოვლად შეუთავსებელი იყო მთავრობის პროექტით მოხაზული რუსულ „ზაკავკაზიესთან".

ბრძოლა ჭარბ-ბელაქნისა და ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ საქართველოს რუსულმა ხელისუფლებამ თავისი გაჩენის დღიდანვე დაიწყო. ჭარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხის გვერდით ახალციხის შემოერთების საკითხი ჯერ ისევ ციციანოვმა აღძრა. მაგრამ თუ ჭარ-ბელაქნის მიმართ ასეთი წამოწყება მოსახერხებელი გახდა. ახალციხეზე ლაშქრობა შეუძლებელი იყო, ვიდრე რუსეთსა და ოსმალეთს შორის კეთილ-მეზობლობა და კავშირი გრძელდებოდა.

მხოლოდ მას შემდეგ. რაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი ატყდა. ანუ 1806 წლის მიწურულიდან. ეს დაბრკოლება აღარ არსებობდა და ახალციხის საფაშოს დაპყრობა საქართველოს რუსული მმართველობის დღის წესრიგში პრაქტიკულად დადგა . მაგრამ ეხლა სიმძიმე იმაში იყო. რომ საქართველოს მთავარმმართებელს ლაშქარი მცირე ჰყავდა. ხოლო საომარი ასპარეზი მეტისმეტად ფართე: გარედან ორი მხრით მტერი. ხოლო შიგნით ბოლომოუღებელი აჯანყებანი. ამავე დროს ევროპაში საერთაშორისო მდგომარეობა ისე დაძაბული იყო, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოს მთავარმართებლისათვის სამხედრო ძალების მომატების საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ უკანასკნელს ევალებოდა. რათა ჯერხნობით თავდაცვას დასჯერებოდა და სამხედრო ძალით შეტევის ნაცვლად მტრების წინააღმდეგ უპირატესად დივერსიის სხვა საშუალებანი გამოეყენებინა.

* * *

ტორმასოვს ახალციხის საფაშოს დაპყრობა სრულიად გარდაუვალად მიაჩნდა საქართველოს დაწყნარებისათვის და მთავარმმარ-

თებლად მოსვლის დღიდანვე ამ საქმისათვის ის არც ღონეს ზოგავდა.

ახალციხის საფაშოსთვის იმ დროს ორი ფაშა იბრძოდა, შერიფი და სელიმი. ამას წინ 1802 წლის 17 ოქტომბერს. აჭარელ სელიმ ხიმშიაშვილს შარიფ ფაშა ჯაყელი გაეძევებინა და ახალციხის საფაშო თავისთვის ხმლით ეშოვნა.

ამ დროს ოსმალეთის სახელმწიფო უკიდურეს პოლიტიკურ დაცემულობას განიცდიდა. ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელეები—ფაშები თავნებობდნენ. სულტანის ხელისუფლებას მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდნენ, ნამდვილად კი თავიანთ საფაშოებში დამოუკიდებელ ხელისუფლებას ახორციელებდნენ.

სელიმ ფაშის მიერ გაძევებული შერიფ ფაშა დიდხანს უნაყოფოდ ცდილობდა თავისი სამკვიდრო ახალციხის შოვნას. ოსმალეთის სახელმწიფო კარის შემწეობით 1805 წელს შერიფმა ანატოლიელი უსუფ ფაშის სამხედრო ძალა მოირთო და სელიმი ახალციხიდან გააძევა. უკანასკნელმა კვლავ თავის სამკვიდრო აჭარას მიაშურა, იქ გამაგრდა და მცირე ხნის შემდეგ ახალციხის საფაშო ისევ ხელთ იგდო.

ორი ფაშის ამ ურთიერთშორის ბრძოლაში ოსმალეთის სახელმწიფო კარი უფრო ხშირად მხარს შერიფ ფაშას უჭერდა. სელიმ ფაშაც ამის საპასუხო ღონეს ეძებდა. ბოლოს, 1809 წელს ოსმალეთის მთავრობამ შერიფს ტრაპიზონის სერასკერობა მისცა და ამით მასვე დაუქვემდებარა ტრაპიზონის აღმოსავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ციხე-ნავსადგურები. შერიფი, ამრიგად, სელიმს გაუმეზობლდა და დაუნდობელი მტრობა მათ შორის ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა.

საქართველოს რუსული ხელისუფლება მეზობელი საფაშოების პოლიტიკურ მდგომარეობას გულმოდგინედ ზვერავდა და ხელსაყრელი ვითარების თავისთვის გამოყენებას ცდილობდა.

მთავარმართებელ ტორმასოვსა და სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს შორის მოლაპარაკება ჯერ ისევ 1809 წლის გაზაფხულიდანვე სწარმოებდა. ტორმასოვი სელიმ ფაშას რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში ეპატიჟებოდა, ახალციხის ფაშა კი რუსთა ძალის შემწეობით თავისი დამოუკიდებელი მდგომარეობის განმტკიცებას აპირებდა.

1809 წელს საქართველოს მთავარმართებელი მარინე გურიელის, მაიორი ჯორაშვილის და პოლკოვნიკი პეტრე ორბელიანის პირით სხვადასხვა დროს ახალციხელ სელიმ ფაშას მეგობრობა-სიყვარულს უცხადებდა, ახალციხის საფაშოში თუ მის მეზობლად შექ-

მნილ საშიშ სირთულეებზე მიუთითებდა, ომით და დაპყრობით აშინებდა და აქვე არწმუნებდა, რომ ყველა ამ სიძნელის საწინააღმდეგო უებარი საშუალება მისი (ფაშის) რუსხელმწიფის საფარველში შემოსვლა იქნებოდა, რომ ხელმწიფის საფარველში სელიმ ფაშა ახალციხის საფაშოს საშვილიშვილოდ დაიმკვიდრებდა და ურყევ ბედნიერებას ეწეოდა.

ამავე დროს, მეორე მხრით, გენერალმა ორბელიანმა ტორმასოვის ბრძანებით ტრაპიზონელ შერიფ ფაშასთან მაიორი მაჩაბელი მიგზავნა და მას რუსხელმწიფის საფარველში შემოსვლა შესთავაზა. ამისათვის საკმაო არისო, რათა შერიფ ფაშამ „უმნიშვნელო სამსახური“ აჩვენოს ხელმწიფეს: სამეგრელოს ახლოს რომ ზოგიერთი ციხენავსადგურია, ისინი გადმოსცეს ორბელიანს. სამაგიეროდ რუსთა ჯარის დახმარებით შერიფი ახალციხის საფაშოს დაიბრუნებს და ხელმწიფის მტკიცე საფარველში შემოსული მის უშურველ წყალობას ეღირსება.

მაგრამ ყველა ამ მოლაპარაკებიდან არაფერი გამოდიოდა.

1809 წელს შემოდგომაზე, როცა ორბელიანი ფოთს ალყად ადგა ტრაპიზონელი შერიფ ფაშა ოსმალთა დიდი ჯარით მის წინააღმდეგ წამოვიდა, მაგრამ 6 ნოემბერს ის გრიგოლეთს დამარცხდა და უკუქცეული, ტრაპიზონს დაბრუნების ნაცვლად, 400 კაცით ჰოროხის ხეობაში, ლივანას, თავის ძმისწულ სული ბეგს ესტუმრა. ამ უკანასკნელის შემწეობით შერიფმა ახალციხის საფაშო სელიმს აუჯანყა. შერიფ ფაშის სახლის კაცებმა და სხვა მისმა მომხრეებმა სელიმ ფაშის მიმდგომთ სძლიეს და ხიმშიაშვილი ისევ აჭარას შეეფარა. დამარცხებულმა ფაშამ დახმარებისათვის სიმონოვიჩს მიმართა.

სელიმ-შერიფის ეს ურთიერთ შორის ომი ხელსაყრელი შემთხვევა იყო ახალციხის საფაშოს დაპყრობისათვის. ტორმასოვმა ფიცხლავ პეტერბურგში აცნობა საქმის ვითარება და ახალციხეზე ლაშქრობის ნება ითხოვა. თანაც ამ ოპერაციას ის შესაძლებლად სთვლიდა მას შემდეგ, როცა სპარსეთთან ზავს მიაღწევდა. ხელმწიფემ ახალციხის დაპყრობის განზრახვა ტორმასოვს მოუწონა, ოღონდ უმჯობესი იქნებაო, თუ ასეთი რამ მაგ ორი ფაშის ურთიერთ შორის ბრძოლის ნიადაგზე ჩვენის მხრით უომრად მოეწყობაო.

* * *

სპარსეთთან ზავი არ ხერხდებოდა, ზამთარიც იყო და იმერეთის საქმეებიც უკიდურესად დაძაბული. ასეთ პირობებში ტორმასოვმა ახალციხეს ლაშქრობა ვერ გაბედა და არც სელიმ ფაშას მიახმარა

ჯარი, თუმცა მასთან მოლაპარაკება ამის შემდეგაც არ შეუწყვეტნია. საქართველოს მთავარმართებელი სელიმ ფაშის გამოყენებას სხვა უფრო ხელსაყრელი დროისათვის ვარაუდობდა.

ფაშებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. 1810 წლის ზამთარშივე ხიმშიაშვილი თავისი აჭარლებით ახალციხეს შემოადგა, მაგრამ მწვავე ბრძოლაში დამარცხდა და ისევ აჭარაში უკუიქცა. ამის შემდეგაც სელიმი თავის მოქიშპეს უთვალთვალებდა.

შერიფმა საფაშო შემოიმტკიცა და საქართველოს რუსული ხელისუფლების მიმართ აშკარა მტრობის გზას დაადგა. ახალციხეში ალექსანდრე და ლევან ბატონიშვილები გაჩნდნენ. აქ ისინი შერიფ ფაშასთან ერთად მომავალ ზაფხულზე ქართლში სამხედრო მოქმედების გეგმებს აწყობდნენ. ლეკთა დასტებიც საკმაოდ იდგნენ ახალციხეს და ქართლის საძარცვავად ამხედრებას აპირებდნენ. რუსთა ჯარის შეტევის მოლოდინში შერიფ ფაშა ახალციხეს საგანგებოდ ამაგრებდა.

თბილისში პატიმრობიდან გაქცეულმა სოლომონ მეფემ აქვე ახალციხეში დაიდვა ბინა და შერიფ ფაშას ღონე და საშუალება არ დაუზოგავს ლტოლვილი მეფის იმერეთშივე დასაბრუნებლად.

ახალციხის საფაშო იყო 1810 წლის სპარსეთ-ოსმალეთის სამხედრო კამპანიის ცენტრი. აქედან იყო ნავარაუდევი შეერთებული სპარს-ოსმალთა ჯარის შეტევა საქართველოდან რუსთა განდევნისა და იქ ბატონიშვილი ალექსანდრეს გამეფების ლოზუნგით. და ბოლოს, როცა ეს წამოწყება, ახალქალაქს ხუსეინ ყული-ხანის დამარცხების გამო, ჩაიშალა და უკუქცეული სპარსელებიც ერანს გადაიკრიფნენ, როცა, შემდეგ, იმერეთის აჯანყებაც დამარცხდა და აფხაზეთიც რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში შევიდა,—ყველა ამის შემდეგაც შერიფ ფაშა საქართველოს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ სამტრო მოქმედებას ძველებურად განაგრძობდა. მან შეიფარა ლტოლვილი სოლომონ მეფე, რომელიც იმერეთის საზღვრად ოძრხის ციხეში დაბინავდა. ამავე დროს შერიფ ფაშა ამხნევებდა ფვალეთს შეხიზნულ ლევან ბატონიშვილს და თავისთან მოუწოდებდა მას, რათა სოლომონ მეფესთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად მომავალი წლის სამხედრო გეგმა შეემუშავებინათ.

* * *

ტორმასოვმა ახალციხის საფაშოს დაპყრობა 1810 წლის შემოდგომისათვის დაიგულა. მაგრამ საქართველოს მთავარმართებელს ეშინოდა, რომ შემოდგომამდე ოსმალეთთან ზავი არ დადებულიყო. ბალკანეთის ფრონტზე ოსმალეთის მდგომარეობა მძიმე იყო და

ფიქრობდნენ, რომ ის საზავო მოლაპარაკებას დაიწყებდა. ასე რომ, თუ ტორმასოვი იმ დრომდე ახალციხის დაპყრობას ვერ მოასწრობდა, ეს ქვეყანა ისევ ოსმალთა ხელში დარჩებოდა. ამიტომ 6 ივლისს ტორმასოვმა მოლდავეთის ფრონტის სარდალს კამენსკის მიმართა და მას ოსმალეთთან საზავო პირობებში ახალციხის საფაშოს დათმობის შეტანა გაუპირა. ასეთი მოთხოვნილების ოფიციალური საბუთი კი ტორმასოვის აზრით ის იქნებოდა, რომ ეს ქვეყანა „საქართველოს ძველი სამკვიდრებელია, რადგან ამ საფაშოს მიწები მუდამ საქართველოს ეკუთვნოდა და ახალციხის საფაშოს მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველები არიან, რომელთაგან ერთმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო, სხვები კი ეხლაც ქრისტიანობას მისდევენ“.

საქართველოს პოლიტიკური უფლების ეს დემონსტრაცია ამ რუსი მოხელის მიერ ერთ-ერთი გამოვლინება იყო იმ თვალთმაქცობისა, 1801 წელს ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტით რომ დაიწყო. რეალურად პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ამ მანიფესტის გამოქვეყნების დღიდანვე აღარ არსებობდა. თუმცა ფორმალურად ის ამის შემდეგაც კარგა ხანს რჩებოდა, სანამ, ბოლოს, ეს უშინაარსო ფორმაცა და მისი სახელიც „საქართველო“ ისტორიას არ ჩააბარეს და მოვლენას რეალურ პოლიტიკური შინაარსის შესაფერისი სახელი არ უწოდეს—„ზ ა კ ა ვ კ ა ზ ი ე“. მანამდე კი, უპირატესად პირველ ხანებში, საჭირო იყო ამ შიშველი უსამართლობის შენიღბვა. ამ მიზანს ისახავდა დროდადრო საქართველოს ვითომცდა პოლიტიკური არსებობის დემონსტრაცია. სხვა საქმეა, რომ ეს არავის სწამდა,—ყველაზე ნაკლებად ის თვით ამ საქმის ავტორებს სწამდათ,—მთავარი ის იყო, რომ გამონახულ იქნა რაღაც ფორმა, რომლის დემონსტრაციით რუსეთის მთავრობა ამ თავის უსიამოვნო თვისებას ფარავდა და სამართლიანობის მოქმედის პოზაში მედიდურად დგებოდა.

* * *

კამენსკიმ ტორმასოვს იმედიანი პასუხი ვერ მისცა. ასე რომ მთავარმართებელი ეხლა საქართველოს ამ ძველი უფლების განაღდებას ისევ ხმლით აპირებდა.

საქმის გასაადვილებლად ტორმასოვი სელიმ ფაშასთან მოლაპარაკებას განაგრძობდა, შერიფ ფაშის წინააღმდეგ სალაშქროდ ეპატიჟებოდა მას და ხელმწიფის ხელქვეშ ახალციხის ფაშობას პირდებოდა.

1810 წლის შემოდგომისათვის ტორმასოვი ახალციხეს სალაშქროდ საგანგებოდ შეემზადა. რუსთა ჯარს გარდა ლაშქრობაში მონაწილეობისათვის მოუწოდეს ქართველ თავად-აზნაურობას. სიმონო-

ვიჩს თან უნდა წამოეყვანა გურულ-მეგრელ-იმერლები. იმედი ჰქონდათ, რომ ზურაბ წერეთელი თავისი ვაჟით და სხვა სოლომონის ორგული თავადაზნაური ხალისით გამოვიდოდა ახალციხის ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

ქართველებისათვის ოსმალური ახალციხე („ახისხა“) დიდი ხანია ეროვნული უბედურების სინონიმად ქცეულიყო. ახალციხე ოსმალთა ხელში ის პუნქტი იყო, საიდანაც ოსმალეთი საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ამოგდებისა და მისი გადაშენების პოლიტიკას ახორციელებდა. ოსმალთა ხელში ახალციხე ის პუნქტი იყო, სადაც თავს იყრიდა, თავშესაფარს და დასაყრდენს პოულობდა საქართველოს ყველა მტერი: ლეკი-მტაცებელი, ტყვის მსყიდველი თავადაზნაური, მეფის წინააღმდეგ აჯანყებული რეაქციონერი თავადი თუ მეფობის მაძიებელი ბატონიშვილი, ერთი სიტყვით, საკუთარი ქვეყნის ყველა მოღალატე. ამიტომაც იყო, რომ ქართველებს ახალციხის დაპყრობა, იქ ოსმალთა საბუდარის მოშლა და მესხეთის შემოერთება საქართველოს აღდგომის საწინდრად მიაჩნდათ. ამით აიხსნება, რომ ტორმასოვის მოწოდებას ცხოველად გამოეხმაურნენ და ქართველთა შორის ახალციხეში ლაშქრობის მოხალისე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამას მთავარმართებელი ვარაუდობდა.

სიმონოვიჩის მოწოდებაზე მრავლად გამოვიდნენ გურულ-მეგრელ-იმერლები. დიდ პატრიოტულ საქმეზე იმერელმა მოხალისეებმა წინ წაიმძღვარეს დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს დ რ ო შ ა.

აღმოსავლეთ საქართველოს მილიციას ტორმასოვმა თამაზ ორბელიანი უთავა, რომელსაც თანაშემწეებად ვახტანგ ორბელიანი და კონსტანტინე ბაგრატიონი დაუნიშნა.

რუს-ქართველთა ლაშქარი ახალციხის საფაშოში სამი მიმართულებით შევიდა. გენერალი სიმონოვიჩი იმერეთიდან ოძრხეზე წამოვიდა, გენერალი პორტნიაგინი—წალკაზე, ხოლო ქართლიდან ბორჯომის ხეობით თვითონ ტორმასოვი მოდიოდა მთავარი ჯარით.

პაემნის თანახმად სიმონოვიჩს სელიმ ფაშა თავისი აჭარლებით ოძრხის მიდამოებში უნდა შეხვედროდა. აქ სელიმს რუსხელმწიფის ქვეშევრდომობის ფიცი უნდა მიეღო, რის შემდეგ ის კანონიერ ფაშად გამოცხადდებოდა და სიმონოვიჩთან ერთად ახალციხეზე წამოვიდოდა.

სამი მხრიდან ერთდროული შეტევით ტორმასოვი შერიფ ფაშის შიშით გატეხას აპირებდა. მაგრამ ამ ლაშქრობას თავიდანვე მარცხი დაჰყვა. სელიმ ფაშა მოულოდნელად „ავად“ გახდა და სიმონოვიჩს ვერ შეეყარა. ეჭვობდნენ, რომ ეს ავადმყოფობა სელიმის მოგონე-

ბული ხერხია, თუმცა ოფიციალური უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ და ხიმშიაშვილს ამის შემდეგაც ელოდნენ. ტორმასოვი ვარაუდობდა, რომ სოლომონ იმერეთის მეფე ახალციხეში ჩაიკეტებოდა და საქართველოს მთავარმართებელი დიდი ხნის ნატვრას შეისრულებდა: ცოცხალს ან მკვდარს იმერეთის მეფეს ის ხელთ იგდებდა. მაგრამ წინდახედულმა მეფემ ტორმასოვს აქაც იმედი გაუცრუა. ის ახალციხეში არ დადგა და ერევანს გადაიხიზნა.

15 ნოემბერს რუს-ქართველთა ჯარი ახალციხეს მჭიდრო ალყად შემოდგომოდა.

მწვავე ბრძოლა გაიმართა. ოსმალები თავს მამაცურად იცავდნენ, მსხვერპლს არ ერიდებოდნენ და მოწინააღმდეგესაც ძლიერად აზიანებდნენ. ერთ-ერთი შეტაკებისას მტერს გამამხნევებელი წარმატება ხვდა: მას დავლად დარჩა დავით აღმაშენებლის დროშა.

საგანგებო შემზადების მიუხედავად ტორმასოვის ამ ლაშქრობას არსებითი ხასიათის ნაკლი აღმოაჩნდა. სარდალს, როგორც ჩანს, შერიფ ფაშის უცბათ გატეხის იმედი ჰქონდა და ლაშქრისათვის საზრდო-პურის მოპოვებას ის მტრის ქვეყანაშიც ვარაუდობდა. ამით აიხსნება ის გარემოება რომ, როცა რუს-ქართველთა ლაშქარი ახალციხეს იბრძოდა, სურამიდან გასული პურის ტრანსპორტი ძლივს შუა ხეობაში მისულიყო. მტერი არ შეშინდა და უცბად არ გატყდა, ხოლო პური ახალციხის ახლო სოფლებში, რამდენი არ ძებნეს, ვერ აღმოაჩინეს. უეჭველია, ფაშის ბრძანებით მოსახლეობამ რუსთა შემოტევის მოლოდინში პური გადამალა.

მოალყე ლაშქრის დამშევის შიში შეიქნა. ექვს დღეს გადაუღებელი წვიმა-თოვლის გამო გზა სრულიად წახდა და ღონემიხდილი ულლის ხარები დაცვივდნენ და დაიხოცნენ. პურის ტრანსპორტი პეტრეს ციხის მიდამოებში დადგა.

შეშფოთებული ტორმასოვი შიშნარევ ბრძანებაში ამ ამბავს საქართველოს მმართველს გენერალ ახვერდოვს ატყობინებდა და აჩქარებდა, რათა ამ უკანასკნელს ყოველი ღონე ეხმარა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში სატვირთე ცხენის მობილიზაციისათვის.

* * *

საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების დღიდან ქართველ გლეხკაცობას უმძიმეს მოვალეობად დააწვა საგზაო ბეგარა და ჯარის სატრანსპორტო მომსახურება. რუსთა ჯარი საქართველოში განუხრელად იზრდებოდა. ამიერკავკასიის დაპყრობის დიდი ამოცანა ამ ჯარის მუდმივ მოძრაობა-გადაჯგუფებასა და ყოველ-

წლიურ ლაშქრობებს იწვევდა. ამისდა კვალად საქართველოს მშრომელი მოსახლეობის საგზაო და სატრანსპორტო ბეგარა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. მოსახლეობა იძულებული იყო მიწის მუშაობა თუ სხვა საშინაო სამეურნეო საქმე გაეშვა და ლაშქრის მიმოსვლის გასაადვილებლად ხიდები ეშენებინა, ახალი გზები გაეტანა, ზვავი გაეწმინდა, ლაფი ეშრო, ლაშქრის სადგომად ყაზარმები აეგო და ქვეყნის შიგნით მოძრაობისას თუ შორეულ ექსპედიცია-ლაშქრობისას ჯარისათვის საჭირო პური თუ სხვა ბარგი საკუთარი მუშა საქონლით—ცხენით თუ ურემ-ხარ-კამეჩით ეზიდნა გლეხი კაცი სულ ერთიანად პარტახდებოდა. ის თვეობით ბეგარაზე ცდებოდა, უხვნელ-უთესველი რჩებოდა. ხოლო მისი მუშა საქონელი უგზოობის პირობებში მძიმე ტვირთის ქვეშ იხოცებოდა.

რუსეთის მთავრობა ამ ხანებში (XIX საუკუნის პირველ ათეულში) ეკონომიურად მეტად გაჭირვებული იყო, ხელმომჭირნეობდა და საქართველოს მთავარმართებელს სასტიკი ეკონომიის რეჟიმის დაცვას ავალებდა. საქართველოს რუსული მმართველობაც ამ ეკონომიის რეჟიმს უპირველეს ყოვლისა გლეხთა საბეგარო შრომის ხარჯზე ახორციელებდა. ბეგარის მრავალი სახეობა, გზის მომსახურება, მაგალითად, მთლად უფასო იყო, ხოლო ტვირთის ქირას იშვიათად იძლეოდნენ და ისიც სრულიად უმნიშვნელოს—ცხრა ფუთი ტვირთის ერთ ვერსზე გადატანაში ქირად ერთ კაპიკს იძლეოდნენ. მაგრამ უარესი ის იყო, რომ ეს საგლეხო ბეგარა საკუთარი გამდიდრების წყაროდ აქციეს კაპიტან-ისპრავნიკებმა და პროვიანტის სამხედრო მოხელეებმა. მექრთამეობა-უსამართლობა ყვავოდა, ძღვენსაჩუქრისა თუ ქრთამის გაღებით ესა თუ ის მებატონე შეუმსუბუქებდა ან სულ მთლად ააცდენდა თავის გლეხებს ამა თუ იმ საბეგარო მოვალეობას. ეს იმით ხერხდებოდა, რომ მექრთამე მოხელე ასეთ შემთხვევაში ამათ საბეგრო შრომას იმ უბედურებს გადააკისრებდა ხოლმე, რომელთაც არც გავლენა ჰქონდათ და არც საკმაო ძღვენ-ქრთამი მოეპოვებოდათ. მაგრამ ბოროტმოქმედება კიდევ უფრო შორს მიდიოდა. უსინდისო მოხელენი გლეხებს იმ მცირე ქირასაც კი არ აძლევდნენ, რის მიცემისაც მოვალენი იყვნენ. ბოლომოუღებელი დაპირებით გლეხს ილაჯი უწყდებოდა და ასეთი ტანჯვით მონარეწ სასყიდელზეც კი უარს ამბობდა: ნებით არ იძლეოდნენ, ხოლო პროტესტი და ჩივილი „საშიში იყო, ჩვეულებრივ ამას ამბოხების ნიშნად ჩასთვლიდნენ ხოლმე“. „ამბოხებულს“ კი, სულ მცირე, ეგზეკუციით გაპარტახება ელოდა.

იმის თვალსაჩინოდ, თუ რა საშინელ სიძნელეს წარმოადგენდა ეს ბეგარა, საკმაოდ ვიცოდეთ, რომ ამ ხანებში მარტო ქართლ-კახეთს „ყოველწლიურად მშვიდობიანობის დროსაც კი უფასოდ გამოჰყავდა 112154-მდე ურემი ხარ-კამეჩით შებმული და 99780 სატვირთო ცხენი თავისი ჩავლადრებით". ეს ციფრები იმას მოწმობს, რომ ქართველი გლეხი წლის სიგრძეზე სამუშაო დროს უდიდეს ნაწილს საბეგრო შრომის შესრულებას ანდომებდა.

და ასეთი მდგომარეობა მრავალი წლების მანძილზე გრძელდებოდა.

ასე რომ საქართველოს რუსული მმართველობა ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის მძიმე ტვირთს—სამხედროს ქართველ თავადაზნაურობას უზიარებდა, ხოლო სამეურნეოს ქართველ გლეხობას აკისრებდა.

ძველმა საქართველომ სახელმწიფო ბეგრის ასეთი სახეობა არ იცოდა: ქართული ფეოდალური ლაშქარი არც ასეთ გზას საჭიროებდა და არც ხანგრძლივ სასურსათო მომარაგებას.

მოვალეობის ამ უჩვეულობას, მის აუტანელ სიმძიმეს და მთავრობის მოხელეთა ველურ უსამართლობას გაწამებული ხალხი ხშირად სასოწარკვეთილ აჯანყებამდე მიჰყავდა.

მრისხანე სახალხო აჯანყებებმა ჯერ ისევ ციციანოვი იძულებულყვეს, ჯეროვანი ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის და ბოროტების საწინააღმდეგო საშუალებანი დაესახნა. მან საბეგრო ტვირთის მტკიცე ქირა დააწესა და ამავე დროს ზომები მიიღო იმისათვის, რათა ლაშქარს ბარგ-სურსათის გადასაზიდი საშუალება საკუთარი შეექმნა და ეს ბეგარა სოფლის მშრომელ მოსახლეობას განმანადგურებელ ტვირთად არ დასწოლოდა. აქ ციციანოვს უმთავრესად ის მოსაზრება ამოქმედებდა, რომ საბეგრო მუშაობაში შებმული გლეხობა პურის მოყვანას ველარ ახერხებდა და იქმნებოდა საშიშროება, რომ ქართლ-კახეთი რუსთა ჯარს პურით ვერ გამოკვებავდა. მოტივისაგან დამოუკიდებლად ციციანოვის ამ ღონისძიებათა განხორციელება სამართლიანი და დიდად სასარგებლო საქმე იქნებოდა. სამწუხაროდ, ციციანოვის სიკვდილის გამო, მისი ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა. სხვა მთავარმართებლებს ამ საქმეზე არ უზრუნვიათ და მრავალ ათასიანი რუსთა ჯარის სატრანსპორტო მომსახურების საქმე ამიერკავკასიის დაპყრობის მთელ სიგრძეზე ქართველი გლეხის საბეგარო მოვალეობად დაკანონდა. ქურდ-მძარცველი მოხელენი ამ საქმის სამარ-

თლიან მოგვარებაში დაინტერესებული არ ყოფილან, ხოლო ციციანოვივით უქრთამო—მიუხვეჭელი მოხელე საქართველოს რუსულ ადმინისტრაციაში, სამწუხაროდ, მეტად იშვიათი იყო.

ქართველი გლეხობის ბრძოლის ერთადერთი საშუალება, რომელსაც საქართველოს მთავარმართებლები ანგარიშს უწევდნენ, იყო აჯანყება. მისი რიდით იყო, რომ მთავარმართებლები ვითომც და ცდილობდნენ გლეხთა საბეგარო მოვალეობის სამართლიან განაწილებას. მაგრამ რა სამართლიანობა შეიძლებოდა დაცულიყო იქ, სადაც მთავარმართებელიც კი ამ სამართლიანობის დაცვის საჭიროებაზე ლაპარაკისას უსამართლობას არ ერიდებოდა. „საქართველოს მთავარმართებელს" ტორმასოვს, მაგალითად, სძულდა ის ხალხი, რომლის მმართველადაც თითონ ბრძანდებოდა და საქართველოს მშრომელთა ამ საბეგარო მოვალეობას მისივე დასჯის საშუალებად იყენებდა. როცა, ახალციხეს ლაშქრობისას, სურამიდან გასული პურის ტრანსპორტი, ხარ-კამეჩის დახოცვის გამო, ხეობაში დადგა, ტორმასოვმა ბრძანება გასცა საქართველოში სატვირთე ცხენის (თავისი ჩავლადრებით) უმკაცრესი მობილიზაციის შესახებ. ოღონდ გთხოვთო, სწერდა საქართველოს მთავარმართებელი თავის თანაშემწეს გენერალ ახვერდოვს, ცხენების გაწერა მოსახლეობაზე იყოს ზუსტი, სამართლიანი, მათ შეძლებასთან შეზომილიო და აქვე ურთავდა ყოვლად უმართებულოს და უსამართლოს: ამ მობილიზაციას, თუ უკიდურესი საჭიროება არ გექნეს, ყაზახ-შამშადილუს თათრებზე ნუ გაავრცელებო, „იმიტომ რომ ესენი უფრო ერთგულად ემსახურებიან ხელმწიფეს, ვიდრე ქართველებიო".

1807 წელს ყარს-ახალქალაქზე ლაშქრობისას სამთვიანმა ბეგარამ ქართლ-კახეთს უმძიმესი ზარალი მიაყენა. ასეთივე გამანადგურებელი იყო ბეგარა 1808 წელს, ერევანს გუდოვიჩის მარცხიანმა ლაშქრობამ რომ მოითხოვა. ხოლო 1809 წელს, ფოთის ლაშქრობის საბაბით იმერეთის დასაპყრობად დასავლეთ საქართველოში რომ ჯარი გაგზავნეს, ახალი საბეგრო ტვირთით წელში გაწყვეტილი ქართლის გლეხობა აშკარად აჯანყდა. და აი, 1810 წელს ამ უდიერი ყოველწლიური ტვირთით გაპარტახებული გლეხები ახალციხის ომში ახალ ბეგარაზე გარეკეს და, როცა ულის ხარ-კამეჩი გზაში ჩაიხოცა, მოსახლეობას სატვირთე ცხენები მოკითხეს. და „საქართველოს მთავარმართებელი" ბრძანებს, რათა ეს ბეგარა საქართველოს მოსახლეობაში ისე განაწილდეს, რომ ქართველები დაისაჯნენ, ბეგრის მთელი სიმძიმე ქართველებმა უნდა იტვირთონ, იმიტომ, თურმე, რომ ისინი ხელმწიფის სამსახურის აგრე ერთგულნი არ არიან, ხო-

ლო ხელისუფლების მიმართ მორჩილება ამ ხალხში, ჩანს, არასოდეს ყოფილა. რაღა სამართლიანობა მოეთხოვებოდა მექრთამე კაპიტან-ისპრავნიკს, როცა თვით მთავარმართებელი ასეთი გაუკითხაობისა და უსამართლობის სათავე იყო.

* * *

სასურსათო სიძნელეების გვერდით ახალციხის მოალყე ჯარს უამინდობაც დაემთხვა და ზამთრის პირის სიცივეც ხომ საქმეს უჭირვებდა. ბოლოს, ალყის მეექვსე დღეს, კიდევ უფრო საშიშმა ვითარებამ იჩინა თავი. საფაშოს სოფლებში და თვით ციხის შიგნით შავი ჭირი გაჩენილიყო. მალე ჭირი მოალყე რუს ჯარისკაცებსა და ქართველ მილიციელებსაც გადაედო. ტორმასოვმა შეატყო, რომ ყველა ამ სიძნელეთა გამო, შესაძლებელია ეს ლაშქრობა მას კატასტროფით დაუმთავრდეს და გონივრულად დროზე უკან დახევა არჩია. 26 ნოემბერს მან ახალციხის ალყა მოხსნა და ქართლისაკენ წამოვიდა. გენერალი სიმონოვიჩი კი იმერეთს დაბრუნდა.

ტორმასოვმა, მართალია, ახალციხე ვერ აიღო და საფაშო ვერ დაიპყრო, სამაგიეროდ მტრის ქვეყანა „წარმატებით“ დაარბია. 21 ნოემბერს მთავარმართებელმა მილიციას ქვეყნის მოთარეშების ნება მისცა. მილიციამ ქვეყანა გაძარცვა ,1500 კომლი ქრისტიანი აყარა და თან წამოიყვანა. თან გამოირეკეს საფაშოდან აგრეთვე 50000 სული ოთხფეხი. დამარცხებული სარდალი გამარჯვებულის კილოთი აღნიშნავდა ქვეყნის ამ სამაგალითო დარბევას და ვერ ამჩნევდა, რომ საფაშოდან ქრისტიანი მოსახლეობის აყრა-გადმოსახლებით ქართული მესხეთის მომავალს საფუძველს აცლიდა.

* * *

**იმერეთის მმართველობა.** იმერეთის დაპყრობისა და იქ მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ საჭირო იყო ამ ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა. საამისო პროექტის შემუშავება ტორმასოვმა გენერალ სიმონოვიჩს დაავალა. სიმონოვიჩმა ეს პროექტი შეადგინა და მის საფუძველზე შემუშავდა და 1811 წელს გამოიცა იმერეთის რუსული მმართველობის დებულება.

ამ დებულების თანახმად იმერეთის ყოფილი სამეფო ცხადდებოდა იმერეთის ოლქად, რომელსაც ექვსი მაზრა („ოკრუგი“) შეადგენდა: ქუთაისის, საჩხერის, ვაკის, რაჭის, ჩხარის და ბაღდათის. ოლქის სათავეში იმერეთის მმართველი იგულის-

ხმებოდა—რუსი გენერალი, ხოლო მაზრის სათავეში—მაზრის უფროსი, რუსი ოფიცერი. ოლქის უფროსის ადგილსამყოფელი ქუთაისი იყო, სადაც იგულისხმებოდა აგრეთვე საერთო საოლქო დაწესებულებები. მთელი ეს დებულება შედგენილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული წყობილებისდა გვარად.

მაგრამ იმერეთში ხსენებული დებულების განუხრელად გატარება არ მოხერხდა. იმერეთის ფეოდალური საზოგადოება შიშითა და სიძულვილით უყურებდა ქართლ-კახეთში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ძველ ქართულ წყობილებას თავგამოდებით იცავდა. ამავე დროს პოლიტიკური პირობების დაჭიმულობა არ ნელდებოდა და სოლომონ მეფეც იმერეთის კარებთან ტრიალებდა. ასეთ პირობებში საქართველოს რუსული მმართველობა შიშობდა, რომ „რუსობის" განუხრელად შემოტანა იმერლების ხელახალ აჯანყებას გამოიწვევდა. მთავრობა იძულებული შეიქმნა დაეთმო და იმერეთში ქართლ-კახეთისაგან რამოდენიმედ განსხვავებული მმართველობა შემოეღო:

ქვეყანას „იმერეთის მმართველი" განაგებდა—რუსი გენერალი, რომელიც ამავე დროს აქ მდგომი რუსის ჯარის სარდალიც იყო. იმერეთის მმართველთან არსებობდა სათათბირო ორგანო—„დივანი", რომელშიაც ოთხი მდივანბეგი შედიოდა, ოთხივე იმერელი თავადაზნაური. დივანი უმთავრესად სამოქალაქო საქმეებს და საჩივრებს არჩევდა, მაგრამ მის გადაწყვეტილებას მხარეთა უკმაყოფილების შემთხვევაში მმართველის მიერ დამტკიცება სჭიროდა. სისხლის სამართლის საქმე დივანს არ ექვემდებარებოდა და იმერეთის მმართველი ასეთ სასისხლო საქმეებს სამხედრო სასამართლოს საშუალებით წყვეტდა.

მაზრის უფროსი რუსი ოფიცერი იყო, რომელსაც იქ ჩაყენებული სამხედრო რაზმიც ემორჩილებოდა. მას ორი თანაშემწე ჰყავდა—იმერელი თავადაზნაური. ძველებურ ქართულ მოურავივით მაზრის უფროსი ერთსა და იმავე დროს ადმინისტრაციული მოხელეც იყო, საფინანსოც და სამოსამართლოც.

სოფლის მმართველობის საქმე ძველებურადვე მოურავების ხელში დარჩა.

1811 წლის დამდეგს გენერალმა სიმონოვიჩმა იმერეთის რუსული მმართველობა შეადგინა. აარჩევინა იმერელ თავადებს ახლად შექმნილ მმართველობაში მონაწილეობისათვის მდივანბეგები. აქვე იმერელმა თავადაზნაურობამ სიმონოვიჩის მოთხოვნით აირჩია წევრები იმ დეპუტაციისა, რომელიც იმერეთის ხალხის სახელით პე-

ტერბურგში ხელმწიფის წინაშე უხდა წარმდგარიყო „უქვეშევრდომილესი გრძნობებისა“ და მადლობის მოსახსენებლად იმ ბედნიერებისათვის, რომელსაც იმერეთი რუსხელმწიფის ქვეშევრდომობით ეღირსა.

ყველაფერი ეს გარკვეული წარმატება იყო რუსეთის მთავრობის პოლიტიკისა საქართველოში, თუმცა იმერეთის საბოლოოდ შემომტკიცებაზე ჯერ ლაპარაკი ნაადრევი იყო, ვიდრე რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი გრძელდებოდა და ოსმალეთში გადახვეწილი სოლომონ მეფე იმერეთის ტახტისათვის ბრძოლას განაგრძობდა.

* * *

1811 წელს ოსმალეთი ამიერკავკასიაში დიდი ლაშქრობით იმუქრებოდა. სულტანის მთავრობა ვერ შერიგებოდა საქართველოს ციხე-ნავსადგურების დაკარგვას შავი ზღვის სანაპიროზე და მათ უკან დაბრუნებაზე ოცნებობდა.

იმუქრებოდა სპარსეთის შაჰიც. მტრების ეს მუქარა მით უფრო რეალური ჩანდა, რომ ინგლისის მოსაშუალეობით 1810 წლის მიწურულს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო კავშირი დაიდო. მოკავშირენი ერთდროულად ლაშქრობას აპირებდნენ. სპარსეთი განჯა-ყარაბაღზე წამოვიდოდა, ოსმალეთი იმერეთ-ქართლზე.

სულტანი და შაჰი საგანგებო ფირმანებით აუწყებდნენ კავკასიის ხალხებს მომავალი ლაშქრობის შესახებ და ყველას რუსთა წინააღმდეგ გადამწყვეტ ომში მოუწოდებდნენ.

პოლიტიკური ვითარების შესაფერისად ამოქმედნენ ქართველი ემიგრანტები: ალექსანდრე ბატონიშვილი ეხლაც ძველებურად შეუნელებელი ენერგიით იბრძოდა ერეკლეს სამეფოს აღდგენისათვის. სოლომონ მეფის მოწოდებები ჯერ ისევ 1811 წლის იანვარში გავრცელდა იმერეთში. მეფემ მალე დააგდო ერევნის მხარე და კვლავ ახალციხეში შერიფ ფაშასთან დაიდვა ბინა, საიდანაც განუწყვეტელ მიმოწერას აწარმოებდა თავის იმერლებთან.

ცოფმორეულმა ტორმასოვმა კიდევ ერთხელ მიმართა მის მიერ ამორჩემებულ საშუალებას. იმერეთის მმართველ გენერალ სიმონოვიჩს მან განუზრახა „დიდი ფულისა და ჯილდოს დაპირებით მოსყიდვა ვინმე ერთი თავზეხელაღებულ იმერელისა“, რომელიც მოკლავდა სოლომონ მეფეს—„იმერეთის მყუდროების დამარღვეველს და მის ბოროტ მტერს“.

ამის პასუხად მიწერილ მოხსენებაში სიმონოვიჩმა აღნიშნა ისეთი ფაქტი, რაც არსებითად არა მარტო მძიმე მორალური დაგმობა იყო ტორმასოვ-სიმონოვიჩის სულმდაბლობისა. ის ამავე დროს არა ნაკლებ მძიმე განაჩენი იყო სამართლიანობით მოქადულ რუსეთის მთავრობის პოლიტიკისა საქართველოში. სიმონოვიჩმა უპასუხა ტორმასოვს: (სოლომონ მეფის მიმართ) „იმერლების ერთგულება, რომელსაც თან ერთვის თითქო სარწმუნოებრივი მოკრძალება მეფის პიროვნების წინაშე, არ იძლევა იმის იმედს, რომ ვინმე მათგანმა (იმერელმა) თავს იდოს მისი მოკვლა,—და მე ხომ ამაში არაერთგზისი ცდით დავრწმუნდი". ამიტომაო, ურთავდა სიმონოვიჩი, ეს საქმე უფრო მარჯვედ შეიძლება შესრულდეს თათრის, თურქის ან ლეკის ხელითო. ესენი კი იმერეთში არ მოიპოვებიანო და თავისი მხრით განუზრახავდა უფროსს: შესაძლებელია მანდ მოიპოვებოდეს ასეთი ყოჩაღი ვინმეო.

ტორმასოვს და მის მოხელეს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ უნარი ჩაფიქრებოდნენ იმ გარემოებას, თუ რა მიზეზი იყო, რომ სოლომონ მეფის ერთგულება იმერელთა შორის აგრე მტკიცე რჩებოდა, მაშინ როცა ტორმასოვ-სიმონოვიჩისავე განცხადებით მეფე „ბოროტი მტერი" იყო იმერეთისა, ხოლო რუსხელმწიფე და მისი მთავრობა კი ამ ქვეყნის გამაბედნიერებელნი.

ერთი სიტყვით, იმერელი ხალხი დამპყრობელ ძალას არ ურიგდებოდა და შესაძლებელ პოლიტიკურ ცვლილებათა მოლოდინში იყო. რუსული ხელისუფლება ამას ხედავდა და შესაფერის ღონისძიებებსაც სახავდა.

* * *

**1811—1812 წლის კამპანია.** 1811 წელს რუსეთის სამხედრო მდგომარეობა სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ საკმაოდ მძიმე იყო. ნაპოლეონთან ომი აუცილებელი ჩანდა და რუსეთის მთავრობის მთელი ყურადღება ამ მომავალი მრისხანე შეტაკებისათვის სამზადისს ჰქონდა მიქცეული. ამ პირობებში სარდლობა როგორც ბალკანეთში, ისე იმიერ-კავკასიაშიც თავდაცვით ომს უნდა დასჯერებოდა, რათა სამხედრო ძალების საგრძნობი ნაწილი რუსეთს დაებრუნებინა. სადაც ამ ძალების თავმოყრა იყო განზრახული დუნაის-პირა ფრონტიდან უკან გაიწვიეს ხუთი დივიზია, ხოლო კავკასიიდან ოთხი პოლკი ჯარის დაბრუნება ტორმასოვს უბრძანეს.

ძალების ასეთი შემცირების მიუხედავად რუსთა ჯარმა 1811 წელსაც ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვა. ომის მთავარ ასპარეზ-

ზე ბალკანეთში კუტუზოვის სარდლობით მან ორგზის (ივნისში და ოქტომბერში) სასტიკად დაამარცხა შეტევაზე გადმოსული ოსმალთა ჯარი და ღონემიხდილი მოწინააღმდეგე აიძულა საზავო მოლაპარაკება დაეწყო.

წარმატება რაიმე მტერს არც ამიერკავკასიის ასპარეზზე რგებია. მართალია, შაჰისა და სულტანის მოწოდებებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს რუსეთის მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხებში, მაგრამ საქმე ამას იქით ვერ წავიდა და ხალხთა ამ ამოძრავებას სპარსეთმა და ოსმალეთმა საქმიანად მხარი ვერ დაუჭირეს.

ინგლისელების მხრით დიდი დახმარების მიუხედავად მრავალწლოვანი ომისაგან ღონემიხდილ სპარსეთს ამიერკავკასიაში აქტიური საომარი მოქმედება სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა. შაჰი საბოლოოდ რწმუნდებოდა, რომ მისთვის ამ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი რუსეთთან დაუყოვნებლივ ზავის შეკვრა იქნებოდა. ტორმასოვის დიპლომატიური უტაქტობის შედეგი იყო, რომ 1811 წელსაც სპარსეთში ინგლისელების მეცადინეობით და აბას-მირზას მეთაურობით ომის მომხრეთა დასმა გაიმარჯვა. მაინც სპარსელთა ეს „შეტევა" ჩვეულებრივზე უსუსური აღმოჩნდა. მტრის საომარი მოქმედება განჯა-ყარაბაღის დაუცველი სოფლების ავაზაკურ რბევას არ გასცილებია. სპარსელები ვერ მიეშველნენ ყუბა-დარუბანდის ყოფილ ხანს შიხა-ალის, რომელიც დაკარგული სახანოს დაბრუნებას დიდის ენერგიით მცდელობდა. რუსთა ჯარებმა საფრთხე აიცილეს, ყუბა-დარუბანდი შეინარჩუნეს და შიხ-ალის მოკავშირე სურხაი-ხანიც მის მიუვალ დაღისტანში ძლიერად დაამარცხეს.

სპარსეთზე უფრო უმოქმედო ოსმალეთი აღმოჩნდა. არც ბათომისა და არც ახალციხის მხრიდან სულტანის ჯარებს საქმიანი შემოტევა არ უცდიათ. ასეთი უმოქმედობის მიზეზი მტრის საერთო სისუსტის გვერდით ის გარემოებაც იყო, რომ ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციებში და განსაკუთრებით ახალციხის საფაშოში ამ დროს შავი ჭირი მძვინვარებდა. ჭირმა თავი იჩინა ოსმალთა ჯარის ნაწილებში, რასაც მოლაშქრეთა მასიური დაფანტვა მოჰყვა.

ასე რომ 1811 წლის მიწურულს რუსთა ჯარის სარდლობას ოსმალთა მხრით შემოტევის საზრუნავი აღარა ჰქონდა და შეეძლო ახალციხის საფაშოში გაბედულ სამხედრო ოპერაციაზე ეფიქრნა. რუსთა ჯარი მამაცი პოლკოვნიკი კოტლიარევსკის წინამძღოლობით 7 დეკემბერს ნაშუაღამევს 3 საათზე ახალქალაქს მიეპარა და მაგარი ციხე მოულოდნელი იერიშით ადვილად აიღო. ქართლის მშვიდობი-

ანობისათვის ამ ციხის აღებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ისევე როგორც განჯა სპარსეთისათვის, ახალქალაქი ოსმალეთისათვის აღმოსავლეთ საქართველოში შემოსასვლელი ჭიშკარი იყო.

არც 1812 წლის დამდეგს წამოწყებულ ომს მოუტანია სპარსელებისათვის სასურველი შედეგი. მუღანს დაბანაკებული აბას-მირზა უშედეგოდ ცდილობდა თავის მხარეზე გადაებირებინა თალიშის, შარვანის და ყარაბაღის ხანები, რომელთაც, როგორც აქედან ჩანდა, აღარა სწამდათ სპარსეთის შაჰის გამარჯვებისა. მცირე წარმატება, სპარსელებმა რომ სულთან-ბუდასთან რუსთა ბატალიონის დამარცხებით და შემდეგ ყარაბაღის დარბევით მოიპოვეს, ადვილად გააქარწყლა გენერალი კოტლიარევსკის საპასუხო ღონისძიებებმა. აბას-მირზა იძულებული იყო სწრაფად გასცლოდა ყარაბაღს და სპარსეთში დაბრუნებულიყო.

* * *

**1812 წლის აჯანყება.** ასეთი იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკური პირობები ამიერკავკასიაში 1812 წლის დამდეგს, როცა საქართველოში აჯანყებამ იფეთქა. ეს აჯანყება კახეთში დაიწყო და უპირატესად კახურივე დარჩა, თუმცა არაგვის ხეობამ და ფშავ-ხევსურეთმაც კახელების გვერდით ცხოველი მონაწილეობა მიიღეს ამ დიდ ბრძოლაში.

1812 წლის კახეთის აჯანყების მიზეზები მრავალი იყო. ეს მიზეზები ყველა ხსენებულ წელს არ წარმოქმნილა. თუმცა აჯანყების უშუალო საბაბი სწორედ 1811/12 წლის მოვლენები იყო.

საქართველოში მომქმედი რუსთა ჯარი თავიდანვე ქართლ-კახეთის პურით იკვებებოდა. ამ პურის ერთი ნაწილი სახელმწიფო გადასახადი—„სურსათის" სახით გროვდებოდა, დანარჩენს კი მთავრობა გლეხებისაგან ყიდულობდა. წლიდან წლამდე რუსთა ჯარის რიცხვი საქართველოში სწრაფად იზრდებოდა, „სურსათის" გადამხდელთა (ე. ი .საგლეხო კომლთა) რიცხვი კი ნელა—ამიტომ ლაშქრის სარჩო სულ უფრო და უფრო ნასყიდ პურზე მოდიოდა.

მთავრობა ქართველი გლეხისაგან პურს გადაკვეთილ ფასებში ყიდულობდა. პირველ ხანებში ეს ფასები საბაზრო ფასებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ თანდათან პურის საბაზრო ფასი იზრდებოდა, ხოლო სახაზინო ფასი ამავე დროს უცვლელი რჩებოდა. და გლეხიც ურჩობდა: დაბალ ფასებში პურის გაყიდვა არ სურდა, სურსათის გადასახადის შეტანით მას თავისი ვალი სახელმწიფოს

წინაშე მოხდილად მიაჩნდა. საქართველოს რუსული მმართველობა კი ჯარისათვის საჭირო პურის სახაზინო ფასებში გაყიდვას ქართველ გლეხს ავალებდა. ახალი მოსავლის წინ პროვიანტის მოხელე-კომისიონერები კაპიტან-ისპრავნიკების დახმარებით ქვეყანას დაუვლიდნენ და სოფლებს პურის ამ დაბალ ფასს „ძალად მიუყრიდნენ". სოფელიც იძულებული იყო კომლებზე გაწერით ამ ფასის პური დაემზადებინა და გარკვეულ პუნქტში პროვიანტის მოხელისათვის ჩაებარებინა. და ქართველი გლეხი წლების მანძილზე ზიდავდა ამ უკანონო ბეგარას, ვიდრე ტვირთი ყოვლად აუტანელი არ შეიქნა.

1811 წელს საქართველოში სასტიკი მოუსავლობა იყო. ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებდა. პური მამისისხლად ფასობდა. ამას თან ერთოდა შავი ჭირი, რომელიც დამშეულ მოსახლეობას მუსრს ავლებდა (ამ დროს შავი ჭირისაგან ქართლ-კახეთში 4255 სული მოკვდა. ამაზე უარესი მდგომარეობა იყო იმერეთში, სადაც მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ჭირისა და შიმშილისაგან 32750 სული მოკვდა, 7450 გაიქცა-გადაიხიზნა და 2000 სული გაიყიდა).

მთავარმართებელი ტორმასოვი კი მთავრობას პეტერბურგში მოახსენებდა, რომ საქართველოში ყველაფერი რიგზეა და ჯარიც, კერძოდ, პურით უზრუნველყოფილიაო. ნამდვილი კი ის იყო, რომ 1812 წლის იანვარში საქართველოში მდგომ რუსთა ჯარს ერთი თვის საკმარისი მარაგიც არ გააჩნდა. ამ პუნქტში ტორმასოვის მოხსენების სიყალბე იქიდან წარმოდგებოდა, რომ მთავარმართებელი პროვიანტის კომისიონერების მიერ სოფლებისათვის „ძალად მიყრილ" ფულს სახაზინო საწყობებში მიტანილ პურად ანგარიშობდა, მაშინ როცა ნამდვილად საწყობები ცარიელი იყო და გლეხები სახაზინო ფასებში პურის გაყიდვაზე გადაჭრილ უარს აცხადებდნენ.

ამ ხანებში (1811 წლის შემოდგომიდან) ტორმასოვის ნაცვლად საქართველოს მთავარმართებლობას გენერალი პაულუჩი შეუდგა (ბრძანება ტორმასოვის განთავისუფლებისა და მის მაგივრად პაულუჩის დანიშვნის შესახებ 1811 წელს 6 ივლისს გამოვიდა). ახალმა მთავარმართებელმა ჯარის დამშევის წინააღმდეგ ის ილონა, რომ იმიერკავკასიიდან 90000 ფუთი პური მოითხოვა. მაგრამ ამ პურის მოწოდება დროზედ არ მოხერხდა (მხოლოდ 1812 წელს მაისში ჩამოაღწია საქართველოში ამ პურის მცირე ნაწილმა). ჯარს დამშევის რეალური საფრთხე შეექმნა.

მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი ის იქნებოდა, რომ საქართველოში დაბანაკებული რუსთა ჯარის ნაწილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის იმ პროვინციებში გაეყვანათ, სადაც პური უხვად იშოვე-

ბოდა. ასე ფიქრობდნენ კიდევაც, მაგრამ ამ საშიშ დროს ვერც საქართველოში ჯარის შესუსტება გაბედეს და ხანების შევიწროვებასაც მოერიდნენ. სახანოებში პურის თავისუფალ შესყიდვას და მის საქართველოში შემოტანას წინ ეღობებოდა ფინანსიური და სატრანსპორტო სიძნელენი.

გენერალმა პაულუჩიმ შექმნილ მდგომარეობიდან ყველაზე ცუდი გამოსავალი აირჩია. მან სახაზინო ფასებში—ე. ი. კ ო დ ი ე ქ ვ ს ა ბ ა ზ ა დ—ქართველი გლეხებისაგან ჯარისათვის საჭირო პურის შესყიდვა ბრძანა და თითოეულ მაზრას გასასყიდი ხორბალი უზომო რაოდენობით შეაწერა. მხოლოდ სიღნაღის მაზრას, მაგალითად, დააკისრა 40000 კოდი ხორბალი. ამავე დროს ბაზარზე კოდი ხორბალი 4-დან 5 მანეთამდე ფასობდა. ასე რომ მთავრობისათვის მისყიდულ თითეულ კოდზე გლეხი სამ მანეთზე მეტს კარგავდა. გამოდიოდა, რომ ქიზიყს, მაგალითად, 120000 მანეთი მუქთად უნდა გაეღო.

მოსახლეობა მზად იყო ყოველწლიური მსხვერპლი—ბევრა ჯვეულებრივი რაოდენობით ეხლაც გაეღო და გარკვეული რაოდენობა ხორბალი დაბალ ფასებში ხელისუფლებისათვის მიეყიდნა (სიღნაღის მაზრა, მაგალითად, 10000 კოდი ხორბლის გამოღებას კისრულობდა, გორის მაზრა 45000 კოდისას, ხოლო თელავის მაზრა —16000 კოდისას). მთავრობა ხალხის სამართლიან საჩივარს არ ისმენდა და ბრძანების განუხრელად შესრულებას მოითხოვდა, და როცა მოსახლეობამ ამ ახალ უსამართლობას ქედი არ მოუხარა და სახაზინო ფასებში პურის გაყიდვაზე უარი სთქვა, პაულუჩიმ „ურჩთა“ წინააღმდეგ სამხედრო ძალას—ე ქ ზ ე კ უ ც ი ა ს მიმართა. პროვიანტის მოხელის თანხლებით 10—15 კაცისაგან შემდგარი სამხედრო რაზმი ეწვეოდა ხოლმე სოფელს და გლეხების ორმოებში გასაყიდ პურს დაეძებდა. ეგზეკუცია ურჩი სოფლის ხარჯზე იკვებებოდა. ენით გამოუთქმელი იყო ის შეურაცხყოფა, ფიზიკური თუ მორალური, რომელიც ქართველ გლეხს თავს დაატყდა. ქვეყანა თითქო ბანდიტების სათარეშოდ იქცა· ძარცვა, ცემა, ოჯახის შერცხვენა ხალხმა ვერ აიტანა, მისი მოთმინების ფიალა აივსო და საშინელ რისხვად გადმოიღვარა. სახალხო აჯანყების ალი ავარდა.

აჯანყების უშუალო საბაბი, ამრიგად, სამხედრო ეგზეკუცია შეიქმნა, მაგრამ მისი საერთო მიზეზები, როგორც აღვნიშნეთ, ღრმა და მრავალნაირი იყო.

აჯანყებულმა ხალხმა 1812 წელს თავისი უკმაყოფილების მიზეზები სრულად გამოსთქვა.

* * *

რუსული სახელმწიფო წესწყობილება, საქართველოში რომ იქნა 1801 წელს შემოღებული, ძველ ქართულ სახელმწიფო წყობილებასთან შედარებით უფრო მოწინავე იყო. ეს ახალი წყობილება ფეოდალურ-ბატონყმურიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობაში გარდამავალი საზოგადოების შესაფერისი იყო; ის შედარებით განვითარებულ ფულად მეურნეობასა და ძლიერ ცენტრალისტურ სახელმწიფოს გულისხმობდა.

საქართველოს საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისი სოციალური და ეკონომიური განვითარება კი იმ დონეს მიღწეული არ იყო, რომ სახელმწიფო წყობილების ამ ახალ ფორმას უმტკივნეულოდ და სწრაფად შეგუებოდა. ამავე დროს ეს ახალი წყობილება, როგორც უცხო, არაქართული ურთიერთობის ნაყოფი, თავისებურ, ინდივიდუალურ ნიშნებს ატარებდა, რაც მას ქართული საზოგადოებისათვის გაუგებარს და ძნელად მისაღებს ხდიდა.

მოიპოვებოდა სხვა არანაკლებ მძიმე გარემოებაც. რუსეთის მთავრობა თვით არ იყო მზად იმისთვის, რათა ეს ახალი წესწყობილება ამ შორეულსა და უცხო ქვეყანაში,—საქართველოში, მოქნილ-მოხერხებულად გაეტარებინა. ამის მოწმობა იყო სახელმწიფო ღონისძიებათა გამტარებელი კადრების—სახელმწიფო მოხელეების—სრული უვარგისობა, შეუფერებლობა მრავალი ათეული წლის განმავლობაში რომ ახასიათებდა საქართველოს რუსულ მმართველობას. ამავე ნიადაგზე აიხსნებოდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში რუსული მმართველობის პოლიტიკური კურსი იმთავითვე მკაფიო და გარკვეული არ იყო და რომ ამ პოლიტიკური კურსის სახეობა საქართველოს მთავარმმართებლის პირადი თვისებებისაგან დიდად იყო დამოკიდებული.

ამ ძირითად საფუძვლებს ემყარებოდა, რომ ქართველი ხალხი მმართველობის უკმაყოფილო იყო. რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის ყველა კლასი ამ ახალი მმართველობის თანაბრად უკმაყოფილო არ ყოფილა და თითეული ამ კლასის უკმაყოფილებას ერთი და იგივე საფუძველი არა ჰქონია; მიუხედავად ამისა, მოხდებოდა ხოლმე, რომ ეს ურთიერთის მოწინააღმდეგე კლასები ამა თუ იმ მომენტში საერთო პროტესტით გამოდიოდნენ და ასეთ შემთხვევებში საზოგადოებრივი მოძრაობაც საერთო, სახალხო მოძრაობის იერს იღებდა.

**აჯანყების საფუძვლები.** აჯანყებულთა საჩივარი შემდეგ მომენტებს შეეხებოდა:

1. სატრანსპორტო-საგზაო ბეგარა. ეს საკითხი ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ და დავინახეთ, თუ როგორ გამანადგურებელი იყო გლეხის მეურნეობისათვის ეს უსამართლო საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა. და ეს გარემოება საგრძნობი იყო არა მარტო გლეხისათვის, არამედ მისი მებატონისათვისაც, რომელსაც ამ ბეგრის გამო შემძლებელი ყმა უგლახაკდებოდა. ამით აიხსნებოდა, რომ ამ მოვალეობის წინააღმდეგ გლეხებთან ერთად მათი მებატონეებიც პროტესტს აცხადებდნენ.

2. პროვიანტი, ე. ი. პურის სავალდებულო გაყიდვა დაბალ ფასებში. ეს უსამართლო ტვირთი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, განუხრელად იზრდებოდა. ჰირნახულის ძალად წართმევა გლეხს მეურნეობის ხალისს უკლავდა. მებატონეები ჩივიან ამ გარემოებას და მთავრობას აფრთხილებენ, რომ ილაჯგაწყვეტილი გლეხობა აიყრება და დაიკარგება. აქაც, როგორც ვხედავთ, მებატონემ ხელმარჯვედ გამოიყენა ხელისუფლების უსამართლო მოქმედება, სწრაფად მოიკაზმა თავისი გლეხის ვითომცდა „დამცველის" როლში. ქართველი ყმა და მისი მებატონე აქაც—ორივე ერთად გამოვიდნენ ახალი მმართველობის ამ უსამართლობის წინააღმდეგ.

3. ქართველი ხალხის უკმაყოფილების ერთი უმთავრესი წყარო რუსული სამართალი იყო. მართალია, ქართველი გლეხი და მისი მებატონე თანაბრად უკმაყოფილონი არ იყვნენ რუსული სამართლისა (მაგალითად, მებატონეების უკმაყოფილებას ის გარემოებაც იწვევდა, რომ ახალი სამართალი ვახტანგის კანონებივით წოდებრივი ხასიათისა არ იყო, რომ ამ სამართლის წინაშე, ერთი ქართველი თავადის გამოთქმით, გლეხი და მისი მებატონე „გათანასწორებული იყვნენ". რუსული სამართლის ამ მხარეს ქართველი გლეხი, უეჭველია, კმაყოფილებით შეხვდებოდა. არც ის გარემოება იყო ქართველი გლეხისათვის დიდად სადარდებელი, ქართველ თავადაზნაურობას რომ აგრე აწიწმატებდა: რუსული სამართლის შემოღების გამო ქართველმა თავადაზნაურობამ (=მოურავეები, მდივნები, მდივანბეგები=) სამართლის წარმოების მონოპოლია დაკარგა. ამით ხსენებულ წოდებას არა მარტო დიდი მატერიალური შემოსავალი დააკლდა, არამედ ის ამით სოციალური გავლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროსაც მოკლებული აღმოჩნდა). მაგრამ ამ სამართლით უკმაყოფილების საერთო მიზეზებიც ბევრი ჰქონდათ ქართველ გლეხს და მის მებატონეს.

რუსული სამართალი ქართული ცხოვრებისათვის უცხო და უცნაური იყო, ის ქართველი კაცის სამართლის შეგნებას არ ეთანხმე-

ბოდა. გარდა ამისა, ეს სამართალი ხალხისათვის გაუგებარ უ ც ხ ო ე ნ ა ზ ე წარმოებდა, ასე რომ ამ ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა-ში ქ ა რ თ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს უ შ უ ა ლ ო მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ი ყ ო.

უჩვეულო და უცნაური იყო ამ ახალი სამართლის წარმოების წესიც. ქართველი კაცი მიჩვეული იყო ღიასა და სწრაფ სამართალს, რაც მის შედარებით მარტივ ცხოვრებასთან, მის მსოფლმხედველობასთან, მის სამართლის შეგნებასთან შეგუებულ-შეთანხმებული იყო. ახალი, რუსული სამართალი, ნელი და გრძელი, მრავალგვარი ფორმალობით და სხვადასხვა ინსტანციებით, ქართველი კაცისათვის უცნაური და საზარელი იყო. ყველა ამას თან ერთვოდა ათასნაირი ბოროტმოქმედება, რუსული სამართლის მოხელეებს რომ ახასიათებდა.

რუსული სამართლის შემოღების შეცდომის ნაწილობრივ გამოსწორება ჯერ კიდევ ციციანოვმა სცადა, მაგრამ საამისო ღონისძიებანი ამ მთავარმართებლის გარდაცვალების უმალ გაუქმდა, ხოლო ბოროტება კიდევ უფრო განმტკიცდა. ასე რომ ეს ახალი სამართალი ქართველ მებატონესთან ერთად შესძულდა ქართველ გლეხსაც. და ქართველი ფეოდალი, ამ სამართლის პრინციპული მოწინააღმდეგე, აქაც ადვილად მოიკაზმა ვითომცდა „საერთო“ „საქვეყნო საქმისათვის“ მებრძოლის როლში.

4. ძველი ქართული ადმინისტრაციული წყობილების დედაბოძი მოურავის ინსტიტუტი იყო. თავადურ-ბატონყმური ურთიერთობის წარმონაქმი მოურავობა შედარებით ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას გულისხმობდა. ეს ინსტიტუტი რთული შედგენილობისა იყო. მოურავის მოსაკითხავი იყო სამოურავო ქვეყნის ადმინისტრაცია, მისი ფინანსები და სამართალი. მოურავი საქართველოში მხარესაც ჰყავდა, ქალაქსაც და სოფელსაც. 1801 წლისათვის მარტო სამეფო სოფლების მოურავი სამოცამდე აღიოდა. მოურავობა სამემკვიდრეო თანამდებობა იყო და მოურავები ყველა თავადაზნაურობიდან გამოდიოდნენ. წვრილ და მცირეყმიან ქართველ თავადაზნაურობისათვის მოურავობა მატერიალური არსებობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა, მაგრამ იგივე იყო ამავე დროს მისი სოციალური გავლენის არანაკლებმნიშვნელოვანი წყარო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ახალი წყობილება პრინციპულად უარყოფდა მოურავობას. ამ წყობილების მიხედვით მოურავთა ფუნქციე-

ბი სამ სხვადასხვა უწყებას განეკუთვნებოდა: საადმინისტრაციოს, სამოსამართლოს და საფინანსოს.

მოურავის ინსტიტუტის მოსპობა, ამდენად, ძველი ქართული ფეოდალურ-თავადური წყობილების წინააღმდეგ შეტევა იყო. ის ქართველი თავადის შეუზღუდველი სოციალურ-პოლიტიკური ბატონობის შესუსტებას გულისხმობდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველი თავადი აგრე ხელგამოღებით იბრძოდა მოურავობის დასაცავად კაპიტან-ისპრავნიკის წინააღმდეგ. ე ს ი ყ ო ბ რ ძ ო ლ ა ძ ვ ე ლ ი თ ა ვ ა დ უ რ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

ქართველ გლეხს მოურავობის ინსტიტუტის გაუქმება დასანანი არ ჰქონდა. ეს მისთვის მხოლოდ ძველი მძარცველის მოშორებას ნიშნავდა. ახალი წყობილება, მოურავს რომ სცვლიდა, შედარებით უთუოდ მოწინავე იყო.

მაგრამ რეალური სინამდვილე სულ სხვა შედეგების აღმოჩნდა. ახალი ვითარების შესაფერისად უზომოდ გაზრდილი სახელმწიფო ვალდებულებანი და სახელმწიფო მოხელეთა კადრების სრული უვარგისობა ქართველ გლეხს საშინელ ტვირთად დააწვა. ერთი „შეჩვეული“ მძარცველის — მოურავის ნაცვლად მას ეხლა კიდევ უფრო უწყალო მძარცველთა ლეგიონი შეესია კაპიტან-ისპრავნიკის მეთაურობით და ძველი „საკუთარი“ მოურავი მონატრა.

რა გასაკვირია, რომ ქართველმა თავადმა მყისვე ისარგებლა ამ მდგომარეობით და საკუთარი, ვიწრო კლასობრივი რეაქციული მიზნის „საერთო“ „სახალხო“ საქმედ გასაღება სცადა.

მაინც რუსული მმართველობის უმთავრესი სიმძიმე მისი მოხელეების ბოროტმოქმედებაში იყო. ბოროტმოქმედებდნენ არა მარტო წვრილი მოხელეები, არამედ უმაღლესი თანამდებობის პირნიც კი, როგორც აჯანყებულთა საჩივრებიდან ჩანს. ხოლო მათ ჩვენებათა სიმართლეს არ უარყოფენ თვით ხელისუფლების სათავეში მდგომნიც კი, ადამიანისაგან არ მოიგონებოდა ისეთი ბოროტმოქმედება, რომ ამ მოხელეებს არ ჩაედინათ.

ქ რ თ ა მ ი. ქრთამსა და საჩუქარს ითხოვდა ყველა და ყოველგვარი თანამდებობის პირი განურჩევლად დარგისა თუ სიდიდე-სიმცირისა: კაპიტან-ისპრავნიკი, კომენდანტი, მოსამართლე, ზასედატელი, იასაული თუ თარჯიმანი. რუსული სასამართლო, ისედაც ნელი და გრძელი, ქრთამის გამო სრულიად ბოლომოუღებელი გამხდარიყო. სამამულო დავა ათი წლობით გრძელდებოდა, მოდავენი ქრთამის ძლევით ჩანაგდებოდნენ. მოსამართლენი კი ახალი ქრთამის მოლოდინში საქმის გადაწყვეტას განზრახ აჭიანურებდნენ. მაგალითი: სო-

ფელი ველისციხე სოფელ ახალშენს მიწას ეცილებოდა. საქმე სამართალში იყო. სამართლის მოხელენი რიგრიგობით ქრთამსართმევდნენ ერთსაც და მეორესაც; 10000 მანეთი ქრთამი წაიღეს და საქმე გადაუწყვეტელი რჩებოდა. ასეთი „სამართალი“ თავისი დანიშნულების საწინააღმდეგო ეფექტს იძლეოდა: ხელის შეწყობის ნაცვლად ის სამეურნეო ცხოვრების განვითარებას აფერხებდა.

და როცა სასამართლოში ასეთი ბოროტმოქმედება იყო გაბატონებული, ადვილად წარმოსადგენია, თუ რაოდენ უფრო ძლიერი იყო მისი საძაგელი გამოვლინება საქართველოს რუსული მმართველობის სხვა დარგში. საამისო მაგალითს მრავალს მიუთითებდნენ ქართველი აჯანყებულნი.

ქრთამის გვერდით სხვა ათასგვარი ბოროტმოქმედება ყვაოდა. ხალხის გლეჯა-მოტყუებას არ ერიდებოდნენ არა მარტო პროვიანტის ვირთხა მოხელენი, გათავხედებული იასაულები ან უდისციპლინო ჯარისკაცები, არამედ რაზმის უფროსი ოფიცრები და კაპიტანისპრავნიკებიც.

მაგალითად, პურის სასყიდლად მთვრობის მიერ დაწესებული იყო საწყაო ერთი ფუთი ანუ ოთხი ლიტრა. ორ ნახევარი ფუთი ანუ ერთი კოდი პურის სახაზინო ფასი ექვსი აბაზი იყო. მაგრამ, როცა გლეხი სავალდებულო გასაყიდ პურს ჩასაბარებელ პუნქტში მოიტანდა, პროვიანტის კომისიონერი პურს ისეთი „ფუთიანით“ მიირწყავდა, რომელშიაც ოთხის ნაცვლად შვიდი ლიტრა ჩადიოდა. ამავე დროს კოდში (რომელშიაც 10 ლიტრის ნაცვლად 17 1/2 ლიტრა იყო) ექვსი აბაზის ნაცვლად ოთხ აბაზს აძლევდა. და, იოანე ბოდბელ ეპისკოპოზის ჩვენებით, გამოდიოდა, რომ გლეხს ერთ კოდ ხორბალში ათი შაური ძლივს მოუდიოდა და [illegible] დროს, როცა კოდი ხორბალი ბაზარზე ოთხ მანეთზე მეტად ფასობდა. ასე რომ ხელისუფლებისა და მისი ქურდი მოხელის შეერთებული საქმიანობის შედეგად ქართველი გლეხი თავისი ჭირნახულის რეალური ფასის ერთ მერვედს იღებდა.

ზამთრობით ამა თუ იმ პუნქტში დაბანაკებული რაზმის უფროსი ჯარისკაცებს თითო ოროლად გლეხებს სახლში ჩაუყენებდა ხოლმე და გამოკვებისათვის მათ ქირას პირდებოდა. რაზმისათვის განკუთვნილ სახაზინო პროვიანტს კი ეს ქურდი ითვისებდა და გლეხს შეპირებულ მცირე ფასსაც არ უხდიდა. გამოზაფხულებისას რაზმის უფროსი ხალხს ძალით შეყრიდა და მათ ხელს აწერინებდა ისეთ მოწმობაზე, რომელშიაც ეს დარბეული გლეხები კმაყოფილებას გამო-

სთქვამდნენ რაზმისა და მისი უფროსის „წესიერი და სამართლიანი" მოქმედების გამო.

მოხდებოდა, რომ სოფელში მეკობრე (ქურდი, ავაზაკი) ვინმე გამოჩნდებოდა. მის „შენახვას" კაპიტან-ისპრავნიკი მაშინვე სოფელს დააბრალებდა და მას მძიმედაც აჯარიმებდა. მაგრამ, როცა შეწუხებული სოფელი ასეთ მეკობრეს დაიჭერდა და ეხარშეკრულს კაპიტან-ისპრავნიკს გადასცემდა, უკანასკნელი პატიმარისაგან ქრთამს აიღებდა, გაათავისუფლებდა მას, ხოლო სოფელს მისი „შენახვისათვის" კვლავ აჯარიმებდა.

ჩივილი, სამართლის ძებნა ამ ბანდიტების წინააღმდეგ სრულიად უიმედო საქმე იყო. მოჩივარს თბილისში წამოსვლის ნებართვას არ აძლევდნენ, ხოლო თუ უნებართვოდ წამოვიდოდა, კარანტინში (მცხეთას) განზრახ იმდენ ხანს გააჩერებდნენ რომ მოჩივარი მთელ საგზალს აქ გამოათავებდა და ცარიელ-ტარიელი ისევ სახლში ბრუნდებოდა. მაგრამ კარანტინის დაბრკოლებაც რომ გადაელახნა, თბილისში ჩამოეღწია და საჩივარი აღეძრა, საქმის გარჩევა-გადაწყვეტის ბოლომოუღებელ მოლოდინში მას აქ ილაჯი უწყდებოდა და უშედეგოდ უკან ბრუნდებოდა მწარე სინამდვილეში დარწმუნებული,—რომ ამ ახალი სასამართლოს კარები სიმართლისათვის დახშული იყო.

ამის შედეგი იყო, რომ ხალხი ბოღმით გულში დიდხანს უსიტყვოდ ასრულებდა ყოვლის შემძლე კაპიტან-ისპრავნიკების და მისი დამქაშების უკანონო სურვილებს.

ერთი სიტყვით, ძალადობა მეფობდა, გამკითხველი არსად იყო. იმისთვის ,რომ მოგხედოს და გიშველოს, „ღმერთი მეტად მაღლაა, ხოლო მეფე მეტად შორსაო", ცინიკურად ეუბნებოდნენ ეს ბასკაკბანდიტები განაწამებ ხალხს.

* * *

პაულუჩის ეგზეკუციები 1811/12 წელს—ეს უკანასკნელი მოგუზალი იყო, თოფის წამლის საწყობში რომ შეიტანეს. კახეთის ოლქის სამხედრო უფროსის მექრთამე და მრუში გენერალი პორტნიაგინის დრაგუნები მცირე რაზმებად კახურ სოფლებს მოედვნენ და ისე მოქმედებდნენ ვითომც ოსმალო იანიჩარები ან სპარსელი ყიზილბაშები ახლად დაპყრობილი გიაურების ქვეყანაში გამარჯვებას იმკიანო. დარბევა-წართმევა. ჩადგომა-ლოთობა, ცემა-ტყეპა, მრუშობა, ცინიკური შეურაცხყოფა, ოჯახის გაუპატიურება,—ასეთი იყო ამ რაზმებისა და რაზმელთა უმრავლესობის საგმირო საქმეები.

და აჯანყდა ხალხი ამ ბოროტების წინააღმდეგ. 1812 წლის კახეთის აჯანყება რუსეთის მთავრობის პოლიტიკის დიდი მარცხი იყო. „ევროპელობით“ და სამართლიანობით მოქადულმა მთავრობამ 12-წლოვანი ბრძოლით არა თუ მოწინააღმდეგე—რეაქციული ქართველი თავადობა—ვერ დაამარცხა და დაიმორჩილა, არამედ ქართველი ხალხის გულწრფელ მომხრეთა ფართო ფენებიც კი გაიორგულ-გადაიმტერა და ამით რეტროგრად თავადებს საბრძოლო პოზიციები განუმტკიცა.

ამ პოლიტიკური მარცხის შედეგი იყო, რომ 1812 წელს რუსული მმართველობა საქართველოში კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა და თუ ის დაღუპვას გადარჩა, ეს მოხდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის მთავრობის მოქიშპე სახელმწიფოებს—სპარსეთს და ოსმალეთს „აზიური“ ჩამორჩენილობის უკურნებელი დამბლა სჭირდათ.

* * *

**აჯანყების დასაწყისი.** კახეთის აჯანყება ახმეტას დაიწყო. 1812 წელს 31 იანვარს, როცა დაბალ ფასებში პურის გაყიდვაზე ახმეტელებმა უარი სთქვეს, სოფელს ეკზეკუცია ეწვია. აჯანყებულ ახმეტას ჩამოეშველნენ გლეხები თიანეთიდან, მარილისიდან, მატნიდან და პირველ თებერვალს კაპიტან-ისპრავნიკი და ეკზეკუცია სოფლიდან იფრინეს. აჯანყებულებმა ყური არ ათხოვეს თავადებს. კაპიტან-ისპრავნიკმა რომ მათ დასაწყნარებლად გაგზავნა, და სწრაფად თელავზე გამოილაშქრეს.

აჯანყება ელვის სისწრაფით გავრცელდა და მთელ ქვეყანას მოედო. აჯანყების მოციქულები სოფლიდან სოფელში, თემიდან თემში მიმორბოდნენ და ქვეყანას ბრძოლად მოუწოდებდნენ. ახმეტას დაძრული აჯანყებულთა ზვავი ორ თებერვალს უკვე თელავს შემოსწოლოდა. ქალაქი იმ დღესვე აიღეს. რუსთა რაზმი ციხეში ჩაიკეტა. აჯანყებულთა ამ ჯგუფს თავადები სიმონ ბებურიშვილი და ივანე მაყაშვილი წინამძღვანელობდნენ.

კახეთის ოლქის სამხედრო უფროსის გენერალ პორტნიაგინის ბანაკი საგარეჯოს იყო. ხალხის დარბევა-წაგლეჯის „გმირი“ გენერალი კრიტიკულ მომენტში თავგზააბნეული აღმოჩნდა. თელავის გარნიზონისათვის მისაშველებლად პორტნიაგინმა პირველსა და სამ თებერვალს გომბორიდან და საგარეჯოდან დრაგუნთა რაზმები წვრილწვრილად გაგზავნა. სუსტმა რაზმებმა მეამბოხეებთან ბრძოლაში დიდი ზარალი განიცადეს და ძლივს თელავის ციხეში შევიდნენ და იქ ჩაიკეტნენ. ქალაქი კი ისევ მეამბოხეთა ხელში დარჩა.

პორტნიაგინი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. მისი ჯარი მცირე რაზმებად კახეთის სოფლებში იყო ექზეკუციებად მიმოფანტული. გენერალს თავისთან საკმაო ძალა არ ჰყავდა. შიშისაგან გული უსკდებოდა და საგარეჯოს ბანაკში ჩაკეტილი თბილისიდან დამხმარე ძალებს დაჟინებით ითხოვდა.

ხუთ თებერვალს ქიზიყელ მეამბოხეთა ერთი ჯგუფი სიღნაღს შემოადგა. ქალაქში ასი კაცისაგან შემდგარი რუსთა რაზმი იდგა. აქვე აღმოჩნდნენ ამ დღეს პორტნიაგინის შტაბის მოძალადე ოფიცრები და მექრთამეობა-მოძალადეობით კიდევ უფრო სახელგანთქმული კაპიტან-ისპრავნიკი სოროკინი თავისი ნათესავ-მოხელეებითურთ. მეამბოხეთა ჯგუფს აქ თავადები სიმონ და ადამ ბებურიშვილები წინამძღოლობდნენ. ექვს თებერვალს მეამბოხეებმა ქალაქი და ციხეც ბრძოლით აიღეს და დამარცხებულთ არაჩვეულებრივი სიმკაცრით მოეპყრნენ.

ამავე დროს მეამბოხეთა მეორე ჯგუფი ქოდალოს ციხეს შემოდგომოდა, სადაც 80 კაცისაგან შემდგარი რუსთა გარნიზონი თავს იცავდა.

აჯანყებას სიღნაღის მაზრაში თავად-აზნაურთა მარშალი ნინო ანდრონიკაშვილი მეთაურობდა.

ქიზიყელ მეამბოხეთა მესამე ჯგუფი ექვს თებერვალს დაეცა ყაბარდოს პოლკის მთავარ ბანაკს, რომელიც ბოდბისხევს იმყოფებოდა. აჯანყებულთა ამ ჯგუფს თავადი ოთარ ქობულაშვილი მეთაურობდა. ცხარე ომი მეამბოხეთა გამარჯვებით დამთავრდა. ყაბარდოს პოლკმა ამ ბრძოლაში 212 ჯარისკაცი დაკარგა და ბანაკის მთელი ქონებაც აჯანყებულთ დარჩა. პოლკის ნაშთმა თავს გაქცევით უშველა და ყარაღაჯის ციხეს შეეფარა, რომელსაც მეამბოხეებმა მჭიდრო ალყა შემოარტყეს.

იმავე ექვს თებერვალს მეამბოხეებმა ხელთ იგდეს კაზაკთა პოლკის ბანაკი ანაგაში. დაღუპვას გადარჩა ერთი ესაული რამოდენიმე კაზაკით, რომელმაც განადგურებული პოლკის დროშა საგარეჯოში პორტნიაგინს მიუტანა.

ასეთივე დღე დააწიეს მეამბოხეებმა ნარვის დრაგუნთა პოლკის ესკადრონებს კაკაბეთსა და მანავში.

ასეთივე დღე ემუქრებოდა თვით საგარეჯოს „გმირს“ გენერალ პორტნიაგინს, რომელსაც უკვე ხუთ თებერვალს აჯანყებულნი ალყად შემოდგომოდნენ და ექვს თებერვალს ბანაკზე იერიშით მისვლას აპირებდნენ. კახეთის ოლქის სამხედრო უფროსს თბილისიდან მაშველმა ჯარმა ბედზე მოუსწრო და ის დაღუპვას გადაარჩინა. პორ-

ტნიაგინს მთელი თავისი პოლკიდან მხოლოდ 261 კაცი შერჩენოდა. გენერალმა ისევ დახმარება ითხოვა. ამ ხელად კი მას უარი უთხრეს და თავისი ჯარით სასწრაფოდ თბილისში დაბრუნება უბრძანეს. 8 თებერვალს ღამით პორტნიაგინი თავისი ჯარის ნაშთით თბილისში გაიპარა, ტყე-ბილიკებით იარა, თუმცა მაინც დაზარალდა და ძლივს 12 თებერვალს ქალაქს მიაღწია.

**აჯანყების ხასიათი.** აჯანყების მსვლელობიდან აშკარა იყო, რომ მას გამოცდილი ხელმძღვანელობა ჰყავდა. კარგად ჩანდა სამოქმედო გეგმა, რომელიც მოწინააღმდეგის სუსტ პოზიციებს ითვალისწინებდა და ამ გარემოების გამოყენებას მარჯვედ ცდილობდა. ერთდროული თავდასხმით მეამბოხეებმა მთავრობის მცირე რაზმებს გაერთიანების საშუალება მოუსპეს და ისინი ცალკ-ცალკე ადვილად დაამარცხეს ან ციხეებში ჩაკეტეს. ამავე დროს აჯანყებულნი შეეცადნენ კახეთის მეზობელი თემების მიმხრობას, ქართლსა, ბორჩალოსა, ყაზახსა და ფშავ-ხევსურეთში აჯანყების გამოწვევას; ჭარბელაქანშიაც მოციქულები აფრინეს და ლეკებს დასახმარებლად მოუწოდეს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აჯანყებულებმა ანანურის მაზრას, არაგვ-თერგზე აჯანყების გამოწვევით მათ სამხედრო გზის გადაკეტვა და ლინიიდან ამიერკავკასიის მოწყვეტა სურდათ. თუ ეს გეგმები წარმატებით განვითარდებოდა, მეამბოხეთა საბოლოო მიზანი თბილისის აღება იყო და იქ რუსული ხელისუფლების მოსპობა.

აჯანყების დაწყებიდან ერთი კვირის გასულს უკვე ისეთი მდგომარეობა შექმნილიყო, რომ თბილისის მთავრობა თავდაცვისათვის უკანასკნელ ღონეს იკრებდა.

მთავარმართებელი პაულუჩი ამ ხანებში საქართველოში არ იმყოფებოდა. კასპიის სანაპიროებზე ართულებათა გამო ის ბაქო-ყუბას წასულიყო და თავის ნაცვლად თბილისში გენერალი კლოდტი დაეტოვებინა. კლდოტმა დაუყოვნებლივ აცნობა პაულუჩის საშიში ამბოხების შესახებ და მთავარმართებელიც სწრაფად თბილისისაკენ გამოეშურა, სადაც მხოლოდ 21 თებერვალს მიაღწია.

თბილისის მთავრობისათვის ეს აჯანყება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ამიტომაც იყო, რომ პირველ ხანებში რამდენადაც მეამბოხეთა მოქმედება გეგმიანი და მოფიქრებული ჩანდა, ამდენადვე მთავრობას დაბნეულობა ეტყობოდა.

ხელისუფლებამ დახმარებისათვის მიმართა ქართლ-კახეთის იმ თავადებს, ვინც თბილისში იყო და ჯერ კიდევ მთავრობის ერთგუ-

ლებას იჩემებდა. ამათი საშუალებით მთავრობას სურდა აჯანყებულებზე და მათ ხელმძღვანელებზე ზეგავლენა მოეხდინა. აამოქმედეს მიტროპოლიტი ვარლამი და სხვა საეკლესიო „გვამნიც“. არაფერი გამოვიდა. მოციქულად გაგზავნილი ზოგი თავადი აღარ დაბრუნდა, ზოგი კი უშედეგოდ გაისარჯა. აჯანყება ძლიერდებოდა და მეამბოხენი ამ მშვიდობა-მორჩილების მოციქულებს ახლოს არ იკარებდნენ, ხოლო მთავრობის აქტიურ მომხრეებს არბევდნენ. და როცა 10 თებერვალს აჯანყებულთა რაზმები მარტყოფის მიდამოებში გამოჩნდნენ, მთავრობის „ერთგულმა“ თავადებმა მათთან მოსალაპარაკებლად წასვლაზე უარი სთქვეს. ხელისუფლების ერთგულებაში ნაცადი თამაზ ორბელიანიც კი—გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი, საეჭვოდ ამოქმედდა. მან უჩუმრად თავისი ცოლშვილი თბილისიდან გაიყვანა.

თავგზააბნეული მთავრობა ეხლა და უგზავნიდა განკარგულებებს კაპიტან-ისპრავნიკებს, მოსახლეობასთან ურთიერთობაში ზომიერებას უბრძანებდა მათ და ეკზეკუციების გამოყენებას სავსებით უკრძალავდა. მაგრამ ამ განკარგულებათა მიმღებელ-შემსრულებელი აღარავინ იყო: კაპიტან-ისპრავნიკები და საეკზეკუციო რაზმები ან გაწყვეტილი იყვნენ ან ციხეებში შემწყვდეულები ალყაშემორტყმული ისხდნენ.

6 თებერვალს აჯანყებულთ ფშავ-ხევსურეთი მიემხრო. 10 თებერვალს კი 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი ფშავ-ხევსურ-თიანელებისა, რომელსაც თავადი იოსებ სიდამონიშვილი მეთაურობდა, არაგვის ხეობაში სამხედრო გზის რაიონში გამოვიდა და ანანურს ალყა შემოარტყა. გარშემო სოფლები უმალ აჯანყებულთ მიუვიდა. დუშეთი და ფასანაურის საგუშაგო მეამბოხეებმა ჯერ ისევ ცხრა თებერვალს აიღეს. აჯანყებულებმა მოციქულები აფრინეს მთიულეთს, გუდამაყარს, ხევს, თაგაურს და ხალხს აჯანყებად მოუწოდეს.

მეფის მთავრობის მხარეზე აქ ენერგიულად გაისარჯნენ კონსტანტინე მუხრან-ბატონი, თორნიკე ერისთავი და გაბრიელ ყაზიბეგიშვილი. ეს უკანასკნელი კავკავს გაიქცა და იქიდან დამხმარე ჯარი წამოიყვანა. მუხრან-ბატონმა და თორნიკე ერისთავმა მეამბოხეების წინააღმდეგ საკუთარი ყმები შემოიყარეს, მაგრამ გლეხებმა მეამბოხეებს თოფი არ ესროლეს. მუხრან-ბატონი თბილისს გაიქცა. ანანურის კაპიტან-ისპრავნიკმა 200 კაცი შეაგროვა ქართველი და ოსი, მაგრამ მისი ეს მოლაშქრენიც მეამბოხეთა მხარეზე გადავიდნენ. ბრძოლაში დაჭრილი კაპიტან-ისპრავნიკი გორს გაიქცა.

მეტად კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. სამხედრო გზა ჩაიკეტა. მეამბოხენი ავჭალის მიდამოებში გამოჩნდნენ და შიდა ქართლიდან თბილისს მომავალი პურის ტრანსპორტი გაიტაცეს. საზრუნავი მცხეთა-ღართისკარის დაცვა გახდა, რათა თბილისი ქართლს არ მოწყვეტილიყო და მეამბოხეთა ალყაში არ აღმოჩენილიყო. ქართლში აჯანყების სუნი დატრიალდა, თუმცა ცეცხლი არ გაღვივდა და ალი არ ავარდა. მდგომარეობა სხვა გარემოებათა შორის აქ იმანაც იხსნა, რომ გორის სამხედრო ოლქის უფროსმა სტალმა კახეთის გაკვეთილი გონივრულად გამოიყენა და საჭირო სამხედრო ზომები დროზე მიიღო. მან მცირე სამხედრო რაზმები გააერთიანა და მოზრდილი სამხედრო ერთეულები ისეთ ადგილებში ჩააყენა, რომ საჭირო შემთხვევაში ურთიერთისათვის დახმარება შეძლებოდათ. ამის გამო სტალს საშუალება მიეცა საკმაო ჯარი გამოეყო აჯანყებულთა წინააღმდეგ სამოქმედოდ სამხედრო გზის რაიონში.

გორიდან ჯარი გამოიწვიეს, ღორთისკარი და მცხეთა გაამაგრეს. ერთი ბატალიონიც პოლკოვნიკი უშაკოვის სარდლობით მუხრანზე გამოვლით დუშეთს წავიდა და 13 თებერვალს ომით აიღო ის. აქედან უშაკოვი ანანურს მივიდა და მოალყე-მეამბოხეებს ცხარე ომი გაუმართა. მეამბოხეებმა ანანურს ალყა მოხსნეს და მის ახლო გამაგრდნენ. 17 თებერვალს უშაკოვმა კონსტანტინე მუხრან-ბატონის აქტიური დახმარებით მოსპო აჯანყებულთა შტაბი, რამაც ამბოხებულ გლეხთა სიმტკიცე შეარყია. სიდამონიშვილი ფშავ-ხევსურ-თიანელებით საშაბუროს გამაგრდა და დამხმარე ძალებს უშედეგოდ ელოდა. 21 თებერვალს უშაკოვმა დაამარცხა ეს რაზმი. ამასობაში კავკავიდან ყაზიბეგიშვილის წინამძღოლობით წამოსული დამხმარე ჯარი ფასანაურს მოვიდა. ამრიგად, მთავრობის სამხედრო ძალის უპირატესობა აშკარა შეიქნა, თუმცა დარიალის გზა ამის შემდეგაც კარგახანს თავისუფალი არ იყო.

ამასობაში კახეთ-თბილისის მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. 12 თებერვალს მეამბოხეებმა მარტყოფის პოსტი აიღეს, რაც თბილისს უშუალო საფრთხეს უქმნიდა. მთავრობამ ერთი ბატალიონი ჯარი ციხანოვსკის სარდლობით სასწრაფოდ მარტყოფს გაგზავნა. რუსთა ჯარს თან გაყვა ქართველი თავადების ჯგუფი, მათ შორის ერეკლეს ძიძე ვახტანგ ორბელიანი. მეამბოხეებმა ჯერ სართიჭალას, ხოლო აქედან ხაშმს დაიხიეს. 19 თებერვალს მოხდა შეტაკება, რის შემდეგ მეამბოხეები სამეპაში გამაგრდნენ.

21 თებერვალს მთავარმართებელი პაულუჩი თბილისს დაბრუნდა. მეორე დღესვე მან ტიხანოვსკის ერთი პოლკი ჯარი მიაშველა, ხოლო კახელებს პროკლამაციით მიმართა.

მთავარმართებელი მიუთითებდა აჯანყებულთ მათ მძიმე დანაშაულზე: ფიცის მტეხელობაზე, ხელმწიფის ღალატზე, მათი ძცველი ჯარის წინააღმდეგ იარაღის აღებაზე. პაულუჩი მოუწოდებდა კახელებს მშვიდობისაკენ, მორჩილებით მოსულთ პატიებას აღუთქვამდა, ხოლო ურჩებს ულმობელი ზომებით ემუქრებოდა.

თბილისს დაბრუნებული პაულუჩი საქმის ვითარებას გაეცნო. საჭირო სამხედრო და ადმინისტრაციული ღონისძიებები მიიღო და 23 თებერვალს თითონ წავიდა ხაშმს. ქვეითი ჯარისა, არტილერიისა და ყაზახთა გვერდით პაულუჩის თან ახლდა ქართლის თავადებისაგან შემდგარი რაზმი და მაღალ სამღვდელო პირთა დასი. ჩანდა, რომ თავადებმა დაყნოსეს. აჯანყების საქმე წაგებულად შეაფასეს და ხელმწიფის სამსახურზე „თავის დადება" ისწრაფეს.

პაულუჩის მოქმედების ხასიათს კახეთის აჯანყებულთა წინააღმდეგ სხვადასხვა მომენტი განსაზღვრავდა. საქმე მეტის მეტად რთული იყო. ხელისუფლებას დიდი მარცხი ჰქონდა განცდილი. ტყვეების თუ დაჭრილ-დახოცილების სახით მას 1350 მეტი დაკარგოდა, კახეთის ციხეებშიაც 500 კაცზე მეტი ალყაშემორტყმული იყო. ხაზინას უზომოდ დიდი ზარალი მოსვლოდა, სხვა დანაკლისს გარდა მხოლოდ ფულად 58000 მან. დაღუპვოდა.

მთავრობისათვის საჭირო იყო ამბოხების სწრაფი ლიკვიდაცია და, რაც შეიძლება, ნაკლები მსხვერპლით. დაყვავების ხერხი აქ საუკეთესო საშუალება ჩანდა, ზედმეტ სიმკაცრეს შეეძლო გარეშე მტრისათვის სამსახური გაეწია. პაულუჩის უკვე მიღებული ჰქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ ამბოხების ხელმძღვანელები საქმის გახანგრძლივებას ცდილობდნენ, რომ კახელებს ალექსანდრე ბატონიშვილთან მოციქულები გაეგზავნათ, რომ ისინი აბას-მირზასაგან დახმარებას ელოდნენ. გარდა ამისა ხელისუფლებისათვის სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი ხანგრძლივი ომით გავერანება კახეთისა. ეს საკუთარი თავის დაღუპვის თანასწორი იქნებოდა: ქართლ-კახეთი იყო, რომ რუსთა ჯარს კვებავდა და მისი მრავალწლოვანი ლაშქრობის სამეურნეო-ტექნიკური მომსახურების უმძიმესი ტვირთი საკუთარ მხრებზე გადაქონდა.

დაბოლოს, პაულუჩი იმ უსიამოვნო გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ, თუ აჯანყება გახანგრძლივდებოდა, პეტერბურგის მთავრობას შეეძლო ეს მთავარმართებლის პირადი სისუსტით აეხსნა, რაც ამ გენერლის სამოხელეო კარიერის დასამარება იქნებოდა. ამიტომ პაულუჩის სურვილი იყო ამბოხების ცეცხლი სწრაფად ჩაექრო, ხოლო მისი მიზეზი თავის წინამოადგილეთა უვარგისი საქმია-

ნობის შედეგად გაესაღებინა, რომ, ამრიგად, საკუთარი „დამსახურება“ კიდევ უფრო წინ წამოეწია.

პაულუჩის პროკლამაციას მეამბოხეებმა ღირსეული პასუხი გასცეს. მარტივი და მართალი სიტყვით მეამბოხენი დაუნდობლად ამხელდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი აგენტების უმსგავსო საქმიანობას, რამაც აჯანყებამდე მიიყვანა სასოწარკვეთილი ხალხი. მეამბოხენი კატეგორიულად უარყოფდნენ, თითქო ისინი ფიცისმტეხელნი და რუსხელმწიფის მოღალატენი ყოფილიყვნენ. მეამბოხეთა ეს განცხადება, ისევე როგორც მთელი მათი პასუხი, გულწრფელი და მართალი იყო. ქართველი ხალხის უმრავლესობის სურვილი რუს ხალხთან (=რუსხელმწიფე) კავშირის გაწყვეტა არ შეიძლება ყოფილიყო. მას კარგად ესმოდა ამ კავშირის ფასი, მეამბოხენი იბრძოდნენ არა რუსი ხალხის. არამედ იმ რეჟიმის წინააღმდეგ. რომელიც აქ რუსეთის მთავრობამ შექმნა.

„ჩვენ—წერდნენ მეამბოხენი—ქრისტეს არ უარვყოფთ და არც ხელმწიფის მოღალატენი ვართ. არც ფიცისმტეხელნი. მიზეზი თქვენ მოგვეცით. რაც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით ნაბრძანები იყო, თქვენგნით არ შესრულდა. მიზეზი თქვენ მოგვეცით. გვხოცავდით და თოკით გვახრჩობდით, დამნაშავისა და ერთგულის გარჩევა არ იყო, მაგრამ ამასაც ვითმენდით ხელმწიფის ერთგულებისათვის და ფიცისათვის. ეგზეკუციით და ხიშტებით გვაიძულებდით შეუძლებელს, ცოლსა და შვილებს გვიხოცავდით. პური წაგვართვით და შიმშილით გვწყვეტდით და გვეუბნებოდით, რომ ბალახი გვეძოვნა... ბეგრის გამო ხარი არ შეგვრჩა და ტყეში საურმე ხე აღარ არის. ამდენი უდიერი ვეღარ ავიტანეთ. კაცი, ვიდრე საკუთარ ცოლშვილს შიმშილით გაწყვეტდეს, უმალ სხვას მოკლავს. ჩვენ ჭეშმარიტად ვიცით. რომ ხელმწიფეს ხალხის გაწყვეტა არ ნებავს. მიზეზი თქვენა ხართ. თქვენთან შერიგების პირი ჩვენ აღარა გვაქვს, ოჯახიცა და თავიც გავწირეთ. თქვენ კოდ პურში ექვს აბაზს გვაძლევდით. ხოლო თუ ვინმეს ჩვენთაგანს (თქვენთვის მოსასყიდი) პური არ ჰქონდა. მის საბადლო ფასს კოდში ოთხ მანეთს გვახდევინებდით. ჩვენ ხელმწიფისათვის არ გვიღალატნია და არ ვართ მოღალატენი. თქვენ გარდახვედით ხელმწიფის ბრძანებას და ჩვენ უსამართლობა ვეღარ ავიტანეთ. ჩვენი თქვენთან შერიგება აღარ იქნება, ჩვენ ისედაც მკვდრები ვართ და უნდა დავიხოცნეთ. ჩვენ არზა მოგართვით, თქვენ ის ხელმწიფეს არ მოახსენეთ. თქვენ გვატყუებდით, ხოლო ჩვენ ვითმენდით. მეტი მოთმენა შეუძლებელია. აქ დასასრულია და ჩვენ უნდა დავიხოცნეთ“.

მეამბოხეებს ხაშმის ახლოს სამებასთან ძლიერი პოზიცია ეჭირათ. პაულუჩის არ სურდა იერიშით მისვლა. ჯარის შეწყვეტა აფიქრებდა. ამიტომაც იყო, რომ მან მეამბოხეთა ამ პასუხის შემდეგ 24 თებერვალს მათ მოციქულები გაუგზავნა (ნინოწმიდელი ეპისკოპოსი, მაიორი ავალიშვილი და საკუთარი მოძღვარი). მთავარმართებელი მეამბოხეებს არწმუნებდა, რომ მან არაფერი იცოდა მათი ასეთი საჩივრების შესახებ, თორემ სიმართლეს გამოექომაგებოდა. აღუთქვამდა, რომ ყოველივეს გამოიძიებდა და სამართლიანობას აღადგენდა. პაულუჩი ურჩევდა აჯანყებულთ დაშლილიყვნენ და ემუქრებოდა, რომ, თუ არ დაიშლებოდნენ, ისე მოეპყრობოდა მათ, როგორც მოღალატეებს.

პაულუჩის მოციქულებს მეამბოხეებმა შემდეგი უპასუხეს: „ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არ გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა მათ გაგვჟლიტონ. ჩვენ რუსხელმწიფის მფარველობას ვეძებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა; მაგრამ მის მსახურთა უსამართლოებამა და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როდესაც უფალმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს, როდესაც თითონ ბალახბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ. ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს, ხელებს აფეთურებდნენ და სჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს, მარნებს გვიტეხავდნენ, ღვინით ილეშებოდნენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდნენ, ქვევრებში სიბინძურეს გვიყრიდნენ. ბოლოს ჩვენს თვალწინვე ჩვენს ცოლებსა და ქალებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ამისთანა შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასიდა ექნება? ჩვენ ცოდვილნი ვართ ღვთისა და რუსხელმწიფის წინაშე, რომ ქრისტიანთა სისხლში ხელი გავისვარეთ, მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ რუსთა ღალატი არასოდეს ფიქრად არა გვქონია. ჩვენ ეს ძალდატანებამ გვაიძულა და გადავწყვიტეთ აქვე დავიხოცოთ. შენდობის იმედი არა გვაქვს: ვინ ამცნობს ხელმწიფეს ჩვენს მდგომარეობას? განა დაგვვიწყებია, თუ რას გვიპასუხებდნენ ხოლმე თქვენებური უფროსები, როდესაც ხელმწიფეს ვახსენებდით:—„ღმერთი მეტად მაღლაა, ხოლო ხელმწიფე მეტად შორსაა“. წადით ისევ მათთან: ვერც თქვენ, ვერც ისინი ვეღარ მოგვატყუებთ“.

25 თებერვალს მთავრობის ჯარმა მეამბოხეებს შეუტია. მეამბოხეებმა რამოდენიმე ათეული მეომარი დაკარგეს და იძულებული იყვნენ დაფანტულიყვნენ. რეგულარული ჯარის იარაღისა და ორგანიზაციის უპირატესობამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. პაულუჩის

ბრძანებით ტყვედ ჩავარდნილი მეამბოხენი იქვე ჩამოახრჩვეს. მეორეს მხრით მთავარმართებელმა აჯანყებულებს პროკლამაციით კვლავ დაუდასტურა, რომ მთავრობა შურს არ იძიებს და მეამბოხეებს დანაშაული ყველას ეპატიებათ, ოღონდ სახლში დაბრუნდნენ და მშვიდობიან შრომას შეუდგნენ. ამავე დროს მთავარმართებელი ხალხს მის საჩივართა გამოძიებას და სამართლიანობის აღდგენას პირდებოდა.

ხაშმიდან პაულუჩი საგარეჯოსაკენ წავიდა. სიღნაღს სურდა მისულიყო, რათა ყარაღაჯ-ქოდალოს გარნიზონების გამოხსნისა და ქიზიყის დამორჩილების შემდეგ თელავის გარნიზონს მიშველებოდა. იქვე თელავს უნდა შემოყროდა მას ანანურიდან წამოსული უშაკოვი თავისი ჯარით, რომელსაც ბულაჩაურ-თიანეთზე უნდა გამოევლო.

ხაშმიდან სიღნაღამდე პაულუჩიმ უომრად გაიარა. გარე-კახეთის სოფლები მას მორჩილებით მიუვიდნენ. ამავე დროს მთავარმართებლის აგენტ-მოციქულებს ცნობები მოჰქონდათ, რომ მეამბოხეებს ხელისუფლებისა არა სჯერათ და არც მასთან ლაპარაკი სურთ. ჩანდა, რომ წვრილ შეტაკებებს მეამბოხენი ერიდებოდნენ და გადამწყვეტი ომისათვის ემზადებოდნენ. 27 თებერვალს კაკაბეთში მისულ მთავარმართებელს შემოეყარა ყარაღაჯის ციხეში შემწყვდეული რუსთა ჯარის ნაშთით პოლკოვნიკი სტეპანოვი, რომელსაც დიდის ზარალით დაეღწია თავი მეამბოხეთა ალყისათვის.

სიღნაღისაკენ მიმავალმა პაულუჩიმ ჯარის ნაწილი ტიხანოვსკის სარდლობით ქოდალოს ციხის მოალყეთა წინააღმდეგ გაგზავნა. 28 თებერვალს ტიხანოვსკიმ ქოდალოდან მეამბოხენი ომით განდევნა.

29 თებერვალს პაულუჩი სიღნაღს მივიდა. მის წინაშე მორჩილებით გამოცხადდნენ ქიზიყელი მამასახლისები. მთავარმართებელმა მაზრის უფროსად მაიორი ორბელიანი დანიშნა—გენერალი დიმიტრი ორბელიანის ძმა, ხოლო მოურავად—იოსებ ანდრონიკაშვილი.

მეორე დღესვე პაულუჩი თელავისაკენ წავიდა. პირველსა და ორ მარტს სოფელ ჩუმლაყის მიდამოებში მას გადამწყვეტი შეტაკება მოუხდა მეამბოხეებთან. 4000 მეამბოხე აქ დიდის მხნეობით წინ დაუდგა პაულუჩის ლაშქარს და ორი მძიმე ომი გადაიხადა. ამ ბრძოლაში მოიკლა ერეკლე მეფის სიძე ვახტანგ ორბელიანი, რომელიც მთავრობის ჯარში იბრძოდა. და დაიჭრა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე—პაულუჩის ადიუტანტი.

მეამბოხეებს აქ ხელმძღვანელობდა ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე.

გრიგოლ ბატონიშვილი რუსული მმართველობის შემოღების დღიდანვე ქართლში დარჩენილიყო. ეხლა, როცა აჯანყება ავარდა, ეს ბატონიშვილი გამოიყვანეს და „მეფედ“ აღიარეს. საშაბუროს გამაგრებულ მეამბოხეთა რაზმთან, რომელსაც იოსებ სიდამონიშვილი სარდლობდა, გრიგოლ ბატონიშვილიც იმყოფებოდა, ხოლო როცა უშაკოვმა აჯანყებულთა ეს ჯგუფი დაამარცხა, ბატონიშვილი კახეთს გადავიდა და აქ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა.

ეს გარემოება ფრიად საზრუნავი იყო საქართველოს რუსული ხელისუფლებისათვის. ქართველი „მეფის“ გამოჩენა ბრძოლის ასპარეზზე აჯანყების საქმის იდეურ თავისმობმას ნიშნავდა და მისი ლიკვიდაციის საქმეს ართულებდა. მართალია, გრიგოლს ნაკლებად იცნობდნენ და ის, უნდოდა თუ არა, ალექსანდრე ბატონიშვილს უპირისპირდებოდა, რომელიც „ქართველობის“ აღდგენისათვის ბრძოლის მეთაურობას იჩემებდა (ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ამ დროს ერევანს იმყოფებოდა, მეამბოხეებმა ოც თებერვალს მრავალრიცხოვანი დეპუტაცია გაუგზავნეს სოლომონ ბებურიშვილისა, ტატია ალათოშვილის და გორჯასპ ნათალიშვილის მეთაურობით. მეამბოხენი ალექსანდრე ბატონიშვილს თავიანთ ერთგულებაში არწმუნებდნენ და საქართველოში მეფედ იწვევდნენ). მაგრამ ასეთ ვითარებაშიაც გრიგოლ „მეფე“ ყოვლად უსიამოვნო მოვლენა იყო. მის გამოჩენას შეეძლო აჯანყების ლიკვიდაციის საქმის გახანგრძლივება, რაც აგრე სახიფათო იყო რუსული ხელისუფლებისათვის,

არტილერიის წყალობით, თუმცა საგრძნობი ზარალის ფასად, რუსთა ჯარმა სძლია მეამბოხეებს. გრიგოლ ბატონიშვილი დაღისტანში აწვეს გაიქცა იმ ავარიელ „ლეკებთან“ ერთად, რომელნიც ჯერ ისევ ოც თებერვალს მეამბოხეთა მოწვევით მოვიდნენ და ყარალაჯის ქართველ მოალყეებთან ერთად ებრძოდნენ იქ შემწყვდეულ რუსთა ჯარის ნაწილებს.

ამის შემდეგ პაულუჩის წინაალმდეგობა არ შეხვედრია. მთავარმართებელმა საჭიროდ დაინახა კიდევ ერთხელ დაედასტურებინა თავისი განცხადება—ალთქმის სიმტკიცე მეამბოხე დამნაშავეთა სრული ამნისტიის შესახებ. 4 მარტს მოალყე მეამბოხეები თელავს გაეცალნენ და პაულუჩი მშვიდობით შევიდა ციხეში.

მშვიდობიანი არ ყოფილა არც უშაკოვის გზა. ბულაჩაურიდან მოკიდებული ის განუწყვეტელი ბრძოლით მოვიდა თიანეთამდე. გზა სულ ერთიანად ჩახერგილი იყო და მეამბოხენი მას ფომრად არა სთმობდნენ. განსაკუთრებით ცხარე შეტაკება მოხდა 5 მარტს თიანე-

თის მახლობლად. მეამბოხენი მთავრობის ჯარის ხიშტებს აწყდებოდნენ, კლდეზე ცვივოდნენ, თავს იხოცავდნენ და ტყვედ კი არ ნებდებოდნენ... ეს უკანასკნელი გარემოება იმითაც აიხსნებოდა, რომ მთავრობის ჯარის სარდლობა იარაღით ხელში ტყვედ ჩავარდნილ გლეხ მეამბოხეებს ჩვეულებრივ გაუსამართლებლად იქვე ბოძებზე ჰკიდებდა.

აჯანყების ლიკვიდაციისათვის მისი მეთაურის ხელში ჩაგდება პირველხარისხოვანი ამოცანა იყო. ანწუხიდან გრიგოლის გამოყვანა იკისრა ზაზა ანდრონიკაშვილმა, ქიზიყელ აჯანყებულთა მეთაურის ნინია ანდრონიკაშვილის ძმამ, გრიგოლის მამის იოანე ბატონიშვილის სახლთუხუცესმა. ზაზას მისია წარმატებით დამთავრდა. 6 მარტს გრიგოლ ბატონიშვილი თელავს პაულუჩის წინაშე მორჩილებით გამოცხადდა.

*
* *

**აჯანყების პირველი ეტაპის დასასრული.** პაულუჩი საქმის ვითომ კმაყოფილი იყო. აჯანყება თითქო დამთავრდა. კახელებმა ასობით მოიყვანეს ტყვე რუსი ჯარისკაცები. ტყვეთა ეს სიმრავლე, ერთის მხრით, იმის მოწმობა იყო, რომ კახელი მეამბოხენი დაუნდობლად მტრობდნენ არა რუსებს, არამედ რუსულ მმართველობას და მის აგენტებს, რუსი კაპიტან-ისპრავნიკები იქნებოდნენ ისინი, თუ ქართველი თავადები. მეორე მხრით, ტყვეთა სიმრავლე იმის მოწმობაც იყო, რომ ყოველი რუსი ჯარისკაცი თანაზიარი როდი იყო იმ უმსგავსოებისა, რასაც რუსთა რაზმები და, განსაკუთრებით, მათი მეთაურები ქართულ სოფლებში სჩადიოდნენ. ტყვეთა სიმრავლე, დასასრულ, რუს ჯარისკაცთა პროტესტის გამოსახულება იყო იმ კატორღული სამსახურის წინააღმდეგ, რომელსაც რეკრუტი ეწოდებოდა. „დეზერტირობის“ განწყობილება ასეთ ჯარში მუდამ სუფევდა და ის მასობრივი მოვლენის სახით თავს იჩენდა, როცა თავმოძულებულ ჯარისკაცს იმის იმედი ეძლეოდა, რომ ტყვეობა-დეზერტირობით ამ კატორღას თავს დააღწევდა.

6 მარტს პაულუჩიმ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ კახეთში აჯანყება ჩამქრალია. თელავის მაზრის უფროსად მან მაიორი შმატოვი დანიშნა, ხოლო მაზრის მოურავად სოლომონ ავალიშვილი. ამის შემდეგ მთავარმართებელი თბილისს დაბრუნდა, საიდანაც გრიგოლ ბატონიშვილი 17 მარტს გადასახლებაში რუსეთს გაგზავნა.

ასე ჩათავდა 1812 წელს კახელ მეამბოხეთა პირველი გამოსვლა მის შედეგად შექმნილი ვითარების საბოლოოდ კმაყოფილი არცერთი მხარე არ იყო. ბრძოლა გრძელდებოდა და მისი გადაქცევა შეიარაღებულ შეტაკებად კვლავ მოსალოდნელი იყო.

აჯანყების უმთავრესი სისუსტე იქიდან წარმოსდგებოდა, რომ არსებითად საქართველო ჯერ ისევ ურთიერთთან მცირედ დაკავშირებული ერთეულების კრებული იყო, რუსული მმართველობით გაერთიანებული.—ქართველ ხალხს „ეკონომიური კავშირების ერთობა“ არ ჰქონდა, აქ სამეფო-სამთავრო-სათავადოების მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური ტრადიციები შეურყეველი იყო. ქართლის ჭირი იმერეთს არ ესმოდა, მთას ბარისა არ გაეგებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველა ეს აჯანყებანი უპირატესად ყოფილი რეალური პოლიტიკური ერთეულების ფარგლებს შიგნით მიმდინარეობდა (სამეფო, სამთავრო, სათავადო). საერთო აჯანყება არ ხერხდებოდა და მთავრობას აჯანყებული კუთხის წინააღმდეგ ძალების მობილიზაციის საშუალება ეძლეოდა.

მეორე არსებითი ხასიათის სისუსტე ამ აჯანყებისა ის იყო, რომ იმ დროს საქართველოში (არც მთლიანად და არც მის რომელიმე ნაწილში) არ მოიპოვებოდა ის პატრიოტული კლასი, პროგრესიული კლასი, რომელსაც ქვეყნის პოლიტიკური მესაჭეობა შესძლებოდა, რომელიც უცხო რუსული მმართველობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას წამოიწყებდა და აჯანყებულ გლეხობას თან გაიყოლებდა. ქართველი თავადაზნაურობა უკვე დიდი ხანია ქართული ცხოვრების პროგრესის შემოქმედი კლასი აღარ იყო, ხოლო ასეთი კლასი ქართველობისათვის თანმიმდევრული ბრძოლის მედროშე ვერ იქნებოდა. ამით აიხსნება ის „უცნაური“ მოვლენა, რომ ესა თუ ის თავადი ხან ქართველი ხალხის ინტერესების სამსახურში ჩანს, ხან კიდევ მის წინააღმდეგ „მოღვაწეობს“,—რომ ამა თუ იმ თავადური სახლის ერთი წევრი აჯანყებული ხალხის მხარესაა, ხოლო მეორე მის წინააღმდეგ იბრძვის; თეირანი, სტამბოლი თუ პეტერბურგი თავადისათვის ყველა ერთნაირად მისაღებია, ყველა მისი თავადური „მეურნეობის“ თანაბარი ფასის ობიექტებია. ეს არ იყო პროგრესის შემოქმედი კლასი, ეს არ იყო პატრიოტული კლასი და მისი მოსყიდვაც, ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდაც კი, ამიტომ. შესაძლებელი იყო. ქართლის თავადებმა დიდი სამსახური გაუწიეს რუსულ ხელისუფლებას თებერვლის აჯანყების ჩაქრობაში, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ თავადები, როგორც წოდება, რუსული მმართველობის კმაყოფილი იყო და მას იცავდა, არამედ იმიტომ, რომ ქართლის ამ თავადებს ყველას საკუთარი ანგარიში ჰქონდა და თითეულისათვის „ხელსაყრელი“ ამ შემთხვევაში სწორედ ეს მოღალატური პოზიცია იყო. კონსტანტინე მუხრან-ბატონი, ქსნის ერისთავიანნი, ამილახორი, თამაზ ორბელიანი, გაბრიელ ყაზიბეგიშვილი და სხვები მთავრობას „თავდადებით“ ერთგულობენ.

რუსეთის მთავრობა მოხერხებულად იყენებდა ქიშპს, თავადებს შორის და თავადის სახლის შიგნით სახლისკაცებს შორის რომ არსებობდა. თითეული თავადის სახლში ის თავის ერთგულს იჩენდა, მის სახლისთავობას მხარს უჭერდა. ნაცადი და უტყუარი ხერხი იყო. ერეკლეს მოღალატე ქსნის ერისთავიანთ სახლი ბაგრატიონთა სახლის ხარჯზე აღადგინეს, ამილახვრიანთ სახლში ერეკლესა და მისი შვილების ერთგულ ოთარის ადგილზე მისი მოქიშპე წამოსწიეს, მოხევე ჩოფიკაშვილ-ყაზიბეგიშვილი თავადობას ეძებდა (და მოიპოვა კიდევაც), ხოლო მარშალ თამაზ ორბელიანს თავის სახლისკაც დიმიტრი ზაალის ძე ორბელიანთან ქიშპი აერთგულებდა. თამაზს ეშინოდა, რომ ორბელიანთ სახლის მეთაურობას და ამის შესაფერის პატივს („სარდლობა“) მას გენერალი დიმიტრი ზაალის ძე ჩამოართმევდა.

ერთის სიტყვით *კახეთის აჯანყების სისუსტე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ჩამორჩენილობას ემყარებოდა.*

კერძო ხასიათის მოვლენა, რომელმაც რუსულ მმართველობას აჯანყების ჩაქრობაში ხელი შეუწყო, ეს იყო დიდი ჭირი იმერეთში. ჭირმა და მოუსავლობამ 1811—1812 წლებში ისე გაანადგურა ეს ქვეყანა, რომ მთავრობას იქ აჯანყების შიში რაიმე არ ჰქონდა და შეეძლო იმერეთში დაბანაკებული რუსთა ჯარის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოეყვანა.

ყველა ამის მიუხედავად მთავრობას მაინც უჭირდა. მთავარმართებელ პაულუჩის რუსთა ჯარის დანაკლისი უზომოდ ეჩვენებოდა, ხოლო მის ხელთ დარჩენილი ძალა მეტისმეტად ეცოტავებოდა. ჯერ ოსმალეთთან ზავი არ იყო და ამ მხრიდან შემოტევა მოსალოდნელი იყო. სპარსეთიც ხომ დროს უცდიდა. ასეთ პირობებში საქართველოში აჯანყება განსაკუთრებით სახიფათო ჩანდა. აუცილებელი იყო არა მარტო აჯანყების სწრაფად ჩაქრობა, არამედ ისეთი ღონისძიებების მიღებაც, რომ კვლავ აჯანყების შიში აღარ ყოფილიყო.

მთავრობა იძულებული შეიქნა, ამრიგად, ხალხის პროტესტისათვის ანგარიში გაეწია. უკმაყოფილების მიზეზები გამოეკვლია და მართველობის ნაკლთა გამოსწორება ეცადნა.

პაულუჩი უცოდველი მოსამართლის სამოსელში მოირთო, ბოროტება ყველა თავის წინამოადგილეებს გადააბრალა, აჯანყებაში მონაწილეთა ამნისტია გამოაცხადა და მოჩივარ ხალხს სამართლიანი განკითხვა აღუთქვა.

პაულუჩის რეფორმით კახეთში მაზრის მართველობის სათავეში იყვნენ ოლქის უფროსი, მაზრის მოურავი და მაზრის თავადაზნა-

ურთა მარშალი. უქმდებოდა კაპიტან-ისპრავნიკის ინსტიტუტი და მის ადგილს, ნაწილობრივ, ისევ მოურავი იჭერდა. ამავე რეფორმით კახეთში უქმდებოდა მაზრისა და საეროზო სასამართლოები. ამის ნაცვლად უნდა შემოღებულიყო საოლქო სასამართლოები. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ ოლქის უფროსი იგულისხმებოდა. წევრებად 3 კაცი, რომელთაც თავადაზნაურობა თავისი წრიდან ირჩევდა. სამოქალაქო სამართალი ვახტანგის სამართლის თანახმად უნდა წარმოებულიყო, სისხლის სამართალი კი რუსული კანონების მიხედვით. სამართლის წარმოების ენა ქართული უნდა ყოფილიყო, მაგრამ განაჩენი რუსულადაც უნდა თარგმნილიყო. ამიტომ სასამართლოში, თავმჯდომარისა და წევრებს გარდა, თარჯიმანი და ორი ქართველი მწერალი მუშაობდნენ.

კაპიტან-ისპრავნიკის შეცვლა ისევ ქართული მოურავით მთავრობის მხრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დათმობა იყო თავადაზნაურობისათვის. სანაზრო მოურავების აღდგენის გვერდით დაკანონებულ იქნა სოფლის მოურავების ინსტიტუტიც. ამავე დროს გაიზარდა სამაზრო მარშლების მნიშვნელობაც, მათ დაევალათ თვალყურის დევნება სასამართლოებისა და მოურავების საქმიანობისათვის.

ამრიგად, პაულუჩის რეფორმა უმთავრესად ქართველი თავადაზნაურობის დაკმაყოფილებას გულისხმობდა. უპირატესად თავადაზნაურთა სასარგებლო იყო აგრეთვე პაულუჩის მიერ შემოღებული წესი, რომ ჯარისათვის პურის შესყიდვის საქმეს ამიერიდან აწარმოებდნენ არა პროვიანტის მოხელეები, არამედ სამოქალაქო გუბერნატორი კერძო პირთა (ე. ი. თავადაზნაურობის) მეშვეობით. (ჯარისათვის პურის შემსყიდველ ამხანაგობებში გორელ თუ თბილელ ვაჭართა გვერდით ამიერიდან ჩვენ ხშირად ვხვდებით „ბრწყინვალე" თავადებსაც: თარხნიშვილებს, წერეთლებს, თუმანიშვილებს და ა. შ.).

პაულუჩის წინადადებით ხალხი მოურავების მეშვეობით აწვდიდა მას საჩივრებს სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეებზე. ეს საჩივრები მთავარმართებელმა გადასცა კომისიას, რომელიც მან 13 მარტს შექმნა აჯანყების მიზეზთა გამოსარკვევად. ამ ცენტრალური კომისიის გვერდით ამავე მიზნით შეიქმნა სამაზრო კომისიები თელავის, სიღნაღის და ანანურის მაზრებისათვის. ამ კომისიათა მუშაობა ნაადრევად შეწყდა. ზოგგან ის არც დაწყებულა. ხალხიც უნდობლად უყურებდა ამ კომისიების დანიშნულებას. მიუხედავად ამისა უტყუარი მასალა შეგროვდა და აჯანყების ნამდვილი მიზეზები იქამ-

დე ნათელი გახდა, რომ მთავრობაც კი იძულებული იყო გულისტკივილით აღენიშნა, რომ ეს აჯანყება საქართველოში რუსული მმართველობის უვარგისობამ გამოიწვია.

როგორც ვხედავთ, 1812 წლის თებერვლის აჯანყება დამარცხებით არ დამთავრებულა. მართალია, აჯანყებულმა ხალხმა თავის მიზანს მთლად ვერ მიაღწია, მაგრამ არც მთავრობას გაუმარჯვნია, როგორც მას ენება. ისიც იძულებული იყო, თუნდაც დროებით, ზოგი რამ დაეთმო ხალხისათვის. ამიტომ შედეგებით კმაყოფილი არც ერთი მხარე არ იყო. ხალხს მიღწეული არ აკმაყოფილებდა, თანაც არა სწამდა, რომ მთავრობა დანაპირებს შეასრულებდა, სამართლიანობას დაიცავდა და აჯანყების მეთაურებს არ დასჯიდა, მთავრობა კი მის მიერვე აღთქმულ რეფორმებს უმთავრესად ხალხის დასაწყნარებელ დროებით ზომად უყურებდა და იმას ფიქრობდა, თუ როგორ გაეტეხა ეს ჯიუტი ხალხი, რომელმაც, არ იქნა და, მისთვის უცხო მმართველობა არ შეიყვარა.

კახეთის ამ პირველ აჯანყებას დაემთხვა სამხედრო მოქმედებანი სპარსეთ-ოსმალეთთან, თუმცა პირველი მათგანი არა ჩანს, რომ ამ აჯანყებასთან რაიმე კავშირში ყოფილიყოს. სწორედ იმ დღეს, როცა ახმეტაში აჯანყება დაიწყო, ე. ი. 31/I—1/II 1812 წელს, აბასმირზა, რომელსაც თან ახლდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ძლიერი ჯარით შეიჭრა ყარაბაღში და სულტან-ბუდას მდგომ რუსთა ჯარის ბატალიონს თავს დაეცა. ბატალიონის უფროსის სიკვდილის შემდეგ მისი შემცვლელი მეთაური მთელი ბატალიონით მტერს ტყვედ დანებდა. სპარსელთა ზეიმი იყო. შეშფოთებულმა მთავარმართებელმა კოტლიარევსკის სარდლობით 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა. კოტლიარევსკიმ მალე აიძულა აბას-მირზა სპარსეთს უკუქცეულიყო. აბას-მირზა მდიდარი ნადავლით დაბრუნდა: ტყვე რუსთა ბატალიონი და 2000 ოჯახი ყარაბაღელი. ალექსანდრე ბატონიშვილი კი ერევანს წავიდა.

სამაგიეროდ შერიფ ფაშის ლაშქრობა პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა კახეთის აჯანყებასთან. მეამბოხეებმა ფაშას დახმარება სთხოვეს. შერიფმა დრო შესაფერისად სცნო, სწრაფად შეკაზმა და 5000 კაცით 22 თებერვალს ახალქალაქს შემოადგა. ოსმალთა იერიში ადვილად მოიგერია რუსთა მამაცმა გარნიზონმა. შავი ჭირით და წარსული ომით გაჩანაგებული ქვეყნის პატრონმა შერიფ ფაშამ ამის შემდეგ სახლში დაბრუნება და იქ მშვიდად ჯდომა არჩია.

*
* *

მთავარმართებლის თანამდებობიდან პაულუჩი ჯერ ისევ 16 თებერვალს გაანთავისუფლეს, მაგრამ ამ ბრძანების სისრულეში მოყვა-

ნა მხოლოდ 20 აპრილს მოხდა. როცა პაულუჩი პეტერბურგს წავიდა. ხოლო მისი თანამდებობა გენერალ რ ტ ი შ ჩ ე ვ ს დაეკისრა.

რტიშჩევი მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ მარტში აჯანყება კახეთში არ ჩამქრალა. როგორც ამას პაულუჩი ამცნობდა ქვეყანას, არამედ მხოლოდ მინელდა. რტიშჩევი მართალი იყო. კახეთი საბოლოოდ არ დაწყნარებულა, რადგან მიზანი, რომელსაც ეს ამბოხება ისახავდა, მიღწეული არ იყო.

თუმცა პაულუჩის აღთქმა-დაპირებანი არსებითი ხასიათისა იყო, მაგრამ გარანტია ამ დაპირებათა შესრულებისა არ არსებობდა. კახელებს კი მთავრობის პირიანობისა არა სჯეროდათ· ასეთი უნდობლობის საბუთს მთავრობა თვით აძლევდა მათ. საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების მიუხედავად აჯანყების ზოგიერთი ხელმძღვანელი. მთავრობასთან რომ ნდობით გამოცხადდა, დაპატიმრებულ იქნა. ბუნებრივია, ხმა დაირხა, რომელიც არც თუ უსაფუძვლო იყო: რომ მთავრობა აჯანყების მონაწილეებს დაუსჯელად არ დატოვებს, ოღონდ შესაფერ დროს უცდისო. და ეს მართალი იყო: პაულუჩის საიდუმლო ბრძანება უკვე არსებობდა, რათა უმთავრესი დამნაშავენი აღერიცხათ და შესაფერის დროს ყველანი ერთად მოულოდნელად დაეპატიმრებინათ.

(აჯანყების მიზეზთა გამომკვლევ კომისიას პაულუჩიმ ინსტრუქცია დაუწერა. ინსტრუქციის მერვე მუხლი სწორედ ამ ჯანყის მეთაურთა დადგენა-აღრიცხვას ითვალისწინებდა).

საზეიმოდ მიცემული ფიცის ტეხა რუსეთის მთავრობას და მის აგენტებს საქართველოში იმთავითვე ჩვეულებად ჰქონდათ. თვით ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტიც ხომ ასეთი ფიცისმტენელობის ნიმუში იყო.

რა თქმა უნდა, მთავრობას არც ეხლა ჰქონდა განზრახვა, რათა გულწრფელად შეესრულებინა თავისი დაპირებანი და ის მართლაც შესაფერის დროს ელოდა. რომ ეს დაპირებანი უკან წაეღო—(ეს კარგად გამოჩნდა 1813 წელს, როცა საბოლოოდ გამარჯვებულმა მთავრობამ პაულუჩის რეფორმებიდან თითქმის აღარაფერი დატოვა).

ამავე დროს პაულუჩიმ დაავალა თავის მოხელეებს გამოეკვლიათ მატერიალური ზარალის რაოდენობა, რომელიც მთავრობას კახეთში აჯანყების დროს მოუვიდა; მათვე უნდა დაედგინათ ის სოფლები, რომელთაც მთავრობის მოხელეთაგან ფული ჰქონდათ მიღებული და პური კი არ ჩაებარებინათ.

**აჯანყებულთა მეორე გამოსვლა.** ასეთ ვითარებაში, გასაგებია, ხალხი არ დამშვიდდა. აჯანყების აქტიური მონაწილენი ან ტყეში გავიდნენ, ან გასაქცევად მზად იყვნენ. ხმები ახალ აჯანყებაზე მარტშივე ვრცელდებოდა. გზებზე თავს ესხმოდნენ მთავრობის აგენტებს. პაულუჩიმ რამოდენიმე თავადის, რომელთა „არაკეთილსაიმედოობა" ეჭვს არ იწვევდა, დაპატიმრება ბრძანა. აპრილში პაულუჩის ცნობა მოუვიდა, რომ კახეთის სხვადასხვა სოფლებიდან შერჩეული მოციქულები—თავადები და გლეხები—30 კაცი ერევანს ალექსანდრე ბატონიშვილთან წასულიყვნენ. მოციქულები გაეგზავნათ აგრეთვე აბას-მირზასთან.

ჯერ ისევ აპრილის დამდეგს გაღმა მხრის სოფლები ენისელი, გრემი, შილდა, საბუე უკვე აჯანყებულიყვნენ. მათ მეთაურობდნენ ენისელთ მოურავი ივანე ჯორჯაძე და თელავის სასამართლოს მდივანბეგი („ზასედატელი") რაფიელ ერისთავი. აჯანყებულთ შეტაკება ჰქონდათ ყვარლისაკენ მიმავალ შმატოვის რაზმთან. მეამბოხეთა დასაწყნარებლად პაულუჩიმ მიავლინა მთავრობის მომხრე თავადების მთელი დასტა სოლომონ ავალიშვილისა და არქიმანდრიტ ილარიონის მეთაურობით. მეამბოხენი თავიანთ სახლებში წავიდწამოვიდნენ. ჯანყის მეთაურები კი გაიქცნენ. ეს „დამშვიდება", რა თქმა უნდა, მოჩვენებითი იყო და აღელვებული ხალხი მხოლოდ უკეთეს შემთხვევას ელოდა, რომ კვლავ იარაღით ხელში გამოსულიყო.

მართლაც, საკმაო იყო 29 აპრილს 1500 კაცისაგან შემდგარი ლეკთა რაზმი, მეამბოხეთა მიერ მოწვეული, კახეთში სოფელ ართანას გამოჩენილიყო, და გაღმა მხარი ერთიანად აჯანყდა. 30 აპრილს მთავრობის ჯარმა ლეკები დაამარცხა, მაგრამ მეორე დღეს მთავრობის რაზმს თავს შემოერტყნენ მეამბოხენი გაღმა მხარის სოფლებიდან და მას მწვავე ბრძოლა აჰკიდეს. დაიჭრა თელავის ოლქის უფროსი შმატოვი და მძიმედ დაზარალებული რაზმი ძლივს დაბრუნდა თელავს, რომელსაც მეამბოხენი უკვე შემოსდგომოდნენ.

სიწყნარე არც სამხედრო გზის რაიონში იყო. ტყედ გასული მეამბოხენი მცირე რაზმებით თავს ესხმოდნენ მთავრობის სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეებს.

მღელვარება გრძელდებოდა ქიზიყშიაც. პირველ მაისს დამშეული ქიზიყელები შემოადგნენ მთავრობის პურის საწყობებს ანაგაში. ოლქის უფროსმა ორბელიანმა დიდის გაჭირვებით იხსნა საწყობები გაძარცვისაგან და პური სასწრაფოდ სიღნაღში გადაიტანა.

შმატოვის მარცხით შეშფოთებულმა რტიშჩევმა კახეთს გენერალ მაიორი სტალი გაგზავნა რუსთა ჯარით. იორზე მისულმა სტალმა რტიშჩევის სახელით აჯანყებულ ხალხს მოწოდებით მიმართა, რომ მთავრობის აღთქმა-დაპირებანი შესრულებული იქნება. თუ აჯანყებულნი დამშვიდდებიან და თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგებიან. ჯანყის მეთაურებს ერისთავსა და ჯორჯაძეს სტალმა პირადად მოუწოდა და მათ უვნებლობა აღუთქვა. აჯანყებული ხალხი დამშვიდების სურვილს არ იჩენდა და სტალიც შეტევისათვის ემზადებოდა. 14 მაისს უკვე რტიშჩევი მიმართავდა კახელებს მოწოდებით. უდასტურებდა პაულუჩის და სტალის პროკლამაციებს ამნისტიის შესახებ. რტიშჩევის ამ პროკლამაციის სანდოობის შესამაგრებლად მეამბოხეებთან გაგზავნილ იქნა მთავრობის მომხრე კახთავადების დასი ვაჩნაძე—ჯანდიერ—ანდრონიკაშვილები. ამავე დროს შეშინებულმა რტიშჩევმა კავკავიდან ყაზახები გამოითხოვა, შიდა ქართლიდან თბილისს ჯარის ნაწილები იხმო. ასევე იმერეთიდან ერთი ბატალიონი გადმოიყვანა.

მთავარმართებელს მდგომარეობა მეტის-მეტად მძიმედ ეხატებოდა. მართლაც, შიმშილი და შავი ჭირი მძვინვარებდა, ჯარს სურსათი ელეოდა, ამბოხება ძლიერდებოდა, ზაფხული დგებოდა და სპარსეთ-ოსმალეთიც. საცაა, ამოქმედდებოდნენ.

ჯერ ისევ 9 მაისს რტიშჩევმა უბრძანა პაულუჩის მიერ შექმნილ კომისიებს მუშაობის შეწყვეტა. ამ კომისიების მუშაობა ხალხს აღელვებდა: დამნაშავეებს ეძებენო. ამავე დროს მთავარმართებელმა ძველ თანამდებობებზე აღადგინა პაულუჩის მიერ დათხოვილი რამოდენიმე თავადი.

14 მაისს სტალი ქიზიყისაკენ წავიდა, ამ დროისათვის უკვე „მთელი ქიზიყი. ამდგარიყო“. სტალი სიღნაღს მშვიდობით მივიდა და აქედან თელავს წასვლა დააპირა. ცნობებმა აჯანყებულთა სიმრავლის შესახებ სტალი შეაშინა და მან რტიშჩევს დამხმარე ჯარი სთხოვა. 14 მაისს მთავარმართებელმა სტალს გენერალი დიმიტრი ორბელიანი მიაშველა. რომელიც გომბორის გზით თელავისაკენ გაემართა.

20 მაისს სტალი თელავში შევიდა. აქვე მოვიდა ორბელიანი, რომელმაც გომბორ-თელავის გზა მეამბოხეებთან ომით გაიარა (მეამბოხეთა მეთაურნი იყვნენ აქ ზურაბ მაყაშვილი, ომან და დიმიტრი ჩოლაყაშვილები).

რტიშჩევის მიერ ამნისტიის დადასტურებამ, მთავრობის მომხრე თავადების აქტიურობამ, პაულუჩის კომისიების გაუქმებამ. მთავრობის ძალთა მობილიზაციამ მეამბოხეთა რიგების სიმტკიცე შეარ-

ყია. ასევე მოქმედებდა ის გარემოებაც, რომ დაიმარება-მხარის დაჭერა მეამბოხეებს არსაიდან მოსდიოდათ. აჯანყების ზოგი მეთაური მთავრობას მიუვიდა, სხვებიც „დამშვიდდნენ". თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ და ფხიზლობდნენ, თუ რამდენად დაიცავდა მთავრობა ხალხისათვის მიცემულ სიტყვას. ენისელთ მოურავი ჯორჯაძე მორჩილებით მოვიდა, რაფიელ ერისთავმა კი დამალა და დაითხოვა მუკუზანს მდგომი სამი ათასი მეამბოხე, ხოლო თითონ მორჩილებითვე ეახლა მთავრობას.

თელავიდან გენერალი ორბელიანი გაღმა მხარში წავიდა. მან თან წაიყვანა ჯანყის მეთაურები, რომელნიც მთავრობას მინდობოდნენ. ამ ხერხით გენერალი მეამბოხეებს უმტკიცებდა, რომ მთავრობა შურს არ იძიებს და მზადაა ყველა შეცოდებულს აპატიოს. ორბელიანმა გაღმა მხარი მოიარა და სიღნაღის გზით თბილისს დაბრუნდა.

აჯანყების ლიკვიდაციის საქმის წარმატებით შესრულებისათვის დიმიტრი ორბელიანს გენერალ-ლეიტენანტობა უბოძეს; მაღალი ორდენით დააჯილდოვეს „ერთგული სამსახურისათვის" ბოდბელი მიტროპოლიტი, ხოლო არაერთი თავადი „თავდადების" სამაგიეროდ უხვი საჩუქრებით აავსეს.

კახეთის საქმეთა საბოლოო მოწესრიგება რტიშჩევმა გენ. სტალს მიანდო.

31 მაისს ნაფარეულს ლეკთა რაზმი გაჩნდა. ის აჯანყებულთა ხელმძღვანელობას ეხმო. დაგვიანებით მოსული ეს რაზმი სტალმა ადვილად გადარეკა.

რტიშჩევს კახეთის საქმე მაინც აფიქრებდა. გლეხების უკმაყოფილების ერთ მთავარ მიზეზს ის სამართლიანად ხედავდა მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ბოროტმოქმედებაში და ამ მხრით საქმის გამოსწორებას ცდილობდა, რათა ამდენი მსხვერპლის გაღებით „დამშვიდებული" ქვეყანა ამ საშიშ დროს კვლავ არ აჯანყებოდა. მთავარმართებელი მტკიცედ უბრძანებდა გენერალ სტალს თვალყურის მიდევნებას, რათა პურის გადასახადის შეგროვებისას მთავრობის მოხელეების მხრით რაიმე ბოროტმოქმედებას ან გლეხთა შევიწროვება-მიმძლავრებას ადგილი არა ჰქონოდა. რტიშჩევი საკუთარ მოხელეებს არ ენდობოდა, ამათი მოხსენების სიმართლისა მას არა სწამდა და ამიტომ ბრძანება გამოსცა: ამა თუ იმ სოფელში მდგომი რაზმის უფროსმა ყოველთვიურად უნდა წარმოუდგინოს სტალს ამ სოფლის გლეხთა ყრილობის მიერ დამოწმებული საბუთი იმის შესახებ, რომ მთავრობის არც სამხედრო და არც სამო-

ქალაქო მოხელეთა მხრით მოსახლეობაზე რაიმე ძალადობა-უსამართლობას ადგილი არა ჰქონია. ასეთი მოხსენება-მოწმობანი სტალს გუბერნატორისათვის უნდა გაეგზავნა. უკანასკნელი ამ მოწმობათა ნიადაგზე ერთიან მოხსენებას შეადგენდა და მთავარმართებელს მიართმევდა.

ეს ბრძანება ამ აჯანყების უთუოდ დადებითი მონაპოვარი იყო კახელი გლეხობისათვის. საქმე ის იყო, ოღონდ, თუ რამდენად მოხერხდებოდა ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარება. ე. ი. რამდენად მოხერხდებოდა გლეხობის რეალური დაცვა ამ ბოროტმოქმედ მოხელეთა ლეგიონისაგან.

*
* *

**პოლიტიკური ვითარება 1812 წელს.** 1812 წლის ზაფხულში მეტად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ამბები მოხდა.

რუსეთთან ომის სამზადისში ნაპოლეონი დიდი ენერგიით ცდილობდა, რათა ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომი არ შეწყვეტილიყო. ნაპოლეონი ოსმალეთს უხვ დაპირებებს აძლევდა რუსეთის ხარჯზე: ვალახიას, მოლდავიას და თვით ყირიმსაც კი აღუთქვამდა მას. 1812 წლის 15 თებერვალს ნაპოლეონმა ოსმალეთს სამხედრო კავშირი შესთავაზა და საკავშირო ხელშეკრულების პროექტიც კი გაუგზავნა სულტანს. არაფერი გამოვიდა. ოსმალეთში მწარედ ახსოვდათ ნაპოლეონის „მეგობრობა“ და მისი ნდობა აღარა ჰქონდათ.

მეორეს მხრით, რუსეთის მთავრობა ნაპოლეონთან ომის მოლოდინში მზად იყო დიდი მსხვერპლი გაეღო, ოღონდ ოსმალეთთან ზავი დაედო და ჯარი, ოსმალთა წინააღმდეგ რომ დუნაისპირეთში იბრძოდა, სამშობლოს დასაცავად რუსეთს წაეყვანა.

16 მაისს 1812 წელს ბუქარეშტში რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთს უკან დაუბრუნა ვალახია, მოლდავია მდინარე პრუტამდე, უკან დაუბრუნა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ციხე-ნავსადგურებით, რომელნიც ოსმალეთმა ამ უკანასკნელ ომში დაკარგა.

ბუქარეშტის ზავის პირობების საფუძველზე საქართველოს მიწა-წყლიდან ოსმალეთის ხელში კვლავ გადადიოდა ახალქალაქი (ჯავახეთი), ფოთი. ასეთი მსხვერპლის სანაცვლო ის იყო, რომ ამ მძიმე განსაცდელის დროს ოსმალეთის მხრით შემოტევის შიში აღარ უნდა ყოფილიყო.

მეორე დიდმნიშვნელოვანი გარემოება, 1812 წელს რომ მოხდა, ის იყო, რომ რუსეთსა და ინგლისს შორის საომარი მდგომარეობა ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კავშირით შეიცვა-

ლა. ეხლა უკვე ინგლისელი ელჩი სპარსეთში ჰორ-უზელეი იმის მოღვაწეა, რომ სპარსეთსა და რუსეთს შორის ზავი დაიდოს, თუმცა ინგლისს არ ავიწყდება რუსეთთან მეტოქეობის მომენტები აზიაში. კერძოდ, სპარსეთში და მისი ელჩიც დაჟინებით ცდილობს, რათა ზავის პირობები უპირატესად სპარსეთის სასარგებლო იყოს.

დასასრულ, ყველაზედ მნიშვნელოვანი ფაქტი, 1812 წლის ზაფხულს რომ მოხდა, ეს იყო ნაპოლეონის გამოლაშქრება რუსეთის წინააღმდეგ. 1812 წლის სამამულო ომის შედეგისაგან იყო დამოკიდებული ყველა სხვა საკითხი. თვით ისიც კი: დარჩებოდა რუსეთი იმიერსა და ამიერკავკასიაში მაორგანიზებელ ძალად, თუ ეს ქვეყნები ისევ ფეოდალურ სპარსეთ-ოსმალეთის გავლენის ქვეშ აზიური ჩამორჩენილობის გამხრწნელ გარემოცვაში მოყვებოდნენ.

რუსეთის მთავრობა დაჟინებით ავალებდა საქართველოს მთავარმართებელს, რათა მას ყველა საშუალება ეხმარა და სპარსეთთან ზავი დაედო. პეტერბურგიდან რტიშჩევს გამოუგზავნეს სპარსეთთან ზავის პირობები. რუსეთის მთავრობა ეხლა უკვე აღარ მოითხოვდა სპარსეთის ხელში მყოფ ერევანს და ნახჭავანს. როგორც აქამდე, არამედ კმაყოფილდებოდა იმ მიწა-წყალს, რომელიც რუსთა ჯარს უკვე ეჭირა. მაგრამ სპარსეთთან ზავის დადება გაძნელდა. შაჰს სურდა რუსეთის კრიტიკული მდგომარეობით ესარგებლნა და მთელი ამიერკავკასიის უკან დაბრუნებას მოითხოვდა, რაშიაც მას ინგლისის ელჩი მხარს უჭერდა. რუსეთის მთავრობა ასეთ დათმობას არ აპირებდა. ზავზე მოლაპარაკება დროგამოშვებით მიმდინარეობდა. შიგადაშიგ სამხედრო მოქმედება წარმოებდა. კარგად ჩანდა, რომ ერთ-ერთი მხარის გადამწყვეტი სამხედრო გამარჯვება იყო საჭირო იმისათვის. რათა ზავი დადებულიყო.

*
* *

**აჯანყებულთა მესამე გამოსვლა.** როგორც აღვნიშნავდით, მოციქულები აჯანყებული კახეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილს ჯერ ისევ გაზაფხულში მიუვიდნენ.

უკვე მაისის შუაზე ალექსანდრეს მოწოდებები საქართველოში და მის გარეთაც უხვად ვრცელდებოდა. ბატონიშვილი აუწყებდა აჯანყებულ ხალხს. რომ ემზადება საქართველოში შემოსასვლელად. აიმედებდა მათ, რომ სპარსთა დიდი ჯარი და ოსმალთა სერასკერიც საქართველოზე მოდიან. მოწოდებები გაუგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილმა მთიულეთს, გუდამაყარს, ფშავ-ხევსურებს, ოსებს, მოხევეებს. ალექსანდრეს მოწოდებებთან ერთად ვრცელდებოდა ამ დროს აბას-მირზას და ერევნის ხანის მოწოდებანიც. ხალხის კარგად

მცოდნე ბატონიშვილმა ხევსურეთს, ფშავსა და მთიულეთს ხატებს შესაწირავი გაუგზავნა, რამაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ლომისას „ხატის გიჟმა“ რუსთა წინააღმდეგ ბრძოლა იქადაგა.

აჯანყების მრავალი მონაწილე ჯერ ისევ ტყეში იმალებოდა. პატიებისა არა სწამდათ, დაბეზღებისა ეშინოდათ. ივნისის დამდეგს ტყეში გავარდნილი ორასი კაცი ანანურის ახლოს გაჩნდა და სამხედრო საგუშაგოებზე დაცემა იწყო. რტიშჩევმა ერთხელ კიდევ მოუწოდა ტყედ გასულებს, რომ მთავრობა ყურს არ ათხოვებს მაბეზღარებს, რომ მთავრობის დაპირება სანდოა.

10 ივნისს ლომისობას ხატობაზე გაბრიელ ყაზიბეგიშვილი და ქსნის ერისთავიანნი მივიდნენ. მათი ზეგავლენით ჩაიშალა მეამბოხეთა განზრახვა აჯანყების საერთო გეგმის დაწყების შესახებ.

მიუხედავად ამისა ანანურ-ფასანაურის მიდამოებში შეტაკებები არ წყდებოდა.

რტიშჩევმა საქმის მოსაწესრიგებლად გენერალი დრენიაკინი გაგზავნა. მთავრობის მხარეზე ენერგიულად საქმობდნენ ყაზიბეგიშვილი, ერისთვიანნი, კობიაშვილები.

ივნისში ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებანი კვლავ მოეფინა აღელვებულ ქვეყანას. ალექსანდრე აუწყებდა ყველას, რომ ეს არის მოდის, რომ აბას-მირზაც დაიძრა და ოსმალეთის სერასკერიც ამოძრავდა. ბატონიშვილი სწერდა ხალხებს, თემებს, ცალკე პირებს, კერძოდ, გაბრიელ ყაზიბეგიშვილს; ყველას რუსთა მფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლად მოუწოდებდა და გამარჯვების გარდაუვალობაში არწმუნებდა. აფრთხილებდა ყველას, რათა არ ენდონ მთავრობის დაპირებას დამნაშავეთა პატიების შესახებ და არწმუნებდა მათ, რომ მთავრობის ასეთი დაპირება მისი სისუსტით არის გამოწვეული და როგორც კი ძალას მოიცემს ის, დაუნდობლად და ულმობელად დასჯის ყველას. აქვე მოყავდა ბატონიშვილს მთავრობის ვერაგობა-უნდობლობის მძიმე საბუთი: ჩვენ, ერეკლეს სახლი, უდანაშაულო და დიდად ნამსახური, მთავრობამ არ დაგვინდო და დაგვამხო, როგორ-ღა დაგინდობს ის თქვენ უმსახუროს და დამნაშავეებსო.

მთავრობას ეშინოდა ალექსანდრე ბატონიშვილის შემოსვლისა საქართველოში. მას ამ შიშის საბუთიც ჰქონდა: ბატონიშვილის შემოსვლას არა მარტო თავადები, ხალხის ფართო მასაც გამოეხმაურებოდა. რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ალექსანდრე ხალხის თვალში „ერეკლეს“ განსახიერება იყო. ერეკლე კი სა-

სურველი იყო საგზაო ბეგარითა და ათასგვარი შეურაცხყოფით თავმოძულებულ მთიულთათვის; არა ნაკლებ სასურველი იყო ერეკლე ფშავ-ხევსურთათვის: ის ხომ ფშავ-ხევსურთა ხატების „მოძმე“ იყო და ფშავ-ხევსურნი ხომ მისი „უნჯნი ყმანნი“ იყვნენ; სასურველი იყო ერეკლე ოსებისათვის, რომელნიც ამ მეფის მიერ ერისთავთა ბატონობისაგან გამოხსნილნი, რუსულმა ხელისუფლებამ ისევ საერისთაოდ აქცია; კახეთზე და, კერძოდ, ქიზიყზე ერეკლე ხომ განსაკუთრებით დიდჭირნახული იყო.

ყველა ეს კარგად იცოდა ალექსანდრე ბატონიშვილმა და ამიტომაც იყო, რომ ის თავის მოწოდებას ერეკლეს ღვაწლით ასაბუთებდა. „ერეკლე“ ალექსანდრე ბატონიშვილს რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხის ლოზუნგად გამოჰქონდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებანი ეხლა განსაკუთრებით საშიში იმიტომ იყო, რომ უკმაყოფილება არა მარტო თავადაზნაურობაში, ხალხის ფართე ფენებში ღვივოდა, რომელთა მოსყიდვა-გადაბირება ჩინ-ორდენებით არ ეწყობოდა, ხოლო ფართე მასების დაკმაყოფილებას სრულიად გამორიცხავდა.

ალექსანდრესთან ერთად არაგვის ხეობას მოწოდებით მიმართავდა სოლომონ იმერეთის მეფეც.

სპარსეთ-ოსმალეთის საერთო გამოსვლა ალექსანდრე ბატონიშვილისა და სოლომონ მეფის საქმისათვის არც ამჯერად მოეწყო. ოსმალეთმა რუსეთთან ზავი დადო—(ბუქარესტში), სპარსეთიც ზავზე მოლაპარაკებას განაგრძობდა, თუმცა შიგადაშიგ საომარ მოქმედებასაც არ ერიდებოდა. ასე მაგალითად, ივლისში 20-ათასიანი სპარსელთა ჯარი აბას-მირზას სარდლობით ლანქარანში შეიჭრა, ხოლო 12 აგვისტოს 4000 სპარსელი ყარაბაღში შემოიჭრა პურის ყანების დასაწვავად. რუსთა ჯარმა მტერი ყარაბაღიდან ადვილად გადარეკა.

* * *

1812 წლის ზაფხულში თბილისში მოვიდა რობერტ გორდონი, სპარსეთში ინგლისის ელჩის ჰორ-უზელეის ძმისწული. ის იყო ზავის მოსაშუალე სპარსეთსა და რუსეთს შორის. გორდონი რტიშჩევს რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის სიმძიმეს უთვალისწინებდა და მისგან სპარსეთის სასარგებლოდ დათმობებს მოითხოვდა.

რტიშჩევმა დათმობის სურვილი არ გამოიჩინა. მცირე ხნის შემდეგ წინასწარი საზავო მოლაპარაკება მაინც დაიწყო და ისიც შაჰის ინიციატივით.

21 აგვისტოს რტიშჩევი საგანგებო ჯარის თანხლებით (3000 კაცი) ყარაბაღს წავიდა, საიდანაც აბას-მირზასთან მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა. საქართველოში ლაშქრის სარდლობა რტიშჩევმა

გენერალ ორბელიანს ჩააბარა. ზავზე მოლაპარაკება ორ თვეს გრძელდებოდა და უშედეგოდ დამთავრდა.

ამასობაში ვიდრე ასლანდუზს საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა, საქართველოში პოლიტიკური ვითარება მძაფრად შეიცვალა: აჯანყებული კახეთის მესამე გამოსვლა მოხდა.

კახეთის ამ აჯანყებას უშუალოდ ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა.

**ალექსანდრე ბატონიშვილი.** ალექსანდრე ბატონიშვილი ერეკლე მეფეს 1770 წელს ეყოლა. 1790 წლიდან ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის წარმატებით ასრულებდა ერეკლეს დავალებებს სამხედრო, პოლიტიკური თუ სამეურნეო ხასიათისას. ამიტომაც იყო, რომ გამოცდილი მეფე ამ ახალგაზრდა ბატონიშვილს განსაკუთრებით პასუხსაგებ დავალებებს ანდობდა, შეეხებოდა ასეთი დავალება პოლიტიკურ ურთიერთობას სახანოებთან, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან თუ აღა მაჰმად-ხანის მიერ დაქცეული ქალაქის აღდგენითი სამუშაოების მეთვალყურეობას. ამავე დროს ალექსანდრე ბატონიშვილი აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ პოლიტიკური ამბებისა, რაც იმ დროს სამეფო სახლში ხდებოდა, კერძოდ, მონაწილე იყო იმ ბრძოლისა, რომელიც ერეკლეს შვილებს შორის ტახტის მემკვიდრეობისათვის იყო გამართული. გიორგი მეფის წინააღმდეგ ყველაზე შეურიგებელი მებრძოლი სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილი იყო.

მას შემდეგ, რაც 1801 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოს სამეფო გააუქმა და ქვეყანაში რუსული წყობილება შემოიღო, ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში მეფობის აღდგენისათვის ბრძოლის მეთაურად იქცა და სიკვდილამდე ეს ბრძოლა არ შეუწყვეტია.

განსაკუთრებული ენერგიით და მხნეობით დაჯილდოვებული ბატონიშვილი საშუალებას არ ზოგავდა თავისი მიზნის მისაღწევად. სამხედრო ღონისძიებანი, თხოვნა-მიმოწერანი, დიპლომატიური საშუალებანი, საფაშო-სახანოები, მთიელები, სპარსეთ-ოსმალეთი, ყველაფერი და ყველა ეს იყო საშუალება, რომელსაც დაუცხრომელი ბატონიშვილი ამ ბრძოლაში მიმართავდა ხოლმე. 1801 წლის შემდეგ ვიდრე 1830-იან წლებამდე ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, იშვიათი იყო ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი პოლიტიკური მოვლენა, რომელთანაც ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი არ იყოს დაკავშირებული.

ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის („ევროპის", საქრისტიანოს) მოწინააღმდეგე არ ყოფილა. ის მუდამ მზად იყო რუსხელმწიფის „სამსახურად". ოღონდ ამის აუცილებელ პირობად საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა მიაჩნდა: 1783 წლის ტრაქტატი ალექსანდრე ბატონიშვილის საბრძოლო პლატფორმა იყო. ალექსანდრე ბატონიშვილი იმ უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ბ რ ძ ო დ ა, რ ო მ ე ლ ი ც რ უ ს ე თ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა მ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ი თ გ ა ნ ა ხ ო რ ც ი ე ლ ა.

მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა უიმედო იყო, იმიტომ, რომ კლასი, რომელსაც ბატონიშვილი ამ ბრძოლაში უპირატესად ემყარებოდა, არ იყო მოწინავე კლასი, პატრიოტთა კლასი, არამედ ის იყო რეაქციული კლასი—თავადობა, რომელიც იბრძოდა არა ქვეყნის წინსვლისათვის, არამედ თავისი ძველი თავადური პრივილეგიების აღდგენა-შენარჩუნებისათვის,—იბრძოდა ისეთი წყობილების აღდგენისათვის, რომელმაც ჩვენი ქვეყანა „1801 წლამდე", ე. ი. სახელმწიფოებრივობის მოშლისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანა.

ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს მშრომელი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ზრახვების გამომხატველი ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ საქართველო იმ დროს სოციალური განვითარების იმ საფეხურზე არ იმყოფებოდა, რომ საზოგადოების ეს ფენი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის საქმეს სათავეში ჩადგომოდა. ასე რომ ალექსანდრე ბატონიშვილს სხვა დასაყრდენი არ გააჩნდა გარდა თავადებისა, ხოლო თავადობა არ იყო საქართველოს წინსვლისათვის მებრძოლი კლასი.

ასეთ სინამდვილეში ალექსანდრე ბატონიშვილი სამშობლოს განთავისუფლების გმირი ვერ გახდებოდა და მის მიერ აგრე დიდის ენერგიით წარმოებული ბრძოლა უპერსპექტივო იყო.

* * *

სექტემბერში 1812 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში შემოვიდა. მისი ერევნიდან წამოსვლისა და საქართველოს საზღვრებში შემოსვლის შესახებ გენერალ ორბელიანს ჯერ ისევ 2 სექტემბერს აცნობეს. ორბელიანმა ისიც იცოდა, რომ საქართველოში შემოსული ბატონიშვილი კახეთს მიაშურებდა. გენერალმა, რაც გაეწყობოდა, ილონა, რათა ბატონიშვილი მტკვარზე არ გადაეშვა, მაგრამ ალექსანდრემ უკეთესად დაზვერა მოწინააღმდეგე და 6 სექტემბერს ღამით გორისა და მცხეთას შორის კოწახურას ფონით მტკვარი უვნებლად გადალხა (ნიჩბისისწყლის შესართავთან).

100 კაცისაგან შემდგარი ამალით ალექსანდრე ბულაჩაურზე გავლით თიანეთს მივიდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ამ ძნელად შესამართავ საქმეზე დიდის თადარიგით წამოვიდა. ის კარგად იცნობდა ქვეყანასა და ხალხს, რომელსაც ბრძოლად მოუწოდებდა. ამ ხალხის საერთო სურვილი— „ხმა ერისა“ ალექსანდრეს უმთავრეს პირობად მიაჩნდა იმისათვის, რომ საქართველოში შემოსულიყო. ასეთი საერთო სურვილი მას არაერთგზის დაუდასტურა ხალხმა თავისი მოციქულების პირით. ფშავ-ხევსურ-მთიულთა მამასახლის-დეკანოზები. ქევხა-მამასახლისები ქიზიყიდან, თავადები, აზნაურები და საბატონო გლეხები კახეთიდან იყვნენ ის მოციქულები, რომელნიც ხალხის სახელით ბატონიშვილს მოსვლას ეპატიჟებოდნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილმა კარგად იცოდა. თუ სპარსელ დამპყრობელთა მიმართ როგორი სიძულვილი არსებობდა ქართველ ხალხში, თუ როგორი საზარელი იყო ქართველი ხალხისათვის ყიზილბაში, იცოდა რომ მეფის მთავრობის დამპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს კიდევ უფრო სძაგდა ველური ყიზილბაშების ბატონობა. ამიტომაც საქართველოში შემოსული ალექსანდრე არწმუნებდა ხალხს, რომ სპარსელთა ჯარი საქართველოში მოვა, მაგრამ არა ქვეყნის დასაპყრობად, არამედ ბრძოლაში დასახმარებლად, საქართველოში მეფობის აღსადგენად, ალექსანდრე ბატონიშვილის გასამეფებლად.

გადამწყვეტი ომის დაწყებისათვის დრო განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო. მოსკოვში ნაპოლეონი შესულიყო და მთელი რუსეთი მომხდურის წინააღმდეგ სამამულო ომში იყო შებმული. ნაპოლეონის საიდუმლო მოციქული სპარსეთის შაჰს ეახლა; იმპერატორი შაჰს ინგლისელთა გაძევებას ურჩევდა, კავშირს სთავაზობდა მას და საქართველოს დაბრუნებას პირდებოდა. ამ პირობებში შაჰს რუსეთის დამარცხება რეალურ საქმედ ეჩვენებოდა.

ოსმალეთიც ამრეზილიყო და შევიწროვებული მეზობლის მიმართ აგრესიულ გუნებაზე დამდგარიყო; ბუქარეშტის ზავის პირობები მას ეხლა აღარ აკმაყოფილებდა და მთლიანად კავკასიიდან მეტოქის გაძევებაზე ოცნებობდა.

მოუსვენრად იყვნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანები, დაღისტანი, ჩაჩან-ჩერქეზი. საკმაო იყო რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში მებრძოლი ძალის ერთგვარი წარმატება, რომ ყველა ესენი მორჩილიც და ურჩიც, ერთგულიც და ორგულიც საღალატოდ და სამტროდ წამოშლილიყვნენ.

საზავო მოლაპარაკება ასლანდუზს სპარსეთის მხრით ომის სამზადისში მიმდინარეობდა და ალექსანდრე ბატონიშვილის სამხედრო წამოწყება სპარსეთ-რუსეთის მომავალ ომთან უშუალო კავშირში იმყოფებოდა.

თიანეთიდან ალექსანდრეს მორბედები ქვეყანას მოედვნენ. ბატონიშვილის მოწოდებას ფიცხლად გამოეხმაურნენ ფშავ-ხევსურები, ქიზიყელები, კახი თავადები, გლეხები.

ქართლსაც მღელვარება დაეტყო, ხალხს აჯანყების განწყობილება დაეუფლა. ბატონიშვილთან გაიქცნენ თავადები საციციანოდან, საავალიშვილოდან, საამილახვროდან, ხუცესი სასხორიდან. აზნაური და გლეხები კავთისხევიდან და საერთოდ „არა მცირე რიცხვი თავადებისა, აზნაურებისა და გლეხებისა“ ქართლიდან მიუვიდნენ ბატონიშვილს. სხვები კი ბატონიშვილის ქართლში გამოჩენას ელოდნენ და აჯანყებისათვის მზად იყვნენ.

ბატონიშვილმა სწრაფად დააწყო სამოქმედო გეგმა, ბრძოლად ამდგარი ხალხი მან რამოდენიმე ჯგუფად გაყო. ერთ ასეთ ჯგუფს საგარეჯოს მოურავი თადია ჩოლაყაშვილი სარდლობდა. მისი დანიშნულება თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა იყო. მეორე ჯგუფს ომან ჩოლოყაშვილი მეთაურობდა. მის რაზმში თიანელები, ფშავ-ხევსურები და ქსნელი ოსები შედიოდნენ. ესენი ქართლიდან თიანეთ-თელავისაკენ მიმავალ გზებს იცავდნენ. მესამე რაზმი გორჯასპი ნათალიშვილისა და პაპოა აბელიშვილის სარდლობით სამხედრო გზის რაიონში მოქმედებდა. ამათ ლინიიდან რუსთა დამხმარე ჯარი საქართველოში არ უნდა გადმოეშვათ. აჯანყებულთა ცალკე რაზმი მოქმედებდა აგრეთვე საგურამოს რაიონში. თითონ ალექსანდრე ბატონიშვილი კი აჯანყებულთა მთავარი ნაწილით შიგნით კახეთსა და ქიზიყში მთავრობის ჯარს ებრძოდა.

კახეთის შემომტკიცება. ქართლის აჯანყება და სამხედრო გზის ჩაკეტვა იყო ალექსანდრეს უახლოესი ამოცანა. ამას უნდა მოყოლოდა გარედან დახმარება. გამორიცხული არ იყო მშვიდობიანი მორიგებაც, თუ რუსეთის მთავრობა დასთმობდა და ალექსანდრე ბატონიშვილს საქართველოს მეფედ იცნობდა.

საქართველოს რუსული ხელისუფლება შეშფოთდა. მომხდარი ამბავი ყარაბაღში რტიშჩევს აცნობეს. აჯანყებისაგან ქართლის შესამაგრებლად რტიშჩევს სთხოვეს, რათა საჩქაროდ გამოეგზავნა რუსეთის მთავრობის ერთგული თავადები გიორგი ამილახვარი და კონსტანტინე მუხრან-ბატონი. ბორჩალოდან ჯარი გამოიწვიეს და ლართისკარი გაამაგრეს. ბულაჩაურში ბატალიონი ჯარი ჩააყენეს. სამხედრო გზის უზრუნველსაყოფად გენერალ პორტნიაგინს ლინიიდან

სამი ბატალიონი ჯარის გამოგზავნა მოსთხოვეს. ძალე ორბელიანმა გენერალი სიმონოვიჩი რუსთა ჯარით იმერეთიდან გამოიწვია (ჭირისა და შიმშილისაგან განადგურებულ იმერეთში აჯანყების შიში აღარ იყო).

დაბოლოს, ვერც ამ თავგზააბნეულმა მთავარმართებელმა აუარა გვერდი იმ სათაკილო ზომას, რასაც აგრე ხშირად, თუმცა უშედეგოდ, მიმართავდნენ საქართველოს რუსული მმართველობის უმაღლესი მოხელენი. რტიშჩევი 2000 ჩერვონეცს შეპირდა იმას, ვინც ალექსანდრე ბატონიშვილს ღალატით მოკლავდა.

შიგნით კახეთში მთავრობის ჯარებმა ციხეებს მიაშურეს. უშაკოვი ოთხი როტით ახმეტიდან თელავს გაიქცა.

8 სექტემბერს გენერალმა ორბელიანმა ტიხანოვსკი 1000 კაცით და 3 ზარბაზნით ალავერდს გაგზავნა, რათა ხელი შეეშალა ალექსანდრესათვის, რომელსაც, როგორც ხმა დაირხა, განზრახვა ჰქონდა ალავერდობას (14 სექტემბერს) საქართველოს მეფედ კურთხეულიყო.

13 სექტემბერს ტიხანოვსკი ალავერდს მივიდა და 19 სექტემბრამდე იქ იდგა. ამასობაში ალექსანდრე თიანეთიდან გაღმა მხარში წასულიყო. შილდას მდგომ ბატონიშვილს 1200 დაღისტნელი ლეკი შეშველად მოსვლოდა.

საქართველოს რუსულ ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ როგორი გართულებანი შესაძლებელია მოყოლოდა ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში ყოფნის გახანგრძლივებას. ამიტომ აუცილებელი იყო ინცინდენტის სწრაფი ლიკვიდაცია. საამისო დავალებით კახეთში მოქმედი რუსთა ჯარი ორბელიანს ეცოტავებოდა და მალე, 17 სექტემბერს, თითონაც კახეთს წავიდა. ამას გარდა გენერალ ორბელიანს, უეჭველია, სხვა ოცნებაც ამოძრავებდა. მას სურდა ბატონიშვილის დამტყვევებლის საგმირო სახელი საკუთრად მოეპოვებინა.

პოლკოვნიკი ტიხანოვსკი შილდას გაემართა და 21 სექტემბერს გაბედულად შეუტია ბატონიშვილის უფრო მრავალრიცხოვან ჯარს. შილდაში ალექსანდრეს 7000 მეომარი ახლდაო, ამბობდნენ. ამ პირველ შეტაკებას გადამწყვეტი შედეგი არ მოყოლია. მოპირდაპირეებმა საგრძნობი ზარალი ნახეს. ტიხანოვსკის საკუთარი ძალები ეცოტავებოდა და ერთი ერთზე ბატონიშვილთან კვლავ შებმას აღარ ფიქრობდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი სწრაფად ქიზიყისაკენ გამოემართა, სადაც ორბელიანი მოსულიყო, ნუკრიანს დამდგარიყო და შამქორიდან დამხმარე ჯარს ელოდა. ბატონიშვილის მიზანი იყო არ დაეშვა ორბელიანისა და ტიხანოვსკის ჯარების შე-

ერთება. ვიდრე ორბელიანი ნუკრიანს იდგა, კახელებს ზავს სთავაზობდა და ბატონიშვილის გაცემას ურჩევდა, ალექსანდრე მას შორიახლოდან უთვალთვალებდა და აჯანყებული ქიზიყიდან ლაშქარს იყრიდა. 28 სექტემბერს ორბელიანი ტიხანოვსკისთან შესაერთებლად წავიდა. უკანასკნელი ამ დროს ფაშაანს იდგა. ალექსანდრე წინ გადაუდგა ორბელიანს შავტყეში და მძიმედ დააზარალა ის. ორბელიანმა ტყიანი გზა დააგდო და მინდვრის გზით ველისციხეს მივიდა და აქ დადგა.

მეორე დღეს ორბელიანმა მაინც შეძლო იარაღით გზის გაკაფვა, ფაშაანში მან შეიერთა ტიხანოვსკის ჯარი და 1 ოქტომბერს შილდას მივიდა. აქ ეგულებოდა გენერალს ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი ჯარით. უკანასკნელი კი ისევ ფაშაანს დაბრუნებულიყო და ალაზნის ფონი დაეჭირა.

მთავრობის ჯარს თავისი სამხედრო წყობითა და იარაღით (არტილერია) დიდი უპირატესობა ჰქონდა ალექსანდრეს მოლაშქრეებთან შედარებით. თანასწორ პირობებში ასეთი ჯარის დამარცხებაზე ალექსანდრე ბატონიშვილი ვერც იოცნებებდა. მოწინააღმდეგის ამ უპირატესობებს ნიჭიერმა სარდალმა საკუთარი უპირატესობანი დაუპირისპირა. ბატონიშვილმა ორბელიანს პარტიზანული ომი აჰკიდა.

ასეთი ომი იმ გარემოებას ემყარებოდა, რომ ბატონიშვილის მხარეზე ხალხი იბრძოდა, რომ მთავრობას და მის ჯარს ფართო მასებში მომხრეები არ ყავდა. ბატონიშვილის ლაშქრის მთავარი ნაწილი ცხენოსანი იყო და სწრაფად მოძრაობდა, მთავრობის ჯარი კი უპირატესად ქვეითობა იყო. ორბელიანი ჯარის რაზმებად დაყოფას ერიდებოდა: სწრაფად მოძრავ ბატონიშვილს შეეძლო ასეთ განმარტოვებულ რაზმს ჭარბი ძალით დასცემოდა და გაენადგურებინა ის, ვიდრე მას დამხმარე მოუვიდოდა. ამიტომ ორბელიანი შეერთებული ძალით ზოზინით დასდევდა ბატონიშვილს, რომელიც ხან აქ გაჩნდებოდა ხან იქ, ხან შემოებმებოდა, სწრაფადვე გაეცლებოდა და შორს დადგებოდა, სადაც მის გარშემო უცბათ თავს იყრიდა აჯანყებული ხალხი. გასაგებია, რომ ბატონიშვილს დაზვერვა შეუდარებლად უკეთესად ჰქონდა მოწყობილი, ვიდრე მოწინააღმდეგეს. ალექსანდრეს მთავრობის ჯარის ყოველ ნაბიჯს ატყობინებდნენ, მაშინ როცა ორბელიანმა ხშირად არც კი იცოდა, თუ სად იმყოფებოდა მისი მოწინააღმდეგე და გაუჩინარებულს აქეთ-იქით დაეძებდა. ასეთ პირობებში ბრძოლის ინიციატივა ბატონიშვილის ხელთ იყო და ამ ბრძოლის გახანგრძლივებაც მისი გეგმის თანახმად ხდებოდა.

ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი შეტაკების შემდეგ, რომელშიაც მთავრობის ჯარი იმარჯვებდა, ორბელიანი რტიშჩევს ბატონიშვილის „საბოლოო დამარცხებას“ ახარებდა. მთავრობაც ელოდა ალექსანდრეს გაქცევას და მის დასაჭერად ზომებს იღებდა. მაგრამ ასეთი „საბოლოო დამარცხება“ ბოლომოუღებლად მეორდებოდა და ბატონიშვილი კი არ გარბოდა. ერთ ადგილას „საბოლოოდ დამარცხებული“ ის მეორე ადგილას გაჩნდებოდა, სადაც მის გარშემო აჯანყებულთა რაზმები კვლავ თავს იყრიდნენ.

და მწარედ აწუწუნდა დიდი სახელის მაძიებელი პატარა გენერალი: „მთელი ხალხი ჩვენს წინააღმდეგ არის ამდგარიო, მას (=ბატონიშვილს) ყველგან ბინა აქვს და ამიტომაც ხელში ვერ ჩავიგდეო“, ჩიოდა ორბელიანი და ითხოვდა ჯარის მომატებას: „ხალხს შიშის ზარი დაეცემა, ბატონიშვილს აღარ მიუდგებიან და მას აქეთ იქით მიმოსვლის საშუალება აღარ ექნებაო“.

ვიდრე ბატონიშვილი კახეთში დიდის ხელოვნებით ებრძოდა მასზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, სამხედრო გზის მიდამოებში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. გორჯასპ ნათალიშვილს დიდი ხალხი მიუვიდა. სექტემბერში სამხედრო გზაზე კრიტიკული მდგომარეობა შეიქნა. მეამბოხეებმა მთიულეთის გზა დაიჭირეს და ფასანაურში მდგომ რუსთა რაზმს ალყა შემოარტყეს. ხევშიაც მეამბოხენი ბატონობდნენ. სტეფანწმიდელი ფეოდალი გაბრიელ ყაზიბეგიშვილი ეხლაც მთავრობის ერთგული დარჩა. ის ცოლშვილით ლარსში გაიხიზნა.

მაგრამ თავის დროზე მიღებულმა ღონისძიებებმა მთავრობა იხსნა მძიმე მარცხისაგან.

ბულაჩაურში მდგომი ჯარი პეჩორსკის სარდლობით ფასანაურს მიაშველეს. აჯანყებულნი ფასანაურს მოეხსნენ და კაიშაურს გამაგრდნენ. პეჩორსკიმ თბილისიდან დახმარება ითხოვა. 29 სექტემბერს 3000 მეამბოხემ სტეფანწმიდას შეუტია. ვერ აიღეს და დაზარალებულნი უკუეცალნენ, ვერც დარიალის ხიდი ჩაიგდეს ხელში. სხვა პოსტებიც ყველა მთავრობის ჯარს ეჭირა. მიუხედავად ამისა გზა მაინც ჩაკეტილი იყო. საჭირო იყო აჯანყებული მოსახლეობის მორჩილებაში მოყვანა.

კავკასიის კომენდანტმა გენერალმა დელპოცომ 1 ბატალიონი ჯარი სწრაფად მოაშველა შევიწროვებულ ხევის გზის მცველებს. ამ ჯარს მოყვა ეხლა უკვე გულმოცემული გაბრიელ ყაზიბეგიშვილი და ენერგიულად შეუდგა მოხევე-მთიულ-გუდამაყრელთა მორჩილებაში მოყვანისა და რუსხელმწიფის ერთგულებაზე მათი დაფიცების საქმეს.

თბილისიდანაც (ლართისკარიდან) დამხმარე ჯარი გაუგზავნეს პეჩორსკის.

მთავრობის ჯარებმა თანდათან გაწმინდეს მეამბოხეთაგან სამხედრო გზის რაიონი.

* * *

როდესაც, 13 ოქტომბერს, მთავარმართებელი რტიშჩევი ყარაბაღიდან დაბრუნდა, მან გენერალი სიმონოვიჩი სამი ბატალიონი ჯარით მთიულეთს გაგზავნა. სიმონოვიჩი ანანურს ავიდა. აქ ის მორჩილებაში მოსულ ხალხს მთავრობის ერთგულებაზე აფიცებდა და რტიშჩევის განკარგულების თანახმად აჯანყებაში გარეული სოფლებიდან კონტრიბუციას კრეფდა.

ამ საქმეს სიმონოვიჩი ორ კვირას მოუნდა. ოქტომბრის გასულს ის თიანეთის მხარეში გავიდა. აქ უღლისში ომან ჩოლაყაშვილი იდგა. 5—7 ნოემბერს სიმონოვიჩმა აჯანყებულნი უღლისიდან თიანეთისაკენ განდევნა, თითონ კი საკურამო—ხაშმის გზით ორბელიანთან შესაერთებლად წავიდა. 21 ნოემბერს ხაშმთან მას მძიმე შეტაკება ჰქონდა მეამბოხეებთან. დაამარცხა ისინი და გარშემო სოფლები დამძლა და დააფიცა.

ორბელიანი 1—4 ოქტომბერს შილდის მიდამოებში იყო. გენერალმა დასწვა სოფელი საბუე, ერთგულების ფიცი დაადებინა ენისელს და შემდეგ ყვარელს წავიდა, რათა დაჭრილი ჯარისკაცები იქ მოეთავსებინა. აქედან გენერალი ორბელიანი ველისციხისაკენ წამოვიდა და ტოღნიანის ფონზე 5 ოქტომბერს ბატონიშვილს შეება. ალექსანდრე მტერს ბრძოლით გაეცალა და ისევ შილდას მიმართა. ორბელიანი 4 დღეს ველისციხეს იდგა და გარშემო სოფლებიდან ერთგულობის საწინდარი (ამანათი) აყავდა. 9 ოქტომბერს შუაღამეს ორბელიანი შილდას წავიდა და დილის 5 საათზე იერიში მიიტანა იქ გამაგრებულ ბატონიშვილის ჯარზე. ალექსანდრეს აქ 6000 კაცი ჰყავდა. სასტიკი ომი გაიმართა. მეამბოხენი თავდავიწყებით იბრძოდნენ. ხმლით და ხანჯლით ხიშტებს უტევდნენ. იხოცებოდნენ და ტყვედ არ ნებდებოდნენ. შვიდი საათის ომის შემდეგ მეამბოხეებმა შილდის თავისაკენ დაიხიეს. მიხეილ ერისთავი მთავრობის ჯარის ნაწილით უკანდახეულებს ზურგში აედევნა. ალექსანდრე შემოუბრუნდა და გათამამებულ მდევარს ალყა შემოარტყა. გაჭირვებულ ერისთავს 300 კაცისაგან შემდგარი რაზმი მიაშველეს. ერისთავს ნათავხედევი ძვირად დაუჯდა, დიდი ზარალის ფასად დააღწია თავი განადგურებას.

ორბელიანის ბრძანებით შილდა გადაბუგეს, ბაღ-ვენახები სულ ერთიანად გაკაფეს.

შილდის თავს მდგომ ბატონიშვილს დაღისტნელ ლეკთა რაზმი მოუვიდა. 14 ოქტომბერს ალექსანდრე შილდის თავიდან ისევ ველისციხის მიმართულებით წამოვიდა. ორბელიანი მას ტოღნიანის ფონთან ოთხ დღეს უცდიდა. რაკი ალექსანდრე აქ არ გამოჩნდა, ორბელიანმა მას ძებნა დაუწყო, ბაკურციხეს გავიდა და იქ შეიტყო, რომ ბატონიშვილი 18 ოქტომბრიდან სიღნაღს შემოდგომოდა. სიღნაღის ციხეს ოლქის უფროსი მაიორი ორბელიანი იცავდა. 22—23 ოქტომბერს სიღნაღის მეციხოვნეებმა მოიგერიეს ბატონიშვილის რაზმელების იერიში.

24 ოქტომბერს გენერალი ორბელიანი მაღაროს მოვიდა. აქ ის შეეტაკა ბატონიშვილის ჯარს. ალექსანდრე დამარცხდა და ჩალაუბნისაკენ წავიდა. ორბელიანი სიღნაღს დადგა. ჩალაუბანს ბატონიშვილს კვლავ შემოეყარნენ აჯანყებულნი. 29 ოქტომბერს გენ. ორბელიანი 1300 კაცით ერთხელ კიდევ შეება მას. ბატონიშვილი ხეობის სიღრმეში შევიდა. ორბელიანმა დადევნება ვერ გაბედა და ხეობიდან გამოსავალს დადგა. ფიქრობდა, რომ ბატონიშვილი მისი ჯარით ჩაკეტილი ჰყავდა. მთელ თვეს იდგა აქ გენერალი და დამხმარე ჯარს ელოდა. ამავე დროს მან ბატონიშვილის დამშევა განიზრახა, ახლო-მახლო სოფლები დაბუგა, ბატონიშვილის ჯარს რომ სურსათს აწვდიდნენ. ხეობაში შემწყვდეულ ალექსანდრესთან ორბელიანმა მიმოწერა გამართა, შეცოდებათა პატიებას და ხელმწიფისაგან დიდ წყალობას პირდებოდა. არაფერი გამოვიდა. ბატონიშვილმა მალე შეწყვიტა მასთან მიმოწერა.

* * *

სამთვიანი სახალხო ომი მეტისმეტად მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას. მთავრობის ჯარი დაუნდობლად ძლეტდა მეამბოხეებს, გაუსამართლებლად აღრჩობდა და წკეპლით კლავდა ტყვეებს თუ შესმენილ-შებეზღებულებს, ანადგურებდა გლეხთა მეურნეობას, სწვავდა სოფლებს, კაფავდა ბაღ-ვენახებს. გენერალი დიმიტრი ორბელიანი მორალურად მახინჯი ადამიანისათვის შესაფერი კმაყოფილებით ასწერდა სამხედრო მოხსენებებში თავის ამ „საგმირო" საქმეებს.

ომი ნთქავდა ქვეყნის დოვლათს.

ბოლომოუღებელმა მღელვარებამ ხალხი მოქანცა და ეს მით უფრო, რომ დახმარება არსაით ჩანდა და გამარჯვების იმედი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა.

მთავრობამ მოახერხა აჯანყების ლოკალიზაცია. ეს იყო მისი დიდი წარმატება და საბოლოო გამარჯვების საწინდარიც. მთავრობის მიერ თავის დროზე მიღებულ ღონისძიებათა გამო ქართლი ვერ აჯანყდა. ხოლო ყაზახ-შამშადილუს მოურავმა ბებუთაშვილმა თათართა ბრბოებით ძლიერად მოარბია აჯანყებული ქიზიყი. ასევე არბიეს ქიზიყი მთავრობის შეჩენით ჭარ-ბელაქნელებმაც.

აჯანყებული კახეთის მოწოდებას აქტიურად არც მეზობელი ქვეყნები გამოეხმაურნენ. ხანები სპარსეთის სამხედრო გამოლაშქრებას და მის გადამჭრელი ხასიათის წარმატებებს უცდიდნენ. სურათს არ სცვლიდა ანწუხელ ლეკთა დაქირავებული რაზმების ჩამოშველება.

იმთავითვე არ იყო ერთსულოვნობა კახეთის შიგნითაც. ხოლო ომის გახანგრძლივებისას სულ უფრო და უფრო თავს იჩენდა კლასობრივ ინტერესთა სხვადასხვაობა, ბრძოლა კლასობრივი თუ შინაკლასობრივი.

ქართველი თავადები ამჯერადაც თავისი „რჯულის“ ერთგულნი დარჩნენ. ამ ხანმოთეული კლასის ერთი ნაწილი იმთავითვე მთავრობის მხარეზე დამდგარიყო და მასვე შერჩა; ბევრი ბატონიშვილთან იყო და მისთვის „ხმალს იქნევდა“, კიდევ უფრო ბევრი, იმის მიხედვით თუ როგორ ტაროსს ამჩნევდა, ხან მთავრობას მიუდიოდა, ხან ბატონიშვილს. „ღალატი“ და „ერთგულება“ თავადისათვის ერთი ფასის ცხენები იყო. ძმები, სახლიკაცები, მეზობლები ერთი მეორეს აბეზღებდნენ. ერთი მეორეს არბევდნენ.

უიმედო, უპერსპექტივო ომს შეუორგულდნენ გლეხებიც. სულ უფრო და უფრო შესამჩნევი გახდა გლეხთა პასიურობა, ბატონიშვილის საქმისადმი ინდიფერენტობა. მოძრაობას იდეური და მატერიალური დასაყრდენი შეუვიწროვდა და ბატონიშვილის ბედი სულ უფრო და უფრო „გასასყიდ“ თავადებისა და ნაქირავებ ლეკთა ხელში გადავიდა.

ასეთ პირობებში მოძრაობის საბოლოო ლიკვიდაცია მხოლოდ დროის საკითხი ღა იყო.

* * *

რუსეთ-სპარსეთის საზავო მოლაპარაკება ასლანდუზს უშედეგოდ დამთავრდა. რტიშჩევიც ყარაბაღიდან საქართველოში დაბრუნდა (13/X). დროებითი ზავის ვადაც გათავდა და სპარსეთსა და რუსეთს შორის ისევ საომარი ვითარება შეიქნა.

აბას-მირზა დაუყოვნებლივ საომარ სამზადისს შეუდგა. მან უკვე იცოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთში შევიდა და რომ ქვეყანა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ააჯანყა. საქართველოში აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედი ჯარების დასუსტების მიზნით სპარსეთის ტახტის მემკვიდრემ ერევნის ხანს სამხედრო დემონსტრაციების მოწყობა უბრძანა შურაგალ-ბამბაკის მიმართულებით. ამავე დროს სარდალი ფირ ყული-ხანი 3000 კაცით შაქის გზით საქართველოში მეწინავეთ უნდა წამოსულიყო. თვით აბას-მირზა კი ყარაბაღში გენერალ კოტლიარევსკის უნდა შებმოდა.

შემდეგ აბას-მირზამ სამხედრო გეგმა შეცვალა. ასლანდუზში ის 4000 კაცისაგან შემდგარ გამაგრებულ ბანაკს დატოვებდა. ეს ბანაკი ყარაბაღში მდგომ გენ. კოტლიარევსკის შეიქცევდა. თითონ აბას-მირზა კი მთავარი ძალებით ფირ ყული-ხანს კვალდაკვალ გაყვებოდა. კახეთში შეიჭრებოდა და ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად თბილისზე გაილაშქრებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი, ამრიგად, სპარსეთის პოლიტიკური მიზნებისათვის ავანგარდში მებრძოლი აღმოჩნდა. ასეთი მდგომარეობის უხერხულობას გრძნობდა საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელი. საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის" საქმეში ქართველები რომ სპარსეთის დახმარების მოიმედენი ვერ იქნებოდნენ, ეს კარგად იცოდა ალექსანდრე ბატონიშვილმა. ერეკლეს მემკვიდრე ვერ უარყოფდა და არც უარყოფდა, რომ სპარსეთი ეხლაც საქართველოს მტერი იყო მიუხედავად იმისა, რომ შაჰს ამ ტახტის მაძიებლისათვის საქართველოს მეფობა (გურჯისტანის ვალი) უკვე დაემტკიცებინა. ასე შეწყალებული მოდიოდა ალექსანდრე აჯანყებულ საქართველოში და ალავერდობას ხალხის ნებით მეფედ კურთხევას აპირებდა.

როგორი ვითარება იქმნებოდა?

ერთი მხრით აჯანყებული ხალხისათვის სასურველი და მისი არჩეული მემკვიდრე მეფე, ხოლო მეორე მხრით სპარსეთის საქმისათვის მებრძოლი საქართველოში და ამიერკავკასიაში. ალექსანდრე რომ საქართველოში მეფედ დამჯდარიყო, მისთვის აუცილებელი იყო შაჰისაგან დახმარება, სპარსელების შემწეობით რუსეთის მთავრობის ჯარების დამარცხება, ე. ი. ამიერკავკასიიდან რუსთა განდევნა. მაგრამ ეს ხომ სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობის აღდგენა იქნებოდა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, რაც ქართველებისათვის ნიშნავდა იმ მდგომარეობის დაბრუნებას, რომლის წინააღმდეგ თავისუფლებისა და პროგრესისათვის მებრძოლი ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე შეუნელებლად იბრძოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი გრძნობდა ასეთი ვითარების უხერხულობას, იცოდა, თუ როგორი სიძულვილი ღვივოდა ქართველ ხალხში ამ „ფოცხვერის" მიმართ და იძულებული იყო ემტკიცებინა რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებული თანამოძმეებისათვის, რომ სპარსელთა ჯარი საქართველოში მებატონედ კი არა, დამხმარე-მოკავშირედ მოდის. ეს განცხადება, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა, თუმცა ალექსანდრე ბატონიშვილისათვის, უეჭველია, სასურველი სწორედ ის იქნებოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო.

ამ წინააღმდეგობის მორიგება შეუძლებელი იყო და ალექსანდრე ყალბ მდგომარეობაში რჩებოდა. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა სურდა მას, ეს პოლიტიკური მოღვაწე თავის დიდ ენერგიას ქართველი ხალხის საუკუნოებრივი მტრის სასარგებლოდ ხარჯავდა. საქართველოს ამ დროს სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთს შორის ბუფერული (ნეიტრალური) სახელმწიფოს როლში გამოსვლის ძალა არ შესწევდა (ეს სცადა კიდევაც ერეკლემ, მაგრამ დამარცხდა), ხოლო მფარველობა რუსეთს აღარ მიაჩნდა სასურველად. ალექსანდრე ხელმწიფის განცხადება საქართველოს ან ქვეშევრდომად მიღება ან სულ მიტოვება—თვალთმაქცური იყო. ამიერკავკასიის დაპყრობისაგან რუსეთის მთავრობა ხელს ვერ აიღებდა; ამისთვის კი საქართველოს ქვეშევრდომობა მისთვის გარდაუვალი იყო. არჩევანი სხვა არ იყო: ან რუსხელმწიფის ქვეშევრდომობა, ან სპარსეთის (ოსმალეთის) ყმობა, რაც, ადრე თუ გვიან, აგრეთვე ქვეშევრდომობად უნდა ქცეულიყო.

გენერალი კოტლიარევსკი მიუხვდა მტრის განზრახვას და საპასუხო ღონისძიება დასახა. 2000 მეომრით მან გადალახა არაზი და ასლანდუზთან 19—20 ოქტომბერს მოულოდნელი იერიშით სასტიკად დაამარცხა ბევრჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მტერი, ინგლისური იარაღით აღჭურვილი და ევროპულ სამხედრო წესზე გაწვრთნილი. აბას-მირზას ძალა ერთთავად მოიშალა. მთელი არტილერია დავლად დარჩა რუსთა ჯარს, მტერმა მოკლულთა თუ ტყვეთა სახით 2000 მეომარი დაკარგა. თვითონ აბას-მირზამ თავს უშველა სამარცხვინო გაქცევით.

ეს იყო სპარსეთის უდიდესი მარცხი მთელი ამ ომის განმავლობაში, მოიშალა აბას-მირზას გეგმა თბილისზე ლაშქრობისა. ფირყული-ხანი შაქის სახანოდან რუსთა ჯარმა უკუაქცია. ასე რომ შარვანი, ყარაბაღი და შაქი მტრისაგან სულ ერთიანად გაიწმინდა. სპარსელთა ჯარი ეხლა მხოლოდ თალიშის სახანოში რჩებოდა. მტრის იქიდან გასადევნად რტიშჩევმა გენერალი კოტლიარევსკი გაგზავნა.

27 ოქტომბერს მთავრობამ თბილისში დიდის ზეიმით იდღესასწაულა ასლანდუზთან რუსთა ჯარის გამარჯვება.

ამრიგად, ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთში საკუთარი თავის ამარა მიტოვებული აღმოჩნდა. გარედან დამხმარე მას ამიერიდან აღარავინ ჰყავდა, ხოლო შინაური მოკავშირე—ქართველი თავადები ისეთი რომანტიკოსები როდი იყვნენ, რომ „არახელსაყრელ" საქმეზე თავი წაეგოთ და ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგულებას შერჩენოდნენ მაშინ, როცა ის ბედისაგან უკვე განწირული ჩანდა.

გენერალი ორბელიანი, ჩალაუბნის ხეობის გამოსავალს კელმეჩურზე რომ ბატონიშვილს უდარაჯებდა, მოუთმენლად ელოდა გენ. სიმონოვიჩის მოსვლას. როდესაც სიმონოვიჩმა საგარეჯოს მოატანა, ალექსანდრე ბატონიშვილი ჩალაუბნის ხეობიდან გამოვიდა და მანავის ხეობაში დადგა. გარე კახეთის სოფლები „საგარეჯოთ ვიდრე მარტყოფამდე" ერთხელ კიდევ მიუვიდნენ ბატონიშვილს. ორბელიანიც აიყარა კელმეჩურიდან, ალექსანდრეს კვალს გამოყვა და ჩაილურს დადგა, სადაც მას გენ. სიმონოვიჩი შეუერთდა.

გადამწყვეტი ბრძოლა 26 ნოემბერს ბატონიშვილის დამარცხებით დამთავრდა.

მთავრობის აგენტებს ალექსანდრეს მოკავშირე ლეკთა ერთი რაზმიც მოესყიდნათ და ბტონიშვილის „მისანდო" თავადი ჩერქეზიშვილიც. ლეკთა ეს რაზმი ბრძოლის დროს გამოეშალა მეამბოხეებს და სახლში გაიპარა, ხოლო ჩერქეზიშვილმა ტყის გზით რუსთა რაზმი ბატონიშვილის ბანაკის ზურგში შეიყვანა. ღალატმა უდისციპლინო ჯარს გული გაუტეხა, ხოლო მთავრობის ჯარის შეტევამ საქმე დაასრულა. ალექსანდრეს ლაშქარი მოიშალა. მეამბოხენი დაიფანტნენ.

ბატონიშვილი თავისი უახლოესი თანამშრომლებით გაუსხლტა ორბელიანს და თიანეთს გაიქცა. აჯანყების მეთაურები მრავლად გადაიხვეწნენ სპარსეთში. აჯანყებული ხალხი სახლებში წავიდ-წამოვიდა.

აჯანყება დამთავრდა.

* *

რტიშჩევის ფიცხელი ბრძანებით კახეთიდან გასასვლელი გზები შეკრეს და ლტოლვილი ბატონიშვილის დატყვევების თადარიგში შევიდნენ. ორბელიანი, სიმონოვიჩი, სტალი და ტიხანოვსკი და, უეჭველია, არა ერთი ქართველი თავადი—მოხალისე ნერწყვმორეული დაეძებდნენ ძვირფას საშოვარს, მაგრამ ბედმა პირი შეიკრა და არც ერთს არ გაუღიმა. ბატონიშვილმა თიანეთში უკანასკნელი განკარგულებანი გასცა აჯანყების დამთავრების გამო და ფშავში მშვიდობიანად გადავიდა.

რტიშჩევი და ორბელიანი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ხელთეგდოთ ბატონიშვილი—ცოცხალი ან მკვდარი. ერთის მხრით მასთან მიმოწერა გააბეს, ურჩევდნენ მოსვლას, მონანიებას და ხელმწიფისაგან უხვი წყალობის მიღებას პირდებოდნენ, მეორეს მხრით, ეძებდნენ დაქირავებულ მკვლელს; ამ მიზნით ხან ფშავ მამასახლისს ხახო გაბიდაურს ესაქმებოდნენ, ხან ავარიელ სულტან აჰმედს; ბატონიშვილის მოკვლას ავალებდნენ მათ და სამაგიეროდ დიდ ფულსა, პატივსა და ჯილდოს სთავაზობდნენ. არსაიდან არაფერი გამოვიდა. საღალატო საქმის მოხალისე, რასაკვირველია, თავადებს შორის აღმოჩნდა. აბელ ქაიხოსროს ძე ჩოლაყაშვილი მთავრობას შეპირდა ბატონიშვილის დატყვევებას. ჯილდოდ მას დიდი ფული აღუთქვეს. თავადი მართლაც წავიდა „საგმირო“ საქმეზე, მაგრამ ფხიზელმა ბატონიშვილმა მოღალატე თვითონ დაატყვევა და შერცხვენილი სიცოცხლე იმიტომ შეუნარჩუნა, რომ მამა მისი ქაიხოსრო, თურმე, მომკვდარიყო ერეკლეს სახლის „ერთგულად ნამსახური ტუსაღობასა შინა რუსთაგან თბილისს“. გაწბილებული თავადი ალექსანდრემ ანწუხელ ლეკებს უბოძა.

*
* *

**რტიშჩევისა და ალექსანდრე ბატონიშვილის მიმოწერა.** კახეთიდან ლტოლვილი ბატონიშვილი ჯერ ფშავში იდგა, შემდეგ ხევსურეთს ავიდა და ბინა შატილში დაიდვა.

რტიშჩევმა შატილში შეხიზნულ ბატონიშვილს პრინციპული ხასიათის საუბარი გაუმართა. ღვთის განგებით და მის მიერ მირონცხებულ მეფეთა კეთილნებაობით საქართველო გადაეცა რუსეთის იმპერატორს მტერთაგან დასაცველადო—სწერდა რტიშჩევი ალექსანდრე ბატონიშვილს—შენ კი ამის წინააღმდეგ იბრძვი და დახმარებას იმასთან ეძებ, ვინც შენი სამშობლოს სისხლით ვერ ძღებოდაო. კახეთი შენი მიზეზით ამოვარდაო, ღმერთი არ გწყალობსო, დამშვიდდი, მოდი, ხელმწიფის წყალობას შეეფარეო. გაიხსენე შენი ძმისწული ლევანი, უსახელოდ და უზიარებლად რომ დაიღუპა ვიღაც ველური მტაცებლის ხელითო.

ალექსანდრე ბატონიშვილმა რტიშჩევს შესაფერისი პასუხი გასცა. ამ პასუხში ალექსანდრე ღირსეული პოლიტიკური მოღვაწე, წინდახედული დიპლომატი და მტკიცე მებრძოლი ჩანს.

თავდაპირველად ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი რტიშჩევის პირველ თეზისს—რუსხელმწიფის მფლობელობაში ქართველ მეფეთა მიერ ნებაყოფლობით საქართველოს გადაცემულობის შესახებ—პირდაპირ არ უპასუხებს, თუმცა ამ საკითხში მისი პოზიცია მომდევნო პასუხებიდან სრულიად

ნათელია. როგორც ჩანს, ბატონიშვილს, კარგ დიპლომატს, საქმისათვის სასარგებლოდ არ მიუჩნევია ისეთ საგანზე პირდაპირი პასუხის გაცემა, რაც ხელმწიფის შეურაცხყოფას გამოიწვევდა და ამით მოლაპარაკების ყოველივე გზას მოჭრიდა. არსებითად კი ბატონიშვილის პასუხი მთლიანად რტიშჩევის ამ თეზისის უარყოფას გულისხმობს, ისევე როგორც ამ თეზისის უარყოფას ისახავდა მიზნად ბატონიშვილის მთელი პრაქტიკული მოღვაწეობა. მით უფრო საინტერესოა, რომ ალექსანდრე მოერიდა ამ თეზისის ისეთივე პირდაპირ დარღვევას, როგორც ჰან სხვა დებულებები დაურღვია მოკამათეს. ბატონიშვილის ასეთი ხერხი მოქნილია და კარგად მოფიქრებული. ჩანს, შერიგების ყველა ხიდს უმიზნოდ არა სწვავს გონიერი მებრძოლი. ისიც შესაძლებელია, რომ ამ დუმილით ალექსანდრე ბატონიშვილი აღიარებდეს საქართველოზე ხელმწიფის იმ უფლებას, რომელიც მამამისმა დაუთმო იმპერატორს. ალექსანდრე ბატონიშვილი რუსხელმწიფის ამ უფლებას საქართველოზე არსად არ უარყოფს, ოღონდ იბრძვის იმ უფლების აღსადგენად, ბაგრატიონთა სახლს რომ უსამართლოდ წაართვეს, ე. ი. იბრძვის 1783 წლის ტრაქტატის დაცვისათვის.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ წინდახედული ბატონიშვილი, რუს მოხელეებთან კამათისას არსად ხელმწიფეს არ ადანაშაულებს, არამედ დამნაშავედ ყველაფერში მთავრობის მოხელეები გამოყავს.

კახეთის აოხრების ცოდვას მე მაკისრებთო. კახელები მართლაც უბედურნი არიან იმიტომ, რომ თავისი მემკვიდრე ბატონისათვის მოღვაწეებს, მათ ტანჯვა და საპყრობილე ერგოთ. თქვენ კი მათ ხელით პირი დაუყავით (ე. ი. ძალით დაამუნჯეთ, მათი არ მოისმინეთ ან მონასმენი სადაც ჯერ იყო, არ მიიტანეთ) და უდანაშაულოებს ამდენი ტანჯვა მიაყენეთო. შესანიშნავი პასუხია. ჩემთვის, კანონიერი მემკვიდრისათვის იბრძვიან, თქვენ კი სტანჯავთო, ე. ი. ეუბნება: თქვენ მოძალადენი ხართ, უსამართლოდ ფლობთ ამ ქვეყანას, ხალხი სამართლისათვის იბრძვის, თქვენ კი მათ უდანაშაულოდ სტანჯავთ და არც გაიკითხავთო. ცხადია, ხალხის ცოდვა თქვენ გაკისრიათო.

მამხელთ, რომ ჩემს საქმეში ღმერთი არა მწყალობსო. თუ ეს მართალია, მაშ რამ აამოძრავა ჩემს სასარგებლოდ ამოდენა ხალხიო. მე მდევნის არა ღმერთი, არამედ უსამართლობაო. უთუოდ პრინციპული პასუხია: „ხმა ღვთისა დ ხმა ერისაო“. სამართალი ჩემს მხარეზეა, ხალხი ჩემს მხარეზეა, მაშ ღმერთიც მე მწყალობსო, მდევნის კი უსამართლობაო. რა გინდ ძლიერი არ უნდა იყვეს ეს ბოროტება („უსამართლობა“), მის წინააღმდეგ ბრძოლა მართებულიცაა და

არც უიმედოა, რა კი სამართალი, ხალხი, ღმერთი ყველა მისი წინააღმდეგია. საკითხს ბატონიშვილი უაღრესად იდეურად სვამს: სადაც სამართალია, ხალხიც იქ არის და ღვთის ხელიც ხალხის მფარველია; ბატონიშვილის მხარესაა ხალხი, სამართალი და, მაშ, ღმერთიც. პასუხი შეუვალია: ბატონიშვილი უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის.

მაშინებთ, რომ დიდია თქვენი ძალაო. ეს მეც ვიცი, რომ ხელმწიფე ძლიერიაო. აქ თითქო მოსალოდნელი იყო, რომ ალექსანდრე იტყოდა რამეს ამ უსამართლობის ძალაზე, მაგრამ დიპლომატი ბატონიშვილი მსჯელობას სხვა მხრით წაიყვანს: ხელმწიფე გულისხმიერია და მისი მოწყალება ამოურწყველიაო. თქვენ კი ხალხის ღაღადისი მის ყურამდე არ მიგაქვთო. აშკარაა, ალექსანდრე ერიდება ხელმწიფის უსამართლობაზე ლაპარაკს და უსამართლობის მოქმედად მას მხოლოდ ადგილობრივი მოხელეები გამოყავს. ხალხის ღაღადისი წმინდაა, მისი ხმა რომ ხელმწიფემ მოისმინოს, მოწყალემ და გულისხმიერმა (ასეთი უნდა იყოს ხელმწიფე !), ის სამართალს მყისვე აღადგენს... ალექსანდრე ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, ასეთი გულუბრყვილო არ იყო, რომ გამუდმებული პოლიტიკური ბრძოლის 12 წლის თავზე ამ შეხედულებისა დარჩენილიყო. მან კარგად იცოდა, რომ იმ უსამართლობის სათავე თვით ხელმწიფე იყო (თუ დასაწყისში ზოგ ვინმეს სწამდა, რომ ხელმწიფე ადგილობრივმა თუ ცენტრალურმა მოხელეებმა შეცდომაში შეიყვანეს, ეხლა იმერეთის დაპყრობისა, ოსთა აჯანყებისა, მთიულეთის აჯანყებისა, მეფის ოჯახის წევრთა ძალით გადასახლებისა და კახეთის აჯანყების შემდეგ მისი ასეთი უშუაობა-უცოდველობისა აღარავის სჯეროდა). მით უფრო საინტერესოა ალექსანდრეს ასეთი ხერხი.

საქართველოს რუსული მმართველობის ადგილობრივი მოხელეები მუდამ სამართლიანობაზე გაკიოდნენ, უსამართლობას სხვებს უკიჟინებდნენ და ამ პროპაგანდას ისეთი დაჟინებით აწარმოებდნენ, რომ არა თუ მაშინ, დღესაც კი ამ პროპაგანდის სიმართლეში ეჭვის შეტანა გაჭირდებოდა, ჩვენ რომ მათი ასეთი მტკიცების საწინააღმდეგო უეჭველი ჩვენებები არა გვქონოდა. ალექსანდრე ბატონიშვილის იდეური დამსახურებაა, რომ მან გააშიშვლა დამპყრობელი, ოსტატურად შემოაცალა მას ცრუ იდეური საბურველი. მოახსენა მას, რომ სამართალი და ღმერთი იქაა, სადაც ხალხია, ხალხის ხმა ღვთის ხმაა, რომ ხალხი მის მხარეზეა, მაშასადამე სამართალიც მის მხარეზეა და ის ებრძვის უსამრთლობას, რომლის განსახიერებაც ეს დამპყრობელი არის.

გახარებს ჩემი დაცემა-უღონოებაო, მაგრამ (სიმართლის მხედველი) ღმერთი აღადგენს დაცემულსო. და ალექსანდრე ბატონიშვილს მოაქვს შესანიშნავი საბუთი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მორალურ სიმტკიცესა გრძნობდა ის ამ თავის ბრძოლაში: რამდენი ათასი უმანკო ბავშვი ამოხოცა იროდმა ახლადშობილი ქრისტეს დაღუპვის მიზნით? მაგრამ ქრისტე ხომ უბრალო იყო მათ სისხლში, ხოლო ისინი (ამოხოცილები) კი მოწამეებად იქმნენ შერაცხილიო. ანალოგია ასეთია: ქრისტე—უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ალექსანდრე: იროდი—რუსეთის მთავრობა, რომელიც ალექსანდრეს დაღუპვას ცდილობს; ქრისტეს მოწამეებად აღრიცხული უმანკო ბავშვები—ქართველი ხალხი, რომელიც უდანაშაულოდ იხოცება ალექსანდრეს გულისათვის.

აქვე მოაყოლებს ბატონიშვილი კიდევ უფრო შეუვალ მსჯელობას: აბა ერთი ნამუსზე გასინჯეო: თუ შენი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის არ იღწვი, მაშ ამ მოსუცებულ კაცს რისთვის გადაგაქვს ამდენი შრომა, ამდენი ტანჯვა, რომ არც ერთი დღე მოსვენება არა გაქვსო. და მე კი მაყვედრი, რომ ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხისათვის ერთხელ შემოვაქროლე ცხენი თავგანწირულმა მამულისათვის, სარწმუნოებისათვის, სახელისათვისო.

ასე რომ: სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ბრძოლა წმინდა საქმეა, ადამიანის საპატიო ვალია; ვინც სამშობლოსათვის თავს დადებს, ვინც მას ზვარაკად შეეწირება, ის დიდების ღირსია. და ალექსანდრე ბატონიშვილს რად უნდა ეყვედრებოდეს ასეთი რამ? მისი სამშობლო დაცემულია და პატივახდილი, ხალხი იბრძვის, წინამძღოლს ეძებს. ალექსანდრე ბატონიშვილი, როგორც ძე ერეკლესი, ამისათვის მოწოდებულია და რაღ უნდა ეყვედრებოდეს მას ასეთი რამ? როგორც ვხედავთ, რტიშჩევისა და ალექსანდრეს მსჯელობას საერთო საფუძველი აღარა აქვს: რუსეთის მთავრობა ალექსანდრეს სწორედ ანტიპატრიოტულ მოღვაწეობას აყვედრიდა, მის პატრიოტულ მოღვაწეობას უარყოფდა, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას იცავს და თავი მოაქვს სამშობლოსათვის მებრძოლად. ხოლო თავისი სამშობლოს დაცემას, გაოხრებას ის სწორედ მოწინააღმდეგეებს აბრალებს.

ალექსანდრე ბატონიშვილი არ უარყოფს, რომ სპარსელები ქართველთა მტრები არიან, არც იმას უარყოფს, რომ ის მათთან არის, მაგრამო, და თითქო ირონიას მიმართავს: მე იქ თავისუფალიცა ვარ და პატივიც შესაფერი ჩემი ჩამომავლობისა მაქვსო, მაშინებს

კი მდგომარეობა ჩემი ძმებისა და დედოფლებისა, რომელნიც თქვენთან არიანო და მოაგონებს ამ თავის კორესპონდენტს იმ ძალადობას, რომელიც რუსულმა ხელისუფლებამ მეფის სახლის წევრებზე იხმარა: სალდათების მისევა, დატყვევება და განაგრძობს: ესენი (=სპარსელები), მართალია, მუდმივი მტრები ყოფილან ჩვენიო, მაგრამ მეფობის კვერთხი ჩვენგან არასოდეს მიუტაცნიათო.

ალექსანდრე ბატონიშვილი სრულიადაც არ იყო ისეთი გულუბრყვილო პოლიტიკოსი, რომელსაც სარწმუნოებრივი მომენტი ქვეყნებს შორის პოლიტიკური მტრობისა თუ თანხმობის ერთადერთ განმსაზღვრელ საფუძვლად მიაჩნდა. მან მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ ძველი „ქრისტიანული სიყვარული გამქრალიყო“ (სხვაგან, ერთ-ერთ წერილში ალექსანდრე სწერდა რტიშჩევს: უმოწყალესი ხელმწიფის საფარველში შესულნი ჩვენ ყველა ჩვენი მეზობლის, შორეულისა თუ ახლობლის, საკიცხველი და სასაცილო შევიქენითო. ჩვენი ასეთი დამდაბლება მოყვა ჩვენს ერთგულობას, ერთმორწმუნეობის გამო რომ გვქონდაო. აი საბუთი იმისა, რომ ქრისტიანული სიყვარული გამქრალიაო). მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი სრულიადაც არაა სპარსთმოყვარე და არც რუსთა მოძულეა ის (მან ისიც საკსებით ნათლად იცის, რომ სპარსელები მას მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ანგარიშების გამო უფრთხილდებიან). ალექსანდრე პოლიტიკური მოღვაწეა, ურყევად დარწმუნებული თავისი საქმის სამართლიანობაში და, ამდენადვე, შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ი მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ა რ ა რ უ ს ე თ თ ა ნ კ ა ვ შ ი რ ი ს ა, ა რ ა მ ე დ რ უ ს ე თ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს მ ი ე რ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა პ ყ რ ო ბ ი ს ა.

ალექსანდრე ბატონიშვილი შაჰთან თანხმობაშია, მისი „წყალობით“ სარგებლობს და სპარსეთი კი საქართველოს მტრად მიაჩნია, ხოლო რუსთა ბატონობის წინააღმდეგ იბრძვის და რუსეთთან კავშირს კი, ერეკლეს მიერ განხორციელებულს, სასურველად სთვლის და „ხალხის მიერ კეთილად გამორჩეულ“ ამ საქმის საწინააღმდეგო მოქმედების ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. გამოდის, რომ რუსთა ბატონობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი ალექსანდრე თავის თავს სთვლის რუსეთთან კავშირის დამცველად. ალექსანდრე არ ღალატობს ერეკლეს გზას, „აზიისათვის“ პირშექცევისა და „ევროპისაკენ“ მობრუნების გზას. მაშასადამე, შაჰთან თანხმობას ალექსანდრე უყურებს როგორც ტაქტიკური ხასიათის დროებით ხერხს რუსთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალექსანდრე ეთანხმება მოკამათეს, რომ მისი ეხლანდელი ცხოვრება მძიმეა, მაგრამ მეო ჩემი სამშობლოსათვის ამ ხანგრძლივ ტანჯვას ადვილად ვიტან, რადგან თავისუფალი ვარ და შესაფერი პატივიცა მაქვსო. ამით თავის მდგომარეობას ალექსანდრე უპირისპირებს რუსეთში მსხდომ ბატონიშვილებისას, რომელნიც, მისი გაგებით, რა თქმა უნდა, თავისუფალნი არ არიან. სამშობლოსათვის ბრძოლა, თუნდაც ხანგრძლივი და მძიმე, შედარებით ადვილად ასატანია, თუ კი მებრძოლი თავისუფალია, თუ მას ამ ბრძოლის საშუალება წართმეული არ აქვს.

დაბოლოს, ალექსანდრე ბატონიშვილი ურიგობა-უწესოებად ჩამოართმევს რტიშჩევს უბედურად დაღუპული ლევანისათვის ხელის წამოკვრას. მე ამაზე დავიდუმებ, ოღონდ ერთს შევნიშნავ კიო: ლ ე ვ ა ნ ი  ს ა მ ო თ ხ ე შ ი  ი მ ყ ო ფ ე ბ ა ო, რ ა დ გ ა ნ  თ ა ვ ი  დ ა ს დ ო  მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ო.

როგორც ვიცით, ლევანი 1810 წელს აჯანყებას მეთაურობდა, საქართველოს მთავარმართებელს მისი თავი 2000 ჩერვონეცად შეეფასებინა. მკვლელს ეძებდა. ეს აჯანყებული ბატონიშვილი შემთხვევით (?) დაიღუპა ლეკი მტაცებელის ხელით, როცა დვალეთიდან ახალციხეს გამოქცეული გოგიას ციხეში (ბორჯომის მიდამოშია) იმყოფებოდა. ლევან ბატონიშვილი საქართველოს რუსული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა და ალექსანდრე ბატონიშვილის მტკიცებით ის სამოთხეში განისვენებს ისევე, როგორც ყოველი პატრიოტი, სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებული.

აქ ახალი საინტერესო მომენტია აღნიშნული. აქამდე საქართველოს მტრები მაჰმადიანები (მაინცდამაინც არა-ქრისტიანები) იყვნენ. ამიტომ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ მებრძოლი სარწმუნოებისათვის მებრძოლიც იყო და, ამდენად, ასეთ ბრძოლაში დაღუპული სამოთხეში დაემკვიდრებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა კი ახალი პრინციპი გამოაცხადა: სამშობლოსათვის, მამულისათვის მებრძოლი, ვინც უნდა იყოს (ხალხი თუ ცალკე პირი) და ვის წინააღმდეგაც უნდა იყოს ეს ბრძოლა (მაჰმადიანი იქნება ის თუ ქრისტიანი), სულერთია, სამოთხეს დაიმკვიდრებს: მ ა მ უ ლ ი ს  დ ა ც ვ ა  წ მ ი ნ დ ა  ს ა ქ მ ე ა.

ასე რომ, ალექსანდრეს მტკიცებით, საქართველოში მეფის მთავრობის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლნი დამნაშავენი კი არ არიან, როგორც ამას რუსული ხელისუფლება დაჟინებით ამტკიცებდა, არამედ როგორც უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლნი, დაცემული მამულის გამოხსნისათვის მებრძოლნი, წმინდა საქმისათვის თავწამკვდარნი, სამოთხეს იმსახურებენ.

დაბოლოს, ალექსანდრე სთხოვს რტიშჩევს, რათა აცნობოს ბატონიშვილს ის პირობები. როგორიც მას, შემორიგებულს, ხელმწიფისაგან ელის, რათა მოვმართო მამობრივი ხელის აპყრობასა შენსა და მარად დავრჩე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთგულებასა შინა ხელმწიფე იმპერატორისაო, მაშინ ნახავთ თქვენ ჩემს სამსახურს. ერთგულებას და ძალასო.

როგორც აქედან ჩანს. ალექსანდრე ბატონიშვილი პრინციპულად სრულიადაც არ არის სპარსეთის მომხრე. ის მზადაა მოვიდეს რუსხელმწიფის სამსახურად (ასეთი აზრი მას სხვა დროსაც არაერთგზის გამოუთქვამს). ოღონდ თავისუფალ საქართველოში.

ალექსანდრე ვერც იქნებოდა სპარსეთის ორიენტაციისა ისევე. როგორც სოლომონ II არ შეიძლებოდა ყოფილიყო ოსმალეთის პრინციპული მომხრე. ამ დროს ქართველი პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე (და არა თავადი. რომელმაც საკუთარი ყმები ტყვეებად. დაყიდა და ეხლა დასასყიდ-დასანიავებლად სხვის ყმებს მგელივით უყურებდა) სპარსეთის ორიენტაციისა ვერ იქნებოდა. ერეკლეს სახელის მოფიცარი და ხალხის მომხრეობის მაძებარი ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთის პრინციპული მომხრე ვერ იქნებოდა, იმიტომ რომ ქართველმა ხალხმა ერეკლეს სახით გადაჭრით და საბოლოოდ უარყო „აზია“ და ორიენტაცია „ევროპაზე“ აიღო. ასე რომ ალექსანდრე ბატონიშვილი იმ დროსაც კი. როცა ის სპარსეთის დახმარებით საქართველოში (თუ მთელი კავკასიის მასშტაბით) მეფის რუსეთის ბატონობას ებრძოდა. რუსეთის ორიენტაციისა რჩებოდა.

მან ეს დებულება ენერგიულად დაიცვა რტიშჩევისადმი პასუხში, როცა კატეგორიულად უარყო მისი ბრალდება, თითქო ბატონიშვილი ხალხის ნებას არღვევდა. პირიქით, „ხალხის კეთილი არჩევანის“ დამრღვეველად ალექსანდრე საქართველოს რუსულ მართველობას თვლიდა. ბატონიშვილის მსჯელობა აქაც გულწრფელი იყო და მართალი. ქართველი ხალხი აჯანყდა, მაგრამ რისთვის? განა რუს-ქართველთა ერთობის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, არა. ის აჯანყდა საქართველოში რუსული ხელისუფლების ბატონობის წინააღმდეგ. ეს ბატონობა იყო სწორედ, „ხალხის კეთილ არჩევანს“ რომ არღვევდა. ასე რომ ალექსანდრე ბატონიშვილი და ქართველი ხალხი, გამოდის, რუსეთ-საქართველოს კავშირისათვის იბრძოდნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილი თავისუფალი საქართველოსათვის იბრძოდა; ის პრინციპული მომხრე იყო რუსეთთან კავშირისა და ებრძოდა რუსთა ბატონობას. ამ მხრით ალექსანდრე ერეკლეს ანდერძს იცავდა.

ამ დებულების კიდევ ერთი უდავო მოწმობა ალექსანდრე ბატონიშვილმა რტიშჩევისათვის გაგზავნილ ერთ სხვა წერილში გამოსთქვა 1813 წლის 29 აპრილს.

უმაღლესი კარით გამოგზავნილ წიგნებიდან და მეწიგნეთა (კურიერების) პირით გვეუწყაო, სწერდა ბატონიშვილი რტიშჩევს, რომ ხელმწიფემო, შესაბამისად ჩვენდამი აურაცხელი მოწყალებისა, მიბოძა მე ორი პოლკი სალდათი და ამდენივე კაზაკი, რათა მე ვასრულებდე დიდი ხელმწიფის ბრძანებებს, ვფლობდე და ვმართავდე საქართველოსო; თქვენ კი ყველანი რუსეთს უნდა უკუიქცეთ ფრანგების წინააღმდეგ საომრად თუ სხვა საჭიროებისათვისო... ნუ მიმალავთ, მართალი შემატყობინეთ, მიხმეთ და სიხარულით მოვალო.

ამას წინათ ალექსანდრემ ცნობები მიიღო რუსეთის უკიდურესი პოლიტიკური შევიწროვებულობის შესახებ: ნაპოლეონმა მოსკოვი დასწვაო, პეტერბურგი აიღოვო, რუსეთის ხელმწიფე ყაზანისაკენ გაქცეულა და ზავს ევედრება ბონაპარტესო. ამ ცნობათა სინათლეზე ალექსანდრემ, ჩანს, ადვილად დაიჯერა „კურიერების მონათხრობი" და ერთხელ კიდევ გამოთქვა ის, რაც მას სურდა, რისთვისაც იბრძოდა.

ალექსანდრეს წარმოდგენით რუსეთმა ნაპოლეონთან ომი წააგო. მან კავკასია უნდა დაცალოს. ამ პირობებში რუსეთი შეეცდება ამ ქვეყნიდან ფეხი მთლად არ ამოიკვეთოს და დათანხმდება იქ მოკავშირე-ხელდებული გაიჩინოს. ეს იქნება აღდგენილი საქართველოს სამეფო ალექსანდრე ბატონიშვილის მოთავეობით. მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი ხომ „გურჯისტანის ვალი" არის, ე. ი. შაჰის ვასალი. და აი იმისათვის, რათა საქართველომ სპარსეთის პრეტენზიებისაგან თავი დაიხსნას და რუსეთის ერთგული მოკავშირე-ხელდებული დარჩეს, ალექსანდრეს რუსეთის დახმარება სჭირია: ოთხი პოლკი ჯარი. როგორც ვხედავთ, ეს იგივე 1783 წლის ტრაქტატია და ალექსანდრე ამ ტრაქტატის საფუძველზე რუსეთთან კავშირის დაჯერებული მომხრეა.

მაგრამ 1783 წლის ტრაქტატი დამარცხებული რუსეთისათვის შეუძლებელი რამ იყო, ხოლო გამარჯვებული რუსეთისათვის ის უკვე გავლილი ეტაპი იყო ჯერ კიდევ 1801 წელს. და ეხლა, 12 წლის გასულს, ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ამ დრომოჭმული

ვითარების აღდგენას ცდილობდა, განწირული პოლიტიკოსი მოჩანდა, რომელიც „გამარჯვების" შემთხვევაშიაც კი სპარსეთის ყმობას ვერ გაექცეოდა და თავის ქვეყანას თავისუფლების ნაცვლად უარეს მოიობას მოუტანდა, ვიდრე ის აქამდე განიცდიდა.

* * *

ალექსანდრე ბატონიშვილი იმ ბუნების პოლიტიკური მოღვაწე არ იყო, რომ მძიმე მარცხს გაეტეხა და ბრძოლაზე ხელი აეღებინა. შატილს შეხიზნული ალექსანდრე მორალურად გატეხილსა და ფიზიკური გადარჩენის მაძიებელს სრულიადაც არ ჰგავდა. თუ ერთი მხრით ალექსანდრე რტიშჩევ-ორბელიანთან მიმოწერას აწარმოებდა და რუსეთის მთავრობასთან შერიგების პოლიტიკურ პირობას არკვევდა, მეორე მხრით, იმავე დროს ის დიდის ენერგიით განაგრძობდა მუშაობას, რათა მომავალ წელს კიდევ უფრო მეტის მომზადებით ხელახლა ომი გაემართნა საქართველოს რუსული მმართველობისათვის.

შატილიდან ალექსანდრე ბატონიშვილი კავკასიის მთიელებს, ფეოდალებს, თემებს რუსთა მფლობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ომში მოუწოდებდა, სპარსეთის ძალით აიმედებდა მათ და გამარჯვების შესაძლებლობაში არწმუნებდა. ამავე დროს ბატონიშვილი სწერდა აბას-მირზას და მას ომის ორგანიზაციისათვის საჭირო ფულსა სთხოვდა. ალექსანდრეს მოწოდებებს განსაკუთრებით ძლიერი გავლენა ჰქონდა კავკასიის მთიელებში, სადაც ბატონიშვილის მოწოდებათა გვერდით ამ დროს ამავე მიმართულებით ოსმალეთის სულტანის ფირმანებიც მოქმედებდნენ. ასე რომ ალექსანდრე რუსეთის მფლობელობით უკმაყოფილოთა პოლიტიკური ცენტრი ხდებოდა და შატილში ბატონიშვილი მარჯვე ადგილას (კავკასიის მთიანეთის ცენტრში) დაბანაკებულ საშიშ მტერს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავშესაფარის მაძიებელ ლტოლვილს.

საქართველოს რუსულმა მმართველობამ ბატონიშვილის შემოსარიგებლად მიმოწერის გვერდით მოციქულობასაც მიმართა. ყაზიბეგიშვილი, ვაჩნაძე და ჯორაშვილი მიუგზავნა შატილში ალექსანდრეს. მოციქულობა უშედეგო აღმოჩნდა (კერძოდ, ჯორაშვილმა ალექსანდრესთან წასვლაც კი ვერ გაბედა. ის იმთავიდან ბატონიშვილის ერთგული და მისანდო ყმა იყო. 1804 წელს ზაქარია ჯორაშვილი წამოუვიდა პატრონს და ციციანოვს ეახლა. ალექსანდრე ბატონიშვილი ამიტომ მას მოღალატედა სთვლიდა).

ამავე ხანებში რტიშჩევს ხელთ ჩაუვარდა ალექსანდრეს წერილი აბას-მირზასთან. სრულიად ცხადი იყო, რომ ალექსანდრე ბატო-

ნიშვილი რუსეთის მთავრობისადმი დამორჩილებას არ აპირებდა.

რტიშჩევმა შეწყვიტა ურთიერთობა ბატონიშვილთან და საკითხის გადაწყვეტა ისევ სამხედრო ძალით სცადა. იმ მიზნით, რათა ფშავებს ალექსანდრესათვის სურსათის მიწოდება შეეწყვიტნათ, რტიშჩევმა მათ წინააღმდეგ რეპრესიას მიმართა. ფშავებს რტიშჩევმა საზაფხულო საძოვრები დაუჭირა და 40000 სული ცხვარიც ჩამორთვა მათ, საქართველოს ბარში რომ ძოვდა. აუკრძალა ფშავებს ბარად ჩამოსვლა და რისამე (განსაკუთრებით, მარილის) შეძენა. რტიშჩევმა მოსთხოვა ფშავებს ბატონიშვილის კაცების გაცემა, ხოლო ხევისბერების გამოგზავნა თბილისში მორჩილების პირზე. ფშავი გატყდა და დამორჩილდა.

საქართველოს მთავარმართებელს ხევსურეთის მიმართ ასეთივე რეპრესიის განხორციელების საშუალება არ ჰქონდა. ამიტომაც ხევსურები მტკიცედ იდგნენ ბატონიშვილის ერთგულების პირზე და შემკედრე პატრონის გაცემაზე კატეგორიულ უარს უთვლიდნენ რტიშჩევს, რომელიც მათ ასეთი მოთხოვნით მრავალჯერ მიმართავდა.

1813 წლის მაისში რტიშჩევმა ოთხი მხრით ლაშქარი შეუსია ხევსურეთს: ახმეტიდან თუშეთზე გადავლით გენერალი სიმონოვიჩი, თიანეთიდან ფშავზე გადავლით პოლკოვნიკი ტიხანოვსკი, გუდამაყარის ხეობით გენერალი სტალი, ხოლო სტეფანწმიდიდან პოლკოვნიკი გაბრიელ ყაზიბეგიშვილი.

ეზა მეტად მძიმე ხყო. განსაკუთრებული გასაჭირი გენერალ სტალის რაზმს დაადგა, გუდამაყრიდან ბარისახოსაკენ რომ მიდიოდა. ხევსურები დიდის თავგამომეტებით იბრძოდნენ. 30 მაისს ექსპედიციის რაზმები სოფელ ლებაის-კარში შეერთდნენ. ხევსურებმა ოჯახები დახიზნეს, ქვეყანა სულერთიანად დაცალეს. სიმონოვიჩმა ალექსანდრე ბატონიშვილს თავადი გურგენიძე მიუგზავნა, წერილი მისწერა. დამორჩილება მოსთხოვა. გენერალმა პასუხი ვერ მიიღო.

31 მაისს ჯარი ლებაის-კარიდან შატილისაკენ წავიდა და 3 ივნისს სასტიკი ომით აიღო ის. შატილის დაცვას 600 ხევსური შეაკვდა.

მთავრობამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ ისევ 31 მაისს გასცლოდა ხევსურეთს და დაღისტანს შეფარებოდა. სიმონოვიჩმა ჯავრი ხევსურეთზე ამოიყარა. დამსჯელი რაზმები გაუსია ქვეყანას და ოცი დაუცველი სოფელი დაანგრევინა. ექსპედიცია 15 ივნისს თიანეთს დაბრუნდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა რუსთა ბატონობის წინააღმდეგ. 1813 წელს მან ორჯერ—

აგვისტოსა და ოქტომბერში—სცადა კახეთში შემოჭრა, თუმცა უშედეგოდ. დამარცხებული ბატონიშვილი ისევ დაღესტანს შეეფარა.

ამის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა კიდევ უფრო უპერსპექტივო შეიქმნა. მალე მას სპარსეთიდან დახმარების იმედი შეუწყდა, ცოტა ხნის შემდეგ კი გამარჯვებული რუსეთის წინაშე ოსმალეთმაც ქედი მოიხარა.

* * *

1812 წლის დეკემბერში რუსთა ჯარმა კიდევ ერთი მძიმე დამარცხება ანახვა მტერს. თალიშის სახანოში 7000 კაცისაგან შემდგარი სპარსელთა ჯარი დათარეშობდა. სწორედ ამ ჯარის წინააღმდეგ გაემართა ასლანდუზთან გამარჯვების შემდეგ გენერალი კოტლიარევსკი. 26 დეკემბერს ის თალიშის სახანოს მთავარ ციხე-ქალაქს ლანქარანს შემოადგა და 31 დეკემბერს იერიშით აიღო ის. ბრძოლას ორივე მხრით დიდი ზარალი მოყვა. რუსთა ჯარმა თალიშის სახანო სპარსელთაგან გაწმინდა.

ასლანდუზთან და ლანქარანთან დამარცხებამ ისედაც სუსტი სპარსეთი კიდევ უფრო მოშალა. საკუთარი ძალებით მას ომის გაგრძელება აღარ შეეძლო და, სურდა თუ არა, ზავი უნდა შეეკრა. მით უფრო, რომ ასეთი იყო ინგლისის სურვილი. ელჩმა ჰორ-უზელეიმ აგრძნობინა შაჰს, რომ ინგლისის მთავრობა შეუწყვეტს მას 200000 თუმან ყოველწლიურ დახმარებას, თუ შაჰი ამ დახმარებას ინგლისის მოკავშირეთა წინააღმდეგ ომისთვის გამოიყენებს. საზავო მოლაპარაკება გ უ ლ ი ს ტ ა ნ ს პირველ ოქტომბერს დაიწყო და 12 ოქტომბერს 1813 წელს ზავი დაიდო.

**გულისტანის ზავი.** გულისტანის საზავო ხელშეკრულების მიხედვით სპარსეთმა რუსეთის სამფლობელოდ იცნო ქვეყნები თალიში, ყარაბაღი, განჯა, შაქი, შარვანი, ყუბა-დარუბანდი, ბაქო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სპარსეთის ხელში რჩებოდა მხოლოდ ორი სახანო: ერევნისა და ნახჭევნის. რუსეთის სამფლობელოდვე იცნო სპარსეთმა საქართველო, დაღისტანი და მთელი ქვეყანა კავკასიის ლინიიდან ვიდრე სპარსეთ-რუსეთის საზღვრამდე. გულისტანის საზავო ხელშეკრულების მიხედვით კასპიის ზღვაზე ნაოსნობის უფლება მხოლოდ რუსეთს ჰქონდა და რუსეთის ვაჭრებს სპარსეთში განსაკუთრებული უპირატესობანი ენიჭებოდათ.

გულისტანის ზავი დიდ გამარჯვებას აგვირგვინებდა. ამიერიდან რუსეთს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში აშკარა მეტოქე აღარა ჰყავდა. ჩამორჩენილი ფეოდალური სპარსეთის მრავალსაუკუნოვანი მფლობელობა აქ რუსეთის ცენტრალისტური სახელმწიფოს მფლობელობით საბოლოოდ იცვლებოდა.

სამხედრო მინისტრი გორჩაკოვი მილოცვის წერილში, გულისტანის ზავის გამო რტიშჩევს რომ გამოუგზავნა 1813 წელს 20 ნოემბერს, რუსეთ-სპარსეთის ომს 17 წლისად თვლიდა; მაშასადამე, მისი წარმოდგენით, ეს ომი 1796 წელს დაწყებულა, და არა 1803 წელს — ციციანოვის მიერ განჯის აღების გამო. მართლაც და 1796 წლის ომი, რომელიც ვითომცდა საქართველოს ამაოხრებლის აღა მაჰმად-ხანის დასასჯელად იყო მოწყობილი, თავისი ნამდვილი მიზნებით დიდად სცილდებოდა როგორც საქართველოს დაცვის ამოცანას, ისე კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობის პეტრესეულ გეგმას. დასაწყისიდანვე ჩანდა, რომ რუსეთის მთავრობა ამ ომს მიზნად უსახავდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობის ფართე გეგმას. „საქართველოს დაცვა-გაძლიერება“ და „სომხეთის აღდგენა“ ამ ომის ნამდვილი მიზნების დასაფარავი პოლიტიკურ-დიპლომატიური ხასიათის ლოზუნგები იყო. და მართლაც, ამ ომის დასასრულს, ე. ი. 1813 წელს „საქართველო“, როგორც ქართული პოლიტიკური ერთეული, კარგახანია უკვე აღარ არსებობდა და ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა მეფის რუსეთის მპყრობელობის დასაყრდენი პუნქტი ამიერკავკასიაში; ასევე დაკარგული ჰქონდა ამ დროისათვის ფასი მეორე ლოზუნგსაც:—„სომხეთის აღდგენას“. თანდათან ფორმირდებოდა ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუსული ცნება „ზაკავკაზიე“, სადაც ერთიანდებოდნენ თანაბრად უუფლებონი საქართველო, სომხეთი და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აზერბაიჯანული სახანოები თუ დაღისტნური ტომები.

გორჩაკოვის მოწმობა იმითაა შესანიშნავი, რომ 1813 წლის აქტს ის გენეტიურად უკავშირებს 1796 წელს რუსეთის მიერ წამოწყებულ ომს. ფორმალურად, მართლაც, „საქართველოს“ დაცვის ლოზუნგი 1813 წელსაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა (თუმცა საქართველო პოლიტიკურად აღარ არსებობდა), მაგრამ ამიერკავკასიაში ამ დროისათვის არა ერთი ქვეყანა იყო (არასაქართველო), რომელთა დაცვას რუსეთის მთავრობა ასევე კისრულობდა, რამდენადაც ეს ქვეყნები ან საქართველოს მთავარმართებლის ადმინისტრაციულ საგამგეოში შედიოდნენ (ყუბა, იმერეთი), ან ხელმწიფის ნაფიც ქვეშევრდომობაში იმყოფებოდნენ (სახანოები, სამთავროები). 1813 წლის აქტი— გულისტანის ზავი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხური იყო „საქართველოს“, როგორც რუსული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული შინაარსის ცნების გაქრობისა და მის ნაცვლად „ზაკავკაზიეს“ წარმოქმნის პროცესში. ამის შემდეგ ამიერკავკასიის სამთავრო-სახანოების მოჩვენებითი არსებობა სულ მთლად რუსეთის მთავრობის ადმინისტრაციული მშენებლობის დღედათვლილი ობიექტი და იყო.

**აჯანყების დამარცხების შემდეგ.** ალექსანდრე ბატონიშვილის კახეთიდან განდევნის შემდეგ მთავრობა ამ ქვეყნის საქმეების მოგვარებას შეუდგა.

მთავრობის პოლიტიკა ეხლა სულ სხვაგვარია, ვიდრე ის კახელების პირველი ან მეორე გამოსვლის დროს იყო. ეხლა, როცა ნაპოლეონი რუსეთიდან უკუქცეული იყო, სპარსეთი გატეხილი და ზავის მახვეწარი, ხოლო ოსმალეთი გაწბილებული,—გამარჯვებულ მთავრობას „მოღალატე" და „ფიცის მტეხელ" კახელებთან საზოდიშო ალარაფერი ჰქონდა. ეხლა უკვე აღარავის აფიქრებდა ამ სახალხო აჯანყების მიზეზები, მთავრობას უკვე დავიწყებოდა საკუთარი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა „უთვალავი ბოროტმოქმედებანი" (კახელთა პირველი გამოსვლის მიზეზად რომ იყო აღიარებული თვით პაულუჩი-რტიშჩევის მიერ) და ის მოღალატე-ბოროტმოქმედად ისევ კახელ გლეხსა სთვლიდა. ამისდა შესაბამისად მთავრობის მოქმედება უფრო შეეფერებოდა მტერს, რომელიც დამარცხებულ უცხო ქვეყანაში შურს იძიებდა. დასჯა, ფიზიკური თუ მატერიალური, იყო ერთადერთი ღონისძიება, რასაც მთავრობა იშვიათი გულქვაობით განუხრელად ახორციელებდა.

მთავრობის ჯარის სარდალი კახეთში გენერალი დიმიტრი ორბელიანი, ალექსანდრე ბატონიშვილთან ბრძოლაში უნიჭო და უმწეო, ეხლა „გმირობდა".

დაიწყო დამსჯელი ექსპედიციების ნადირობა აჯანყების მონაწილეებზე.

თავადაზნაური მეამბოხენი,—ნაწილი სპარსეთს გაქცეულიყო, ნაწილი ალექსანდრე ბატონიშვილს გაყოლოდა, სხვები კახეთში იმალებოდნენ.

მეამბოხეთა გამცემლების შოვნა თავადებს შორის ძნელი არ იყო, მით უფრო, რომ დიდი რაოდენობა მთავრობის მომხრე თავადებისა მეამბოხეთა მიერ ძლიერ დაზარალებულიყო. მოძმე-მოქიშპეზე შურისძიების მარჯვე დრო იდგა და თავადები მთავრობისაგან პატივისა და ქონების წყალობის მოლოდინში „ხელმწიფის სამსახურზე" „თავს არ ზოგავდნენ".

მთავრობის ასეთ სამსახურში თავადებს არც მაღალი საეკლესიო პირები ჩამორჩებოდნენ. ამათ შორის გამოირჩეოდნენ იოანე ბოდბელი მიტროპოლიტი (მაყაშვილი) და კარის წინამძღვარი ელეფთერ (ზურაბიშვილი), რომელიც აჯანყების მონაწილე სამღვდელოებაზე (ასეთები იყვნენ სოფლის ხუცები გლეხთაგან) განსაკუთრებული ენერგიით ნადირობდა. მაღალი სამღვდელოების ასეთ საქმიანო-

ბას საქართველოს ეგზარხოსი მიტროპოლიტი ვარლამი (ქსნის ერისთავის შვილი) აგვირგვინებდა.

სხვაგვარი საშუალების ხმარება სჭირდებოდა მთავრობას გლეხების მიმართ. კახელი გლეხი, თუ სულ ყველა აჯანყების აქტიური მონაწილე არ ყოფილა, საერთოდ მისი თანაგრძნობა მაინც აჯანყებულთა მხარეზე იყო. ამ აჯანყებას გლეხი მართალ (წმინდა) საქმედ უყურებდა და მისი მონაწილეთა გაცემა აზრადაც კი საზარლად ეჩვენებოდა. და ორბელიანი უბრძანებდა, მაგალითად, სიმონოვიჩს ქვემო კახეთში, რათა მკაცრად დასაჯოს ანდრონიკაანთ და ჩერქეზიანთ გლეხები, ზოგი ვინმე ჩამოახრჩოს, შიშის ზარი დასცეს ყველას და მაშინ გლეხებიც გასცემენ თავიანთ მებატონეებს, რომელნიც აჯანყებას მეთაურობდნენო.

დაპატიმრებულთაგან 67, განსაკუთრებული დამნაშავეები, გაასამართლეს. 24 კაცს, რომელთა შორის ოთხი ხუცესი იყო, სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, 28 კაცს ციმბირი, 3 კაცს ჯარისკაცობა საქართველოს გარეთ, ხოლო ორ ქალს—ეკატერინე ჩოლაყაშვილს და გულქან ნათალიშვილს სამუდამოდ შემონაზონება კურსკის გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში.

დასჯილ თავადაზნაურებს ქონება ყველას ჩამოერთვა.

სამაგიეროდ მთავრობის მომხრე თავადაზნაურები ყელამდე წყალობით აავსეს.

სულ სხვაგვარად გაუსწორდა რტიშჩევი აჯანყებაში მონაწილე გლეხებს. მთავარმართებელმა კახელი გლეხობა კონტრიბუციით დასაჯა. დამნაშავე სოფლის თითეულ კომლს უნდა გადაეხადა კონტრიბუცია („ჯარიმა"): 3 კოდი ხორბალი, 1 კოდი ქერი და 3 მან. ვერცხლის ფული —დაუყოვნებლივ გადაახდევინეთ კონტრიბუცია აჯანყების მონაწილე სოფლებს რაც შეიძლება მეტი რაოდენობით— მკაცრად უბრძანებდა რტიშჩევი კახეთში მოთარეშე დამსჯელი ექსპედიციების უფროსებს, ხოლო მეორე მხრით ეს „კანონიერების დამცველი" ამავე მოვლენის შესახებ შესაფერი „ცივილიზებული" ფორმით, მოახსენებდა, პეტერბურგში: დასჯის სახედ დაკისრებული მცირე კონტრიბუცია ხალხს უსიტყვოდ შემოაქვსო. ამ მძიმე ჯარიმის გვერდით კახელ გლეხობას დააკისრეს დამსჯელი ექსპედიციის (დაახლოებით 2500 კაცის) უფასოდ გამოკვება ხორცით, ღვინით.

ამავე დროს გლეხები მოვალენი იყვნენ შემოეტანათ როგორც გასულის, ისე მიმდინარე წლის სურსათის გადასახადი.

ოფიციალური ცნობით კახელმა გლეხობამ კონტრიბუციის სახით გაიღო 69741 ფუთი პური, 35406 ფუთი ქერი და 49909 მან. ვერცხლის ფული. ეს ოფიციალური ცნობა, რა თქმა უნდა, მინიმა-

ლურია და გადახდილი ჯარიმის რაოდენობა გაცილებით მეტია სავარაუდებელი.

ამ ცნობიდან გამოდის, რომ 1812 წლის აჯანყების ამ მესამე გამოსვლაში—სექტემბერ-ნოემბერში მონაწილეობის გამო ჯარიმა გადაუხდია 12 ათასიდან 16 ათასამდე კომლ გლეხს· ასე რომ რტიშჩევის ცნობა—აჯანყებაში 40000 გლეხი მონაწილეობდაო—სარწმუნოდ გამოიყურება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიუღია გლეხური მოსახლეობის თითქმის მთელ მასას.

გლეხთა დასასჯელად რტიშჩევის მიერ მიღებული ზომა ხელმწიფეს არ მოეწონა.—მთავრობის მიმართ ხალხის განწყობილების მოსაპოვებლად ასეთი საშუალებანი მიზანს ვერ აღწევსო,—და კატეგორიულად უბრძანა საქართველოს მთავარმართებელს:—მომავალში კონტრიბუცია რუსეთის ქვეშევრდომებს არასოდეს არ დააკისროთ, და მეამბოხეთა დასჯისას კანონის ძალა ზედმიწევნით დაიცავითო. რტიშჩევმა ახსნა-განმარტებით მინისტრთა კომიტეტს მიმართა და თავისი მოქმედების სისწორე „დაუსაბუთა“: კონტრიბუცია რომ არ ავიღო, ლაშქარი დამეშშევაო; კონტრიბუციით მოპოვებული საშუალებით უნდა დასაჩუქრებულ იქნან ჩვენი ერთგული თავადაზნაურთაგანნი, ამ აჯანყების დროს რომ დაზარალდნენ მეამბოხეთაგანო და, ბოლოს, კონტრიბუცია სასჯელია კახელთა ფიცისმტეხლობისა და აჯანყებისადმი მიდრეკილებისათვისო. ამ შემთხვევაში ქვეშევრდომთა დასჯა „კანონთა ძალისაებრ“, ე. ი. დაჭერა, გასამართლება, პატიმრობა-გადასახლებაო—განაგრძობდა რტიშჩევი. „დასაბუთებას“—„ხელმწიფის კეთილმოწყალეობასთან“ შეუთავსებელი იქნებოდა, რადგან 40000 გლეხის დასჯა დაგვჭირდებოდაო. და აქვე რტიშჩევი ავითარებდა ჭეშმარიტად აზიელი სატრაპის „ფილოსოფიას“, რომ ეს კონტრიბუცია კეთილ შედეგს მოუტანს თვით კახელ გლეხობასო; კახელები მდიდარი ხალხია; გამდიდრებული გლეხები აღარ შრომობენ, უქმად არიან და ბოროტ ფიქრებს ეძლევიან. კონტრიბუციით მათ წაერთმევათ, რაც ზედმეტი აქვთ, ასე რომ. ამ კონტრიბუციით მკურნალობის შემდეგ კახელი გლეხი ისევ მიწის მუშაობასა და სხვა სამეურნეო საქმიანობას მოკიდებს ხელს და ბოროტი ფიქრებისათვის მოცალება არ ექნებაო.

რტიშჩევის ამ „ახსნა-განმარტებას“ მინისტრთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა და ალექსანდრე ხელმწიფის კატეგორიული ბრძანება, უეჭველია, მისივე თანხმობით, შეუსრულებელი დარჩა. საქართველოს მთავარმართებელს კახეთიდან კონტრიბუციის აკრეფის ნება დართეს.

სამაგიეროდ, ალექსანდრე ხელმწიფის ბრძანება იმ მხრით შესრულდა, რომ კახელი გლეხები „კანონთა ძალის“ შესაბამისადაც მრავალი დასაჯეს.

დამსჯელი ექსპედიციის უფროსები აჯანყების მონაწილე გლეხებს „საჭიროებისდა მიხედვით“ ახრჩობდნენ სხვების შესაშინებლად, ურჩთა გასატეხად. მრავალს კი „კანონთა ძალისებრ“ სწრაფად ასამართლებდნენ: წკეპლავდნენ, ჰოცავდნენ. თუ როგორი სამართლიანი იყო გლეხების მიმართ ეს „კანონთა ძალა“, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდანაც: 1813 წელს 14 იანვარს ხუთი „დამნაშავე“ გლეხი გაასამართლეს, ხუთივეს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, მათ შორის იყო ერთი მეამბოხე გლეხის დედა, 75 წლის დედაბერი. რომლის დანაშაული ის იყო თურმე, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და მოწოდებანი ადრესატს გადასცა.

* * *

კახეთი მძიმედ დაზარალდა. ქვეყანა მატერიალურად გაჩანაგდა.

გადაბუგული სოფლები, ამოჩეხილი ბაღ-ვენახები. დატაცებული ოთხფეხი საქონელი, ამოცალიერებული პურის ორმოები, დამტვრეული ღვინის ქვევრები.

მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა, ათასობით ხალხი ბრძოლაში დაიხოცა, სხვები „სამართლით“ თუ „უსამართლოდ“ გაციმბირებულ-ჩამოხრჩობილ-გაჯოხილ იქნა, სხვები კიდევ დამსჯელ ექსპედიციების თარეშს გაექცა სპარსეთში, დაღისტანში... ზოგიერთი სოფელი, როგორც. მაგალითად. ახმეტა, ამ აჯანყებამდე მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული, დიდხანს ამ აჯანყების შემდეგ პარტახად რჩებოდა.

კახეთის აჯანყება 1812 წელს მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ძველმა ფეოდალურმა საქართველომ გადამწყვეტი ომი წააგო. გამარჯვება რუსეთის მთავრობას დარჩა. მძიმედ დაზარალებული ფეოდალური ოპოზიცია გატყდა. მართალია, რუსული მმართველობით ქართველი თავადი ამის შემდეგაც დიდხანს უკმაყოფილო რჩებოდა, მაგრამ ეს იყო ჩუმი უკმაყოფილება და ის ღია პოლიტიკური პროტესტის ხასიათს აღარ ატარებდა. ამავე დროს — ქართველ თავადთა შორის თანდათან სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა ახალ მმართველობასთან შერიგება-შეგუების მიდრეკილება. 1812 წლის შემდეგ, ქართველი თავადი სულ უფრო და უფრო ნაკლებად თაკილობდა რუსულ — „ჩი-

ბოვნიკობას" და ამ სამსახურთან დაკავშირებულ ხელმწიფის წყალობას. გაცილებით უფრო მძიმე იყო ქართველი თავადისათვის რუსული „პომეშჩიკობა". ეს მომენტი ამიერიდან დიდხანს ქართველი ფეოდალის უკმაყოფილების უმთავრეს წყაროდ რჩებოდა, მაგრამ დროს და ვითარებას აქაც თავისი გაჰქონდა და ძველი ქართველი ფეოდალი-თავადი უბრალო რუსულ მებატონეობას თანდათან ურიგდებოდა.

ქართველი თავადის ამ თანდათანი ტრანსფორმაციის (ანუ პოლიტიკურ-ეკონომიური გადასხვაფერების) შედეგი ის იყო, რომ მას საბოლოოდ ხელიდან გაუვარდა ძველი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის დროშა.

1812 წლის აჯანყების გაკვეთილები მეფის მთავრობამაც გაითვალისწინა. ის იძულებული იყო, მცირედ მაინც, ანგარიში გაეწია ხალხის სამართლიანი მოთხოვნებისათვის. ამის შედეგი ის იყო, რომ კახეთში კაპიტან-ისპრავნიკების ინსტიტუტი არ აღადგინეს, თუმცა არც პაულუჩის მიერ აღდგენილი მოურავობა დატოვეს ხელუხლებელი.

მოურავობის ინსტიტუტის საკითხი, როგორც ვიცით, უთანხმოების ერთი უმთავრესი მომენტი იყო ძველი ქართული ფეოდალური წყობილების დამცველებსა და ახალი რუსული ცენტრალისტურ-ბიუროკრატიული წყობილების შემომტანთ შორის. პირველნი (უპირატესად თავადები) იცავდნენ მოურავობას და თავგამოდებით იბრძოდნენ კაპიტან-ისპრავნიკობის წინააღმდეგ, მეორენი (რუსული მმართველობის წარმომადგენელნი) ბოროტების წყაროდ სწორედ მოურავობასა სთვლიდნენ და მის დაუყოვნებლივ გაუქმებას მოითხოვდნენ. ალექსანდრე ხელმწიფემ მთავარმართებელი ციციანოვის მოხსენების თანახმად ჯერ კიდევ 1804 წლის 29 იანვარს გამოსცა ბრძანება საქართველოში მოურავის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. მაგრამ ეს ბრძანება რეალურად ვერ განხორციელდა და მოურავობა საქართველოში ამის შემდეგაც რჩებოდა. მთავარმართებელმა პაულუჩიმ კი, როგორც ვიცით, 1812 წლის აჯანყების გავლენით ეს ინსტიტუტი ოფიციალურად აღადგინა.

ეხლა მთავარმართებელმა რტიშჩევმა კვლავ შეუტია ძველ ქართულ მოურავობას. მან ალექსანდრე ხელმწიფის ბრძანებაც გაიხსენა და მისი განუხრელად შესრულება თავს იდვა. ამავე დროს რტიშჩევმა თავისი ეს გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ზედმეტად „დაასაბუთა": მან კახეთის გლეხთა აჯანყება ამ მოურავების ბოროტმოქმე-

დებათა შედეგად გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მართალი: კახეთის გლეხთა აჯანყების უმთავრესი მიზეზები, ჩვენ ეხლა კარგად ვიცით, სულ სხვა იყო. მიუხედავად ამისა ის ღონისძიება, რომელიც მთავრობამ მოურავის ინსტიტუტს მიმართ მიიღო, პროგრესული და ხალხის ფართე ფენებისათვის სასარგებლო იყო.

რტიშჩევის განკარგულებით კახეთის იმ სოფლებში, რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს, მოურავობა უქმდებოდა. ძველი მოურავის ნაცვლად ასეთ სოფელში სმოტრიტელი (მეთვალყურე, ზედამხედველი) ინიშნებოდა ქართველ თავადაზნაურთაგან,—მთავრობის ერთგულობაში სანდო და გამოცდილი კაცი. სმოტრიტელი შეიძლებოდა ამ სოფლის თუ მაზრის მკვიდრი არც ყოფილიყო და მისი თანამდებობა არც სამემკვიდრეო იყო. სმოტრიტელი მთავრობის მიერ დანიშნული სახელმწიფო მოხელე იყო, რომლის უფლება-მოვალეობა ზუსტად იყო განსაზღვრული მთავარმართებლის მიერ.

რტიშჩევის განკარგულება არა მარტო აჯანყების მონაწილე კახური სოფლების მმართველობას შეეხებოდა. მთავარმართებლის ბრძანებით საქართველოში სოფლის მოურავობა იმ სახით, როგორც აქამდე იყო, არსად არ უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ძველი მოურავის გაუქმება თანდათან უნდა მომხდარიყო. ამ მიზნით საქართველოს უზენაეს მართებლობას ევალებოდა თანამდებობიდან უმალვე გადაეყენებინა და პასუხისგებაში მიეცა ის მოურავი, რომელსაც ბოროტმოქმედება რაიმე ან მთავრობის მიწერილობათა შეუსრულებლობა შეაჩნდებოდა. ოლქის უფროსები თუ სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი იყვნენ მკაცრად ედევნებინათ თვალყური სოფლის მოურავების საქმიანობისათვის და დანაშაულის შემთხვევაში ასეთი მოურავი, მისი წოდებისა და ჩამომავლობის მიუხედავად, წარედგინათ სადაც ჯერ იყო.

ადვილად გასაგებია, რომ ასეთი სპეციალური მეთვალყურეობის პირობებში ვერც ერთი ძველი მოურავი დიდხანს ვერ იბოგინებდა.

ერთი სიტყვით, ეს ძველი ფეოდალური ინსტიტუტი უქმდებოდა და მის ადგილს მთავრობის მოხელე-მოჯამაგირე იჭერდა, რომელსაც ევალებოდა ხალხის ნდობა და სიყვარული დაემსახურებინა, ხალხის შევიწროვებას მორიდებოდა და „ყოველი მოჩივარის სწრაფსა და სამართლიან დაკმაყოფილებას“ ცდილიყო.

ხელუხლებლად რტიშჩევმა არც პაულუჩის მიერ პროექტირებული დროებითი სასამართლო დატოვა. პაულუჩის პროექტის შეცვლა იმაში გამოიხატა, რომ ოლქის უფროსისა და თავადაზნაურთა-

გახ ამორჩეული სამი წევრის მაგივრად, რტიშჩევის დროებით სასამართლოში შედიოდნენ კომენდანტი, მაზრის მოურავი, მარშალი, ხაზინადარი, ამას გარდა დროებით სასამართლოში შედიოდნენ მდივანი, თარჯიმანი და სამი კომისარი ანუ აღმასრულებელი. ასე რომ რტიშჩევისეული დროებითი სასამართლო არც არჩევითი იყო, როგორც ამას ქართველები მოითხოვდნენ და ფუნქციებითაც ეს ახალი დროებითი სასამართლო პაულუჩის სასამართლოსაგან განსხვავდებოდა: სასამართლო ფუნქციების გვერდით რტიშჩევი დროებით სასამართლოს საპოლიციო-საფინანსო ფუნქციებსაც აკისრებდა, მაშინ როცა პაულუჩის სასამართლო მხოლოდ სამართლის წარმოებას გულისხმობდა ვახტანგის სჯულის მიხედვით. ამრიგად ხალხის (თავადაზნაურობის) გამორჩეულ მოსამართლეების ნაცვლად რტიშჩევის სასამართლოში მთავრობის მოხელენი სხდებოდნენ, მაგრამ უფრო უარესი ის იყო, რომ ამ ახალ სასამართლოში რუსული ელემენტის გამრავლებასთან ერთად სამართლის წარმოების ენად ქართული აღარ ივარაუდებოდა.

მოკლედ, 1812 წლის აჯანყებას კახელებისათვის ის რეალური შედეგი მოყვა, რომ ამიერიდან ქვეყნის რუსულ მმართველობაში ქართველი ელემენტი (თავადაზნაურობა) უფრო ძლიერად იყო წარმოდგენილი, ხოლო მართველობის ფორმა ქართულ წესებს ისე აღარ უგულვებელყოფდა, როგორც ეს აქამდე იყო. გარდა ამისა, მთავრობა ამიერიდან სამოქმედო წესად იდებდა, რათა ხალხის საჩივრები სამართლიანად გაეკითხა და მოხელეთა ბოროტმოქმედებანი მტკიცე ხელით აელაგმა.

*
* *

როგორც აღვნიშნეთ, 16 მაისს 1812 წელს ბუქარეშტში რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის პირობების საბოლოოდ კმაყოფილი არც ერთი მხარე არ იყო. რუსეთს დიდის ხარჯით და მსხვერპლით მოპოვებული ქვეყნების დათმობა ემძიმებოდა, ოსმალეთს კი მიღებული ეცოტავებოდა. რუსეთის მთავრობა სთვლიდა, რომ დასათმობ ქვეყნებში არ იგულისხმებოდა არა მარტო იმერეთ-გურია-სამეგრელო, არამედ აფხაზეთიც სოხუმით; ზავის პირობების ოსმალური გაგებით კი რუსეთს უნდა დაეთმო მისთვის არა მარტო ახალქალაქი და ფოთი, არამედ მთელი დასავლეთი საქართველო (აფხაზეთი სოხუმით, სამეგრელო ფოთით, იმერეთი და გურია). 1812—1813 წელს ოსმალეთი ცდილობდა ესარგებლნა რუსეთის პოლიტიკური სიძნელეებით და დასავლეთ საქართველოში თავისი მტაცებლური ზრახვები გაენაღდებინა. სულტანის სახელით ოსმალეთის აგენტები მოუწოდებდნენ იმიერკავკასიის მთიელებს რუსეთის წი-

ნაალმდეგ და მათ ოსმალეთში გადასახლებას ურჩევდნენ. ამავე დროს სულტანი სპეციალურად მიმართავდა იმერლებს, მეგრელებს, გურულებს, აფხაზებს, როგორც თავის ყოფილ ყმებს და ყველა ამათ რუსეთის წინააღმდეგ მოუწოდებდა. ამავე დროს არზრუმის სერასკერმა აჰმედ ფაშამ ოფიციალურად მოსთხოვა რტიშჩევს აღნიშნული ქვეყნების დაცლა. რტიშჩევმა უარი შეუთვალა და პასუხად ჯარი გააძლიერა ყულევში და აგრეთვე იმერეთში, სადაც მოსალოდნელი იყო, რომ შემოსვლას შეეცდებოდა სოლომონ მეფე, რომელიც ამ დროს ტრაპიზონის ფაშასათან ერთად ფოთში იდგა.

ოსმალეთმა ეს სამტრო მოქმედებანი ვერ განავითარა. ამის მიზეზი იყო რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვება სამამულო ომში და, შემდეგ, დასავლეთ ევროპაში.

სოლომონ მეფე ამის შემდეგაც დიდხანს უშედეგოდ უცდიდა მარჯვე დროს იმერეთში შემოსასვლელად ვიდრე 1815 წლამდე, როცა ის დამარცხებული და იმედგაცრუებული ტრაპიზონში გარდაიცვალა (7 იანვარს 1815 წელს).

ივნისში 1815 წელს ოსმალეთმა ერთხელ კიდევ სცადა, ვითომცდა ბუქარეშტის ზავის პირობების თანახმად, ქართული ქვეყნების მიტაცება. ამ დროს ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე ტყვეობიდან საფრანგეთს დაბრუნებულიყო და რუსეთი ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად მის წინააღმდეგ ომის სამზადისში იყო გართული. ოსმალეთმაც დრო იხელთა. არზრუმის სერასკერი 15 ათასი კაცით ახალციხეს მოვიდა და მოციქულის პირით რტიშჩევს მოსთხოვა იმერეთის, სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის დათმობა და ციხეების— ქუთაისის, ბაღდათის, შორაპნის, კემხელის (ყულევის) და ანაკლიის დაცლა. რტიშჩევი საომრად შეემზადა, მაგრამ ომამდე საქმე არ მივიდა. ევროპაში მოკავშირეთა გამარჯვებამ და ნაპოლეონის დატყვევებამ ოსმალეთს საომარი განზრახვისაგან ხელი ააღებინა. აგვისტოს შუაზე არზრუმის სერასკერი ახალციხიდან უკუიქცა. ამის შემდეგ ოსმალეთი რუსეთის მიმართ, მართალია, ღია სამტრო მოქმედებას ერიდებოდა, მაგრამ რუსთა მფლობელობას დასავლეთ საქართველოში ბუქარეშტის ზავის პირობების დარღვევად სთვლიდა და ამ ქვეყნის დაცლას ძველებურად დაჟინებით მოითხოვდა. ოსმალეთი ფარულად ხელს უწყობდა რუსეთისათვის საზიანო მოქმედებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, გზავნიდა ემისრებს, რაზმავდა მომხრეებს და მოუწოდებდა აჯანყებად, ხელს უწყობდა და მფარველობდა მეკობრეებს, ტყვის მსყიდველებს... ასე რომ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის საფუძველი მოუშლელი რჩებოდა და ადრე თუ

გვიან ამ სახელმწიფოთა შეტაკება მოსალოდნელი იყო მით უფრო, რომ ოსმალეთის ასეთ პოზიციას ინგლისი ყოველ მხრივ ხელს უწყობდა.

მეორე მხრით იგივე ინგლისი ქვებავდა სპარსეთის შეურიგებლობასაც. საქმე იმაში იყო, რომ გულისტანის ზავის დადებისას სპარსეთს იმედი მისცეს, რომ რუსეთის იმპერატორი ამიერკავკასიის დაპყრობილი ქვეყნებიდან ზოგიერთ რამეს შაჰს დაუბრუნებდა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ასეთი რამ საჭიროდ არა სცნო და ხელმწიფემ „მეგობარ" შაჰს არაფერი დაუბრუნა. სპარსეთი გულისტანის ზავით მეტად უკმაყოფილო დარჩა, ასე რომ რუსეთ-სპარსეთის მომავალი ომის საფუძვლები აქაც ჩაყრილი იყო. ინგლისმა მარჯვედ ისარგებლა რუსეთისა და სპარსეთის ურთიერთის მიმართ გულგაუწმენდელობით. 1814 წელს 25 ნოემბერს სპარსეთსა და ინგლისს შორის დაიდო მეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც აშკარად მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. ამ „მეგობრობის" ხელშეკრულებით სპარსეთის შაჰი ინგლისის დაქირავებულ დარაჯად ხდებოდა ინდოეთის მისადგომებზე.

ამრიგად, რუსეთის წინაშე ამიერიდან მძიმე ამოცანა იდგა: ინგლისის უპირატესი გავლენის გაქარწყლება როგორც ოსმალეთში, ისე, განსაკუთრებით, სპარსეთში.

# საძიებლები

## გეოგრაფიულ სახელთა


ადერბაიჯანი — 165, 170, 171, 177, 183, 201, 202, 226, 232, 340.

**Азербайджан — 65, 106**

ავსტრია — 152, 153, 159

ავღანეთი — 169

ავჭალა — 440

აზია — 61, 338, 380, 456, 476, 478

**Азия — 83**

**Азовское море — 81, 88, 89**

ათენი — 32

ათონი — 23 შენ.

ალავერდი — 164, 223, 463

ალაზანი — 58, 163, 201, 206, 278, 297, 299, 341, 357, 464

**Аламути — 108**

**Аластани — 86, 145**

ალბანეთი — 25 შენ.

**Албания — 76**

ალთუნ ურდო — 57

ალი — 389

ალონი — 122, 123

ამერეთი — 235

**Амеретия — 148**

**Америка — 89**

ამიერკავკასია — (იხ. აგრეთვე — ზაკავკაზიე) 5 შენ., 23 შენ., 54, 58, 66, 68, 151, 153, 160, 161, 165, 166, 168, 171—173, 195, 198, 200, 216, 217, 227—229, 232, 234, 238, 239, 246, 248, 249, 261, 274, 275, 277, 278, 282—285, 287, 290, 291, 295, 298, 300, 301, 307, 310, 315—317, 319, 320, 328, 331—335, 339, 342, 347—349, 354, 356, 358, 359, 361, 366, 371, 373, 400, 403, 409, 411, 418, 420, 424, 426—428, 436, 438, 456, 459, 461, 469, 470, 483, 490, 492

**Закавказье — 75, 79, 83, 87, 89—91, 94, 96—98, 100, 101, 107, 110**

ამირიძის-კარი — 324

ანაგა — 437, 452

ანაკლია — 307, 359, 400—402, 491

ანაკლიის ციხე — 313

ანაკრიის ციხე — 213

ანანური — 218, 237, 322, 323, 326, 328—330, 341, 439, 440, 444, 449, 457, 466

ანანურის მაზრა — 325, 438

ანაპა — 290, 359, 408

ანატოლია — 290, 411

**Ангора — 88**

ანისი — 24 შენ., 27, 33, 40, 58

ანწუხი — 445, 446

არაბეთი — 24 შენ.

არაგვი — 157, 169, 179, 132, 204, 205, 237, 325, 326, 390, 396, 398, 438.

არაგვის საერისთავო 173, 175, 209

არაგვის ხეობა — 67, 179, 322, 326, 330, 427, 439, 458

არაზი — 285 290, 335, 354, 355, 470

არაქსი — 202

არზრუმი — 54, 58, 169, 233, 290, 392, 491

ართანა — 452

არმაზი — 12, 13

არსიანი — 22

არტაანი — 24 შენ.

არტანუჯი — 24 შენ.
არფა-ჩაი — 182
არჭეში — 54
Архангельск — 89
ასლანდუზი — 459, 462, 468—471, 482
ასპინძა — 218
ასტრახანი — 158, 176, 197, 332, 334. 335
Астрахань — 89
ასფურაგანი — 20
ატენი — 27. 341
აფხაზეთი — 24 შენ., 25 შენ., 52, 132. 136, 152, 220, 281, 284, 287, 290. 300, 307, 313, 373, 399, 400—411, 415, 490, 491
Абхазия — 144
Африка — 89
აღმოსავლეთ ამიერკავკასია — 169, 171, 196, 200, 201, 203, 208, 209, 231, 285, 286, 296, 308, 311, 312, 329, 363, 366, 388, 459, 461, 482, 483
Босточное Закавказье — 97
აღმოსავლეთ საქართველო — 60, 196, 243, 248 შენ., 296, 305, 306, 308, 311, 312, 330, 356, 362, 411, 417, 418, 423, 427, 448
Восточная Грузия — 80, 90, 91, 105
აღმოსავლეთი — 37, 160, 172, 246, 312
Восток — 83, 89
აჩაბეთის ციხე — 180
აწყურის ციხე — 218
აჭარა — 281, 284, 392, 399, 413—415
ახალქალაქი — 218, 359. 392, 393, 397, 415. 421, 426, 427, 455, 490
ახალშენი — 434
ახალციხე — 112, 113, 114, შენ., 116, 124, 155, 173, 176, 180—182, 214, 218, 221, 232—234, 268, 276, 279, 286—288, 290, 297, 307, 349, 359, 367, 370, 374, 377, 381, 383, 387, 388, 390, 391—393, 397, 398, 410—418, 421, 422, 424, 426, 476, 491
ახლო აღმოსავლეთი — 23 შენ., 30 შენ., 151—153, 160, 178, 191, 195, 223, 229, 238, 242, 246, 283, 284, 368, 380
Ближний Восток — 76, 88, 89
ახმეტა — 349, 436, 450, 463, 480, 487
ახტალა — 223, 233, 237

ბაგავანი — 166
Базари — 94
ბათომი — 213, 280, 281, 284, 286, 307, 359, 360, 400, 426
ბაიდარი — 183, 210
ბაკურციხე — 467
ბალკანეთი — 216, 373, 415, 425, 126
ბამბაკი — 259, 260, 320, 327, 341, 364, 367, 392, 469
ბარდა — 181
ბარდავი — 20
ბარისახო — 481
ბაქო — 166, 239, 285, 336, 337, 355, 438, 482
ბაღდადი — 179
ბაღდათი — 422
ბაღდათის ციხე — 219, 491
ბელაქანი — 194, 201, 204, 276—278, 297
ბელგოროდის მონასტერი—279
ბესარაბია — 334, 358, 361
ბიზანტია — 18, 22, 23 შენ., 24 შენ., 24. 25, 25 შენ., 26, 63, 67
Византия — 81, 89
ბნელათხევი — 389, 395
ბოდბისხევი — 437
ბორჩალო — 183, 210, 259, 260, 258, 320, 438, 462
ბორჩალოს ციხე — 233
ბორჯომის ხეობა — 176, 399, 417, 476
ბულაჩაური — 444, 445, 461, 462, 465
ბურდულის-კარი — 324
ბუქარეშტი — 455, 458. 461, 490, 491
ბუხარა — 172

გაგი — 33
გავაზი — 163, 341, 356
განძა — 28

განჯა — 162, 166, 183, 194, 196, 200, 202, 203, 205, 207, 208, 226, 227, 231, 232, 238, 239, 285, 286, 296—299, 303, 315, 317, 328, 331, 332, 334—336, 367, 373, 424, 426, 427, 482, 483
**Гянджа — 106**
გარე-კახეთი — 161, 444
გალმა-მხარი — 163, 164, 452, 454, 463
გელათი — 385, 387, 390
**Генуя — 88**
გეორგიევსკი — 230
გერმანია — 159
გილანი — 335
**Гилян — 94**
გოგიას ციხე — 399, 476
გოგნი — 390
გომბორი — 436, 453
გომნი — 118
გონიო — 359
გორი — 60, 118, 119, 122—125, 127, 128, 139, 181, 237, 259, 303, 341, 347, 383, 429, 439, 440, 460
გორის ციხე — 166
**Гори — 100, 109, 110**
გრემი — 452
**Гремн — 94**
გრიგოლეთი — 374, 408, 414
გრუზია — 412
**Грузия — 71, 72, 75—97, 99—101, 102, 106, 108, 110, 141—146, 148.**
გუდამაყარი — 439, 456
გუდამაყარის ხეობა — 481
გულისტანი — 482, 483, 492
გუმბრი (ლენინაკანი) — 318, 360
გურია — 150, 280, 284, 285, 288, 290, 305—307, 372, 374, 375, 394, 399, 490, 491
**Гурия — 93, 100, 145**
გურჯისტანი — 149, 236, 469, 479,
გუფთა — 162

დარდანელის სრუტე — 358
დარიალი — 54, 224, 329, 340, 440, 465
დარუბანდი — 54, 136, 166, 168, 196, 232, 238, 239, 285, 355, 426, 482
**Дербент — 76, 147**
დასავლეთ ამიერკავკასია — 170, 285.
დასავლეთ ევროპა — 47, 159, 160, 193, 228, 491
**Западная Европа — 88, 89**
დასავლეთ საქართველო — 185, 186, 192, 213—216, 218, 221, 279, 280, 284, 286—288, 290, 293, 300, 303, 307—309, 311, 314, 362, 363, 370, 371, 375, 382, 387, 399, 400, 408, 410, 411, 421, 459, 490, 491
**Западная Грузия — 76, 80, 89—93, 105, 107—110**
დაღესტანი — 154 შენ., 172, 173, 175—179, 181, 182, 191, 194, 195, 204, 205, 232, 269, 276, 355—357, 411, 426, 445, 461, 481, 482, 487
**Дагестан—97**
დებედას ხეობა — 230
**Дебеда — 79**
დედოფლის წყარო — 278, 341
დელი — 172
დვალეთი — 415, 476
დვინი — 54, 58
დიდოეთი — 9
დმანისი — 341, 367
დუნაი — 366, 425
დუნაისპირეთი — 455
დუშეთი — 268, 272, 328, 439, 440

ეგვიპტე — 54, 358
ეგრისი — 9, 16, 17, 25 შენ.,
ეგრის წყალი — 16
ევროპა — 58, 61, 152, 153, 159, 160, 193, 228, 229, 236, 246, 249, 283, 312, 314, 348, 358, 360, 380, 412, 460, 476, 478, 491
Европа — 89, 96
ეკლეცის წყალი — 33
ელაზნაური — 303, 306, 308, 310, 349, 372, 373, 376, 377, 381, 387
ელბა — 491
ელისუ — 299
ენზელი — 335

ენისელი — 452, 466
ერანი — 20, 47, 54, 58, 63, 149—153, 155, 156, 158—162, 165—179, 181—184, 331, 368, 369, 415
**Иран—75, 81, 87, 89—91, 93, 94, 96—99, 101, 102, 106—110, 142**
ერევანი — 166, 167, 183, 189, 200—203, 207, 208, 223, 226, 227, 231, 232, 236. 239, 268, 285, 286, 311, 312, 316—319, 321, 323, 325, 327—329, 331, 333, 335, 336, 340, 355, 358, 364, 366, 367, 392, 393, 397, 418, 424, 445, 450, 452, 456, 460, 469, 482
**Ереван—106**
ერწუხი — 28
ესპანეთი — 159
ეჩმიაძინი — 236, 316, 318

**ვ**აკე — 422
ვალაშკერტი — 67
ვალახია — 361, 365, 455
ვალე — 135
**Ван — 75**
**Вардзийский монастырь — 98**
ვარციხე — 315, 371, 379, 382, 388
ვახანი — 221, 305, 389
ვახანის ციხე — 233
ველისციხე — 434, 464, 466, 467
**Венеция — 88**
**Волга — 89**
ვორონეჟი — 330

**Загеми — 94**
ზაკავკაზიე — 412, 416, 483
ზაქათ-კარი — 324
ზემო იმერეთი 233
ზემო ქართლი — 155, 156, 327
ზუფუ — 405

**თ**ავაური — 334, 439
თავრიზი — 170, 201, 203, 315 ,337
**Тавриз — 75, 90**
თალა — 163, 164, 194
თალიში — 367, 391, 427, 470, 482
თბილისი — 55, 152, 165—169, 189, 190, 175, 184, 196, 202, 218, 225—227, 231, 236—238, 242, 250, 251, 254, 261, 264, 265, 267, 268, 272, 274—277, 282, 283, 287, 288, 292, 296, 311, 318, 325, 326, 328, 329, 332, 337, 341, 346, 347, 349, 350, 364, 370, 372, 374, 378, 383, 387, 390, 393, 409, 415, 434, 437—441, 446, 453, 454, 458, 462, 465, 466, 469—472, 481
**Тбилиси — 90, 107**
თეთრი ზღვა — 290
**Белое море — 89**
თეირანი — 319, 360, 365, 366, 368, 447
თელავი — 164, 226, 238, 259, 347, 429, 436, 444—446, 449, 452—454, 462, 463
**Телави — 94**
თერგი — 196, 438
თერგის ხეობა — 396
თიანეთი — 349, 436, 444, 445, 461—463, 466, 471, 481
თრიალეთი — 61
თრუსოს ხეობა — 325
თუშეთი — 481
თუშ-ფშავ-ხევსურეთი — 260
თუხარისი — 27

**ი**ასი — 358
იბერია — 27
იბერია-კოლხეთი — 25 შენ.
იგოეთი — 118
იერუსალემი — 18 შენ.
ივერია — 25
იმერეთი — 38, 67, 138, 150, 167, 170, 213—221, 227, 228, 232, 233, 235, 264, 268, 272, 279—284, 286, 288—293, 295, 296, 299—312, 314, 315, 317, 320, 325, 327, 349, 362, 363, 365, 370—390, 393—396, 407, 409, 411, 414, 415, 417, 418, 421—425, 428. 447, 448, 453, 158, 463, 474, 483, 490. 491
**Имерети — 86, 87, 109, 145, 146, 148**

იმიერკავკასია — 172, 226, 230, 258 275, 317, 319, 334, 342, 348, 355, 359, 425, 428, 456
ინგლისი — 153, 249, 261, 283, 286, 333, 334, 348, 361, 363—369, 376, 391, 392, 358, 359, 424, 455, 456, 458, 482, 492
ინდოეთი — 18 შენ., 170—172 , 177, 189, 238, 249, 360, 364, 492
**Индия — 89**
ინდოსინდეთი — 18 შენ.
იორი — 58, 175, 201, 243, 453
**Иори — 79**
ირანი — 186, 187, 189, 191, 193—196, 199—201, 207, 217, 220, 223, 229, 230, 232, 236, 238—242, 249, 329
**Иран — 75, 81, 87, 89—91, 93, 94, 96—99, 101, 102, 106—110, 142**
ისპაანი — 171, 186
იტალია, ჩრდ. — 63
იშხანი — 23 შენ.

კავთისხევი — 462
**Кавтис-хеви — 108**
კავკავი — 275, 397, 439, 440, 453
კავკასია — 152, 161, 179, 195, 223, 233, 250, 254, 274, 284, 285, 307, 309, 335, 342, 347, 348, 356, 359, 361, 362, 366, 367, 369, 373, 380, 400, 409, 412, 424, 425, 461, 465, 478—480
**Кавказ—91, 96, 98**
კავკასიის ლინია (იხ. აგრეთვე — ლინია) — 482
კავკასიონის ქედი — 228, 285
კაიშაური — 322, 325, 465
კაკაბეთი — 437, 444
კაკ-ენისელი — 201, 205, 231, 411, 412
კაკი — 206
კარაკლისი — 344
კარი, კარნუ-ქალაქი, კარინი — 24 შენ.
კასპი — 118
კასპიის ზღვა — 158, 166, 196, 228, 233, 285, 290, 335, 482, 483
კასპიის მხარე — 438
კატეხი — 357
**Кафа — 88**
კახაბერი — 307
კახეთი — 20, 27, 28, 34, 47, 132, 149, 154, 155, 157, 161—165, 167, 169—172, 175, 177—183, 186—188, 193—196, 199, 201, 204, 205, 232, 253, 259, 269, 272, 290, 297, 327, 349, 356, 411, 427, 434, 436, 437, 440, 441, 445, 446, 448—454, 456, 458—463, 468, 469, 471—474, 482, 484—489
**Кахети—76, 86—89, 93—101, 105—108, 144, 145**
კელმეჩური — 270, 471
კემხელი — 491
**Квирильское ущелье — 135** შენ.
კლარჯეთი — 16, 17, 24 შენ. 67
**Константинополь — 88, 89, 108**
კოშკი — 330
კოწახურა — 460
კროჟი — 330
კრწანისი — 237
კურსკის გუბერნია — 485

ლაგოდეხი — 163
ლაკბე — 270
ლანქარანი — 458, 482
ლარსი — 325, 328, 329, 465
ლებაის-კარი — 481
ლევანტი — 54
**Левант — 75**
ლელოვანი — 374
ლეჩხუმი — 282, 287, 290, 303, 304, 306, 309, 311—315, 371, 372, 377.
ლიახვი — 13, 329, 349, 396, 398
ლიახვის ხეობა — 330, 395
ლივანა — 414
ლინია — 323, 326, 329, 438, 462
ლიხთამერეთი — 135, 137, 139
ლიხთ-აქათი — 56
ლიხთაქეთი — 137
ლიხთიმერი, ლიხთიმერეთი — 120—122, 128, 136—139
**Лихтимерети — 93**
**Лихские горы — 147**
ლიხთ-იქითი — 56, 122, 129, 135—137

ლომისა — 326, 457
ლორე — 37, 40, 68, 166, 183, 259
Лоре — 109
Лоре-Ташир — 84

მადნები — 341
მადნის ხევი — 341
მანავი — 437
მანავის ხეობა — 471
მარაბდა — 149
მარილისი — 436
მარტყოფი — 439, 440, 471
მატანი — 341, 436
მალარო — 270, 467
მესხეთი — 217, 411, 417, 422
Месхети — 76, 89, 90, 93, 97—99, 106—108
მესხეთ-ჯავახეთი — 411, 412
მთიანეთი — 25 შენ., 53, 60, 248, 321, 325, 327, 329, 330, 331, 334, 366, 369, 388, 395, 397, 398
მთიულეთი — 7, 9, 20, 179, 237, 323, 325, 439, 456, 457, 465, 466, 474
მისრეთი — 63
Мисp—81
მოვაკანი — 15,20
მოზდოკი — 282
მოლდავეთი — 416
მოლდავია — 361, 365, 455
მოსკოვი — 150, 151, 159—161, 165, 170, 197, 198, 279, 310, 461, 479
Москва — 89, 97, 107, 110
Московское государство — 96
მტკვარ-არეზი — 298, 317, 335
მტკვარი — 58, 60, 134, 218, 460
Кура — 79
მუკუზანი — 454
მულანი — 168, 239, 337, 427
მუხაღრუა — 362
მუხრანი — 134, 155—157, 322, 349, 440
Мухрани — 86, 100, 146
მუხურის ციხე — 282
მღვიმე (მღუიმე) — 112, 113, 116, 116 შენ.
მცირე აზია — 63, 226
Малая Азия — 81, 88, 89, 91
მცხეთა — 8, 9, 14, 15, 49, 50, 52, 68, 124, 156, 157, 187, 200, 434, 440, 460
მჭადისჯვარი — 204, 205

ნავგრევი — 390
ნადარბაზევი — 118
ნადიბაძის-კარი — 324
ნარა — 397—399
ნარვა — 437
ნაფარეული — 454
ნახჭავანი — 200, 202, 268, 285, 317, 364, 366, 367, 456
ნიახურა — 243
ნიკორწმინდა — 385, 387
ნიკოფსია — 136, 406
Никопсия — 76, 147
ნიჩბისის წყალი — 460
Ничбиси — 100
ნოვოროსია — 403, 409
ნუკრიანი — 463, 464
ნუხი — 206

ოდიში — 290, 304, 306, 372
ოვსეთი — 111, 112, 113 შენ.
ოკრიბა — 215
ოსეთი — 13
ოსმალეთი — 149—156, 159—162, 165, 166, 169—172, 174, 176, 178—182, 186, 189, 191, 195, 196, 199, 209, 214—217, 219—221, 223, 227—235, 238, 246—248, 261, 279—281, 283—290, 292, 293, 296, 300, 307—309, 312—314, 316, 318, 331, 333, 334, 348, 349, 358, 359, 361, 363—367, 369, 371, 373, 376, 382, 384—388, 391, 393, 398—413, 415—417, 424—427, 436, 448, 450, 453, 455—459, 461, 469, 470, 478, 480, 482, 484, 490—492
Отоманское государство — 91, 93
Турция — 90, 92—94, 96—102, 107, 108, 110, 142
ოძრხე — 26, 417
ოძრხის ციხე — 415
ოქროს ურდო — 60, 63
Золотая Орда—79, 81

პარიზი — 364
პეტერბურგი — 170, 207, 220, 238, 239, 241, 249, 250, 256, 263—265, 272, 274, 280, 282, 288, 289, 295, 296, 300, 308, 317, 326, 349—351, 359, 372—375, 377, 378, 390, 398, 403, 407—409, 414, 424, 428, 441, 447, 447, 451, 456, 479, 485
Предкавказье — 76, 96
Причерноморье — 91
პეტრეს ციხე — 418
პოლონეთი — 159, 314
პრუტი — 455

ჟამური — 321

რანი — 11, 15, 20, 132
რაშტი — 335
Рача-Аргвети — 86
რაჭა — 153, 197, 213, 215, 216, 282, 283, 387, 399, 422
რეჭა — 13
რიონი (მდ.) 290, 307, 312
რიონი (სოფ.) — 390
რკინის ხევი — 12
რომი — 17, 18, 151, 152, 159, 160
Рим — 88, 110
რუმინეთი—192
რუსეთი — 38, 153, 158—161, 166—170, 172, 176, 178, 180, 191, 195—198, 207, 209, 216—221, 224, 227—236, 238—243, 246—250, 253—257, 259—265, 269, 270, 273—275, 277—296, 298—320 324—326, 328—337, 339, 340, 342—344, 346—348, 350, 352, 354, 357—361, 363—368, 371—374, 376, 380—387, 390—392, 394, 399—408, 410, 412, 416, 419, 424—427, 430, 436, 442, 446, 448, 451, 455, 456, 458—462, 468—470, 472, 475—484, 486, 487, 490—492
რუხის ციხე — 213

სააბაშიო, სააბაშიძო — 215, 233
საავალიშვილო — 462
საამილახვრო — 157, 175, 181, 462
საბარათაშვილო — 155
საბარათიანო — 155, 157, 168
საბერძნეთი — 18 შენ.
საბუე — 452, 466
საგარეჯო — 436, 437, 444, 462, 471
საგურამო — 462, 466
სადადიანო — 304
Савахтанго — 86
სალიანი — 54, 239, 285, 337
სამაჩაბლო — 157, 178
სამება — 440, 443
სამეგრელო — 150, 280—282, 284—288, 295, 299, 305—307, 312—315, 317, 326, 365, 382, 400, 406, 407, 409, 413, 490, 491
Мегрелия — 145
სამურზაყანო — 401, 402
სამცხე — 26, 34, 60, 62, 67
სამცხე-საათაბაგო — 149, 195, 231
Самцхе-Саатабаго — 87
სამცხე-ჯავახეთი — 165
სამხედრო გზა — იხ. საქართველოს სამხედრო გზა
სამხრეთ-დასავლეთ საქართველო — 55
სარა — 336
სართიჭალა — 440
სასხორი — 462
საფრანგეთი — 152, 153, 159, 160, 193, 238, 249, 283, 286, 333, 334, 347, 348, 358—361, 363—365, 491
საქარა — 388
საქართველო (იხ. აგრეთვე — გრუზია)— 5—7, 19 შენ., 22, 23 შენ., 24, 24 შენ. 25, 25 შენ., 28—32, 32 შენ., 34—38, 38 შენ., 41, 49, 50, 53—59, 63—68, 70, 114, 115 შენ., 116, 118, 120, 123—125, 129—136, 139, 144, 149—153, 154 შენ., 158—161, 165, 176—172, 182—187, 190, 191, 193, 195—201, 203, 205—212, 216—221, 223, 224, 226—251, 253—265, 267—270, 272—279, 282, 287—289, 291, 292, 294—298, 300, 302, 304—307, 312, 313, 316—320, 323—331, 333—344, 346—357, 359—366, 368—372, 374—376,

378—393, 395, 396, 398, 399, 402, 404—407, 409—413, 415—421, 423—425, 427—430, 432, 436, 438, 445, 447, 448, 450, 451, 455—463, 468—470, 472—474, 476,—483, 485—489
Сакартвело — **144**
საქართველოს სამხედრო გზა — 323, 325, 328, 388, 439, 440, 452, 462, 465, 466
საშაბურო — 440, 445
საჩხერე — 422
საციციანო — 138, 155, 157, 178, 179, 462
საჭილაო — 311
საჯავახო — 315, 362, 377, 382
სევასტოპოლი — 409
სერბია — 365
სვანეთი (სუანეთი) — 9, 67
სივნიეთი — 68
Сюни — 84
სიმონეთი — 390
სიონი — 329
სირია — 192
სიღნაღი — 259, 341, 429, 437, 444, 449, 452—454, 467
სომხეთი — 14, 24 შენ., 27, 33, 34, 54, 55, 132, 316, 483
Армения — 76
სომხითი — 12, 15, 20, 132, 155
Сомхития — 144
სომხით-საბარათიანო — 156
Сомхит-Сабаратиано — 105 — 107
სოღანლუღი — 341, 389
სოხუმი — 213, 286, 359, 400, 405, 406, 409, 410, 490
სპარსეთი — 10, 12, 13, 15, 18, 18 შენ., 47, 230, 246—248, 261, 264, 268, 272, 274, 278, 282—285, 287, 290, 296—298, 300, 308, 309, 312, 314—320, 327—336, 340, 348, 354, 358—361, 363—370, 373—374, 376, 384—389, 391—393, 398, 411, 414 ,415, 424—427, 436, 448, 450, 453, 456, 458, 459, 461, 462, 468—471, 476, 478—480, 482—484, 487, 492
სტამბოლი — 287, 288, 290, 292, 313, 334, 373, 447
Стамбул — 110
სტეფანწმინდა — 323, 325, 326, 329, 465, 481
სულთან-ბუდა — 427, 450
სურამი — 180—182, 268, 301, 327, 340, 344, 389, 418, 421
სუფსა (მდ.) — 374
სუჯუკი — 409, 410
სხვილოსი — 111, 112, 113 შენ., 116, 116 შენ.
სხლები — 399

**Тана — 88**
ტაო — 22, 23 შენ. 24 შენ., 25, 67
ტაო-კლარჯეთი — 133
ტაშირი — 10
ტილზიტი — 361, 363
ტოღნიანის ფონი — 466, 467
ტფილისი — 27, 129
ტრაპიზონი — 374, 404, 413, 491
ტრაპიზონის სამეფო — 63
Трапезундская империя — 75, 88
ტულა — 330

უგრო-ვალახეთი — 192
Украина — 91
ულევის ეწერი — 327
ურდოს ფონი — 278, 341
ურმიის მხარე — 340
ულილსი — 466

ფარავნა — 124
ფასანაური — 439, 440, 457, 465
ფაშაანი — 464
Персатские горы — 100
ფოთი — 213, 219, 280, 281, 284—286, 288, 290, 307, 308, 312, 313, 359, 360, 362, 373—375, 400, 401, 404—406, 408, 410, 414, 421, 455, 490, 491

ფოთის ციხე — 311, 374, 375
ფშავი — 162, 164, 165, 167 ,457, 471, 472, 481
ფშაველი — 341
ფშავ-ხევსურეთი — 329, 427, 438, 439

ქარელი — 341
ქართლი — 8—20, 22, 24, შენ., 27. 34, 47. 60, 61, 113 შენ., 119, 122, 124, 125, 127—129, 132—135, 137—139, 144, 149, 153, 155—162, 165—167, 169—193, 195—197, 199—205, 209, 218, 227, 228, 230, 232, 233, 241, 259, 282, 290, 293, 297, 301, 310, 317, 322, 327, 331, 334, 349, 370, 374, 377, 381—383, 388, 390, 392, 395
**Картли — 76, 89, 93, 99, 100, 102, 103, 105—110, 143—146**
ქართლ-კახეთი — 65, 154. 157, 158, 161, 167, 169, 171, 183, 185, 189, 191, 198—205, 207—209, 215, 217, 220—223, 225—228, 230—232, 234, 236, 240, 242, 243, 248—250, 254. 256, 257, 259, 263, 264, 272, 274, 275, 278—285, 289, 290, 296, 297, 301, 302, 304, 306, 314, 320, 321. 334, 339, 344. 348—350, 365, 368, 369, 376, 379, 382, 386, 395, 400, 420, 421, 423, 427, 428, 438, 441
ქვემო ქართლი 55, 155, 178
ქვეში — 370
ქიზიყი — 163, 164, 206, 270. 272, 297, 341, 356, 429, 444, 446, 452, 453, 458, 461—464, 468
ქობულეთი — 307
ქოდალო — 444
ქოდალოს ციხე — 437, 444
ქსან-არაგვის ხეობა — 175
ქსანი — 173, 175, 179, 324, 326, 329 390, 396, 398
ქსნის საერისთავო — 179. 180, 209
ქსნის ხეობა—67, 157, 170, 171, 173, 180, 181, 326
ქუთაისი — 55, 67, 120, 121, 123, 128, 129, 136, 138, 139, 219, 300, 305, 308, 309, 314, 315, 349, 359, 360, 362, 371, 372, 377—379, 387, 388, 390, 409, 422, 423, 491
**Кутаиси — 109**
ქუთაისის ციხე — 125
ქურაგი — 331, 332
ქურთისტანი — 172
ქუჩუკ-კაინარჯი — 221, 279

ღართის-კარი — 341, 440, 462. 466
ღურო — 124

ყაბარდო — 334, 437
ყაზანი — 479
ყაზახ-ბორჩალო — 181, 184
ყაზახი — 162, 201, 202, 210, 232, 259, 260, 268, 320, 330, 354, 438
**Казах — 106**
ყაზახ-შამშადილუ — 421, 428
**Казвин — 100**
ყაზიყუმუხი — 336
ყანდაარი — 171, 172
ყარაბაღი — 183, 202, 226, 227, 232, 240, 260, 268, 285, 317, 331, 332, 337, 354, 364, 369, 373, 383, 392, 424, 426, 427, 450, 458, 462, 466, 468—470, 482
ყარაია — 233
ყარაღაჯი — 166, 278, 341
ყირიმ—აზოვის ზღვა—63

ჩერქეზეთი — 152
ჩიხორი — 122, 127
ჩრდილოეთ-კავკასია — 202, 228
ჩუმლაყი — 444
ჩხარი — 382, 422
ჩხერი — 220, 221, 390
ჩხერისციხე — 388

**Центральная Азия — 76, 83**
ცივი — 64
ციმბირი — 343, 395
ციხე-გოჯი — 16
ციხისძირი — 213
ციხისჯვარი — 26
ცუცხვათის ციხე -- 219

ცხინვალი — 237, 330, 340
ცხრაწყარო — 390

ძამის ციხე — 60
ძამის ხეობა — 60

წალკა — 341, 344, 359, 360, 417
წირქოლის ციხე — 180
წიწამური — 124
წყალსიქითი—129, 134
Цкалс-икити—219

ჭალადიდი — 360
ჭარ-ბელაქანი — 163, 164, 217, 253, 268, 297—299, 317, 348, 355—357, 411, 412, 438
ჭარი — 166, 175, 194, 201, 204—206, 269, 276—278, 298, 299, 356, 357
ჭოპორტი — 122
ჭოროხის ხეობა — 414

ხანისწყალი — 377, 393
ხანისწყლის ხეობა — 382
ხაშმი — 440, 441, 443, 444, 466
ხახული — 23 შენ.
ხევი — 60, 325. 326, 439, 465
ხევსურეთი — 457, 472, 481
ხვანჭკარა — 283
ხივა — 172
ხლათი — 54
Хлатский султанат — 75
ხობი (მდ.) — 312
ხოვლე — 341
ხოი — 232, 355
ხონი — 387
ხორასანი — 179, 184, 298, 317
Храми — 79
ხრესილი — 215
ხუნანი — 11
ხუნძახი — 204, 206, 232, 243

ჯავა — 330, 396
ჯავათი — 332
ჯავახეთი — 24 შენ., 179, 392, 395, 455
ჯვარის მონასტერი — 114, 115 შენ.
ჯაჯუ — 13

ჰამადანი — 165
ჰერეთი — 15, 33, 34, 37
ჰერეთ-კახეთი — 28, 40, 58
ჰოლანდია — 153

## პ ი რ თ ა

აბაზაძე დავით — 396, 397
აბას მირზა — 315, 318, 319 335, 337, 354, 355, 360, 363, 364, 367, 370, 384, 392, 393, 397, 426, 427, 441, 450, 452, 456—458, 469, 470, 480
აბასი, შაჰი — იხ. შაჰ-აბაზი
აბალა ყაენი — 58
აბაშიძეები, აბაშიძის სახლი — 179, 215, 216
აბაშიძე გიორგი — 310
აბაშიძე ვახუშტი — 169, 170, 199
აბაშიძე ლევან — 213—215
აბაშიძე ქაიხოსრო ლევანის ძე—300, 318
აბდულაბეგი — 168, 170, 178, 184, 209
აბელიშვილი პაპია — 462
აბულეთის ძენი — 41
აბულეთისძე-აბაზასძენი — 131
Абулетидзе-Абазасдзе — 143
ადამი — 13
ადერკი — 11
ადილ-შაჰი — 183
ავალიანები — 311
ავალიშვილი, ავალიშვილები — 179, 330
ავალიშვილი გიორგი — 249
ავალიშვილი სოლომონ — 446, 452
აზატ-ხანი — 184, 201 — 203, 207, 209
აზონი — 8
ალექსანდრე I — 31, 68, 113, 114, 115 შენ., 116—120, 122, 134
Александр I — 83, 86, 89
ალექსანდრე, კახეთის მეფე — 168, 380
Александр, цар. Кахети — 96, 97, 110
ალექსანდრე, იმერეთის მეფე — 150, 170, 213

**Александр, царь Имерети — 93**
ალექსანდრე, მეფე — 134, 139
**Александр, царь — 145**
ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი—243, 250, 251, 253—257, 260, 263—265, 274, 275, 278, 282, 284, 287, 288, 292, 302, 305—307, 312, 333, 350, 361, 363, 364, 366, 369, 381, 391, 399, 416, 451, 470, 486—488
ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაქარ მეფის ძე) — 220, 227—230
ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლე II ძე) — 238, 242, 243, 264, 268, 269, 272, 275—278, 281, 318, 320, 327, 329, 334, 335, 349, 354, 355, 361, 367—370, 374, 387, 388, 392, 395—398, 411, 415, 424, 441, 445, 450, 452, 456—482, 484, 487.
ალექსანდრე დავითის ძე, ქართლის მმართველი (თეიმურაზ II ძმისწული) — 167—170
ალისკანტ ავარიელი — 297, 299
ალიყულიბეგ (ამირეჯიბი) — 167, 168
ალი-ყული-ხანი (შემდეგში ადილ-შაჰი)— 176, 183
ალი-ხანი — 178
ალიხან-ბეგი — 187
ამაზასპ — 13, 14
ამილახვარი, ამილახორი, ამილახვრები, ამილახვრიანთ სახლი—114, 117, 138, 158, 171, 447, 448
ამილახვარი (ამილახორი) გივი — 37, 156, 166, 169, 173, 175—182, 199
ამილახვარი გიორგი — 327, 462
ამილახვარი ოთარ — 448
(ამილახვრის-შვილი) რევაზ — 180
ამილახორი ამირინდო — 119
ამილახორი თაყა — 111, 115 შენ., 119, 120, 138
ამილახორის-შვილი ამირინდო — 111
ამილახორის-შვილი ზაალ — 111
**Амилахори Андукапар — 103**
ამირეჯიბი, ამირეჯიბიანნი, ამირეჯიბიანთ სახლი — 127, 218, 327, 396, 399
ამირეჯიბი ალიყულიბეგ — 167, 168
ამირეჯიბი გიორგი რამინის ძე — 327
ანა დედოფალი — ყველგან შენიშვნაში: 8, 9, 11, 14—18, 20, 22 ,27—29
ანა დედოფალი (იმერეთის) — 282, 310
ანა, რუსეთის ხელმწიფე — 274
ანდრონიკაანი, ანდრონიკაშვილები — 270, 453, 485
ანდრონიკაშვილი ზაზა — 446
ანდრონიკაშვილი თამაზ — 169
ანდრონიკაშვილი იოსებ — 444
ანდრონიკაშვილი მალხაზ — 378, 383, 389
ანდრონიკაშვილი ნინია — 437, 446
ანდრონიკე, მეფე — 134
**Андроник, царь-аластанец — 145**
ანთიმოზ, უგრო-ვალახეთის მიტროპოლიტი — 192
ანტონ კათალიკოსი — 226
არაგვის ერისთავი — 158, 193
არაგვის ერისთავი ბარძიმ — 169, 171
არაგვის ერისთავი ბეჟან — 173, 179 209
(არაგვის ერისთვის-შვილი) ოტია — 179
**Арагвский Эристави Нугзар — 103**
არსენ კათალიკოსი — 45
არტაგი — 10
არტაქსერქსე — 32
არტაქსია — 24 შენ.
არშაკი — 10, 11
არჩილი (მეფე) — 24 შენ.,
არჩილი (პოეტი-მეფე) — 47, 62, 150, 191, 193, 197
ასლამაზ-ხან (ორბელიანი) — 167
ასფაგურ — 14
ალათოშვილი ტატია — 445
აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი — 236—240, 296, 369, 459, 483
აღბუღა — 65, 112, 113, 113 შენ. 116, 116 შენ., 134
**Агбуга — 82, 145**
აღსართან, კახეთის მეფე — 22
აშოტ კურაპალატი — 24 შენ.
ახვერდოვი — 396, 418, 421
ახმედ-ხან ავარიელი — 357

აჯი-ჩალაბი — 201, 202, 227
აჰმედ, ავარიელი სულტანი — 472
აჰმედ-ფაშა, არზრუმის სერასკერი—491

Баадур. брат арагвского эристава--103
ბაბა-ხანი — 240, 242, 285, 317—320, 331, 334—336
ბაგრატ III—23
Баграт III — 72
ბაგრატ IV — 25—27, 133
Баграт IV — 145
ბაგრატ V — 67
Баграт V — 86
ბაგრატ მეფე — 120 — 125, 127 — 129, 137—140
Баграт, царь — 145, 146, 148
Баграт III, царь Имерети — 92, 93
ბაგრატ ბატონიშვილი — 134, 135, 265
ბაგრატ დიმიტრისძე — 134
Баграт Димитриевич — 89
ბაგრატიონთა სახლი — 264, 276, 368, 473
ბაგრატიონი, ბაგრატიონები — 24 შენ., 137, 186, 330, 398, 448
Багратиды—80—89
ბაგრატიონი ერემია — 398
ბაგრატიონი კონსტანტინე — 417
ბაგრატიონი პეტრე — 350, 351, 353, 398
ბაგრატიონი რომან — 350, 351, 353
ბაკურ — 19, 20, 21, შენ.
ბარათა (ქაჩიბაძე) — 117
ბარათაშვილი ნიკოლოზ — 381
Бараташвили — 103
Бараташвили Барата — 103
Бартольд — 81
ბარტომი — 10, 11
ბასილ ზარზმელი — 45
ბასილ ეზოსმოძღვარი — 39, 39 შენ., 40, 41
ბაქარ მეფე — 158, 162, 169, 170, 176—180, 193, 209
ბალვაშ-აბულეთის ძენი — 29
ბალვაშები — 41, 44
ბებუთაშვილი — 354 ,468
ბებურიშვილი ადამ — 437
ბებურიშვილი სიმონ — 436, 437
ბებურიშვილი სოლომონ — 445
ბენიაძე — 322
ბერქა ყაენი — 58
ბესარიონ ჭყონდიდელი — 313
ბექა — 65
Бека — 82
ბეშქენ ჯაყელი — 27
ბიბილურები — 7 შენ.
Бибилури Эристави — 143
ბულგაკოვი — 355
ბურნაშოვი — 228

გაბაშვილი სიმონ — 280
გაბელის ძე, გაბელისძენი — 126, 131
Габелисдзе — 143
გაბიდაური ხახო — 472
გამრეკელი კახასძე — 60
Гамрекел — 146
გარდანი — 360, 363—365
გედევანიშვილები — 399
გელოვანი — 377
გელოვანი ბერი — 313
გვარამი, ერისმთავარი — 22
გიორგი II — 34
გიორგი III — 30, 32, 33, 35, 36, 44, 133
Георгий III — 72, 76, 145
გიორგი VI — 61, 64, 66, 67, 113 შენ.
Георгий VI — 31, 81, 82, 86, 90
Георгий VII—86
Георгий VIII—86, 89
Георгий X — 110
გიორგი XI — 37, 193
გიორგი XII — 240—243, 248—251, 255, 256, 260, 276, 279, 321, 459
გიორგი მეფე — 27, 111 — 114, 116, 118 შენ., 120—129, 134, 138, 139
Георгий царь — 83, 146
Георгий, царь Кахети — 96, 96
გიორგი ბატონიშვილი (სოლომონ I შვილიშვილი) — 349
გიორგი, ტახტის მემკვიდრე — (შემდეგში გიორგი XII) — 186

გიორგი ვახტანგის ძე (შემდეგში გიორგი XI) — 186
გიორგი ათონელი — 35, 45
**Георгий Афонский — 74**
გიორგი ბრწყინვალე—იხ. გიორგი VI
გიორგი დიმიტრისძე — 62
**Георгий Лаша — 76**
გიორგი მერჩული — 24 შენ., 46
გიორგი მთაწმინდელი — 26, 46
გიორგი ხუცესმონაზონი — 45, 46
**Георгий, брат арагвского эристава— 103**
გლაზენაპი — 355
გილბრ (ავთანდილ ზეედგინიძის მეუღლე) — 114 შენ.
გორდონი რობერტ — 458
გორჩაკოვი — 483
გრიგოლ იოანესძე, ბატონიშვილი — 444—446
გუგუნავა სიმონ — 374
გუდოვიჩი — 236—238, 354, 358—360, 362—365, 370, 371, 375, 406—408, 421
გულიაკოვი — 242, 269, 276, 277, 297—299
გულსურაბ, გამრეკელ ჯაეახიშვილის მეუღლე — 127, 128
გულქან. მამისა ზეედგენიძის მეუღლე — 114 შენ.
გურამიშვილი დავით — 191
გურგენიძე — 481
გურიელი. გურიელები — 136, 216, 218, 219 221, 280, 311, 373, 374, 377, 382, 388, 394
**Гуриели — 86, 93, 100, 101, 109, 147**
გურიელი ვახტანგ — 300
(გურიელი) ვახტანგ — 375. 408
გურიელი მამია — 214, 374, 375, 394
გურიელი მარინე — 413
გურიელი სიმონ — 235

დადიანი, დადიანები — 41. 136, 216 218—221, 300, 303, 304, 306—308, 311, 312, 382, 388, 394, 402, 403, 405—407
**Дадиани — 86, 93, 109, 147**
დადიანი გრიგოლ — 235, 282, 287—289, 292—296, 309, 311—313, 400, 401
დადიანი ლევან — 313, 314, 406
დადიანი მანუჩარ 312
დადიანი ნიკო — 313
დადიანი ნინა — 406, 407
დადიანი ოტია — 214
დავით აღმაშენებელი — 26—30, 30 შენ., 31, 32, 35, 36, 39—41, 41 შენ., 42, 43, 50, 132, 411, 417, 418
**Давид II (Строитель) — 72, 74, 76, 79, 143, 145**
დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი — 27, 28, 31 შენ., 32 შენ., 35, 40 შენ., 45, 46, 47 შენ.
დავით მეფე (იმამყულიხანი) — 162, 163, 173, 174, 177, 186, 199
დავით მეფე — 115 შენ.,
**Давид, царь — 145, 146**
**Давид X — 99—102**
დავით ბატონიშვილი — 124, 125. 139,
**Давид царевич — 107, 108, 145**
დავით ბატონიშვილი (გიორგი XII ძე) — 238, 241—243, 250, 255, 264, 275, 287
დავით არჩილის ძე (შემდეგში სოლომონ II) — 235, 281
დავით გიორგის ძე (მეფე ულუ-დავითი — 56, 62
დავით გიორგის ძე — 235, 281, 282, 300
დავით დიმიტრის (დემეტრეს) ძე — 34, 35, 60, 63, 133, 139
დავით კურაპალატი — 23 შენ., 24 შენ.
დავით ლაშას ძე — 137
დავით ნარინი—135
დავით რუსუდანის ძე — 56, 137
დავით, სომეხთა კათალიკოზი — 317, 318
დავით-ულუ — 135
დათუნა ფეიქარი — 210
დანიელ, სომეხთა კათალიკოზ — 316—318

დანტე — 47
დარეჯან დედოფალი—234, 240, 242, 255, 264, 268, 272, 275, 279, 281, 283
დედისიმედი — 135 შენ.
დელპოცო — 397, 465
დემეტრე (მეფე) — 34
Димитрий, царь — 145, 146
დემეტრე ბატონიშვილი — 27, 133, 134
Димитрий, царевич — 145, 146
დემეტრე გიორგის ძე — 25
დემეტრე კლარჯი — 25
დემნა ბატონიშვილი—34, 35, 37, 133
დილევსკი—312
დიმიტრი ბატონიშვილი—129, 138
დიმიტრი დავითის ძე—62, 63
დოდტი—410
დომენტი (კათალიკოზი)—150, 157, 187
დრენიაკინი—457
დუმბაძე იაკობ—150

ეგნატაშვილი ბერი—190
ევსტათე (მცხეთელი)—45
ეკატერინე, რუსეთის იმპერატორი—230, 240, 284, 285
ელდიგუზის ძე—37
ელენე (თეიმურაზ II ასული)—369
ელეფთერ (ზურაბიშვილი)—484
ელხანები—58, 60, 62, 63
Ильханы — 79—81.
ერეკლე I—37, 151, 186—188, 199
ერეკლე II—38, 38 შენ., 199—215, 217—242, 247, 248, 251, 252, 262, 264, 271, 278, 280—282, 285, 289, 292, 296, 297, 302, 320, 321, 326, 339, 340, 342, 346, 354, 356, 369, 381, 391, 395, 399, 411, 424, 440, 444, 448, 457—459, 469, 470, 472, 475, 476, 478, 479
ერეკლე ბატონიშვილი — (შემდეგში ერეკლე II)—171, 177, 180, 182, 183, 184
ერისთავი, ერისთავები, ერისთვის-შვილები, ერისთვიანთ სახლი (ქსნის)—299, 321, 325, 326, 329, 330, 395
ერისთავი—408
ერისთავი ანტონ—398
ერისთავი ელიზბარ — 327, 388, 398
ერისთავი ვახტანგ—374
ერისთავი თორნიკე—324, 325, 439
ერისთავი მიხეილ—466
ერისთავი რაფიელ—452—454
ერისთავი შანშე—398
ერისთვიანნი რაჭის—387
ეფრემ, სომეხთა კათალიკოზი—393
ექვთიმე გენათელი—383

ვარაზ ბაქარ—16
ვარდან კოლონკელისძე—33
ვარდანისძე-დადიანები—7 შენ.
ვარლამ მიტროპოლიტი (ქსნის ერისთვისშვილი) — 439, 485
ვარსქენ პიტიახში—21 შენ.
ვაჩნაძე, ვაჩნაძეები—270, 480
ვახტანგ—133
ვახტანგ გორგასალი—16, 17, 18 შენ., 19, 20, 21 შენ., 24 შენ.
ვახტანგ (IV) ალექსანდრეს ძე, მეფე — 134
ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი)—186
ვახტანგ VI—29, 150, 157—159, 161, 162, 165, 167, 168, 177, 187—193, 195—197, 210, 225, 338, 431, 449, 490
ვახტანგ ლევანის ძე (ვახტანგ VI)—186
ვახტანგ მეფე—116, 118, 120—123, 129, 131, 134, 138, 139
Вахтанг, царь — 89, 145, 146
ვახტანგ ბატონიშვილი—268, 272, 275
Вахтанг, царевич — 145
ვახუშტი (ბატონიშვილი)—114, 117, 119, 120, 123, 190
Вахушти — 95, 142, 147
ვოლკონსკი—325, 326
ვორონცოვი—303

ზავალიშინი—335, 336
ზაზა—127
ზარიადრი—24 შენ.
ზაქარია—114, 118, 122
ზევდგინიძე—113,114, 116, 116 შენ., 117, 125, 139

Зевдгинисдзе — 143
ზევდგინიძე—ამილახორები, ზევდგინიძეები — 111—113, 115, 115 შენ., 116, 118—124, 127, 128
Зевдгинидзе—Амилахори — 103
ზევდგინიძე ავთანდილ (თუ გუირამ) — 111—114, 114 შენ., 115, 115 შენ., 116 შენ. 117, 122
ზევდგინიძე ზაალ—121, 122, 126, 127
ზევდგინიძე ზევდგინ—111, 117, 118, 122
ზევდგინიძე თაყა—113, 114 შენ., 115, 115 შენ., 116 შენ., 117, 118, 122, 126
ზევდგინიძე იოთამ—117
ზევდგინიძე მამისა—113, 114 შენ., 124
ზევდგინიძე სულმამა—124
ზევდგინიძე ჯანიბეგ—113, 114 შენ., 115, 115 შენ., 116 შენ., 117
ზეინალ-ბეგი—187
ზუბოვი ვ.—239, 274
ზურაბ-ბეგი—187

თათარხანი—168
თამაზი, შაჰი—იხ. შაჰ-თამაზი
თამარ მეფე—36, 39, 39 შენ., 40—43, 54, 298, 411
Тамар, царица — 72, 76, 80, 82
თამარ (თეიმურაზ II მეუღლე) 177—180
თამარ მეფის ისტორიკოსი—45, 46
თარხნიშვილები, თარხნიანთ სახლი—327, 449
თარხნიშვილი დავით—375
თაყა—127, 134
Така — 146
თაყაიშვილი ე.—24 შენ.
თბილელი იოსებ—47, 47 შენ., 150
თეიმურაზ I 37, 150, 151, 186
თეიმურაზ II—38, 162 166, 167, 169, 171, 175, 177—184, 199—204, 207, 209, 369
თეიმურაზ ბატონიშვილი (შემდეგში მეფე თეიმურაზ II) — 165
თეიმურაზ ბატონიშვილი (გიორგი XII ძე)—268, 276—278, 318, 320, 327, 329, 335, 397
თემური, თემურლენგი—31, 67, 68, 113
Тамерлан — 83, 89
Тимуриды — 87
Тектурманидзе — 103
თმოგველები—41
თორელები—41
თორნიკე ვესტი—27
თუმანიშვილები, თუმანიანთ სახლი—327, 449
თუმანიშვილი სულხან—347

იბრეიმ (ადილ-შაჰის ძმა) — 184
იბრეიმ-ბეგი — 337
იბრეიმ-ხანი—170, 171, 227, 297, 331, 332, 354
იესე (მუსტაფა) ქართლის მეფე—156, 157, 162, 193
ივანე, ათაბაგი—117, 119
ილარიონ არქიმანდრიტი—452
ილარიონის ცხოვრების ავტორი—46
იმამყულიხანი—იხ. დავით მეფე (იმამყულიხანი)
იოანე ბატონიშვილი—237, 241, 264, 265, 347, 446
იოანე, ბოდბელი ეპისკოპოზი—434
იოანე ბოდბელი, მიტროპოლიტი მაყაშვილი) — 484
იოანე საბანისძე—45
იოსებ—იხ. თბილელი იოსებ
იოსელიანები—311
იროდი—475
ისაყ, ახალციხის ფაშა—155—157
ისკანდერ მუნში—187
Исмаил, шах — 100
იულონ (ერეკლეს ძე) ბატონიშვილი — 255, 264, 268, 270, 272, 275, 276, 281, 283, 288, 293, 320, 325, 327, 330, 395, 396, 398

კავკასი—9
კაკაბაძე ს.—47 შენ.
კალმახელი—26
კამენსკი—416
კარბელაშვილი პ. — 114, 116, 116 შენ.
კარიაგინი—335
116 შენ.
კახაბერი, რაჭის ერისთავი—59
კახაბერიძენი—41

კვირიხიძეები—401
კლოდტი—438
კნორინგი—250, 254—257, 265, 273, 274, 282, 286, 347
კობიაშვილები—457
კოვალენსკი—242, 265, 269, 271, 273—275, 282, 283, 345, 347, 380
კოსტანტინე დიდი—29
კონსტანტინე I—116, 117, 119
კონსტანტინე (II) დიმიტრის ძე—124, 125, 128, 138, 139
Константин, царь — 83, 87, 88, 145
Константин Дмитриевич (царь Картли) — 89
კონსტანტინე, კახეთის მეფე—157, 162, 164, 196, 199
კონსტანტინე ბატონიშვილი—282, 283, 284, 288, 289, 292, 296, 300, 304, 305, 310, 311, 315
კონსტანტინე, იმერეთის ტახტის მემკვიდრე—363, 370, 378, 383
კოტლიარევსკი—392, 426, 427, 450, 469—471, 482
კუტუზოვი—426

ლაზარევი—242, 250, 254—256, 264, 271 272, 279
Лала-паша — 97
ლაშა (გიორგი)—31, 54
Леван, царь Имерети — 109
Леван, царь Кахети — 96, 99—101, 106
ლევან ბატონიშვილი (ერეკლე II ძე) —222, 228
ლევან იულონის ძე (ბატონიშვილი)—327, 388, 395—399, 415, 477
ლეონიძე გ.—47 შენ.
ლეონტი მროველი—8—15, 18, 19, 24 შენ., 29, 33, 45, 46
ლიონიძე სოლომონ—235, 282, 283, 288—290 295, 296, 303, 347, 378—381, 383, 387
ლიპარიტ ბაღვაში—25—27, 34
ლისანევიჩი—331, 354
ლიტვინოვი—308, 309, 311—315, 402
Лорис-Мелики — 103
Луарсаб I — 102, 106, 110
ლუარსაბ თარხანი—169
ლუი XIV—153, 193

მაიჯან სპასპეტი—15
მამქან, თაყა ზევდგინიძის მეუღლე — 115 შენ.
Манучар, атабаг — 108
მარიამ დედოფალი—275, 279
მარკოზაშვილი—210, 233, 236
მარქსი—70
მაქსიმე ქუთათელი—216
მაყაშვილი ივანე—436
მაყაშვილი ზურაბ—453
მაჩაბელი, მაჩაბლები—218, 330, 399, 414
მახატლისძენი—41
მაჰმად ალი-ხანი—367
მაჰმად-ხანი — 184, 239
მელქისედეკ—134
Мелхиседек, царь-аластанец — 145
მერჩულე—46
მესია—29
მესხები—311
Мзечабук, атабаг — 98
მიგრი—392
მირდატი—12, 13, 20
მირვანოზ—15
მირზა რიზა-ხანი—359
მირი—24 შენ.,
მირიან ბატონიშვილი—265
მირიანი—10—12, 15, 16
მიხეილ ბატონიშვილი—265
მოგილევსკი—379—382
მოიზა—410
მუსინ-პუშკინი—256
მუსტაფა, შარვანის ხანი—355
მუსტფა ხანი, შამახიელი—336, 337
მუხრან-ბატონი, მუხრან-ბატონები—135, 158, 171, 186
Мухран-Батони — 103
მუხრან-ბატონი თეიმურაზ—186
მუხრან-ბატონი იოანე—230
მუხრან-ბატონი კონსტანტინე—439 440, 447, 462
მხარგრძელები—41

ნადირი (იხ. აგრეთვე შაჰ-ნადირი)—165—168
ნაზლაიძე იოანე—322
ნათლიშვილი გორჯასპ—445, 462, 465
ნათლიშვილი გულქან—485
ნაპოლეონ (ბონაპარტე)—249, 261, 333, 334, 347, 348, 358—361, 363—365, 425, 455, 456, 461, 479, 484, 491
ნასრულა-მირზა—181
ნებოლსინი—354, 355, 364
ნესვეტაევი—326, 329, 359, 360
ნინა, სამეგრელოს დედოფალი—(იხ. დადიანი ნინა)
ნიჟარაძე როსტომ—283, 378, 383, 390, 391
ნურსალ-ბეგი—204—206, 356

ომარ-ხანი—232, 233, 237, 242, 357
ორბელები—34, 35, 37
ორბელი ივანე—34
ორბელიანთ სახლი, ორბელიანები—155, 448
ორბელიანი, ორბელიანი დიმიტრი—161, 299, 321, 356, 357, 370—375, 388, 389, 395, 408, 414, 444, 448, 452—454, 459, 460, 465—467, 471 472, 480, 484, 485
ორბელიანი ვახტანგ—417, 440, 444
ორბელიანი ზაალ—218
ორბელიანი თამაზ—330, 417, 439, 447, 448
ორბელიანი პაპუნა—155
ორბელიანი პეტრე—413
ორბელიანი სულხან საბა—190, 193
Орбелишвили — 103

პაატა ბატონიშვილი — 209, 210
პავლე I, რუსეთის იმპერატორი—239, 243, 248—251, 254—256, 259
პავლე მოციქული—29
პაულუჩი—337, 392, 428, 429, 431, 438, 440—446, 448,—453, 481, 488—490
პეტრე დიდი, პეტრე ხელმწიფე, პეტრე I—153, 158, 161, 162, 168, 180, 195, 196, 238, 239, 284, 285, 483
პეტრიაშვილი ალექსი—347

პეჩორსკი—465
პორტნიაგინი—397, 417, 435 — 438, 462
პოტიომკინი პავლე—230

ჟამთააღმწერელი — 45
ჟობერი—359
ჟორდანია თ. 114, 115, 115 შენ.

რამაზ—18
რაჯაბა ოსი—399
რიკჰოფი—313, 349, 359, 360, 362, 370, 402, 404, 405, 408
რიშელიე—403
როზენი—390
როსტომ მეფე—37, 186, 193
Ростом, имеретинский царь — 109, 110
როსტომ, რაჭის ერისთავი—213—216, 221
რუამ—128
რუდბარი—337
[რუსთაველი] შოთა—47
Русудан, царица — 89
რტიშჩევი—451, 453, 454, 456—458, 462, 463, 465, 466, 468, 471—473, 475—481, 483—486, 488—491

სააკაძე—37
საბაშვილი სერაპიონ—135
საბინინი—39 შენ.
სადუნი—59
სავარსამიძე—330
საიდ-მუჰამედი—184
საურმაგ—8, 9
სებასტიანი—358
სელიმ, სულტანი—334, 358
Селим, султан — 100
სელიმ-ფაშა (ხიმშიაშვილი)—374, 392, 413—418
სელიმ-ხან შაქელი—332, 355
სეფერ-ალი-ბეგი იხ. შარვაშიძე სეფერ ალი ბეგი
სეფიანები—183
Сефевиды — 87, 88
სეფიხან სარდალი—169, 170
სეხნია [ჩხეიძე]—იხ. ჩხეიძე სეხნია

სიაოშ-ბეგ ქართველი—187
სიდამონიშვილი (ოსებ)—439, 440, 445
სითიხათუნ, ფანასკერტელ-ციციშვილის ქალი—120
Симон I — 102, 106—110
სიმონოვიჩი—375—377, 379, 383, 388, 390, 393, 394, 398, 409, 414, 416, 417, 422—425, 463, 466, 471, 481, 485
სოკოლოვი—282, 283, 288, 289
სოლომონ I—38, 38 შენ., 227, 228, 235, 247, 213,—221, 279, 280, 281, 285, 300, 306, 349, 379—383
სოლომონ II—235, 264, 281—284, 287—293, 296, 299—312, 314, 315, 318, 349, 361—363, 370—390, 393, 394, 398, 400, 403, 406, 415, 417, 418, 423—425, 458, 478, 491,
სოლომონ (ბიბლ.)—39
სოროკინი—437
სტალი—397, 440, 453, 454, 471, 481
სტეპანოვი—444
სტრაბონი—24 შენ.
სული ბეგი—414
სუმბატი—59
სურხაი-ხანი—206, 297—299, 355, 426
სუხოტინი—219, 285

ტაიარ-ფაშა—402, 404
ტიმოთე, იმერეთის მეფის ელჩი—170
ტიხანოვსკი—440, 444, 463, 464, 471, 481
ტიხოცკი—389
ტორმასოვი—365—367, 369—379, 381—385, 387—399, 408, 409, 411—418, 421, 422, 424—426, 428
ტოტლებენი—217—219, 285
ტუჩკოვი—272

უზუნასან — 124, 125
Узун-Асан — 87
ულუმპია, ფანასკერტელის ქალი—115 შენ.
ურმიზდ—20
უსუფ, ახალციხის ფაშა—181, 182, 413
უშაკოვი—440, 444, 445, 463

ფავლენიშვილები — 399
ფავნელი—127
ფაზლალი-ბეგი—187
ფათალი-ხანი — 227—230, 261
ფალავანდიშვილი—396
ფალავანდიშვილი ელიაზარ — 249
ფანასკერტელ-ციციშვილი—120
Панаскертели-Цицишвили — 103, 143
ფანასკერტელი თაყა—131
ფარემუზა—322
ფარნაოზ ბატონიშვილი—264, 268, 275, 276, 281, 288, 293, 320, 325, 327—330
ფარსადან [გორგიჯანიძე]—47
ფარსმან თმოგველი—27
ფარსმანი—12, 13
ფარნავაზი—8, 13, 14, 16, 24 შენ.
ფარნაჯომ მირვანის ძე—9, 10, 12
ფირდოუსი—47
ფირ-ყული ხანი—268, 327, 334, 335, 469, 470

ქაიხოსრო, ქართლის მეფე—193
Кайхосро, атабаг — 106
ქაიხოსრო-ხანი—187
ქართველიშვილი იოანე—396
ქართლოსი—8
ქართლოსიანები—9, 10, 12, 18
ქარუმისძენი—118, 118 შენ.
ქასრე ამბარვეზი — 20
ქასრე სასანიანი—14, 15
ქაჩიბასძე-ბარათიანნი — 131
Качибасдзе-Бараташвили — 143
ქეთევან დედოფალი—369
ქელაიშ-ბეგი—313
ქერიმ-ხან( ქარიმ-ხან) ზანდი—184, 207—209, 219, 220, 223, 227
ქსერქსე—32
ქსნის ერისთავი, ქსნის ერისთვიანნი—158, 193, 447, 448, 457, 458, 485
Кснис-Эристави — 103
ქსნის ერისთავი დავით—218
ქსნის ერისთავი ელიზბარ—337
Ксанский Эристави Есей — 103
ქსნის ერისთავი შანშე—158 ,162, 169—171, 173, 174 182, 199
ქობულაშვილი ოთარ—437
ქრისტე—442, 475

Газнели — 103, 143
ღუდუშაური—7 შენ.

ყაზან-ყაენი—60, 62
ყაზიბეგი გაბრიელ—397
ყაზიბეგიშვილი გაბრიელ—325, 439, 440, 447, 457, 465, 480, 481
ყაფლანის-შვილი ერასტი—156, 162
ყაფლანიშვილი—158
ყაფლანიშვილი ქაიხოსრო—168
ყვარყვარე ათაბაგი—125, 128, 138, 139
Корганашвили — 107
ყუთლუ-არსლანი—36
ყურუმში—121, 123

შაბურისძენი—7 შენ.
Шабурисдзе-Эристави — 143
შარვაშიძე, შარვაშიძენი—136, 219, 382, 400—402
Шарвашидзе — 93, 147
(შარვაშიძე) არსლან—405, 410
შარვაშიძე აჰმედ-ფაშა—400
შარვაშიძე ბექან—401
შარვაშიძე გიორგი—399, 400
შარვაშიძე გიორგი (სეფერ-ალი ბეი)—408—410
შარვაშიძე ლევან—402, 403
შარვაშიძე მანუჩარ—401,—401, 402, 404, 406, 408
(შარვაშიძე) სეფერ-ალი-ბეი—405—409
შარვაშიძე სოსლან—408
შარვაშიძე ქელაიშ-ბეგ—300, 400—405, 407, 409
შარვაშიძე ქუჩუკ-ბეი—406, 408
შარმაზან-ბეგი—187
შერიფ-ფაშა—268, 374, 388, 391—393, 396, 397, 413—418, 424, 450
შაჰ-აბასი—37, 149, 162, 167, 168, 189, 194, 195, 207, 246, 328, 369
Шах-Аббас I — 97, 110
შაჰ-თამაზი—165, 168, 187
Тахмасп, шах — 106
შაჰ-ნადირი—169, 184, 199, 200, 246, 285, 296, 369
შაჰ-როჰი—184

შექსპირი—47
შიხ ალი—355, 426
შიხალიხანი—411
შმატოვი—446, 452, 453
შოთა [რუსთაველი]—იხ. რუსთაველი
შოთა—47

ჩერქეზიანი—485
ჩერქეზიშვილი—471
ჩერქეზიშვილი ქაიხოსრო—169
ჩინგოზ ყაენი—61
Чингизиды — 80
ჩიჟავასძე—134, 138
Чижавасдзе — 143, 146
ჩიქოვანი—313
Чобаниды — 81
ჩოლაყაშვილი აბელ ქაიხოსროს ძე—472
ჩოლაყაშვილი გივი—169
ჩოლაყაშვილი დიმიტრი—453
ჩოლაყაშვილი თადია — 462
ჩოლაყაშვილი ეკატერინე — 485
ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო — 472
ჩოფიკაშვილ-ყაზიბეგიშვილები—7 შენ.
ჩოფიკაშვილ-ყაზიბეგიშვილი—448
ჩოხელი—323
[ჩხეიძე] სეხნია—47

ციციანოვი (პავლე)—161, 273—279, 287—289, 291—303, 305, 306, 308—313 315—319, 321, 323, 325, 327—344, 346—348, 350, 357, 372, 378, 401—403, 412, 420
ციციშვილი—129, 138, 139, 178
ციციშვილ-ფანასკერტელნი—131
ციციშვილი ბაგრატ—156
ციციშვილი თაყა—134, 138
ციციშვილი პაატა—274
ციხისჯვარელ-ჯაყელები—41
ციხანოვსკი—440

წერეთელი, წერეთლები — 216, 249
Церетели Г. — 135 შენ.
წერეთელი ზურაბ—289, 362, 363, 371—375, 377, 383, 387, 398, 417
წერეთელი როსტომ—389

წერეთელი ქაიხოსრო—301, 303, 378, 387
წულუკიძეები—216
წულუკიძე სეხნია—303, 378

ჭავჭავაძე ალექსანდრე—382, 330, 341, 444
ჭავჭავაძე გარსევან—230 241, 248, 249, 251, 272

ხაიამი—47
ხანჯან-ხანი—171
ხიდირბეგიშვილები—321
ხოჯა-ხანი—177, 178
**Худа-банда, шах — 108**
ხუსეინ-ყული-ხანი—354, 392, 415
ხუტლუბუღა—59

ჯავად-ხანი—238, 239, 268, 296—298, 300, 315
ჯავახიშვილები—131, 138
**Джавахишвили — 103, 143**
ჯავახიშვილი გამრეკელ—123, 127—129, 134, 138, 139
ჯავახიშვილი ზაქარია—128
ჯავახიშვილი ივ.—114, 117, 119, 125
**Джавахишвили И. А. — 85**
ჯალაირიანნი—63
ჯალაირიდები—66
**Джалаириды — 81**
ჯალალ ედინი—55
ჯანაშია ს.—19 შენ,
ჯანდიერი—453
ჯანდიერისშვილი, ჯანდიერისშვილები—124
ჯაუნარისძე—323
ჯაფარისძენი—7 შენ,
ჯაფარიძე—379
ჯაფარ-ყული—355
**Джаксли — 89**
ჯაყელი სარგის—59
ჯაყელი ბექა—60
**Джеханшах — 87**
ჯიქური—59
ჯონსი (გარფორდ)—365—367, 391
ჯორაშვილი—413
ჯორაშვილი ზაქარია—480
ჯორაშვილი ნინია—331
ჯორჯაძე ივანე—452—454
ჯუანშერი—17—18, 18 შენ. 19, 21 შენ. 24 შენ., 29
ჯუბანიანნი—63
ჯუჩიანები—63

ჰამიდ-ალა—299
ჰუსეინ-ყული—336
ჰორ-უზელეი -- 456, 458, 482

## შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ


კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში . . . . . . . . . . . . 5
საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი) . . . . . . . . . 49
Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII–XVI вв.) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 71
ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში . . . . . . . . . . 111
Из истории феодальных отношений в Грузии XV в . . . . 141
XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან . . . . . . . . . . 149
საქართველო XVIII საუკუნეში . . . . . . . . . . . . 185
ბრძოლა ქართლ-კახეთის განთავისუფლებისათვის 185
ქართლი XVII საუკუნის დამლევს . . . . . . . . . . . . . 185
ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა . . . . . . . . . . . . . . 187
კახეთი XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში . . . . . . 193
ირან-ოსმალეთ-რუსეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში . . . . . . . . . . . . . . . . . . 195
ვახტანგ მეექვსისა და პეტრე პირველის ურთიერთობა . . . 195
ძნელბედობა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში . . . . . . 198
საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში . . . . . . . . 200
თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძოლა პირველობისათვის ამიერკავკასიაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 200
ლეკიანობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში . . . . . . . 203
ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ . . . . . . . . . . . . . . . . . . 207
ერეკლეს საგარეო პოლიტიკა . . . . . . . . . . . . . . 210
დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნეში . . . . . . . . . 213
რუსეთ-ოსმალეთის ომი 1768—1774 წლებში და საქართველო 216
მორიგე ჯარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 221
ქართლ-კახეთის სამეფო სამოცდაათიან წლებში 223
საქართველოს შეერთება რუსეთთან . . . . . . . . 227
ერეკლე მეორის ხელშეკრულება რუსეთთან . . . 227
ტრაქტატიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე . . . . 231
ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება . . . . . . . . . . . . 240
საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში (წინასიტყვაობა) . . . . . . 244
შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 246
სამეფოს მოშლა და რუსული მმართველობის შემოღება . . . 248
საძიებლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 493
გეოგრაფიულ სახელთა . . . . . . . . . . . . . . . . . 493
პირთა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 502

**Николай Александрович Бердзенишвили**

# ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ

## Книга II

**(На грузинском и русском языках)**


დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი გ. აკოფაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი შ. კაატაშვილი
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი რ. ფარესიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.6.1965; ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{16}$;
ნაბეჭდი თაბახი 32,12; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 29,74;
უე 02153; ტირაჟი 3000; შეკვეთა 1499;
ფასი 2 მან. 34 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
**Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8**

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
**Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5**